ISSN 0132—609 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

7-8

1992

ვნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი 68-ე № 7-8 ივლისი-აგვისტო 1992 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა 8

პროზა, პოეზია

არჩილ სულაკაური — თეთრი ცხენი, რომანი, გაგრძელება 30
ბენო კალანდია — ლექსები 75
გიგლა სარიშვილი — ლექსები 81
თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ლექსები 84
ზაზა მრელაშვილი — ლექსები 89
შოთა იათაშვილი — აკადემიკოსი ქალაქი, მოთხრობა 92

მოგონებები, ფაქტები

ლადო სულაგერიძე — ცხადსიზმარიანა, გაგრძელება 134

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ნუგზარ მუზაშვილი — დამარცხებული კაცი 160
დავით გოგოხური, ივანე ლიქოკელი — მკითხველმა განსაჯოს . . . 168
აპოლონ ცანავა — პოეზიის მერიდიანები, წერილი მეორე 178
მარინა ჩხარტიშვილი — „სასწაული მეათორმეტე“ 183

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. გვერდწითელი, ალ. გოგიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ბ. კალანდია, მ. ლეხანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. ფულეისკირი, ო. ფილაძე. ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი) რ. ჯაფარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლია,
ძველი აღთქმა

ტობითი

თავი პირველი

1. წიგნი ტობითის ამბავთა, ძისა ტობიელისა, ძისა ხანანიელისა, ძისა ადუელისა, ძისა გაბაელისა, იახციელის საგვარეულოდან, ნაფთალის ტომიდან, 2. რომელიც ენემესაროს, აშურის მეფის დროს ტყვედ წაიყვანეს თისბედან, ნაფთალის კიდიოსის მარჯვნივ რომ მდებარეობს, გალილეაში, აშურის ზემოთ. 3. მე, ტობითი ჭეშმარიტების გზით დავდიოდი მთელი ჩემი სიცოცხლე, ბევრი სიკეთე გამიკეთებია ჩემი მოძმეებისთვის და იმ ხალხისთვისაც, ვინც ჩემთან ერთად აშურელთა ქვეყანაში, ნინევეში წამოვიდა. 4. როცა ჩემს ქვეყანაში, იერუსალიმის მიწაზე, ვცხოვრობდი ჩემს ახალგაზრდობაში, მთელი ტომი ნაფთალისა, ჩემი მამული ტომი, შორს იყო იერუსალიმის სახლიდან, რომელიც არჩეული იქნა ისრაელის ყველა ტომიდან, რათა ყველა ტომს იქ შეეწირა მსხვერპლი, და იქ იკურთხა ტაძარი უზენაესის დასავანებლად და აშენდა ყველა თაობისთვის საუკუნოდ. 5. ყველა განდგომილი ტომი მსხვერპლს სწირავდა ბაალს, ხბოს, და ასევე ნაფთალის სახლიც მამაჩემისა, 6. მე ერთი დავდიოდი ხშირად იერუსალიმში დღესასწაულებზე, როგორც დაუწესდა მთელს ისრაელს საუკუნო ბრძანებით. მიმქონდა ნათავარნი, მოსავლის მეათედი და პირველი ნაპარსი. 7. ვუძღვნიდი მათ მღვდლებს — აარონიანებს საკურთხევლისათვის. ყოველი ნაყოფის მეათედს იერუსალიმში მომსახურე ლევიანებს ვაძლევდი. მეორე მეათედს ვყიდდი და ვხარჯავდი ყოველწლიურად იერუსალიმში ყოფნისას. 8. მესამეს ვაძლევდი, ვისაც ეგებოდა, როგორც მიანდერძა დებორამ, მამაჩემის დედამ, რადგან ობლად ვიყავი დარჩენილი მამის შემდეგ. 9. რომ დავკაცდი, მოვიყვანე ცოლად ხანა მამაჩემის საგვარეულოდან და შემეძინა მისგან ტობია. 10. როცა ტყვედ ვიყავი ნინევეში, ყველა ჩემი მოძმე და თვისტომი წარმართთა პურს ჭამდა. 11. მე კი დავიცავი ჩემი სული, რათა არ მეჭამა. 12. რადგან მე მახსოვდა ღმერთი მთელი ჩემი სულით. 13. უზენაესმა მადლი და სიკეთე მომანიჭა ენემესაროსის წინაშე, და გავხდი მისი ვაჭარი. 14. გავემგზავრე მიდიაში და მივაბარე გაბაელს, გაბრიას ძმას, რაგეში ათი ტალანტი ვერცხლი. 15. როცა მოკვდა ენემესაროსი, მის ნაცვლად გამეფდა სანხერიბი, მისი ძე, რომლის გზები მოუწყობელი იყო და უკვე ველარავინ ბედავდა მიდიაში გამგზავრებას. 16. ენემესაროსის დროს მრავალი მოწყალება გამიღია ჩემს მოძმეთათვის, 17. ვუყოფდი ჩემს პურს მშიერთ და მოსასხამს — შიშველ-ტიტველთ. თუ დავინახავდი ვინმეს ჩემს თვისტომს — მკვდარსა და გადაგდებულს ნინევეს კედლის გარეთ,

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 5-6

საქართველოს
ეროვნული

ვმარხავდი. 18. თუ ვინმე იუდაში გაქ-
ცეული მობრუნდებოდა და მოკლავდა
მას მეფე სანხერიბი, ფარულად ვმარ-
ხავდი მას. ბევრს კი ხოცავდა განრის-
ხებული. მერე ეძებდა მეფე გვამებს
და ვერ პოულობდა. 19. მივიდა ერთი
კაცი, მოახსენა მეფეს ჩემზე, რომ
ვმარხავდი გვამებს და ვმალავდი მათ.
როცა გავიგე, რომ მოსაკლავად მეძებ-
დნენ, შეშინებული გავიქეცი. 20.
დაიტაცეს მთელი ჩემი ქონება და
აღარაფერი დამრჩა. გარდა ხანასი, ჩე-
მი ცოლისა და ტობიასი, ჩემი ძისა.
21. არ გასულა ორმოცდაათი დღე,
რომ მოკლეს სანხერიბი მისმა ორმა
ვაჟმა. და გაიქცნენ არარატის მთის-
კენ. მის ნაცვლად მისი ძე, ასარხადო-
ნი, გამეფდა და დანიშნა აქიაქაროს
ანაელი, ჩემი ძმისწული, სამეფოსა და
მთელი თავისი მეურნეობის აღმწერ-
ლად. 22. მოახსენა აქიაქაროსმა ჩემზე
და დავბრუნდი ნინეევეში. აქიაქაროსი
კი იყო ღვინის მწდე, ბეჭდის მცველი,
ხაზინადარი და აღმრიცხველი, და
ნიშნა იგი ასარხადონმა მეორე კაცად.
ჩემი ძმისწული იყო იგი.

თავი მეორე

1. როცა მოვედი ჩემს სახლში და
დამიბრუნეს ხანა, ჩემი ცოლი, და
ტობია, ჩემი ძე, მეერგასის დღესასწა-
ულზე, რომელიც არის წმიდა შვიდი
შვიდეული, მომიმზადეს მე დიდებუ-
ლი სადილი და შევუდექი ჭამას. 2.
გადავხედე უამრავ სასმელ-საჭმელს და
მივმართე ჩემს ძეს: წადი და მომიყვა-
ნე, ვინც კი შეგხვდება ჩვენს მოძმე-
თაგან გაჭირვებული, ვისაც ახსოვს
უფალი. აბა, გელოდები-მეთქი. 3.
უკან რომ მობრუნდა, მითხრა: მამა,
ერთი ჩვენი თვისტომი, გაგუდული
გდია მოედანზე. 4. და მეც, ვიდრე
შევუდგებოდი სმა-ჭამას, წამოვვარ-
დი, შევინახე გვამი რომელიღაც სახ-
ლში მზის ჩასვლამდე. 5. შინ რომ მო-
ვბრუნდი, განვიბანე და ვჭამე ჩემი
პური დადარდიანებულმა. 6. გავიხსე-
ნე წინასწარმეტყველება ამოსისა, რო-
მელმაც თქვა: დღესასწაულები ბლო-
ვად გადაგექცევათ და ყველა თქვენი
სიმღერა — გოდებად. და ავტირდი. 7.
მზე რომ ჩაესვენა, გავედი და გავთხარე
მიწა და დავმარხე იგი. 8. ახლობლები
დამცინოდნენ, ამბობდნენ: არ ეშინია,
რომ მოკლან ამ საქმისათვის, გაიქცა
და აჰა, ისევ მარხავს მიცვალებულებ-
სო. 9. იმავე ღამეს აღვასრულე დაკრ-
ძალვის წესი და გაუწმიდურებული და-
ვწექი ეზოს კედელთან. სახე დაუფარა-
ვი მქონდა. 10. ვერ შევნიშნე, რომ
კედელზე ბეღურები ისხდნენ და ჩემს
გაცხელილ თვალებს გადმოაღვარეს
თბილი სითხე და ლიბრი გადამეკრა
თვალებზე. ვიარე მკურნალებთან, მაგ-
რამ ვერ მიშველეს. აქიაქაროსი მინა-
ხავდა, ვიდრე ელამში წავიდოდა. 11.
რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემი ცოლი
ხანა მოჯამაგირედ დაუდგა ბანოვანებს.
12. და უგზავნიდა თავის ბატონებს
ნაშრომს და უხდიდნენ მას გასამრჯე-
ლოს. ერთხელაც თიკანი აჩუქეს. 13.
როცა მომიახლოვდა თიკანი, კიკინი
მორთო. ვკითხე ხანას: საიდან არის
ეს თიკანი? ნაქურდალი ხომ არ არ-
ის-მეთქი? დაუბრუნე პატრონებს, რა-
დგან არა ხამს ნაქურდალის ჭამა-მეთ-
ქი. 14. მან კი მიპასუხა: საჩუქრად
მიბოძესო გასამრჯელოსთან ერთად. არ
დავუჯერე მას და ვუთხარი, პატრონის-
თვის დაებრუნებინა. და გავუწყერი.
მან კი პასუხად მომიგო: სად არის შე-
ნი მოწყალებანი და სამართალნი? აჰა,
ახდა შენზე ყოველივეო.

თავი მესამე

1. დამწუხრებული ვტიროდი და
სევდიანად ვლოცულობდი, ვამბობდი:
2. მართალი ხარ უფალო, და ყოვე-
ლი შენი საქმე, ყოველი შენი გზა
მოწყალებაა და ჭეშმარიტება, ჭეშმა-
რიტი და მართალი სამართლით სჯი
უკუნისამდე. 3. გამიხსენე მე და მომ-
ხედე! ნუ დამსჯი ჩემი ცოდვებისათ-
ვის და ჩემი მამა-პაპის უგნურებისა-

თვის, რითაც კი შეგცოდეს, 4. ყურად
რომ არ იღეს შენი მცნებანი, რომ მი-
გვცეს საძარცვავად, დასატყვევებლად
და სასიკვდილოდ, საიგავოდ გაგვხა-
დეს ხალხების პირში, რომელთა შო-
რისაც განბნეულნი ვართ. 5. ახლა კი
ღირსი ვარ ყოველი შენი სასჯელისა,
რომ მომაგო ჩემი და ჩემი მამა-პაპის
შეცოდებათა გამო, რომ არ დავიცა-
ვით შენი მცნებები და არ გვივლია სი-
მართლით შენს წინაშე. 6. ახლა კი შე-
ნი ნებისამებრ განმსაჯე მე: ბრძანე ჩე-
მი სულის ამოხდა, რათა აღვესრულო
და მიწად ვიქცე, რადგან სიკვდილი
მიჯობს სიცოცხლეს, რადგან მოვის-
მინე უსამართლო საყვედური და დი-
დია ჩემი მწუხარება. ბრძანე, რომ
განვთავისუფლდე ამ ბედისწერისაგან
საუკუნო ადგილას, ნუ იბრუნებ პირს
ჩემგან. 7. იმავე დღეს შეხვდა საყვე-
დურები მამამისის მხევალთაგან მიდი-
ის ეკბატანაში რაღუელის ასულსაც,
სარას, 8. შვიდ ქმარს რომ იყო
მიცემული. ხოლო ასმოდავსი, ბოროტი
სული, ხოცავდა მათ, ვიდრე დაიმკვი-
დრებდნენ მას ცოლად. ეუბნებოდნენ
მას: ვერა ხვდები, რომ ღუპავ შენს
ქმრებს? უკვე შვიდი გყავდა და მათგან
ერთის სახელითაც ვერ იწოდე. 9. ჩვენ
რაღაზე გვტანჯავ? რაკი ისინი დაიხო-
ცნენ, შენც მათ მიჰყევი, ნურასოდეს
გვენახოს შენი ძე ან ასული. 10. ეს
რომ მოისმინა, ძლიერ დამწუხრდა.
თავის ჩამოხრჩობა მოინდომა, მაგრამ
იფიქრა: ერთადერთი ვყავარ მამაჩემს,
ეს რომ ჩავიდინო, საყვედრებლად ექ-
ნება მას და სიბერე ჯოჯოხეთურ სა-
ტანჯველად გადაექცევა. 11. მივიდა
სარკმელთან და თქვა: კურთხეულ ხარ,
უფალო, ღმერთო ჩემო, და კურთხე-
ულია წმიდა სახელი შენი და დიდე-
ბით მოსილია უკუნისამდე. გაკურთ-
ხევდეს შენ ყოველი საქმე შა-
ნი უკუნისამდე. 12. ახლა, უფა-
ლო, შენდამი მომიპყრია თვალნი ჩემ-
ნი და პირი ჩემი. 13. გთხოვ დამიხსნა
ამ წუთისოფლიდან, მეტად რომ აღარ
ვისმენდე ამ საყვედურებს. 14. შენ
უწყი, უფალო, რომ უბიწო ვარ ცა-
ცის ყველანაირ ცოდვისაგან. 15. და
არ წამიბილწავს სახელი ჩემი
სახელი მამაჩემისა. ჩემი ტყვეობის
ქვეყანაში მხოლოდშობილი ვყავარ მა-
მაჩემს და არა ჰყავს მას ვაჟიშვილი,
რომ მისი მემკვიდრე იყოს. არც ძმა
ჰყავს ახლობელი, არც ძმისწული, ცო-
ლად რომ შევუნახო თავი. უკვე შვი-
დი ქმარი დამეღუპა. რაღასთვის ვი-
ცოცხლო? და თუ არ მიმეტებ სასიკ-
ვდილოდ, მომხედე და შემიწყალე, რომ
მეტად აღარ ვისმენდე საყვედურებს.
16. შეწყნარებულ იქნა ორივეს ლოცვა
ღვთის დიდების წინაშე და გაიგზავ-
ნა რაფაელი ორივეს განსაკურნავად,
რათა აეხადა ლიბრი ტობითისათვის
და მიეცა სარა, რაღელის ასული, ტო-
ბიასათვის, ტობითის ძისთვის, და შე-
ეკრა ასმოდავსი, ბოროტი სული, რა-
დგან ტობიას უნდა ხვდომოდა წილად
სარას დამკვიდრება. ერთსა და იმავე
დროს იყო, რომ შემოვიდა თავის სა-
ხლში უკან მობრუნებული ტობითი და
ჩამოვიდა თავისი ზემოთვალიდან რა-
ღუელის ასული სარა.

თავი მეოთხე

1. იმ დღეს გაიხსენა ტობითმა ვერ-
ცხლი, რომელიც გაბაელისთვის ჰქონ-
და მიბარებული რაგეში. 2. და თქვა
თავისთვის: მე სიკვდილს ვნატრობ.
რატომ არ დავუძახო ტობიას, ჩემს ძეს
და არ განვუცხადო იმ ვერცხლის ამ-
ბავი, ვიდრე ცოცხალი ვარ? 3. დაუ-
ძახა მას და უთხრა: შვილო, როცა
მოვკვდები, დამმარხე. ნუ მიატოვებ
დედაშენს, პატივი მიაგე მას, ვიდრე
ცოცხალია, და აკეთე მისი მოსაწონი, ნუ
დაამძიმებ მას დარდით. 4. გახსოვდეს,
შვილო, რომ მრავალი ჭირი ნახა შენ-
თვის, მუცლით რომ გატარებდა. როცა
მოკვდება, დამარხე ჩემს | გვერდით,
ერთ საფლავში. 5. ყოველდღე მოიხსე-
ნიე, შვილო, უფალი, ღმერთი ჩვენი,
ნუ შესცოდავ და ნუ გადახვალ მის
მცნებებს. სამართლიანი იყავი მთელი

შენი სიცოცხლე და უსამართლობის
გზას ნუ დაადგები. 6. რადგან სამარ-
თლის მიმდევარს კეთილად აგეწყობა
საქმეები. 7. ყველას, სიმართლის მოქ-
მედს, მიეცი მოწყალება, როგორც შე-
გიძლია. ნუ დაეწანება შენს თვალს,
მოწყალებას რომ გაიღებ, პირს ნუ
შეაქცევ ღარიბ-ღატაკს, რომ შენ არ
შეგაქციოს პირი ღმერთმა. 8. რაცა
გაქვს მრავლად, მისგან გაეცი მოწყა-
ლება. 9. რადგან სიკეთეს დაიუნჯებ
გაჭირვების დღისთვის. 10. რადგან მო-
წყალება სიკვდილისგანაც იხსნის კაცს
და ბნელს აარიდებს. 11. კეთილი ნი-
ჭია მოწყალება ყველასთვის, ვინც კი
გაიღებს მას უზენაესის წინაშე. 12.
მოერიდე, შვილო, ყველანაირ სიძვას.
ქალი შენი მამა-პაპის მოდგმისა მო-
იყვანე. სხვა ქალს ნუ მოიყვან, თუ არ
არ არის მამაშენის ტაძრისა, რადგან
წინასწარმეტყველთა შვილები ვართ.
გახსოვდეს, შვილო, რომ ნოემ, აბრა-
ამმა, ისაკმა და იაკობმა ჩვენმა მთელ-
მა მამა-პაპამ — ყველამ თავიანთ მო-
ძმეთაგან მოიყვანეს ცოლები და დაი-
ლოცნენ თავიანთ შთამომავლობაში და
მათმა მოდგმამ დაიმკვიდრა ქვეყანა.
13. გიყვარდეს, შვილო, შენი ძმები და
ნუ გაუდიდგულდები შენს ძმებს. შენი
ერის ძეთა და ასულთაგან მოიყვანე
შენთვის ქალი. ამპარტავნობას კი მოჭ-
ყვება დაღუპვა და აღრეულობა, ხოლო
ცუდად დებამ დიდი დანაკლისი და გა-
ჩანაგება იცის. ცუდად დება ხომ შიმ-
შილის დედაა. 14. ნურავის გასამრჯე-
ლოს ნუ დაიტოვებ, ვინც კი საქმეს გა-
გიკეთებს, არამედ გაეცი იგი მაშინვე.
თუ ღვთის მორჩილი იქნები, შენვე
დაგიბრუნდება. ყურადღებით წარმარ-
თე, შვილო, ყოველი შენი საქმე და
ჭკუით მოზომე ყოველი ნაბიჯი. 15.
რაც შენ გძულს, ნურავის შეამთხვევ.
ღვინოს დასათრობად ნუ დალევ. ნუ
წაგყვება სიმთვრალე გზაში თანამგზავ-
რად. 16. გაუყავი შენი პური ღარიბ-
ღატაკთ და მოსასხამი —შიშველ-ტიტ-
ველთ. ყველაფერი, თუ რამ ზედმეტი
გაქვს, გაეცი სამადლოდ და ნუ დაე-
ნანება შენს თვალს, მოწყალებას რომ
გასცემ. 17. მიმოაბნიე შენი პური მარ-
თალთა საფლავზე და ნურავინ გასცემ
ცოდვილთათვის. 18. ეძიებდა რჩევას
ყოველი გონიერისაგან და ნუ უგულე-
ბელყოფ სასარგებლო რჩევას. 19. ყო-
ველ ჟამს აკურთხევდე უფალს, ღმერთს,
მას შესთხოვდე, რათა წრფელი იყოს
ყოველი შენი გზა და განზრახვა კურ-
თხეული იყოს. რადგან არც ერთი ხალ-
ხის ხელთ არ არის განგება, არამედ
თავად უფალი ანიჭებს ყოველივე სი-
კეთეს, და ვისაც მოისურვებს, დაამდა-
ბლებს თავისი ნებისაებრ. ახლა კი
დაიმახსოვრე, შვილო, ჩემი ანდერძი
და ნუ ამოშლი მას შენი გულიდან.
20. ახლა გაუწყებ შენ: ათი ტალანტი
ვერცხლი მაქვს მიცემული გაბაელის-
თვის, გაბრიას ძისთვის მიდიის რაგეში.
21. ნუ შეგეშინდება, შვილო, გაღატა-
კებისა, დიდძალი ქონება გაქვს, თუ-
კი ღვთის შიში გექნება, თუ განუდგე-
ბი ყველანაირ ცოდვას და მოწიწებით
მოიქცევი ღვთის წინაშე.

თავი მეხუთე

1. მიუგო მას ტობიამ პასუხად: მა-
მაჩემო, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც
მეუბნები. 2. მაგრამ როგორ გამოვარ-
თვა ვერცხლი კაცს, რომელსაც არ
ვიცნობ? 3. მაშინ მისცა მას ტობითმა
ხელწერილი და უთხრა: აბა, მოძებნე
კაცი, რომელიც გაგყვება თანამგზავ-
რად და მე მივცემ გასამრჯელოს, ვიდ-
რე ცოცხალი ვარ. წადი და წამოიღე
ვერცხლი. 4. წავიდა კაცის საძებნად
და ნახა რაფაელი, რომელიც ანგელოზი
იყო, მან კი არ იცოდა. 5. უთხრა მას:
შეგიძლია, წამომყვე მიდიის რაგეში და
თუ იცნობ ამ ადგილებს? 6. მიუგო
მას ანგელოზმა: წაგყვები, გზაც ვიცი
და გაბაელთანაც, ჩემს მოძმესთან,
ვყოფილვარ სტუმრად. 7. უთხრა მას
ტობიამ: დამიცადე, ვეტყვი მამაჩემს.
8. უთხრა მას რაფაელმა: წადი და ნუ
დაყოვნდები. 9. შევიდა ტობია და
უთხრა მამას: აჰა, მოვნახე კაცი. ვინც

წამყვება. მან კი უთხრა: მოიყვანე ჩემთან, რათა გავიგო, რომელი ტომისაა იგი და თუ სანდო თანამგზავრია. **10.** დაუძახა მას ტობიამ და შევიდა იგი და მიესალნენ ერთურთს. **11.** უთხრა მას ტობითმა: ძმაო, მითხარი, რომელი ტომიდან ხარ და სად არის შენი სამშობლო? **12.** უთხრა მას რაფაელმა: ტომსა და სამშობლოს ეძებ, თუ ქირის კაცს რომ გაყვეს შენს ძეს? უთხრა მას ტობითმა: მსურს გავიგო, ძმაო, რომელი საგვარეულოდან ხარ და რა გქვია. **13.** უთხრა მან: მე ვარ ყაზარია, ძე დიდი ხანანიასი, შენი მოძმისა. **14.** უთხრა მას ტობითმა: მშვიდობით იარე, ძმაო, ნუ შემომწყრები, შენს ტომზე და სამშობლოზე რომ გეკითხები. ჩემი მოძმე ყოფილხარ. კეთილი და ღირსეული საგვარეულოდან. მე ვიცნობდი ხანანიას და იათანს, დიდი შემაყიას ძეთ. ჩვენ ერთად წავედით იერუსალიმის თაყვანისსაცემად და მიგვქონდა თან ნათავარნი და მიწის ნაყოფთა მეათედი. არ შეგვიცოდავს ჩვენთა მოძმეთა ცოდვებით. კეთილი გვარი მოგდგამს, ძმაო. **15.** მაგრამ მითხარი, რა გადაგიხადო გასამრჯელოდ? თითო დრაქმას მოგცემ დღეში და რაც დაგჭირდებათ შენ და ჩემს შვილს. **16.** კიდევ დაგიმატებ გასამრჯელოს, მშვიდობით თუ დაბრუნდებით. **17.** შეთანხმდნენ ამგვარად და უთხრა ტობიას: გაემზადე სამგზავროდ და კურთხეულ იყავით. გაემზადა შვილი სამგზავროდ და უთხრა მამამ: წადი ამ კაცთან ერთად. ზეციურმა ღმერთმა დაგილოცოთ გზა და მისი ანგელოზი დაგემგზავროთ. გავიდნენ ორივენი გზაზე და უკან გაჰყვა მათ ყმაწვილის ძაღლი **18.** ხოლო ხანა, ყმაწვილის დედა, ტიროდა და ეუბნებოდა ტობითს: რატომ გაუშვი ჩვენი შვილი? ჩვენი ხელების ყავარჯენი არ იყო, როცა გადიოდა და შემოდიოდა ჩვენს წინაშე? **19.** ვერცხლს ვერცხლს კი ნუ უმატებ, არამედ ტალახად ჩათვალე იგი შვილის წინაშე. **20.** რამდენი დღის სიცოცხლეც მოგვეცა უფლისაგან, საამისოდ საკმარისი გვაქვს. **21.** უთხრა ტობითმა: ნურაფერს იტყვი, დაო, მშვიდობით დაგვიბრუნდება და იხილავენ მას შენი თვალები. **22.** რადგან კეთილი ანგელოზი აემგზავრება მას და კურთხეულია მისი გზა და მშვიდობით მობრუნდება უკან.

თავი მეექვსე

1. მგზავრები საღამო ხანს მიადგნენ ტიგროს-მდინარეს და იქ შეისვენეს. **2.** ყმაწვილი რომ ჩავიდა განსაბანად, ამოხტა მდინარიდან თევზი და დააპირა შთაენთქა ყმაწვილი. **3.** ანგელოზმა კი უთხრა მას: ამოიყვანე თევზი. დაიჭირა ყმაწვილმა თევზი დააგდო მიწაზე. **4.** უთხრა მას ანგელოზმა: გაკვეთე თევზი, ამოიღე გული, ღვიძლი და ნაღველი და ცალკე შეინახე. **5.** შეასრულა ყმაწვილმა, რაც უთხრა მას ანგელოზმა. თევზი კი შეწვეს და შეჭამეს. **6.** გაუდგნენ გზას ორივენი და მიადგნენ ეკბატანას. **7.** უთხრა ყმაწვილმა ანგელოზს: ყაზარია, ძმაო, რა არის ეს თევზის გულ-ღვიძლი და ნაღველი? **8.** უთხრა მას ანგელოზმა: გულ-ღვიძლი — თუკი ვინმეს ტანჯავს ეშმაკი, ან ბოროტი სული, უნდა უკმიო კაცს ან ქალს, და მეტად აღარ დაიტანჯება. **9.** ნაღველი კი უნდა დააპკურო თვალებზე კაცს, ვისაც სითეთრე აქვს გადაკრული და განიკურნება. **10.** რაგეს რომ მიუახლოვდნენ. **11.** უთხრა ანგელოზმა ყმაწვილს: ძმაო, შევისვენოთ რაღუელთან, ისიც ხომ შენი ნათესავია. ერთადერთი ასული ჰყავს მას, სახელად სარა. **12.** სიტყვას ჩამოვუგდებ მასზე მის მშობლებს და მოგცემენ ცოლად, რადგან წესით შენ უნდა გერგოს იგი. აკი ერთადერთი შენა ხარ მისი გვარისა. **13.** ახლა კი მისმინე: მე ჩამოვუგდებ სიტყვას მამამისს და, რომ დავბრუნდებით რაგედან, გავმართოთ ქორწილი. რადგან ვიცნობ რაღუელს: მოსეს რჯულს არ გადავა და სხვა კაცს არ მისცემს თავის ასულს, რადგან სიკვ-

დილის თანამდები იქნება, რადგან სხვებზე მეტად, წესით, შენ უნდა გერგოს იგი. 14. მაშინ უთხრა ყმაწვილმა ანგელოზს: ყაზარია, ძმაო, გამიგია, რომ ეს ქალიშვილი შვიდ ქმარს იყო აღთქმული და ყველა დაიღუპა სანთიობოში. 15. მე კი ერთადერთი ვყავარ მამაჩემს და მეშინია, არ მოვკვდე სასიძოდ მისულ წინამორბედთა მსგავსად. ეს ქალი ხომ უყვარს ეშმაკს, რომელიც მხოლოდ იმას ერჩის, ვინც ამ ქალს მიეკერება. მეც მეშინია, არ მოვკვდე და არ გავუმწარო სიცოცხლე ჩემზე დარდით მამაჩემსა და დედაჩემს სიკვდილის წინ. 16. უთხრა მას ანგელოზმა: ნუთუ არ გახსოვს სიტყვა, მამაშენმა რომ დაგაბარა, შენი გვარის ცოლი უნდა მოიყვანოო? ახლა მისმინე, ძმაო, რაკი შენთვის ცოლად არის იგი განკუთვნილი, ეშმაკის შიში ნუ გექნება — იმავე ღამეს მოგეცემა ის ასული ცოლად. 17. როგორც კი შეხვალ სანთიობოში, აიღე სასაკმევლედან ნაკვერჩხალი და მოუკიდე თევზის გულ-ღვიძლს და აკმიე. სუნი რომ ეცემა ეშმაკს, გაიქცევა და აღარ დაბრუნდება უკუნისამდე. 18. როცა დააპირებ ქალთან მიახლოებას, ორივენი შეეკედრეთ მოწყალე ღმერთს და გიხსნით და შეგიწყალებთ. ნურაფრის გეშინია, რადგან შენთვის არის განკუთვნილი ეს ქალი უკუნისამდე და შენ იხსნი მას. შენ გამოგყვება და მჯერა, რომ შვილები გეყოლება მისგან. 19. ეს რომ მოისმინა ტობიამ, შეიყვარა ქალი და მისი სული ძლიერ მიეწება მას.

თავი მეშვიდე

1. შევიდნენ ეკბატანაში და მიადგნენ რაღუელის სახლს. სარა გამოეგება მათ და მიესალმა, მათაც სალამი უთხრეს და სახლში შეუძღვა მათ. 2. უთხრა რაღუელმა ყადნას, თავის ცოლს: როგორ ჰგავს ეს ყმაწვილი ტობითს, ჩემს ნათესავს. 3. ჰკითხა მათ რაღუელმა: საიდან ხართ, ძმებო? მიუგეს: ნაფთალიანები ვართ ნინევეში გადასახლებუთაგან. 4. უთხრა მათ: იცნობთ, ტობითს, ჩვენს ძმას? მათ კი მიუგეს: ვიცნობთ. 5. ჰკითხა: ჯანმრთელადაა? მათ მიუგეს: ცოცხალია და ჯანმრთელი. ხოლო ტობიამ თქვა: მამაა ჩემი. 6. წამოდგა ფეხზე რაღუელი, გადაჰკოცნა და დალოცა იგი, უთხრა: ო, კეთილი და ღირსეული კაცის შვილო, რომ გაიგო ტობითის დაბრმავების ამბავი, შეწუხდა და ატირდა. 7. ტიროდა ყადნაც, მისი ცოლი და სარა, ასული მისი. გაუმასპინძლდნენ ტობიას საკადრისად. 8. დაუკლეს ცხვარი და დიდებული სუფრა გაუმზადეს. 9. უთხრა ტობიამ რაფაელს: ძმაო ყაზარია, უთხარი რაღუელს, მომათხოვოს სარა, ჩემი და. 10. გაიგონა ეს სიტყვა რაღუელმა და უთხრა ყმაწვილს: ჭამე და სვი, და გაიხარე. შენ შეგფერის ჩემი შვილის თხოვა, მაგრამ გეტყვი სიმართლეს. 11. შვიდ ქმარს იყო მითხოვებული და, ვინც კი მიეკარებოდა მას, იმავე ღამეს კვდებოდა. ახლა კი გაიხარე. 12. უთხრა ტობიამ: საჭმელს არ მივეკარები, ვიდრე არ მოილაპარაკებთ და თანხმობას არ მომცემთ. თქვა რაღუელმა: ახლავე წაიყვანე იგი რჯულისამებრ. შენ ხარ მისი ძმა და შენია იგი. მოწყალე ღმერთმა მოგმადლოთ ყოველი სიკეთე. 13. მოუხმო სარას, თავის ასულს და დაიჭირა მისი ხელი, მისცა ქალი ტობიას ცოლად და თქვა: აჰა, მოსეს რჯულისამებრ მიიღე იგი და მიიყვანე მამაშენთან. და დალოცა ისინი. 14. მოუხმო ყადნას, თავის ცოლს, აიღო წიგნი, დაწერა პირობა და დაბეჭდა. 15. მოუხმო რაღუელმა ყადნას, თავის ცოლს და უთხრა: დაო, გააძზადე სხვა საძინებელი და შეიყვანე ასული. 16. ისე გააკეთა ყადნამ, როგორც ეთქვა მას, და შეიყვანა იგი საძინებელში, და ატირდა. მიიღო ცრემლი თავისი ასულისა და უთხრა: 17. გამაგრდი შვილო, მეუფე ცისა და მიწისა მოგანიჭებს შენ წყალობას ამ შენი დარდის სანაცვლოდ. გამაგრდი შვილო.

თავი მერვე

1. სადილი რომ დაასრულეს, შევიდა ტობია სარასთან. 2. მიმავალმა გაიხსენა სიტყვები რაფაელისა და აიღო საკმეველთაგან ნაკვერჩხალი, მოუკიდა თევზის გულს და აკმია. 3. როგორც კი იგრძნო ეშმაკმა სუნი, გაიქცა ზემო ეგვიპტეს და შეკრა იგი ანგელოზმა. 4. როდესაც ჩაიკეტდნენ ორივენი, ადგა ტობია სარეცლიდან და თქვა: ადექი, დაო, და ვილოცოთ, რათა წყალობა მოიღოს ჩვენზე უფალმა. 5. დაიწყო ტობიამ და თქვა: კურთხეულ ხარ, ღმერთო მამათა ჩვენთა, და კურთხეულია შენი წმიდა სახელი და განდიდებულია უკუნისამდე. 5. შენ შექმენი ადამი და შემწედ უძღვენი ევა, საყრდენად — ცოლი მისი. მათგან იშვა ადამიანთა მოდგმა. შენ თქვი: არ არის კარგი კაცის მარტოდ ყოფნა, შევუქმნათ მას შემწე, მისი მსგავსიო. 7. და მეც, უფალო, არა სიძვის გამო მომყავს ცოლად ეს ჩემი და, არამედ ჭეშმარიტებით. ინებე შეწყალება ჩემი და მასთან შებერება. 8. თქვა ამის შემდეგ: ამინ. 9. და დაიძინა ორივემ იმ ღამეს. 10. ადგა რაღუელი, წავიდა და გათხარა საფლავი, თან ამბობდა: ნუთუ ესეც მოკვდება? 11. შევიდა რაღუელი სახლში 12. და უთხრა ყადნას, თავის ცოლს: გავგზავნოთ ერთი მხევალი და ნახოს, ცოცხალია თუ არა. თუ არა და, დავმარხოთ და არავის ეცოდინება. 13. წავიდა მხევალი, გააღო კარი და ნახა, რომ სძინავს ორივეს. 14. გამოვიდა და აუწყა, რომ ცოცხალია. 15. აკურთხა რაღუელმა ღმერთი, თქვა: კურთხეულ ხარ შენ, ღმერთო, ყოველი წმიდა და ღვთაებრივი კურთხევით. გაკურთხოთ შენ შენმა წმიდებმა, ყოველმა შენმა ქმნილებამ, ყოველმა შენმა ანგელოზმა. და რჩეულებმა გაკურთხონ შენ საუკუნოდ. 16. კურთხეულ ხარ, სიხარული რომ მომანიჭე და ისე არ მოხდა, როგორც მეგონა, არამედ მრავალი შენი წყალობა მოიღე ჩვენზე. 17. კურთხეულ ხარ, რადგან შეიწყალე ორი მხოლოდშობილი, მოიღე მათზე, მეფეო, წყალობა. მშვიდობაში, სიხარულში, წყალობებში გააატარებინე ეს ერი. ცოცხლე. 18. მერე მოუხმო მსახურებს საფლავის ამოსავსებად. 19. გაუმართა მათ თოთხმეტდღიანი ქორწილი. 20. ფიცი დაადებინა ტობიას რაღუელმა, არ წასულიყო ქორწილის დღეების გასრულებამდე, ვიდრე ქორწილის თოთხმეტი დღე არ გავიდოდა. 21. მაშინ მიიღებდა ტობია რაღუელის ქონების ნახევარს და წავიდოდა მშვიდობით მამასთან. დანარჩენს კი მაშინ, როცა ის და მისი ცოლი დაიხოცებოდნენ.

თავი მეცხრე

1. მოუხმო ტობიამ რაფაელს და უთხრა: 2. ყაზარია, ძმაო, წაიყოლე თან მსახური ბიჭი და ორი აქლემი და გაემგზავრე მიდიის რაგეში გაბაელთან და წამოიღე ვერცხლი, და ისიც მოიწვიე ქორწილში. 3. რადგან დამაფიცა რაღუელმა, არ წავიდე. 4. მამაჩემი კი ითვლის დღეებს და, თუ დიდხანს დავყოვნდები, დიდად შეწუხდება. 5. გაემგზავრა რაფაელი, მივიდა გაბაელთან და მისცა მას ხელწერილი. მან კი გამოიტანა დაბეჭდილი ქისა და ჩააბარა მას. 6. განთიადზე დაადგნენ გზას და მივიდნენ ქორწილში. აკურთხეს მათ ტობია და მისი ცოლი.

თავი მეათე

1. ტობითი კი, მამამისი, თითოეულ დღეს ითვლიდა. რომ ამოიწურა მგზავრობის დღეები და არ მოდიოდა ტობია, 2. თქვა: იქნებ დაბრკოლეს სადმე? ან იქნებ მოკვდა გაბაელი და არავინაა ვერცხლის გადამხდელი? 3. და შეწუხდა ძლიერ. 4. ხოლო ცოლმა უთხრა: დაღუპულია ჩვენი შვილი, ამიტომაც აგვიანებს. და დაიწყო მისი დატირება, თქვა: 5. არ ფიქრობდი შვილო, თან რომ გაიყოლე ჩემი თვალის ჩინი? 6. უთხრა ტობითმა: გაჩუმდი, ნურაფერს იტყვი, ჯანმრთელადაა.

7. უპასუხა ხანამ: გაჩუმდი, ნუ მატყუებ. დაიღუპა ჩემი შვილი. გამოდიოდა ყოველდღე გარეთ, გზაზე, საიდანაც წავიდა ტობია. დღისით პურს არ ჭამდა და ღამით განუწყვეტლივ ტიროდა ტობიაზე, ვიდრე არ დასრულდა ქორწილის თოთხმეტი დღე, რომელიც ტობიას, ფიცის თანახმად, რაღუელთან უნდა დაეყო. 8. უთხრა ტობიამ რაღუელს: გამიშვი, რადგან მამაჩემს და დედაჩემს აღარა აქვს ჩემი ხილვის იმედი. 9. უთხრა სიმამრმა: დარჩი ჩემთან და გავგზავნი მამაშენთან და მიუტანს მას შენ ამბავს. ტობიამ თქვა: არა, მე გამგზავნე მამაჩემთან. 10. ადგა რაღუელი და მისცა მას სარა, მისი ცოლი და ქონების ნახევარი — მსახურნი, საქონელი და ვერცხლი. 11. დაულოცა მათ გზა, თქვა: გაკურთხოთ თქვენ, შვილებო, ზეციერმა ღმერთმა, ჩემს სიკვდილამდე. 12. უთხრა თავის ასულს: პატივი მიაგე შენს მამამთილს და დედამთილს, ისინი არიან ახლა შენი მშობლები. კარგი მესმოდეს შენზე. და აკოცა მას. 13. უთხრა ყადნამ ტობიას: საყვარელო ძმაო, შენი მფარველი იყოს ზეციერი უფალი, მახილვინოს შენი შვილები სარასაგან, ჩემი ასულისა, რათა დავლოცო ისინი უფლის წინაშე, გაბარებ ჩემს ასულს, ნუ აწყენინებ მას. 14. ამის შემდეგ დაადგა გზას ტობია, ღვთის მაკურთხეველი, რადგან კეთილად წარმართა ღმერთმა მისი მგზავრობა. და გამოეთხოვა რღუელს და ყადნას, მის ცოლს.

თავი მეთერთმეტე

1. იარეს და მიუახლოვდნენ ნინევეს. უთხრა ტობიას რაფაელმა: 2. ხომ იცი, ძმაო, რა დღეში დატოვე მამაშენი? 3. გავუსწროთ წინ შენს ცოლს და შევამზადოთ შინაურები. 4. გეჭიროს ხელში თევზის ნაღველი. წავიდნენ და ძაღლიც მისდევდათ უკან. 5. ხანა კი იჯდა და გაჰყურებდა გზას შვილის მოლოდინში. 6. იგძნო მისი მოახლოება და უთხრა მის მამას: აჰა, მოდის შენი შვილი და კაცი მოჰყვება თან. 7. თქვა რაფაელმა: ვიცი, დღეს ეახლება თვალები მამაშენს. 8. წასვი ჩანთელი თვალებზე და, როცა შეაწუხებს, მოიხოკავს და მოსცილდება ლიბრი და დაგინახავს. 9. სირბილით მიეგება ხანა, მოეხვია ყელზე თავის შვილს და უთხრა: რაკი გიხილე, შვილო, ახლა თუნდაც მოვკვდე. და ატირდნენ ორივენი. 10. ტობითი მოადგა კარს და წაბორძიკდა, ხოლო შვილმა მიირბინა მასთან, 11. წამოაყენა მამა და დააწვეთა ნაღველი თვალებზე და უთხრა: გამხნევდი, მამა. 12. აეწვა თვალები და მოიხოკა თუ არა, მოსცილდა გუგებს ლიბრი. 13. როგორ კი დაინახა თავისი ძე, მოეხვია ყელზე და ატირდა, და თქვა: 14. კურთხეულ ხარ, ღმერთო, კურთხეულია სახელი შენი უკუნისამდე, კურთხეულ არიან შენი წმიდა ანგელოზები, რადგან შემაჭირვეს და შემიწყალეს მე. აჰა, ვხედავ ტობიას, ჩემს ძეს. 15. შევიდა მათი ძე გახარებული და აუწყა მამამისს საკვირველი ამბები, რაც მიდიაში გადახდა. 16. გამოვიდა ტობითი თავის რძლის დასახვედრად ნინევის კარიბჭესთან, გახარებული და ღვთის განმადიდებელი, და უკვირდა ყველას მის დამნახველს, თვალხილული რომ მოდიოდა გზაზე. და აღიარა ტობითმა მათ წინაშე, რომ შეიწყალა იგი ღმერთმა. 17. რომ მიუახლოვდა სარას, თავის რძალს, უთხრა: მშვიდობით მოგვიხველ, ასულო. კურთხეულია ღმერთი, რომელმაც მოგიყვანა ჩვენთან, კურთხეულ იყვნენ მამაშენი და დედაშენი. 18. მაშინ მიეცა დიდი სიხარული ნინევეს ყველა მკვიდრს, ტობითის მოძმეებს. 19. მოვიდნენ აქიაქაროსი და ნასბასი, მისი ძმისწული, და შვიდ დღეს ზეიმობდნენ სიხარულით ტობიას ქორწილს.

თავი მეთოთხმეტე

1. მოუხმო ტობითმა ტობიას, თავის ძეს და უთხრა: გადაუხადე შვილო გასამრჯელო შენს მეგზურს, ზედმეტიც ეკუთვნის. 2. მიუგო: მამა, არ ვიზა-

რალებ, იმის ნახევარიც რომ გადავუ-
ხადო, რაც მივიღე. 3. აკი მშვიდობით
მომიყვანა შენთან, ცოლიც განმიკურნა,
ვერცხლიც მომიტანა და შენც განგ-
კურნა. 4. თქვა მოხუცმა: ღირსია. 5.
მოუხმო ანგელოზს და უთხრა: აიღე
გასამრჯელოდ ნახევარი ყოველივე იმი-
სა, რაც მოიტანეთ, და წადი მშვიდო-
ბით. 6. მაშინ მოუხმო ანგელოზმა ორი-
ვეს ფარულად და უთხრა: აკურთ-
ხევდეთ ღმერთს და აღიარებდეთ მას,
ადიდებდეთ და აღიარებდეთ ყოველი
არსების წინაშე, რომელიც კი თქვენთან
ერთად შეუქმნია. კარგია ღვთის კურ-
თხევა და მისი სახელის განდიდება. მო-
წიწებით გააცხადეთ ღვთის საქმეები და
ნუ დაიზარებთ მის სამადლობელს. 7.
კარგია მეფის საიდუმლოს შენახვა, მა-
გრამ ღვთის საქმეთა გამოცხა-
დება დიდებით ხამს. ქმენით სიკეთე და
ბოროტება ვერ მოგაგნებთ თქვენ. 8.
სიკეთეა ლოცვა მარხვით, მოწყალე-
ბით და სამართლიანობით. სჯობს მცი-
რედი და სამართლიანობით, ვიდრე მრა-
ვალი და უსამართლობით. უმჯობესია
მოწყალების გაღება, ვიდრე ოქროს
დაუნჯება. 9. მოწყალება ხომ სიკვდი-
ლისგანაც იხსნის კაცს და განწმენდს ყო-
ველგვარი ცოდვისგან. მოწყალების გამ-
ღებნი და სიმართლის მყოფელნი სი-
ცოცხლით აღივსებიან, 10. ხოლო ცოდ-
ვილნი თავისი თავის მტრები არიან.
11. არაფერს დაგიმალავთ, აკი ვთქვი:
კარგია მეფის საიდუმლოს შენახვა, მაგ-
რამ ღვთის საქმეთა განცხადება დიდე-
ბით ხამს. 12. რომ ლოცულობდით შენ
და შენი რძალი სარა, მე აღვავლინე
თქვენს ლოცვებზე შეხსენება წმიდის
წინაშე. როცა მარხავდი მკვდრებს, მა-
შინაც შენი თანამდგომი ვიყავი. 13.
რომ არ დაიზარე, ადექი და მიატოვე
სუფრა, რათა წასულიყავი მიცვალე-
ბულის გასაპატიოსნებლად, არ და-
ფარულა ჩემთვის შენი სიქველე. არა-
მედ მე შენთან ვიყავი. 14. ახლა მომავ-
ლინა მე ღმერთმა შენი და შენი რძლის
სარას განსაკურნავად. 15. მე ვარ რა-
ფაელი, ერთი იმ შვიდ წმიდა ანგელოზთ-
აგანი, რომელნიც აღავლენენ წმიდათა
ლოცვებს და ამაღლდებიან წმიდის დ-
ადების წინაშე. 16. შეძრწუნდნენ ორი-
ვენი და ქვედაემხნენ, რადგან შეიპყრო
ისინი შიშმა. 17. უთხრა მათ რაფაელმა:
ნუ გეშინიათ, მშვიდობა იყოს თქვენ-
და. აკურთხევდეთ ღმერთს უკუნისამ-
დე, 18. რადგან ჩემი წყალობით კი
არა, ჩვენი ღვთის ნებით ვარ მოვლე-
ნილი. ამიტომ აკურთხევდეთ მას უკუ-
ნისამდე. 19. ყოველდღე (გეცხადე-
ბოდით, მაგრამ არც მიჭამია, არც
მისვამს მხოლოდ ხილვით მხედავდით.
20. ახლა კი, მადლობდეთ ღმერთს,
რადგან ავდივარ მასთან, ვინც მომავ-
ლინა. წიგნში ჩაწერეთ ყოველივე, რაც
გადაგხდათ. 21. ადგნენ და მეტად აღ-
არ უხილავთ იგი. 22. აღიარებდნენ
ღვთის საქმეს, დიადს და საოცარს, თუ
როგორ გამოეცხადა მათ უფლის ან-
გელოზი.

თავი მეცამეტე

1. დაწერა ტობითმა ლოცვა სიხა-
რულით და თქვა: 2. კურთხეულია
ღმერთი ცხოველი უკუნისამდე და სუ-
ფევა მისი, რადგან ის არის შემაჭირ-
ვებელი და შემწყნარებელი, ჯოჯოხეთს
ჩამყვანი და ამომყვანი, ვერავინ და-
უსხლტება ხელიდან. 3. აღიარებდეთ
მას, ისრაელიანებო, ხალხების წინაშე,
რადგან მან გაგფანტათ მათ შორის.
4. იქ ცხადყავით დიდსულოვანება მი-
სი, ადიდებდეთ მას ყოველი ცოცხალის
წინაშე, რადგან ის არის ჩვენი უფალი
და ღმერთი, ის არის ჩვენი მამა უკუ-
ნითი უკუნისამდე. 5. ის შეგვაჭირვებს
ჩვენ ურჯულოებაში და კვალად შეგ-
ვიწყალებს და შეგვყრის ჩვენ ყველა
ხალხებიდან, თუკი ვიქნებით განბნეულ-
ნი მათ შორის. 6. თუ მიიქცევით მის-
კენ მთელი გულით და მთელი სუ-
ლით, ყოფთ სამართალს მის წინაშე,
მაშინ ისიც მოიქცევა თქვენსკენ და
არ დაფარავს თქვენგან თავის პირს.
7. იხილავთ, რასაც მოგაწევთ თქვენ.
აღიარებდეთ მას ერთხმად და აკურთხ-

ევდეთ სიმართლის უფალს, ადიდებდეთ მეფეს საუკუნეთა. 8. მე ჩემი ტყვეობის ქვეყანაში ვაღიარებ მას და განვუცხადებ ცოდვილთა მოდგმას მის ძალასა და სიდიადეს. მიიქეცით, ცოდვილნო, და ქმენით სამართალი მის წინაშე. ვინ იცის, იქნებ ისურვოს თქვენი თავი და მოიღოს თქვენზე წყალობა? 9. მე ვადიდებ ჩემს ღმერთს, სული ჩემი ადიდებს ცათა მეუფეს და ხარობს მისი სიდაიდით. 10. გააცხადოს ყველამ და აღიაროს იგი იერუსალიმში. იერუსალიმო, წმიდა ქალაქო! შეგაჭირვებს შენი შვილების ნამოქმედარის გამო და კვალად შეიწყალებს მართალთა შვილებს. 11. აღიარებდე უფალს კეთილად და აკურთხევდე მეფეს საუკუნეთა, რათა კვლავაც მადლით აშენდეს შენთვის მისი კარავი. 12. რათ გაახაროს შენ შორის ტყვედქმნილები და შეიყვაროს შენ შორის გატანჯულნი საუკუნის ყოველ თაობაში. 13. მრავალი ხალხი შორიდან მოვა უფლის, ღმერთის სახელთან. ძღვენით ხელში, ძღვენით ცათა მეფისათვის, თაობათა თაობანი მოგიძღვნიან ქებადიდებას. 14. წყეულიმც იყოს ყოველი მოძულე შენი, კურთხეულ იყოს ყოველი შენი მოყვარული უკუნისამდე. 15. იშვებდე და იხარებდე მართალთა შვილების გამო, რადგან შეიკრიბებიან ისინი და აკურთხევენ მართალთა უფალს! ნეტარნი არიან შენი მოყვარულნი! გაიხარებენ შენი მშვიდობით. 16. ნეტარნი არიან შენს ტანჯვათა გამო შეწუხებულნი, რადგან გაიხარებენ შენით, როცა შენს დიდებას მოესწრებიან და სიხარულში იქნებიან უკუნისამდე! აკურთხოს სულმა ჩემმა ღმერთი, დიდი მეუფე, 17. რადგან საფირონითა და სმარაგდონით აშენდება იერუსალიმი. და პატიოსანი ქვით — შენი კედელი, გოდოლები და ზღუდენი — წმიდა ოქროთი, მოედნები იერუსალიმისა — ბერილონით და ანთრაკით, და სუფირული ქვით მოიკირწყლება. 18. გაისმება მის ყოველ კუთხეში ალელუია და იტყვიან ქებადიდებით: კურთხეულია ღმერთი, რომელმაც აღგაზევა უკუნისამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეთოთხმეტე

1. დაასრულა ტობითმა აღსარება. 2. ორმოცდათვრამეტი წლისა იყო, როცა დაკარგა თვალისჩინი და რვა წლის მერე აეხილა თვალი. გაიღო მრავალი მოწყალება და შეემატა უფლის, ღვთის შიში და მოწიწება მისდამი. 3. ღრმად მოხუცდა და მოუხმო თავის ძეს მისი შვილებითურთ და უთხრა შვილო, წაიყვანე შენი შვილები აჰა, მოვხუცდი და ვეთხოვები სიცოცხლეს. 4. წადი მიდიაში, შვილო, რადგან მჯერა, რაც იონა წინასწარმეტყველმა თქვა ნინევეზე, რომ დაემხობაო იგი. მიდიაში კი მშვიდობა იქნება, ვიდრე ჟამი მოუწევდესო, რომ ჩვენი ძმები მადლიანი ქვეყნიდან განიფანტებიანო. იერუსალიმი გაუკაცრიელდება და ტადაიბუდება ღვთის სახლი და უკაცრიელი იქნება, ვიდრე არ მოვა მისი ჟამი. 5. მერე კვლავ შეიწყალებს მათ ღმერთი და დაბრუნებს აღთქმულ მიწაზე და ააშენებენ სახლს, არა წინანდელის მსგავსს, ვიდრე საუკუნის დრო-ჟამი ამოიწურებოდეს. ამის შემდეგ დაბრუნდებიან ტყვეობიდან და ააშენებენ იერუსალიმს პატიოსნად. აშენდება მასში ღვთის სახლი საუკუნის ყოველი მოდგმისთვის— დიდებული სახლი, როგორც ამას გვაუწყებენ წინასწარმეტყველნი. 6. ყოველი ხალხი მოიქცევა უფლის, ღვთის შიშისკენ ჭეშმარიტებით, დაამხობენ თავიანთ კერპებს და განადიდებს ყოველი ხალხი უფალს. 7. მისი ერი აღიარებს ღმერთს და აღამაღლებს უფალი თავის ერს და გაიხარებენ უფლის, ღვთის ყოველნი მოყვარულნი ჭეშმარიტებითა და სიმართლით, მოწყალების გამღებელნი ჩვენი ძმებისთვის. 8. ახლა, შვილო, წადი ნინევედან, რადგან ჭეშმარიტად აღსრულდება, რაც გვაუწყა წინასწარმეტყველმა იონამ. 9. ხოლო შენ დაიცავი რჯული და მცნებები და იყავი მოწყალებისა და სი-

მართლის მოყვარული, რათა შენც კარგად იყო. დამარხე დედაშენიც ჩემთან ერთად და ნულარ დაყოვნდები ნივეში. 10. იცოდე, შვილო, რა გაუკეთა ჰამანმა აქიაქაროსს, თავის გამზრდელს, რომელმაც ნათელიდან წყვდიადში შეიყვანა იგი. როგორ მიეზღო მას: აქიაქაროსი გადარჩა, მას კი საკადრისად მიეზღო — ჩავიდა შავეთში. მენაშემ გაიღო მოწყალება და გადაურჩა აქიაქაროსი სიკვდილის მახეს, რომელიც მისთვის იყო დაგებული, ჰამანი კი გაება მახეში და დაიღუპა. 11. ახლა შვილო: ხომ ხედავ, რა ძალა აქვს მოწყალებას და როგორ იხსნის კაცს სიმართლე, ამას რომ ამბობდა დასტოვა იგი სულმა სარეცელზე. ას ორმოცდათვრამეტი წლისა იყო და პატივით დამარხეს იგი. 12. როცა მოკვდა ხანა, დამარხა ტობიამ იგი თავის მამასთან ერთად, და წავიდა თავისი ცოლ-შვილითურთ ეკბატანაში რაღუელთან, თავის სიმამრთან. 13. მიაწია ღირსეულ სიბერემდე და პატივით დამარხა თავისი სიმამრი და დაიმკვიდრა მისი და მამამისის, ტობითის ქონება. 14. მოკვდა ას ოცდა შვიდი წლისა მიდიის ეკბატანაში. 15 ვიდრე მოკვდებოდა, ეუწყა მას დაღუპვა ნინევესი, რომელიც წარტყვევნეს ნაბუქოდონოსორმა და ახაშვეროშმა. სიკვდილამდე გაიხარა ნინევეს ტყვეობაზე.

ᲘᲕᲓᲘᲗᲘ

ᲗᲐᲕᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

1. ნაბუქოდონოსორის მეფობის მეთორმეტე წელს, რომელიც მეფობდა აშურელებზე დიდ ქალაქ ნინევეში, არფაქსადის მეფობის ჟამს, რომელიც მეფობდა მიდიელებზე ეკბატანაში, 2. და შემოავლო ეკბატანას ირგვლივ გათლილი ქვებისგან ზღუდე სამი წყრთა სისქისა და ექვსი წყრთა სიგრძისა, და ქმნა მისი სიმაღლე სამოცდათი წყრთა, სიგანე კი — ორმოცდაათი, 3. ასწყრთიანი გოდლები აღმართა მის კარიბჭეებთან და სამოცწყრთიანი საძირკველი ჩაუყარა, 4. ააშენა მისი კარიბჭენი, სიმაღლით სამოცდაათი წყრთა და სიგანით ორმოცი წყრთა, მისი ძლევამოსილი ლაშქრის გასასვლელად და ფეხოსანთა განსაწყობად, 5. ბრძოლა გადაიხადა იმხანად ნაბუქოდონოსორ მეფემ არფაქად მეფის წინააღმდეგ დიდ ველზე, ეს არის ველი რეღუს საზღვრებში. 6. მასთან შეიკრიბა მთის ყოველი მცხოვრები და ყველანი, ვინც ცხოვრობდნენ ევფრატის, ტიგროსის და ჰიდასპეს გაყოლებაზე და ველზე, სადაც არიოქი ელიმაელებზე მეფობდა. შეუერთდა ქალდეველთა ლაშქარს მრავალი ტომი. 7. დაუგზავნა აშურის მეფემ, ნაბუქოდონოსორმა, მოციქულები სპარსეთის ყველა მცხოვრებს, დასავლეთის ყველა მცხოვრებს, კილიკიის, დამასკოს, ლიბანისა და ანტილიბანის მცხოვრებთ და ზღვისპირეთის ყველა მცხოვრებს. 8. ქარმელის, გალაადის, ზემო გალილის და ესდრელონის დიდი ველის ხალხებს, 9. ყველას ვინც იყვნენ სამარიაში და მის გარშემო ქალაქებში, იორდანეს გაღმა იერუსალიმამდე, ბეთანიამდე, ხელუსიამდე, კადეშიამდე, ეგვიპტის მდინარემდე, თახაფნეხესამდე, რამსესამდე და მთელ გოშენის ქვეყნამდე, 10. ზემო ტანისისა და მემფისის მისასვლელამდე, ეგვიპტის ყველა მცხოვრებს ეთიოპიის საზღვრებამდე. 11. არად ჩააგდეს ყველა ქვეყნის მცხოვრებლებმა აშურის მეფის, ნაბუქოდონოსორის სიტყვა და არ შეუერთდნენ მას საბრძოლველად, რადგანაც არ ეშინოდათ მისი — მათი მოწინააღმდეგე ერთი კაცისა და ლანძღვა-გინებით გააბრუნეს უკან მისი გაწბილებული მოციქულები. 12. ძლიერ განურისხდა ნაბუქოდონოსორი ყველა იმ ქვეყანას და დაიფიცა თავისი ტახტი და მეფობა, რომ შურს იძიებდა კილიკიის, დამასკოსა და არამის საზღვრებზე, მახვილით მოსრავდა მათ და მოაბის ყოველ მცხოვრებს, ყამონიანებს, ყველა იუდაელსა და ყველა ეგვიპტელს ორი ზღვის საზღვრამდე. 13.

მეჩვიდმეტე წელს წაუძღვა იგი თავის ლაშქარს არფაქსად მეფის წინააღმდეგ, სძლია მას ბრძოლაში და უკუაქცია არფაქსადის მთელი ლაშქარი, მთელი მისი მხედრობა და საბრძოლო ეტლები. 14. დაეუფლა მის ქალაქებს, მიაღწია ეკბატანამდე, დაიპყრო ციხესიმაგრეები, გაძარცვა მისი ბაზრები და საგინებლად გახადა მისი მშვენება. 15. არფაქსადი და შეიპყრო რეღუს მთებში და თავისი ჰოროლით განგმირა. იმავე დღეს მოუღო ბოლო. 16. გამობრუნდა ნინევიაში მათთან ერთად, თავად იგი და მთელი მისი ლაშქარი —მეომართა აურაცხელი სიმრავლე. ისვენებდა და ილხენდა იგი ასოცი დღე თავის ლაშქართან ერთად.

თავი მეოთხე

1. მეთვრამეტე წელს კი, პირველი თვის ოცდაორს, აშურელთა მეფის, ნაბუქოდონოსორის სახლში იყო სიტყვა მთელ ქვეყანაზე შურისძიების შესახებ, როგორც ნათქვამი ჰქონდა მას. 2. უხმო ყველა თავის მსახურსა და დიდებულს, გაუმხილა თავისი საიდუმლო ზრახვა და თავისი პირით გადაწყვიტა ყოველი ბოროტება ქვეყნისათვის. 3. მათ სასიკეთილო მსჯავრი დადეს ყოველ ხორციელს, რომელიც არ დაემორჩილებოდა მისი პირიდან გამოსულ სიტყვას. 4. როცა გადაწყვიტა თავისი განზრახვის აღსრულება, უხმო ნაბუქოდონოსორმა, აშურელთა მეფემ, ოლოფერნეს, თავისი ჯარის მთავარსარდალს, რომელიც მეორე კაცი იყო მის შემდეგ, და უთხრა: 5. ასე ამბობს დიდი მეფე, ბატონ-პატრონი მთელი ქვეყნისა: წადი ჩემგან და თან წაიყვანე თავიანთ ძლიერებაში დარწმუნებული ვაჟკაცები, ასოციათასი ფეხოსანი და მრავალი ცხენი თორმეტიათასი მხედრითურთ. 6. წადი და დაეცი მთელ დასავლეთის ქვეყანას, რადგან არ დაემორჩილნენ ჩემს ბრძანებას. 7. გამოუცხადე, გამიმზადონ მიწა და წყალი, რადგან გარისხებული მივდივარ მათზე, რომ დავაბნელო მთელი მიწისპირი ჩემი მეომრების ფეხებით და ტყვეობად მივცე ისინი ჩემს მებრძოლებს. 8. მათი დაჭრილები ავსებენ მათსავე უფსკრულებს, მოდიდდება ყველა ნიაღვარი და მდინარე და წალეკავს მათ გვამებს. 9. წამოვასხამ ტყვეებს მთელი ქვეყნის კიდიდან. 10. შენ კი წადი და წინასწარ დაიპყარი ჩემთვის ყველა მათი საზღვარი. ვინც თავისი ნებით ჩაგბარდებიან, შემინახე ისინი მათი განკითხვის დღემდე. 11. ურჩნი კი ნუ დაენანება შენს თვალს სასიკვდილოდ და ასაკლებად მთელს შენს ქვეყანაში. 12. რადგან ცოცხალი მე ვარ და ძლიერია ჩემი მეფობა. მითქვამს და აღვასრულებ კიდეც ამას ჩემი ხელით. 13. შენ კი ერთი რამეც არ შეცვალო შენი მეუფის ნათქვამიდან. აღასრულე ყველაფერი ისე, როგორც გიბრძანე. ნუ დააყოვნებ ამის გაკეთებას! 14. წავიდა ოლოფერნე თავისი ბატონისგან, უხმო ყველა მბრძანებელს, სარდლებს და აშურელთა ლაშქრის მეთაურებს. 15. მწყობრში ჩააყენა რჩეული ვაჟკაცები, როგორც უბრძანა მისმა მეუფემ, რიცხვით თორმეტიათასი და მშვილდოსანი მხედარიც თორმეტი ათასი. 16. და დააწყო ისინი საბრძოლო წესისამებრ. 17. წაასხა უამრავი აქლემი, ვირი და ჯორი საბარგულებად და ურიცხვი, საქონელი და თხა გამოსაკვებად. 18. წაიღო საგზალი ყოველი კაცისთვის უხვად და დიდძალი ოქრო და ვერცხლი მეფის სახლიდან. 19. დაიძრა მთელი თავისი ლაშქრითურთ სამგზავროდ, რომ წინ გაესწროთ ნაბუქოდონოსორ მეფისთვის და დაეფარათ მთელი დასავლეთის ქვეყნის პირი ეტლებით, მხედრებითა და რჩეული ფეხოსნებით. 20. აურაცხელი (ჭრელი ბრბო კალიასავით გამოეფინა მათთან ერთად. როგორც მიწის მტვერს, მათ სიმრავლესაც არ ჰქონდა სათვალავი. 21. ნინევადან სამი დღის სავალზე მოადგნენ ბეკთილეთის ველს და დასცეს ბანაკი ბეკთილეთთან, მთის მახლობლად,

ზემო კილიკიის მარცხნივ. 22. აქედან წაიყვანა მთელი თავისი ლაშქარი, ფეხოსნები, მხედრები და ეტლები და გაემართა მთიანეთისკენ. 23. აიკლო ფული და ლუდი, გაძარცვა მთელი რასის ხალხი და ისმაელიანები, ქილიონის სამხრეთით, უდაბნოს პირას რომ ცხოვრობდნენ. 24. გადალახა ევფრატი, გადაიარა შუამდინარეთი და დაანგრია ყველა დიდებული ქალაქი აბრონის ხევიდან ზღვამდე. 25. დაიპყრო კილიკიის საზღვრები და გაანადგურა ყოველი წინააღმდგომელი და მოადგა იაფეთის სამხრეთ საზღვარს, არპეთის პირდაპირ. 26. შემოერტყა მიდიანელებს, გადაწვა მათი კარვები და გაძარცვა მათი ფარეხები. 27. პურის მკის დღეებში ჩავიდა დამასკოს ველზე და ცეცხლს მისცა მთელი მათი ყანები, გაანადგურა მათი ფარები და ნახირი, გაძარცვა ქალაქები, ააოხრა მინდვრები, მახვილის პირით ამოწყვიტა მათი წვრილშვილი. 28. შიშის ზარი დაეცა ზღვისპირეთის მოსახლეობას — სიდონსა და ტვიროსში მყოფთ, ცურისა და ოკინას მოსახლეობას, იმნას, მთელ მოსახლეობას. ძალზე შეეშინდათ მათი აშდოდელებს და აშკელონელებს.

თავი მესამე

1. გაუგზავნეს მას მოციქულები საშშვიდობო სიტყვებით და უთხრეს: 2. აჰა, ჩვენ ნაბუქოდონოსორის, დიდი მეფის მსახურნი განრთხმულნი ვართ შენს წინაშე, გვიყავი, რაც გენებოს. 3. აჰა, ჩვენი საცხოვრებლები, მთელი ჩვენი მიწა-წყალი, ყანები, ფარები და ნახირი, ფარეხები კარვებითურთ შენს წინაშეა, გამოიყენე, როგორც გენებოს. 4. აჰა, ჩვენი ქალაქები და მათი მკვიდრნი შენი მონები არიან, მოდი და ისე მოექეცი მათ, როგორც შენს თვალებს ეამება. 5. მოვიდნენ კაცები ოლოფერნესთან და აუწყეს მას ეს ყველაფერი. 6. შერე ჩავიდა თავისი ლაშქრითურთ ზღვისპირეთში და დაიკავა მაღლობზე მდგარი ქალაქები, და აიყვანა მათგან რჩეული კაცები თანამებრძოლებად. 7. შეეგებნენ მას იქაურნი და მთელი მათი შემოგარენი გვირგვინებით, ფერხულით და ბობღნებით. 8. მან კი დაანგრია ყველა მათი გორაკი და აჩეხა მათი წმინდა ჭალები, რადგან დავალებული ჰქონდა ყველა ღმერთის განადგურება ქვეყანაზე, რათა ყველა ხალხს მხოლოდ ნაბუქოდონოსორისთვის ეცა თაყვანი, ყველა ენასა და ტომს, მხოლოდ იგი შეერაცხა ღმერთად. 9. მიადგა ესდრელონს დოთანის მახლობლად, რომელიც იუდას დიდი მთაგრეხილის წინ მდებარეობს. 10. და დაბანაკდნენ გებასა და სკვითთა ქალაქს შორის. ერთი თვე დაჰყო იქ, რათა თავისი ლაშქრისთვის საჭირო მარაგი შეეგროვებინა.

თავი მეოთხე

1. გაიგეს იუდაში მცხოვრებმა ისრაელიანებმა ყოველივე, რაც უყო ხალხებს ოლოფერნემ, აშურელთა მეფის, ნაბუქოდონოსორის მთავარსარდალმა, თუ როგორ გაძარცვა და გაანადგურა ყველა მათი საწმიდარი. 2. შეშფოთდნენ მეტისმეტად თავიანთი თავის და იერუსალიმის გამო, შეძრწუდნენ თავიანთი უფლის, ღმერთის ტაძრის გამო, 3. რადგან ახლადაბრუნებულნი იყვნენ ტყვეობიდან, ახალი შეკრებილი იყო იუდას მთელი ხალხი, წმიდა ჭურჭელი, სამსხვერპლო და ტაძარი განწმენდილი იყო ბილწებისაგან. 4. დაგზავნეს ხალხი მთელ სამარიაში, კონაში, ბეთ-ხორონში და ბელმაინში, იერიხონში და ქობაში, ესორისა და სალემის ხეობებში. 5. სასწრაფოდ დაიკავეს მაღალ მთათა ყველა მწვერვალი, ზღუდე შემოავლეს იქაურ სოფლებს და მოიმარაგეს ბრძოლისათვის სურსათ-სანოვაგე, რადგან ახლადმომკილი იყო მათი ყანები. 6. მისწერა მღვდელმთავარმა იოაკიმმა, იერუსალიმში რომ იყო იმხანად, მცხოვრებთ ბეთულისა და ბეთომესთაიმისა (რომელიც ესდრელონის გასწვრივაა, დოთა-

ნის ახლოს მდებარე ველის წინ). 7. რომ დაეკავებინათ მთის მისადგომები, რადგან მათზე გადიოდა იუდაში შესასვლელი. აქ ადვილი იყო მომხდურთა შეჩერება, რადგან ორი კაცისთვისაც კი ვიწროა გასასვლელი. 8. ყველაფერი ისე მოიმოქმედეს ისრაელიანებმა, როგორც უბრძანა მღვდელმთავარმა იოაკიმმა და ისრაელის მთელი ხალხის უხუცესობამ, ვინც კი იერუსალიმში იყო. 9. ისრაელის ყოველმა მამაკაცმა დიდი თავდადებით შეჰღაღადა ღმერთს და დიდი თავდადებით მოუდრიკა ქედი. 10. მამაკაცებმა და მათმა ცოლებმა, მათმა ბავშვებმა, მათმა პირუტყვმა, ყოველმა მდგურმა და მოჯამაგირემ და ვერცხლად ნასყიდმა ძაძა შემოირტყეს წელზე. 11. დაემხო ტაძრის წინ ისრაელის ყოველი კაცი, ქალი და ბავშვი — იერუსალიმის მკვიდრნი, ნაცარი დაიყარეს თავზე და გააფინეს თავიანთი ძაძები უფლის წინაშე. 12. ძაძითვე შემოსეს სამსხვერპლო და ერთსულოვნად და გულმოდგინებით შეჰღაღადეს ღმერთს, არ მიეცა მათი ყრმები დასატაცებლად, დედაკაცები წარსატყვევნად, მათი საკვიდროს ქალაქები გასანადგურებლად, სიწმიდენი შესაბილწად, საგინებლად და წარმართთა გასახარებლად. 13. ისმინა უფალმა მათი ხმა და იხილა მათი გასაჭირი. მრავალი დღის განმავლობაში მარხულობდა ხალხი მთელს იუდასა და იერუსალიმში ყოვლისშემძლე წმიდა უფლის წინაშე. 14. იოაკიმ მღვდელმთავარი და ყველანი, უფლის წინაშე წარმდგარი მღვდლები და ღვთისმსახურნი, ძაძით შემოსარტყლულნი, განუწყვეტლივ სწირავდნენ აღსავლენს, აღთქმებსა და ნებაყოფლობით ძღვენს ხალხისგან. 15. ვარშამანგებზე ნაცარი ჰქონდათ დაყრილი და მთელი ძალით შეჰღაღადებდნენ უფალს, კეთილი თვალით მოეხედა ისრაელის მთელი სახლისთვის.

თავი მეხუთე

1. ეუწყა ოლოფერნეს, ასურეთისა-შქრის მთავარსარდალს, რომ ისრაელიანები გამზადებულნი არიან საბრძოლველად და ჩაკეტილი აქვთ მთის მისადგომები, რომ ზღუდეებით გაამაგრეს მაღალი მთების ყველა მწვერვალი, დაბლობებზე კი დაბრკოლებები მოაწყვეს. 2. ძლიერ განრისხდა იგი და უხმო მოაბის ყველა მთავარს, ყამონის სარდლებს და ზღვისპირეთის გამგებლებს. 3. უთხრა მათ: მაუწყეთ, ქანაანელნო, რა ხალხია, მთაში რომ მოკალათებულა, ვინ არიან, ქალაქებში რომ სახლობენ, შემატყობინეთ მათი ლაშქრის რაოდენობა, რა არის მათი სიმაგრე და ძალა, ვინაა მათი მეფე, მათი ლაშქრის წინამძღოლი? 4. რატომ მაქციეს ზურგი და არ მოვიდნენ ჩემს შესახვედრად ყველა დასავლელთან ერთად? 5. მიუგო მას აქიორმა, ყამონიანთა წინამძღოლმა: ისმინოს ჩემმა უფალმა სიტყვა შენი მსახურის პირიდან და გაუწყებ ჭეშმარიტებას იმ ხალხზე, რომელიც მთაზე სახლობს, შენს მახლობლად. არ ამოვა ტყუილი შენი მსახურის პირიდან. 6. ეს ხალხი ქალდეველთა შთამომავალია. 7. წინათ შუამდინარეთში ცხოვრობდნენ, რადგან არ ისურვეს შედგომოდნენ ღმერთებს თავიანთი მამა-პაპისა, რომლებიც ქალდეველთა ქვეყანაში იყვნენ შობილნი. 8. გადაუდგნენ წინაპართა გზას და ცის ღმერთს დაუწყეს თაყვანისცემა, ღმერთს, რომელიც შეიმეცნეს და რომელმაც ჩამოაშორა ისინი თავიანთ ღმერთებს. გაიქცნენ შუამდინარეთში და იქ სახლობდნენ დიდხანს. 9. უთხრა მათ ღმერთმა, გამოსულიყვნენ თავიანთი საცხოვრისიდან და ქანაანის ქვეყნისკენ წასულიყვნენ. ისინიც დამკვიდრდნენ იქ და მეტისმეტად გამდიდრდნენ ოქრო-ვერცხლითა და ყოველგვარი საქონელით. 10. მერე ეგვიპტეში ჩავიდნენ, რადგანაც შიმშილი ჩამოვარდა ქანაანის ქვეყანაში. იქ სახლობდნენ, სანამ საკვები ჰქონდათ, და ისე ძალიან გამ-

რავლდნენ, რომ სათვალავი აღარ ჰქონდა მათ მოდგმას. 11. ეგვიპტის მეფე გადაემტერა მათ დაჯაბნა ისინი ჯაფითა და აგურის კეთებით, დაბეჩავა ისინი და მონებად აქცია. 12. შეღაღადეს მათ თავიანთ ღმერთს და მოისრა მთელი ეგვიპტის ქვეყანა წყლულებით, რომელთა განკურნება შეუძლებელი გახდა. და ეგვიპტელებმაც გამოაძევეს ისინი მათი პირისაგან. 13. დააშრო ღმერთმა მეწამული ზღვა მათ წინაშე, 14. წარუძღვა სინასა და კადეშ-ბარნეას გზით და აჰყარა უდაბნოს ყველა მცხოვრები. 15. დასახლდნენ ამორეველთა მიწაზე და თავიანთი ძლიერებით საბოლოოდ გაანადგურეს ხეშბონელი. მიადგნენ იორდანეს და დაიმკვიდრეს მთელი მთიანეთი. 16. აჰყარეს ქანაანელები, ფერიზელები, იებუსელები, შექემელები, ყველა გირგაშეველი და სახლობდნენ იქ მრავალი ხანი. 17. ვიდრე არ შესცოდავნენ თავიანთ ღმერთს, ყოველივე სიკეთე მათთან იყო, რადგან მათთან იყო უსამართლობის მოძულე ღმერთი. 18 როგორც კი გადაუხვევდნენ მათთვის დაწესებულ გზას, სასტიკად მარცხდებოდნენ უამრავ ბრძოლებში, წარიტყვევნებოდნენ უცხო ქვეყანაში, მისაფუძვლამდე ინგრეოდა მათი ღმერთის ტაძარი და მათ ქალაქებს მტრები იპყრობდნენ. 19. ახლა კი თავიანთი ღმერთისკენ მიქცეულები დაბრუნდნენ იქიდან, სადაც გაფანტულნი იყვნენ. და დაიკავეს იერუსალიმი, სადაც მათი საწმიდარია, და დამკვიდრდნენ მთიანეთში, რადგან უკაცრიელი იყო იგი. 20. ახლა, ხელმწიფევ და ბატონო, თუ რაიმე უმეცრებაა ამ ხალხში, თუ სცოდავენ ღმერთის წინაშე და ჩვენ შევატყობთ, რომ არის მათში ცთუნება, ავიდეთ და შევებრძოლოთ მათ. 11. თუ არ არის დანაშაული ამ ხალხში, უნდა გაეცალოს მათ ჩემი ბატონი. ვაითუ შეეწიოს მათ მათი უფალი, დაიფაროს ისინი მათმა ღმერთმა და სასირცხოდ არ გავიხადოთ თავი მთელი ქვეყნის თვალში. 22. როცა აქიორმა დაამთავრა ეს სიტყვები, ახმაურდა მთელი ერი, კარვის ირგვლივ რომ იყო შემოკრებილი, ოლოფერნეს დიდებულებმა, ყველა ზეციერელმა და მოაბელმა თქვა: ავჩეხოთო იგი. 23. არ შევუშინდებით ისრაელიანებს. ამ ხალხს ბრძოლისთვის არც ძალა აქვს და არც შეძლება. 24. ამიტომაც, თუ ავალთ, შენი ლაშქრის ჩასანთქმელი გახდებიან ყველანი, ხელმწიფევ ოლოფერნე!

თავი მეექვსე

1. საჯარეს ირგვლივ შემოკრებილ კაცთა შფოთი რომ მიწყნარდა, ოლოფერნემ, აშურის მთავარსარდალმა, უთხრა აქიორს, სხვადასხვა მოდგმის ხალხთა და ყველა მოაბელის წინაშე: 2. ვინა ხართ შენ, აქიორ, და ეფრემის მოქირავნენი, რომ წინასწარმეტყველებ ჩვენს შორის, როგორც დღეს და ამბობ, არ შეებრძოლოთ ისრაელის ტომს, რადგან ღმერთი შეეწევაო მათ. ვინ არის ღმერთი, თუ არა ნაბუქოდონოსორი. იგი მოგვივლენს თავის ძალას და აღგვის მათ პირისაგან მიწისა. ვეღარ დაიხსნის მათ მათი ღმერთი 3. ჩვენ კი, მისი მსახურნი, გავანადგურებთ მათ, როგორც ერთ კაცს და ვეღარ დაუდგებიან წინ ჩვენი მხედრობის ძლიერებას. 4. გადავბუგავთ მათ მათსავე მიწა-წყალზე, მთები გაიყლინთება მათი სისხლით, მინდვრები აივსება მათი გვამებით და ვეღარ დაგვიდგება წინ მათი ნაფეხურები, არამედ საბოლოოდ დაიღუპებიან. ამბობს მეფე ნაბუქოდონოსორი, მთელი ქვეყნის უფალი და, რაკი ამბობს, არც გაცუდდება მისი ნათქვამი. 5. შენ კი, აქიორ, ქირისკაცო, რომელმაც წარმოთქვი ეს სიტყვები შენი უკუთურების დღეს, ამიერიდან ვეღარ იხილავ ჩემს პირისახეს, ვიდრე შურს არ ვიძიებ ეგვიპტიდან გამოსულ ტომზე. 6. მაშინ კი განგმირავს შენს ფერდებს ჩემი ლაშქრის რკინა და ჩემს მსახურთა მახვილი მათგან დაჭრილთა გვერდით დაეცემი, როცა უკან გამობრუნდები. 7. ჩე-

ძი მსახურნი მიგიყვანენ მთიანეთში და დაგაგდებენ ერთ-ერთი ქალაქის მისადგომთან. 8. არ გელირსება აღსასრული, ვიდრე მათთან ერთად არ მოგელება ბოლო. 9. თუ მართლა გულით გჯერა, რომ არ ჩაგვიცვივდებიან ხელში, ნუ დაეცემი, ვთქვი და არცერთი ჩემი სიტყვა არ დაიკარგება. 10. უბრძანა ოლოფერნემ თავის მსახურთ, მის კარავში რომ იდგნენ, შეეპყროთ აქიორი, წაეყვანათ იგი ბეთულიასთან და ისრაელიანთათვის გადეცათ. 11. შეიპყრეს იგი მისმა მსახურებმა და გაიყვანეს ბანაკს გარეთ, ველზე. შუაგულ ველიდან მთიანეთისაკენ გაემართნენ და მიადგნენ წყაროებს, ბეთულიას ქვემოთ რომ არის. 12. როგორც კი შენიშნეს ისინი მთის მწვერვალზე დაშენებული ქალაქის კაცებმა, იარაღი აისხეს და გამოვიდნენ ქალაქიდან. ყველა მოშურდულე კაცი გამაგრდა ქალაქის მისადგომთან და ქვები დაუშინეს მათ. 13. ისინი კი მთას ამოეფარნენ, შებორკეს აქიორი, დააგდეს მთის ძირას და გაბრუნდნენ თავიანთ მბრძანებელთან. 14. თავიანთი ქალაქიდან ჩამოსული ისრაელიანები მოვიდნენ აქიორთან და ახსნეს ბორკილები, წაიყვანეს ბეთულიაში და წარუდგინეს თავიანთი ქალაქის მთავრებს. 15. ესენი იყვნენ: ყუზია მიქას ძე, სიმონის ტომიდან, საბრის ოთონიელის ძე და ქარქემიშ მალქიელის ძე. 16. შეკრიბეს ქალაქის ყველა უხუცესი. საჯარესკენ გიქცა ყველა ჭაბუკი და ქალი. დააყენეს აქიორი მთელი ხალხის შუაგულში და გამოჰკითხა ყუზიამ ამბავი. 17. პასუხად აუწყა მათ აქიორმა ოლოფერნეს საჯაროზე ნათქვამი და ის სიტყვები, რაც აშურელ მთავართა შორის თქვა ოლოფერნემ, და როგორი ქედმაღლობით ილაპარაკა ისრაელის სახლზე. 18. დაემხო ხალხი ღვთის თაყვანისცემად, შეჰლაღადეს მას და თქვეს: 19. უფალო, ღმერთო ცისაო, შეხედე მათ ამპარტავნებას და შეიწყალე სიმდაბლე ჩვენი მოდგმისა მოხედე ამ დღეს შენთვის განწმედილთა სახეებს. 20. დაამშვიდეს აქიორი და მადლობა უძღვნეს. 21. საკრებულოდან იგი ყუზიამ თავის სახლში წაიყვანა და ლხინი გაუმართა უხუცესებს. მთელი ღამის განმავლობაში შეწევნით უმბობდნენ ისინი ისრაელის ღმერთს.

თავი მეშვიდე

1. მეორე დღეს უბრძანა ოლოფერნემ მთელ თავის ლაშქარს და მთელ თავის ხალხს, ვინც კი მისი მოკავშირე იყო, რათა წარმართულიყვნენ ბეთულიას, დაეპყროთ მთიანეთის ბილიკები და ბრძოლა გაემართათ ისრაელიანთათვის. 2. იმავე დღეს დაიძრა სალაშქროდ ყველა მათი ძლიერი მებრძოლი. მათ ლაშქარს ასსამოცდაათი ათასი ფეხოსანი და თორმეტი ათასი ცხენოსანი შეადგენდა, გარდა ტვირთისა და იმ კაცებისა, რომლებსაც მოჰქონდათ ის ურიცხვი სიმრავლე. 3. დაბანაკდნენ ისინი ბეთულიას მახლობლად, ხევში, წყაროსთან, და გაეწყვნენ სიგანით დოთანიდან ბელბაიმამდე, სიგრძით კი ბეთულიადან კუამონამდე, რომელიც ესდრელონის წინ მდებარეობს. 4. მათი სიმრავლე რომ დაინახეს ისრაელიანებმა, ძლიერ შეშინდნენ: ახლა ისინი მოასწორებენ მთელი მიწის პირს, ვერც მაღალი მთები, ვერც ხრამები, ვერც გორაკები ვერ გაუძლებენ მათ სიმძიმესო. 5. აიღო თითოეულმა კაცმა თავისი საბრძოლო საჭურველი, დაანთეს გოდლებზე კოცონი და სადარაჯოდ დარჩნენ მთელი ის ღამე. 6. მეორე დღეს ოლოფერნემ მთელი თავისი მხედრობა მოიყვანა ბეთულიაში მყოფ ისრაელიანთა წინაშე. 7. დაზვერა მათი ქალაქის მისადგომები, მოიარა და დაიკავა წყაროები, მეომარ კაცთა რაზმი ჩააყენა იქ, თვითონ კი თავისი ხალხისკენ გაბრუნდა. 8. მოვიდნენ მასთან ესავიანთა მთავრები, მოაბის ტობის წინამძღოლე-

ბი, ზღვისპირეთის მხედარმთავრები და
უთხრეს: 9. ყურად იღოს მბრძანებელ-
მა ჩვენი სიტყვა, რომ ზიანი არ მოხ-
დეს შენს ლაშქარში. 10. ეს ხალხი, ის-
რაელიანები, თავიანთ იარაღზე კი არ
არიან დანდობილნი, არამედ მაღალ
მთებზე, სადაც ისინი სახლობენ. არც
არის იოლი მათ მწვერვალებზე ასვლა.
11. ახლა მბრძანებელო, ნუ შეებრძო-
ლები მათ საომარი წყობით და ერთი
კაციც არ დაეცემა შენი ხალხიდან. 12.
დარჩი შენს ბანაკში და დაიტოვე შე-
ნი ლაშქრის ყოველი კაცი, შენმა მსა-
ხურებმა კი დაიკავონ წყაროს წყალი,
რომელიც მთის ძირიდან გამოდის. 13.
რადგან იქიდან იღებს წყლის მარაგს
ბეთულიას ყოველი მკვიდრი. წყურვი-
ლი გაანადგურებს მათ და ჩაგვაბარე-
ბენ თავიანთ ქალაქს. ავალთ ჩვენ
და ჩვენი ხალხი მთის მწვერვალების
ახლოს და დავბანაკდებით იმ ადგილე-
ბში სათვალთვალოდ, რომ არავინ
გავიდეს ქალაქიდან. 14. ვიდრე მახვი-
ლი მიიწევს იქამდე, შიმშილით ამოწ-
ყდებიან ისინი, მათი ცოლები და შვი-
ლები დაეცემიან თავიანთი საცხოვრე-
ბლის ქუჩებში. 15. და ბოროტად გა-
დაუხდი მათ სამაგიეროდ იმის წილ,
რომ აჯანყდნენ და მშვიდობიანად აღარ
შემოგეგებნენ. 16. ჭკუაში დაუჯდა მა-
თი სიტყვები ოლოფერნესა და ყველა
მის მსახურს. ბრძანა, ყველაფერი ისე
გაეკეთებინათ, როგორც თქვეს. 17. გა-
ემართა ყამონიანთა რაზმი და მათთან
ერთად აშურელთა ხუთი ასეული, და-
ბანაკდნენ ხევში და დაიკავეს ისრაე-
ლიანთა წყაროს წყლები. 18. ავიდნენ
ესავიანები და ყამონიანები და დაბა-
ნაკდნენ მთაზე, დოთანის წინ. ზოგი
იმათგანი გაგზავნეს სამხრეთით და
აღმოსავლეთით, ეგრებელისკენ, რო-
მელიც ქუსის მახლობლად მდებარე-
ობს, მოხმურის ხევთან. აშურელთა
დარჩენილი ჯარი დაბლობზე დაბანაკ-
და და დაფარა მთელი მიწისპირი. სათ-
ვალავი არ ჰქონდა მათ კარვებს და
საბირჯულებს, მეტისმეტად ბევრნი
იყვნენ. 19. შეეშინოდეს თავიანთ უფ-
ალს ისრაელიანებმა, რადგან წახდა
მათი მხნეობა, რადგან გარშემორტ-
ყმულნი იყვნენ ურიცხვნი მტრით და
არ შეეძლოთ თავის დაღწევა. 20 მათ
ირგვლივ იყო აშურელთა მთელი ბანა-
კი, მათი ფეხოსნები, ეტლები და მხედ-
რები ოცდათოთხმეტი დღის განმავ-
ლობაში. დაუცარიელდა ბეთულუას
მთელ მოსახლეობას წყლის ყველა ჭუ-
რჭელი. 21. დაიცალა წყლის მარაგი და
აღარ ჰქონდათ ერთი დღის სამყოფიც
კი, რადგანაც არწყვით ეძლეოდა მათ
დასალევად. 22. სასო მიეხადა მათ
წვრილშვილს, წყურვილისგან გული
მისდიოდათ ჭაბუკებსა და ქალებს,
ეცემოდნენ ქალაქის ქუჩებში და კა-
რიბჭეთა გასასვლელებში, ძალ-ღონე
აღარ შერჩათ. 23. შეიკრიბა ყუზიას-
თან და ქალაქის მთავრებთან მთელი
ერი — ჭაბუკები, ქალები და ბავშ-
ვები. ისინი ხმამაღლა გაჰყვიროდნენ
მთელი უხუცესობის წინაშე და ამბო-
ბდნენ: 24. ღმერთმა განსაჯოს თქვენ-
სა და ჩვენს შორის, რადგან დიდი უსა-
მართლობა ჩაიდინეთ ჩვენს მიმართ,
რომ არ დაუზავდით აშურელებს. 25.
ახლა კი, არ არის ჩვენი საშველი,
ღმერთმა ჩაგვაგდო მათ ხელში, რომ
წყურვილითა და დიდი დაღუპვით გა-
ვნადგურდეთ მათ წინაშე. 26. ახლა
უხმეთ მათ და გასაძარცვავად მიეცით
მთელი ქალაქი ოლოფერნეს ხალხს
და მთელ მის ლაშქარს. 27. უმჯობესი
იქნება ჩვენთვის, მათი გასაძარცვავი
რომ გავხდეთ. მონები ვიქნებით, მაგ-
რამ გადავრჩებით და არ ვიხილავთ ჩვე-
ნი თვალებით ჩვენივე წვრილშვილის
სიკვდილს, ჩვენი ცოლებისა და ბავშვე-
ბის სულის ამოხდომას. 28. მოწმედ
მოგვყავს თქვენს წინაშე ცა და მიწა,
ჩვენი ღმერთი და ჩვენი მამა-პაპის
უფალი, რომელიც მსჯავრს გვდებს
ჩვენი და ჩვენი მამა-პაპის შეცოდებათა
გამო. ნუ მოახდენს ამ ამბავს ჩვენს
თავზე დღევანდელ დღეს! 29. გაიმართა
დიდი და ერთსულოვანი გოდება საკ-
რებულოში და ხმამაღლა შეჰღაღადეს
უფალ ღმერთს. 30. უთხრა მათ ყუზიამ:

დამშვიდდით, ძმებო, მოვითმინოთ ხუთი დღე, ამ ხანში მოავლენს უფალი ღმერთი თავის წყალობას ჩვენზე, არ გაგვწირავს საბოლოოდ. 31. თუკი ამ ხუთი დღის შემდეგაც აღარ იქნება ჩვენი საშველი, მაშინ თქვენი სიტყვისამებრ მოვიქცევი. 32. გაისტუმრა ყუზიამ ხალხი თავ-თავის ბანაკებში და მათაც მიაშურეს თავიანთი ქალაქის ციხეებსა და გოდლებს, ცოლები და შვილები კი სახლებში გაგზავნეს. დიდ ჭირთათმენაში იყვნენ ისინი ქალაქში.

თავი მერვე

1. მოესმა ეს ამბები იმხანად ივდითს, ასულს მერარისა, ძისა ოქსისა, ძისა იოსებისა, ძისა ყუზიელისა, ძისა ხილკიასი, ძისა ხანანიასი, ძისა გედეონისა, ძისა რაფაიმისა, ძისა ახიტობისა, ძისა ელიასი, ძისა ელიაბისა, ძისა ნათანაელისა, ძისა შელამიაჰუსი, ძისა შარაშადაისა, ისრაელიანისა. 2. მისი ქმარი მენაშე მისივე გვარისა და ტომისა იყო. პურის მკის ჟამს მოკვდა იგი. 3. მინდორში ძნების მკონავებს ადგა თავს, დაისიცხა, ჩავარდა ლოგინად და აღესრულა ბეთულეაში, თავის ქალაქში. დაკრძალეს იგი თავისი მამაპაპის გვერდით, ველზე, რომელიც მდებარეობს დოთანსა და ბალამონს შორის. 4. სამი წელი და ოთხი თვე ქვრივობდა ივდითი თავის სახლში. 5. გაიკეთა თავისთვის კარავი საცხოვრებელ სახლთან, წელზე ძაძა შემოირტყა და სამგლოვიარო ტანისამოსი ჩაიცვა. 6. მარხულობდა თავისი ქვრივობის ყოველ დღეს, პარასკევისა და შაბათის გარდა, ახალმთვარობის წინა დღისა და ახალ მთავრობა დღის გარდა, ისრაელის სახლის დღესასწაულებისა და სამხიარულო დღეების გარდა. 7. მშვენიერი იყო გარეგნობით და ძალზე ლამაზი შესახედავი. დაუტოვა მისმა ქმარმა, მენაშემ ოქრო და ვერცხლი, ყმები და მხევლები, საქონელი და მინდვრები და ისიც პატრონობდა ამას [illegible]ერს. 8. აუგს ვერავინ იტყოდა მასზე, ძალზე ღვთისმოშიში იყო. 9. როცა მოისმინა მან ხალხის ბოროტი ნათქვამი მთავრის მიმართ, რადგან სულმოკლენი გახდნენ ისინი წყლის უკმარისობის გამო, მოისმინა ყოველი სიტყვა, რომელიც წარმოთქვა მათ წინაშე ყუზიამ, როგორც შეჰფიცა, ხუთი დღის შემდეგ ჩააბარებდა აშურელებს ქალაქს. 10. გაგზავნა თავისი მოახლე, მთელი თავისი ქონების ზედამხედველი, ხაბრისისა და ხარმისის, თავისი ქალაქის უხუცესების დასაძახებლად. 11. რომ მოვიდნენ მასთან, უთხრა: მისმინეთ ბეთულიას მკვიდრთა მთავარნო, უსამართლოა თქვენი სიტყვები, ხალხის წინაშე რომ წარმოთქვით იმ დღეს და ფიცით დაამტკიცეთ ის, რაც თქვით ღმერთსა და ჩვენს შორის, რომ ჩააბარებთ ქალაქს ჩვენ მტრებს, თუ უფალი არ მოგვივლენს წყალობას. 12. ვინ ხართ თქვენ, ღმერთს რომ გამოსცდით დღევანდელ დღეს და ღმერთზე მაღლა დამდგარხართ ადამიანთა შორის? 13. ყოვლისმპყრობელ უფალს გამოსცდით, მაგრამ ვერაფერს მიხვდებით უკუნისამდე. 14. თუკი ადამიანის გულის სიღრმეს ვერ ჩაწვდით და მისი გონების სიტყვები ვერ გაიგეთ, როგორღა შეიცნობთ ღმერთს, რომელმაც შექმნა ეს ყოველივე? მის აზრს როგორღა მისწვდებით? მის განსჯას როგორ გაიგებთ? ნუ ძმებო, ნუ განარისხებთ ჩვენს უფალ ღმერთს! 15. თუ არ ისურვებს ხუთ დღეში ჩვენს შეწევნას, მისი ნებაა. როცა მოიწადინებს, მაშინ მოგვხედავს ან გაგვანადგურებს ჩვენი მტრების თვალწინ. 16. თქვენ კი წინასწარ ნუ განსჯით უფლის, ღმერთის განგებას, რადგან ღმერთი კაცი არაა, რომ დავემუქროთ, ადამის ძე არაა, რომ განვსაჯოთ. 17. ამიტომაც ველოდეთ მისგან ხსნას, ვუხმოთ შემწეთ და გაიგებს ჩვენს ხმას, თუკი ინებებს. 18. რადგან არავინაა დღესდღეობით ჩვენს თაობაში, არც ტომი, არც გვარი, არც ხალხი, არც ჩვენი რომელიმე ქალაქი, ხელთქმნილ კერპებს რომ ემსახურებოდეს,

როგორც ეს ხდებოდა, უწინ 19. რისთვისაც მიეცა ჩვენი მამა-პაპა მახვილსა და განადგურებას და დიდ განსაცდელში ჩაცვივდნენ ჩვენი მტრების თვალწინ. 20. ჩვენ კი სხვა ღმერთს არ ვიცნობთ მის გარდა, ამიტომაც გვეიმედება, რომ არ მოგვიძულებს ჩვენ და ჩვენს მოდგმას. 21. რადგან ჩვენი დაპყრობით დაპყრობილი იქნება მთელი იუდა, შეიბღალება ჩვენი სიწმიდენი და ჩვენს სისხლს მოჰკითხავს უფალი მათ გაუწმიდურებას. 22. ჩვენ თანამოძმეთა გაწყვეტას, ქვეყნის წარტყვევნას და ჩვენი სამკვიდრებლის გაუდაბურებას ჩვენზევე მოაქცევს იმ ხალხთა შორის, რომელთა მონები გავხდებით აქ. საკიცხველნი და საგინებელნი ვიქნებით ჩვენ დამმონებელთა წინაშე. 23. რადგან მონობა ვერ მიგვამთხვევს მადლს, პირიქით, უპატიობად გადააქცევს მას უფალი, ჩვენი ღმერთი. 24. ახლა კი, მოძმენო, ვუჩვენოთ მაგალითი ჩვენ მოძმეებს, რადგან ჩვენზე დამოკიდებული მათი სიცოცხლე, ჩვენზე დგას სიწმიდენი, ტაძარი და სამსხვერპლო. 25. მიუხედავად ყველაფერისა, მაინც მადლობა მივაგოთ უფალს, ღმერთს, რომელიც გვცდის ჩვენ, როგორც ჩვენს მამა-პაპას ცდიდა. 26. გაიხსენეთ, რა უყო მან აბრაამს, როგორ გამოსცადა ისაკი, რა არ გადახდა თავს იაკობს შუამდინარეთში, დედის ძმის, ლაბანის ცხვრებს რომ მწყემსავდა. 27. და როგორც ისინი არ გამოუტარებია ცეცხლში მათი გულების გამოსაცდელად, არც ჩვენი დაგვსჯის, არამედ ჭკუის სასწავლებლად გვტანჯავს უფალი თავისიანებს. 28. უთხრა მათ ყუზიამ: ყველაფერი, რაც თქვი, კეთილი გულით იყო ნათქვამი, და არც წინააღმდეგია ვინმე შენი სიტყვებისა, 29. რადგან მხოლოდ დღეს არ გამხდარა ნათელი შენი სიბრძნე, არამედ შენი დღეების დასაბამითგან შეიცნო მთელმა ხალხმა შენი კეთილგონება, თუ რაოდენ სათნოა შენი გულისპასუხი. 30. მაგრამ ხალხი დაშვრა წყურვილისგან და გვაიძულა მოვქცეულიყავით ისე, როგორც მათ ველაპარაკეთ — და დაგვადებინა ფიცი, რომელსაც ვერ გადავალთ. 31. ახლა კი, ევედრე ჩვენთვის, რადგან ღვთისნიერი ქალი ხარ და მოგვივლენს უფალი წვიმას ჩვენი წყალსაცავების ასავსებად, რომ არ დავიხოცოთ. 32. უთხრა მათ ივდითმა: ისმინეთ ჩემი და ისეთ საქმეს მოვიმოქმედებ, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას ჩვენ მოდგმაში. 33. დადექით ამ ღამეს კარიბჭესთან, მე კი ჩემს მოახლესთან ერთად გავალ და იმ ხანში, რომლის მერე ჩვენი მტრებისთვის ქალაქის გადაცემა განგიზრახავთ, შეეწევა უფალი ისრაელს ჩემი ხელით. 34. ნუ გამოიძიებთ ჩემს საქმეს, მაინც არაფერს გეტყვით, ვიდრე არ აღსრულდება ის, რის გაკეთებასაც ვაპირებ. 35. მიუგეს მას ყუზიამ და მთავრებმა: მშვიდობით იარე, უფალი ღმერთი იყოს შენი მფარველი ჩვენს მტრებზე შურისსაძიებლად. 36. გამოვიდნენ ისინი კარვიდან და მიაშურეს [illegible] ვიანთ ადგილებს.

თავი მეცხრე

1. პირქვე დაემხო ივდითი, გაიხადა ძაძა, რომელიც ემოსა და გადაიყარა თავზე ნაცარი და იმ დროს, როცა იერუსალიმში, ღვთის სახლში, მწუხრისას გუნდრუკი აკმიეს, ხმამაღლა შეჰღაღადა უფალს და თქვა: 2. უფალო, ღმერთო მამაჩემის, სიმონისაო, რომელსაც მიეც ხელში მახვილი უცხოთესლთა შურის საძიებლად, რომელთაც შესაბილწავად გახსნეს ქალწულის საშო, შესარცხვენად გააშიშვლეს ბარძაყი, საგინებლად შებილწეს საშო. კი თქვი: ნუ იქნება ასეო, მაგრამ მათ ჩაიდინეს ეს. 3. ამის წილ სასიკვდილოდ მიეცი მათი მთავრები და მათივე სისხლით მორწყე მათი ცოდვის მხილველი სარეცელი. მონები ძლიერებზე დაამხე, ძლიერნი კი თავიანთ სავარძლებზე. 4. მათი ცოლები ნადავლად მიეცი, მათი ასულები — დასატ-

ყოველებლად, მთელი მათი ალაფი — დასანაწილებლად შენ რჩეულ ქეთ შორის, რომელნიც აღივსნენ შენს მიმართ შურით და შეიძაგეს მათი სისხლის სიბილწე და გიხმეს შემწედ. ღმერთო, ღმერთო ჩემო, ისმინე ჩემიც, ქვრივისა! 5. შენ შექმენ მათი წინანი, თავად ისინი და მათი შემდგომნი. 6. ვისაც მოისურვებ, გაჩნდება და გეტყვის: აჰა, შენთან ვართ, რადგან გამზადებულია ყოველი შენი გზა და წინასწარგანჭვრეტილია შენი მსჯავრი. 7. აჰა, მოიცეს ძალი აშურელებმა, გადიდგულდნენ ცხენებითა და მხედრებით, გაამაყდნენ ფეხოსანთა ძალით, ესავენ ფარებს, ისრებს და შურდულებს. არ კი იციან, რომ შენ ხარ უფალი, ბრძოლათა შემმუსვრელი. 8. უფალია სახელი შენი! გატეხე მათი ძალა შენი ძლიერებით, დაამხე მათი მძლავრობა შენი რისხვით, რადგან განიზრახეს შენი სიწმიდეების წაბილწვა, იმ კარვის შებღალვა, სადაც დავანებულია შენი დიდებული სახელი, მახვილით შემუსვრა შენი საკურთხევლის რქისა. 9. მოხედე მათ ამპარტავნებას და თავს დაათიე შენი რისხვა. მიეც ქვრივის ხელებს ძალა განზრახვის აღსასრულებლად. 10. ჩემი ბაგეებიდან გამოსული ტყუილით დაამხე მონა მთავართან ერთად, მთავარი მის მსახურთან ერთად. ქალის ხელით დათრგუნე მათი ამპარტავნება. 11. რადგან სიმრავლეში არ არის შენი ძალა, არც ძლიერებაშია შენი ძალა, არამედ მდაბალთა ღმერთი ხარ, დამცირებულთა ქომაგი, უძლურთა შემწე, განწირულთა მფარველი, უსასოოთა მხსნელი. 12. ასე, ასე, ღმერთო ჩემი მამისა და ისრაელის სამკვდროსი, ზეცისა და მიწის მპყრობელო, წყალთა შემქმნელო, ყოველი შენი ქმნილების მეუფევ, ისმინე ჩემი ვედრება. 13. ჩამაგონე სიტყვა და ტყუილი მათ სავნებლად და სატანჯველად, რომელთაც შენს აღთქმას, შენს განწმედილ სახლს, სიონის მწვერვალს და შენს ძეთა სამკვიდრებელ სახლს ბოროტი უზრახეს. 14. შეაგნებინე და დაანახვე ყველა ტომსა და ყველა მოდგმას, ხარ ღმერთი ყოველი ძალისა და სამეფოსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეათე

1. როდესაც შეწყვიტა ღალადისი ისრაელის ღმერთის მიმართ და გაასრულა ყოველი თავისი სათქმელი, 2. წამოდგა ჩოქისგან, უხმო თავის მოახლეს და წავიდა სახლში, სადაც დაჰყო შაბათები და სადღესასწაულო დღეები. 3. გაიხადა ძაძა, რომელიც ეცვა, ქვრივობის სამოსი, დაიბანა ტანი წყლით, იცხო სქელი ნელსაცხებელი, დაივარცხნა თმები, გაიკეთა ზედ თავსაკრავი და ჩაიცვა თავისი სამხიარულო ტანისამოსი, რომლითაც თავისი ქმრის, მენაშეს სიცოცხლეში იმოსებოდა. 4. ჩაიცვა ფეხზე სანდლები, გაიკეთა ფარღული და სამაჯურები, ბეჭდები და საყურეები, ყველა თავისი სამკაული და ძლიერ გაილამაზა თავი, რათა ეცთუნებინა ყოველი კაცის თვალი, ვინც კი შეხედავდა მას. 5. მისცა თავის მოახლეს ღვინის ტიკი და ზეთის ჭურჭელი, გაავსო ხურჯინი ქერის პურით, ხილის ჩირით და წმინდა პურით. ჩააწყო მთელი თავისი სანოვაგე და აჰკიდა მას. 6. მივიდნენ ბეთულიას ქალაქის კარიბჭესთან, ნახეს იქ მდგომი ყუზია და ქალაქის უხუცესნი — ხაბრისი და ხარმისი. 7. როგორც კი დაინახეს მათ ივდითი, მისი გადასხვაფერებული გარეგნობა და გამოცვლილი სამოსი, ძლიერ განცვიფრდნენ მისი სილამაზით და უთხრეს: 8. ჩვენი მამა-პაპის ღმერთმა მოგმადლოს შენ და შეგასრულებინოს შენი ზრახვები ისრაელიანთა საამაყოდ და იერუსალიმის ასამაღლებლად. 9. თაყვანისცა ღმერთს ივდითმა და უთხრა მათ: ბრძანეთ, რომ გამიღონ ქალაქის კარიბჭე, რათა გავემართო იმ საქმის აღსასრულებლად, რაზეც მელაპარაკეთ. უბრძანეს ჭაბუკებს გაეღოთ მისთვის

კარიბჭე, როგორც მან თქვა. 10. ასეც
მოიქცნენ. გავიდა თავად ივდითი და
მოახლე მასთან ერთად. ქალაქის კა-
ცები თვალს ადევნებდნენ მას, სანამ
მთას გადაივლიდა და ხევში ჩავიდოდა.
ამის შემდეგ აღარ დაუნახავთ იგი. 11.
ისინი ხევ-ხევ წავიდნენ და გადაუდგა
წინ აშურელთა ყარაული; 12. შეიპყრეს
იგი და ჰკითხეს: ვინა ხარ, საიდან მო-
დიხარ და საით მიდიხარ? უპასუხა:
ებრაელთა ასული ვარ და მათ გამოვექე-
ცი, რადგანაც განწირულნი არიან თქვენ-
გან ჩასანთქმელად. 13. მე კი თქვე-
ნი ლაშქრის მხედართმთავართან, ოლ-
ოფერნესთან მივდივარ, რათა ვაუწყო
მას სინამდვილე და ვუჩვენო გზა, რო-
მლითაც გაემართება იგი და დაიპყრობს
მთელ მთიანეთს ისე, რომ ძე ხორცი-
ელი არ დაიღუპება მისი ხალხიდან.
14. მისი ნათქვამი, რომ მოისმინეს კა-
ცებმა და მის სახეს შეხედეს, განსაც-
ვიფრებლად ლამაზი გამოჩნდა იგი მათ
თვალში, და უთხრეს მას: 15. გიხსნია
შენი სიცოცხლე ჩვენი უფლის წინა-
შე რომ მოგიშურებია. ახლა წამოდი
მის კარავში, ჩვენ წაგიყვანთ და ჩა-
გაბარებთ მის ხელთ. 16. როცა წარს-
დგები მის წინაშე, ნუ შეშინდები, მო-
ახსენე შენი სათქმელი და უთუოდ
კეთილად მოგექცევა. 17. გამოარჩიეს
თავიანთაგან ასი კაცი, ჩააბარეს მათ
თავის მოახლესთან ერთად და ოლ-
ოფერნეს კარავში წაიყვანეს. 18. დიდი
მღელვარება შეიქმნა მთელ ბანაკში,
რადგან ყველა კარავს მოედო მისი
მოსვლის ამბავი. მოვიდნენ და გარს შე-
მოერტყნენ, ის კი ოლოფერნეს კარ-
ვის გარეთ იდგა, სანამ მოახსენებდნენ
მის შესახებ. 19. აკვირვებდა მათ ივ-
დითის სილამაზე, აკვირვებდა ისრაე-
ლიანთა ამბავი, ეუბნებოდნენ ერთმა-
ნეთს: როგორ შეიძლება ამ ხალხის
არად ჩაგდება, რომელსაც ასეთი ქა-
ლები ჰყავს? ერთი კაციც არ უნდა გა-
დარჩეს მათგან, თორემ გადარჩენილნი
ჭკუაზე შეშლიან მთელ ქვეყანას. 20.
გამოვიდნენ ოლოფერნეს მესაწოლე-
ნი, ყველა მისი მსახური და შეიყვანეს
იგი კარავში. 21. ოლოფერნე თავის სა-
წოლზე ისვენებდა, ჩარდახქვეშ, რო-
მელიც ძოწეულით, ოქროთა და ბერმუხ-
ტითა და სხვა ძვირფასი ქვებით იყო
შემკული. 22. როცა ივდითზე მოახსე-
ნეს, კარვის წინ გამოვიდა იგი, ვერცხ-
ლის ჩირადღნები მოუძღოდა წინ. 23.
როცა ივდითი წარსდგა ოლოფერნესა
და მისი მსახურების წინაშე, ყველა
განცვიფრებული დარჩა მისი სახის სი-
ლამაზით. დაემხო ივდითი მის წინაშე
და თაყვანი სცა მას. მისმა მსახურებ-
მა წამოაყენეს იგი.

თავი მეთერთმეტე

1. უთხრა მას ოლოფერნემ: დამშ-
ვიდდი, დედაკაცო, ნუ შეშინდება შენი
გული, ბოროტად არავის მოვქცეუ-
ლვარ, ვინც მთელი ქვეყნის მეფის,
ნაბუქოდონოსორის მორჩილება ირ-
ჩია. 2. და ახლაც, რომ არ შეურაცხვეუ-
ყავი შენს ერს, მთაზე რომ სახლობს,
ჩემი მახვილი არ აღიმართებოდა მათ-
ზე, თავადვე უყვეს თავისთავს ყოვე-
ლივე. 3. ახლა მომახსენე, რატომ გა-
მოიქეცი მათგან და მოხვედი ჩვენთან.
სამშვიდობოს ხარ, დაწყნარდი, იცოცხ-
ლებ ამაღამაც და მერეც. 4. არავინ
იქნება შენი შეურაცხმყოფელი, პირი-
ქით, კეთილი მოგეგება, როგორც მი-
ეგებათ ჩემი უფლის, ნაბუქოდონო-
სორ მეფის მსახურთ. 5. მიუგო მას ივ-
დითმა: ისმინე შენი მხევლის ნათქვა-
მი, ილაპარაკოს შენმა მხევალმა შენს
წინაშე და ტყუილს არ მოვახსენებ
ჩემს უფალს ამ ღამეს. 6. თუ მიენდობი
შენი მხევლის სიტყვებს, შენით აღას-
რულებს ღმერთი საქმეს და არ გა-
ცუდდება ჩემი უფლის განზრახვა. 7.
ცოცხალია მთელი ქვეყნიერების მეფე,
ნაბუქოდონოსორი და ცხოველია მი-
სი ძალაუფლება, რომელმაც მოგავლი-
ნა შენ ყოველი სულდგმულის განმგე-
ბლად, რომ არა მარტო ადამიანები
მორჩილებდნენ მას შენი წყალობით,
არამედ ველის მხეცმა, საქონელმა და
ცის ფრინველებმაც იცოცხლონ ნა-

ბუქოდონოსორისა და მთელი მისი სახლის მორჩილებაში შენი ძალისხმევით. 8. გვსმენია შენი სიბრძნისა და სულის სიმტკიცის შესახებ. ქვეყანამ იცის, რომ შენ ხარ ერთადერთი კეთილი კაცი მთელ სამეფოში, ძლიერი სიბრძნით და საკვირველი საბრძოლო წყობაში. 9. რაც შეეხება სიტყვას, აქეორმა რომ წარმოთქვა შენს საკრებულოში, მოვისმინეთ მისი ნათქვამი, იგი ხომ შეიწყნარეს ბეთულიას კაცებმა და მათაც აუწყა ყოველივე, რაც შენთან თქვა. 10. ამიტომაც, უფალო მბრძანებელო, ნუკი გადახვალ მის სიტყვას, 11. ახლა კი, რომ არ დამარცხდეს და ამაოდ რომ არ დაშვრეს ჩემი უფალი, სიკვდილი ეწევა მათ, რადგან ცოდვამ მოიცვა ისინი, რითაც განარისხეს თავიანთი ღმერთი, როცა უჯეროდ მოიქცნენ. 12. საჭმელი რომ შემოაკლდათ და მთელი წყალი გაუთავდათ, გადაწყვიტეს თავიანთი პირუტყვის დახოცვა და ყველაფრის ჭამა, რის შეუჭმელობაც ღმერთმა დაუწესა. 13. გადაუწყვეტიათ, რომ მოიხმარონ შესაწირავი პური და ღვინისა და ზეთის მეათედი, რომელიც წმიდა ჰყვეს და განუკუთვნეს მღვდლებს, ჩვენს ღმერთს რომ ემსახურებიან იერუსალიმში, თუმცა მისი ხელის ხლებაც კი ეკრძალება ერისაგანს. 14. იერუსალიმშიც გაგზავნეს ხალხი, რადგან იქაური მცხოვრებლებიც იმავეს სჩადიან, რათა უხუცესთაგან ნებართვა მიიღონ ამაზე. 15. როგორც კი ისინი თანხმობას მიიღებენ და ასევე მოიქცევიან, იმავე დღეს გასანადგურებლად ჩაგივარდებიან ხელში. 16. როცა შევიტყვე ყოველივე ეს, მე, შენი მხევალი, გამოვექეცი მათ. ღმერთმა მამავლინა, რათა შენთან ერთად აღვასრულე საქმენი, რომელნიც გააოგნებს მთელ ქვეყანას, როგორც კი მოისმენს ამას. 17 რადგან ღვთისნიერია შენი მხევალი და დღედაღამ ემსახურება ცის ღმერთს. ახლა კი შენთან დავრჩები, უფალო ჩემო. გავა შენი მხევალი ყოველ ღამი თხეობაში და შევევედრები ღმერთს და მაუწყებს მე, როდის შესცოდებენ ისინი. 18. როცა დავბრუნდები, შენ შეგატყობინებ და მაშინ გაემართები მთელი შენი ლაშქრით და ვერავინ გაბედავს იმათგან, წინ რომ გადაგიდგეს. 19. შუაგულ უდაბნოზე გავლით პირდაპირ იერუსალიმში მიგიყვან და მის შუაგულში დავდგამ შენს ხატს, წაუძეღ მათ, როგორც ცხვრებს რომელთაც არა ჰყავთ მწყემსი, და ძაღლიც ვერ დაიყეფებს შენს საწინააღმდეგოდ, რადგან ეს ჩემი წინასწარგანჭვრეტის წყალობით გავიგე და მეუწყა და გამოგზავნილი ვარ, რომ შენ შეგატყობინო. 20. მოეწონათ მისი სიტყვები ოლოფერნესა და ყველა მის მსახურს, განცვიფრდნენ მისი სიბრძნით და თქვეს: 21. არ მოიძებნება ქალი ქვეყნის კიდემდე, რომ ასეთი ლამაზი იყოს სახით და სიტყვაგონიერი. 22. უთხრა მას ოლოფერნემ: კარგი ქნა ღმერთმა, შენ რომ მოგავლინა ხალხის წინაშე, რათა ჩვენს ხელებს მოეცეს ძალა, ხოლო ჩემი უფლის შეურაცხმყოფლებს კი დალუპვა. 23. მშვენიერი ხარ გარეგნობით და სათნო — სიტყვებით, და თუ ასე მოიქცევი, როგორც თქვი, შენი ღმერთი ჩემი ღმერთი გახდება, ნაბუქოდონოსორ მეფის სახლში იცხოვრებ და სახელოვანი იქნები მთელ ქვეყანაზე.

თავი მეთორმეტე

1. ბრძანა ოლოფერნემ, შეეყვანათ იგი იქ, სადაც მისი ვერცხლის ჭურჭელი ეწყო. გაეშალათ მისთვის სუფრა მისი კერძეულისგან და მისი ღვინო მიეცათ სასმელად. 2. თქვა ივდითმა: არ შევჭამ ამას, რომ საფრთხე არ მოხდეს, ჩემს საგზალს ვიკმარებ. 3. უთხრა მას ოლოფერნემ: როცა შემოგაკლდება შენი საგზალი, როგორ მოგაწოდოთ მაგის მსგავსი, რადგან არავინაა ჩვენთან შენი მოდგმისა. 4. მიუგო მას ივდითმა: შენმა სიცოცხლემ, ჩემო ბატონო, არ ღახარჯავს შენი მხევალი ყველაფერს, რაც თან აქვს, ვიდრე არ აღასრულებს უფალი ჩემი

ხელით იმას, რაც განზრახული მაქვს. 5. შეიყვანეს იგი ოლოფერნეს მსახურებმა კარავში და იძინა მან შუაღამემდე, გამთენიისას კი ადგა. 6. და შეუთვლა ოლოფერნეს: ბრძანოს ჩემმა ბატონმა და სალოცავად წასვლის ნება დართოს თავის მსახურს. 7. უბრძანა ოლოფერნემ მცველებს, არ დაებრკოლებინათ იგი, ასე დაჰყო მან ბანაკში სამი დღე. გადიოდა ღამით ბეთულიას ხეობაში და განიბანებოდა წყაროს წყალში. 8. როცა ამოვიდოდა წყლიდან, შესთხოვდა ისრაელის უფალ ღმერთს, წარემართა მისი გზა უფლის ერის ასამაღლებლად. 9. ბრუნდებოდა განბანილი და კარავში რჩებოდა, სანამ საღამოთი თავის საზრდოს მიიღებდა. 10. მეოთხე დღე გამართა ოლოფერნემ ლხინი მხოლოდ თავის მსახურთათვის და სხვას არავის უხმო იმათგან, ვისი მოწვევაც საჭირო იყო. 11. უთხრა ბაგუას, თავის საჭურისს, რომელიც მთელი მისი საბადებლის განმგებელი იყო: მიდი და დაარწმუნე ის ებრაელი ქალი, შენთან რომ იმყოფება, მოვიდეს და ჩვენთან ერთად ჭამოს და სვას. 12. სამარცხვინოა ჩვენთვის, რომ ასეთი ქალი ისე გავუშვათ, რომ არ დავუახლოვდეთ, თუ ვერ მოვიზიდავთ მას, დაგვცინებს კიდეც. 13. გავიდა ბაგუა ოლოფერნესგან, მივიდა ქალთან და უთხრა: ნუ აყოვნებს მშვენიერი მხევალი ჩემს ბატონთან მისვლას, რათა განდიდებულ იქნას მის წინაშე და სასიხარულოდ სვას ჩვენთან ერთად ღვინო და ისე მოიქცეს დღეს, როგორც იქცევიან აშურელი ქალიშვილები, რომლებიც ნაბუქოდონოსორის სახლში იმყოფებიან. 14. მიუგო მას ივდითმა: ვინ ვარ მე, უარი რომ ვუთხრა ჩემს უფალს, ყველაფერს უმალ გავაკეთებ, რაც მის თვალში უკეთესი იქნება და სიკვდილის დღემდე სასიხარულოდ დამრჩება ეს 15. ადგა და მოირთო სამოსითა და ყოველგვარი სადიაცო სამკაულით. გაუძღვა მისი მხევალი და დაუფინა მიწაზე ოლოფერნეს წინ ცხვრის ტყავი, რომელიც ბაგუას გამოართვა ყოველდღიური საჭიროებისათვის, რომ საჭმელის ჭამის დროს მასზე ინახოდ მჯდარიყო. 16. შევიდა და დაჯდა ივდითი. ოლოფერნეს გული შეუვარდა მასზე, სული აუფორიაქდა და ძლიერ მოუნდა დაუფლებოდა მას. მისი ნახვის დღიდანვე მარჯვე ჟამს ელოდა მის საცდუნებლად. 17. უთხრა მას ოლოფერნემ: სვი და იმხიარულე ჩვენთან ერთად. 18. მიუგო ივდითმა: შევსვამ. უფალო, რადგან ყველაზე მეტად დღეს ამაღლდა ჩემი სიცოცხლე, როგორც არასოდეს ჩემს დღეში. 19. აიღო და ჭამა და სვა მის წინაშე ყველაფერი, რაც მისმა მხევალმა მოუმზადა. 20. გახალისდა ოლოფერნე მისით და უზომოდ ბევრი ღვინო შესვა, თავის დღეში რომ არ დაელია, იმდენი.

თავი მეცამეტე

1. რომ მოსაღამოვდა, მსახურნი მალე წავიდნენ და ბაგუამ გარედან ჩაკეტა კარავი. დაითხოვა გუშაგები თავისი ბატონისგან და ისინიც თავ-თავიანთი საწოლებისკენ გაემართნენ, რადგან ყველანი გასავათებულნი იყვნენ უზომო სმისაგან. 2. მარტო დარჩა ივდითი კარავში ოლოფერნესთან, რომელიც ღვინონასვამი გაშხლართულიყო თავის საწოლზე. უთხრა ივდითმა თავის მხევალს, რომ საძინებლის გარეთ დამდგარიყო და დალოდებოდა მის გამოსვლას. როგორც ყოველდღე, ახლაც უთხრა, რომ სალოცავად გადიოდა. ბაგუასაც იგივე უთხრა. 4. ყველა წავიდ-წამოვიდა, არავინ დარჩენილა საძინებელში, არც მცირე, არც დიდი. დადგა ივდითი ოლოფერნეს საწოლთან და გულში თქვა: უფალო, ღმერთო ყოველთა ძალთაო, ახლა მოხედე ჩემ ხელთა საქმეს იერუსალიმის ასამაღლებლად აღსასრულებელს. 5. სწორედ ახლა დადგა ჟამი, რომ შეეწიო შენს სამკვიდროს და აღასრულო ჩემი განზრახვა მტრების განადგურებისა, რომლებიც აღდგნენ ჩვენს წინააღმდეგ. 6. მივიდა იგი საწოლის სვეტთან, რომელიც ოლოფერნეს თავის მხარეს იყო, და ჩამოხსნა მასზე

ჩამოკიდებული მახვილი. 7. მიუახლოვდა საწოლს, სწვდა თმებში და თქვა: გამაძლიერე მე, უფალო, ღმერთო ისრაელისაო, დღევანდელ დღეს. 8. მერე ორჯერ დაჰკრა კისერზე მთელი ძალით და თავი წააცალა. 9. გადააგორა მისი გვამი საწოლთან და სვეტებიდან ჩამოაგდო გალავაკი. ცოტა ხნის მერე გამოვიდა და მისცა შოახლეს ოლოფერნეს თავი. 10. მან ჩაგდო იგი საგზლის გუდაში და ორივენი ერთად გავიდნენ, როგორც ჩვეულებისამებრ სალოცავად გადიოდნენ. გაიარეს ბანაკი, შემოუარეს ხევს, ავიდნენ ბეთულიას ზეთაზე და მის კარიბჭეს მიადგნენ. 11. შორიდანვე შესძახა ივდითმა მცველებს: გააღეთ, გააღეთ კარიბჭე ჩვენთანაა ღმერთი! იგი მომადლებს ძლიერებას ისრაელს და დათრგუნავს მტრებს, როგორც დღევანდელ დღეს მოიმოქმედა. 12. როცა ქალაქის კაცებმა გაიგონეს მისი ხმა, ქალაქის კარიბჭისკენ გაეშურნენ და შეჰყარეს ქალაქის უხუცესები. 13. გამორბოდა ყველა, პატარა თუ დიდი, რადგან დაუჯერებელი იყო მათთვის მისი დაბრუნება. გააღეს კარიბჭე, შეეგებნენ მათ, აანთეს ცეცხლი გასანათებლად და გარს შემოეხვივნენ. 14. ხმამაღლა უთხრა მათ ივდითმა: ადიდეთ უფალი, ადიდეთ! ადიდეთ უფალი, რომელმაც არ მოაშორა თავისი წყალობა ისრაელის სახლს და ჩემი ხელით გაანადგურა მტრები ამ ღამეს. 15 ამოიღო თავი გუდიდან, აჩვენა მათ და უთხრა: აჰა, აშურელთა ჯარის მხედართმთავრის, ოლოფერნეს თავი და, აჰა, გავალაკი, რომლის ქვეშაც იწვა გალეშილი. გაანადგურა იგი უფალმა დედაკაცის ხელით. 16. იცოცხლოს უფალმა, რომელმაც დამიცვა ჩემს გზაზე, რომლითაც გავემართე, რათა დასალუპავად მეცთუნებინა იგი ჩემი გარეგნობით, არ აღასრულებინა ცოდვა ჩემს შესაბილწად და შესარცხვენლად. 17. ძლიერ განცვიფრდა მთელი ერი. მუხლი მოიდრიკეს, თაყვანი სცეს ღმერთს და თქვეს ერთხმად: კურთხეულ ხარ, ღმერთო ჩვენო, [illegible] ყველამაც არარაობად აქციე შენ [illegible] მტრები დღევანდელ დღეს. 18. უთხრა მას ყუზიამ: კურთხეულ ხარ შენ, ასულო, მაღალი ღმერთისგან მთელი ქვეყნიერების ასულთა შორის და კურთხეულია უფალი ღმერთი, რომელმაც დაამკვიდრა ცანი და ქვეყანა და წაგიძღვა, რომ ჩვენი მტრების მთავრისათვის თავი მოგეკვეთა. 19. არ მოაკლდება შენი იმედი ადამიანთა გულებს, რომელთაც უკუნისამდე ეხსომებათ ღმერთის ძლევამოსილება. 20. უფალმა მოგაგოს სანაცვლო საუკუნო პატივითა და კურთხევით, რომ სიცოცხლე გაიმეტე, როცა ჩვენი მოდგმა დამდაბლებულ იყო და შური იძიე ჩვენი დაცემისათვის და წრფელი გზით იარე ჩვენი ღმერთის წინაშე. შესძახა მთელმა ერმა იქმნას, იქმნას!

თავი მეთოთხმეტე

1. უთხრა მათ ივდითმა: ისმინეთ ჩემი, ძმებო! აიღეთ ეს თავი და გამოჰკიდეთ თქვენი გალავნის ქონგურზე. 2. როცა გათენდება და მზე ამოანათებს ქვეყანაზე, აიღეთ თქვენ თქვენი საბრძოლო აღჭურვილობა და ქალაქის გარეთ გადით ყველა ძლიერი მამაკაცი, წინ მეთაური გაიძღოლეთ, თითქოს დაბლობზე გადადიხართ, აშურელთა სადარაჯოებთან, ოღონდ ნუ გადახვალთ. 3. ამასობაში ისინი იარაღს აისხამენ, წავლენ თავიანთ ბანაკში და აშურის ჯარის წინამძღოლებს გააღვიძებენ, ოლოფერნეს კარვისკენ გავარდებიან და ვერ იპოვიან მას. შიშის ზარი დაეცემა მათ და უკუიქცევიან. 4. თქვენ და ყველა, ვინც ისრაელის საზღვრებში მკვიდრობს, განდევნეთ და გაანადგურეთ ისინი თავიანთ გზებზე. 5. ვიდრე ამას მოიმოქმედებდეთ, მიხმეთ აქიორ ყამონელი, რათ შეხედოს და შეიცნოს ისრაელის სახლის შეურაცხმყოფელი და ის, ვინც სიკვდილივით იყო მოვ-

ლენილი ჩვენს წინააღმდეგ. 6. უხმეს აქიორს ყუზიას სახლიდან, როცა მოვიდა და ოლოფერნეს თავი დაინახა ხალხის კრებულში მყოფი ერთი კაცის ხელში, პირქვე დაემხო გულწასული. 7. როცა წამოაყენეს, დაემხო იგი ივდითის ფერხთით, თაყვანი სცა მას და უთხრა: კურთხეულ ხარ მთელ იუდას სამკვიდრებელში და ყველა ხალხს შორის, რომლებიც გაოგნდებიან, შენი სახელის გაგონებაზე! 8. ახლა კი მაუწყე, რა მოიმოქმედე ამ დღეებში. უამბო მას ივდითმა ხალხის თანდასწრებით ყველაფერი, რაც მოიმოქმედა გასვლის დღიდან იმ დრომდე, როცა მათ ესაუბრებოდა. 9. რომ დაასრულა ლაპარაკი, ხალხმა ხმამაღლა შეჰღაღადა და სიხარულის ხმა მოედო მათ ქალაქს. 10. როცა აქიორმა იხილა ყოველივე, რაც ისრაელის ღმერთმა მოიმოქმედა, ძლიერ ირწმუნა მისი, წინდაიცვითა და ისრაელის სახლს შეუერთდა, და ასეა დღემდე. 11. როგორც კი გათენდა, გალავანზე გამოჰკიდეს ოლოფერნის თავი. ყველამ აიღო თავისი საჭურველი და რაზმებად დაწყობილნი მთის ასავლელებისკენ გაემართნენ. 12. როცა აშურელებმა დაინახეს ისინი, ხალხი გაგზავნეს წინამძღოლებთან. ისინიც მივიდნენ სარდლებთან, ასისთავებთან და ყველა მათ მეთაურთან. 13. ოლოფერნეს კარავს რომ მიადგნენ, უთხრეს მის პირად მხლებელს: გააღვიძე ჩვენი უფალი, რადგან გაკადნიერდნენ მონები და ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდნენ, რათა საბოლოოდ აღოწყდნენ. 14. წავიდა ბაგუა და კარვის კარზე დააკაკუნა. ეგონა ივდითთან ერთად ეძინა მას. 15. რომ არავინ გამოეპასუხა, გააღო და შეავიდა საძინებელში. იატაკზე დაგდებული იპოვა მისი. მკვდარი და თავმოკვეთილი. 16. ამოიგმინა ხმამაღლა, მოჰყვა ტირილსა და მოთქმას ძლიერ ხმაზე და ტანისამოსი ძემოიგლიჯა. 17. შეავიდა კარავში, რომელშიც ივდითი იმყოფებოდა და, რომ ვერ იპოვა იგი, გამოიჭრა ხალხისკენ და იყვირა: 18. დალუპეს მონებმა! შესარცხვენი საქმე უქნია ერთი ებრაელის დედაკაცმა ნაბუქოდონოსორ მეფის სახლს. აჰა, მიწაზე გდია ოლოფერნე თავმოჭრილი. 19. ეს ამბავი რომ ესმათ აშურის ლაშქრის მეთაურებს, ტანისამოსი შემოიგლიჯეს მათაც. ძლიერ შეშფოთდნენ და ძალზე ხმამაღალი მოთქმა-გოდება ასტეხეს შუაგულ ბანაკში.

თავი მეთხუთმეტე

1. ეს რომ გაიგონეს კარვებში მყოფებმა, გაოგდნენ მომხდარი ამბის გამო. 2. შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო ისინი. კაცი არ დარჩა, თავის ახლობელს რომ დალოდებოდა, არამედ დაბნეულები ერთიანად გარბოდნენ ველისკენ და მთებისკენ მიმავალ გზებით. 3. ბეთულიას გარშემო მდებარე დაბანაკებულებიც დაიძრნენ გაქცევად. მაშინ ისრაელიანები, ყოველი მებრძოლი მათ შორის დაერივნენ მათ. 4. მოციქულები დაგზავნა უზიამ ბეთომასთაიმში, ბებაიში, ქობაში, კოლაში და ისრაელის ყველა კუთხეში იმის სათქმელად, რაც მოხდა, რომ ყველა გამოსულიყო მომხდურთა გასანადგურებლად. 5. ისრაელიანებმა რომ გაიგეს ეს ამბავი, თავს დაესხნენ მათ და გაანადგურეს ისინი ქობამდე. ასევე გამოვიდნენ იერუსალიმელებიც და ყველა მთიელი, რადგან გაიგეს მათი მტრის ბანაკში მომხდარი ამბავი. გალაადელებმა და გალილელებმა გვერდიანად სასტიკად დასცხეს მათ, ვიდრე არ განდევნეს ისინი დამასკომდე და მის საზღვრამდე. 6. ხოლო დარჩენილნი ბეთულიას მკვიდრნი თავს დაესხნენ აშურის ბანაკს, გაძარცვეს იგი და ძლიერ გამდიდრდნენ. 7. თავდასხმებისგან გამობრუნებული ისრაელიანები დაეპატრონენ იმას, რაც დარჩა მთისა და ბაირის დაბა-სოფლებმა. დიდძალი ხა-

დავლი ჩაიგდეს ხელში. აურაცხელი
იყო მისი რაოდენობა. 8. მოვიდნენ
მღვდელმთავარი იოაკიმი და ისრა-
ელიანთა უხუცესობა, იერუსალიმის
მკვიდრნი, რათა ენახათ, თუ რა სი-
კეთე უყო უფალმა ისრაელს, ეხილათ
ივდითი და მშვიდობა ეთქვათ მისთ-
ვის. 9. მივიდნენ თუ არა მასთან, ერ-
თხმად დალოცეს და უთხრეს შენ ხარ
დიდება იერუსალიმისა, შენ ხარ სი-
ამაყე ისრაელისა, შენ ხარ სიქადული
ჩვენი მოდგმისა! 10. შენი ხელებით
აღასრულე ყოველივე ეს, სიკეთე
ჰქმენ ისრაელისთვის და წყალობა
მოიღო მათზე ღმერთმა კურთხეულ
იყავ ყოვლისმპყრობელი უფლისაგან
უკუნისამდე; თქვა მთელმა ერმა:
იყოს! 11. ოცდაათი დღის განმავლო-
ბაში ძარცვავდა მთელი ერი ბანაკს.
ოლოფერნეს კარავი და მთელი ვე-
რცხლეული, საწოლი და ჭურჭელი
მთელი მისი აღჭურვილობა ივდითს
მისცეს. მანაც აკრიფა ისინი, აჰკიდა
თავის ჯორს, შეაბა ურმები და დატ-
ვირთა ისინი. 12. ისრაელის ყოველი
ქალი გამოეფინა მის სანახავად. მად-
ლობა უძღვნეს და ფერხული გაუ-
მართეს მას. აიღო ივდითმა ხელში
რტოები და დაურიგა ქალებს, ვინც
მასთან იყვნენ. 13. შეიმკეს მათ თავი
ზეთისხილის გვირგვინებით, მან და
ვინც მასთან იყვნენ. როკვით მიდი-
ოდა იგი მთელი ხალხის წინაშე, ქალ-
თა წინამძღოლი, ხოლო ისრაელის ყო-
ველი კაცი, თავზე გვირგვინებით და
ბაგეებზე გალობით მოჰყვებოდა მას.
14. მაშინ სამადლობელი სიმღერა წა-
მოიწყო ივდითმა მთელი ისრაელის
წინაშე და მთელი ერი აჰყვა ამ სადი-
დებელს.

თავი მეთექვსმეტე

1. თქვა ივდითმა: ადიდეთ ჩემი
ღმერთი ბობღნებით, უგალობეთ უფ-
ალს წინწილებით, აღუვლინეთ მას
ახალი ფსალმუნი, განადიდეთ და ახ-
სენეთ მისი სახელი. 2. რადგან ღმერ-
თია იგი, ბრძოლათა შემმუსრველი
უფალი. რადგან მის ბანაკში, შუაგულ
ხალხში, მიხსნა ჩემი ერმდევნელების
ხელთაგან. 3. მოვიდა ასურელი ჩრდი-
ლოეთის მთებიდან, მოვიდა თავისი აუ-
რაცხელი ლაშქრით. მათმა სიმრავ-
ლემ ჩახერგა ხევები და მათმა ცხე-
ნებმა დაფარა ბორცვები. 4. ბრძანა
გადაბუგვა ჩემი საზღვრებისა, ჩემი
ჭაბუკების მახვილით შემუსვრა. მი-
წად დანარცხება ჩემ ძუძუმწოვართა,
ნადავლად წაგვრა ჩემ წვრილ-შვილ-
თა, ნამუსის ახდა ჩემ ქალწულთათვის.
5. მაგრამ ყოვლისმპყრობელმა უფა-
ლმა დაამხო ისინი დედაკაცის ხე-
ლით. 6. არ დაცემულა მათი ხელმწიფე
მოყმეთა ხელით, დედაკაცთა ნაშიერთ
არ მოუკლავთ იგი, არც ამაყ ბუმბე-
რაზებს დაუჯაბნია, არამედ ივდითმა,
მერარის ასულმა, გაანადგურა თავისი
სილამაზით, 7. ქვრივობის სამოსი გა-
იხადა დათრგუნულთა აღსადგინებლად
ისრაელში. ნელსაცხებელი იცხო
სახეზე, 8. თავსაკვრელით შეიკრა თა-
თმები და სელის სამოსელი ჩაიცვა
მათ საცთუნებლად. 9. მოსტაცა თვა-
ლი ოლოფერნეს მისმა სანდალმა, მი-
სმა სილამაზემ დაუტყვევა სული. და
გაჰკვეთა მახვილმა მისი კისერი. 10.
შეაძრწუნა სპარსელები მისმა სიმა-
მაცემ და მიდიელები მისმა გულადო-
ბამ გააოგნა. 11. მაშინ შეღაღადეს
ტანჯულთა ჩემთა და შეშინდნენ უძ-
ლურნი და შეძრწუნდნენ, ხმამაღლა
ყვიროდნენ და უკუიქცნენ. 12. მხე-
ვალთა შვილებმა განგმირეს ისინი
და უკუქცეულთა ბავშვებივით ჩე-
ხავდნენ. დაიღუპნენ ისინი ჩემი უფ-
ლის განაჩენით 13. გიგალობ, ჩემო
ღმერთო, ახალი საგალობლით. უფ-
ალო,, დიადი ხარ და დიდებული, ძა-
ლით საკვირველი, დაუძლეველი. 14.
შენ გმორჩილებს ყოველი ქმნილება
შენი, რადგან თქვი და გაჩნდნენ. მო-
ავლინე შენი სული და დამკვიდრდნენ
ისინი. არავინაა, რომ გაუძლოს შენს
ხმას. 15. წყლებითურთ შეირყევა მთა-
თა საფუძვლები, კლდენი შენს წინა-
შე ცვილივით დადნებიან, შენს მო-

შიშებს კი წყალობას არ მოაკლებ. 16. რადგან მწირია ყოველი ამოდსაყნოსველი მსხვერპლი და მცირეზე მცირეა ყოველი ქონი, შენთვის დასაწველი. უფლის მოშიში კი ყველაფერზე დიდია. 17. ვაი, ხალხებს, ჩემი ერის წინააღმდგომელთ! ყოვლისმპყრობელი უფალი დასჯის მათ განკითხვის დღეს. ცეცხლსა და მატლებს მიუვლენს იმათ ხორცს და მწარედ იტირებენ უკუნისამდე. 18. როგორც კი მივიდნენ იერუსალიმში, თაყვანი სცეს ღმერთს და როცა ხალხი განიწმიდა, შესწირეს აღსავლენი, ნებაყოფლობითი მსხვერპლი და ძღვენი. 19. შესწირა ღმერთს ივდითმა ოლოფერნეს მთელი აღჭურვილობა, რომელიც ხალხმა მას მიაკუთვნა, და გალავაკი, რომელიც თავისთვის აიღო ოლოფერნეს საწოლიდან. 20. სამ თვეს ხარობდა ხალხი იერუსალიმში სიწმიდეთა წინაშე და ივდითიც მათთან ერთად იყო. 21. ამ დღეების შემდეგ ყველანი თავ-თავიანთი სამკვიდრებლისაკენ გაემართნენ, ივდითიც ბეთულიაში წავიდა და ერ ცხოვრობდა ძველებურად. მაღივდებული იყო თავის დღეში მთელ ქვეყანაზე. 21. ბევრს ჰქონდა მისი სურვილი, მაგრამ კაცს არ გაჰკარებია მთელი სიცოცხლე. მას მერე, რაც მენაშე, მისი ქმარი გარდაიცვალა და თავის ერს შეუერთდა. 23. უფრო და უფრო სახელოვანი შეიქმნა და დაბერდა თავისი ქმრის სახლში ასხუთი წლის. გაათავისუფლა თავისი მხევალი. გარდაიცვალა ბეთულიაში და დაკრძალეს იგი თავისი ქმრის, მენაშეს სამარხში. 24. შვიდი დღე გლოვობდა მას ისრაელის სახლი. სიკვდილის წინ გაუყო ქონება თავისი ქმრის, მენაშეს ყველა ნათესავს და ნათესავებს თავის საგვარეულოში. 25. ისრაელიანები მეტად აღარავის შეუშინებია ივდითის სიცოცხლეში და დიდხანს მისი სიკვდილის შემდეგაც.

□ ბაბრაძელიძეა ივნიზა □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ სულაკაური

თეთრი ცხენი

წიგნი მეორე

რომანი

ივნისმა მშვიდად და ულიმლამოდ ჩაიარა. ზაფხულის სესიები დამთავრდა, სექტემბრამდე ჩიტივით თავისუფალი ვიყავი. გამოცდებისთვის მე და ატი ერთად ვემზადებოდით და ოთხი საგანი, ვითომც არაფერი, უმტკივნეულოდ ჩავაბარეთ. ქალბატონი დოდო უბედნიერეს ადამიანად თვლიდა თავს და სულ მუდამ კარგ გუნებაზე იყო, რადგან შვილი ამ ერთი თვის მანძილზე შინ ჰყავდა მოყუჩებული, წიგნებსა და კონსპექტებში ჩაფლული. დილიდანვე ზრუნავდა ჩვენი გამოკვებისათვის: ნაირ-ნაირი საუზმე, სადილი, ვახშამი... ქალბატონი დოდოს კულინარულმა შესაძლებლობებმა ყოველგვარი საზღვარი გადალახა.

ატის მამაც, რა თქმა უნდა, კმაყოფილი იყო. ბატონი ივანე მახლობლებისთვის — ბატონი ვანო, ძირითადად საუკეთესო სიგარეტებით გვამარაგებდა, „პრიმას“ მთელი არსებით ვერ იტანდა „კლასობრივი სიძულვილით“ იყო გამსჭვალული ამ სიგარეტის მიმართ. გვამარაგებდა აგრეთვე ფეხბურთის ბილეთებითაც. ფეხბურთი სიგიჟემდე უყვარდა და თბილისის „დინამოს“ ქომაგობდა. სტადიონზე თავაშვებული სტუდენტივით იქცეოდა: შფოთავდა, ყვიროდა, მუშტებს იქნევდა, იმუქრებოდა. მსაჯს აგინებდა, სულ ეჩვენებოდა, რომ ობიექტურად არ სჯიდა თამაშს და თბილისელებს ჩაგრავდა.

სალამოობით ატის, თუ კი შინ ინებებდა დარჩენას, სავალდებულო ერთი ხელი ჭადრაკი ჰქონდა შეწერილი. ვახშმის წინ ჭადრაკის თამაში გარდუვალი პროცესი იყო, მამა-შვილის ოჯახური რიტუალი, რომელიც ხელჩართულ ბრძოლას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძნულ თამაშს. საქმეს აქ თვით ქალბატონი დოდოც ვერ შველოდა, მის დაუოკებელ ლტოლვას მშვიდობისა და თანხმობისაკენ არც ერთი მხარე აქცევდა ყურადღებას და არც მეორე. მამა და შვილი ყოველთვის უთანხმებდნენ ერთმანეთს თამაშის მთავარ პრინციპს, ფიგურას ხელი ახლე? — ითამაშე. უმეტეს შემთხვევაში განხეთქილების ეაშლი სწორედ ეს პრინციპი იყო.

მამა ანუ ბატონი ვანო: ითამაშე!

შვილი ანუ ატი: ცოტა მაცალე და ვითამაშებ. (ლიღინებს).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი“, № 5-6.

მამა: ახლა ღიღინის დრო არ არის!

შვილი: კაი, ბატონო, აი, ვითამაშე.

მამა: ეგ არა. ეგ ფიგურა თავის ადგილზე დააბრუნე!

შვილი: (ირონიულად) ვითომ რატომაო, ჰა?!

მამა: ითამაშე ის, რომელსაც ხელი ახლე!

შვილი: (დაინტერესდება) მაინც რომელს ვახლე ხელი?

მამა: აი,ამას!

ბატონი ვანო მარჯვენა ხელის საჩვენებელ თითს გამომწვევად დაადებს იმ ფიგურას, რომელსაც, მისი აზრით, ატიმ შეახო ხელი.

შვილი: რას ამბობ, კაცო, მანდეთ არც გამიხედავს! ჯერ ერთი, ხელები მუხლებზე მეწყო...

მამა: (სიტყვას აწყვეტინებს) ითამაშე!

შვილი: მე უკვე ვითამაშე! (საცაა იფეთქებს.)

მამა: მაშინ, ამ პარტიას წაგებად ჩაგითვლი და ვითამაშოთ ახალი პარტია.

ატის ბობოქარი ტემპერამენტი მეტს ველარ უძლებდა, გაგიჟებული წამოხტებოდა და კედლებზე დადიოდა. აგინებდა ჭადრაკის მომგონს, საზეიმოდ აცხადებდა, მამაჩემს არც ნარდსა და არც ჭადრაკს აღარასოდეს ვეთამაშებიო. აქ უკვე ქალბატონი დოდო ჩაერეოდა კონფლიქტში, მაგრამ ყოველი მისი მცდელობა, შეერიგებინა დაპირისპირებული მხარეები, კრახით მთავრდებოდა.

ერთხელ მეც გამრიეს საქმეში. ბატონმა ვანომ მკითხა, ხომ დაინახე ფიგურას ხელი რომ ახლოო. თამაშს თვალს არ ვადევნებდი და, ბუნებრივია, არ დამინახავს, ახლო თუ არ ახლო ატიმ ფიგურას ხელი. ასევე მოეახსენე, არ დამინახავს მეთქი. შავი დღე გამითენა, რას ჰქვია, არ დაგინახავსო. აქ იმიტომ მოდიხარ, რომ შენ და შენმა ძმაკაცმა შეერთებული ძალით მეთამაშოთო. ძლივს დააშოშმინა ქალბატონმა დოდომ, რა ჰქნას ბავშვმა, თუ არ დაუნახავსო.

ატის მალეფეთქებადი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ასევე მალე იცოდა დაცხრომა. რამდენჯერმე გაივლიდა და გამოივლიდა კედლებზე, იშფოთებდა, იყვირებდა, მერმე ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნობოდა და ჭადრაკის დაფას დახედავდა. კარგი, ბატონო, ვითამაშებ, ეტყოდა მამას, ოღონდ არ ინანოო. ატი სვლას დაიბრუნებდა და მამამისის შეთავაზებულ ფიგურას ითამაშებდა.

ხუთი-ექვსი სვლის შემდეგ:

მამა: (დაეჭვებული) ბიჭო, რომელი ფიგურა ითამაშე შენ?

შვილი: (ნიშნისმოგებით) ზუსტად ის, რომელსაც თითი დაადე!

ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ბატონ ვანოს პარტია წაგებული ჰქონდა. მაინც ბოლომდე ითამაშებდა, მერმე მეფეს წაჰკრავდა თითს და წააქცევდა. ხელებგაშლილი, ზამწყნარებლური ღიმილით მომიბრუნდებოდა და მეტყოდა, თამაში მაინც იცოდეს ამ შობელძაღლმაო. ამის თქმა და — კონფლიქტური სიტუაცია წამსვე განიმუხტებოდა.

ამ ნახევარ თუ ერთსაათიან დაძაბულობაშიც ოჯახის კეთილდღეობა, თანხმობა და სიხარული გამოსჭვივოდა. ამის გამოც მიყვარდა აქ ყოფნა და ხშირადაც ამიტომ დავდიოდი.

ერთხელ შელიების ოჯახს ივლისის დასაწყისში ვესტუმრე. საღამოვდებოდა. მამასა და შვილს ჩემი ვარაუდით ჭადრაკის თამაში ჯერ არ უნდა ჰქონოდათ დაწყებული. მე და ლუკა კახეთში გასამგზავრებლად ვემზადებოდით და ატისთვის კიდევ ერთხელ მინდოდა მეთქვა, ჩვენთან ერთად შენც ხომ არ წამოხვალ მეთქი. ატი რატომღაც თავს იკავებდა, ვცადე, მაგრამ ვერ ავიყოლიე, ვერ მოვხიბლე, ვერ დავარწმუნე, რომ ეს მოგზაურობა ძალზე სასიამოვნო იქნებოდა. ხან რას იმიზეზებდა და ხან — რას. ბოლოს მკითხა, ლუკა ნამდვილად მოდისო

უეჭველად მეთქი, ვუპასუხე. ჰოო, ჩაფიქრდა. უცებ გავიფიქრე, იქნებ ლუკასთან ერთად არ უნდა წამოსვლა მეთქი, მაგრამ შემდეგ საუბრიდან გაირკვა, რომ ლუკა სრულებითაც არ აბრკოლებდა.

ახლა ისევ შელიების ჭიშკარს მოვადექი, ერთხელაც ვეტყვი, თუ დამთანხმდა, ხომ კარგი, თუ არა და, ვიდრე ჭადრაკის თამაშს დაიწყებდნენ, ჩემი გზით წავალ მეთქი.

შელიებთან თეთრად გამოწყობილი, ძალზე სასიამოვნო გარეგნობის მოხუცი დამხვდა. ფეხსაცმელებიც კი თეთრი ტილოსი ეცვა — კბილის ჯვრებილით საგულდაგულოდ გაქათქათებული. იგი ატისა და ბატონ ვანოს შორის პატარა ფანჩატურში იჯდა გრძელ მერხზე. მოხუცის დანახვისთანავე რაღაც სიძველის, გარდასულისა თუ მეცხრამეტე საუკუნის სურნელი ვიგრძენი. ამის ახსნა ალბათ შეუძლებელიც არის, მაგრამ მე ნამდვილად ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს უკვე გადაშენებული ჯიშის უკანასკნელ ნაშიერს ვხედავდი. მიუხედავად ჩემი ახალგაზრდობისა, თუ გინდა გამოუცდელობისა, პირველ შთაბეჭდილებას ხშირად ვენდობოდი და ამჯერად არ შევმცდარვარ.

ატი შემეგება და გამაცნო ბატონი ლადო ესაკია, რომელსაც მისი წიგნებით, მოღვაწეობით ვიცნობდი და უდიდეს პატივს ვცემდი. წაკითხული მქონდა მშვენიერი მოგონებები ილიაზე, აკაკიზე, ვაჟაზე და, როგორც მათი თანამედროვე, დიდი ხნის გარდაცვლილი მეგონა. ბატონი ლადო წამოდგა, კეთილად გამიღიმა და ხელი ჩამომართვა. არ ვიცი, გაცნობისას სახეზე რა გამომეტყველება გამომეხატა, ბატონმა ლადომ, თითქოს ხუმრობით, სხვათა შორის მითხრა, ბატონო ოზო, ერთი ინგლისელი მწერლის გამონათქვამისა არ იყოს, მე რომ მოვკვდები, ჩემზეც იტყვიან, ეს კაცი აკი დიდი ხნის წინათ გარდაიცვალაო.

ბატონი ლადო ესაკია იყო ის პიროვნება ვინც მე პირველად ძომმართა ბატონობით, ამგვარ მომართვას შეუჩვეველმა, ცოტა უხერხულად ვიგრძენი თავი, შეიძლება მომეჩვენა კიდეც, რომ სიტყვა „ბატონოს“ ირონიული შეფერილობაც დაჰკრავდა, მაგრამ შემდეგ, სხვა შეხვედრების დროს დავრწმუნდი, ყველას ასე მიმართავდა — ახალგაზრდასაც და ხანდაზმულსაც.

ატის კიდევ ერთხელ შევახსენე, კახეთში ხომ არ წამოხვალ მეთქი. თავი გააქნია, ვერ წამოვალ, არა მცალიაო. ვერ დავიყაბულე, ეტყობა ასეთი „ველური“ მოგზაურობა — ტყე-ღრეებში ხეტიალი სულაც არ ხიბლავდა. ლუკა ხომ მოდისო, ახლაც მკითხა დაეჭვებულმა. კი მეთქი, მივუგე და ამის შემდეგ კახეთში მოგზაურობაზე კრინტი არ დამიძრავს.

შელიებისაგან უცებ ვერ წამოვედი. ფანჩატურში ვიდექი და ბატონ ვანოს ვუსმენდი, საინტერესოდ ჰყვებოდა ერთი შეხედვით სასაცილო ამბავს, როგორ გაუკეთა ოპერაცია კაცს, რომელმაც ჩაის კოვზი შემთხვევით გადაყლაპა. ამბის მოყოლა რომ დაამთავრა, სტუმარმა მორიდებით განაცხადა, ახლა მე წავალო და წამოდგა. ბატონი ვანო გადაეღობა, უვახშმოდ არ გაგიშვებთ, გვიანობისა ნუ შეგეშინდებათ, შინ ატი მიგაცილებთო. ბატონმა ლადომ მადლობა გადაუხადა დიდებული მასპინძლობისთვის, მეფური სადილი იყოო, დასძინა. სახლის ღია კარებში ატის დედა გამოჩნდა, იმანაც მოიკლა თავი, უვახშმოდ წასვლა როგორ გეკადრებათო. ბატონ ლადოს გადაწყვეტილება არ შეუცვლია, არც მე ვაპირებდი ვახშმად დარჩენას და ოჯახს მოვახსენე, ბატონ ლადოს მე გავაცილებ მეთქი.

ბატონმა ლადომ ჩალის ქუდი დაიხურა და მთელმა ოჯახმა მოწიწებით მიაცილა ჭიშკრამდე. ატი პეტრიაშვილის ქუჩამდე გამოგვყვა. მერმე ჩვენ დალმართზე დავეშვით და სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე მელიქიშვილის ქუჩაზე აღმოვჩნდით.

მზე ახლა-ღა ჩავიდა. ისევ ცხელოდა.

— სად ცხოვრობთ, ბატონო ლადო? — ვკითხე.

— სოლოლაკში. — მოკლედ მიპასუხა.

— მანქანას გავაჩერებ.

— არ არის საჭირო. — ბატონმა ლადომ უნივერსიტეტის შენობისკენ გაიხედა, — მოედნამდე ავტობუსით მივალ, იქიდან კი ფეხით გავიარ.

მე მაინც გავაჩერე მანქანა, თანაც ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ბატონმა ლადომ ბოლომდე უარის თქმა ვერ მოასწრო. მანქანაში ჩავსხედით და რუსთაველის გავლით თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ უკვე სოლოლაკში მივედით. გზაში დაინტერესდა და მეც ვუთხარი, სად დავიბადე, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები, სად და რომელ ფაკულტეტზე ვსწავლობდი. მეც შევიტყე: ქალბატონ დოდოს ბაბუა და ბატონ ლადოს მამა თურმე ბიძაშვილები ყოფილან.

მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებდა.

ჯერ კიდევ შელიებთან ბატონმა ლადომ ერთი ძველი ფოტო-სურათი გამახსენა. ის სურათი ქალბატონ მარიამის ბიბლიოთეკაში ვნახე და რატომღაც დამამახსოვრდა. ფოტოზე ახალგაზრდა მარიამი თავის მეგობრებთან და მახლობლებთან ერთად იყო აღბეჭდილი და ერთერთი მათგანი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბატონი ლადო უნდა ყოფილიყო. იგი შუაში იჯდა, პატარა, ოვალურ მაგიდაზე მარჯვენა მკლავი ჰქონდა დაყრდნობილი. ადამიანები კომპოზიციურად ისე იყვნენ განლაგებულნი, რომ ადვილად მიხვდებოდი, სურათი ლადო ესაკიას საპატივცემულოდ იყო გადაღებული.

ქალბატონ მარიამისთვის მაშინ არ მიკითხავს და დანამდვილებით ვერ ვიტყოდი, რომ იმ სურათზე მაინცადამაინც ბატონი ლადო იყო აღბეჭდილი. ფანჩატურში მდგარი სახეზე რომ დავაკვირდი, ერთი წამიერ ის ფოტო-სურათი გამახსენდა.

მანქანაში ვკითხე, რა თქმა უნდა, დიდი ყოყმანის შემდეგ გავბედე მეკითხა, ამა და ამ სურათზე, ამა და ამ ქალბატონთან ერთად თქვენ ხომ არა ხართ გადაღებული მეთქი. მე ვარო, მითხრა, მერმე გაკვირვებულმა მომხედა:

— თქვენ იცნობდით ქალბატონ მარიამს?

— დიახ, ძალიან კარგად ვიცნობდი ქალბატონ მარიამს! — მერმე დაწვრილებით ვუამბე, როგორ გავიცანი და დავუახლოვდი, ისიც ვუთხარი, რომ მე შევადგინე მისი ბიბლიოთეკის კატალოგი.

ბატონი ლადო გულისყურით მისმენდა, შემდეგ სინანულით გააქნია თავი და მითხრა, ის ბიბლიოთეკა სამწუხაროდ აღარ არსებობსო.

— ვიცი, ბატონო ლადო, ჩემი თვალით ვნახე ეგ დარბევა. — ეს ამბავიც წვრილად მოვუყევი.

— რა უბედურებაა, ღმერთო, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ!

— იცით, რა ვერ გავიგე? რატომ აყოვნებდა და დროზე არ გადასცა ის ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს? ანდა რატომ მისცეს ბრბოს იმ ბიბლიოთეკის დარბევის უფლება?!

— ჩვენ უკვე მოვედით, ბატონო ოზო. თუ ინებებთ და ოჯახში მეწვევით, გეტყვით ისეთ რამეს, რაც თქვენ შეიძლება, არ იცოდეთ.

მანქანიდან გადმოვედით, მე მძღოლი გავისტუმრე. შორს არა ვცხოვრობ და ფეხით წავალ მეთქი, ცოტათი ვიცრუე. ბატონმა ლადომ ისევ შემომთავაზა, თუ არ გეჩქარებათ, ჩემთან შევიდეთო.

— სხვა დროს მოვალ, ბატონო ლადო. — ფეხს ვითრევდი, თავხედობადაც კი მეჩვენებოდა გაცნობისთანავე ასეთი კაცის ოჯახში სტუმრობა.

— თუ დღეს არ გაშინაურდით, სხვა დროს აღარ მოხვალთ. შევიდეთ, მურაბიანი ჩაი დავლიოთ.

ეს იყო მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მიჯნაზე აშენებული სამსართულიანი, რკინის აივნებიანი შენობა, რომელიც პატარა, მყუდრო ქუჩაზე ასეთსავე სამ-ოთხ სართულიან სახლებშორის იდგა. სანახევროდ ბნელ სადარბაზოში შევედით და ქვის ფართო კიბეს ავყევით. ბატონი ლადო პირველ სართულზევე შეჩერდა, მარჯვენა კართან დამაგრებულ ზარის ღილაკს თითი დააჭირა. კარი გაგვიღო მოხუცმა ქალბატონმა, ბატონი ლადოს მეუღლემ და ვიწრო შესასვლელის გავლით დიდ ოთახში შეგვიძღვა. გაოცების ღიმილი ვერ დავმალე, იმდენად უეცარი იყო კარს იქით ჩიხტიკოპიანი ქალბატონის გამოჩენა. ამგვარად გამოწყობილ ქალებს იმ დროს უკვე იშვიათად შეხვდებოდით, ისიც კახეთის ტრადიციულ ქალაქებში. როგორც შემდეგ სუფრაზე საუბრისას გაირკვა, ქალბატონი ბაბო მართლაც კახელი აზნაურის შთამომავალი აღმოჩნდა, გვარად ციხისთავი. საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანისა იყო, სრული, პირმრგვალი, გამუდმებით იღიმებოდა. ჩემს იქ ყოფნაში მის სახეს კეთილი ღიმილი არ მოშორებია.

ოთახში შესვლისთანავე ვიგრძენი, თითქოს სხვა ქვეყანაში, სხვა სამყაროში მოვხვდი. იატაკიდან ჭერამდე ყველაფერი ძველი იყო, ჰაერიც კი: სასადილო მაგიდა, სკამები, ტახტი, კარადები, თაროები, მოყვითალო-მომწვანო შორენკეცით მოპირკეთებული კედლის ღუმელი და ბუხარი, ნავთის ლამპა, შანდლები, დიდი ბროლის ჭაღი და, რაც მთავარია, კედლებზე დაკიდებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის ხის ჩარჩოიანი უამრავი ფოტოსურათი — გახუნებული, ფერგადასული, გაცრეცილი...

ღმერთო, როგორ მიყვარდა ასეთი სურათების თვალიერება! სულ მაინტერესებდა გამეგო, ვინ იყვნენ ეს ქართულ თუ ევროპულ. აწ უკვე ძველმოდურ ტანსაცმელში გამოწყობილი, დღევანდელი ადამიანის სახიდან უკვალოდ გამქრალი გამომეტყველების მქონე ადამიანები. მათ გამოხედვაში დარდიცა და უდარდელობაც, სიხარულიცა და მწუხარებაც, ჭირიცა და ლხინიც, სიმკაცრეცა და ლმობიერებაც, სიმხნევეცა და დაღლილობაც, სულ სხვა ზნეობრივი ნიშნით იყო აღბეჭდილი. ამ სურათების თვალიერებისას გულში შეუმჩნევლად შემომეპარებოდა ბედისწერის გარდუვალობის. მსუბუქი სევდა ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს რაღაც ძალზე ძვირფასი დავკარგე და ამის გამართლებას ბედისწერის გარდუვალობაში ვეძებდი.

ბატონმა ლადომ მეუღლეს ჩემი თავი გააცნო. მე მგონი, ქალბატონი ბაბო ფრიად კმაყოფილი დარჩა, რომ დღეს ესტუმრა ის ადამიანი, ვინც პირადად იცნობდა ქალბატონ მარიამს, ვინც მისი ბიბლიოთეკის სრული კატალოგი შეადგინა. მოხუცმა ქალბატონმა ნაღვლიანად გაიღიმა, რა სამწუხარო, ასეთი ბიბლიოთეკა ბარბაროსულად რომ დაარბიესო, თქვა და ოთახი შეუმჩნევლად დატოვა. ჩვენ მივუსხედით შუა ოთახში. ჭაღის ქვეშ მდგარ გრძელ მაგიდას და ბატონმა ლადომ მცირე დუმილის შემდეგ გააგრძელა მანქანაში დაწყებული საუბარი. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ბიბლიოთეკა განზრახ, წინასწარ შემუშავებული გეგმით იყო დარბეული და განადგურებული.

— მე იმასაც ვფიქრობ, — ამბობდა ბატონი ლადო, — ქალბატონ მარიამს შემთხვევით არ დასჯახებია ეტლი, ქალბატონი მარიამი მოკლეს!

— კი, მაგრამ, რატომ?! — უნებურად შევძახე.

— ბატონო ოზო, ასეთ შეკითხვებს, უკვე დიდი ხანია, აღარავინ იძლევა, თუ ვინმე შემთხვევით იკითხავს, მის

პასუხს ჩვეულებრივად არ გასცემენ. — ბატონი ლადო დაფიქრდა, მარჯვენა ხელის შუათითს დიდ ხანს უკაკუნებდა მაგიდას, რბილად, თითქმის უხმაუროდ. — მაგრამ ზოგი რამ უნდა გაგანდოთ. ჯერ ერთი, გაცნობისთანავე თქვენდამი კეთილად განვეწყე. მეორე — თქვენ ქალბატონ მარიამს ახლოს იცნობდით და მისი ნდობა დაიმსახურეთ. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს... და კიდევ: მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს სიმართლე.... სიმართლის ნაწილი მაინც.. ეს მთავარია!

ქალბატონი ბაბო დაბრუნდა, მურაბიან ჩაიზე უნდა დაგპატიჟოთო, მოგვახსენა და სუფრის გაწყობას შეუდგა.

— ქალბატონი მარიამი გახლდათ მეუღლე რუსეთის ჯარმის ყოფილი ოფიცრის მერაბ ციხისთავისა. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი გენერალ მაზნიაშვილის არმიაში ჩაირიცხა და მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელი საქართველოს დაცვისთვის ჩატარებულ ყველა ბრძოლაში. როდესაც ნოე ჟორდანიამ და მისი მთავრობის წევრებმა საქართველო დატოვეს, მერაბ ციხისთავი გენერალ მაზნიაშვილთან ერთად სამშობლოში დარჩა, ძირითადად თელავში, პაპისეულ სახლში ცხოვრობდა. მერაბ ციხისთავს მე არ ვიცნობდი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეუღლის მკვიდრი ბიძაშვილია, ძალზე მახლობელი ადამიანი. ბატონო ოზო, რასაც ახლა გიყვებით, სხვებისაგანა მაქვს გაგონილ-მოსმენილი. მან ოცდაოთხი წლის აჯანყებაშიც მიიღო მონაწილეობა და, როგორც ამბობენ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის მარჯვენა ხელი იყო. მოგეხსენებათ, აჯანყებულები დამარცხდნენ, მერაბ ციხისთავსაც სამშობლოში აღარ დაედგმობოდა და ქაქუცას გაჰყვა ემიგრაციაში. ქალბატონმა მარიამმა ბევრი იფიქრა, იყოყმანა, ბოლოს და ბოლოს საქართველოში დარჩენა გადაწყვიტა. დარწმუნებული იყო, უცხოეთში გახიზნულები შინ მალე დაბრუნდებოდნენ. თანაც [illegible], აქ უფრო მეტ სარგებლობას მოატანდა ქვეყანას, ვიდრე სამშობლოდან გადახვეწილი. მაგრამ მოვლენები ხშირად ჩვენს ნაფიქრალსა და ნავარაუდებს არ ემთხვევა ხოლმე და ისინიც, ცხადია, უკან აღარ დაბრუნებულან. ოცდაათ წლამდე, ასე თუ ისე, ჰქონდათ მიმოწერა, ერთმანეთს უგზავნიდნენ საქმიანსა თუ ჩვეულებრივ წერილებს. მერმე ყოველგვარი კავშირი გაწყდა და ქალბატონმა მარიამმა ისიც კი არ იცოდა, ცოცხალი იყო თუ არა მისი მეუღლე. ამბობენ, საფრანგეთის არმიის ოფიცერი, მაიორი მერაბ ციხისთავი გერმანელებთან ბრძოლაში დაიღუპაო. დიახ, ასე ამბობენ, დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი.

— ქალბატონი მარიამი გაუთხოვარი მეგონა, შინაბერა. თავის მეუღლეზე ჩემთან სიტყვა არ დასცდენია.

ეს გასაგები უნდა იყოს, ბატონო ოზო.

— რა თქმა უნდა, გასაგებია.

ამასობაში ქალბატონმა ბაბომ სუფრა გააწყო. მართალი გითხრათ, მე ვერც წარმოვიდგენდი, თუ ქვეყნად ამდენგვარი მურაბა არსებობდა. ჩემი ცოდნა მხოლოდ სამი სახეობის მურაბით ამოიწურებოდა: ალუბალი, შინდი და ღორღნაშო... ხო, კიდევ კაკლის მურაბა. აქ კი მაგიდაზე მინის პატარა ვაზებით მორთმეული იყო ბადრიჯნის, ვარდის, პამიდვრის, საზამთროს, თეთრი ბლის, მაყვლის, მარწყვის მურაბები. ქალბატონ ბაბოს თავისი ხელით გადმოჰქონდა ხან ერთი, ხან მეორე და მირჩევდა, ახლა ეს მურაბა გასინჯეთ, ეს უფრო გემრიელიაო. უფროსებისაგან ხშირად მსმენოდა, მავანმა და მავანმა მურაბიან ჩაიზე დაგვპატიჟა და მშვენიერი საღამო გავატარეთო, ჩვენთანაც მოდიოდნენ ხოლმე საღამოობით სტუმრები, მაგრამ მაშინ, პატარაობისას, მე არ მესმოდა ამგვარი საღა-

მოების გემო. ახლა კი თვითონ გავხდი მონაწილე ასეთი პატიჟისა.

— ლადო, იქნებ ბატონ ოზოს არ აინტერესებს, რასაც შენ უყვები. თავს ნუ მოაბეზრებ.

— გინდაც თავი მოვაბეზრო, ჩემო ბაბო, მე ვალდებული ვარ, ვუთხრა სათქმელი. ბატონი ოზო თვეობით იჯდა იმ ბიბლიოთეკაში და მუშაობდა. ამაგი დასდო... ხომ უნდა იცოდეს, რატომ დაარბიეს, რატომ ააოხრეს და გაანადგურეს იქაურობა?

— მერაბ ციხისთავი ჩემი ბიძაშვილი იყო! — ერთგვარი სიამაყის გრძნობით მომმართა ქალბატონმა ბაბომ.

— ეგ უკვე ვუთხარი.

— ჰოო? კარგი, კარგი, ხმას აღარ ამოვიღებ! — ქალბატონი ბაბო ადგა, ვიდრე გავიდოდა, ჩაი კიდევ ერთხელ შემოგვთავაზა.

ჩვენ უარი არ გვითქვამს.

— ქალაქის იმ რაიონში აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობს ყოფილი ჩეკისტი არტემ კაზანჯელი, გაურკვეველი ეროვნების ადამიანი, რომელიც დღევნდელი სახელმწიფო წყობის ნამდვილი პირმშოა. თავის დროზე მაუზერით ებრძოდა ოცდაათხი წლის აჯანყებულებს, ხოლო აჯანყების ჩახშობის შემდეგ დასდევდა და ხვრეტდა ყოფილ შეთქმულებებს, როგორც მაშინ უწოდებდნენ, სამშობლოს მოღალატეებს, ხალხის მტრებს. მართალია, არც გარკვეული ეროვნების წარმომადგენლებს დაუღვრიათ ნაკლები სისხლი, მაგრამ არტემ კაზანჯელი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. განუკითხავად ხვრეტდა ეჭვმიტანილებსაც და იმათაც, ვისაც თვითონ ჩათვლიდა დამნაშავედ, დასჯის ღირსად. დახოცილთა გვამებზე გადავლით სწრაფად გაიკეთა კარიერა და სულ ახალგაზრდა კაცს ჩეკაში უკვე მაღალი პოსტები ეკავა. ომის დამთავრების შემდეგ სამოქალაქო სამსახურში გაამწესეს — პირდაპირ რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ დანიშნეს.

როგორც ბატონი ლადო გარაუდობდა, ქალბატონი მარიამის ბიბლიოთეკაში არსებობდა საიდუმლო სეიფი, სადაც ინახებოდა რაღაც საბუთები, რაღაც დოკუმენტები და მერაბ ციხისთავის მიერ საფრანგეთიდან გამოგზავნილი წერილები. ქალბატონი მარიამი არ ამხელდა და, რა თქმა უნდა, არც ბატონმა ლადომ იცოდა, რა დოკუმენტებს ინახავდა იმ საიდუმლო საცავში. აღმასკომის თავმჯდომარეს ორჯერ მიუგზავნია თავისი კაცები. პირველ მისვლაზე მშვიდობიანად დაუთვალიერებიათ ბინა, განსაკუთრებით ბიბლიოთეკით დაინტერესებულან. შესანიშნავიაო, ნამდვილად ერის სულიერი კულტურის ცენტრიაო, უთქვამთ. ბედნიერია ის ქვეყანა, რომელსაც ასეთი კეთილშობილი და მოამაგე ქალები ჰყავსო, ხოტბა შეუსხამთ და უდიდებიათ ბიბლიოთეკის დამაარსებელი. კმაყოფილი, ქათინაურებით ნასიამოვნები ქალბატონი მარიამი მხოლოდ მაშინ შეეშინებულა, როცა გამოთხოვებისას ერთერთ მაქებარს თითქოს სასხვათაშორისოდ უკითხავს, ამდენ წიგნებში რაიმე აკრძალული ლიტერატურა ხომ არ ურევიაო.

— ბატონებო, მე არ ვიცი, რას ნიშნავს აკრძალული ლიტერატურა! — თავდაჭერილად გაუცია პასუხი გაკვირვებულ ქალბატონ მარიამს.

პირველი ვიზიტი ასე დამთავრებულა.

მეორედ უკვე დაუდევრად ანდა უფრო ზუსტად: თავხედურად მოსულან, აკრძალულ ლიტერატურას ეძებთო, განუცხადებიათ და ბიბლიოთეკაში ჩაკეტილან. არტემ კაზანჯელმა, როგორც ჩანს, იცოდა, რომ იმ წიგნებს შორის გადამალული იყო ისეთი რამ, რაც უსათუოდ უნდა მოეპოვებინა ან გაენადგურებინა.

დაუპატიჟებელი სტუმრები თითოთითოდ გამოლაგებულან წიგნთსაცავიდან, კარი გამოუხურავთ და დაუმშვიდობებლად გასცლიან იქაურობას. თითქმის

სამი საათი ბუჯურობდნენ ჩაკეტილ კარს იქით და ქალბატონ მარიამს უფიქრია, წიგნები აყრილ-დაყრილი, იატაკზე მიმოფანტულ-მიმოფენილი და გაობრებული დამხვდებაო, მაგრამ შემცდარა, ყველა წიგნი თავის ადგილზე დახვედრია, თითქოს არტემ კაზანჯელის ბიჭებს ხელი არაფრისთვის უხლიათ, თითქოს ბიბლიოთეკაში არც შესულან.

ქალბატონი მარიამი ოდნავ დამშვიდებულა, სული მოუთქვამს, თუმცა ამ სიმშვიდის წიაღიდან ამოზრდილი გაურკვეველი მღელვარება თუ მოუსვენრობა მაინც დაუფლებია. თითქოს მოსალოდნელი საშიშროება როგორღაც წინასწარ უგრძვნია და იქვე გადაუწყვეტია, ხვალვე წავალ და ჩემს ბიბლიოთეკას ოფიციალურად უნივერსიტეტს გადავცემო. არც მეორე დღეს წასულა და არც მესამე დღეს. ბატონი ლადოს ვარაუდით, ქალბატონი მარიამი წიგნების გადაცემას იმიტომ აყოვნებდა, რომ არ იცოდა, რა მოეხერხებინა იმ ქაღალდებისათვის, რომელსაც საიდუმლოდ ინახავდა, შესაძლებელია, კედელში დატანებულ სეიფში.

დოკუმენტებს, ცხადია, ვერ მიაგნეს, მაგრამ არტემ კაზანჯელს, როგორც ჩანს, მაინც სჯეროდა, დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ ჩაიგდებდა ხელში იმას, რასაც ეძებდა. ბატონ ლადოს დაბეჯითებით არ უთქვამს თუმცა არც ეშვი შეეპარვია, რამდენჯერმე გაიმეორა, ქალბატონი მარიამი წინასწარ დაგეგმილი მკვლელობის მსხვერპლი იყოო. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია ამგვარი დამთხვევა, როცა ეტლგადავლილი ქალი კვდებოდა, სწორედ მაშინ დაიწყო ბიბლიოთეკის დარბევა.

არტემ კაზანჯელი კარის მეზობლებს — მრავალსულიან ორ ოჯახს თურმე დაეპირებია, ქალბატონი მარიამის ბინას თქვენ გაგინაწილებთო. ამით წაქეზებულებსა და აღტკინებულებს დანაპირები რომ მიეღოთ, რა თქმა უნდა, ძალ-ღონე არ დაუშურებიათ. ბატონმა ლადომ ვერ [illegible] ბოლოს და ბოლოს იპოვნეს [illegible], რასაც ეძებდნენ. სამწუხაროდ, არ ვიცი და ალბათ ვერასოდეს შევიტყობო, გულისტკივილით დაასრულა თავისი სათქმელი. ხმა გაებზარა, თითქოს დაღალა კიდეც და მე დავინახე, ჩამქრალი თვალები როგორ აევსო ნაღველით ან იქნებ — ტკივილით.

დანარჩენის მოწმე მე თვითონ ვიყავი. მათ მთხოვეს და მეც ვუამბე, რაც ვნახე, რაც განვიცადე. მოხუცები ხმაგაკმენდილები მისმენდნენ, ამ დიდი უბედურების წინაშე ისეთი უმწეონი და დათრგუნულნი მომეჩვენნენ, რომ თითქმის ვინანე, იქნებ ეს ყველაფერი არ უნდა მომეყოლა მეთქი.

თავად მე დამცა თავზარი ჩემივე მონათხრობმა. მეხსიერების წყვდიადიდან თანდათან ამოცურდა ის საშინელი და საბედისწერო დღე, ნაცემი და ტანსაცმელშემოხეული ლუკასთან ერთად რომ ვიდექი ქუჩის კუთხეში და ჩემი უსუსურობის გამო ვტიროდი. სიგიჟემდე აგზნებული თვალები. შეშლილი და ალეწილი სახეები. ყვირილი. ჯაჯგური. რიგ-რიგ. ჩამოლეწილი თაროები. დახეული, დაფლეთილი, დაფურცლული წიგნები, მიმოფანტული ყველგან: იატაკზე, ეზოში, ქუჩაში... აღტკინებული ხალხი, რომელიც ტაშტებით, ვედროებით, ტომრებით ეზიდებოდა წიგნებს. მიჰქონდათ, დაუსრულებლად მიჰქონდათ.

— მე მგონია, ბატონო ლადო, ამ ხალხს წიგნები წასაკითხად არ წაუღია. შეიძლება, მათ შორის მკითხველიც ერია, მაგრამ უმრავლესობა, ჩემი აზრით, ვაჭრუკანა უნდა ყოფილიყო. ისე დაუდევრად და განურჩევლად ტენიდნენ ტომრებსა და ვედროებში, რომ წიგნის თავგადაკლულ მკითხველებს არ ჰგავდნენ. მათ ქაღალდის პატარა პარკები უფრო სჭირდებოდათ მზესუმზირისა თუ ბატიბუტის ჩასაყრელად და გასაყიდათ. ისინი უფრო ბაზრების

მარდიულ ბინადრებს მაგონებდნენ, ერთიდაიმავე ადგილზე კრუხებივით რომ სხედან და ათასგვარ სანელებელს ან ყვავილებისა თუ ბოსტნეულის თესლს ყიდიან. წიგნის მკითხველს წიგნი სხვანაირად მიაქვს, სხვანაირად უჭირავს ხელში, სხვანაირად ეპყრობა... არა, ესენი სხვა ჯურის ხალხი იყო!

— ბაბო, ჩვენი საშველი არ არის!— თქვა სასოწარკვეთილმა ბატონმა ლადომ, — ჩვენ დაღუპული ერი ვართ!

— ნუ იტყვი, ლადო, გენაცვალე, ამ ახალგაზრდა კაცთან მაინც ნუ იტყვი! რას ჰქვია, დაღუპული ერი ვართ!

— ჩემო ბაბო, ამათაც უკვე იმდენი იციან და იმდენი განუცდიათ, რამდენიც — ჩვენ. აბა, მითხარი, რისთვის ტიროდნენ ყმაწვილები (ლუკა და მე ვიგულისხმებით), როდესაც დაინახეს, როგორ ნადგურდებოდა ჩვენი სულიერი განძი, როცა აგზნებული ბრბო ფლეთდა და გლეჯდა წიგნებს, გაჰქონდა და გამოჰქონდა, ფურცელ-ფურცელ ანიავებდა მათთვისვე შექმნილ საუნჯეს? ხომ ტიროდნენ ეს ბიჭები, ხომ თავის თვალით ნახეს და გულით განიცადეს, რა უბედური ხალხი ვართ? მაშ, რისთვის დაღვარეს ცრემლი, თუ არ იცოდნენ?!

საკმაოდ გვიან წამოვედი ესაკიების ოჯახიდან. გარეთ გამომყვნენ, ქუჩამდე გამომაცილეს, უსათუოდ უნდა გვესტუმროთო, პირობა ჩამომართვეს, ჩვენი სახლის კარი თქვენთვის მუდამ ღია იქნებაო. ეს არ იყო მასპინძლის ჩვეულებრივი თავაზიანობა, მე მჯეროდა მათი გულწრფელობისა და მეც გულწრფელად ვპირდებოდი, უსათუოდ ეწვევით მეთქი.

— ძალიან მიხარია, ატის რომ ასეთი მეგობარი ჰყავს. მე მიყვარს ატი. პატივს ვცემ მის გონიერებას, მის ლტოლვას განათლებისკენ და უაღრესად დახვეწილ გემოვნებას. გიყვარდეთ ერთმანეთი! — მითხრა გამომშვიდობებისას ბატონმა ლადომ.

შინ ფეხით მივდიოდი და დაუკმაყოფილებლობის, ერთგვარი სინაკლულის გრძნობა მაწუხებდა. ბატონი ლადო ოცდაოთხი წლის ამბებზე ... ...

ნისლაურიდან ჩვენს სოფელში უნდა ჩავსულიყავი და თუკი ზიზი დედამისთან რაიმეს დამაბარებდა, ამბავს სიამოვნებით ჩავუტანდი. მაგრამ მაშინვე გამოვტყდი, სულაც არ მაწუხებდა ზიზის დანაბარების სოფელში ჩატანა. ან ის კი დამიჯერებს ასეთ ტყუილს: ზიზი, გენაცვალე, იმიტომ გინახულე, რომ ხვალ სოფელში მივდივარ და დედაშენთან რამეს ხომ არ დამაბარებ მეთქი. თავს ვიტყუებდი, თითქოს სიმართლის გამჟღავნების მეშინოდა. მეშინოდა თუ მერიდებოდა, სულერთია, ნამდვილ სურვილებსა და ზრახვებს ვნიღბავდი, ალბათ მეგონა, ზნეობრივად ასე უფრო უკეთესად გამოვიყურებოდი. მინდოდა ლაღი, პირდაპირი, უშუალო ვყოფილიყავი, მე კი ზნეობის ნიღბით უზნეობას ვეჩვეოდი. ზიზისთან აღარ მჭირდებოდა ეს თვალთმაქცობა, შემეძლო უშუალოდ შევხვედროდი და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე გაგვერკვია ჩვენი დღევანდელი ურთიერთობა.

ჯერ ვაჭრობის მუშაკთა კლუბში მივედი, ვიფიქრე, თუ არ დამხვდა, მეტყვიან მაინც, სად ვეძებო მეთქი. კლუბი ჩემს სახლთან ახლოს, ვორონცოვის მოედანზე იყო. უცებ შესვლა მეუხერხულა, ერთხანს კლუბის შესასვლელთან ვიწრიალე, ბოლოს და ბოლოს გაუბედაობა დავძლიე, მაგრამ შენობაში მხოლოდ დამლაგებელი დამხვდა. დამლაგებელმა, რასაკვირველია, ზიზის არსებობაც არ იცოდა და გაწბილებული გამოვბრუნდი. მერმე ტროლეიბუსს გავყევი კინოსტუდიამდე.

კინოსტუდიის წინ უამრავი ხალხი ტრიალებდა, ზოგი საქმიანად ფუსფუსებდა, უმრავლესობა უსაქმოდ იდგა და ლაზღანდარობდა. შიგნით არ შემიშვეს, არც ეზოში, არც შენობაში, საშვი წარმოადგინეო. დიდ ხანს ვიდექი და ეზოში ვიხედებოდი, იქნებ შემთხვევით ზიზის თვალი მოვკრა მეთქი.

იმედი თითქმის გადამეწურა. ფეხი მაინც არ მომიცვლია, თუ არ მომატყუა და ნამდვილად აქ მუშაობს, ადრე თუ გვიან, უსათუოდ [illegible] ეზოს გარეთაც და შიგნითაც ხალხი ირევა, თან ისეთი ღრიანცელია, ლამის თავბრუ დამეხვა. სიგარეტის მოსაწევად იქვე, რკინის მესერთან, ბორდიურზე ჩამოვჯექი. მზე უკვე გადმოიხარა და დაცხა.

როგორც კი გავაბოლე, ვიღაც მაღალი კაცი მოვიდა და სიგარეტი მთხოვა. მივეცი, თან წამოვდექი და ვკითხე, აქ რეკვიზიტი სად იქნება მეთქი. ეზოში უნდა შეხვიდე, სიღრმეშიაო. ასანთიც გავუწოდე.

— ვის ეძებ, იქნებ დაგეხმარო?

— სკოლის მეგობარია... ზიზი...

— აა, ზიზი... გასაგებია! — სიტყვა შემაწყვეტინა, თვალი ჩამიკრა და მხარზე ხელი დამკრა. — თუ არ ვცდები, მაგათი გადამღები ჯგუფი გუშინ საღამოს ბათუმში გაემგზავრა. გინდა, დაგიზუსტებ?!

— არა, არა, გმადლობთ!

უცნობმა კეთილისმსურველმა კიდევ ერთხელ გამიღიმა და თვალიც ჩამიკრა, რას იზამ, ერთი დღით დაგაგვიანდაო.

მოშხამული წამოვედი კინოსტუდიიდან. რა თქმა უნდა, მივხვდი, კინოსტუდიაში ზიზი მაინცადამაინც მაღალი რეპუტაციით არ სარგებლობდა, როგორც ჩანს, ყველა იცნობდა... საეჭვო ლიმილიცა და მხარზე ხელის ტყაპუნიც ამის დასტური უნდა ყოფილიყო. გუნება ჩემმა გაწბილებამაც მომიშხამა. რატომღაც მეგონა, დღეს უსათუოდ ვნახავდი ზიზის, შინ წავიყვანდი და ხვალამდე ერთად ვიქნებოდით, დილიდანვე მასთან შეხვედრისთვის ვიყავი განწყობილი. პირში ჩალაგამოვლებულივით მივდიოდი და უკვე აღარ ვიცოდი, რა მექნა, სად წავსულიყავი. ჩელუსკინელების ხიდთან მისულს გამახსენდა, დღეისათვის პროფკომის თავმჯდომარესთან ვიყავი დაბარებული. რატომ მიბარებდა არ უთქვამთ, არც მე მიკითხავს, რადგან მისვლას არ ვაპი-

რებდი. ახლა კი უაზრო და უსაგნო ხეტიალისას გავიფიქრე, მივალ გავიგებ, რისთვის მიბარებს მეთქი.

თავად თავმჯდომარე ადგილზე არ დამხვედრია. მისმა მოადგილემ, კოპწია, გაპუწკულმა ქალიშვილმა მითხრა, როგორც წარჩინებულ სტუდენტსა (პირველად გავიგე, თურმე წარჩინებული სტუდენტი ვყოფილვარ) და ომგადახდილის შვილს უნივერსიტეტის პროფკომი ნახევარი საგზურით მაჯილდოვებდა. ნახევარი საგზური რას ნიშნავს მეთქი, ვკითხე. მთელი საგზური ოცდაოთხდღიანია, ნახევარი კი თორმეტდღიანიო, მიპასუხა, რაღაც დავთარი გადმოიღო და ხელი მომაწერინა. მერმე „ნახევარი საგზური" გადმომცა და მომილოცა დაჯილდოვება. ჩვენი თავმჯდომარე თვითონ ნაომარი კაცია და დიდ პატივსა სცემს ომგადახდილთა ოჯახებსო, გამიმხილა საიდუმლოსავით.

გაოცებული და გახარებული გამოვედი ვესტიბიულში. საგზურს დავხედე, ჩემს სახელზე იყო გაფორმებული, სუფთა, კოხტად ჩაგვირისტებული ასოებით ეწერა ჩემი სახელი და გვარი. ბათუმის მახლობლად, ციხისძირში ოთხ აგვისტოს უნდა გამოვცხადებულიყავი. ესე იგი ამ დღეს პირველად შევხვდებოდით მე და ზღვა ერთმანეთს. საგზური ოთხად დავკეცე და შარვლის უკანა ჯიბეში ფრთხილად ჩავაცურე. იმ წუთიდანვე დავიწყე ზღვაზე ოცნება, მაგრამ...

ამ დროს ვიგრძენი ვიღაც მითვალთვალებდა. უნებურად შევკრთი. შევკრთი რადგან ბოლო ხანებში ზოგჯერ მეჩვენებოდა, ვიღაც ჩემს შორი-ახლოს მდგარი თითქოს შეუმჩნევლად მადევნებდა თვალყურს, ცდილობდა თვალთა ხედვის არედან არ გავცლოდი. მაგრამ ახლა არკი მომეჩვენა, ნამდვილად დავინახე, ვიღაც, როგორც კი შევნიშნე, ბოძს მიეფარა. წელანდელი პატარა სიხარული უმალვე ჩამიქრა და დაძაბული ჩქარი ნაბიჯით გავეშურე გასასავლელისკენ. ხუთიოდე ნაბიჯი გადავდგი, უკნიდან ძალზე ნაცნობი ხმა გავიგონე. ვერ მივხვდი, ვინ მეძახდა.

— ოზო!

მივიხედე. გაოცებისაგან ლამის პირი დავაღე: ჩემკენ ლამარა მორბოდა. სწორედ ის ლამარა, რომელსაც ინდუსტრიულ ინსტიტუტში პირველსავე დღეს შევხვდი და ამ დიდრონი და ნისლიანი თვალების გამო ერთი ნახვით შემიყვარდა. მას შემდეგ, რაც მათ ოჯახში ულირსად მოვიქეცი და მამამისს შეურაცხყოფა მივაყენე, ლამარა არ მინახავს, არ შემხვედრია. ახლა უნივერსიტეტის შესასვლელში მორბოდა, უფრო ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, აჩქარებული მომდევდა მეთქი. ისეთი შეწუხებული სახე ჰქონდა, თითქოს შიშობდა, ვაითუ ვერ დავეწიოო. მივბრუნდი, შესახვედრად ნაბიჯიც გადავდგი და დაბნეულად გავუღიმე. ნამდვილად არ მოველოდი ამ გარემოში მის გამოჩენას. თან მივხვდი, ეს შეხვედრა შემთხვევითი არ იყო, ეტყობა, საგანგებოდ მოვიდა ჩემს სანახავად.

— მაპატიე, ოზო! — იღიმებოდა და არც იღიმებოდა. აშკარად ღელავდა, თვალს მარიდებდა. ძნელი გამოსაცნობი იყო, რისთვის მიხდიდა ბოდიშს.

— გამარჯობა, ლამარა!

ჩვეულებრივად მივესალმე, თითქოს ყოველ დღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ეს ისე ბუნებრივად გამომივიდა, თვითონაც არ მოველოდი. მომეჩვენა, რომ ჩემმა ასეთმა შეხვედრამ ლამარა ოდნავ დაამშვიდა, ყოველ შემთხვევაში, არც მე და არც ის, მაშინდელი კონფლიქტური განშორების მიუხედავად, დაძაბულები არ ვიყავით.

„მაინც რა უნდა, რისთვის მოვიდა?"

უნივერსიტეტის შენობიდან გამოვედით. ბარეთ გაჩახჩახებული დღე დაგვხვდა, ჰაერი სუფთა და კრიალა იყო. ისევ ცხელოდა. ქვის კიბეებით პირდაპირ ეზოში დავეშვით. საით წავიდეთ მეთქი, ვკითხე. ჩემთვის სულერთიაო, მხრები აიჩეჩა. უნივერსიტეტის ბაღში გასეირნება შევთავაზე, უსიტყვოდ

დამთანხმდა. ადრეც ასე იცოდა, უხმოდ, მორჩილად მთანხმდებოდა, რაც უნდა შემეთავაზებინა.

დაფშვნილი აგურით მოფენილ ბილიკს გავყევით, მივდიოდით დადუმებულები, თითქოს შინაგანად სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რაღაცისათვის ვემზადებოდით, მაგრამ რა იყო ეს რაღაც, მე არ ვიცოდი. გზა და გზა მისი კოტიტა დეიდები მახსენდებოდა, ოჯახში სასაცილოდ რომ ფუსფუსებდნენ, ოღონდ უკვე დამავიწყდა, რამდენი იყვნენ — სამი თუ ოთხი? მეხსიერებაში დედამისიც ამოგოგმანდა — გერმანული ფაიფურის დიდი მცოდნე და მოტრფიალე. ამ გახსენებამ ოდნავ გამამხიარულა.

„მაინც რა უნდა, რისთვის მოვიდა?"

ლამარა გაყუჩებული მომყვება. საზაფხულო თეთრი კაბა აცვია, თხელი, მოღიავებული. მკლავები სულ დაწვრილებია, სუსტი მხრები ავადმყოფ გოგონას მხრებს მიუგავს, გამხდარა, თითქოს დალეულა კიდეც. სახეც დავიწროებული მეჩვენება, მხოლოდ თვალები შერჩენია ისეთივე დიდი და ნისლიანი, ამავე დროს — მეტყველი, ერთი შემოხედვით რომ გაგრძნობინებს და გაგაგებინებს სათქმელს.

— ჩემს სანახავად მოხვედი?

— კი! — დაუფიქრებლად მიპასუხა.

— რა იცოდი, აქ რომ მნახავდი?

— მაგას რა ცოდნა უნდოდა! ვიფიქრე, გამოცდებს აბარებს და როგორმე გამოჩნდება მეთქი.

— გამოცდები მე, რა ხანია, დავამთავრე. დღესაც შემთხვევით მოვედი.

— მართლა? გუშინაც აქ ვიყავი, დილიდან.

ბოლოს და ბოლოს მივადექით მწვანე ფერდობს, რომელიც პაწაწინა მდინარეს ვერეს ნაპირზე ეშვებოდა. აქედან უკვე დიდი სივრცე მოჩანდა, ნახევარი თბილისი, მტკვრის მარცხენა მხარე ხელისგულზე იყო გაშლილი. ახლაღა მივაქციე ყურადღება მოკრიალებულ ცას, თვალსაწიერზე ღრუბლის ნაფლეთსაც ვერ მოჰკრავდი თვალს. მერმე ჩრდილოეთით კავკასიონს გავხედე — შორს, ვარდისფერ ბურუსში ეხვია — [illegible] იყო ოდნავ ამოზრდილი. მზე მხოლოდ მას წვდებოდა და ანათებდა, აელვარებდა. ალბათ ყაზბეგია მეთქი, გავიფიქრე, თუმცა ბეჯითად არ შემეძლო ამის მტკიცება, რადგან არ მეგონა და არც ვისმე უთქვამს, თბილისიდან მყინვარწვერი მოჩანსო.

— ნუთუ მართლა ყაზბეგია?! — ვთქვი ხმამაღლა. მინდოდა ლამარასაც გაეზიარებინა ჩემი შთაბეჭდილება.

ლამარა ჩემ წინ თავდახრილი და დაფიქრებული იდგა, კავკასიონისკენ ზურგი ქონდა შექცეული. მეგონა, შეტრიალდებოდა, ჩემსავით მყინვარს გახედავდა. არ განძრეულა. კიდევ ერთხელ შევახსენე, აგერ ყაზბეგი მეთქი. ლამარამ არაბუნებრივად ცხელი თითები მკლავზე შემავლო და ამომხედა. იმ წუთში ჩემს თავსაც ვერ გავუმხელიის, რაც ვიგრძენი თუ დამემართა. კეფიდან დაძრული ვარვარა ჟრუანტელი უეცრად მოეფინა მთელ სხეულს, ლამის მუხლებში გამღუნა. თვალი ავარიდე და გარინდებული ველოდებოდი, როდის მინელდებოდა გულის გამალებული ბაგა-ბუგი.

„მაინც რა უნდა, რისთვის მოვიდა?"

რაღაცნაირად შემაწუხა მკლავზე შემოჭდობილმა უჩვეულოდ ცხელმა თითებმა, თუმცა შესაძლებელია, უფრო მაშინებდა, ვიდრე მაწუხებდა. შემაშინა მისმა ავადმყოფურმა სიმხურვალემ, რომლის დამმორჩილებელი ძალა თანდათან ულმობლად მეუფლებოდა, გუნებაში წინააღმდეგობას ვუწევდი, მე ვერ აღვადგენდი, ვერ განვაახლებდი იმ ურთიერთობას, რაც, მამამისის წყალობით, უკვე იმთავითვე მონელებული და დავიწყებული მქონდა. მთელი არსებით მძულდა მამამისი, მზარავდა, თავზარსა მცემდა გახსენებაც კი იმ ღამისა, როცა მან რევოლვერი დამიმიზნა.

— წავიდეთ. — ხმადაბლა, — თი-

თქმის ჩურჩულით გამანდო ეს მაგიური სიტყვა ლამარამ. — წავიდეთ, რა.

ორივენი შეთანხმებულებივით სწრაფად შემოვბრუნდით. ჩქარი ნაბიჯით გავიარეთ უნივერსიტეტის ნახევრად დაცარიელებული ეზო და ქუჩაში გავედით. ჯერ მანქანის გაჩერება ვცადეთ, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, მერმე მწვანე ტრამვაი მოხრიგინდა და უკანა ვაგონში გამალებულნი შევცვივდით. ლამარამ კი თქვა, წავიდეთო, მაგრამ მე არ მიკითხავს, საით მეთქი, დავადეთ თავი და წავედით. თითქმის ცარიელი ვაგონის უკანა ბაქანზე ვიდექით, ტრამვაი გულისგამწვრილებლად მიიზლაზნებოდა, ყოველ გაჩერებაზე უფრო მეტ ხანს იდგა, ვიდრე საჭირო იყო.

არც ლამარას, არც მე, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია, სხვადასხვა მხარეს ვიხედებოდით, თითქოს სათქმელი არაფერი გვქონდა ან დამდურებულები ვიყავით. ტრამვაი კი დაუსრულებლად მიზოზინებდა და მომაბეზრებლად გვარწევდა.

ბოლოს ბაღთან ჩამოვედით, თითქმის სირბილით ჩავათავეთ დაღმართი, მერმე სწრაფად გავიარეთ მშრალი ხიდიცა და ვორონცოვის ხიდიც, მოედანზე გასულებმა მარჯვნივ, ჩემი ქუჩისკენ გავუხვიეთ.

— შენთან მივდივართ?

— ხო.. ალბათ, კი. — ვუპასუხე დაბნეულად.

ათიოდე წუთში ჩვენი ეზოს ჭიშკარს მივადექით. ყოყმანი არ დამიწყია, არც მაშინდელივით მომრიდებია, მეზობლები რას იტყვიან მეთქი. პირდაპირ გადავჭერით ეზო და კიბე ავირბინეთ. შუშაბანდში შევედით, კარი მივხურე, გაშიშვლებულები ჩვენ უკვე საწოლში ვეხვეოდით და გაშმაგებულები ვკოცნიდით ერთმანეთს.

...და, აჰა, გაოფლილი ბედაური თავდავიწყებით მიაქროლებდა მსუბუქსა და ჰაეროვან ქალს ჭრელი ყვავილებით მოჩითულ ველზე. ამხედრებული შიშველი ქალი ამ ქროლვის ნეტარებას მინდობოდა, თავი უკან გადაეგდო — და მაღლა ასროლილი ორივე ბულით თქოს ქარში გაწეწილსა თუ გაფანტულ თმის შეგროვებას ცდილობდა. მისი თრთოლვა და ჟრუანტელი გადამდები იყო და ბედაურიც მიჰქროდა, აგზნებული ლტოლვის ჟინით, რასაც დრო და დრო ამხედრებული ქალის მსუბუქი შეკივლება უმძაფრებდა...

მე გულაღმა ვწოლილი, ლამარამ ზეწარი გადაიფარა და ცალ მკლავზე დაყრდნობილი ეშმაკური ღიმილით დამცქეროდა. დამშვიდებული, დაწყნარებული სახე ჰქონდა და ჩემთვის გავიფიქრე, რა ლამაზია მეთქი. მართლაც, მომეჩვენა, თუ რა იყო, არ ვიცი, ასეთი ლამაზი არასოდეს ყოფილა, მაშინაც კი, როცა მიყვარდა.

— რად გინდა ეგ ზეწარი, ცხელა.

— მრცხვენია. — უცებ გაწითლდა.

— რისი?

— ძალიან გამხდარი ვარ, ქალს არაკი ვგავარ.

ძალაუნებურად ზიზი გამახსენდა. მან თავისი სხეულის ფასი ჭეშმარიტად იცოდა და ყოველთვის იმ იმედით შიშვლდებოდა, რომ ვიღაც ამ სხეულის სილამაზესა თუ მშვენიერებას აღიარებდა და შეაფასებდა. მე ისიც მგონია, მისი სხეულის სილამაზით აღტაცება, ძანძილიდან ტკბობა-აღიარება, უფრო მეტ სიამოვნებას ანიჭებდა, ვიდრე სიახლოვე, ხვევნა და ალერსი.

ლამარა სხვა იყო. ლამარას უმწიფარი გოგოს აღნაგობა ჰქონდა და მე გავუგე, როცა გულწრფელად აღიარა, მრცხვენიაო. მერმე როგორღაც ისიც მითხრა, ძალიან მინდა, დიდი მკერდი მქონდეს, რომ მკერდითაც გიგრძნოო. ეტყობა, სხეული თავის სრულყოფილ ნაკვთებს მოითხოვდა. მაგრამ განგება ერთს თუ გართმევს, მეორით გაჯილდოებს ხოლმე. ლამარას გამხდარი სხეული მთრთოლვარე, მოცახცახე, ცეცხლოვანი ვნებით იყო სავსე.

მე მაინც გადავწყვიტე მენუგეშებინა.

— იცი, რას გეტყვი, არც ისეთი გამხდარი ხარ, შენ რომ გგონია.

— მართლა? — ლამარა ჩემკენ გამოცოცდა და პატარა თავი მკერდზე დამადო.

რამდენიმე წუთი გაუნძრევლად ვიწექით, მე წამთვლიმა კიდეც, მაგრამ ეს მთვლემარე სიჩუმე ლამარამ მალე დაარღვია.

— გაგიკვირდა?

— რა?

— ის, რაც დღეს მოხდა.

— როგორ გითხრა... თუმცა, კი, გამიკვირდა.

— არც მე მეგონა, ასე თუ მოხდებოდა, უცნაურია, არა?! უცებ შენს გვერდით აღმოვჩნდი. საკვირველია! ნეტა რა ძალა მომაქანებდა აქეთ? ახლა მეცინება. ღმერთო, როგორ ვჩქარობდით, როგორ მოვისწრაფოდით, თითქოს მატარებელზე გვაგვიანდებოდა. — ლამარა უფრო ახლოს მოჩოჩდა და ზეწარი სანახევროდ მეც გადამაფარა. — აბა, რა, გაგიკვირდებოდა!

მართლაც გიჟივით მოვქროდი, თითქოს ჩემგან დამოუკიდებელი უცნობი ძალა მომაქანებდა. ერთს ვფიქრობდი და მეორეს ვაკეთებდი, ნაფიქრის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებდი: გადავწყვიტე, ძველ ურთიერთობას არ აღვადგენ მეთქი, რა ძველი ურთიერთობა, აგერ, მასთან ერთად ვწევარ ჩემს ძველ საწოლში.

მაგრამ მე სხვა რამემ უფრო გამაკვირვა და ეს სხვა ჩემთვის მოულოდნელიც და ერთგვარად საწყენიც აღმოჩნდა. რაღაცაზე დამწყდა გული... ისე, საერთოდ, ზოგადად მეწყინა რაღაც, რასაც კონკრეტულ სახელს ვერ დავარქმევდი. მე ისიც კი არ ვიცოდი, მქონდა, თუ არ მქონდა ამ წყენის უფლება. წელან წამით გამიელვა თავში, როდის მოასწრო მეთქი და ფიქრის წამიერი გაელვება მოზღვავებულმა ვნებამ თავის მორევში ჩანთქა. ახლა კი ლამარამ რახან გულახდილი საუბარი წამოიწყო, ისევ გამახსენდა ის წამი და ვითომ სხვათაშორის ვუთხარი, მე სხვა რამემ უფრო გამაკვირვა მეთქი. ლამარამ წრფელად გაიცინა და სახეზე მომეფერა, ეტყობა, მიხვდა, რასაც მივანიშნებდი.

— ეგ შენ არ უნდა გაწუხებდეს, ოზო.

— მიხვდი, რაც ვიგულისხმე?

— არა თუ მივხვდი, ველოდებოდი, როდის მეტყოდი. — მცირე დუმილის შემდეგ მკითხა, — გეწყინა?

— როგორ გითხრა... წყენის რა უფლება მქონდა? მაგრამ... რატომღაც არ მოველოდი. — უკვე აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. წელზე ხელი მოვხვიე, ვაკოცე. თვითონაც მომეხვია და ჩურჩულით მითხრა:

— მე გათხოვილი ვარ, ოზო. მე ქმარი მყავს... მაინც მიხარია, რომ გეწყინა. ერთი წამით ესეც ვიგრძენი.

ლამარამ მალე მაგრძნობინა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი არარაობა ყოფილა იმ სიყვარულთან, რომელსაც ის მანიჭებდა. თითქოს ხელშესახებად დამანახა ის, რაც მარადიულია ქალისა და მამაკაცის ერთმანეთისადმი ლტოლვაში, თითქოს დამიბრუნა ის, რაც არასოდეს მქონია, მაგრამ მეგონა, რომ მქონდა, თითქოს სული გადამიქექა, როგორც ძველი სკივრი, და იმ თანმოყოლილსა თუ მემკვიდრეობით მიღებულ ძველმანებში მარგალიტი მაპოვნინა. მაინც სად იღებდა სათავეს დაუშრეტელი, დაუოკებელი ენერგია, რომლითაც დამუხტული იყო ეს პატარა, სუსტი, თითქოსდა სისხლნაკლული არსება?

საღამომდე დარჩა ჩემთან. მერმე უცებ თავისი თეთრი კაბა ჩაიცვა და მითხრა, დამაგვიანდა, უნდა წავიდეო. მეც ჩავიცვი და გასაცილებლად მოვემზადე. თვითონ წავალ, არ გამაცილოო. წასვლა ისე სწრაფად გადაწყვიტა, გონს მოსვლა ვერ მოვასწარი.

— ხვალაც უნდა შევხვდეთ, ოზო. — ძითხრა საქმიანი კილოთი.

— სიამოვნებით სადაც შენ გინდა, იქ შევხვდეთ.

— თუ შინიდან გასვლას არ აპირებ, შენთან მირჩევნია.

— გინდაც ვაპირებდე, აღარ გავალ.

კარგი. თორმეტ საათზე აქ ვიქნები. — ფეხის წვერებზე აიწია და მაკოცა, შუშაბანდის კარიც თვითონ გიხურა და წავიდა. კიბემდეც კი არ გამაცილებინა თავი.

მარტოდ დარჩენილმა ოთახში ველარ გავძელი და გარეთ გავედი. კარის მეზობლებმა აგარაკზე თუ სოფელში წაიყვანეს ბავშვები და ამ აივნის სრული ბატონ-პატრონი მე ვიყავი.

მოსალამოვებულიყო, ქალაქს ბინდი ეფინებოდა.

ხვალ დილით აბანოში ვაპირებდი წასვლას და რა კი ლამარამ თქვა, მოვალო, ვიფიქრე, ამ საღამოს ხომ არ წავიდე მეთქი. ადრე არც დავფიქრდებოდი, ისე გადავეშვებოდი მტკვარში, მაგრამ ახლა აბანო ვარჩიე. არ დამზარებია, საპონი, ლრუბელი, ახალი საცვლები ჩავტენე ჩანთაში და თათრის მოედნისკენ გავეშურე.

აბანო თითქმის ცარიელი დამხვდა. ნახევრად ტიტველი მექისეები მუშტრებს შესასვლელშივე ელოდებოდნენ, გრძელ მერხზე ისხდნენ, პაპიროსს აბოლებდნენ და ლაზღანდარობდნენ.

გზაშიც, გოგირდოვან წყლის აუზშიც, კუთხეში მიყუჟული, ამ უკვდავების წყლით შვებამოგვრილი ისევ ლამარაზე ვფიქრობდი. მისი უცნაური გამოჩენა-გამოცხადება თანდათან მაფორიაქებდა თუ მოსვენებას მიკარგავდა, თითქოს ოთახში ვიღაც უცნობი შემოპარულიყო და სიბნელეში ფათურობდა.

„შაინც რა უნდა, რისთვის მოვიდა?“

რაიმე სერიოზული ან მნიშვნელოვანი საქმე რომ ჰქონოდა, სათქმელს დღესვე მეტყოდა, ხვალისთვის არ გადადებდა. რა ეუნდა ეთქვა? რა საქმე ჰქონდა? ალბათ ჩემთან შეხვედრის მიზეზი კარგად ვერ მოიფიქრა და დრო გაიბანგრძლივა, იქნებ ხვალამდე რაღაც მოვახერხო. მაგრამ მე თვითონ არ მჯეროდა ამ აბსურდული ვარაუდისა, რადგან ამგვარი ურთიერთობის შემდეგ, მიზეზს აღარავინ დაუწყებს ძებნას. თვით შედეგი ნათელს ჰფენს მიზეზს. გარდა ამისა, ლამარა უაღრესად გულახდილი და გულწრფელი იყო, სწორედ მისმა სიწრფელემ გამოაცა, არავითარი სიყალბე და თვალთმაქცობა, პირდაპირ გაიხსნა და გადმოიღვარა. ერთი წამითაც არ უცდია, ჩემთვის იმაზე უკეთესად მოეჩვენებინა თავი, რაც სინამდვილეში არის.

ხვალამდე უნდა მომეცადა, ხვალ უსათუოდ მოვიდოდა ლამარა და სათქმელს მეტყოდა. წინასწარ არ მიმკითხავს, არც თავი მქონდა, მაგრამ ცნობიერებაში მაინც ამოტივტივდა დურმიშხან წილოსანი. საშინლად არ მესიამოვნა მისი გახსენება, თითქოს განგებ ვმალავდი, სადღაც ბნელ კუნჭულებში ვჩურთავდი, იქნებ როგორმე არ გავიხსენო მეთქი. მე ხომ ვიცოდი, დურმიშხან წილოსანი ასე ადვილად არ მოინელებდა ატი შელიას გარტყმას. ლამარას თანაკურსელი იყო, მამამისის ოჯახური პურმარილების ხშირი სტუმარი და ადვილი შესაძლებელია, ასეთი ახლობელი ადამიანი მოეგზავნა ჩემთან. მაგრამ ეს ნერვების ამშლელი და მომაბეზრებელი ფიქრები როგორღაც თავიდან მოვიშორე და იმ იმედით გავითენე დილა, რომ გუშინდელი ნეტარება დღესაც განმეორდებოდა.

ლამარა ზუსტად დანიშნულ დროზე მოვიდა. მთელი დილა შინაგანად ამაოდ ვემზადებოდი და ველოდებოდი, მოსვლისთანავე მივხვდი, გუშინდელი დღის განმეორების იმედი არ უნდა მქონოდა. ლამარა გუშინდელივით უშუალო და პირდაპირი იყო, ალერსიანად მიღიმოდა, მომეხვია, მაკოცა, ოღონდ თვალების ნისლში აღარ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უელვებია იმ თითქოს-და პაწაწინა ნაპერწკალს, რომელმაც გუშინ ხმისამოუღებლად, სირბილით მოგვიყვანა უნივერსიტეტის ბაღიდან ჩემს საწოლამდე.

— ძალიან შემოგეჩვიე, არა?!

— ძალიან! მეც ხუმრობით ვუპასუხე და რატომღაც დავიძაბე.

— გუშინ ვერ მოვახერხე... რისი თქმაც მინდოდა, ვერ გითხარი.

— თუ გინდა, დღესაც ნუ მეტყვი.

— არა, უსათუოდ უნდა გითხრა.

ლამარა ჯერ კიდევ არ დამჯდარა, ოთახში დადის და ოდნავ აღელვებული მელაპარაკება: დღეს სხვა კაბა აცვია — თეთრი, შინდისფერზოლებიანი, დახურული, სუსტი მხრები აღარ მოუჩანს. დაჯექი მეთქი, შევთავაზე. ცოტა ხნის შემდეგ დაჯდა. მეც მოვუჯექი მაგიდას.

— მე ვიცი, ოზო, რისთვის წახვედი მაშინ ჩვენი სახლიდან. ყველაფერი ზუსტად ვიცი. შენი საქციელი, რა თქმა უნდა, მეწყინა, იმ დღეს კინაღამ გავგიჟდი, თუმცა შინაგანად შენს მხარეს ვიყავი, გუნებაში არ გამტყუნებდი. შენს ადგილზე მე რომ ვყოფილიყავი, ალბათ ასევე მოვიქცეოდი. მე ვცადე ჩვენების დამშვიდება, მაგრამ შენმა მეგობარმა ყველა ღონე იხმარა, რომ ისედაც აღელვებული ჩემი მშობლები უფრო აეღელვებინა და გაემწარებინა. შენც დაგცინოდა, გამცირებდა, საბელს გიტეხდა. ერთი სიტყვით, ყველაფერი იკადრა.

— დურმიშხანი რა ჩემი მეგობარია?!

— კი, შენი მეგობარი იყო! შენ ქებმარებოდი, შენ აბარებინებდი გამოცდებს, მერმე სხვა მონახა შენნაირი. ახლა არავინ ჭირდება, გზა ვაიკაფა, ოღონდ სხვა მიმართულებით.

ლამარასთვის წინააღმდეგობა აღარ გამიწევია, მიუხედავად იმისა, რომ დურმიშხან წილოსანი ჩემი მეგობარი არასოდეს ყოფილა. ისე კი, ერთი-ორი გამოცდა ნამდვილად ჩავაბარებინე.

— შენ უნდა იცოდე, ოზო, დურმიშხან წილოსანი გარეწარია!

მე გამეღიმა, ვითომ მაგას რა ცოდნა უნდა მეთქი.

— არა, არა, ასე ნუ იღიმები! მე არ იცი, ვინ არის და რა შეუძლია დურმიშხან წილოსანს. — ლამარა დაფიქრდა, მერმე უცებ მკითხა, — ვინ არიან ატი შელია და გოგი ზედელაშვილი?

— ეგენი ჩემი მეგობრები არიან, ერთად ვსწავლობთ უნივერსიტეტში, რატომ მეკითხები?

— მე ვერ ვიტყვი, რა მოხდა, რადგან მიზეზი ვერ გავიგე, მაგრამ ერთის თქმა კი ზუსტად შემიძლია, დურმიშხან წილოსანი ამ ბიჭების წინააღმდეგ მოქმედებს, რაღაც საქმეს ქმნის. ათიოდე დღის წინ ჩვენებთან გავიარე და დურმიშხანის ხმა გავიგონე. ვიფიქრე, ამას აქ რა უნდა მეთქი და სმენა დავძაბე. მამაჩემის კაბინეტის კარი ღია იყო, მე მესმოდა, როგორ ელაპარაკებოდა მამას ვიღაც ატი შელიასა და გოგი ზედელაშვილზე. შენც გახსენა, ოღონდ ისე, სხვათა შორის, როგორც იმათი ნაცნობი. მივხვდი, მამასთან საკონსულტაციოდ იყო მოსული. ნერვები ამეშალა, ავილეწე, სამზარეულოში შევარდი და აკანკალებული ველოდებოდი დურმიშხანის წასვლას. წასვლისთანავე გამწარებული შევედი მამასთან და ვკითხე, რა ხდება მეთქი. მამამ ჩემი დამშვიდება სცადა, ისეთი არაფერიო, მანუგეშა. ვერ დავმშვიდდი, ვერ მოვისვენე, გავედი, ისევ დავბრუნდი, ვეხვეწე, ვემუდარე, საქმე მოსპე, თორემ თავს მოვიკლავ მეთქი. გაეცინა, მე რა შუაში ვარ, შენი მეგობარი ჩვენთან თანამშრომლობს და საკმაოდ კარგი რეპუტაციითაც სარგებლობსო. თუ გინდა, ვეტყვი, მაგრამ არ ღირს, საქმე შეკოწიწებულსა ჰგავს და არა მგონია, რამე გამოუვიდესო. მე კიდევ ვთხოვე, ეგ საქმე მაინც მოასპობინე მეთქი. მამამ მხრები აიჩეჩა, შენს თავსა ვფიცავ, ყველაფერს ვეცდებიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ლამარას ვუამბე იმ საღამოს ამბავი, რატომ და რისთვის გაარტყა ატი შელიამ ხელი დურმიშხან წილოსანს, თან ვუმტკიცებდი, ამას შეიძლება მხოლოდ ხულიგნობის მუხლი მიუყენონ მეთქი. ვერ დავაჯერე, რა გულუბრყვილო ხარო, მითხრა, ეგ ის დაწესებულებაა, სადაც ხულიგნები ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ, სადაც ხულიგნობა შეიძლება პოლიტიკურ ბრალდებაში გადაზარდონო. გამოსავალი ვერ ვნახე და ისევ ლამარას ვკითხე, იქნებ შენ მირჩიო, რა ვქნა, რა ვიღონო მეთქი.

— ალბათ უნდა მიხვიდეთ და ბოდიში მოუხადოთ.

— ვის?

— რა თქმა უნდა, დურმიშხანს, იქნებ ავადმყოფურად აგზნებული პატივმოყვარეობა ოდნავ დაუცხრეს.

ერთი კი გამიელვა თავში, დურმიშხანმა ხომ არ მომიგზავნა მეთქი, მაგრამ სახეში შევხედე და მაშინვე გამიქარწყლდა ეჭვი, ამ გაფიქრების თვითონვე შემრცხვა. იმდენად იყო ლამარა შეშფოთებული და სულით ხორცამდე შეძრული. მას ნამდვილად აწუხებდა ჩემი და ჩემი მეგობრების ბედი და სასოწარკვეთამდე თავგზადაბნეული ცდილობდა, ამ მდგომარეობიდან როგორმე გამოსავალი ეპოვნა.

— წარმოიდგინე, ოზო, რამდენი უნდა მეფიქრა და მეწვალა, რომ შენთან მოსვლა გადამეწყვიტა. ეს არ იყო ადვილი, ასეთი რამ იოლად არ ხდება. სამი უძილო ღამე დამჭირდა. საღღაც სულის ბნელ ხვეულებში მე ალმოვაჩინე მიმალული ძველი ნაპერწკალი, სული შევუბერე და გავალვივე. დავარწმუნე ჩემი თავი, რომ ისევ ძველებურად მიყვარხარ. მხოლოდ ამის შემდეგ გავბედე შენთან მოსვლა. შენ კი ყოყმანობ, ეჭვი გეპარება...

— არა, არა! ბიჭებს დღესვე ვნახავ და მოველაპარაკები, ოღონდ... დურმიშხანი სად ვნახო, იმაზე ვფიქრობ.

— ხვალ თერთმეტ საათზე ინსტიტუტში იქნება, ჩვენთან გამოცდები ჯერ არ დამთავრებულა.

— საღამოს კახეთში ვაპირებდი წასვლას.

— რა დროს კახეთია, ჯერ იქ მიხედეთ საქმეს!

— ეს ისე ვთქვი... რა თქმა უნდა, აღარ წავალ, არც დღეს და არც ხვალ.

— ოღონდ დურმიშხანმა ერთი წამითაც არ აიღოს ეჭვი...

— ეგ რა სათქმელია! — გავაწყვეტინე სიტყვა.

ლამარამ, შესაძლოა, მთელი სიღრმით იცოდა საქმის არსი და ამიტომ იყო ასე აღელვებული და შეშფოთებული. მე ეს შეშფოთება მთლიანად არ გადამდებია, ვღელავდი, თუმცა საშიშროება ვერ ვიგრძენი და ალბათ ამიტომაც განწირულების განცდა არ მქონია. დურმიშხანი ყველაფერს რომ იკისრებდა, ვიცოდი, მაგრამ შინაგანად მაინც ვერ ვიჯერებდი, მისი მზაკვრული ხრიკების წყალობით ბიჭებს რაიმე თუ დაეშავებოდა. გინდაც დამუქრებოდა, ლამარას მამის იმედიც მქონდა: საყვარელი, ერთადერთი ქალიშვილის ხვეწნასა და მუდარას ანგარიშს უსათუოდ გაუწევდა.

ამით დამთავრდებოდა ალბათ ჩემი და ლამარას უსიამოვნო საუბარი, მე რომ ისევ ძველი ამბავი არ გამეხსენებინა. რაღაცნაირად სინდისის ქენჯნამ და მონანიების გრძნობამ შემიპყრო. იმ წუთებში თითქოს გუწრფელიც ვიყავი და ვცდილობდი, ლამარაც დამეჯერებინა, ჩემი მაშინდელი საქციელი თითქოს დღემდე მაწუხებდა. ეს თავხედობით მთელი ოჯახი, ცხადია, დეიდებიანად შეურაცხყოფილი და აღშფოთებული დარჩებოდა, რადგან ოჯახის მამას უკადრისი ვაკადრე... მაგრამ ლამარამ ჩემი სინანული ვერ გაიგო ანდა სხვაგვარად მიიღო.

— მერწმუნე, ოზო, მამაჩემის ხელი ამ საქმეში არ ურევია. მამას თუ სამაგიეროს გადახდა მოუნდებოდა, აღრევე იძიებდა შურს.

— არა, ლამარა, ეგ სულ არ მიფიქრია!

— არ გიფიქრია, მაგრამ ქვეცნობიერად მაინც გეპარება ეჭვი.

— შენ ვერ გაიგე ლამარა, რა გითხარი.

— მე ვიცი, რა საქმესაც ემსახურება მამაჩემი. ვიცნობ იმ ადამიანებსაც, ვისთანაც მას უხდება ურთიერთობა. მათი საუბრებიც ხშირად მომისმენია, როცა ჩვენ ოჯახში წვეულებაზე ყოფილან. მაგრამ მე არ ვიცი და არც მესმის, რატომ აირჩიეს ცხოვრების მაინცდამაინც ეს გზა. მე ვკითხე მამას და მან ვერ მიპასუხა, ვერ მიპასუხა იმიტომ, რომ ვერ გაიგო, რას ვეკითხებოდი. მამას ჰგონია, არა, დარწმუნებულია, დიდ საქმეს აკეთებს — სახელმწიფოს უშიშროებას იცავს და ემსახურება, დარწმუნებულია, სახელმწიფოს უმისოდ გაუჭირდება... შენ ალბათ გესმის ჩემი, ოზო, მე მიყვარს მამაჩემი, ის ჩემი მშობელია, ჩემი სისხლი და ხორცი, მაგრამ არ მიყვარს, მეჯავრება მისი საქმიანობა. ვერ ვიტან, არ შემიძლია, გული მერევა... ადრე ბევრჯერ გადავწყვიტე შინიდან გაქცევა, ვერ მოვახერხე, რადგან ჩემიანები მეცოდებოდნენ, განსაკუთრებით — მამაჩემი. როდესაც იმ ღღეს შენ კედელთან მიაყენე, ის საოცრად უმწეო აღმოჩნდა შენი პატარა სიმართლის წინაშე. მაგრამ ხომ არსებობს უფრო დიდი სიმართლე, ვიდრე იმ დღეს შენ იყავი?! მე იმ სიმართლის მეშინია! — ლამარა დაფიქრდა და მერმე ნაღვლიანად გაიღიმა. — ახლა შინიდან გაქცევაზე აღარ ვფიქრობ, მე უკვე ჩემი ოჯახი მაქვს, სულ სხვა გარემოში ვცხოვრობ.

— კმაყოფილი ხარ?

— როგორ გითხრა, ყველაფერი შედარებითია.

— გიყვარს მეუღლე?

— არ გიხდა ეგეთი ბანალური შეკითხვები. — ლამარა ადგა, მაგიდასთან მჯდარს ზურგიდან მომეხვია და მითხრა, — ადრე მოსახდენი გვიან ხდება, უნებურად, წინასწარგანზრახვის გარეშე. რაც იყო, იყო, ჩვენ გავართულებთ ურთიერთობას. ჩაგთვალოთ, რომ ხარკი გადავუხადეთ ჩვენს პირველ სიყვარულს. ახლა მე წავალ, ოზო, გეხვეწები, არავინ უნდა იცოდეს, აქ რომ ვიყავი.

დამემშვიდობა. შენ უფრო კარგი ყოფილხარ, ვიდრე მე მეგონეო, მითხრა და წავიდა. ვერ გავაჩერე. ამჯერად კიბემდე მიმაცილებინა თავი. მერმე ეზოში მიმავალს გადავხედე. ზემოდან სულ პატარა ჩანდა, სუსტი, გამჭვირვალე, ისე მიაბიჯებდა, თითქოს მიწაზე ფეხს არ ადგამდა, თუმცა მის მოძრაობაში შინაგანი სიმტკიცე და სიჯიუტე გამოსჭვიოდა.

8.

კახეთში გამგზავრება რამდენიმე დღით გადავდე. ლუკასთან მივედი და ვუთხარი, ეს დღეები არა მცალია და ორი-სამი დღის შემდეგ წავიდეთ მეთქი. ცოტა კი მეუცხოვა: ჩემკენ ზურგშექცევით იწვა, ჩემთვის სულერთია, რა დღეს, რა ხვალო, თქვა. არ განძრეულა, არ გადმობრუნებულა, არც დაინტერესებულა, რატომ გადავდე მგზავრობა. ხმაც შეცვლილი მომეჩვენა, გაციებულისას მიუგავდა. მეჩქარებოდა, სათქმელი ვუთხარი და გამოვბრუნდი, ჯეროვანი ყურადღება ვერ მივაქციე.

ლუკა გამგზავრებამდე საათნახევრით ადრე მოვიდა ჩემთან. ეტყობა, ამასწინანდელი უგუნებობა დაეძლია, მხნედ გამოიყურებოდა და ვკითხე, იმ დღეს რა მოგვიდა, რატომ იყავი ისე მიგდებული მეთქი. რა უნდა მომსვლოდა, არაფერი, მიპასუხა, ვიჩქაროთ, თორემ მატარებელზე დაგვაგვიანდებაო. ტრამვაიში ჩავსხედით, წავხრიგინდით. ლუკა გზა და გზა თვლემდა, თითქოს ჩემთან ლაპარაკს თავს არიდებდა. არც მე მივძალებივარ, წინ დიდი გზა გვედო და

სალაპარაკოდაც ბევრი დრო გვრჩებოდა.

სადგურში რომ მივედით, მატარებელი უკვე კახეთის ბაქანზე იდგა.

მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა, თითქმის ცივილიზებული სამყაროს ნახევარი დაინგრა და განადგურდა, ევროპისა და აზიის რუკები შეიცვალა, კახეთის მატარებელს კი არაფერი ეშველა. ისევ დანჯღრეული და მორყეული, ყველა ბზარსა თუ ღრიჭოში ბაღლინჯოებით გაძეძგილი ნელნელა მიჭრიალებს თავის გრძელსა და მოსაწყენ გზაზე. მგზავრები არკი შევიდნენ და მოთავსდნენ, თავგანწირული ბრძოლით აიღეს ვაგონები და მუშტიკრივით დაიკავეს მისი ყოველი კუთხე-კუნჭული.

ბრძოლით დაღლილი და გასავათებული, მთლად გაოფლიანებული, დაჭმუჭნული და დაღეჭილი ვზივარ ჩემს ბარგი-ბარხანაზე ტამბურში და მივემგზავრები კახეთს. ლუკას ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი, რომ ისიც ჩემსავით სადღაც კუთხეში მოკალათებულა თავის ბარგზე.

ლუკასთვის ჯერ არ გამიმხელია, რისთვის დამჭირდა მგზავრობის გადადება. დრო ვერ მოვიხელთე, თორემ ვეტყოდი, დასამალი რა მქონდა. ეს კია, ჩემმა ცდამ, როგორმე საქმე მომეგვარებინა, ამაოდ ჩაიარა.

იმ დღეს ლუკას სახლიდან პირდაპირ ატისთან გავეშურე, ეზოში დავიმარტოხელე და ყველაფერი ზუსტად მოვახსენე. ატი გადაირია, ერთი მაგის დედაც ვატირეო, შეაგინა დურმიშხანს. ახსნა-განმარტებამ და ხვეწნა-მუდარამ არ გაჭრა, თუ გინდა, წავიდეთ და კიდევ ერთხელ ვცემოთო, იცინოდა. მერმე ორივენი გოგი ზედელაშვილთან წავედით. ის უალრესად გაჯიუტდა და გაჯიქდა, მაგ ვიგინდარასთან რა საქმე მაქვსო, წავიდეს, მაგის ასე და ისეო... მთელი არსებით ვცდილობდი დამესაბუთებინა, რომ ორივეს სერიოზულად ემუქრებოდა საფრთხე, ისინი კი არც მისმენდნენ, ლამის მასხრად ამიგდეს და გამებეზოლეს.

გაწბილებული და გაბრაზებული გამოვბრუნდი. ნეტავი ლუკა არ გამეფრთხილებინა, ვფიქრობდი გზაში, დღეს საღამოს კახეთში გავემგზავრებოდით მეთქი. მაგრამ გზაშივე გადავწყვიტე, მე თვითონ მივსულიყავი ინსტიტუტში და დურმიშხანისთვის კბილი მომესინჯა, თუ დამჭირდებოდა, ბიჭების მაგივრადაც მოვუხდიდი ბოდიშს. მეორე დღეს, დილით თერთმეტ საათზე უკვე ინსტიტუტის შენობის წინ ვტრიალებდი და იქვე ვაწყობდი გეგმას, როგორ შევხვედროდი, რა მეთქვა.

დურმიშხან წილოსანს მესამე სართულზე წავაწყდი. ერთერთი აუდიტორიის დახურულ კართან ათიოდე სტუდენტიც ტრიალებდა, დურმიშხანი კი განმარტოებით იდგა, ფანჯრის რაფას ზურგით მიყრდნობილი. მე ნელნელა მივდიოდი, გაფაციცებით ვათვალიერებდი იქაურობას, ვითომ ვილაცას ვეძებდი. დურმიშხანმა თვითონ დამიძახა, აქ რა გინდა, ოზო, ვის ეძებ, მივეახლე, ვითომც არაფერი, გაღიმებულნი და გაბარებულნი შევხვდით, ლამის გადავეხვიეთ ერთმანეთს. მოვიკითხ-მოვიკითხეთ, მერმე საქმიანად ვუთხარი, ერთ გოგოს ვეძებ, მაგრამ გვარი არ ვიცი მეთქი.

— რა ქვია? — დაინტერესდა დურმიშხანი.

— ნინო.

— რომელ ფაკულტეტზე სწავლობს?

— არც ეგ ვიცი. შემთხვევით გავიცანი სუფრაზე.

— აბა, შენა ყოფილხარ, რა! ეგრე ვინ ეძებს გოგოს? ბარემ რუსთაველზე გასულიყავი, უსახელოდ და უგვაროდ იქ უფრო მიაგნებდი შენს გოგოს. — თავისი იუმორით კმაყოფილმა ბიჭზე ხელი მომიტყაპუნა, მერმე თითიც დამიქნია, ვითომ ჭკუა დამარიგა, — ფრთხილად იყავი, ოზო, შენ ეგ გოგოები დაგლუპავენ!

თვითონვე გაიცინა, რა თქმა უნდა.

ისინი კი არც მისმენდნენ, ლამის მასხრად ამიგდეს და გამებეზოლეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესეც იუმორი იყო.

მე ვთვალთმაქცობ, ისიც თუ თვალთმაქცობს, ჯერ არ ვიცი. ჩვეულებრივად, ბუნებრივად უჭირავს თავი და ვერაფერს ვამჩნევ. ცალი თვალი აუდიტორიისკენ გაურბის, აინტერესებს, ვინ შედის და ვინ გამოდის, ვინ რა ნიშანი მიიღო. ყველაზე ბოლოს მე შევალო, მითხრა, დაიღლება და ისე აღარ ჩამაცივდებაო.

— კიდევ კარგი, დურმიშხან, აქ რომ შეგხვდი, — ვეუბნები, რახან ურთიერთობა ბუნებრივად წარიმართა, — იმ საღამოს ამბავი დღემდე მაწუხებს, მე და ის ბიჭები ერთხელ მოვედით კიდეც, გვინდოდა შეგხვედროდით, მაგრამ ვერ გნახეთ.

— ნეტავი შენ, ოზო, რაღა დროს იმ საღამოს ამბავია, ვის ახსოვს?! მაგას ვინ იმახსოვრებს, რამდენჯერ ვიჩხუბეთ, ხან შენ სცემ, ხან ისინი გცემენ, რა მოხდა?! შენ არავის უცემიხარ?

— რამდენჯერაც გინდა!

— მე მესმის, ოზო, განა არ მესმის?! ისინი გაღიზიანებულები იყვნენ, ამ დროს მეტიჩრულად შევეტენე... ერთი სიტყვით, რაც იყო, იყო! — ამასაც თითქოს გულწრფელად ამბობდა, ბიჭურად, ყოველგვარი თვალთმაქცობისა და ქვებუდნობის გარეშე. იმ წუთს ისიც კი გავიფიქრე, რა კარგია, ბიჭები რომ არ წამომყვნენ მეთქი.

დერეფნის სიღრმიდან ვიღაც კოჭლი სტუდენტი მოგვიახლოვდა. სიარულის დროს მარცხნივ იხრებოდა, ეტყობა, მარცხენა ფეხი ჰქონდა მოკლე. თეთრზოლიანი ლურჯი პერანგი ეცვა, ხელში საქაღალდე ეჭირა. მეჩხერი, სათუთად დავარცხნილი წაბლისფერი თმა ჰქონდა, წარბები და ულვაში კი — გამორჩეულად შავი. შეწუხებული კაცის იერი დაჰკრავდა, მომეჩვენა, თითქოს რაღაც სტკიოდა. მოვიდა და მოგვესალმა, მერმე დურმიშხანს ახედა, შინაურულად ჰკითხა:

— ხომ არ იცი, რა ჰქნა? — მისი აღნაგობისთვის უჩვეულოდ ბოხი ხმა აღმოაჩნდა.

— ჩაბარა.

— ალბათ შინ წავიდა.

— ალბათ.

კოჭლმა დურმიშხანს მადლობა გადაუხადა, დაგვემშვიდობა და გატრიალდა. მე თვალი გავაყოლე მიმავალს, თითქოს მინდოდა, მისი მოძრაობა სამუდამოდ დამემახსოვრებინა, რადგან ვიცოდი, დურმიშხანი ამ პიროვნების შესახებ ახლავე მომაწვდიდა ამომწურავ ინფორმაციას.

— ლამარას ქმარია.

— მართლა?! — გავოცდი. ყველა, ყველა და, ამას თუ მაცნობებდა, ნამდვილად არ მოველოდი.

— ასპირანტია. ამბობს ომში დავიჭერიო, მაგრამ ზედვე არ ეტყობა, კოჭლი რომ დაიბადა.

— რა ვიცი, წესიერი ბიჭი ჩანს. — ვცადე ღვარძლის შეჩერება.

— ეგენი შენ ქორწილში უნდა გენახა, გუგულებივით რომ ისხდნენ.. აუ, რა სანახავი იყო. — გაიცინა და რაღაცნაირი გემო ჩაატანა ამ სიცილს — ბიჭი მაშინ წახდა, როცა საცეკვაოდ უხმეს...

„ოზო, შენ უნდა იცოდე, დურმიშხან წილოსანი გარეწარია." — გამახსენდა ლამარას ნათქვამი და მივხვდი, რომ ამაოდ დავშვრი, ამაოდ გავისარჯე და ვეახლე. მის წინ ვიდექი გულგახეთქილი და უკვე ვისჯებოდი იმის გამო, აქ მოსულმა რომ ვითვალთმაქცე და ვიფარისევლე, ვისჯებოდი იმის გამო, ჰირში რომ ვერ ვუთხარი სათქმელი. მოტყუებული და გაცურებული დავშორდი დურმიშხან წილოსანს, როგორც უცხო — უცხოს, როგორც მტერი — მტერს. დურმიშხან წილოსანი არ იყო ის კაცი, ვინც წყენას ივიწყებს, ვისაც შეუძლია პატიება და დანდობა. ლამარას კი გულუბრყვილოდ სჯეროდა, თითქოს ასეთი მარტივი ხერხებით შევძლებდით ამ კაცის

ავადმყოფური პატივმოყვარეობის დაცხრომას.

ქუჩაში მარტო მივდიოდი და ტვინში მონოტონურად რეკდა წელან გაგონილი სიტყვები: „მაშინ წახდა ბიჭი, როცა საცეკვაოდ უხმეს....“

ვაგონის ტამბურში ჩემს ბარგიბარხანაზე ვზივარ და ვთვლემ. ძილ-ღვიძილში მაგონდება და მენატრება ლამარა, სუსტმხრებიანი, პატარა ქალბატონი, რომელიც მამისეულ სახლს აუჯანყდა და გაექცა. გათხოვდა. ეს ფორმა თუ საშუალება მონახა არასასურველ გარემოსაგან თავის დაღწევისა. ახლა მეუღლესთან ერთად ცალკე ცხოვრობს სულ სხვა გარემოში, მაგრამ მაინც არ არის მშვიდად, რაღაც აკრთობს, რაღაც წინათგრძნობის მაგვარი აშინებს... აქ რომ იყოს, უბეში ჩავისვამდი, როგორც გარეთ გადებულ ლეკვს, როგორც კატის კნუტს, მოვეფერებოდი და ვანუგეშებდი.

სიცხისაგან მოთენთილი, ფეხებდაბუჟული ვიჯექი და ვთვლემდი. გაურკვევლობის ნაღველი მღრღნიდა, მეჩვენებოდა, ჩემი ნებით კი არ წამოვედი, არამედ წამოსვლა ვიღაც სხვამ მაიძულა, თითქოს აქეთ გამომგზავრებაზე არასოდეს მიფიქრია. წარმოვიდგინე ის გზაც, ფეხით რომ გვქონდა გასასვლელი და წინასწარ ვიგრძენი დაღლილობაცა და კუნთების ტკივილიც.... აქ ყოფნა მინდოდა, თბილისში, ჩემს ბუნაგში. აქ ახლოს ვიყავი იმ ადამიანებთან და იმ მოვლენებთან, მე რომ ყოველდღიურად მასულდგმულებდა, მაღელვებდა და სასიცოცხლო ძალისხმევით მავსებდა. მეგონა, აქ უჩემოდ ფუჭდებოდა ის, რისი გადარჩენა თუ შველა მხოლოდ მე შემეძლო...

როდის-როდის ჩამეძინა.

გამთენიისას მე და ლუკა უკვე თელავის სადგურის ბაქანზე ვიდექით. მატარებლიდან ჩამოსული მგზავრების ერიანცელში ვბჟობდით, ერთხელ გამოცდილი ძველი მარშრუტით წავსულიყავით თუ სხვა უცნობ გზას დავდგომოდით. თბილისში გადაწყვეტილი გვქონდა, ძველი, ნაცნობი, ბნელ-სიარული, მაგრამ თელავში ჩამოსულებს, ლუკასა და მეც, გუნება-განწყობილება შეგვეცვალა, უმოკლესი გზა ვარჩიეთ. ჩვენს განწყობილებაზე ალბათ ღრუბლიანმა ამინდმაც იმოქმედა. მძიმე, ტყვიისფერი ღრუბელი ალაზნის ველს დასწოლოდა და საწვიმრად გამზადებულიყო. ცა ისე იყო დადაბლებული, სულს გიხუთავდა, სულს კი სივრცე სწყუროდა. ვერ დაიჯერებდი, რომ ამ ღრუბლებს ზევით ცამდე აწვდილი კავკასიონის მთები იდგა.

სადგურიდან ქალაქამდე ოთხთვალას ანუ „ლილეინკას“ გავყევით. მაწანწარაზე ხინკლით ვისაუზმეთ, მერმე წინანდალ-გურჯაანისკენ მიმავალ გზას ფეხით დავადექით. კახეთში საბარგო მანქანები მომრავლებულიყო და ადრინდელივით გზას თავისუფლად ველარ მივყვებოდით, მანქანას დროზე უნდა გავრიდებოდით, თანაც მტვერსა და ბუღში გვიძნელდებოდა. ერთი სიტყვით, ფეხით სიარული მაშინდელივით სასიამოვნო არ გამოდგა.

გურჯაანის მისადგომებთან დავბანაკდით და ღამეც იქ გავათენეთ. მთელი დღე წვიმას აპირებდა, მაგრამ არ გაწვიმებულა. დახუთულმა. ჰაერმა და მტვერმა მოგვთენია და გაგვასავათა. სოფელ-სოფელ, შარა-შარა ფეხით სიარულს აზრი აღარ ჰქონდა, მით უმეტეს, რომ არც მაშინ გვივლია სულ ფეხით, ხან მანქანით, ხან ურმით ვიმოკლებდით და ვიიოლებდით გზას. მაგრამ მთავარი მაინც იყო სხვა, რასაც ერთმანეთს მე და ლუკა არ ვუმხელდით. ლუკასაც და მეც, თითქოს შინაგანად შებოჭილებსა თუ დათრგუნულებს, ძველი ხალისი გზა-გზა ხეტიალისა აღარ გვქონდა.არც გარემოს ხილვა თუ აღქმა გვანიჭებდა ძველებურად სიხარულს. თითქოს ღღევანდელი მგზავრობის აჩემებაც მაშინდელი სასიამოვნო განცდის ინერციით იყო ნაკარ-

ნახები. მიუხედავად ამისა, უკან დაბრუნება წამითაც არ გვიფიქრია.

იმ ღამეს, გურჯაანთან რომ დავბანაკდით, ლუკას თავიდან ბოლომდე მოვუყევი დურმიშხან წილოსანთან ჩემი მისვლისა და მარცხის ამბავი. ამბის მოყოლისას მეჩვენებოდა, რომ ლუკა ზოგჯერ ჩვეული გულისყურით არ მისმენდა. გაყუჩებული და დაფიქრებული კი იყო, მაგრამ უფრო თავის თავში ჩახვეწილი ჩანდა. თანამოაზრედ ვერ გავხადე, ვერ ავანთე, ვერ ავაღელვე. ბოლოს, საუბარში რომ ჩამეთრია, ვკითხე, ამ საქმეს რა ეშველება მეთქი.

— მე მგონია, ლამარამ ცოტა გადაჭარბა. — მიპასუხა დაუფიქრებლად.

— შენ რომ ლამარას შეხვედროდი, ასე არ იტყოდი. მან ჩვენზე მეტი იცის.

— შეიძლება, იცის, შეიძლება — არა. დურმიშხანი კი ნამდვილი გარეწარია.

— მე უფრო ლამარას მამის იმედი მაქვს.

— საიდან გაქვს, როცა თვითონ ლამარას არა აქვს მამამისის იმედი.

— რას ჰქვია, არა აქვს?!

— მამის იმედი რომ ჰქონოდა, ლამარა შენთან არ მოვიდოდა და არც დურმიშხანთან გაგაგზავნიდა ბოდიშის მოსახდელად.

ლუკა თითქოს ლოგიკურად მსჯელობდა, მაგრამ მე ჩემსას რომ ვამბობდი, სხვას ვითვალისწინებდი და ვგულისხმობდი, უფრო ემოციურს, ვიდრე ლოგიკურს. მე ვიცოდი, როგორ უყვარდა მამას თავისი ერთადერთი ქალიშვილი და როგორ ასრულებდა მის ყოველ ნება-სურვილს. რახან ლამარამ სთხოვა, დარწმუნებული ვიყავი, მამა ამ თხოვნას შეუსრულებდა და არ გაიწბილებდა.

— ისე კი, ნაამბობის მიხედვით, ეგ ლამარა კარგი გოგო ჩანს, — სიბნელეში მდგარი თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა ლუკა. — ძალიან მომეწონა.

ლუკასთვის აღარაფერი მითქვამს. კაცმა რომ თქვას, მაშინ მეც ასე ვფიქრობდი, ლამარა ზედმეტად ღელავს და ფრთხილობს მეთქი. ახლა კი, ამბის მოყოლისას, მეც ლამარასავით ავღელდი და ვცდილობდი, ეს აღელვება ლუკასთვისაც გადამედო. არ ამყვა, თითქოს ზერელედ მომისმინა, საქმის არსით არ დაინტერესდა და სწორედ ამიტომ მომეჩვენა, რომ ლუკა თავის თავს არ ჰგავდა.

ორი დღის ხეტიალის შემდეგ შევჩერდით ზუსტად იმ ადგილას, სადაც ადრე, რამდენიმე წლის წინათ, ერთხელ უკვე გავათენეთ ღამე. ეს იყო თელიანი ალაზნის პირას. ახლა უკვე ვიცოდით, ამ თელების უკან მწვანე გორაკებს რომ გადავივლიდით, იქ პატარა და ლამაზი, მიტოვებული და მივიწყებული, თითქმის გაპარტახებული სოფელი დაგვხვდებოდა. ჩვენი თბილისიდან გამომგზავრების მიზანიც ეს იყო, გვინდოდა, კიდევ ერთხელ გვენახა და განგვეცადა ის, რაც ადრე ვნახეთ და განვიცადეთ. გვინდოდა, კიდევ ერთხელ შევხვედროდით იმ ადამიანებს, რომლებმაც ოდესღაც დიდი სიხარული მოგვანიჭეს და ასევე დიდი სევდა მოგვგვარეს.

თელიანში საღამო ხანს მივედით დაღლილ-დაქანცულები, გაოფლილ-გამტვრიანებულები. მე ალაზნის პირას მივაგდე ჩემი ზურგჩანთა, ტანსაცმელი გავიხადე და გიჟივით შევარდი მდინარეში, გზიდან მოყოლილი მტვერი და ოფლი სწრაფად რომ მომეშორებინა. ლუკამ ჯერ სიგარეტი გააბოლა და მერმე დაიწყო ტანსაცმლის გახდა. არ მეგონა, თუ ამდენ სიგარეტს ეწეოდა.

მდინარიდან გამხნევებული, თითქოს ხელახლა დაბადებული ამოვედი. ლუკაც კმაყოფილი და ნასიამოვნები ჩანდა. ტანი არ გაგვიმშრალებია, ისე შევუდექით ფიჩხისა და ხმელი ტო-

ტების მოგროვებასა და სულ ცოტა ხანში დიდებული კოცონი გავაჩაღეთ.

ცეცხლი გასათბობად არ დაგვინთია, აქ სინათლე უფრო გვჭირდებოდა, ვიდრე სითბო. უკვე ღამდებოდა, ფიჩხსა და ხმელ ტოტებს ვეღარ ვაგროვებდით და ვახშამიც სიბნელეში გვიწევდა.

— ჩავიცვათ, თორემ კოღოები შეგვჭამენ. — ვუთხარი ლუკას.

კოღოები გულის გამგმირავად წუოდნენ ყურთან და ჯერ ისევ სველებმა სწრაფად ჩავიცვით ზურგჩანთებზე დაყრილი ტანსაცმელი.

— გგონია, სოფელში ვინმე დაგვხდება? — მკითხა ლუკამ. — იქნებ სულ ტყუილად მივდივართ?

— რა ვიცი... თუ გედეონ ომანაშვილი ცოცხალია, — შეიძლება, ის მოხუცებიც დაგვხვდნენ. — ვუპასუხე, თან ჩემთვის გავიფიქრე, ეზარება ან იქნებ ნისლაურაში გული სულაც აღარ მიუწევს მეთქი.

მე ცეცხლთან ვზივარ, ეს-ესაა ვივახშმეთ. ლუკა ფეხზე დგას ჩემს პირდაპირ და სიგარეტს აბოლებს. ვერ გამიგია, დაფიქრებულია თუ მოწყენილი? უფრო ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, მოწყენილი ფიქრობს მეთქი. მეც მოწყენილი ვარ, ხალისი, წეღან მდინარიდან ამოსვლისას რომ დამეუფლა, ხანმოკლე აღმოჩნდა. ამ მგზავრობას მცირეოდენი სიამოვნება არ მოუნიჭებია, თუმცა არც უსიამოვნება მიგრძვნია. მხოლოდ ამ საღამოს კოღომ გამიწყალა გული. ვზივარ და დრო და დრო ხელის ქნევით ვიგერიებ კოღოებს, რომლებსაც გაშმაგებული იერიში მოაქვთ ჩემს სახეზე.

— შენ იცნობდი ნანი ინაშვილს? — მოულოდნელად მკითხა ლუკამ.

— ისე, რა... ატიმ გამაცნო და ყოველთვის კეთილად მესალმებოდა.

— გაიგებდი, მთელი ოჯახი რომ გადასახლეს.

— კი... ეგეც, თუ არა ვცდები, ატიმ მითხრა... საშინელი ამბავი მოხდა!

— სხვა ხომ არაფერი უთქვამს?

— არა! რა უნდა ეთქვა?

— ცოტა უცნაური ... ნანი მეც ატიმ გამაცნო.

— მაინც, რა უნდა ეთქვა ატის?

— რატომღაც მეგონა, გეტყოდა ჩემი და ნანის ამბავს. მიკვირდა, რომ არაფერს მეუბნებოდი.

ლუკამ, რაც ვერ გავიგე, ძალზე მარტივად გამაგებინა: მას და ნანი ინაშვილს ერთმანეთი ჰყვარებიათ თურმე. ეს იმდენად დაუჯერებლად მომეჩვენა, სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, უაზროდ გავიცინე. საქმე ის არის, ნანი ინაშვილი მიეკუთვნებოდა იმ კატეგორიის გოგოებს, რომლებსაც თითქმის მთელი თბილისი უთვალთვალებდა, ყოველი მათი ნაბიჯი შესწავლილი და აღნუსხული იყო. ვინ დაუახლოვდებოდა ნანის ასე იოლად და უმტკივნეულოდ, ვინ გაბედავდა, თუნდაც ზრდილობის გამო, ეს გოგო სახლის სადარბაზომდე მარტოს მიეცილებინა?! ვერაზე, რუსთაველზე, სოლოლაკში რაიფებს შორის ნამდვილი სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლები იმართებოდა. ბოლოს და ბოლოს ნანი ინაშვილის ხელისმაძიებელ რაიფთაგან ერთმანეთის პირისპირ ორნი დარჩნენ: რეზო კილაძე და ვინმე შოთა. ამ ორმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ცხადია, ყველა მეტოქე ჩამოიშორა. რეზო კილაძე სოლოლაკელი იყო და მუდამ რუსთაველზე ტრიალებდა, განსაკუთრებით „დეკას“ საბილიარდოსთან ამბობდნენ ბილიარდს ფანტასტიკურად თამაშობსო. ქალაქში მაგარ დამრტყმელად ითვლებოდა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, გული მაინცდამაინც არ უწევდა საჩხუბრად. თუმცა თავისი ძალ-ღონის იმედით გათავხედებული და დაუნდობელი იყო.

შოთა უფრო საიდუმლოებით მოცული და არაპოპულარული პიროვნება იყო. გვარით არავინ იხსენიებდა და მე მგონია, არც ის იცოდნენ, რომელ უბანში ცხოვრობდა. მიუხედავად

ამისა, მას ყველა რეზო კილაძის ღირსეულ მეტოქედ თვლიდა. იმასაც ამბობდნენ, ერთმანეთთან შეხვედრას ერიდებიან, მოულაპარაკებლად რაინდული ხელშეკრულება აქვთ დადებული: ვისაც ნანი აღიარებს, ის იქნება გამარჯვებულიო... როგორ დამეჯერებინა, ხარების ამ ორთაბრძოლაში ლუკაც ჩაერთო.

— კი, ეგრე იყო. — დამიდასტურა ლუკამ და ბოდიშის მოხდასავით კიდევ ერთხელ მითხრა, — მე მაინც მეგონა, ატი გეტყოდა.

— ატის რატომ უნდა ეთქვა? რატომ იმას და არა — შენ?! შენ რა, დრო აღარ გქონდა, თუ ვინმემ დაგიშალა?! — ლუკას ნათქვამი თითქოს ბოლომდე არ მჯეროდა, მაგრამ მაინც მეწყინა. მე ჩემს მეგობრებს არაფერს ვუმალავდი, ამათ კი ღირსადაც არ ჩამთვალეს, რომ ეთქვათ, საქმე ასე და ასეაო...

— არ გეწყინოს, ოზო, — ლუკა თელებისკენ წავიდა და სიბნელეში უკვე ველარ ვხედავდი, — ჩემთვისაც იმდენად მოულოდნელი იყო ეს ურთიერთობა, რომ გაუცნობიერებლად ტაბუ დავადე ქვეყანაზე არავისთვის მითქვამს, ეგ კი არა და, მთელი სიმართლე ჩემთვისაც არ გამიმხელია.

— თუ არავისთვის გითქვამს, ატიმ როგორღა გაიგო?

— მაგასაც გეტყვი...

აპრილის დასაწყისში ლუკას უნივერსიტეტთან ატი შელია შეხვედრია და დაბადების დღეზე წაუყვანია. უცხო ოჯახში დაუპატიჟებლად მისვლა ლუკას მორიდებია, მაგრამ ატის დაუვლია ხელი და დაუყოლიებია, რახან მე მიმყავხარ, ალბათ მაქვს ამის უფლებაო. სწორედ ეს შემთხვევითი შეხვედრა და უცხო ოჯახში სტუმრობა აღმოჩნდა ლუკასთვის საბედისწერო: დაბადების დღეზე ნანი ინაშვილი გამოცხადებულა მთელი თავისი ბრწყინვალებით.

— მე ატის გვერდით ვიჯექი, — მიამბობდა ლუკა. — მთელი საღამო ხელი არ ამომიღია, ღვინოსაც ჩუმად, უსიტყვოდ ვსვამდი. რა თქმა უნდა, ბრალეულობა არ მიმიღია იმ ორომტრიალსა და აურზაურში, რაც ნანის გამოჩენისთანავე ატყდა, არც მხურვალე, ეგზალტირებული სადღეგრძელოებით მიმიმართავს, ნანი საქართველოს დედოფლად არ გამომიცხადებია. თუმცა უცნაურ თუ უჩვეულო სიხარულს კი განვიცდიდი იმის გამო, რომ ნანი აქვე იყო, სულ ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზე. თავიდან მეგონა ამ სიხარულს მისი დახვეწილი სილამაზე მანიჭებდა, ასეთ სიხარულს, ცხადია, შეუძლია დიდი სიხარული განგაცდევინოს, მაგრამ რასაც განვიცდიდი, ნამდვილად სხვა რამ უნდა ყოფილიყო. თანდათან მივხვდი, ნანი იქ მყოფთაგან მხოლოდ გარეგნობით არ გამოირჩეოდა, მას თითქოს ყველა ჩვენთაგანისაგან განსხვავებული ზნეობრივი სკოლა ჰქონდა გავლილი და ამას ყველაფრით ამჟღავნებდა: მოძრაობით, მიმიკით, მეტყველებით... სწორედ ეს მიხაროდა. — ლუკა კოცონთან მოვიდა, მუგუზალი აიღო და სიგარეტს ცეცხლი მოუკიდა.

ქეიფი რომ გახურებულა, ატი შელიას ლუკასთვის მხარი გაუკრავს და ჩურჩულით უთქვამს, რამ გამოგაშტერა, ბიჭო, იმ გოგოს ყურადღება მიაქციეო. ლუკა დაბნეულა, ვერ მიმხვდარა, რას ეუბნებოდა, მაგრამ ატის ცოტა ხნის შემდეგ ისევ გადაუჩურჩულებია, თუ მთლად არ გამოვშტერდი და გამოვჩერჩეტდი, იმ გოგოს ნამდვილად მოსწონხარო.

— ატიმ ეს რომ მითხრა, ვიფიქრე, მამასხრებს ან მაბითურებს მეთქი, მართლა ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე უბრალოდ ნანი ინაშვილის ყურადღების წრეში მოვექცეოდი. ასეთი „ეკრეჯელობა“ გუნებაში არ გამივლია, არც მიოცნებია, არადა ატი მართალი გამოდგა, როგორც კი მიმანიშნა, მაშინვე ვიგრძენი ნანის მზერა და შემეშინდა. პირველი, რაც დამეუფ-

ლა, შიშის გრძნობა იყო. რისი შეგეშინდაო, მაშინ რომ გეკითხა, ვერ გიპასუხებდი, რადგან კონკრეტულად რაღაცის ან ვიღაცის არ შემშინებია სულ ერთი წამით თითქოს უმიზეზოდ, მოსალოდნელი სიხარულის ნაცვლად. დამეუფლა შიში თუ ელდა, რომელიც მერმე ასევე უცებ გაქრა.

ლუკა სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და კოკონის გარშემო დაფიქრებული ისე დადიოდა, ცეცხლის მონუსხული გეგონებოდა. მე თვალს ვადევნებდი, უფრო ზუსტად ვაკვირდებოდი მის ყოველ მოძრაობას, აღნაგობას, სახეს, რასაც მიამბობდა, თითქოს მჯეროდა და არც მჯეროდა, თან ვცდილობდი სხვა თვალით შემეხედა, წუთით მაინც რომ დამენახა ისეთი, როგორიც დაინახა იმ საღამოს ნანი ინაშვილმა. ლუკა, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივი იყო: ულიმღამო, დაფიქრებული, ამჯერად — შეწუხებულიც.

— იმ ღამეს ასე დავშორდით, სიტყვა არ გვითქვამს ერთმანეთისთვის. ატიმ შესთავაზა, გაგაცილებთო. ნანიმ უარი უთხრა, მამაჩემი ალბათ მოსული იქნება და შინ ის მიმიყვანსო. მესამე დღეს უნივერსიტეტში შემხვდა. მეორე კორპუსის შესასვლელთან მარტო ვიდექი, პირდაპირ მოვიდა და მომესალმა. მერმე მითხრა, დღეს საღამოს, თუ თავისუფალი დრო გექნებათ, ჩემთან მოდითო. მისამართი მომცა და გაბრუნდა, სტუდენტებს შეერია, გაუჩინარდა. სახტად დავრჩი. რატომღაც გავიფიქრე, არ წავალ მეთქი, მაგრამ მივხვდი, ეს ცრუ რეაქცია იყო — თავს ვიტყუებდი უნებურად. ქვეყანა რომ დაქცეულიყო, მაინც წავიდოდი და წავედი კიდეც: დაეჭვებული, შემკრთალი, დაბნეული. ატი იქ დამხვდა, ატი და კიდევ სამი უცნობი ქალიშვილი.

ერთი კვირის შემდეგ ლუკა ისევ მისულა ინაშვილების ოჯახში ამჯერად შინ მხოლოდ ოჯახის წევრები ყოფილან: მშობლები და უმცროსი და მანანა. ასე დაწყებულა ნანისა და ლუკას ურთიერთობა. ისინი ერთმანეთს ინაშვილების ბინაში ხვდებოდნენ ხოლმე, სხვაგან არსად — არც ქუჩაში, არც კინოში, არც თეატრში. სახლს გარეთ შეხვედრებს ნანი თავს არიდებდა, ამას შეიძლება უსიამოვნო გართულებები მოჰყვესო.

— მივხვდი, მე მიფრთხილდებოდა, — მეუბნებოდა ლუკა, — თანაც ისე, რომ ჩემი ბიჭური თავმოყვარეობა არ შეელახა. მე ქვეყნად არავისი მეშინოდა, არავის შევეპუებოდი, მაგრამ ნანიმ რახან ასეთი მყუდრო ცხოვრება ირჩია, მეც ვუფრთხილდებოდი მის სიმშვიდეს და არც გამჩენია სურვილი მასთან ერთად გარეთ სიარულისა.

მე გულისყურით ვუსმენდი ლუკას გრძელსა და სევდიან მონოლოგს. ალაზნის ველს ბნელი, ღრუბლიანი ღამე დასწოლოდა, ცეცხლი ბრიალებდა და სიბნელიდან ისმოდა ღამეული ფრინველების უცნაური და იდუმალებით მოცული ხმები.

ლუკამ ლაპარაკი შეწყვიტა და მე ვიგრძენი, უსათუოდ რაღაც უნდა მეთქვა, თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ ხმა გამეცა, მაგრამ გონება თითქოს ჩამეკეტა და ფიქრის უნარი დამეხშო. თანაგრძნობა სხვა ვერაფრით გამოვხატე, ცეცხლთან მივედი და „პრიმას“ მეც მუგუზლით მოვუკიდე ცეცხლი.

— რატომ არ მითხარი, თუ შენ ამ დღეში იყავი ჩავარდნილი?

— ორჯერ შემოირბინე ჩემთან, ორჯერვე გეჩქარებოდა. წუთითაც არ გაჩერებულხარ. ეგეც არ იყოს, მე მეგონა, იცოდი და რატომღაც თავს არიდებდი ჩემთან ლაპარაკს.

— ისინი რომ გაასახლეს, ვიცოდი, მაგრამ საიდან უნდა მცოდნოდა, ამას რა კავშირი ჰქონდა შენთან.

ლუკა თავის ზურგჩანთასთან მოკალათდა, ძილს თუ აპირებს, ვიფიქრე, იქნებ მეც დავიძინო მეთქი.

— ჩვენს მატიანეებში, საქართველოს

ისტორიის ორი ათასი წლის მანძილზე, რამდენი სამშობლოს მოღალატეა დაფიქსირებული, თუ გინდა — აღნუსხული? — მოულოდნელად მკითხა ლუკამ. — მაინც რამდენი? ათი? ოცი? ორმოცდაათი? ასი? ამდენი რაღაც არ მახსენდება...

ვერ მივხვდი, საით მიჰყავდა საუბარი და პასუხი არ გამიცია , თუმცა ვერც ვუპასუხებდი, რადგან ამაზე არასოდეს მიფიქრია.

— შეიძლება, ერთ დღეში სამშობლოს ასობით მოღალატე გამოაცხადო? ეს ხომ სიგიჟეა! შეიძლება, მოუსვა ხელი და, თვლით კი არა, ვაგონობით გაასახლო ხალხი თავისი ქვეყნიდან, როგორც სამშობლოს მოღალატეები?! რატომ? რისთვის? ჯა უფლებით? განუკითხავად ჩაყარეს ხალხი საბარგო ვაგონებში და ციმბირის გზას გაუყენეს, ბარგის შეკვრის დროც კი არ მისცეს, რაც ხელთ მოხვდათ, ის გაატანეს. ეს ამბავი რომ გავიგე, მატარებელი ნავთლუღის სადგურიდან უკვე დიდი ხნის გასული იყო.

მერმე ორივენი ვდუმდით. დაიძინა მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ცოტა ხანში ისევ დამელაპარაკა.

— მე დაგინახე, სააქტო დარბაზში რომ შემოიხედე. მეგონა, შემოხვიდოდი.

— განგებ არ შემოვედი. სადა მაქვს მაგათი გასახეთქი გული?!

— მე კი ვიჯექი და ვუსმენდი, როგორ მოითხოვდნენ გასახლებული ხალხის დახვრეტას. მთელი დარბაზი მოითხოვდა. ერთმა ისიც კი თქვა, ვინც გასახლებულებს უთანაგრძნობს, ისინიც უნდა დავიჭიროთ და დავხვრიტოთო.

— ეგ ჭიჭი დავითაია იქნებოდა.

— რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო, ჭიჭი თუ მიჭი, მთელი დარბაზი აგზნებული ღრიალებდა, მუშტებს იქნევდა და თანამგრძნობთა გამოაშკარავებასა და დაპატიმრებას მოითხოვდა. მე კი იქ ვიჯექი, როგორც უკანასკნელი ვიგინდარა, გამბედაობა არ მეყო, რომ გამოვსულიყავი და მეთქვა, რამ გაგაგიჟათ, ხალხო, ეგრეთ მეთქი. ალბათ ჯობდა, არ შევსულიყავი. ალბათ ცხოვრება უფრო გამიადვილდებოდა: შევიხედავდი დარბაზში და არ შევიდოდი... კარს მივხურავდი...

— არ მესმის, რას მსაყვედურობ?

— მე არ გსაყვედურობ, მე იმას ვამბობ, სადამდე შეიძლება მიიყვანოს იმ დარბაზში ჯდომამ ადამიანი. იმდენად დავეცი, რომ ვფიქრობდი, თუ ეგენი ქართველები არიან, მე არა ვარ მეთქი ქართველი. მე მრცხვენოდა, რომ მათი ჯიშისა თუ მოდგმის ვიყავი და მათი ენა მესმოდა. შენ უნდა გენახა, იმ ანთებული თვალებიდან რა სიძულვილი იღვრებოდა, ყველაფრის წამლეკავი მძულვარება. და ეს სად ხდებოდა? უნივერსიტეტში, ; ეგრეთ წოდებულ ცოდნისა და სიბრძნის ტაძარში, სადაც მრავალი სადოქტორო დისერტაციაა დაცული რუსთაველის ჰუმანიზმზე, ილიას, აკაკისა და ვაჟას კაცთმოყვარეობაზე.

— მაგრამ საქართველო მარტო ის დარბაზი ხომ არ არის?!

— რა თქმა უნდა!

— რამდენია თვით უნივერსიტეტშიც ისეთი ადამიანი, რომელიც იმ ბრბოს არ ეთანხმება, სხვანაირად ფიქრობს და აზროვნებს?! იმ დარბაზიდანაც ბევრი გამოვიდოდა აღშფოთებული...

— მე გულწრფელად გითხარი ის, რაც იქ დამემართა და განვიცადე. მაშინ დარბაზში რომ არ შევსულიყავი, შეიძლება ახლა ცოტა სხვანაირად მეფიქრა, მაგრამ მე იქ ვიჯექი და მოვისმინე, რას ამბობდნენ სტუდენტი გოგოები თანაკურსელ გოგოზე. იცი, რა თქვეს ნანი იაშვილზე? თურმე ბავშვობიდანვე ფუფუნებით გაუზრდიათ, უსწავლებიათ უცხო ენა, აგრეთვე — მუსიკა, ჩასაცმელი არ მოუკლიათ და საჭმელ-სასმელი. ახლა დასკვნა არ გაინტერესებს? ასეთი ხალხი ჩვენს საზოგადოებას არ სჭირდება

და ისინი უნდა მოიკვეთონ! ტაშის ბრიალში ამას თვალეზგადმოცვენილი ქალები გაჰკიოდნენ და ნანის დახვრეტას მოითხოვდნენ. არა გჯერა? ჩემი ყურით რომ არ მომესმინა, მეც არ დავიჯერებდი. ჰო, ერთი მთავარი ბრალდებაც გამახსენდა: თურმე ნანი კარგად იმიტომ სწავლობდა, რომ ყველასაგან გამორჩეული ყოფილიყო და თავი სხვაზე უკეთესი ჰგონებოდა.

— რა საშინელებაა!

— ნეტავი მეც არ შევსულიყავი, რა მინდოდა, რომ შევეთრიე?!

ცეცხლი ნელნელა ჩაქრა და მიინავლა. ჩამობნელდა. ეტყობა, ლუკას არ ეძინებოდა, ადგა და ნაკვერჩხალი გააღვივა, მერმე ნაკვერჩხალს დარჩენილი ხმელი ტოტები დააყარა, გულხელდაკრეფილი უცდიდა ცეცხლის გაჩაღებას.

მაშინ ლუკასთან რომ მივედი, კახეთში გამგზავრება ორი დღით გადავდოთ მეთქი, ტახტზე იწვა, პირით კედლისკენ მიბრუნებული. ახლა მახსენდება, კი არ იწვა, გალახულივით ეგდო და პასუხიც უჩვეულოდ გამცა. იმ წუთას ეჭვი შემეპარა, რა დაემართა მეთქი, მაგრამ არ დავყონებულვარ, მაშინვე გამოვბრუნდი და ჩემს საქმეებს მივხედე. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მქონდა ისეთი საქმე, რომლის გადადება ცოტა ხნით მაინც არ შემძლებოდა.

— ნანი უსათუოდ მომწერს წერილს, დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ მომწერს. მე შევიტყობ, სად დაასახლებენ, სად მიუჩენენ ადგილ-სამყოფელს და წავალ. გავყიდი ყველაფერს, რაც მაბადია, და მეც გადავსახლდები, იმათთან ერთად ან იმათთან ახლოს ვიცხოვრობ.

— სწავლას თავს დაანებებ?

— კი. აქაური აღარაფერი მინდა.

— შენ რა, გამოშტერდი?!

— მე აქ ვეღარ ვიცხოვრებ!

— იქ, სადაც შენ წახვალ, გგონია, სხვა ცხოვრება დაგხვდება? გინდა აქ გიცხოვრია, გინდა — იქ, რა განსხვავებაა? მთელ საბჭოთა კავშირში ცხოვრების ერთი წესი — ბოქაულობა, ყველგან ერთნაირი წესრიგია დამყარებული.

— ის მაინც სხვა ქვეყანა იქნება! სხვა ქვეყანაში ალბათ უფრო ადვილია მონად ყოფნა, ვიდრე შენს სამშობლოში. — გაჩუმდა, მერმე დამცხრალ კოცონს მიუახლოვდა და ფეხსაცმლის ჭვინტით მუგუზალი ცეცხლში შეაგდო. — ისინი ისეთი უმწეონი არიან... ჩავალ, ვიშრომებ, გინდაც სადმე მაღაროში მომიწიოს მუშაობამ. ცოტას მივეხმარები, ხელს გავუმართავ, ვანუგეშებ...

ვერაფერი ვუთხარი. გაჩუმება ვარჩიე, რადგან დაპირისპირებას, წინააღმდეგობის გაწევას ახლა აზრი არ ჰქონდა. მისი მტკივნეული განწყობილების გაქარწყლებას მე ვერ შევძლებდი. თან იმასაც ვფიქრობდი, ეს განწყობილება, ადრე თუ გვიან, გაუვლის მეთქი, მან ხომ სულ მარტომ, უდედმამოდ შესძლო ძალიან მძიმე ცხოვრების გავლა და ამ ტკივილებსაც გაუძლებდა.

ცეცხლი ბჟუტავდა და ლუკას სილუეტს ჯერ კიდევ ვხედავდი. ჩემს შორი-ახლოს ფათურობდა, როგორც ჩანს, დასაძინებლად ადგილს იმზადებდა. დავიძინოთო, ბოლოს თქვა გაბზარული ხმით და მიწვა. მეც მივწექი, ისე გამოვიფიტე და დავიცალე, თითქოს არც სათქმელი მქონდა და არც საფიქრალი. ასე აშკარად არასოდეს მიგრძვნია შინაგანი სიცარიელე, თაბაშირის ცარიელ ყულაბასავით ვეგდე და თვალებზე მიწოლილ ღამის წყვდიადს მივჩერებოდი.

ვერაფერს ვხედავდი. იქნებ რამე ხმა მაინც გავიგონო მეთქი, უხილავ ბნელ სივრცეს მივაყურე. ალაზანი არც ისე შორს მიედინებოდა, მაგრამ მისი ხმაური ჩემამდე რატომღაც არ აღწევდა. აღარც ღამეული ფრინველების ხმები ისმოდა, არც ბაყაყების ყიყინი და არც

კრუალების კრუალი. მხოლოდ რამდენჯერმე გაიწუილა ყურთან კოლომ და თავი გავიქნიე, ვითომ გავაფრთხილე, ჯერ არ მძინავს მეთქი. მერმე თვალები დავხუჭე და... ალაზნის ჭალებიდან საოცარი სისწრაფით დაიძრნენ ჩემკენ უზარმაზარი ხეები. მოჰქროდნენ და მოჰქროდნენ. ჩუმად, უხმაუროდ მომიახლოვდებოდა, თითქოს უნდა გავეტანე და უცებ გვერდზე გადაწვებოდა, ჩამიქროლებდა... მომიახლოვდებოდა და გადაწვებოდა — ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე... თვალი გავახილე, რომ ამ ფეთებისაგან თავი დამეღწია. მაგრამ ძილი მომძალებოდა, დამძიმებული ქუთუთოები თავისთავად მეხუჭებოდა... ისევ დაუსრულებლად მოჰქროდნენ ღამის წყვდიადიდან გოლიათი ხეები და ამ კოშმარულ თვლემასა თუ ძილ-ღვიძილში უცებ ცხენის ჭიხვინი გავიგონე. უნებურად წამოვხტი და სმენა დავძაბე, გულმა გამალებით დამიწყო ბაგა-ბუგი.

— გაიგონე? — ვკითხე ლუკას.

— რა?

— ცხენის ჭიხვინი.

— არა, არ გამიგონია.

სმენადქცეული ერთხანს ვიდექი ღამის სიბნელეს მიყურადებული. ჭიხვინი აღარ განმეორებულა. ისევ დავწექი, ძველ ადგილს მოვერგე. თვალის დახუჭვისა მეშინოდა, მაგრამ ვიგრძენი, რომ აღარ მეძინებოდა, აღარც თვალები მეხუჭებოდა თავისთავად. დაფეთებული გული კი ისევ გამალებით მიცემდა.

— დამშვიდდი, ოზო, ოთამის თეთრი ცხენების რემა აღარ არსებობს! გადააშენეს, გაანადგურეს, მოსპეს ქართული ჯიშის არგამაკი — თეთრი ცხენი, ომებში გახედნილი და გაწვრთნილი, ქართველი მეომრის სიამაყე და ერთგული მეგობარი, მშრომელი კაცის მარჯვენა ხელი და მარჩენალი... ტყუილად გაქვს დაცქვეტილი ყურები, თეთრი ცხენის ჭიხვინს ვეღარ გაიგონებ!...

ლუკა ამას რომ მეუბნებოდა, ისევ მომესმა ცხენის ჭიხვინი, წამოვიჯექი და მივაყურე, ცხენმა ერთხელაც დაიჭიხვინა.

— ოზო!

— გაიგონე?!

— ოზო, შენ დარწმუნებული ხარ, რომ თეთრი ცხენი ჭიხვინებდა?!

სიბნელეში მომეჩვენა, რომ ლუკაც ფეხზე იდგა და ზევით, გორაკებისკენ ღამის წყვდიადს მისჩერებოდა. სწორედ იმ მხრიდან შემოგვესმა ცხენის ჭიხვინი.

9

მივდივართ...

აგვიკრავს ჩვენი გუდა-ნაბადი და მივდივართ. საით გაგვიწევია, საით დავდგომივართ გზას? უკვე დაღლილები და გაოფლილები ვიწრო ბილიკით მივყვებით ალმართს. ირგვლივ სიცარიელეა, ისეთი სიჩუმე და უდაბურებაა, შენი აქ ყოფნა უაზრობად გეჩვენება. ვერ ახსნი, თითქოს ვერ გაამართლებ ამ დახუთულ სიცხესა და უძრაობაში, ამ სასოწარკვეთილ უფაცრიელობაში გაურკვევლობისაკენ ლტოლვას.

რატომ მივდივართ?

ზუსტად არ ვიცი, რატომ მივდივართ. არა მგონია, მხოლოდ იმიტომ დავდგომოდეთ ამ გზას, რომ ოდესღაც მავანსა და მავანს შევპირდით, უსათუოდ ამოვალთ და გინახულებთო. თუ ამ პირობის ასრულება გვინდოდა, ადრევე უნდა წამოვსულიყავით, ამის დროცა გვქონდა და საშუალებაც. ახლა, არც ლუკასა და არც მე, არა გვჯეროდა, რომ ისინი ცოცხლები დაგვხვდებოდნენ. გინდაც ცოცხლები დაგვხვედროდნენ, არა მგონია, დაპირება ახსოვდეთ და საყვედურით სავსე მზერით გასცქეროდნენ გზას, აკი შეგვპირდნენ, მოვალთო და რატომ არ მოდიანო.

გზაშივე ვიგრძენით, ჩვენი თბილისიდან გამომგზავრება ადრინდელი განცდის ნამსხვერევთა შეკოწიწების გაუცნობიერებელი ბდა იყო. აქეთ მოგვისროლა ოდესლაც განცდილი დიდი სიხარულის ინერციამ. აბარგებისთანავე მივხვდით, ეს სიხარული აღარ არსებობდა. ჩვენ კი გვინდოდა, იგივე განგვეცადა, რაც ერთხელ უკვე განვიცადეთ, იგივე მიგვეღო, რაც ერთხელ უკვე მიღებული გვქონდა. მიუხედავად ამისა, უკან მაინც ვერ დავბრუნდით, მაინც მივყვებოდით ერთხელ არჩეულ გზას.

ძილგატეხილები, უძილოები მორჩილად შევუდექით აღმართს. გუმანით ვგრძნობდით, აქეთ უნდა გვევლო და ჩვენც ბრმად მივდიოდით, როგორც ბედისწერას აყოლილები. არც გზა, არც ბილიკი, ყველა ნიშანკვალი წაშლილი იყო, ვერავინ იფიქრებდა, რომ ამ მიწაზე ადამიანს ოდესმე ფეხი ქონდა დადგმული.

ძილი, რა თქმა უნდა, ცხენის ჭიხვინმა დაგვიფრთხო. ღამის წყვდიადში, ღამის იმ გაუღწეველ უდაბურებაში ძალზე მოულოდნელად გაისმა ცხენის ჭიხვინი. უცნაური ის არის, რომ მე ამ ხმას ველოდებოდი ან უფრო ზუსტად: მთელი არსებით იმდენად მინდოდა ცხენის ჭიხვინის გაგონება, შინაგანად მჯეროდა, გავიგონებდი, ბიუხედავად გაუმხელი, ფარული მოლოდინისა მაინც თავზარდამცემად მოულოდნელი აღმოჩნდა ეს ხმა, რომელმაც მე და ლუკა ფეხზე წამოგვახტუნა და აგვაღელვა, ძილი გაგვიტეხა და დაგვიფრთხო.

ჩვენს გონებაშიც, ჩვენს ცნობიერებაშიც არსებობდა ეს გაუღწეველი უდაბურება... იყო იოთამი, ამ ქვეყანაზე ცხოვრობდა ბრძენკაცი, მდიდარი და შეძლებული გლეხი, რომელსაც რამდენიმე ათასი სული ცხვარი ჰყავდა და თავისი ქვეყნისთვის სიკეთეს სთესდა. მერმე გადაწყვიტა გადაშენების გზაზე დამდგარი ქართული ჯიშის თეთრი ანუ ლურჯა ცხენის გადარჩენა, თითქმის მკვდრეთით აღდგენა მთელ საქართველოში ეძებდა—და ... ...

ბაო. მაგრამ მე არ მინდა, ახლა ვთქვა ის, რასაც ბატონი ლადო რამდენიმე თვის შემდეგ გამანდობს. თუმცა სული წინ მისწრებს და თავსაც ძლივს ვიკავებ.

ლუკა და მე მდუმარედ მივყვებით აღმართს, ზურგზემოკიდებული ჩვენი ტვირთი თანდათან მძიმდება და აღმართზე სიარული გვიჭირს. მაგრამ ორივემ ვიცით, ერთი კუდის მოქნევა ღა დაგვრჩა, ავივლით ამ აღმართსაც და სოფელი გამოჩნდება... ნისლაურა.

ვერაფრით წარმოვიდგინე, რომ ამ გაპარტახებულ მხარეში ოდესღაც ცხოვრება ჩქეფდა და თავისი გზით მიედინებოდა. ძნელია, ვერ ვახერხებ, გონება დაბინდული მაქვს და წარმოსახვის უნარი — დაკარგული. თავდახრილი ნაბიჯ-ნაბიჯ მივყვები ლუკას, რომელიც ზევით ჯიუტად მიიწევს.

— ჩვენ რეალურისა და არარეალურის ზღვარზე მივდივართ. — თქვა ლუკამ, ოღონდ წუხელ, როცა ცხენის ჭიხვინმა ძილი დაგვიფრთხო და ძილგატეხილები სიბნელეში ვისხედით ჩასაფრებულივით. — ჩვენ სინამდვილესა და მოჩვენებით სინამდვილეს შორის ბრმებივით ვფათურობთ და ვერ გაგვირკვევია, რომელია ნამდვილი და რომელი — მოჩვენებითი. ხშირად მოჩვენებითი უფრო ნაღდი გვგონია და შინაგანად იმას ველტვით, ის გვინდა დავიჯეროთ.

ჩვენ უკვე ბოლო აღმართს მივადექით.

რატომღაც მომაგონდა ძველი ბაზილიკა და ბრტყელი აგურით ნაშენები წყარო, სადაც დედაბრები იდგნენ და ჭურჭლის წყლით ავსებას ელოდებოდნენ. მომაგონდა ის უკბილო, ბებერი ნაგაზიც, სოფელში შესვლისთანავე გაავებული რომ გამოგვენთო და გულები დაგვიხეთქა. წინასწარ თითქოს ვგრძნობდი, ისინი აქ აღარ დაგვხვდებოდნენ, მაგრამ მაინც არ მეგონა, სამიოდე წლის მანძილზე თუ სოფლის ამგვარად დანგრევა და გაპარტახება შეიძლებოდა. სოფელი, რომელიც ორი წლის წინათ, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ სოფელს ჰგავდა, იფიქრებდი, განგებ იყო დანგრეული და გაზიდული თუ გაძარცვული. რისი წაღებაც შესძლებიათ, წაუღიათ: ქვა, აგური, კრამიტი, კარ-ფანჯარა, იატაკი, ლამფა... თითქოს სოფელს საშინელმა გრიგალმა გადაუარა და მიწასთან გაასწორა ყველაფერი, რაც ფეხზე იდგა და არსებობდა.

ვეღარც გავიხსენეთ, სად იყო ბაზილიკა, ვერც იმ ბრტყელი აგურით ნაშენებ წყაროს მივაგენით. მახსოვს, თითბრის მსხვილი მილიდან ბარაქიანად მოედინებოდა ცივი და კრიალა წყალი. ახლა კი კაკლის ქვეშ მიწიდან ამოჩრილი ჟანგიანი მილი საცოდავად წვეთავს, გეგონება, სულს ღაფავს და სადაც არის გათავდება.

წყაროს საკმაო მანძილით გავცდით, ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ის, რისი დანახვის იმედსაც გულის სიღრმეში არ ვკარგავდი — პატარა აივნიანი სახლი, სადაც გედეონ ომანაშვილი ცხოვრობდა. მე და ლუკა შევჩერდით და ერთმანეთს გავუღიმეთ. ბატონი გედეონი ნამდვილად ცოცხალია მეთქი, გავიფიქრე და დარწმუნებული ვარ, გაღიმებისას ლუკამაც სწორედ ეს გაიფიქრა.

მორყეული ღობიდან ეზოს გავხედეთ, ეზო ძველებურად სუფთა და მოვლილი ჩანდა. ცაცხვის ძირას ისევ იდგა გედეონ ომანაშვილის ნაოსტატარი, წვიმისა და ქარისაგან გამოფიტულ-შეჭმული მოგრძო მაგიდა და აქეთ-იქიდან მიდგმული ორი მერხი. სახლის კარი ღია იყო. კბილებჩაცვენილ რიკულებიან მოაჯირს იქით თვითნაკეთები შეზლონგი დავინახე, დაფერდებული. ესეც გედეონ ომანაშვილის ნახელავი უნდა ყოფილიყო.

— ბატონო, გედეონ! — დავუძახე ხმამაღლა, მაგრამ ეს უფრო შეშინებული კაცის ყვირილს ჰგავდა, ვიდრე დაძახებას. სხვათა შორის, ლუკამაც

შემნიშნა, რა გაუვირებსო.

ხმა არავინ გამცა და ხელმეორედ დავუძახე, ოღონდ ახლა უფრო ზომიერად.

— ბატონო გედეონ!

ოთახიდან რაღაც ხმაური მოგვესმა. ცოტა ხანში სიბნელიდან გამოლასლასდა ყავარჯნებიანი ლანდი, ღია კარებში ჩადგა და ეზოს გადმოხედა.

— მობრძანდით, ბატონებო, სტუმარი ღვთისაა! — ეზოში შეგვიპატიჟა ლანდმა, რომელსაც გედეონ ომანაშვილის ხმა ჰქონდა.

ეზოში შევედით, ზურგჩანთები ცაცხვის ქვეშ, მაგიდაზე დავყარეთ და კიბეს მივუახლოვდით. სამი საფეხურით ზევით, ღია კარებში ყავარჯნებს დაყრდნობილი გედეონ ომანაშვილი იდგა, გამხდარი, გაძვალტყავებული. დაპატარავებული, თანაც ჩამჭრალი თუ გამომშრალი თვალებით გვიმზერდა. ეტყობოდა, თავს ველარ უვლიდა, პერანგი ტანზე შემოსცვეთოდა, ჰაღარა წვერი მოშვებული ჰქონდა, თითქმის მკერდზე ეფინა. არადა სულ პეწიანად ჩაცმულ-დახურული და სუფთად წვერგაპარსული მახსენდებოდა, ყოფილი მსახიობის ჟესტ-მიმიკითა და ოდნავ ამაღლებული ტონით მოსაუბრე.

ჩვენ მოკრძალებით მივესალმეთ. ალბათ ვერ გაიგონა ჩვენი მისალმება, პასუხად გვითხრა, ეს შეზლონგი აქ დამიდგითო. ჩვენც მითითებულ ადგილზე, კიბის თავში დავუდგით მორყეული შეზლონგი და ბატონი გედეონი შიგ ჩავასვენეთ. ყავარჯნები იქვე კედელზე მივაყუდეთ.

— დიდი მადლობა მომიხსენებია, ბატონებო, მობრძანებისთვის! — ეს კი გვითხრა ჩვეული პათეტიკურობით, მაგრამ სახის გამომეტყველება არ შესცვლია ჩამჭრალი და გაციებული თვალებით თითქოს უაზროდ მისჩერებოდა სივრცეს. — მე ხომ ვიცი, ფეხით რა დამღლელი გზა გამოიარეთ, რატომ არ დასხდებით, რატომ არ დაისვენებთ?!

მე იქვე კიბეზე ჩამოვჯექი, ლუკა ეზოში ჩავიდა და ცაცხვის ქვეშ მერხზე დაჯდა, სიგარეტი გააბოლა.

— თქვენ, გგონიათ, ვერ გიცანით? კარგად გიცანით, ბატონებო, ოღონდ ძალზე ვწუხვარ, რომ ასე დავუძლურდი და ღირსეულ სტუმრებს ღირსეულად ვერ გიმასპინძლდებით.

— რას ბრძანებთ, ბატონო გედეონ, ჩვენ რა გამასპინძლება გვინდა, აქ თავს შინაურულად ვგრძნობთ.

— ეგ კარგია, თავს რომ შინაურებადა სთვლით!

— არ გვეგონა, თუ კიდევ გეხსომებოდით.

— აქ გაცხოველებული მისვლა-მოსვლა და სტუმრიანობა რომ ყოფილიყო, მაინც მეხსომებოდით. მაგრამ, ვაი, რომ თქვენს შემდეგ ადამიანის შვილთაგან არავინ ამოსულა. ის ბებრები შვილებმა წაიყვანეს და სრულიად მარტო დამტოვეს. არა, რაც მართალი მართალია, გაყოლა შემომთავაზეს, აქ მარტო რა გაგაძლებინებთ, ჩვენთან წამობრძანდითო და კიდევ სხვა ათასგვარი ოხრობა მითხრეს. მე გავჯიქდი, ბატონებო, და ადგილიდან ფეხი არ მოვიცვალე, ვიფიქრე რაღაცას მაინც უკან მოვაბრუნებ მეთქი, მაგრამ უკან თურმე აღარაფერი ბრუნდება. დავრჩი მარტო ამ ტიალ სოფელში! — ბატონმა გედეონმა ცოტა ხნით შეისვენა, სული მოითქვა. — თუმცა სადღაა სოფელი?! სულ გაზიდეს, გაიტანეს... აგურ-აგურ გაიტანეს და გაზიდეს სოფელი. ესეცა ვნახე, ბატონებო, ამასაც მოვესწარი!

ეტყობა, ლაპარაკის დროს დიდ ენერგიას ხარჯავდა, ღრმად ამოისუნთქა და შეზლონგზე მიესვენა, თვალები დახუჭა. თვალების დახუჭვისთანვე მიცვალებულს დაემსგავსა. იქვე ახლოს რომ არ ვმდგარვიყავი და მისი ღრმა სუნთქვა არ გამეგონა, უთუოდ მკვდარი მეგონებოდა. უცებ გამიელვა, მშიერი იქნება მეთქი. წამოვდექი და ლუკასთან მივედი. ლუკაც დამეთანხმა, რა თქმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა, მშიერი იქნება, აბა, ვინ აჭმევდა და ასმევდაო, ზურგჩანთიდან ჩაიდანი ამოიღო და წყაროზე წავიდა.

სახლის გვერდზე ძველი, ჟანგმოდებული, მილაჩრილი თუნუქის ღუმელი დავინახე. ლუკას მოსვლამდე ცეცხლს გავაჩაღებ მეთქი, ჯიბიდან ასანთი ამოვიღე. სახლს მარჯვენა მხარეს ფიცრის ფარდული ჰქონდა მიშენებული. შეშის მოსაძებნად დავტრიალდი და ეზოში ფიჩხიც რომ ვერ ვიპოვე, იმ ფარდულშიც შევიხედე. უნებურად შევკრთი: კედელზე აყუდებული კუბო დავინახე. ელდანაცემი გამოვტრიალდი, შეშის ძებნა ისე გავაგრძე, თითქოს არაფერი დამენახოს. გაგონილი კი მქონდა, სოფელში მავანმა და მავანმა თვითონვე გაიმზადა კუბოო და სასაცილოდ არ მყოფნიდა, თვითონ როგორ გაიმზადა მეთქი, არ ვიჯერებდი. ახლა ჩემი თვალით ვნახე და შევძრწუნდი, მოულოდნელობის გამო თავზარიც კი დამეცა.,

— ცეცხლის დანთება თუ გინდა, ჩემო ოზო, ღობე დაამტვრიე. სხვას ვერაფერს მონახავ, რაც დასაწვავი იყო, დავწვი.

— ღობე როგორ დავამტვრიო, ბატონო გედეონ?!

— ვის რა ოხრობად უნდა ეგ ღობე?! ყოველი გასრულდა, აქ აღარავინ ამოვა... აღარც მე მჭირდება... ისე კი ძალიან მიყვარს კოხტად შემოღობილი ეზო, ლამაზია ეგ ოხერი! დაამტვრიე, ნუ გერიდება, ხომ ხედავ, როგორ არის მორყეული და მონგრეული!

გამხნევებულმა და წათამამებულმა ღობეს ლაწა-ლუწი ავუტეხე.

ლუკას მოსვლამდე ცეცხლი დავანთე და გავაჩაღე. კვამლი ბოლქვებად დაიძრა მილიდან ცისკენ. ღუმელთან მდგარს ბატონი გედეონის ლაპარაკი მესმოდა:

— ცეცხლიც ლამაზია... კვამლიც. კვამლი სიცოცხლის ნიშანია, ცეცხლი— ბოვრებისა. კვამლს რომ შორიდან დაინახავს მგზავრი, გული იმედით ევსება.

ლუკა მოვიდა, წყალი მოიტანა, ჩაიდანი ღუმელზე შემოდგა. მე თვალით ვანიშნე, ფარდულში შეიხედე მეთქი. ლუკა ვითომ რაღაცას ეძებდა, ფარდულისკენ სწრაფი ნაბიჯით გაემართა, ფარდულში შეიხედა და მე დავინახე ,ჩემსავით ადგილზევე როგორ გაშეშდა. დაბნეულად გამომხედა, უმწეოდ გაიღიმა და ხელები გაშალა. რა თქმა უნდა, ისიც მიხვდა, რომ ბატონ გედეონს ეს კუბო თავისთვის წინდაწინვე ჰქონდა გამზადებული.

— ჩაის ხომ არ მიირთმევთ, ბატონო გედეონ? — ვკითხე.

— ოო, ჩაი დიდებული რამ არის! — წამოიძახა ბატონმა გედეონმა. — ჩაის გარდა კაცობრიობისათვის სხვა რომ არაფერი მიეცა ჩინეთს, კაცობრიობა ჩინელების ვალს მაინც ვერ გადაიხდიდა. ქვეყნიერება თუნდაც ერთი დღე დატოვეთ უჩაიოდ და თქვენ დარწმუნებით ჩემი სიტყვების სიმართლეში. ასე უნდა ფასდებოდეს ქვეყნის სიდიდეცა და სიდიადეც: ვინ რა მისცა მსოფლიოს, რითი გაამდიდრა და არა იმით — ერთმა რა წაჰგლეჯა მეორეს.

ჩვენ უკვე გავშინაურდით. ოთახიდან გამოვიტანეთ ჯამ-ჭურჭელი და მაგიდის გაწყობას შევუდექით. სუფრა, რა თქმა უნდა, ცაცხვის ქვეშ გავშალეთ. ჯამ-ჭურჭელი კი ჰქონდა კარადაში და თაროებზე დაწყობილი, მაგრამ ოჯახში საჭმლის ნატამალიც ვერ აღმოვაჩინეთ. აშკარა იყო, ბატონი გედეონი უსმელ-უჭმელობამ დაასუსტა და გამოფიტა.

ზურგჩანთაში რაც მოგვეძებნა, ამოვალაგეთ: საკმაოდ ხმელი პური, შებოლილი ძეხვი, თევზის კონსერვი და შესაქელებული რძე. ამ რძისთვის გზაში ხელი არ გვიხლია და ხუთიოდე ქილა კიდევ გვრჩებოდა. თუ დიდი ხნის მშიერია, შეიძლება თევზის

კონსერვმა და შებოლილმა ძეხვმა აწყინოს მეთქი, ვუთხარი ლუკას.

— მხოლოდ რძიანი ჩაი. — მიპასუხა ლუკამ. — პური ჩაიში დავულბოთ და ვაჭამოთ. მაგ ძეხვს ვერც დაღეჭავს, კბილები არა აქვს.

ჩვენ გვინდოდა ბატონი გედეონი შეზლონგიანად მიგვეყვანა სუფრასთან. მაგრამ უარის ნიშნად თავი გააქნია და მე თვითონო, გვითხრა, როგორც ბავშვმა. მერმე გვანიშნა, ყავარჯნები მომაწოდეთო. ყველა ნიშნის მიხედვით ეს ყავარჯნებიც მისი გამოჩორკნილი უნდა ყოფილიყო. საკმაოდ მარჯვედ ხმარობდა. წამომდგარი ორივე იღლიით დაეყრდნო ყავარჯნებს, შემდეგ, თითქოს მადლიერმა, ზეცას ახედა და წამოიძახა:

— გმადლობ, უფალო, რომ არ მიმატოვე!

მაგიდას მივუსხედით. ბატონმა გედეონმა პირჯვარი გადაიწერა და ჩურჩულით წარმოთქვა ლოცვა. სუფრას კმაყოფილმა გადახედა, მე მომეჩვენა, თითქოს გაიღიმა კიდეც.

— მეფური სუფრა გაგიშლიათ, ბატონებო!

ბატონი გედეონი მაგიდასთან ღირსეულად იჯდა. ჩვენს მიერ გაშლილ სუფრას, რომელსაც მან „მეფური" უწოდა, არ აუღელვებია, მიუხედავად ამდენი ხნის უჭმელობისა და შიმშილობისა, არ აჩქარებულა, მშვიდად ელოდებოდა თავის წილ ულუფას. ფინჯანში ქაფქაფა ჩაი დავუსხით, შაქარი ჩავუგდეთ და ერთი კოვზი შესქელებული რძე გავუზავეთ. პური ხმელია, ჩაიში უნდა დალბეს თქო, გავაფრთხილეთ. მე თვითონო, ახლაც წელანდელივით გვიპასუხა, აკანკალებული ხელით პური გატეხა და რძიან ჩაიში ჩააწო. მაგიდაზე შებოლილი ძეხვი კი იყო, მაგრამ არ დაგვიჭრია. რახან უკბილო მოხუცი ამ ქვასავით მაგარ ძეხვს ვერ დაღეჭავდა, ჩვენც მოვერიდეთ მის ჭამას, არ შეეხარბოსო, ვიფიქრეთ. არც თევზის კონსერვი გაგვიხსნია. ლუკამ საშურაბე ლამბაქი სქელი ტაბლეტი რძით გაუვსო და კოვზიანად წინ დაუდო. ეს რა არისო, იკითხა ბატონ[illegible]ემა. ჩვენ ავუხსენით, რაც იყო. რას არ მოიგონებს რუსთ ხელმწიფეო, თქვა და გემო გაუსინჯა. ძლივს შესაჭმელი კეთილი ღიმილი გაუკრთა სახეზე. ეტყობა, ძალიან მოეწონა. ოჰ, ოჰ, კარგიაო, ჩაილაპარაკა და ახლა [illegible] სავსე კოვზი მიიტანა პირთან. კოვზს რძის ერთი წვეთი მოწყდა და ჭალარა წვერს დაეკიდა. მოხუცს ეს არ დაუნახავს. მაგრამ რაღაცნაირად მაშინვე იგრძნო და მარცხენა ხელი ჩამოისვა წვერზე.

მე უკვე იმაზე ვფიქრობდი, ბატონ გედეონს რა მოვუხერხოთ მეთქი, მისი აქ დატოვება ნამდვილად უდიდესი ცოდვა იქნებოდა და ღმერთი არ გვაპატიებდა. გინდაც ეპატიებინა, მე თვითონ ვეღარ მოვისვენებდი, ალბათ მთელი ცხოვრება დამტანჯავდა სინდისის ქენჯნა. არადა აქედან ფეხს ვერ მოაცვლევინებდი, ვერ წაიყვანდი, თუნდაც იმიტომ, რომ თავისი კუბო აქ დასამარხად გამზადებული ჰქონდა. როგორც შემდეგ ვნახეთ, საფლავიც მზად ჰქონია და საფლავის ქვაც. ისიც უზნეობად მეჩვენებოდა აქვე დავლოდებოდით, როდის ბარდაიცვლებოდა გედეონ ომანაშვილი. საშინელებაა, იჯდე და უცდიდე, როდის მოკვდება კაცი. ასეთ ლოდინს უმეტესად უსიამოვნო ფიქრები და განცდა ახლავს ხოლმე. პირადად მე ამგვარი რამ არ განმიცდია, მაგრამ გაგონილი მაქვს, უფრო კი — წიგნებში წაკითხული და წარმოდგენილი.

თან ამას ვფიქრობდი, თან სიხარულით შევცქეროდი უმწეო მოხუცს, რომელიც უდიდესი სიამოვნებით იტკბარუნებდა უკბილო პირს შესქელებული რძითა და ჩაიში ჩამბალი პურით. არ მეგონა, არც ოდესმე მიგრძვნია, უმწეო და მშიერი კაცის დაპურებას თუ ამგვარი სიხარულის მონიჭება შეეძლო. ეს არ იყო ჩვეულებრივი, მი-

წიერი სიხარული, მას თითქოს ასხივოსნებდა ზეციური მადლი, რომელიც აგრეთვე შენც გასპეტაკებდა სულიერად და გამაღლებდა.

დანაყრების შემდეგ ბატონი გედეონი თავის შეზლონგს დაუბრუნდა. შეზლონგში ჩასვენებისთანვე თვლემა მოერია და ჩაეძინა. ძილი რომ არ დაგვეფრთხო, ლუკა და მე იქაურობას გავერიდეთ. სახლს უკან პატარა ფერდობი ავიარეთ და მოსწორებულ ადგილას ორმოს ანუ ღია საფლავს წავაწყდით. იქვე იდო გათლილი საფლავის ქვაც. ქვას თავში ჯვარი ჰქონდა დასმული, ჯვრის ქვემოთ უბრალოდ ეწერა: „თავადი გედეონ ომანაშვილი. 1868—19... წწ. ეტყობა, ვინც დაასაფლავებდა, ის დაასრულებდა ამ წარწერას.

ლუკა საფლავის ქვაზე ჩამოჯდა და გულისჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. მეც გვერდით მივუჯექი. აქედან დიდი სივრცე იშლებოდა, მაგრამ კახეთში ჩამოწოლილი ღრუბლების გამო კავკასიონი აღარ მოჩანდა, ალაზნის ველსაც მძიმე, ტყვიისფერი დასდებოდა და თითქოს დაპატარავებულიყო კიდეც.

ეს რამდენიმე დღეა ცა წვიმით იმუქრება, თუმცა არც გაწვიმდა და არც გამოიდარა.

— რა ვქნათ? — მკითხა ლუკამ და რატომღაც საფლავს ჩახედა გეგონებოდა, სიღრმეს ამოწმებდა.

— რა ვიცი. აქ ხომ ვერ დავტოვებთ.

— მაგის აქედან დაძვრა ძალიან გაგვიჭირდება.

— მე კი მგონია, აქედან ვერ დავძრავთ. აქ ყველაფერი უკვე გამზადებული აქვს. როგორ გინდა წაიყვანო?!

— ჯერ დავაზუსტოთ, სად გადასახლდა ეს ხალხი. მერმე მე წავალ და ამოვიყვან, ვილაცა მაინც წამომყვება. ბოლოს და ბოლოს როგორ შეიძლება ადამიანის ესე გაწირვა.

— იმ ხალხმაც რა ჰქნას?! როგორც ჩანს, სცადეს მოხუცის წაყვანა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. გედეონ ომანაშვილმა იცის, აქედან თუ ცოცხალს წაიყვანენ, მკვდარს აღარ დაბრუნებენ.

— ანდერძი დაიბარეთ, ... დამმარხეთო.

— ეგეც იცის ომანაშვილმა, რომ ამ ქვეყნად ანდერძის შემსრულებელი აღარა ჰყავს.

— ალბათ მართალი ხარ... ალბათ კი არა, ეგრეა.

ბატონი გედეონის ძახილი გავიგონეთ, ლუკასა და მე შეშფოთებული გვიხმობდა:

— ბატონებო! ბატონებო!

— არ იფიქროს, რომ გავეპარეთ. — თქვა ლუკამ.

ჩვენც შევეხმიანეთ და ფერდობზე სწრაფად დავეშვით. ბატონი გედეონი ოდნავ წამოწეული იჯდა, თითქოს წამოდგომას აპირებდა. შეშფოთება ნამდვილად ეტყობოდა. დაგვინახა და ისევ მიესვენა საზურგეს. მომეჩვენა, გაიღიმა კიდეც, სადღაც შიგნით, გულის სიღრმეში.

— აქა ვართ, ბატონო გედონ!

— რაღაც აბდა-უბდა დამესიზმრა და ვერაფერი გამოვიტანე. რა ხანია, წესიერი სიზმარი არ მინახავს.

ლუკამ ჩაიდანში დარჩენილი წყლით ფინჯნები და ლამბაქები დარეცხა და გასაშრობად იქვე მაგიდაზე დაალაგა. მე კიბეზე ჩამოვჯექი, ასე გაურკვევლად ყოფნა თანდათან ძნელდებოდა და ვიფიქრე, აქედან გამგზავრებაზე ხომ არ ჩამოვუგდო მეთქი ლაპარაკი. თან ასეთი საუბრის აბსურდულობასაც ვგრძნობდი, ჩვენ როგორ შევძლებდით იმას, რაც ვერავინ შეძლო.

— იმედი მაქვს, ამაღამ ჩემი სტუმრები იქნებით.

— რა თქმა უნდა, ბატონო გედეონ!

— მშვენიერია, მე და ჩემმა ღმერთმა! ხვალემ ხვალისა იზრუნოსო, ასე სწერია ერთ დიდ წიგნში.

— უთქვენოდ აქედან ფეხს არ მოვიცვლით, ბატონო გედეონ!

— ეგ ვერ გავიგე, — დაეჭვდა ბატონი გედეონი, — რასა ჰქვია, უთ-

ქვენოდ აქედან ფეხს არ მოვიცვლითო. ჩემი აქედან წაყვანა ხომ არ მოგწადომებიათ, ბატონებო,?! მაგრამ მე მინდა გაუწყოთ, რომ თქვენ ის არა ხართ, ვინც მე წამიყვანს. ჩემი წამყვანი სხვაა და ის სხვა, დღესა თუ ხვალ, უსათუოდ მომაკითხავს. გასამგზავრებლად მზადა ვარ და წუთი-წუთ ველოდები, როდის წამიყვანენ. ოღონდ ერთსა გთხოვთ, ბატონებო, ვიდრე დამტოვებთ, ერთი სათხოვარი ამისრულეთ... სახლის გვერდზე, ფარდულში ჩემი კუბო ძევს. ის კუბო თქვენ უკვე ნახეთ. საფლავიცა და საფლავის ქვაც ხომ მოინახულეთ?

— ვნახეთ, ბატონო გედეონ.

— ვიდრე წახვალთ, ის კუბო აიტანეთ ჩემ საფლავზე და შიგ საფლავში ჩაასვენეთ. ხუფი ისე დატოვეთ, სანახევროდ ღიად, რომ შიგ ჩასვლა და ჩაწოლა შევძლო. ამას მე მაშინ მოვიმოქმედებ, როცა ჩემი გამგზავრების ჟამი მოვა. მე ვიგრძნობ იმ წუთს, უსათუოდ ვიგრძნობ!

— რას ბრძანებთ, ბატონო გედეონ?!

— იმავ ფარდულში ჩაქუჩი და საჭრეთელი მაქვს. მე ვერ დავასრულე წარწერა და თქვენ უნდა დამიმთავროთ, საფლავის ქვაზე უნდა ამოჭვეთოთ „49“, ესე იგი, თავადი გედეონ ომანაშვილი გარდაიცვალა 1949 წელს. ეს ისტორიაა, ხომ უნდა იცოდეს ქვეყანამ, როდის გარდაიცვალა უკანასკნელი მკვიდრი ამ სოფლისა, როდის არბევდნენ და აოხრებდნენ ამ სოფელს?! ესე იქმნება ისტორია, ბატონებო!

ლუკას გავხედე. ლუკა დაფიქრებული იჯდა... უფრო სასოწარკვეთილი, ვიდრე დაფიქრებული.

— მე ჩემი ფეხით მივალ და ჩავესვენები, ჩემს ცოდვილ სულს მივაბარებ უფალს. მერმე მოვა კაცი და ჩემ საფლავს მიწით ამოავსებს, საფლავის ქვასაც დამადებს გულზე.

რატომღაც გავიფიქრე საბას გულისხმობს მეთქი, რადგან „კაცი“ ისე წარმოთქვა, რომ ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა, თანაც მომეჩვენა, კონკრეტული პიროვნებაც წარმოიდგინა, თითქოს ვისაც გულისხმობდა, იმას ხედავდა კიდეც.

— ახლა, ბატონო ოზო, პატივი დამდეთ და ოთახიდან ჩემი პატარა ზარდახშა გამომიტანეთ. თუ არა ვცდები, ეს ზარდახშა კამოდზე უნდა იდგეს.

უსიტყვოდ ავდექი და ზარდახშა გამოვუტანე. ხის პატარა, მოჩუქურთმებული კოლოფი მუხლებზე დავუდე. ბატონმა გედეონმა სათუთად მოავლო ხელები და ხუფი ახადა. დიდ ხანს ჩასცქეროდა თავახდილ კოლოფს, მერმე ძეწკვიანი ჯვარი ამოიღო. ჯვარიც და ძეწკვიც ვერცხლისა იყო.

მომიხმო.

— თავი დახარეთ. — ბატონმა გედეონმა ძეწკვს ორივე ხელი მოჰკიდა და ჩემკენ გამოიშვირა, მე მომერიდა და უკან დავიხიე. — ჩემო ოზო, როდესაც ჯვარს გაჩუქებენ, არასოდეს თქვა უარი.

ყელზე და მკერდზე ცივი ლითონის შეხება ვიგრძენი, ჯვარს მოკრძალებით დავხედე და ვეამბორე. მერმე ლუკას უხმო. მასაც ისეთივე ვერცხლის ჯვარი აჩუქა. ლუკაც უხმოდ ეამბორა ჯვარს.

— ბატონებო, ამ ჯვრებზე დაიფიცეთ, რომ იმას მოიმოქმედებთ, რაც მე გთხოვეთ: მე აქ დამტოვებთ, ხოლო წასვლის წინ ჩემს კუბოს სამარეში ჩაასვენებთ. ამით თქვენ სიკეთილს გამიადვილებთ. მერმე ის მოვა და მიწას მომაყრის....

— მე ვერ დავიფიცებ! — თქვა ლუკამ.

— ვერც მე, ბატონო გედეონ!

— მე მესმის თქვენი! მაგრამ ეს ხომ ღვთის ნებაა, ასეა ჩაფიქრებული განგების მიერ და ეს უსათუოდ უნდა განხორციელდეს. — ბატონმა გედეონმა ხმა აღარ ამოგვაღებინა, ლაპარაკი განაგრძო, მაგრამ თითქოს დაავიწყდა, რას გვეუბნებოდა და რას მოითხოვდა ჩვენგან. — ეგ ჯვრები ჩვენი საგვარე-

ულოს წმინდა რელიქვიაა, სიღნაღელი ოქრომჭედლის ნაოსტატარი, თითქმის ორი საუკუნის წინანდელი... დაკვირდით, ბიჭებო, რა ხელი ჰქონია, რა დიდი ოსტატი ყოფილა! ახლა თქვენ ატარეთ და გადაეცით თქვენს შთამომავლობას!

მე და ლუკა ხელებჩამოყრილები უმწეოდ ვიდექით და გედეონ ომანაშვილს შევყურებდით. მისი ოდესღაც მეტყველი სახე მიმიკით ველარ გამოხატავდა იმას, რასაც ამბობდა ანდა რასაც ფიქრობდა. გაყვითლებული, უმოძრაო, უსიცოცხლო სახე ნიღაბივით ჰქონდა აფარებული. თან ეს ყველაფერი (ძველი სახლი, ღრუბლიანი, ჩამოძენძილი ცა და გარემო, გაპარტახებული, მიწასთან გასწორებული სოფელი, შეზლონგში მისვენებული თვით გედეონ ომანაშვილი) ისე უჩვეულო იყო, რომ სინამდვილეს არ ჰგავდა, თითქოს სიცოცხლის მიღმა ანდა უცხო, არარეალურ თუ გამოგონილ ქვეყანაში აღმოვჩნდი მოულოდნელად.

— მოვიდა პატარა სატანა და მისი სურათი მთხოვა. — ბატონმა გედეონმა თვალი გაახილა და ისევ დახუჭა. — ვითომ მეგობარი ვარო, ვითომ მტერს ერთად ვებრძოდითო... ტყუილია! ის ომში არ ყოფილა და არც უბრძოლია! ის მხოლოდ არსებობდა, არსებობს და არსებებს... მარადიულად, ბატონებო! ეგრეევე ვუთხარი იმ ვიგინდარას და გავაძევე.

მე და ლუკამ მრავალმნიშვნელოვნად გადავხედეთ ერთმანეთს. თურმე გედეონ ომანაშვილისთვისაც მოუგნია იმ ნაძირალას.

— დიახ, ეგრე ვუთხარი! თქვენ დანაშაულად მიგიჩნევიათ მისი არსებობა. მაგრამ იცოდეთ, თქვენ ვერ მოისვენებთ მანამდე, სანამ ის იარსებებს მეთქი. მალე დავიჭერთო, მითხრა. — ბატონმა გედეონმა გაიცინა, უცნაურად, შიგნით, თითქოს სიცილი სუნთქვას კი არ ამოაყოლა, არამედ ჩასუნთქვისას თან ჩაიტანა, სხეულში ჩაახშო. იმას ვერ დაიჭერენ, როგორც ალაზნის ველზე მქროლავ ქარს... დიახ ეგრე ვუთხარი, ვერ მოიხელთებენ. ეს სულია მეთქი, უკვდავი, მარადიული! ამას თავადი გედეონ ომანაშვილი მოგახსენებთ მეთქი. თავადების დრო დიდი ხანია წავიდაო, მითხრა. თუ წავიდა, მა, მე აქ რა მინდა მეთქი... გხედავ, განა ვერა გხედავ, ტკბილად მომღიმარე სატანავ! განვედ, ჯოჯოხეთის ზოციქულო, შენ ვერ გამომცდი და ვერც მაცდუნებ, მყრალო!

მისი ენერგიული ლაპარაკი თანდათან ხიკვდილის აგონიას დაემსგავსა და გარდუვალობის წინაშე ჩემი უსუსურობის გამო გული ტკივილით შემეკუმშა. კიდევ კარგი, ბევრს მეტყველებდა, დადუმებული მთლად მიცვალებულსა ჰგავდა, სახეზე სიცოცხლის ნიშანი უქრებოდა, ფერი მისდიოდა, გეგონებოდა, შენს თვალწინ სისხლისგან იცლებოდა.

— ვიცი, პატარა სატანა ვინც მოგიგზავნა! რა თქმა უნდა — დიდმა სატანამ, სატანების მეთაურმა და წინამძღოლმა, მთელი სიცოცხლე რომ მებრძოდა და სუნთქვას მიხშობდა. მთელი ქვეყანა გადააგვარა და გაათახსირა, ეგონა, მეც მომერეოდა, მაგრამ არ გამოუვიდა...

მერმე დიდ ხანს იყო გაჩუმებული. თვალებდახუჭული მძიმედ ნაწყვეტ-ნაწყვეტ სუნთქავდა. პატარა ზარდახშა, რომელიც ხმელ თითებში ჰქონდა მომწყვდეული, ისე გამომიწოდა, თვალები არ გაუხელია.

— ამ ზარდახშაში, გეთაყვა, ჩემი ანდერძია.

ზარდახშა გამოვართვი.

მერმე თავი უკან გადააგდო და ჩამქრალი მზერა ზეცას მიაპყრო.

— ასე უზიარებლად როგორ მოგაბარო სული, უფალო. თუმცა მხოლოდ შენ, ერთადერთმა უწყი, ვით მოვიტანე ეს დაღლილი სული აქამომდე, შემინდე, რამეთუ ეს სული ცოდვებით არის დამძიმებული და

დაღლილი. ჩემს ხალხს რა ცოდვაც ჩაუდენია იმ ცოდვაში მეც მიდევს წილი, ჩემი ხალხის ცოდვა ჩემი ცოდვაც არის... შემინდე და შემიწყალე, უფალო!

ლუკამ ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი და მხარზე მომხვია ხელი, თითქოს რაღაცის თქმა დააპირა და ვეღარ გაბედა. ორივენი ხმაგაკმედილები მივჩერებოდით ბერიკაცს, რომელიც სულს ავედრებდა უფალს. მე უცებ დავინახე, გაფითრებულ სახეზე ვარდისფერმა გადაურბინა, დამჭკნარი კანი თითქოს შიგნიდან გაუნათდა და თვალებშიც უეცარი სხივი ჩაუდგა. მაგრამ რატომღაც ღმერთთან საუბარი შეწყვიტა, ჩვენ შემოგვხედა და დაბნეულმა გაგვიღიმა.

— სად დამეკარგეთ, ბიჭებო! — ღიმილი შეაცივდა სახეზე.

— აქა ვართ, ბატონო გედეონ! — ვუპასუხე გაოცებულმა.

— ხმა კი მესმის თქვენი, მაგრამ რო ვეღარა გხედავთ?!

— ბატონო გედეონ!

— ბატონო გედეონ!

— ვეღარა გხედავთ... ერთხელ კიდევ დამენახვეთ, ბიჭებო!

ეს იყო გედეონ ომანაშვილის უკანასკნელი სიტყვები. წამოწევა სცადა, ხელებიც გამოგვიწოდა. ვერ წამოიწია. ჯერ ხელები მოწყდა, ჩამოუვარდა, მერმე მოდუნდა, მოეშვა და თავი გვერდზე გადაუვარდა.

10

გედეონ ომანაშვილი გარდაცვალებიდან მესამე დღეს დავასაფლავეთ. ყველა ტრადიციული რიტუალი დავიცავით, რისი დაცვაც იმ პირობებში შეგვეძლო. ალბათ მეორე დღესვე დავასაფლავებდით, მაგრამ ოთხშაბათი დაემთხვა და დაკრძალვა ხუთშაბათისთვის გადავიტანეთ. წყალი ვედროებით მოვზიდეთ, გავბანეთ, გავაპატიოსნეთ. ბატონ გედეონს საკუბოვე ტანსაცმელიც წინასწარვე ჰქონდა გამზადებული. კარადიდან გამოგიღეთ გარეცხილ-გაუთოვებული შარვალ-ხალათი, გაკრიალებული შავი ფეხსაცმელი და უხმარი წინდები. ხალათზე, რომელიც ჩესუჩის კიტელს უფრო ჰგავდა, ქინძისთავით ქაღალდის პატარა ბირკა მიემაგრებინა, „იმ ქვეყანაში გასამგზავრებლად“, ეწერა ბირკაზე. კამოდის ზედა უჯრაში ათი-თორმეტი თაფლის სანთელი აღმოვაჩინეთ ქაღალდში სათუთად გახვეული. ეს ქაღალდიც წარწერიანი აღმოჩნდა: „კუბოზე დასანთებად“. ეტყობა, გედეონ ომანაშვილი წინასწარ სერიოზულად, თანაც საფუძვლიანად ემზადებოდა „იმ ქვეყანაში გასამგზავრებლად“.

ანდერძი ძალზე მოკლე იყო, ტელეგრამა გეგონებოდა: „მთელ ჩემს უძრავ-მოძრავ ქონებას ვუტოვებ იმას, ვინც ღვთის ნებას აღასრულებს და დამასაფლავებს. ანდერძს ხელის მოწერით ვადასტურებ: თავადი გედეონ ომანაშვილი. 1949 წლის 22 მაისი“. ერთი სიტყვით, ეს ყველაფერი, რაც ბატონ გედეონს მიწის ზევით დარჩა, ანდერძის მიხედვით მე და შენ გვეკუთვნის მეთქი, ვუთხარი სანახევროდ ხუმრული კილოთი ლუკას. ლუკამ ასევე ხუმრობით მიპასუხა, ეგ ანდერძი არ არის სრულყოფილი, ჯერ ერთი, ნოტარიალურად უნდა იყოს დამოწმებული და მეორე, ხელს მოწმეები უნდა აწერდნენ.

ოთახი გამოვგავეთ, დავასუფთავეთ, დავალაგეთ. შუა ოთახში ტახტი დავდგით, ფარდაგი გადავაფარეთ და ზედ კუბო დავასვენეთ, რა თქმა უნდა, სანთელიც დავუნთეთ. იმავე საღამოს გაწვიმდა და ოთხშაბათსაც შუაღამემდე წვიმდა. ოთახშიც ჩამოვიდა წყალი, ჩვენ რაღაც ძველი ტაშტები მოვნახეთ, ზოგი სპილენძისა, ზოგი ალუმინის და ჭერიდან ჩამოსულ წვეთებს შევუდგით. ერთმა წვეთმა კუბოს აუტეხა ტკაპუნი, იძულებულნი გავხდით, ტახტი ცოტა გვერდზე ჩაგვეწია.

ახლა უკვე წვეთების დაუსრულებელმა ტკაპა-ტკუპმა შეგვიღონა გული. ძირითადად მაინც აივანზე ვისხედით, მოწყენილები ბავშვქროდით გაწუწულ ხეებს, გადაუღებელი წვიმით დასერილ სივრცესა და მოშავო-მოლურჯო, ჩამოძენძილ ღრუბლებს, რომლის მიღმა სინათლე და ფერადოვნება თუ იყო, აღარ გვეგონა.

— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ვიღაცას ველოდები, თითქოს ვიღაც უნდა მოვიდეს. — თქვა ლუკამ.

მოლოდინის ეს გრძნობა მეც მქონდა, მაგრამ ვიდრე ლუკამ არ მითხრა, ვერ გავამხილე, უფრო ზუსტად — ვერ გავიცნობიერე, რომ აივანზე ჯდომა და დაღრუბლული სივრცისაკენ დაჟინებული მზერა ფარული მოლოდინით იყო გამსჭვალული. ველოდებოდით, მაგრამ არავინ მოდიოდა და ისე მიილია დღე, კაციშვილი არ გამოჩენილა. ეტყობა, გედეონ ომანაშვილის იმედი ჩვენც გადმოგვედო, აკი ამბობდა, ის მოვა და მიწას მომაყრისო. ჩვენც დავიჯერეთ, გულწრფელად გვჯეროდა, მიწის მიმყრელი მოვიდოდა.

ის, ვინც მოვიდოდა და მოხუცს მიწას მიაყრიდა, ჩვენთვის კარგად ნაცნობი პიროვნება უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ვიცოდით, ვისაც გედეონ ომანაშვილი გულისხმობდა, ვისი მოსვლის იმედიც ჰქონდა. რა თქმა უნდა, ბატონმა გედეონმა საბა იგულისხმა, ამას ჩვენ ორივენი მაშინვე მივხვდით, მაგრამ ლუკასაც და მეც კრინტი არ დაგვიძრავს, საბაზე ლაპარაკს შეთანხმებულებივით ვარიდებდით თავს.

ნამდვილად მიკვირდა და ცოტათი შეცბუნებულიც ვიყავი, ლუკას როდინდელი ნათქვამი რომ გამართლდა. მე ომში დაღუპული მეგონა და საბას თურმე საქართველოდან ფეხიც არ გაუდგამს. ეს იცოდა ანანომ და სიმართლე მეც დამიმალა, არ გამიმჟღავნა. მთელი სოფელი დაარწმუნა, საბა ომში დაიღუპაო, ისიც დაჯერა, ვითომ თვითონაც საბას ჯავრს გადაჰყვა. მთელი ეს ამბავი ამდენად აბსურდულია, სინამდვილე არ გეგონება. კაცმა რომ თქვას, ბოლომდე არც ახლა მჯერა, ჩემი წარმოდგენები ანანოსა და საბას ურთიერთობაზე თანდათან აყირავდა და სულ სხვა იერი მიიღო, ამ ამბავს ჩემთვის უკვე ნიადაგი გამოეცალა და ზღაპრულ თუ ლეგენდურ საბურველში გაეხვია.

ხუთშაბათს უკვე აღარ წვიმდა, მაგრამ მიწა სველი იყო და გავლისთანავე ატალახდა. ლუკამ ჩაქუჩი და საჭრეთელი მონახა, მერმე ორივენი წავედით და საფლავი დავათვალიერეთ. გუშინდელ წვიმას, ეტყობა, არა მარტო გუშინდელს, გათხრილი სამარე სანახევროდ მიწით ამოევსო. ლუკა საჭრეთელით საფლავის ქვას მიადგა, მე კი ნიჩბით დავიწყე ორმოს ამოსუფთავება.

საფლავი, როგორც იქნა, ამოვასუფთავე, ზედმეტი მიწა ამოვყარე. ლუკა ისევ უჩაკუნებდა ჩაქუჩს, ტალახში ამოგანგლული თავზე დავადექი: მშვენივრად ამოეკვეთა „49“, ძველი წარწერისაგან ვერც კი გაარჩევდი. ნაოსტატარი შევუქე და სამუშაო იარაღებითურთ უკან დავბრუნდით.

ცაცხვის ქვეშ ცოტა ხნით მერხზე ჩამოვჯექი, სულს მოვითქვამ მეთქი. ლუკა სადღაც გაუჩინარდა, საით წავიდა, თვალი ვერ მოვკარი. უცებ ოთახიდან მუსიკის ხმებივით რაღაც მომესმა. გავყუჩდი. ხრიალ-ხრიალში გამოიკვეთა გაბზარული ხმა, სიმღერა. კარგად რომ მივაყურე, მომეჩვენა, თითქოს ვანო სარაჯიშვილი „თავო ჩემოს“ მღეროდა. კი, ნამდვილად ვანო სარაჯიშვილი იყო.

მერმე ლუკამ მითხრა, მხოლოდ დღეს დილით შევნიშნე კარადის უკან, სიბნელეში მიგდებული გრამოფონი და რახან მიცვალებულს ჩვენ ვასაფლავებთ, ბარემ მუსიკით დავასაფლავოთო. ძველი და გაცვეთილი ფირფი-

ტა ძალზე ხრიალებდა, მაგრამ მაინც შვებას გვგვრიდა ამ სევდიანი მელოდიისა და სარაჯიშვილის ხმის გაგონება, მით უმეტეს, აქ, ამ მიტოვებულ, განწირულსა და ფაბარტახებულ გარემოში. მეგონა ეს ხმები იქაც მიუვიდოდა ბატონ გედეონს და ერთგვარ შვებასაც იგრძნობდა თავისი უკანასკნელი გზით მიმავალი.

ფირფიტის მეორე მხარეს „ურმული" აღმოჩნდა, ამასაც ვანო სარაჯიშვილი მღეროდა. სიმღერას მუსიკა არ ახლდა და იქმნებოდა დაყრუებულ სივრცეში მარტოდ მარტო მიმავალი მეურმის ღიღინის სრული შთაბეჭდილება. ეს უდაბურებაც თითქოს დიდი ხანი ელოდა მარტოობის ჯურღმულებიდან სუფთად, შეუბღალავად გადმოღვრილ ამ სიმღერის გაგონებას. გარშემო ყველაფერს თითქოს თავისი იერი დაუბრუნდა. მეურმის გზა გრძელი, დაუსრულებელი და მიუსაფარი იყო, როგორც თვით მარტოობა.

გედეონ ომანაშვილი დღის თორმეტ საათზე გამოვასვენეთ. სველ ბალახსა და ატალახებულ მიწაზე სიარული ისედაც ჭირდა და საფლავამდე კუბოს მიტანა თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა. ნაბიჯ-ნაბიჯ, ჩოჩიალით, სვენებსვენებით, როგორც იქნა, ავაღწიეთ სამარის ბორცვამდე. მერმე ფარდულში თოკი მოვნახეთ და საფლავში კუბოს ჩასვენება ისე აღარ გაგვჭირვებია. მიწაც ადვილად მივაყარეთ, მაგრამ ამოდენა ქვის ადგილიდან დაძვრა უკვე ვეღარ მოვახერხეთ. როგორღაც გამოვჩორკნეთ ხის ბერკეტები და საქმეს შევუდექით.

ჩვენი მოლოდინი ფუჭი და ამაო გამოდგა, მიწის მიმყრელი არ გამოჩენილა, გედეონ ომანაშვილის ჭირისუფლებიცა და მესაფლავენიც ჩვენ ვიყავით ,მე და ლუკა. საფლავის ქვა ახლა თავის ადგილზე იდო. ათიოდე წუთი გულხელდაკრეფილნი ვიდექით, გარდაცვლილის ნეშტს დუმილით ვეცით პატივი. საფლავის ქვას დავხედე უკანასკნელად:

თავადი გედეონ ომანაშვილი
1869—1949 წწ.

დასაფლავების შემდეგ ღვინოს დავუწყე ძებნა, იქნებ ამ დღისთვის ერთი ბოთლი ღვინოც გადაინახა და შესანდობარს დავლევთ მეთქი. ვერ ვიპოვე. ცარიელი აღმოჩნდა ის ვერცხლის სურაც, რომლითაც ერთხელ ღმერთების სასმელი „ნექტარი" ანუ „ამბროზია" შემოგვთავაზა.

— ცოტა დავისვენოთ და წავიდეთ. — თქვა ლუკამ.

— მე მგონი, ჩვენი ვალი პირნათლად მოვიხადეთ. შეგვიძლია დამშვიდებულებმა დავტოვოთ აქაურობა.

— ისე კი უცნაურად მეჩვენება ეს ყველაფერი.

— კიდევ კარგი, გზიდან არ დავბრუნდით. ხომ შეიძლებოდა დავბრუნებულიყავით? ვინ დაგვიშლიდა?!

— გუნებაში ორივენი ვწუწუნებდით. ხმამაღლა რომ გვეწუწუნა, ალბათ აქ ვეღარ ამოვაღწევდით. უცნაური რა არის, იცი, ჩვენი მოსვლისთანავე რომ გარდაიცვალა. ეტყობა, ჩვენს მოსვლამდე სიკვდილს შეუპოვრად ებრძოდა. მოვედით თუ არა, ბრძოლა შეწყვიტა.

— კი, ეგრე იყო. — დავეთანხმე.

ორივენი აივანზე ვისხედით, ოთახიდან ვენური სკამები გამოვიტანეთ და მოაჯირთან ახლოს დავიდგით, ხელები მოაჯირზე რომ დაგვესვენებინა. ლუკასი არ იყოს, მართლაც უცნაურად მეჩვენებოდა ეს ყველაფერი. საიდან სად წამოვედით, რა გზა გამოვიარეთ, რამდენი ვიწვალეთ... გულში ვყოყმანობდით, ვეჭვობდით, გაუხელლად ვწუწუნებდით და მაინც მოვდიოდით. ვთქვათ ერთიორი დღით დაგვეგვიანებინა, გედეონ ომანაშვილი ცოცხალი დაგვხვდებოდა? არ ვიცი, ვერაფერს ვიტყვი. გედეონ ომანაშვილი გველოდებოდა და ჩვენც აქეთ მოვეშურებოდით. ალბათ ვერც ადრე მოვიდოდით

და ვერც გვიან, ჩვენ ზუსტად იმ დროს მოვედით, რა დროსაც უნდა მოვსულიყავით: განგების მიერ ასე იყო გადაწყვეტილი.

— ამ სახლს რა ვუყოთ? — ვკითხე ლუკას.

— შენია და, რაც გინდა, ის უყავი. — გაიცინა.

— ჩემი ოერატომ არის? ორივეს გვიანდერძა.

— მე იმასაც ვტოვებ, რაც თბილისში მაქვს, ხვალ თუ არა, ზეგ ავიკრავ გუდა-ნაბადს.

— ჩავკეტოთ კარი და წავიდეთ. — მივხვდი, ლუკას ნანისა და გამგზავრებაზე უნდოდა ლაპარაკი და სიტყვა ბანზე ავუგდე. — აქ რომ დავსხედით, მაშინვე ვიგრძენი, რომ სულაც არა ვარ დაღლილი.

— არც მე დავღლილვარ.

ყველაფერი, რაც შესატანი იყო, ოთახში შევიტანეთ. სამახსოვროდ ორი ნივთი წამოვიღეთ: მე — ვერცხლის პატარა ხანჯალი, ლუკამ — ძველებური საათი, რომელიც დაქოქვის შემდეგაც არ ამუშავდა და ალბათ არასოდეს ამუშავდებოდა. კარი დავკეტეთ. სახლში იმდენი რამ დარჩა, წვრილმანიცა და მსხვილმანიც, ერთ ოჯახს საფუძვლიანად დაახლებდა. თანაც უამრავი ისეთი ნივთი დავტოვეთ, უნიკალური, იშვიათი, საქართველოს ნებისმიერ მუზეუმს რომ დაამშვენებდა. მარტო სურათები რად ღირდა! ორი ფიროსმანის ტილო, რომლებზეც კახური სოფლები იყო აღბეჭდილი და კიდევ ერთი პორტრეტი მშვენიერი ქალბატონისა, რომლის ავტორი ვერ დავადგინეთ, წარწერა იმდენად გაურკვეველი აღმოჩნდა.

გედეონ ომანაშვილის სახლში დარჩენილ განძს მე უკვე დღევანდელი თვალით ვაფასებ. რა თქმა უნდა, მაშინ მოგვწონდა, მაგრამ ბოლომდე, მთელი სიღრმით არ გვქონდა გაცნობიერებული ფიროსმანის მნიშვნელობა, არც ჩვენ და არც სხვას. ფიროსმანის შედევრები იმ დროს, შეიძლება ითქვას, თითქმის ჩალის ფასად იყიდებოდა. გედეონ ომანაშვილის ნივთებიც არ დავინტერესებულვართ, ასეთი ნივთები ძველ ოჯახებში ჯერ კიდევ ჩვეულებრივად ეწყო. ამ უძველესი, უიშვიათესი ნივთების მოსალოდნელი გაქრობის შიში ჩვენ არ გვიგვრძვნია. მერმე თანდათან სად ქრებოდა კედლებზე ჩამოფენილ ფარდაგებიდან მოსევადებული საბრძოლო იარაღები, ქართველი ოქრომჭედლების დახვეწილი ვერცხლის ფიალები, სურები, აზარფეშები, ქაშანურისა თუ თიხის უნიკალური ჭურჭელი, არავინ იცის. არც ჩვენ ვიცოდით, რატომ იყო დამცირებული და ნიველირებული ყველაფერი ის, რაც ეროვნული ნიშნითა და პიროვნების მკაფიოდ გამოკვეთილი ნიჭით იყო აღბეჭდილი.

გედეონ ომანაშვილის კარ-მიდამო ისე დავტოვეთ, გული მაინცადამაინც არ დაგვწყვეტია, თითქოს ცარიელ სახლს ვტოვებდით, თითქოს იმ სახლში საუკუნეების მანძილზე არ იყო დაგროვილი ეს სულიერი და კულტურული სიმდიდრე. გზაში მხოლოდ ეს მოვიფიქრეთ, თელავის მუზეუმს შევატყობინოთ, დე, აქაურობას იმათ მიხედონო.

სოფელს რომ გავცდით, უცებ რატომღაც შევჩერდი და უკან მივიხედე. ვიფიქრე, ალბათ გედეონ ომანაშვილის სახლ-კარს მინდა შევავლო თვალი მეთქი. მაგრამ ზევით, ოდნავ მარჯვნივ, ფოთლოვანში თეთრად გაკრთა რაღაც ლანდი. ლუკაც შევაჩერე და მივახედე. ორივემ ცხადად დავინახეთ თეთრ ცხენზე ამხედრებული კაცი. დაეჭვების უფლება უკვე აღარ გვქონდა, თვალნათლად ვხედავდით თეთრ ცხენსა და მხედარს, იგი ჩვენ წინ იდგა და გორაკიდან დაგვცქეროდა. მერმე ხელიც დაგვიქნია, ნამდვილად დაგვიქნია ხელი, თითქოს მოგვესალმა. ჩვენც უნებურად დავუქნიეთ ხელი და მივესალმეთ. ამ მისალმების

შემდეგ მხედარი გაქრა, ფოთლოვანში გაუჩინარდა.

უკან გაოგნებული, თანაც კმაყოფილი და ბედნიერი ვბრუნდებოდი. ახლა-ღა შევნიშე, ალაგ-ალაგ გარღვეულიყო და სილრმეში ცალურჯად კამკამებდა. მე მგონი, ლუკასაც გამოუკეთდა გუნება, შუბლი გაეხსნა, თვალები გაუნათდა. ბილიკ-ბილიკ არკი მივაბიჯებდით, ახლა უკვე ჩავრბოდით ალაზნისაკენ.

ალაზნის პირას ცოტა ხნით შევყოვნდებოდით, რა თქმა უნდა, ვიბანავებდით, მოვწესრიგდებოდით და მერმე გავუდგებოდით გზას. ასე გვქონდა ლუკასა და მე გადაწყვეტილი.

— ახლა შეგვიძლია უარი ვთქვათ მემკვიდრეობაზე. — ლუკა მხრებამდე შესულა მდინარეში, მხოლოდ თავი მოუჩანს. გამომცდელად მიყურებს და ეღიმება.

— რომელ მემკვიდრეობაზე? — უცებ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა.

— ბატონმა გედეონმა ანდერძით რომ დაგვიტოვა. — ეტყობა, ლუკა ხუმრობის გუნებაზე დადგა.

— რატომ? ანდერძი ხომ ჯიბეში მიდევს! — არც მე დავიხიე უკან, თან მუხლებამდე შევედი ალაზანში.

— ჩვენზე უკეთესი პატრონი გამოუჩნდა.

— ვინა?

— ეგ ჩემზე უკეთ იცი.

— საბა?

— თუ ის კაცი საბა იყო, რა თქმა უნდა.

— კიდევ გეპარება ეჭვი?

— ეჭვი, მე კი არა, შენ გეპარებოდა ყოველთვის. შენ მიმტკიცებდი, საბა ომში დაიღუპაო, თან ანანოს იმოწმებდი.

— მე, რაც ვიცოდი, იმას ვამბობდი.

— ოხო, რას ვფიქრობ, იცი? — ლუკა დაფიქრდა და მერმე სერიოზულად მომმართა: — იქნებ არ ღირდეს თელავში ჩასვლა და ამ ამბის გამხელა, მუზეუმისთვის შეტყობინება. რატომღაც დარწმუნებული ვარ, იქ მარტო მუზეუმის თანამშრომლებს არ ავლენ. ვიღაც-ვიღაცეები დასწყებენ ფათურს, გამოძიებას. შესაძლებელია, მოწმეებადაც გაგვიყვანონ. მე ისიც მგონია, ამ საბლსა და ქონებას მუზეუმს არ დაანებებენ, მით უმეტეს, რომ გედეონ ომანაშვილთან ვიღაც უკვე ყოფილა და საბას ამბავი უკითხავს. შეიძლება, სულაც შენი ნაცნობი ჩეკისტი ბრძანდებოდა. ეგენი ტყუილუბრალოდ არსად დადიან. უსათუოდ რაღაც იყნოსეს, როგორც ჩანს, საბა და ბატონი გედეონი არც თუ იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს. რითი გინდა დაასაბუთო ან გაამართლო ჩვენი აქ ყოფნა, ხომ ვერ ეტყვი, მოწოდებით ტურისტები ვართ და ყოველ ზაფხულს ასე დავეხეტებითო. შენ რომ არ გიცნობდნენ, ალბათ შეიძლებოდა ამის თქმა, მაგრამ ახლა ისინი აღარ დაიჯერებენ შენს ტურისტულ მისწრაფებებს. მეშინია, ჩვენი მოუფიქრებელი საქციელით საბა არ დავასმინოთ. ამიტომ ჯობია, ჩვენი გზით წავიდეთ. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა ვიცოდეთ, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ?! არაფერი ვიცით, არაფერი გვინახავს...

ლუკას ნათქვამმა შემაკრთო. მართლაც, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ მეთქი, გავიფიქრე. მე უკვე მეჩვენებოდა, რომ დანაშაული ჩავიდინე, რაღაც საიდუმლო ვიცოდი და ვმალავდი, არ ვამხელდი, არგამხელა კი საბელმწიფოს წინაშე დანაშაულად ითვლებოდა. თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს შეთქმულების მონაწილე ვიყავი. ლუკასაც დაებადა ასეთი გრძნობა თუ არა, არ ვიცოდი, არ მიკითხავს, თვითონაც არაფერი უთქვამს. ეს კი გადავწყვიტეთ, თელავის მუზეუმისთვის აღარ შეგვეტყობინებინა გედეონ ომანაშვილის გარდაცვალება.

ამასობაში ციდან ღრუბლები გაიკრიფა და დაცხა. ჩვენ ვიბანავეთ, ტალახი და მტვერი მოვიცილეთ, მოვწეს-

რიგდით და ისევ გზას გავუდექით. ფეხით სიარულის არც თავი გვქონდა და არც სურვილი, შარაზე გასულები პირველსავე საბარგო მანქანას გავყევით. მანქანა თელავში მიდიოდა და ჩვენც იქითკენ გვქონდა გზა. მეგონა, ლუკა სოფელში გამომყვებოდა, იქიდან კი ერთად დავბრუნდებოდით თბილისში. მეგონა კი არა, ასე ვიყავით შეთანხმებულები. მანქანის ძარაზე თითქოს გულდაწყვეტილმა მითხრა, სოფელში ვერ წამოგყვები, თბილისში გადაუდებელი საქმეები მაქვსო.

ჩვენი გზები თელავის მისასვლელთან გაიყარა. ლუკამ მარჯვნივ, რკინიგზის სადგურისკენ გაუხვია, ხელი დამიქნია და წავიდა, მე მანაქანას გავყევი. ძარაზე მდგარი გზაზე მიმავალ ზურგჩანთამოკიდებულ ლუკას გავყურებდი და რატომღაც შემეცოდა ამ მტვრიან სივრცეში, მტვრიან უსასრულობაში სულ მარტოდ მარტო რომ მიდიოდა.

მზიანი, ცხელი დღე იწურებოდა. აქეთ მიწას წვიმის კვალი არ ეტყობოდა და კახეთს ბუღი ასდიოდა. მე ისევ ლუკაზე ვფიქრობდი, მის ტკივილსა და საწუხარზე, რამდენჯერაც ჩამომიგდო ნანიზე საუბარი, იმდენჯერვე სიტყვა ბანზე ავუგდე. წინასწარ ვიცოდი ბოლოს და ბოლოს ჩვენი ლაპარაკი რითი დამთავრდებოდა: სახლიდან ნივთებისა და ავეჯის გატანა-გაყიდვა, უნივერსიტეტში სწავლის მიტოვება და, რაც მთავარია, სამშობლოდან გადახვეწა... ამის არც გაგონება შემეძლო და არც წარმოდგენა. ლუკას ეს ყველაფერი, ცხადია, ჩემზე ნაკლებ არ აწუხებდა და აწვალებდა, მაგრამ ჩემგან განსხვავებით, სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო, არსებობის აზრს ამაში ხედავდა. ჩემგან მხოლოდ თანამზრახველობას, თანაგრძნობასა და ალბათ ტკივილის შემსუბუქებას ელოდა... საიდან მახსოვს ეს სიტყვები — ტკივილის შემსუბუქება... გამახსენდა. ატი შელიასთან, როცა გოგი ზედელაშვილი ცუდად გახდა, და მეორე სართულზე ავიყვანეთ, ექვთიმემ დაახლოებით ასეთი რამ თქვა, იქნებ ტკივილი შევუმსუბუქოთ და მეორე სართულის კიბეებს აჰყვა. მაშინაც გამოცა მისმა საქციელმა და მომხიბლა. ორი საათის წინ გაცნობილმა ვილაც გოგომ დაუფიქრებლად გადაწყვიტა თითქოს უცნობი ადამიანისათვის ტკივილის შემსუბუქება. ეს მახსენდება საბარგო მანქანის ძარაზე მდგარს და მოწყენილი გავცქერი მტვრიან სივრცეს, რომელმაც წელან მარტოდ მარტო მიმავალი ლუკა ჩანთქა.

თელავის ბაზარში მისულმა ახმეტისაკენ მიმავალ ოთხთვალას ანუ „ლილეინკას" დავუწყე ძებნა. იმ ხანებში ოთხთვალათი მგზავრობა უფრო მოსახერხებელი და პრესტიჟული იყო, ვიდრე საბარგო მანქანით. გაოხრებული, ოღრო-ჩოღრო გზა მანქანას გვარიანად ანჯღრევდა, ოთხთვალას რბილი რესორები ჰქონდა, ნელა მოძრაობდა და შედარებით ზომიერად გარწევდა. მანქანა მთავარი გზიდან არ გადაუხვევდა, ოთხთვალას თავისი მარშრუტი ჰქონდა და სასურველ სოფლის ცენტრამდე მიგიყვანდა.

დავიგვიანე, ყველა ოთხთვალა წასული დამხვდა. თელავში დარჩენას ისევ ფეხით სიარული ვამჯობინე და ვარდისუბნის გზას დავადექი, სადმე მანქანა წამომეწევა და თან გამიყოლებს მეთქი. არადა, სადაც დამიღამდებოდა, ღამესაც იმ სოფელში გავათევდი. აქეთაც თითქმის ისეა, როგორც წინანდლის გზაზე. ვერ გაიგებ, სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე სოფელი.

გზის ორივე მხარეს ქვითკირის ორსართულიანი სახლებია წამოჭიმული, ზოგი კრამიტით, ზოგი თუნუქით დახურული, ხეხილის ბაღებში ჩაფლული. შარაზე ხალხი მიდი-მოდის, ეტ-

ყობა, ნაჯაფარნი ბაღ-ვენახებიდან ბრუნდებიან. გზის გასწვრივ, ალაგ-ალაგ უსაქმონიც ბლომად დგანან და ლაზღანდარობენ. ერთერთ ასეთ ჯგუფს რომ ჩავუარე, ხმამაღალი შეძახილი გავიგონე, ეე, ამას აქ რა უნდაო. მერმე ჩემი სახელიც მომწვდა და მივხვდი, ის შეძახილი ჩემი მისამართით იყო ნასროლი.

— ოზო!

შევჩერდი და მივიხედე. ქვის ყორესთან მდგარ ბიჭების ჯგუფს ერთი გალაქლაქებული შავტუხა გამოეყო და სახეგაბადრული ჩემკენ წამოვიდა. მაშინვე ვიცანი ჩემი თანაკურსელი ვალიკო ზანგურაშვილი, ჩაფსკვნილი, თითქმის ოთხკუთხედი, გაოცებული ღიმილით მიახლოვდებოდა. ისე მომჩერებოდა, თითქოს მოულოდნელად რაღაც სასწაულს წააწყდა.

— გიყურებ და არკი მჯერა! — მითხრა მოსვლისთანავე, ისე მაგრად მომეხვია, რომ ჩემ ძვლებს ჭახა-ჭუხი აუტეხა. — აქ საიდან გაჩნდი, შე ვერანავ.

ავუხსენი, აქ საიდანც გავჩნდი და საით მივეშურებოდი. მერმე ფეხით მიდიხარო, სიცილით გაიგუდა. ესეც განვუმარტე, რატომ მივდიოდი ფეხით. არ მეგონა, თუ აქაური იყავიო, მითხრა და ზურგჩანთა გამომართვა.

უმალვე მივხვდი, ეს შეხვედრა და ბარგის ჩამორთმევა რასაც მიქადდა. ვალიკო ზანგურაშვილთან არ ვმეგობრობდი, მაგრამ წასადმი ყოველთვის კეთილად ვიყავი განწყობილი. თვითონ იყო რაღაცნაირად საყვარელი ტიპი, გულღია, ალალმართალი, უშურველი, წესიერი... მაგრამ ახლა მე მარტო ყოფნა მერჩია, დაღამებამდე ვივლი მეთქი, ვფიქრობდი. მერმე სადმე ღამეს გავათევდი, ძილის წინ ვიოცნებებდი, ვიფიქრებდი, ვიწვალებდი და დავიძინებდი. დილით კი ჩემს გზას გავუდგებოდი. ამისთვის ვიყავი შინაგანად შემზადებული და განწყობილი, სულ არ მინდოდა ხმაური და აურზაური. თანაც უცხო გარემოსთან შეგუება ჩემი თანდაყოლილი ტანჯვა-წამებაა. ამიტომ — ვცოდე ვაულიკო ზანგურაშვილის კლანჭებიდან დასხლტომა, მაგრამ ამაოდ — არაფერი გამომივიდა.

— მე წავალ, ვახო, არ შეიძლება გზაში მანქანა არ შემხვდეს.

— რა მანქანა, რის მანქანა?! რა დროს მანქანაზე ლაპარაკია?!

— არ გეწყინოს, რა!

— მოიცა, კაცო! შენ ბგონია აქეთკენ მეორედაც ამოივლი და მე ისევ შარაზე დაგხვდები, თუ რა?!

— რატომაც არა?!

— კარგი, რა, რას მიედ-მოედები! ჩემს სახლში მოსული სად გაგიშვა?! ხმას ნუ იღებ, ძმაკაცებშ თავი არ მომჭრა! — ვალიკომ ძმაკაცებს ანიშნა, წავედიო, მერმე ხელი გადამხვია და თითქმის ძალით წამიყვანა. — შენ ვითომ სხვანაირად მოიქცეოდი, ეგრევე გამიშვებდი შარაზე სახეტიალოდ?!

ეს არის ჩვენებური სტუმარ-მასპინძლობის რკინისებური ლოგიკა, რომელსაც ვერაფერი შეარყევს. შენს გუნება-განწყობილებას მნიშვნელობა არა აქვს, შენ სასურველი სტუმარი ხარ, ამის გამო ყველაფერი უნდა დათმო და მასპინძლის ნება-სურვილს დაემორჩილო. შენი ყველა არგუმენტი, თუნდაც საფუძვლიანი, ამ შეუვალი ნების წინაშე თოვლივით დნება ანდა მინასავით იმსხვრევა.

ზანგურაშვილი გზა და გზა ფანტასტიკურ დროსტარებას მპირდებოდა. სიურპრიზიც კი დამახვედრა: თბილისის უნივერსიტეტის ხუთი სტუდენტი ჩამოსულა, სხვა და სხვა ფაკულტეტის კომკავშირის მდივნები, რომლებიც თელავის პედინსტიტუტში კომკავშირულ საქმიანობას ამოწმებენ თურმე. ვარდისუბანში, ვალიკოს ბიძაშვილის ოჯახში მათ პატივსაცემად დიდი პურ-მარილი იშლებოდა და, რა თქმა უნდა, მეც იქ მომიწევდა

დროსტარება. ხვალ საღამოს კი თვითონ ვალიკო ზანგურაშვილი კისრულობდა პურმარილს, ცხადია, ისევ თბილისელ სტუმრებს პატიჟებდა. ეს რომ გავიგე, ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, ორი დღით აქ დარჩენა არ შემიძლია მეთქი, ვარწმუნებდი.

— ოღონდ ამაღამ დარჩი და შენ თუ ხვალ წასვლა მოგინდება, მე გაგიშვებ. ეგრე კი არა, შარაზე მარტო რომ მიეხეტებოდი, „ლინეიკას“ კარზე მოგაყენებ და კოფოზედაც დაგსვამ. კოფოდან სულ სხვანაირად მოჩანს ქვეყანა. — ვალიკო ზანგურაშვილმა კმაყოფილებით გაიცინა.—იცოდე, ჩემი სიტყვა სიტყვაა, ხვალეც ამ თვის არ არის, კაცო?!

არ მინდა, ვინმემ უმადურება დამწამოს. ღმერთმანი, დარჩენა ნამდვილად მიძნელდებოდა, მაგრამ რახან დავრჩი, აღარ ვიწუწუნებ, პირიქით, ვალიკო ზანგურაშვილისთანა მასპინძელი მანამდეც და მას შემდეგაც იშვიათად შემხვედრია. მასპინძლობა იმით დაიწყო, რომ მითხრა, ეგრე ტალახიანმა ამ გზაზე სიარული როგორ იკადრეო. შინ მიყვანისთანავე ჭიანჭველებივით დამახვია ოჯახის წევრები.

პირველი შთაბეჭდილება: ამ ოჯახში ყველანი ძალიან კარგად მიცნობდნენ, ვალიკოს მშობლებიცა და უმცროსი დებიც, მიცნობდნენ ჩემი ამხანაგ-მეგობრებიანად. პატარა დაიკომ, რომელიც შვიდი-რვა წლისა იქნებოდა, როგორც კი დრო იხელთა, თვალებგაბრწყინებულმა მკითხა, ატი შელია როგორ არისო. კარგად მეთქი, ვუპასუხე გაოცებული კაცის ღიმილით. ბავშვის ეს წრფელი, მოულოდნელი შეკითხვა მერმეც ხშირად გამხსენებია. ატი შელია შინაურივით მოიკითხა, ძალზე მახლობელი ადამიანივით. თანაც მე მომმართა, მე მკითხა, რადგან იცოდა, რომ მეგობრები ვიყავით. პატარა გოგონამ ალბათ ისიც იცოდა, რომ ატის გარდა სხვა მეგობრებიც მყავდა და სულ მაინტერესებდა, სხვებისაგან ატი შელია რა ხიშნით გამოარჩია ან როგორი [illegible] წარმოდგენილი... ასე იყო [illegible] მომენტი მაინც ვალიკო ზანგურაშვილის ხასიათზე მეტყველებდა. ვალიკო ალბათ ჩვენს ამბებს შინ ჰყვებოდა და მისი მონაყოლი, ეტყობა, შინაურებში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

ჯერ წაიხემსებ თუ იბანავებ, მკითხა ვალიკომ, აბანო გაცხელებულია და შესვლის მეტი არაფერი უნდაო. აბანო იქვე ეზოში ჰქონდათ და, რასაკვირველია, ბანაობა ვარჩიე. პერანგის გახდა არ დამაცადა, ჭუჭყიანი სხვაც გექნებაო, ზურგჩანთიდან თვითონვე ამოაცოცა გაბინძურებული პერანგები და უფროს დას მიუტანა გასარეცხად. მერიდებოდა, მრცხვენოდა, მაგრამ ვალიკოს იერიშს წინააღმდეგობა ველარ გავუწიე.

პირი გავიპარსე, ვიბანავე. გამოვცოცხლდი და გუნებაც გამომიკეთდა, ვალიკომ უხმარი, თეთრზოლებიანი ცისფერი პერანგი შემომიტანა, აბა, ნახე, როგორ მოგერგებაო. უხერხულობისაგან ისევ ავიწურე. შარშან ვიყიდე შავ ბაზარზე და პატარა მომივიდა, რაც დრო გავა, უფრო დამიპატარავდებაო, ისე მეუბნებოდა, თითქოს თავს იმართლებდა, ხომ ხედავ, როგორ მოვღონიერდიო.

— დაქორწინებას ხომ არ მიპირებ? — ვკითხე.

— ეგ მერმე ვნახოთ! — გაიცინა. — ვარდისუბანში ისეთი გოგოებია, როო.

მოკლესახელოებიანი, საზაფხულო პერანგი თითქოს ჩემს ტანზე იყო საგანგებოდ შეკერილი. ჩაცმულსა და გამოწყობილს რომ შემხედა, ახლა შენს თავსა ჰგავხარო, მითხრა და ეზოში გავედით. კმაყოფილი და გახარებული მეუბნებოდა, მაშ, იმ კომსომოლებთან ტალახში ამოსვრილს ხომ არ გამოგაჩენდიო.

ქვითკირის დიდი, ორსართულიანი სახლი ედგათ, ჭართული კრამიტით

დაბურული. სახლს უკან ბოსტანი და ხეხილის ბაღი მოჩანდა. ბოსტანსაც და ბაღსაც გამრჯე კაცის ხელი ეტყობოდა. ონკანის გვერდზე ცეცხლი ენთო, ცეცხლზე წყლით სავსე გაბოლილი ქვაბი იდგა. ხეებშორის გაბმულ თოკზე ჩემი ოთხი პერანგი დავინახე გაფენილი.

პირველ სართულზე სუფრა გაეშალათ. ცოტა წავიხემსოთო, ვალიკომ ოთახში შემიყვანა. უკვე მომშიებოდა და უსიტყვოდ მივუჯექი მაგიდას. ვალიკოს მშობლები ახლა უფრო ახალგაზრდები მომეჩვენენ, ვიდრე გაცნობისას. ორივენი მზით იყვნენ გარუჯულნი და სახის კანი გაუხეშებული ჰქონდათ. ვალიკო დედას ჰგავდა, შავგვრემანი და ჩასხმული, გოგოები — მამას, ღია თაფლისფერ თვალებიანები, როგორც იტყვიან ხოლმე — თეთრყირმიზები. ვალიკო ჭამისას სულ მაფრთხილებდა, ბიჭო, თავს ნუ მოიკლავ, მთავარი ბრძოლა იქ უნდა ჩავატაროთო. მამა სერიოზულად გაუბრაზდა, ეს კაცი ჯერ ჩვენს სუფრაზე ზის და ჭამა დააცადეო.

საათისა თუ საათნახევრის შემდეგ სტუმრად გავეშურეთ. მე უკვე ალარაფერი მინდოდა, კარგად დანაყრებულიც ვიყავი და შეზარხოშებულიც. ეზოდან რომ გავდიოდით, ვალიკოს დედამ რატომღაც გამაფრთხილა. შვილო, შენ ამათ ნუ აჰყვები, ესენი გიჟები არიანო. ალბათ შემატყო, რა მაგარი მსმელიც ვიყავი.

შებინდდა. ვალიკო და მე ორლობეში მივდიოდით და უცებ ლუკა გამახსენდა, მე ისევ ლუკაზე ვფიქრობდი. ჯერ ადრე იყო, მატარებლის გასვლამდე კიდევ დიდ ხანს მოუწევდა სადგურში ყოფნა. სოფელში, მამაჩემთან რომ არ ვყოფილიყავი წასასვლელი, მეც იქ ვიქნებოდი. მივუჯდებოდი გვერდით და დაველაპარაკებოდი. უპირველესად ყოვლისა, ნანიზე ჩამოვუგდებდი საუბარს, ის თავისას მეტყოდა, მე ჩემსას, გულს მოიოხებდა, დამშვიდდებოდა და ტკივილს ოდნავ შეიმსუბუქებდა. თორემ რა გამოვიდა, მე ნანიზე ლაპარაკს თავს ვარიდებდი, ის კი მთელი არსებით იქ იყო წასული თუ გადასახლებული, გამუდმებით ნანიზე ფიქრობდა, ფიქრობდა მაშინაც კი, როცა საფლავის ქვაზე გედეონ ომანაშვილის გარდაცვალების თარიღს საჭრეთელით ჭკვეთდა.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბენო კალანდია

სალამო ხანის სონეტები

მშვენიერი ელენე

ო, შენი ბედი, ო, ცოდვილი მისი გვირგვინი
აფორიაქებს დილიდანვე წმინდა სამისნოს
და კარის მსახურთ... ფეხაკრეფით დადის პარისი,
სისხლისფრად ბზინავს ცელი სიკვდილის.

ის, ვინც იყოფდა შენთან ერთად ადრე სარეცელს,
ლაშქარს მოუძღვის... შურისგების მძლავრი მახვილი
ტროას ღვთის რისხვად დაატყდება... ვითარ ნახირი, —
დადგება ჯარი კედლის წინარე.

ცხენს შემოაგდებს აქაფებულს ვეფხვის ნახტომით
გატაცებული სიყვარულის სპარტას პატრონი
და შუბის წვერით გახსნის ზარდახშას.

ხორბლისფერ თმების, სათნო გულის
ფრთონა-ფრიალით, —
გამონათდები ყვავილივით მიზეზიანი
ცხრაკლიტულიდან ოქროს ჩარდახით.

ჯვარი და გვირგვინი

ნუ მკითხავ, რისთვის დაიღვარა ამდენი სისხლი,
რა ნაღველს მალავს გულმჭმუნვართა თვალი და ფიქრი,
რა იყო გუშინ, რა იქნება ამ უფსკრულს იქით,
რით აგაშორო ტყვიას და სიკვდილს?!

ტირანის კვერთხი, — აღმართული მდაბალთა ზედა,
დუქმორეული ბრბოს დასტურით გაშლილი კალო,
მკერდში — მახვილი ორლესული, თვალებში — პალო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო ქორალი, წყვდიადი, ლეთა.

მოწამის კვართი, ეკლის გვირგვინი — ჯილდოდ,
აწ თვითონ უნდა აღიღო და თვითონვე ზიდო,
ღვთისმშობლის ძეო და მკვიდრო ცათა.

აწ მშვიდად უნდა შეეგებო ყოველგვარ სასჯელს,
რამეთუ შენი ხვედრი არის მარადი ტანჯვა.
ამაოების იდუმალ კართან.

მესამე თვალი

ძნელია გულით მორჩილებდე მიზეზის მიზეზს,
სხვისი კარნახით წუთისოფლის ტალახი ზილო,
ჩიტივით ხელში ჩაგაკვდება წინაპრის კილო,
ვერ იმფინარებს მაისის მზისებრ.

განეშორები შემოდგომას, გაზაფხულს, ზამთარს,
ზაფხულის მესა-ხმაგრძნეულთა მოგწამლავს ხაშმით,
დაბზრიალდები ჩიკორივით საკუთარ გვამში.
ნაგვის ორმოში მოადენ ზღართანს.

თუ ძალი გეყო, ამოხვიდე ქვემოდან ზემო,
მესამე თვალის სხივნათელით შეხედო ველობს,
შეიცნო შენი კარიბჭის კარი,

განიგდე შიში... მსახურება ყოველთა ძალთა,
რომ სულის წიაღ განწმენდილი ჩახვიდე ლეთას,
მკვდართა წიგნით და მარტვილის კვარით..

ახალი აღთქმა

ა, ეს გოგონა, — ქართლის ბადაგი,
ბედით მარტვილი ქვეყნის ქალწული,
თმაში ჯიუტად ბალახჩაწნული,
კანჭებმაღალი, სისვი ფაშატი.

ქვირითით სავსე — სველი კალმახი,
ივრის ფოჩებში გამოხვეული,
ძველი არმაზის მინა რხეული,
მკვიდრად ნაგები ოქრრს ჩარდახი.

სოფლის უილბლო ფუნჯით ნახატი,
ღარში ჩასმული მწვანე კარატი,
ჩამოღვარული ტანზე ტირიფი.

ცოდვილი სულის მწველი ხარება,
ახალი აღთქმა და სახარება.
ცის სიფრიფანა სხივი ირიბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბლაბუდა

და აბლაბუდა, ვით ჯვაროსანი
სატივე ფრჩვის გორგალს ჰკიდია.
თითქო გამოვლო მკვდარი მიდია,
უდაბნოს ხვატი... ბალი სოსანის.

კანჭებზე ხელი სტაცა ობობას
და შეძავივით უცებ მოაშთო;
დაცხრა... გაყუჩდა... მერე უაზრო
თვალი მიაპყრო თრთოლას ფოთოლთა.

ალალო პირი, — ვერცხლისფერება
ახალი მსხვერპლის მოსანელებლად,
მიწვდა ბეპლების უცხო საბადურს.

ჩამოიარა გზად მონადირემ, —
ქარებრ მოსწრაფემ ჯოგზე, ნადირზე
და ჩამობელთა ძირს აბლაბუდა.

უფლისწულის სიკვდილი

თოვს და... ციმციმებს თეთრად
ტყე-ველი,
სასახლის ბალი. ჭალა. რუსხმული
და... უფლისწულის ქერა კულული
თითებში. დნება. ვით საკმეველი.

კარებთან დგანან სეფექალები, —
ცრემლიან თვალთა გრძელი ოვალით,
შრიალებს ქარი. — ღამის ქორალი
თოვლის პირველი მინანქარებით.

აჰა, სარკმელთან გაკრთა ჩრდილივით,—
ჰაბუკი იგი სასომიხდილი...
წყალობად ეკმენ! — ცაო, გათენდი!

ო, დატფარე ამიერიდან
მწუხარე სული ზეაღვენილთა,
რამეთუ შენ ხარ ყველა განედით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის ჭირის თანამედროვე ვარიაცია

მიაღლვევს ვარდისუბანს ღრუბლიანს.
ყმაწვილი ქალი ძაძით მოსილი,
კვერავს იარაღს კოჭლი ჰეფესტო,
ამოსდის ალის ბუჩქი უბიდან.

მოთქვამს სოფელი, —
ცრემლებგამშრალი,
შუბლგაჩეხილი უცხო ფლოქვებით...
და ბალის ხეებს, — ცისფერქოლგიანი
სისხლი სდით... სისხლი... თიხა ფაშარი

ჰყვავის საფლავის მწვანე ბორცვებად,
ნეტარ არიან! — მათი ოცნება
ახალი მთვარის არის თითბერი...

და, როგორც ამბობს წმინდა ხუცესი:
მწუხარე წიგნის არის ფურცელი
მრავალტანჯული მიწა იბერთა.

ფრანგული დღიურიდან

ო, ფარშევანგის უცხო ფრთასავით
მაგიჟებს თქვენი ჭრელი მარაო,
თვალები — ლურჯი, ტანი — სანაო,—
ალმოდებული წყვილი ვარსკვლავი.

პარტერი, სცენა, ფარდა — ფერადი,
ცრემლმორეული დგას მოლიერი, —
პაჟის, არშიყის, ბავშვის იერით,
ფეხთით,—ვარდები,—ტყის მენადები.

დავტოვე ლოჟა, ვით ტახტრევანი;
ავიღე ხელი — ოქროს მტევანი,
გვერდიდან სუნთქვა მომწვდა
რონსარის.

ალბათ სტიროდა თვით რიშალიეც,
როცა თვრებოდა თქვენებრ მშვენიერ,—
სატრფოს, დედოფლის ცხელი ალერსით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისფერი წიგნი

გაოგნებული ბედით,
თქვენც, მობრძანდებით, ალბათ,
გამასვენებენ შაბათს
ძმები, მწუხარე დუბი.

დამძიმებული წლებით
გეფერებოდი შორით,
განისვენებდეს ოდიშს
ჩემი პარტახი ძვლები.

გადამსხვრეული ქარით
მზეს შებღაოდა ქარი, —
ჭყონდიდელების სახლი.

პონტოს უბიდან ცამდე,
მირონის წყალსა სვამდა, —
ჩემი ცისფერი წიგნი.

ხსოვნა

ის, ვინც მიყვარდა. — განისვენებს ამ აკლდამაში
მშვიდი ძილით და აღარ ტანჯავს უკვე ჩემსავით
ქართლის ყვითელი ნიაღვრები... მწუხარე მესა
შავი სუდარის... მისტერია... ბედის თამაშით

გაოგნებული ქალაქები — დროგის ცხენები,
ქალის ზურგივით მოხასხასე ოქროს დაისი,
აქაფებული შადრევნები, ტოტი მაისის
ცარცით, ქალწული ვარსკვლავები, — ღამის მძევლები.

უცხო სახელით მონათლული დაბა-სოფლები,
ცისკრის წვიმები, — ვერცხლისფერი სველი
ბლონდებით,
თოვლის დაია, — მწუხარების ლურჯი დობილი.

ანდერძად, ხსოვნად დამიტოვა — ჯონა ბების,
ცის მწვანე სული, — ბანოვანი მაგნოლიების,
ქვის თეთრი სვეტი, — მეოცნებე გედის პროფილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნათელი, ვითარ ვარსკვლავი

ყველა აბრაგი, მამისმკვლელი, მონსტრი, მეძავი
ტრიბუნი ხდება, როცა სუნთქვაც გიჭირს ზესკნელ...,
რომც განიწმინდო, გეხსომება ის სექტემბერი
ცეცხლის ყვითელი ყვავილებით, სისხლის ქეძაფი...

მძვინვარებს ღვარძლი, — ამღვრეული ბიწით მდინარე,
შხამ-ნაღველს ანთხევს დასი ქალთა და ქონდაქართა,
შემოგახიეს მკერდზე კაბა და ოქრომკედი
ცრემლგარეული ლიტანიის, ლოცვის წინარე.

სიკვდილის მესა, აგონია, მოთქმა ქალაქის
გილეწავს სახსარს... და შავტუხა, როგორც არაბი,
მტკვრის ლეგა ღარში ბორგავს ცხელი ღამე მკათათვის.

გიცვლიან საფენს... გიგრილებენ შუბლს ალოეთი,
დაო, ქალწულო, დედოფალო... ო, სალომეა, —
ხარ ტანშიშველი... და ნათელი, ვითარ ვარსკვლავი.

კასტალია

იქ, წმინდა წყლებში, სადაც იდგა დელფოს სამისნო,
შვებას, დიდებას მპირდებოდნენ შენი სახელით,
დაქროლა ქარმან... ჩამოგლიჯა ცას საფარველი,
სული ვით მთვარის საწყაული ცრემლით აღივსო

კორინთოს მწვანე მარმარილო, მზე აპოლონის
ლაჟვარდჩაქცეულ ტბების ბროლში ფეთქავს ერთიან,
რომ შენი თვალის წიაღიდან, ოქროს თმებიდან
მოქსოვონ ბადე სიყვარულის... დატკბნენ ბოლომდი.

ბუნების მყარი სილამაზით... ბალის ხავერდებს
ესტუმრონ ძველი ჟრიამულით, ლაღი ნავარდით
წყლის ვერცხლისფერი ფერიები, ლალი-ალმასით

გაგივსონ უბე, დალალები, — სხივებჩაწნული,
ო, კასტალიავ! — უნაზესო ჩემო ქალწულო:
ა, გული იგი, — მოწამლული უცხო პარნასით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლა სარიშვილი

მაპატიე ეს სიცოცხლე

გალაკტიონ, მაპატიე, —
„რომ სიცოცხლე არ თავდება“...
ფიქრში ვეღარ დავატიე, —
„რომ მზე ამოთავთავდება“...
„კიდევ უფრო აყვავდება“...
ბორტება თაიგულად...
კაცს კაცის კვლა არად ულირს,
თუ საკლავად დაიგულა.
დღეს არავის აღარ უკვირს
ნერონი და კალიგულა...
ზოგჯერ ქალიც არის გველი
და სისინით ჩვილს რომ უზის, —
მირჩევნია დედა მგელი
რემუსის და რომულუსის...
გალაკტიონ, ძველი რომი,
მაპატიე, მყავს თავმდებად,
რომ მშვიდობას ჰქვია ომი
და...
„მშვიდობა არ თავდება“...

ა ღ ა რ...

აღარ არის თქვენთვის მადლი,
აღარ არის სვეტი ნათლის, —
ვინც სიმართლე დააყრუეთ,
ვინც სიცრუე გაამეფეთ...
ანგელოსი გააჩუმეთ
და ცბერბერი ააყეფეთ...
ვინც ტყუილით მაიმედეთ,
ვინც ბნელეთის ზარი რეკეთ,
თქვენ, ვინც ერი გაიმეტეთ,
მგლებს ცხოვარი მიურეკეთ....
აღარ არის თქვენთვის მადლი,
აღარ არის სვეტი ნათლის,
არც მამანი — ასურეთით, —
არცა ქრისტე — ნაზარეთით, —
ვინც სიყვარულს მაძულვებდით,
ვინც სიძულვილს მაძალებდით...
თქვენს საყუდარს სული გვრიტის
ემუქრება გარდაგებით, —
ვინც უღვთოობთ — მაგალითით
და საღვთოობთ — ქადაგებით...
აღარ არის თქვენთვის მადლი,
აღარ არის სვეტი ნათლის.

ქარი — კალიფსო

ქარსუსხო, ისევ ტანზე მეკვრები,
ცივო სატრფოო...
ბედით ვარ სულ სხვა...
ისედაც მეყო გზათა ეკლები
და შიშველ კანჭის ჭინჭრებით სუსხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ჩამაცივდი, ცივო სატრფოო,
შენღა გიყვარვარ,
ერთსღა?
ჭარცივი
შენი ალერსი მკემსავს სათოვლო...
ბელურად იქცა გული—არწივი.

მცივა.
ვჭამ.
ვსვამ და ვითომც ვხალისობ,
შინ ჩაკეტილი ვუზივარ ხორაგს,
გამიშვი გარეთ, ნიმფა კალიფსო,
ნუ გადამაქცევ ლოთად და ღორად!

ღვინიანი მიწა

როგორ ვთვრებოდი... (გარდახდა ხანი?
ხსოვნის ჩარჩოში ჩავყურებ სურათს)
ქოშებზე მდგარი მოგქონდა ტანი
როგორც მარნიდან ყელსავსე სურა

და დაგეწაფე... ღვინიან მიწას...
და ლოცვად მაშინ წამობოდვილი
სიტყვები ახლაც ბაგეებს მიწვავს
და ქვეყანაზე დავალ ცოდვილი.

* * *

ბავშვი და ღმერთი შეთხზულა შენში...
(სული ულვინოდ, ულხინოდ ლოთობს).
შევიყუჟები მე შენს ნათელში
და ტერფთა შენთა
ვემთხვევი ლოტოსს...

შენ აჩენ ყოველს, თავად არ ჩანხარ,
შენ ნათელი ხარ, ქვეყანა — ჩერო...
ჩამოიცილე ეგ მზე ჩახჩახა
და დამენახე, უფალო ჩემო.

გვიან ჰყვავის ბროწეული

გვიან ჰყვავის ბროწეული.
გვიან იცის მობრძანება.
მოსავს კდემის ძოწეული,
გშურდეთ მისი მოკრძალება.
ბროწეული...
გვიან ჰყვავის,
ყვავილობას ჯერ სხვებს აცლის
და ჰგავს მთვარიანი ღამის
ზეცას ვარსკვლავებით აცრილს,
ჰყვავის ძვირად...
ღობის ძირად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ მოცილე სხვისი სხვივის,
ჰყვავის კლდეზე, კლდის ნაპირად
ან გუმბათზე ეკლესიის.
მებალისგან არ სჩვევია
მოვლა.
ჰატრონობა,
ზრუნვა;
თითქოს გვერდზე დარჩენია
ესე წუთისოფლის ბრუნვა.
ხეკეთილად გაჩენილი
მაინც ჰყვავის მთად და ბარად,
მაინც ჰყვავის
დარჩენილი
მხოლოდ თავის ანაბარად.
ბროწეულო, რამ დაგიცვა
ქარიშხლებში მდგარი გზირი!
გვალვამ მიწა გადაგიწვა,
ვერ გაგიხმო მაინც ძირი.
მაინც ჰყვავი და ქალწულის
დაგდებია შენ იერი.
აკვანწული, დაკვანწული
ხარ ეშნო და მშვენიერი.
შენი ეშხი მაბადია
სიკეთეო, როგორ ტკბილდე...
ბროწეულო, მაპატიე —
შენ ოშნო ხე რომ გიწოდე!
მაპატიე, ბროწეულო....
შენი ყვავილობით ვთვრები
ჩემკენა ხარ მორწეული
საზაფხულო ქარის ფრთებით.
გვიან ჰყვავის ბროწეული,
გვიან იცის მობრძანება,
მოსავს კლემის ძოწეული,
გშურდეთ მისი მოკრძალება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

შორს გადანახული რვეულებიდან

რ ა ტ ო მ...

(მამის დაპატიმრების სამი წლისთავი)

სამი წლის წინათ...
სამი წლის წინათ
შენ როდი გერქვა ობოლი ბიჭი...
შენთვის მღეროდა ქარი და წვიმა,
შენ არ იცოდი შიში და იჭვი.

სამი წლის წინათ
(უხმოდ ჰგმინავ და
ტანჯვით იგონებ იმ დღეს ამაზრზენს)
წავიდა,
ისე გაუჩინარდა
თითქოს არც იყო ამ ქვეყანაზე...

წავიდა?
არა,
გზას გაუყენეს
და არ კი იცი — საით და რატომ...
შენ უნდა ზიდო მძიმე უღელი,
შენ უნდა შავი ფერებით ჰხატო...
რატომ?...

29 ოქტომბერი. 1940.

* * *

უფსკრულს გალმაა ჩემი გაისი,
უფსკრული კი ვერ გადამლაბავს,
რა მშობელია, ის, ვინც თავისი
შვილის სიმართლეს ვერ დაიხახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკაცრიელი მელის კუნძული,
დათხრილ ველობზე ჩანან ხის ჯვრები.
სიყვარულისთვის რათ შემიძულე?
ერთგულებისთვის რატომ ვისჯები?
არა, სიცოცხლის არ ვარ მვედრელი
(ვიცი, ცა ისეც მომექუფრება),
შეუბღალავი და უყვედრელი
სიკვდილის მაინც მომეც უფლება.

აპრილი, 1943.
საგარეჯო.

* * *

ვიცი, არ მელის დიდების დაფნა,
მზის გაღიმება და შარავანდი,
მოჰქრის სურნელი დამჭკნარი ვარდის,
ოცნება მექცა აუხდენ ზღაპრად.
მშვიდობა იმედს.
შემოღამების
ნისლი აწვება ბილიკს ალმაცერს,
გადავიწყება იქნევს ალმა ცელს
და უფსკრულებად იქცნენ ხრამები.
შორს მიმაქანებს ფრთაშავი აფრა,
თავს დამფარფატებს ბოროტი ლანდი,
მკერდზე მცემს ტალღა დამჭკნარი ვარდის
მშვიდობა იმედს — სხივჩამქრალ
ლამპარს!

12 ივნისი, 1943.
ერევანი

* * *

ოცნება, ჩემი ხშირი სტუმარი
და იდუმალი ოცნება ჩემი...
განვლილ ბილიკებს გავცქერ მდუმარი.
ვარსკვლავი სადღაც თავს იკლავს კდემით.

მზისკენ მიმავალ გზებს გავცქეროდი,
მწვავდა მშვენება ნათილისმარი,
თვალანთებული გზნებით ვმღეროდი,
მანთებდა ტრფობის ტკბილი სიზმარი...
განვლილ ბილიკებს გავცქერ მდუმარი
და იმედები კვდებიან კდემით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნება — ჩემი ხშირი სტუმარი
და იდუმალი ოცნება ჩემი.

ივნისი, 1943.

კვლავ მოსულა გაზაფხული

კვლავ მოსულა გაზაფხული ფრთაბატული,
ჰქუხს სიცოცხლე ნაზ კვირტებში ჩასახული.
შენი ტრფობა გულში ჩქეფდა ნაკადულად,
ყვავილობდა სიყვარულის გაზაფხული.

სად წავიდნენ ის დღეები ჯადოსნური,
ის ოცნება, იმედი და ერუანტელი,
სუფთა ცაზე ცისარტყელად გადმოსული
მზეჭაბუკთა მომავალი სხივნათელი...

სად წავიდნენ...
ო, მე მჯერა, მეგობარო,
ჩვენი ლაღი სიჭაბუკე აღარ მოვა,
აღარ მოვა იგი ტრფობა სანეტარო...
საღამოა, შვინდისფერი საღამოა.

კვლავ მოსულა გაზაფხული ფრთაბატული,
მაგრამ ჩვენი გაზაფხული აღარ მოვა.
მოწყენილად მოჩუხჩუხებს ნაკადული,
საღამოა, სიჭაბუკის საღამოა.

მარტი, 1944.

* * *

* * *

უფსკრულის პირად მივდივარ მარტო
მე, ჩემს საკუთარ გზებს აცდენილი.
შავი აჩრდილის ჩურჩული მართობს,
მივდივარ უხმო და მოწყენილი.

მე ხომ ვეძებდი ქვეყნად სიყვარულს...
შემომაყარეს თვალებში ნაცრად
მე სიძულვილი იმ ტრფობის ნაცვლად...
დაჰბერე, ქარო, გადაიყაროს
ზეცამ ეს თალხი და ეს ღრუბელი.
ჩემს გულს, უცოდველს, ასე რომ ჰკაწრავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს მზის ნაცვლად ცაში ჰკიდია
ყინვით დამზრალი ვარდი ველური.
რა გულსაკლავი ზლაზვნით მიდიან
დღეები ფუჭი და უფერული.

10 ივნისი, 1944.
ერევანი.

ისიც ჩემსავით ლექსს თუ წერს ახლა

ჩემი ყანები ვინ უნდა მომკას...
ჩემი ნამგალი ჟანგმა თუ დახრა...
ვაი, თუ ხვალ მე ვინც უნდა მომკლას,
ისიც ჩემსავით ლექსსა წერს ახლა.

შიგ შუა ცეცხლში მეძახის დრო კვლავ,
არც სულის მოთქმა, არც მუხლის ჩახრა...
ვაი თუ ხვალ მე ვინც უნდა მოვკლა,
ისიც ჩემსავით ლექსსა წერს ახლა...

იანვარი 1945.
სანდომირის პლაცდარმი.

კითხვა – ტკივილი

ჭურვებმა მიწა ჩახნეს, ჩაბუგეს,
ყეფს ნალმსატყორცნი გაკაპასებით.
ტყვიით დაცხრილულ შენს სიჭაბუკეს
გაიხსენებენ?
დაგაფასებენ?
იგრგვინა ელვა ელვას წაება.
შესვი სიკვდილის შმაგი თასები!
სულის გვემას და ხორცის წამებას,
თუნდ სიტყვით მაინც,
დაგიფასებენ?

აპრილი, 1945.
ბრესლაუ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება

ხეტიალი და ჯვარცმა და ვნება
ქარში წვა სულის სანთლის...
დღესაც თვალებში წუხილი ონება
შემოდგომის და ზამთრის,

ვისლა, ოდერი, ფრაუ, პანენკა,
სისხლის სიშმაგის ძალა,
მორევი თავქვე მიმაქანებდა
წნორის ნაფოტს თუ წალამს.

და კვლავ მოგვველ ბავშვი ვნებული
ქარიშხლითა და ომით,
ასე უდროოდ დაკაცებული,
დაღლილ მუხლებზე მდგომი.

ველარ გავუძელ დარს ავდარიანს
ვერც ამ მაისით ვთბები.
მიიღებ? — შენთან მომიტანია
ჩემი ნათრევი ძვლები.

ხეტიალი და ჯვარცმა და ვნება,
ქარიშხალი და ომი...
დღესაც თვალებში წუხილი ონება
ზამთრის და შემოდგომის.

შიშით არასდროს არ მითრთოლია,
დღეს რათ ვკანკალებ ასე—
შავი სიკვდილი ამოჰყოლია
ამ მზეს სიცოცხლის ცაზე.

მიიღებ?
შენთან მომიტანია
ჩემი დაღლილი ძვლები
ველარ გავუძელ დარს ავდარიანს
და ველარც შენით ვთბები.

8 მაისი, 1946.
საგარეჯო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზა მრელაშვილი

* * *

თუ არ დამიჯერებ, მეგობარო,
იცოდე, მარტო დარჩები...
სხვანაირად ვერ იცხოვრებ.
შენი მეგობრებივით უნდა იარსებო,
ისევე უნდა ჩაიცვა, როგორც მათ აცვიათ.
ისევე უნდა ილაპარაკო...
მათსავით უნდა უყურო ტელევიზორს,
ლოგინშიც მათსავით უნდა ჩაწვე და
სანამ დაგეძინება,
გაოგნებულმა უნდა უყურო კედელს
შენს პირდაპირ,
რათა იმაზე არ იფიქრო,
რაზეც სხვები არ ფიქრობენ.
(ბოლოსდაბოლოს საკუთარ თავთან ხომ მაინც
უნდა იყო მართალი).

ერთხელ გკითხა ვიღაცამ:
„რატომ ჰკარგავენ ადამიანები
ერთმანეთს?!
შენ უპასუხე:
„როგორც გეხერხება, ისე იცხოვრე“.
იგი წავიდა დარწმუნებული, რომ
სწორედ ისე ცხოვრობდა,
როგორც ეხერხებოდა.
შენ კი, ამ დროს,
სხვანაირ პასუხს ვერც გასცემდი,
რადგან მთელი სიცოცხლე
როგორც არ გსურდა, ისე ცხოვრობდი...
და ეს იყო მთელი შენი უბედურება.
ამჟამად, ჩემო მეგობარო,
ერთ რამეს გირჩევ:
ბევრი რამ უნდა აიტანო, უნდა გაჩუმდე,
თვალიც უნდა დახუჭო, თავიც დაუქნიო,
თავადაც მშვენივრად იცი:
დღეს „ერთმანეთის მონობა“ აღარავის ჭირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ უნდა იყო მათი მონა,
თუ გსურს, როგორმე
დიდხანს გასტანოს მეგობრობამ...
გაფრთხილდი და იცოდე:
როგორც კი შეეცდები თავის გამოჩენას,
ან რაიმეს გამომჟღავნებას,
იმწამსვე შემოგეცლება ყველა და
მარტო დარჩები.

* * *

დაილია ყველაფერი,
რაც კი დასალევი იყო სუფრაზე,,
დავთვერი და მთელი საღამო მხრებს
ვიჩეჩავდი.
ვითომ არ მესმოდა, რას მეკითხებოდნენ,
მე „გმირი" ვარ,
რადგან „ვაუკაცურად" ავიტანე
ვეება ჭაღიანი ჩეჩმის სიმყრალე,
რადგან ბოლომდე გავუძელ
სხვათა სიბრიყვემდე დასულ,
მიამიტურ „ცნობისმოყვარეობებს."
აფერუმ ჩემს „ბიჭობას",
რადგან რისი თქმაც მეწადა—არა ვთქვი,
(ამასაც მრავალი „ვაითუ "ახლავს...)
ჭუჭაში გამოსულს ბედმა გამიღიმა:
მანქანა გავაჩერე და
პატრონიც ლოთიანად გადავკოცნე...
ხოლო ახლა,
ოთახში სიბნელეა და სანამ დავიძინებდე,
უმორჩილესად გთხოვ,
ღმერთო!
ოღონდ სადაც შევალ,
იქაურ ქუდს ნუ დამახურავ და
არც ისეთი ბედი მინდა,
სანეხვეზე გადაგდებულს რომ
გამიღიმებს...

* * *

მე მსურს ვიფიქრო ადამიანზე,
შენზე, ადამიანო,
შენს გრძნობებზე, ახლობელსა და
შორეულზე,
სიყვარულსა და მის სიძვირეზე.
მაგრამ ვინ მაცლის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე ვიხარჯები ამ ბოლოხანს,
თანაც ისეთ რამეებზე,
რომ ვერაფერზე ფიქრს ველარ ვასწრებ,
თავადვე მავიწყდება რომ ადამიანი ვარ
და ბევრი რამ შემიძლია...
გადავიქცევი ხოლმე რომელიმე ცხოველად
რომელიც თავის სიცოცხლის აუცილებლობას
ამტკიცებს
ხან პორნოგრაფიულად,
ხანაც ისე...
შენ კი, აოსებობ?
თუ მე ყოველდღე ფიტულებს ვხვდები
ქუჩაში?
(ბილიკები ხომ ცხოველებსაც აქვთ!)
მოდი, შემახსენე თავი ხანდახან,
შემახსენე, რომ სხვა ყველაფერი დროებით
გადავივიწყო

და მხოლოდ შენზე ვიფიქრო,
შენს გრძნობებზე, ახლობელსა და
შორეულზე,
სიყვარულსა და მის სიძვირეზე,
მაგრამ ვინ მაცლის..

ს უ რ ა თ ი

...„დღის ხმაურმა ღამის სიჩუმეს
გადაგვაჩვია... დ. ბ.

მოვდივარ ქუჩაში
ირგვლივ ღამეა, სიბნელეა და დაღლილი ვარ.
დაღლილი ვარ დღევანდელი დღისაგან და
სიჩუმეა.
ჩემი ფეხის ხმა ისმის მხოლოდ,
მაგრამ ეს საკუთარი ნაბიჯების ხმა არის.
სხვა არაფერი და არავინ...
ესე იგი მარტო ვარ.
ფანჯრებს მიღმა კი ზოგან სინათლეა,
ზოგან — სიბნელე
და ვინ უწყის, რა ხდება იქ:
ვნებით გათანგული სხეულებია თუ
ცივი და თავგანწირული „ძილები"...
მე კი,
აუცილებლად ვიპოვნი ერთ ქვას,
ან კონსერვის ცარიელ ქილას
და ფეხს წავკრავ —
ერთხელ ხომ მაინც განიკვეთება
ეს შედედებული მდუმარება
და ჩემი სიმარტოვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა იათაშვილი

ავადმყოფი ქალაქი

(მოთხრობა)

მე ავადმყოფ ქალაქში ვცხოვრობ. აქ დავიბადე და გავიზარდე და ალბათ აქვე მოვკვდები, რამეთუ ავადმყოფი ქალაქიდან გაღწევა თითქმის შეუძლებელია. არა იმიტომ, რომ მაღალი ბალავნები აქვს ირგვლივ შემოვლებული და არმიის შენაერთები ფხიზლად დგანან სადარაჯოზე, არამედ მხოლოდ იმის გამო, რომ ავადმყოფები ქალაქის საზღვრებს გარეთ არავის სჭირდება. ჩვენ მხოლოდ აქა ვართ საჭირონი. ჩვენ-მეთქი, ვამბობ, რამეთუ მეც ავადმყოფი ვარ. ავადმყოფი, ოღონდ ცოტა უცნაური. უმრავლესობას თავი სრულიად ჯანმრთელად მიაჩნია, ის კი არა და ისიც კი არ უწყის, რომ ავადმყოფ ქალაქში ცხოვრობს, მე კი ყველაფერი ეს ვიცი და ალბათ ამიტომაცაა, რომ სხვებზე მეტად ვიტანჯები. განსაკუთრებით მაშინ, როცა სარკეში ვიხედები და თვალის გუგებში საკუთარ გამოსახულებას ვათვალიერებ. ამას თითქმის ყოველდღიურად ვაკეთებ და სასოწარკვეთილებით ვრწმუნდები, რომ მიუხედავად მთელი ჩემი ძალისხმევისა, გამოსახულება თანდათან სულ უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება, ზოგჯერ კი იკარგება და ვეღარაფერს ვამჩნევ... ასეთ დროს იხტიბარგატეხილი ვფიქრობ, რომ ავადმყოფობამ საბოლოოდ დამრია ხელი, თუმცა კი მეორე ან მესამე დღეს რაღაც გაურკვეველ კონტურებს ისევ აღმოვაჩენ ხოლმე მათში და კვლავ მიბრუნდება სიცოცხლის ის მცირეოდენი ენინი, რომელიც სადღაც ჩემს შიგნით თურმე ჯერ კიდევ ბუუტავს... რაც შეეხება სხვებს, ამ ბოლო დროს უკვე ვცდილობ, მათ საერთოდ არ გავუსწორო მზერა. რატომ? ახლავე აგიხსნით. მართალია აქ ყველანი ავადმყოფები არიან, მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ ზოგიერთი მსუბუქადაა დაავადებული, ზოგი სერიოზულად და ზოგი განუკურნებლადაც კი. გარეგნულად მათი გარჩევა თითქმის შეუძლებელია, რამეთუ ყველაზე დასნეულებულებიც კი მხნედ გამოიყურებიან, თუმცა მე მაინც ვისწავლე, როგორ განვასხვაო ისინი ერთმანეთისაგან. მათ თვალებში უნდა უყურო. თუკი ადამიანი ჯერ მძიმედ არაა დაავადმყოფებული, მის გუგებში შესძლებ საკუთარი გამოსახულება დაინახო. რაც უფრო მეტად ერევა სენი, მით უფრო ამღვრეული უხდება მზერა და უფრო ჭირს მის თვალებში რაიმეს გარჩევა. მძიმე ავადმყოფებს კი თვალის კაკლები საერთოდ ეყინებათ, გუგები მქრქალი უხდებათ და ისინი უკვე აღარაფერს ირეკლავენ... ასეთები ქალაქში უმეტესობას წარმოა-

დგენენ და რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება მათი რიცხვი. აი, სწორედ ამიტომაა, რომ ამ ბოლო დროს ვცდილობ არ გავუსწორო ადამიანებს მზერა. ადრე ვიცოდი, მთელი დღე თუ ქალაქში ვიხეტიალებდი, ერთი-ორი კაცის თვალებში მაინც დავინახავდი საკუთარ სახეს და ეს ძალას მმატებდა. ახლა კი, მთელი კვირაც რომ ვიარო, შეიძლება ერთიც ვერ ვნახო ასეთი... ალბათ ამის გამოა, რომ თუ აუცილებელი არ ჯრის, ბოლო ხანებში გარეთ აღარც გავდივარ. სახლში ვარ ჩაკეტილი და საკუთარ შემზარავ მარტოობაში ვიძირები. ეს მარტოობა კი მართლაც შემზარავია, რამეთუ ძნელი ასატანია, როცა აცნობიერებ, თუ როგორ განუკურნელ სენს შეუპყრიხარ და როგორ ეუფლება იგი თავისი ბინძური მარწუხებით მთელს შენს არსებას... მაგრამ როდესაც ქალაქში აღმოვჩნდები, ხელად იმდენი ამაზრზენი რამ შემეფეთება ხოლმე, რომ მარტოობა შვებად მეჩვენება და მაშინათვე ისევ სახლისაკენ მივიჩქარი...

მაინც მომიწია ქუჩაში გასვლამ. საჭმელი გაგვითავდა და უნდა მეყიდა. თაგვის კონსერვის რიგში ოცდაათიოდე წლის ქალების წინ მოვხვდი. თვალები ისე ჰქონდათ ამღვრეული, ჩანდა, სნეულება მალე საბოლოოდ დაეუფლებოდა მათ. ჯერ სექსზე ლაპარაკობდნენ. წითელთმიანი მეორეს, უფრო მსუქანს, და მწვანეტუჩებიანს უმტკიცებდა, მე ხუთ მამაკაცთან ერთდროულად შემიძლიაო. მეორე არ უჯერებდა, მერე უთხრა, თუ მართალი ხარ, აღმიწერეო ამას როგორ ახერხებო. წითელთმიანმა ყველაფერი დაწვრილებით ჩამოუკაკლა. ლაპარაკისას შიგადაშიგ ჩემსკენაც იხედებოდა. მე თვალი ავარიდე. მწვანეტუჩებიანი აღტაცებაში მოვიდა. „ყოჩაღ, ყოჩაღო!" გაიძახოდა. „შენც სცადეო" — ურჩია წითელთმიანმა — „თუ მოინდომებ და იყარჯიშებ, ძალიან რთული არ არისო. „კი, ვცდიდი, მაგრამ ხუთი მამაკაცი სად ვნახოთ!" „მამაკაცების მეტი რა [illegible] თუნდაც ამ რიგში რამდენიაო" — უტიფრად ხმამაღლა უპასუხა წითელთმიანმა და სცადა ისევ ჩემთვის გაესწორებინა მზერა, მაგრამ მე საერთოდ შევაბრუნე თავი და სხვა მხარეს დავიწყე ყურება. ცოტა ხანში უკან ჩოჩქოლი ატყდა. ერთი შუახნის ქალი ვილაც ბიჭს ყელში სწვდა და სახის ჩამოკაწვრა მოუნდომა. თან ქოქოლას აყრიდა და აფურთხებდა. ბიჭმა ქალს წიხლი ჩააზილა მუცლის ქვემოთ — იქ, სადაც სასქესო ორგანოებია. ქალი დაეცა და კივილი მორთო. იკლაკნებოდა, ხელებს ფეხებს შორის იჩრიდა. ხალხი ახმაურდა. ზოგი ბიჭს ამტყუნებდა, ზოგი ქალს. რამდენიმემ ბიჭისაკენ გაიწია ანგარიშის გასასწორებლად. მან ჯიბიდან იარაღი ამოიღო და ჰაერში ისროლა. ყველანი უცებ დაწყნარდნენ. ის ქალიც კი გაჩერდა, მანქვა-გრეხა შეწყვიტა და მორჩილი სახით ისევ რიგში ჩადგა. ამასობაში წავიწიე და დახლს მივუახლოვდი. თითო სულზე სამ კონსერვზე მეტს არ იძლეოდნენ. ერთი წვერგაბურძგნული მამაკაცი შემოვარდა, ხელყუმბარა ამოიღო და დაიღრიალა, ახლავე ხუთი ცალი მომაწოდეთ, თორემ ყველას აგაფეთქებთო. საჩქაროდ მისცეს. შემდეგი რიგში ახალგაზრდა ქალი იყო. მან გამყიდველს პასპორტი აჩვენა, ოთხი პატარა მყავს და იქნებ ოთხი ცალი მომცეთ, ხომ იცით, ბავშვებს ტარაკნის ჯერი არ ეკმევათ და მარტო თაგვის კონსერვზეღა თუ გადაჭატარებო... „არა, არაო!" — აყვირდა ყველა ერთად, კანონში არ წერია, რომ ოთხშვილიანს ოთხი თაგვის კონსერვი უნდა მიეცეს! მხოლოდ ერთი გამხდარი ბიჭი გამოესარჩლა, რა მოხდება, დაუთმეთო. ის ბიჭი ფეხქვეშ გაიგდეს. სანამ სცემდნენ, წითელთმიანმა და მწვანეტუჩებამაც აიღეს თავიანთი წილი,

მერე მე. გარეთ რომ გამოვედი, კარებთან წითელთმიანი იდგა. მკლავში წამავლო უცებ ხელი.

— წამოხვალ ჩემთან?

— არა! —ვუთხარი ამრეზით.

— არ ინანებ!

— არა-მეთქი! — გზა განვაგრძე.

— თუ გინდა მარტო, თუ გინდა სხვებთან ერთად! — მომაძახა. პასუხი არ გავეცი.

— იმპოტენტო! — დამიყვირა გაავებულმა, გადააფურთხა და მეორე მხარეს წავიდა.

ქუჩაში წინ მიმავალი ის ახალგაზრდა ქალი დავლანდე, ზედმეტ კონსერვს რომ ითხოვდა ბავშვებისათვის. უმალ მივიღე გადაწყვეტილება და ნაბიჯს ავუჩქარე. უკვე ერთ-ერთ სადარბაზოში აპირებდა შესვლას, რომ წამოვეწიე.

— რა გნებავთ? — მკითხა შეშინებულმა და ამომხედა. თაფლისფერი თვალები ჰქონდა. დავაკვირდი და მომეჩვენა, რომ მათში საკუთარი გამოსახულება დავინახე. არცთუისე მკაფიოდ, მაგრამ მაინც... უცებ შემომსუბუქდა მთელი სხეული, სახე ღიმილმა გამიპო.

— ქალბატონო, მე თქვენს უკან ვიდექი რიგში. ყველაფერი გავიგონე... ერთ კონსერვს დაგითმობდით.

— დამითმობდით? რატომ? — ქალს სახეზე განცვიფრება გამოეხატა, მერე უცებ მოექუფრა — არა, არ არის საჭირო... ახლა არ შემიძლია ის, რაც გნებავთ.

— რაც მნებავს? — ახლა მე გავოცდი — კი მაგრამ რა უნდა მნებავდეს? მხოლოდ ის მინდა, რომ დაგეხმაროთ.

— დამეხმაროთ? — წაიბუტბუტა მან და ეჭვის თვალით გამომხედა. მიყურებდა და ვხედავდი, რომ დაძაბულად ფიქრობდა რაღაცაზე. მერე უცებ ჩანთა გახსნა, საფულე ამოიღო, რაღაც თანხა გადაითვალა, ხელში მომაჩეჩა და ერთი კონსერვი გამომართვა.

— აი, ინებეთ, დიდი მადლობა დახმარებისათვის, დიდი მადლობა... — ამ სიტყვებზე უცებ მეტრომალ და და სადარბაზოში შევარდა. მეც შევბრუნდი, ცოტა არ იყოს დაბნეული და გზა განვაგრძე. ფული გადავითვალე. ზუსტად ერთი თაგვის კონსერვის საფასური მოეცა.

ქუჩაში მანიფესტანტები გამოჩნდნენ. ახლახანს დამხობილი მთავრობის მეთაურის უზარმაზარი პორტრეტები მოჰქონდათ და ხმაშეწყობილად მის სახელს გაჰყვიროდნენ. საერთოდ ჩვენს ქალაქში ამ ბოლო დროს ხშირად ემხობა მთავრობები. უკანასკნელ შვიდ წელიწადში ეს უკვე მეხუთე მთავრობა გადავარდა. მალე ალბათ ახლანდელსაც ჩამოაგდებენ. მართალია სამ თვეში არჩევნებია დანიშნული, მაგრამ არა მგონია მანამდე გაატანონ. არადა, ადრე სულ სხვანაირად იყო. ადრე ქალაქი სულ მუდამ ზეიმობდა. მაშინ ხანდახან მეც ვერთვებოდი ამ ზეიმებში, ზოგჯერ მთელი სულითა და გულითაც კი მივაფრიალებდი დროშას და იმ იშვიათ წუთებში მართლა ჯანმრთელი მეგონა თავი... თუმცა სახლში რომ მოვბრუნდებოდი, დროშას შევახვევდი, დაღლილ-დაქანცული სავარძელში ჩავეფლობოდი და ჩავფიქრდებოდი, მაშინათვე მახსენდებოდა, რომ ავადმყოფი ვიყავი... ხოლო საკუთარ თავს რომ კარგად მივაყურადებდი, ვრწმუნდებოდი, რომ დღევანდელმა ზეიმმა ვერაფრით მიშველა... ისევ ის სნეული დავრჩი, რაც ვიყავი და ალბათ სხვებსაც ძველებურად სტანჯავდათ ავადმყოფობა. მერე კი უცებ რაღაც შეიცვალა. ვილაცეები სხვანაირი დროშებით გამოვიდნენ ქალაქის ქუჩებში და მორიგი ზეიმი რომ მეგონა და გულგრილად ვაპირებდი გვერდის ჩავლას, რამეთუ ბოლო დროს საერთოდ შევეშვი ზეიმებზე სიარულს და კარგა ხნის წინ შეხვეული დროშაც თავისთვის მქონდა მიყუდებული ოთახის კუთხეში, ამ

დროს უცნაური რამ გავიგონე. ჩვენი ქალაქი ავადმყოფი ქალაქიაო — გაჰყვიროდა ორატორი — რასაც სიჯანსაღეზე ლაპარაკობენ, ყველაფერი სიცრუეა და ჩვენი მისიაა ქალაქი ამ სენისაგან განკურნოთო... — კიდევ ბევრ რამეს ამბობდა იგი, მაგრამ აზრი მაინც აქამდე მიდიოდა. მე მონუსხულივით ვუსმენდი. იმას, რასაც იგი ლაპარაკობდა, ზოგიერთი შეიძლება კიდეც ფიქრობდა, მაგრამ ასე ხმამაღლა, ასე ყველას გასაგონად ეს ჯერ არავის ეთქვა... და მე აღელვებული ვფიქრობდი, იქნებ მართლა რამე გვეშველოს, თუკი ყველა მიხვდება, რომ ავადმყოფები ვართ და ავადმყოფ ქალაქში ვცხოვრობთ-მეთქი... ხოლო როცა შეკრებილნი დაიშალნენ, სახლში გავიქეცი, ახალი დროშა შევკერე, ძველი დროშის ტარი გავუკეთე, ძველი სანაგვეში მოვისროლე და ამის შემდეგ ყოველთვის იქ მივდიოდი, სადაც ისინი იკრიბებოდნენ. მივდიოდი ჩემი დროშით და ნამდვილად მჯეროდა, რომ ქალაქთან ერთად ოდესმე მეც შევძლებდი გამოჯანმრთელებას. ალბათ ასევე ეგონათ სხვებსაც, რამეთუ ხალხი სულ უფრო და უფრო გვემატებოდა და ბოლოს იმდენი გავხდით, რომ ძველი ხელმძღვანელობა გადავაყენეთ და ახალი დავნიშნეთ, თანაც სწორედ იმ ორატორის მეთაურობით. საშინ გვეგონა, რომ აწი სულ მალე განვიკურნებოდით, მაგრამ შევცდით. ახალი მეთაური ჩვენსავით ავადმყოფი აღმოჩნდა.არადა, ყველას აქეთ ჩაგვჩიჩინებდა, თქვენს შორის ერთადერთი მე ვარ ჯანმრთელი და თუ გინდათ გადარჩეთ, ყველაფერში გამიგონეთო. ბევრი უგონებდა კიდეც, მაგრამ ზოგიერთები მიხვდნენ, ეს კაცი ჩვენ ვერ მოგვარჩენსო და გაუჯიუტდნენ. გაუჯიუტდნენ, გაუჯიქდნენ, მალე ჩამოაგდეს კიდეც და მის ნაცვლად სხვა კაცი დასვეს. მაგრამ განა რა ხეირი იქნებოდა ყველაფერ ამისგან, თუკი ისიც ისევე სამკურნალო იყო, როგორც სხვები. ჰოდა ამის შემდეგ არის ასე. ჩამოვაგდებთ ერთს, დავსვამთ მეორეს, მერე იმასაც ჩამოვაგდებთ, დავსვამთ მესამეს და ასე დაუსრულებლად... თუმცა ჩამოვაგდებთ-მეთქი, არასწორად ვთქვი, რამეთუ მე უკვე დიდი ხანია ამ ჩამოგდება-დასმაში მონაწილეობას აღარ ვიღებ. უკვე მივხვდი, რომ ქალაქში უკლებლივ ყველანი ავადმყოფები ვართ და ამიტომ ვერცერთი ჩვენთაგანი სხვას ვერ უშველის. ან კი როგორღა უნდა უშველოს, როცა საკუთარი თავისთვისაც ვერ უშველია... აი, თუნდაც მე. ხომ მშვენივრად ვხედავ, რომ რაც არ უნდა ვეცადო, მაინც თანდათან ქრება სინათლე ჩემს თვალებში და მალე იმათ დავემსგავსები, ამღვრეულ გუგებში რომ აღარაფერი მოუჩანთ. ეს ისევე გარდაუვალია, როგორც ის, რომ მოვკვდები და დამწვავენ, ისე, როგორც მე დავწვი ჩემი და. იგი მისმა ქმარმა მოკლა. სამ მამაკაცთან ერთად მიასწრო ლოგინში და მოკლა. ალბათ მართალი იყო, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერ იტყვი. და მაინც დაა, მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს სულმთლად გაყინული ჰქონდა მზერა და მეც უკვე სრულებით აღარ მიყვარდა იგი. ისევე, როგორც ჩემი სიძე, რომელსაც ჯერ კიდევ ჩემს დაზე ადრე ჰქონდა გუგები ჩაბნელებული. ახლა მაქეზებენ, რომ დის გამო შური ვიძიო და სიძე მოვკლა, მაგრამ ვითომ ამის ქმნას რაიმე აზრი აქვს? იგი ხომ ისედაც განწირულია, ისევე, როგორც ჩემი და იყო განწირული. თუმცა ვინ იცის, იქნებ სწორედ მან გადასდო ჩემს დას ავადმყოფობა? როგორ მახსოვს მისი ცისფერი-ცისფერი თვალები, ჩემს შვებას რომ წარმოადგენდა. შემეძლო უსასრულოდ მეცქირა მათთვის და შიგ საკუთარი თავი მეპვრიტა. მერე კი, მას შემდეგ, რაც ჩემი სიძე საბოლოოდ დასნეულდა, მისი მზერაც თანდათან აიმღვრა. როგორ არ ვცადე, მეშველა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თავის დროზე რომ გაენებებინა თავი

ქმრისთვის, იქნებ გადარჩენილიყო კიდეც, მაგრამ არაფრით არ ქნა — მიყვარს, მიყვარსო, სულ ამას იმეორებდა. სიყვარულისგან იყო დაბრმავებული და ვერ ხედავდა, მისი ქმრის თვალებში რა ხდებოდა. ახლა კი უკვე დედაჩემი დაბრმავდა. ჩემი მოხუცი დედა. შვილის სიკვდილი რომ გაიგო, აკივლდა, აღრიალდა, კედლებს დაუწყო თავის ხათქუნი, მერე კი უცებ შეშინებული გაჩერდა, შემობრუნდა და მითხრა — ვერაფერს ველარ ვხედავო. უცბად დაბრმავდა, ერთ წამში და საოცრება მოხდა, დაბრმავდა, მაგრამ თვალები გაუნათდა, სარკესავით სუფთა და კრიალა გაუხდა და შიგ რომ ჩავიხედე, მარტო ჩემი თავი კი არა, მთელი ოთახი, მთელი ბინა, მთელი ქალაქი, მთელი სამყარო დავინახე. მღელვარებამ შემიპყრო. დედაჩემს მოვეხვიე და ვუთხარი: არა, დედა, შენ ყველაზე უკეთ იხედები-მეთქი, იმან კიდევ, არა, შვილო, გეუბნები, დამიჯერე, ველარაფერს ვხედავ, სულ ველარაფერს, საბოლოოდ დავბრმავდიო... აი ,ასე მოხდა ეს და მას შემდეგ ხელის ცეცებით დადის სახლში დედაჩემი, მის თვალებში კი მთელი ეს ავადმყოფი ქალაქი ირეკლება. მე უკვე მეშინია დედაჩემის. მეშინია მისი თვალების. ძრწოლა ამიტანს მაშინათვე, როგორც კი ჩვენი მზერა შემთხვევით ერთმანეთს ხვდება, თუმცა ის ამას ვერც ამჩნევს, დადის, აფათურებს ხელებს და თავისი ბებრული ხმით მეძახის: „შვილო, შვილო, სადა ხარ, სად?“ და ამ დროს მინდა გავიქცე სადმე, გადავიკარგო, ჩავიმარხო, გავქრე, ოღონდ მეტი აღარ დავინახო ეს შემზარავი კრიალა თვალები, რომლებშიც ის ყველაფერი ირეკლება ერთად შეგროვებული და შეკოწიწებული, რაც მინდა დავივიწყო, რასაც მინდა დავემალო ჩემს ამაზრზენ მარტოობაში.. დედაჩემი კი მოდის, მპოულობს, აკანკალებულ თითებს მისვამს სახეზე და უკვე მერამდენედ მეკითხება, ვიძიე თუ არა შური ჩემი დის [illegible]ზე. „არა, დედა, ჯერ არაერთ[illegible] ხანი“ — ვპასუხობ [illegible] ჟრჟოლაატანილი და არ ვიცი რა წყალში გადავვარდე. მე უკვე აღარ შეძიძლია ამდენის მოთმენა და ამ ბოლო დროს ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქნება წავიდე და მართლა მოვკლა ჩემი სიძე, ოღონდაც კი დედაჩემის ამ ყოველდღიური კითხვებისაგან განვთავისუფლდე. მითუმეტეს, რომ როგორც აქამდეც ვთქვი, იგი მაინც განწირულია და მეც მის მიმართ ზიზღის მეტს არაფერს განვიცდი. და თუ აქამდე ეს არ ჩავიდინე, მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზეზის გამო. მე ვგრძნობ, რომ როგორც კი მას მოვკლავ, საბოლოოდ აიმღვრევა ჩემი თვალები და მეც იმათ დავემსგავსები, ასე ათეულათასობით რომ დაეხეტებიან ქუჩებში და უაზრო ლოზუნგებს გაჰყვირიან, როგორც აი, ეს მანიფესტანტები, ახლა ჩემს გვერდით რომ მიიკლაკნებიან გრძელ კოლონად. ისე კი ჯობია დროზე გავეცალო აქაურობას, თორემ ალბათ მალე დაიწყებენ მათ დარბევას. ნაბიჯს ავუჩქარე. უცებ ვიღაცამ დამიძახა. მივიხედე. ვხედავ, ჩემს წინ სირო დგას, ჩემი ძველი ნაცნობი. ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში და ლიტერატორთა წრეზეც ერთად დავდიოდით. სირო პოეტია, თანაც, ჩემის აზრით, ძალიან კარგი პოეტიც.

— გამარჯობა სირო, როგორა ხარ?— გულწრფელად გამიხარდა მისი დანახვა. თან შიშითა და იმედით თვალებში ჩავხედე. რა თქმა უნდა! მადლობა ღმერთს, ის მაინც ჯერ კიდევ ებრძვის ავადმყოფობას.

— ეჰ, როგორ უნდა ვიყო — ნაღვლიანად ამბობს სირო და ხელს იქნევს — ჯერჯერობით არ ჩავძაღლებულვარ.

მე და სირო ქუჩაში ვდგავართ და ვლაპარაკობთ. მსიამოვნებს მასთან საუბარი. სირო მეუბნება, რომ

ლექსების ახალი კრებული გამოუშვა. „რამდენი ხანია?“ — ვეკითხები მე. „ეჰ, უკვე წელიწადი გავიდა, არ გინახავს, ხომ?“ — მეკითხება. ცოტა არ იყოს ნაღვლიანად. „არა“ — ვპასუხობ უილაჯოდ და უხერხულობის გრძნობა მეუფლება. მახსენდება, რომ დიდი ხანია, რაც წიგნების მაღაზიაში არც კი შემიხედავს.

— ასეა, — ამბობს სირო, — პოეზია აღარავის სჭირდება.

— აუცილებლად ვიყიდი და წავიკითხავ. — ვეუბნები და მზერას ვარიდებ.

— უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა, წაიკითხავ თუ არა — ისევ ისე, მოშვებულად აგრძელებს სირო — მთავარია, რომ აღარავინ კითხულობს. ასი ცალის ტირაჟით გამოვეცი. სულ ოცდაჩვიდმეტი წიგნი გაიყიდა, დანარჩენი ჯერ კიდევ მაღაზიებში აწყვია... ასეა, ხელოვნება მოკვდა... ამას უნდა შევეგუოთ, ჩემო კარგო... და რაკი ხელოვნება მოკვდა, სხვა ყველაფერიც მალევე თან მიყვება... ესეც ცხადია, და ამასაც უნდა მივეჩვიოთ... — სირომ ამოიოხრა, მხარზე ხელი დამიტყაპუნა და რაღაცნაირად საწყლად გამიღიმა.

თავზე ვერტმფრენმა გადაგვიფრინა. ორივემ ზევით ავიხედეთ.

— გავეცალოთ აქაურობას. — ვუთხარი მე. — ალბათ ბომბს ჩააგდებენ კოლონაში.

— წავიდეთ — დამეთანხმა სირო და სწრაფი ნაბიჯით განვაგრძეთ გზა. რამდენიმე წუთში მართლა მოგვესმა აფეთქების ხმა.

— ჩამოაგდეს — თქვა სირომ.

— მთავრობა? — გავიხუმრე მე.

— არა, ჯერჯერობით მხოლოდ ბომბი. ისე მთავრობასაც მალე ჩამოაგდებენ — მიპასუხა სირომ და გაიცინა.

— მოდი, აქეთ გადავუხვიოთ — ვუთხარი მე.

— პარკში?

— ჰო, ჩამოვსხდეთ.

— კარგი.

გადავედით. თავისუფალი სკამი მოძებნეთ და ჩამოვსხედით. გვერდით სკამზე ახალგაზრდა ქალი იჯდა ქმრის ფეხებთან სამიოდე წლის ბიჭუნა სილაში თამაშობდა.

— შენს წიგნს რა ჰქვია?

— „ცისფერი ჩიტების გადაფრენა ჟოლოსფერი ხეების ქვეყნებში“ — მოულოდნელად მომიგო სირომ.

— რა, ამ ბოლო დროს ოპტიმისტი გახდი? შენი ძველი კრებულების სათაურები მახსოვს: „სიკვდილის ფრთები“, „ცრემლი და სისხლი“, „აპოკალიფსი“...

— ჰო, ეგრეა, — გამაწყვეტინა მან, — როცა ყველა ჩიტებზე და ყვავილებზე წერდა, მე სიკვდილზე და აპოკალიფსზე გავყვიროდი, ალბათ ვგრძნობდი, რაც მოდიოდა და ადამიანები მინდოდა გამეფრთხილებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა... ახლა კი, როცა ყველაფერი ისედაც ნათელია, ვიფიქრე, იქნებ სითბომ და სიყვარულმა უშველოს ამ ხალხს მეთქი, მაგრამ... — სირომ ისევ ისე, საცოდავად გაიღიმა — როგორც უკვე ვთქვით, ხელოვნება მოკვდა, ახლა კი მკვდარი კი არა, ცოცხალიც არავის აინტერესებს.

ზურგსუკან ოხვრა შემოგვესმა. მივიხედეთ. ბალახებში ბიჭი და გოგო ლოტოსის პოზაში სქესობრივ აქტს ამყარებდნენ.

— აი, ხომ ხედავ, — თქვა სირომ და თითი იქეთ მიაშვირა, — თუ გინდა ცოცხალი დარჩე, ამას უნდა ემსაურო. ეს ერთადერთი სიამოვნებაღა დარჩათ ადამიანებს.

— როგორ, ემსახურო? — ვკითხე მე.

— ჩვეულებრივად. — მითხრა სირომ — მე ახლა პრეზერვატივების გამყიდველად ვმუშაობ.

— პრეზერვატივების? — გამიკვირდა. მერე გამეცინა. მერე ხარხარი ამიტყდა. ჩემს შეხედვაზე სიროსაც გაეღიმა.

— აჰ, შენ რა გითხარი — მივუბ-

რუნდი, როცა სული მოვითქვი. — ასე გულიანად რა ხანია აღარ მიცინია — პოეტი — პრეზერვატივების გამყიდველი! მშვენიერია! ორიგინალურია! — ისევ ამიტყდა სიცილი. ჩვენს გვერდით სკამზე მჯდომი ახალგაზრდა ქალი გაკვირვებული შემოგვცქეროდა.

— რეალობაა! — შემისწორა სირომ.

— მართალი ხარ! — დავუკარი კვერი, მას შემდეგ, რაც დავმშვიდდი.

ბიჭუნა მოგვიახლოვდა. ხელები მიწით ჰქონდა მოთხუპნული.

— ნეტა ამისგან ვინ გაიზრდება? — იკითხა სირომ. მე მხრები ავიჩეჩე.

— ისე, შეიძლება არც გაიზარდოს.— ვთქვი ცოტა ხნის შემდეგ.

— მით უკეთესი მისთვის. — დასკვნა სირომ.

ერთხანობას ჩუმად ვისხედით. მერე სირომ თქვა:

— მე მგონი, ამ ბიჭუნას დედას მალე გააუპატიურებენ.

— რა იცი? — გულგრილად ვკითხე მე.

მან არაფერი მიპასუხა. მერე მთხოვა.

— მოდი, წავიდეთ აქედან.

— წავიდეთ.

ავდექით. პარკიდან რომ გამოვდიოდით, ყურს ქალის კივილი მოგვწვდა.

— აი, ხომ გეუბნებოდი! — ნიშნისმოგებით მითხრა სირომ.

ქუჩაში მანიფესტანტების ახალი ჯგუფი გამოჩნდა. „ძირს ძალადობა, გაუმარჯოს ჰუმანიზმს!“ — ეწერა ყველაზე დიდ ტრანსპარანტზე, რომელიც წინ მოჰქონდათ.

— ხვალ სიმფონიური მუსიკის კონცერტია — მოულოდნელად ჩაილაპარაკა სირომ.

— სად?

— დიდ საკონცერტო დარბაზში.

— რა სრულდება?

— ბეთჰოვენის მესამე სიმფონია. მოხვალ?

— ფული არა მაქვს. — მივუგე მე. — რაც მქონდა, იმითი აი, თაგვის კონსერვი ვიყიდე.

— სად იშოვე? — გაუკვირდა სიროს ავუხსენი. მაგრამ ეგ[illegible] შეიძლება არ შეგხვდეს [illegible]

— არ მინდა. ჯობია ტბაზე ავალ.

— ტბაზე?

— ჰო.

— ტბაზე რაღა გინდა? — ადრეული გაზაფხული იდგა. სეზონი ჯერ შორს იყო.

— ხშირად დავდივარ ხოლმე. — ჩაფიქრებით თქვა სირომ — ვზივარ მარტოდმარტო ტბის პირას და გავყურებ წყალს. ეს მშველის...

მანიფესტანტებმა ჰაერში ავტომატების ჯერი დაცალეს და გზა განაგრძეს. „ძირს ტირანია, გაუმარჯოს თავისუფლებას!“ წითელი ასოებით იყო გადლაბნილი თეთრ ქსოვილზე, რომელსაც ორი ცალხელა ქალი მიაფრიალებდა.

— მეც წამოვალ ტბაზე.

— წამოდი. — დამყაბულდა სირო.

— ტბა ფოლადისფერი და მშვიდი იყო.

— ოდესღაც მე ვიყავი ზღვაზე — ვუთხარი სიროს.

— მეც — თქვა მან.

— მახსოვს ქალები, რომელთაც ეცვათ ძალიან ცოტა და უდარდელად იღიმებოდნენ..

— მეც მახსოვს — კვლავ დამეთანხმა სირო.

— მე ვიჰვრიტებოდი გასახდელებში. შინდისფერ კერტებს ვხედავდი და ვფიქრობდი იმაზე, თუ რატომ იყო ისინი ასეთი ფერის...

— მეც ვიჰვრიტებოდი — გამოტყდა სირო.

— და საღამოობით უკრავდნენ მუსიკას, რომელსაც ამ ქალების სხეულების სურნელი ასდიოდა....

— ასდიოდა... — ჩაიბუტბუტა სირომ.

— ხოლო ზღვის პირას იხეთებოდა შუქურა, რომელიც ჰგავდა მზეს და

ქალის მკერდს ერთდროულად...

— ჰგავდა — დამეთანხმა სირო.

— და მე ვფიქრობდი, რომ ადამიანი უნდა ცხოვრობდეს ზღვასთან ახლოს...

— მეც ასე ვფიქრობდი... — დაიჩურჩულა სირომ.

— და მე ვფიქრობდი...

— გეყოფა! — იღრიალა სირომ.

— გეყოფა! — იღრიალა მერრედ.

— გეყოფა! — იღრიალა მესამედ და მზეს შეხედა.

— მეყოფა — ვთქვი მე.

ტბა ფოლადისფერი და მშვიდი იყო.

მეორე დღეს ერთი კონსერვი გავყიდე და სიმფონიური მუსიკის კონცერტზე წავედი. დარბაზში თექვსმეტნი ვისხედით. სიროც აქ იყო. კიდევ ერთი ნაცნობი ვნახე — მუსიკოსი. მან მითხრა, რომ ახალ ოპერაზე მუშაობს. კონცერტის დაწყების წინ გამოაცხადეს, რომ ბეთჰოვენის მესამე — „გმირული“ სიმფონია ეძღვნება ნაპოლეონ ბონაპარტს.

— ტყუილია! — აღშფოთდა ჩემი ნაცნობი მუსიკოსი. — ბეთჰოვენმა თავად თქვა უარი ამ მიძღვნაზე.

— ახლა ასეა საჭირო. — დავამშვიდე მე.

მესამე რიგში იჯდა გოგონა, რომელსაც კეხიანი ცხვირი და ყოლი თმები ჰქონდა. მეორე ნაწილის შესრულების შემდეგ რაღაცმაც შესვენება გამოცხადდა. ფოიეში ჩვენი მზერა ერთმანეთს შეხვდა. გოგონას მომწვანო და სუფთა თვალები ჰქონდა. ისეთი სუფთა, როგორიც ძალიან დიდი ხანი იქნებოდა, არ მენახა. ერთადერთი, დედაჩემს ჰქონდა ასეთი კრიალა თვალები, მაგრამ ის ხომ ვერაფერს ვერ ხედავდა და თანაც მთელი ეს შემზარავი ქალაქი მასში ირეკლებოდა. ამ გოგონას თვალებში კი მხოლოდ საკუთარ გამოსახულებას ვხედავდი და ისიც ისე მკაფიოდ, რომ უცებ სიმგრძნობამ მომიცვა, რასაც ადრე აღფრთოვანებას ვუწოდებდი.

— გამარჯობათ — ვუთხარი დაუფიქრებლად.

— გამარჯობათ. — მომიგო გოგონამ და უფრო ჩამაშტერდა თვალებში.

— თქვენ მშვენიერი ხართ. — ვუთხარი მე.

— არა. — მიპასუხა მან. — მე კეხიანი ცხვირი და ყოლი თმები მაქვს და ულამაზო ვარ.

— არა! — მტკიცედ ვთქვი მე — თქვენ მშვენიერი ხართ.

— როგორც გენებოთ. — აღარ შემეწინააღმდეგა იგი.

— რა გქვიხთ? — ვკითხე მე.

— აგრიპინა. — მიპასუხა მან.

— არ მომწონს ეს სახელი. — წამომცდა ძალაუნებურად. — თქვენ სხვა სახელი უნდა გერქვათ.

— მაინც? — აგრიპინამ გაიღიმა.

— არ ვიცი... მაგალითად, მარია..

— მაშინ მარია დამიძახეთ — დამართო ნება.

მესამე ზარი დაირეკა.

— მე თქვენს გვერდით დავჯდები. — ვუთხარი მარიას.

— დაბრძანდით. — მიპასუხა მან.

— გიყვართ ბეთჰოვენი? — წავჩურჩულე, როცა კონცერტი გაგრძელდა.

— არა. — მოულოდნელად მითხრა მან.

— რატომ?

— იბრძვის. — მომიგო მარიამ. — მე ვივალდი მიყვარს, მაგრამ არ ასრულებენ.

— მაშინ რატომ მოხვედით?

— ხომ გითხარით, ვივალდის არ ასრულებენ-მეთქი.

კონცერტი რომ დამთავრდა, გაცილება შევთავაზე.

— კი მაგრამ, მე მართლა არა ვარ ლამაზი, — გამიმეორა მან, — თანაც უსაშველოდ დიდი კეხიანი ცხვირი მაქვს და კიდევ ჭყეტელა ყოლი თმები...

— გაჩუმდით! — გალიზიანებულმა ვუთხარი მე. — თქვენ თვალები გაქვთ სუფთა და კრიალა.

— თქვენც... — წაიჩურჩულა მან და შემომხედა.

— არა, მე არა... — ვიუარე, ხოლო მან თქვა:

— თქვენც სუფთა და კრიალა თვალები გაქვთ... — გაჩუმდა, კიდევ ერთხელ გამისწორა მზერა და დაამატა — შედარებით...

გარეთ გამოვედით. პატრულმა საბუთები შეგვიმოწმა. ერთხანს უსიტყვოდ მივდიოდით. მერე მარიამ მკითხა.

— გინდათ, მაკოცოთ?

— არა — ვუპასუხე მე.

— მართლა?

— მართლა.

— რატომ? — ჩამეძია იგი.

მრავალსართულიანი სახლის ერთ-ერთი აივნიდან ორი ადამიანის სილუეტი გაკრთა. მათ ხელიხელჩაკიდებულებმა ისკუპეს, ჰაერში ბზრიალ-ბზრიალით წამოვიდნენ და ჩვენს წინ, რამოდენიმე ათეული მეტრის მოშორებით ქვაფენილს დაენარცხნენ. მარიამ შეჰკივლა და სახეზე ხელები აიფარა.

— წამო, მეორე მხარეს გადავიდეთ. — ვუთხარი მე. მარია რამდენიმე წამი ასე, გაუნძრევლად იდგა, მერე სახიდან ხელები მოიცილა. — არა. — თქვა ჩუმად და წინ წავიდა.

— მარია, არ გინდა! — დავიყვირე და მის შეჩერებას შევეცადე. მან უხეშად მომიშორა და გაიქცა. უკან მივყევი. რომ მიუახლოვდა, კიდევ ერთხელ, ახლა უკვე სუსტად შეჰკივლა და ადგილზე გაშეშდა. ძირს დავიხედე. ტროტუარი სისხლში არეული ტვინით იყო მოთხვრილი.

— მოხუცები ყოფილან. — ჩავილაპარაკე მას შემდეგ, რაც გვამებს კარგად დავაკვირდი. მათ ისევ ჰქონდათ ერთმანეთისთვის ხელები ჩაჭიდებული. მოხუცები შემეცოდნენ, მაგრამ სიბრალულზე უფრო მეტად ბიზღის გრძნობამ ამიტანა. ამ ამაზრზენ სანახაობას თვალი მოვაშორებ და მარიას გავუმეორე — წავიდეთ-მეთქი. მარია არ იძროდა და თვალებგაფართოებული მისჩერებოდა დამსხვრეულ მოხუცებს.

— კაცს ხელში რაღაც ქაღალდი უჭირავს. — დაიჩურჩულა ცოტა ხნის შემდეგ. დავაკვირდი. მოხუცს მართლა რაღაც ქაღალდი ჰქონდა ჩაბღუჯული. მარია დაიხარა და შეეცადა მისი მომუჭული თითებიდან ფურცელი გამოეძრო, მაგრამ ვერ შესძლო. ეტყობოდა, მოხუცი მთელი ძალით ჩაფრენოდა მას.

— მომეხმარე! — მითხრა მარიამ. დავიხარე და შევეცადე მოხუცისათვის თითები გამეშლევინებინა. ძლივს მოვახერხე. თანაც ამ ვაივაგლახში ხელები სისხლით დავისვარე.

— მომეცი! — მარიამ ხელი გამომიწოდა. დაჭმუჭნული ქაღალდი გადავეცი. მან ქაღალდი გაასწორა, ფარანთან მივიდა და ჩაიხედა.

— რა წერია? — ვკითხე მე.

— გაზაფხული აღარ მოვა...

— რა?

— გაზაფხული აღარ მოვა...

— კიდევ?

— მეტი არაფერი არ წერია.

მარიას მივუახლოვდი და ფურცელს დავხედე. ფურცელი სისხლით იყო მოთხვრილი და ზედ მართლაც მხოლოდ სამად სამი სიტყვა ეწერა.

— გაზაფხული აღარ მოვა.. — თავისთვის ჩაილაპარაკა მარიამ, წერილი დაკეცა, გულისჯიბეში ჩაიდო, შემომხედა და მითხრა:

— წავიდეთ.

გზა განვაგრძეთ. ჩუმად მივდიოდით. მერე მარცხნივ, ქუჩაზე ჩავუხვიეთ. ქუჩა ჩაბნელებული იყო. კაციშვილი არ ჰაჰანებდა.

— გეშინია? — მკითხა მან.

— არ ვიცი, — ვუპასუხე მე — ალალბათ უკვე აღარ.

— უკვე?

— ჰო, უკვე...

— იარაღი გაქვს?

— არა.

— რატომ?

— ძვირი ღირს.

— საშუალება რომ გქონდეს, იყიდიდი?

— არ ვიცი... ალბათ...

— რატომ?

— თავი რომ დავიცვა.

— აქამდე როგორ გადარჩი?

— როგორ?

— აქამდე როგორ გადარჩი-მეთქი, იარაღს თუ არ ატარებდი.

— შემთხვევითობის ამბავია.

— მერე თუ გიფიქრია იმაზე, რომ როდესაც კი იარაღს იშოვი, იმდღესვე შეიძლება მოგკლან.

— არა, ამაზე არ მიფიქრია.

— და როგორ გგონია, შეიძლება ასე მოხდეს?

— კი, შეიძლება.

— აბა მაშინ რაღა აზრი აქვს? — მარია გაჩერდა და ჩემსკენ შემობრუნდა. მეც გავჩერდი. ჩვენ ერთმანეთს ვუყურებდით, თუმცა ბნელოდა და მისი სახე სადღაც, წყვდიადში იკარგებოდა.

— შენ შეგიძლია გადარჩე, — მითხრა მან რაღაცნაირი იდუმალი ხმით. მე მისი თითები ჩემს ხელებში მოვიმწყვდიე და გულთან მივიახლოვე. — მაგრამ შეიძლება ვერც გადარჩე... — დაამატა რამდენიმე წამის შემდეგ მშრალად.

— შევეცდები გადავრჩე. — ვუთხარი ჩურჩულით.

—მე აქ ვცხოვრობ. — მშვიდად ჩაილაპარაკა მან.

— ხვალ ტბაზე გეპატიჟები. — წამომცდა თავისდაუნებურად და უფრო მაგრად მოვუჭირე მარიას ხელისგულებს თითები...

ტბა ფოლადისფერი და მშვიდი იყო.

— ოდესღაც მე ვიყავი ზღვაზე. — თქვა მარიამ.

— მეც — ვუპასუხე ... გამახსენდა სირო, რომელიც ასევე იყო ზღვაზე, ახლა კი ალბათ პრეზერვატივებს ყიდდა თავის მაღაზიაში.

— ვინა ხარ შენ? — მკითხა მარიამ.

— კაცი, რომელსაც დედის თვალებში ჩაბედვის ეშინია — ვთქვი ჩუმად და საკუთარი სიტყვები მოულოდნელი მეჩვენა.

— ვინა ხარ შენ? — გამიმეორა კითხვა მარიამ.

— კაცი, რომელსაც შეუძლია გულგრილად ჩაიაროს იქ, სადაც ქალს შვილის თვალწინ აუპატიურებენ. — ვთქვი მომხრჩვალი ხმით და ვიგრძენი როგორ დამაწვა სხეულზე სიმძიმე.

— ვინა ხარ შენ? — კიდევ ერთხელ მკითხა მარიამ.

— კაცი, რომელიც დარწმუნდა საკუთარ უძლურებაში — ამოვიხრიალე და თავი ჩავლუნე.

— ვინა ხარ შენ? — არ მომეშვა მარია.

— კაცი, რომელმაც იცის, რომ ავადმყოფ ქალაქში ცხოვრობს... — ხმა უკვე აღარ მემორჩილებოდა..

— ვინა ხარ შენ? — ისევ მკითხა მარიამ.

— გეყოფა! — ვიღრიალე უცებ.

— გეყოფა! — ვიღრიალე მეორედ.

— გეყოფა! — ვიღრიალე მესამედ.

— მეყოფა. — ჩუმად თქვა მარიამ.

ტბა ფოლადისფერი და მშვიდი იყო.

— რა ქენი შვილო, კიდევ კიდევ არ იძიე შური? — მკითხა დედამ და თავის ქალაქისოდენა თვალები მომაპყრო.

— არა, დედი, არა და შეიძლება არც არასდროს ვიძიო — ვუთხარი გაღიზიანებულმა და მზერა ავარიდე.

— მხდალი ყოფილხარ — საყვედურით სავსე ხმით მომიგო მან.

— არა, არა ვარ მხდალი! — ვიყვირე და დედაჩემს მკლავებში ვწვდი.

— მხდალი ხარ! — მტკიცედ მითხრა მან.

— როგორ არ გესმის, რომ ყველაფერი ეს უაზრობაა! გაიგე, უაზრობაა! — წონასწორობა დავკარგე, დედაჩემს ვაჯანჯღარებდი და პირიდან დუჟი გადმომდიოდა

— შენი დის მკვლელი ცოცხალი არ უნდა დადიოდეს დედამიწაზე! — ისე მითხრა, რომ ძარღვებში უცებ სისხლი გამეყინა. მითხრა და ვიგრძენი, მისი თვალებიდან ჩემსკენ როგორ წამოვიდა ურჩხული ტანზე ასხმული ფანჯრებჩალეწილი სახლებით, ქვემეხებით, ცალხელა და ცალფეხა მამაკაცებით, გაუპატიურებული ქალებით, სისხლში არეული ტვინით, დაჭმუჭნილი ქაღალდით, რომელზეც ეწერა: „გაზაფხული აღარ მოვა“, გარყვნილი დით, რომელსაც გაყინულთვალებიანი ქმარი ყელს ღადრავს, თაგვის კონსერვით, მანიფესტანტებით, რომლებიც ავტომატის ჯერს ცლიან ჰაერში, პოეტით, რომელიც წიგნების ნაცვლად პრეზერვატივებს ყიდის, წამოვიდა ურჩხული, რომელსაც სახელად ჩემი ქალაქი ერქვა და მე ვეღარ შევძელი მეტი, მუხლებზე დავეცი და ავღრიალდი:

— დედა, გეხვეწები, დედა! ნუ მეუბნები ასეთ რამეებს, დედა! გაიგე, რომ ასე აღარ შეიძლება, დედა! შემიბრალე, დედა! მეტი აღარ გვინდა, დედა! დამიჯერე, მართალს ვამბობ, დედა! დამიჯერე და ნუღარ მაწამებ, დედა! დამიჯერე, დედა! — გული ამომიჯდა, იატაკზე დავემხე და სახე მტვრიან ხალიჩაში ჩავრგე. სიჩუმე ჩამოწვა. შემზარავი სიჩუმე. მე პირქვეწამხობილი ვიწექი და თითქოს განაჩენს ველოდი.... ველოდი დიდხანს, ძალიან დიდხანს, და ბოლოს, როგორც იქნა, დედაჩემმა თქვა, თქვა მშრალად და გამოკვეთილად:

— არ მესმის შენი...

თქვა და თავისი ოთახისაკენ წაფრატუნდა....

მარია თვალებგაფართოებული მისმენდა. მერე ხელი ჩემსკენ წამოიღო და თავზე გადამისვა.

— რა ვქნა? — ვკითხე სასოწარკვეთილმა.

— უნდა გადარჩე.... — მარიას ხმა უკანკალებდა.

— ეგ ვიცი, მაგრამ როგორ?

— უნდა გადარჩე. — გამიმეორა იგივე.

—ვერ გადავრჩები — ვთქვი მე უიმედოდ.

— უნდა გადარჩე. — მარიამ თითები ლოყაზე ჩამომიცურა...

— ვერ გადავრჩები და იმიტომ, რომ არავითარი აზრი არა აქვს ჩემს გადარჩენას, თუკი ირგვლივ ყველაფერი დაიღუპება...

— მე? — მკითხა მარიამ.

მხრები ავიჩეჩე. მარიას სახე მოექუფრა.

— კრემატორიუმში დავიწყე მუშაობა. — ვუთხარი ცოტა ხნის შემდეგ.

— რას აკეთებ?

— გვამებს ვალაგებ ამწეზე, რომელიც ღუმელში შედის.

— დაანებე თავი.

— ფული?

— დაანებე თავი! — უფრო ხმამაღლა მითხრა მარიამ.

— შიმშილით მოვკვდე?

— დაანებე თავი! — მარია თითქმის ყვიროდა.

— უკეთეს სამუშაოს ვერ ვიპოვი, მიცვალებულები ყველაზე უწყინარები არიან.

— მოდი, ზღვაზე წავიდეთ — მოულოდნელად მითხრა მან

— ზღვა შორსაა.

— მაინც წავიდეთ!

— ზღვა ქალაქგარეთაა...

— მერე გავიდეთ ქალაქგარეთ!

— ვერ გავალთ!

— რატომ!

— იქ არავის ვჭირდებით.

— არა უშავს!

— არც გაგვიშვებენ.

— გავიპაროთ!

— ვერ გავიპარებით.

— ვცადოთ!

გაკვირვერულმა შეეხედე.

— ჰო, ვცადოთ — გამიმეორა მან.

— დედაჩემი მოკვდება — ვთქვი მე.

— დედაშენი ბოროტია — ბრაზით თქვა მარიამ.

— დედაჩემი დედაჩემია — ვუპასუხე მე.

ტბა ფოლადისფერი და მშვიდი იყო...

— დაუჩქარე! დაუჩქარე! — დამიყვირა ზედამხედველმა. ეს ის ახალგაზრდა ქალი იყო, თაგვის კონსერვი რომ დავუთმე. ტყვია პირში ჰქონდა მოხვედრილი. წინა კბილები სულ ჩალეწოდა და გამხმარ სისხლიან მასად ქცეული ტუჩი ნესტოებზე ასწებებოდა. სახის ქვედა ნაწილი საშინლად ჰქონდა დამახინჯებული, მაგრამ მაინც ვიცანი. არა, ნამდვილად ის იყო, ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა... ხელები წელზე წავავლე და ამწეზე შევაგდე. ოთხი შვილი ჰყავდა.... ნეტა რას აჩენდა ამდენს, ვინ ეხვეწებოდა... მე რომ მკითხოს კაცმა, ახლა ბავშვის გაჩენა საერთოდ დანაშაულია... განა მათი ადგილია იქ, სადაც ადამიანები ხელიხელჩაკიდებულნი პანტაპუნტით ცვივიან მრავალსართულიანი სახლების აივნებიდან? განა მხოლოდ იმიტომ უნდა იშვან, რომ დედების გაუპატიურებებსა და მკვლელობებს დაესწრონ და თუ რაღაც სასწაულად მაინც გაიზარდნენ, მშობლებს წყევლა-კრულვა გაუგზავნონ იმისათვის, რომ ამისთანა ადგილას მიუსაჯეს სიცოცხლე?

— ეი, რა მოგდის! — ზედამხედველი გაცეცხლდა. სასწრაფოდ დავავლე ხელი ვიღაც მოხუცის გვამის და ამწეს ვაგონებზე ვისროლე. „რითა ველარ დამთავრდა ეს წყეული სამუშაო დღე“! — გავიფიქრე თან გამწარებულმა. უკვე სიქა მქონდა გაცლილი. მარია გამახსენდა. ნეტა მართლა ისე დიდი ცხვირი ჰქონდა, როგორც ამბობდა? და ნუთუ მართლა! ულამაზო იყო? ალბათ, მაგრამ მარია მარიამი იყო. უნდა დამენებებინა თავი კრემატორიუმში მუშაობისათვის და ზღვაზე წავსულიყავი. ზღვაზე თუ არა, ტბაზე მაინც. მომეკიდა ხელი დედაჩემისათვის, თან წამეყვანა და იქ დავსახლებულიყავით... მე, მარია და დედაჩემი ერთად.. მაგრამ დედა ზღვას ვერ დაინახავდა. ვერც ტბას. და ისევ მკითხავდა, მოვკალი თუ არა ჩემი სიძე.... ო, რა იქნებოდა, ამ გვამებში ისიც რომ მეპოვა? რა მოხდებოდა, ვინმეს რომ ტყვიით გაეხვრიტა მისთვის ფაშვი, თუნდაც შემთხვევით? მაშინ ხომ ამოვისუნთქავდი და ალბათ გადავრჩებოდი კიდეც, მაგრამ მისი გვამი ჯერჯერობით არ ჩანდა. ჩემს ჯიბრზე არავინ ესხმოდა მას თავს, არავინ უღადრავდა ყელს, არავინ აცლიდა ავტომატის ჯერს სასქესო ორგანოებში.. .არავინ... მისი სიცოცხლის განმგებელი მე ვიყავი. მინდოდა მოვკლავდი, მინდოდა ცოცხალს დავტოვებდი...

სირენა აჭყვიტინდა. „მადლობა ღმერთს!“ — უკანასკნელი გვამი მოვისროლე, სპეცტანსაცმელი გავიძრე და გასასვლელისაკენ გავემართე.

ჭუჩა გადაკეტილი იყო. მთავრობის მომხრეები ცენტრალური მოედნისაკენ მიიჩქაროდნენ გრანდიოზულ მიტინგზე, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეძღვნებოდა. უეცრად გიტარის ხმა შემომესმა. იქეთ გავწიე. თავმოტვლეპილი მოხუცი დავინახე. ჭრელაჭრელა ტანსაცმელი ეცვა, ყურებში რგოლები ჰქონდა გაყრილი, შუბლზე ყვავილი ეხატა, პორნომაღაზიის ვიტრინის წინ იჯდა და მღეროდა:

ყვავილი ამოვიდა ჩემს ტვინზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს ტვინზე
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი...

შორიახლოს გავჩერდი და დავაკვირდი. მოხუცი საოცარი თავდავიწ-

ყებით მღეროდა. მომეჩვენა, რომ ირგვლივ ვერავის ამჩნევდა და მასაც ვერავინ ხედავდა. ყოველ შემთხვევაში, არავინ ჩერდებოდა. მხოლოდ ზოგიერთები თუ გახედავდნენ ცერად და ფეხს აუჩქარებდნენ. მოხუცს ხმა უთრთოდა და ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს მისი ხმა წუთი-წუთზე დაიფშვნებოდა, ირგვლივ მიმოიფანტებოდა და მთელ ტროტუარს, მთელ ქუჩას, მთელ ქალაქს მოეფინებოდა... და ადამიანები გადაუვლიდნენ ზედ თავიანთი ტალახიანი ფეხსაცმელებით, დილით კი დაივლიდნენ მეეზოვეები, ხმ ნამსხვრევებად ქცეულ სიმღერას მოხვეტავდნენ და ნაგვის ყუთში გადაუძახებდნენ. და ისიც მომეჩვენა, მოხუცმა იცოდა, რომ ყველაფერი ასე მოხდებოდა, მაგრამ ის მაინც მღეროდა...

ყვავილი ამოვიდა ჩემს გულზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი...

მღეროდა მოხუცი, თავი ზევით აეშვირა, ყურებში გაჩრილი რგოლები უთრთოდა, თითებიც უთროდა, ხმაც, ყველაფერი უთრთოდა და უცებ ვიგრძენი, რომ მეც ავთრთოლდი, ავთროლდი და მასთან ერთად ავმღერდი:

ყვავილი ამოვიდა ჩემს სულზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს სულზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი...

და ვმღეროდით... ჩვენ ორნი, მე და ის, მე და მოხუცი, უცნაური მოხუცი, თავმოტვლეპილი, ჭრელაჭრულატანსაცმლიანი, შუბლზე და მკერდზე დახატული ყვავილით, ვმღეროდით და ვთრთოდით, ვთრთოდით და ვმღეროდით...

მერე კი, მერე დამთავრდა სიმღერა, მოხუცმა ზევით აშვერილი თავი დახარა, შემომხედა, დამაკვირდა, დიდხანს მიყურა და ბოლოს მკითხა:

— ვინა ხარ?

— კაცი, რომელსაც დედის თვალებში ჩახედვის ეშინია — ვუპასუხე მე.

— მოდი — მითხრა თავისი დამსხვრეული ხმით და ხელი ტროტუარს დაარტყა. მივედი და გვერდით ჩავუჯექი.

ამ დროს ცენტრალურ მოედანზე მიტინგი დაიწყო. გამაძლიერებლების საშუალებით ხმა ჩვენამდეც აღწევდა.

— ადამიანის უფლებათა დაცვა ჩვენი უზენაესი მოვალეობაა! — დასჭექა ერთ-ერთმა ორატორმა. — ჩვენ უნდა შევძლოთ და მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანმა თავი იგრძნოს თავისუფლად, ბედნიერად და ხელშეუხებლად, იგრძნოს, რომ ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც თმის ღერიც კი არ ჩამოჰვარდება დაუკითხავად! დიახ, ეს ჩვენი პირდაპირი და უმთავრესი მიზანია და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მივაღწევთ ამას! — ტაშმა იხუვლა, ორატორი გაჩერდა და როცა ტაში ოდნავ მისუსტდა, პათეტიურად დაჰკივლა — გჯეროდეთ, ჩვენ მივაღწევთ ამას! ჩვენ დავამყარებთ ქალაქში წესრიგს, ჩვენ გადავაქცევთ ქალაქს ახალ სამოთხედ, ჩვენ გავიმარჯვებთ! — ბოლო სიტყვებზე „ყიყლიყო“ გამოუვიდა, მაგრამ ტაში მაინც უფრო მხურვალე და ხანგრძლივი იყო. ეტყობოდა, ხალხი ექსტაზმა მოიცვა. „გა-ვი-მარჯ-ვებთ! გა-ვი-მარჯ-ვებთ!“ — აგუგუნდა მთელი მოედანი ხმაშეწყობილად. მოხუცმა ნაღვლიანად გადმომხედა და მითხრა:

— წამო, წავიდეთ...

— სად?

— ჩემთან.

— თქვენთან?

— ჰო, სტუმრად გეპატიჟები... წამოხვალ?

— წამოვალ — დავეთანხმე მე.

მოხუცს ერთოთახიანი ბინა ჰქონდა ზედ იმ პორნომალაზის თავზე, რომლის წინაც იჯდა და მღეროდა. ოთახში ბევრი წიგნები იყო და კიდევ ყვავილები. ძალიან, ძალიან, უბრალო, მინდვრის ყვავილები, ყვითელი, წითელი, თეთრი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საიდან ამდენი? — ვკითხე გაოცებულმა.

— ქალაქიდან... — მომიგო მოხუცმა — შენ წარმოიდგინე, ქალაქშიც არის ყვავილები... ოღონდ ამას ვერავინ ხედავს... და მარტო მე დამრჩა ისინი... მთელი ქალაქის ყვავილები მე დამრჩა... ჰოდა მეც დავდივარ და ვკრიფავ...

ოთახში არაჩვეულებრივი სურნელი იდგა. და ამ სურნელმა რატომღაც ზღვა გამახსენა... ზღვა და კიდევ მარია... მოხუცმა კი მოულოდნელად მითხრა:

— შენ სუნი აგდის.

— სუნი? რა სუნი?

— გვამის.

უცბად შევძრწუნდი. ხელად გაქრნენ წარმოსახვიდან ზღვა და მარია და მათი ადგილი კრემატორიუმმა დაიკავა... და ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც ოთხი შვილი ჰყავდა, რომელსაც თაგვის კონსერვი დავუთმე და რომელსაც ტყვია კბილებში ჰქონდა მოხვედრილი... და ხელიხელჩაკიდებულმა მოხუცებმა, მაღლიდან რომ მოფრინავდნენ... და ჩემმა დამ, ქმარი რომ ყელს ჭრიდა... და კიდევ ბევრმა, ძალიან ბევრმა, სულ ბოლოს კი საკუთარი გვამი წარმომიდგა თვალწინ და ცხადლივ დავინახე, როგორ ვიხრები, როგორ ვიღებ მას და როგორ ვაგდებ ამწეს ვაგონეტზე...

— ეი, რა მოგდის, — მოხუცმა ხელი მომითათუნა სახეზე, — ნუ ღელავ, ისეთი არაფერი მომხდარა...

ძე ხელი ცხვირთან მივიტანე და დავუყნოსე. მერე კიდევ დავუყნოსე. ვუყარდი... აშკარად ვუყარდი... ის ბრწნისა და გამხმარი სისხლის სუნი, რაც კრემატორიუმის შენობას ავსებდა, მთელი თავისი გულისამრევი მრავალფეროვნებითა და მთელი თავისი შემზარავი სისრულით თან გამომყოლოდა.

— მართალი ბრძანდებით, — ვუთხარი ყრუდ, — მე კრემატორიუმში ვმუშაობ...

— დიდი ხანია?

— რამდენიმე დღეა...

— ჰოო... დაფიქრებით წარმოთქვა მოხუცმა, — მარტო მაგის ბრალი არ უნდა იყოს...

— რა?

— რომ სუნი აგდის.. მაგრამ არა უშავს, სხვები საერთოდ ისე ყარან რომ,... — მოხუცს ზიზღი გამოეხატა სახეზე, მერე შემომხედა, ეს გამომეტყველება სახიდან უმალ ჩამოიფერთხა და მითხრა: — შენ ხშირად მოდი ხოლმე ჩემთან სტუმრად და ყველაფერი კარგად იქნება... ამ ყვავილებს რომ ხედავ, სასწაული ძალა აქვთ, ხელად გადმოგდებენ თავიანთ სურნელს... — ამ სიტყვებზე ერთ-ერთი ლარნაკიდან გვირილები ამოიღო, ონკანთან მივიდა, წყალი გამოცვალა და გვირილები უკანვე ჩააწყო.

— დედის თვალებში ჩახედვის რატომღა გეშინია? — მკითხა, როცა ყველაფერ ამას მორჩა.

— მთელ ქალაქს ვხედავ მათში — ვუთხარი ჩუმად.

— გიყვარს დედაშენი? — მკითხა მოულოდნელად.

— არ ვიცი... ადრე მიყვარდა, ახლა ალბათ აღარ...

— ქალაქი?

— მძულს! — ვუთხარი ამრეზით.

— ამაშია საქმე! — მომიჭრა მოხუცმა და მორიგი ლარნაკიდან ამოალაგა ყვავილები.

დედაჩემს ეძინა. მივედი და ფრთხილად ვაკოცე ლოყაზე... მერე შუბლზე... მერე ხელზე... მერე თვალებში მინდოდა მეკოცნა, მაგრამ ვერ შევძელი... შემეშინდა არ გაღვიძებოდა და თვალები არ გაეხილა...

— მარია, სუნს არ გრძნობ რაიმეს?

— არა...

— აბა კარგად შეისუნთქე.

მარიამ ნესტოები დაბერა და ჰაერს ფილტვებში შეუძახა.

— არა... — გააქნია თავი უარყოფის ნიშნად.

— აბა მაშინ ჩემი ხელები დაყნოსე. ნუთუ მართლა არაფრის სუნი არ ამდის?

გაკვირვებულმა მარიამ ხელები მაჯებში მომკიდა, ცხვირთან მიიტანა და ხელისგულები დაყნოსა.

— არა, რა სუნი უნდა გდიოდეს, არ მესმის შენი — თქვა და მხრები აიჩეჩა.

— გვამის.

— გაჩერდი! — მითხრა განაწყენებულმა.

— ის ამბობს, გვამის სუნი გდისო.

— ვინ ის?

— მოხუცი.

— აბა მოხუცი?

— არის ერთი მოხუცი, ყვავილებზე მღერის და სახლიც ყვავილებითა აქვს სავსე.

— ყვავილებით? — მარიას უცებ შეეცვალა სახე — ჩემთვის არასდროს არავის არ უჩუქნია ყვავილები....

— არასდროს? — გავკვირდი მე.

— მე ხომ ლამაზი არა ვარ, — ნაღვლიანად გაიღიმა მან, — შენ გავიწყდება, რომ უსაშველოდ დიდი და კეხიანი ცხვირი მაქვს და ჰყეტელა ყღალი თმები... თანაც ახლა საერთოდ აღარავის ჩუქნიან ყვავილებს...

— მე გაჩუქებ! — ვუთხარი აღელვებულმა.

მარიამ ისევ ისე ნაღვლიანად გაიღიმა.

— გამარჯობათ... შეიძლება?

— ო, გაგიმარჯოს.... შემოდი! — მითხრა მოხუცმა და ხელით ოთახისაკენ მანიშნა.

— გადავწყვიტე, ერთხელაც გსტუმრებოდით... გავბედე, რაკი თვითონ მითხარით...

— შემოდი, შემოდი, კარგია, რომ მოხვედი! — ზურგზე ხელი დამიტყაპუნა და შიგ შემიძღვა — დაჯექი!

მომეჩვენა, რომ ოთახში მაშინდელზე უფრო მეტი ყვავილებია — ალბათ ამ მოხუცსაც შუბლზე უფრო დიდი ყვავილი ეხატა.

— მაშინ თქვენი სახელიც კი არ მიკითხავს.... — ვუთხარი უხერხულად. — რაღაც ისე მოხდა ყველაფერი...

— არა უშავს, — დამამშვიდა მოხუცმა, — მე მათუსალა მქვია.

— მათუსალა?

— ჰო, მათუსალა მქვია და 969 წლისა ვარ.

მე გამეღიმა.

— არ გჯერა, ხომ? ასეა. არავის არა სჯერა. არადა მართლა 969 წლისა ვარ. ჩვენი ქალაქივით 969 წლის. მე და ქალაქი ტოლები ვართ. ადრე, ძალიან ადრე ამ ადგილას ტრიალი მინდორი იყო. მერე ერთმა ძოხეტიალე ტომმა ჩამოიარა. მოეწონათ ეს მიდამოები, დასცეს ბანაკი, გააშენეს ქალაქი და დასახლდნენ. აი, სწორედ იმ წელს დავიბადე მე. და მას შემდეგ მივათრევ წუთისოფელს. ყველაფერი მახსოვს, რაც ამ ქალაქთანაა დაკავშირებული. ზეიმები და ომები, ფუფუნება და გაჭირვება.... მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ვიცი... მისი ყველა ნაკლი და ღირსება... და ხშირად მგონია, რომ მეც მასთან ერთად დავიღუპები... — მათუსალამ ამოიხვნეშა და მზერა დამასო. მიყურა, მიყურა და მერე თქვა: არადა, ვგრძნობ, რომ ძალე მოვკვდები. მე უკვე ძალიან ავადმყოფი ვარ...

— არა! — შევაწყვეტინე მე — თქვენ არა ხართ ავადმყოფი. ეს ქალაქია ავადმყოფი, მე, დედაჩემი, სირო, პრეზიდენტი, კრემატორიუმის ზედამხედველი, მანიფესტანტები, ჩემი სიძე, ყველანი, ყველანი ავადმყოფები ვართ. თვით შეიძლება მარიაც კი, მაგრამ თქვენ არა ხართ ავადმყოფი. თქვენ ერთადერთი ჯანმრთელი ადამიანი ხართ ამ ქალაქში! — ავღელდი, სავარძლიდან წამოვიწიე, ხელებს ვიქნევდი...

მათუსალა ჩაფიქრებული მისმენდა. ლაპარაკს რომ მოვრჩი, უცნაურმა, თითქოს ნაძალადევმა ღიმილმა გაუპო სახე და მითხრა:

— შინ ასე გგონია, მაგრამ ასე არ არის.. შენ იცი, რამდენი კაცი მყავს მოკლული?

განცვიფრებული შევაცქერდი. მან ისევ ისე, ნაძალადევად გაიღიმა და განაგრძო:

— არ იცი... არც მე ვიცი და იმიტომ, რომ მათი რიცხვი ძალიან დიდია... შენ იცი, რამდენი ღალატი მაქვს ჩადენილი? არ იცი... და გეტყვი, ძალიან ბევრი... შენ იცი, რომ მე საკუთარი ქალიშვილი გავაუპატიურე? არ იცი... მე კი ვიცი და მოსვენებას არ მაძლევს ეს... შენ იცი, რომ მამაჩემს საწამლავი დავალევინე? არ იცი... მე კი ეს ძალიან კარგად მახსოვს... შენ იცი, რომ უამრავი ადამიანი გამიძარცვია და მშრალზე დამიტოვებია? არ იცი... მე კი ვიცი... შენ იცი, რომ გარყვნილებაში ვერავინ შემედრება? არ იცი... მე კი ვიცი... მე ყველაფერი ვიცი! მე ვიცი, რომ ყველაზე ცოდვილი ვარ ამ ქალაქში, მე ვიცი, რომ ყველაზე უბედური ვარ ამ ქალაქში, მე ვიცი, რომ ყველაზე ავადმყოფი ვარ ამ ქალაქში! მე ვიცი... — მათუსალას ყბა აუკანკალდა და ხმა, ხმა რომელიც თავიდანვე ასე მყიფე და მსხვრევადი მეჩვენა, საბოლოოდ დაიფშვნა და დავინახე, როგორ მიმოიფანტა მთელი ქალაქის ბინძურ ქუჩაბანდებში, და როგორ გადაუარეს ზედ თვალებგამოციებულმა ადამიანებმა და დილით როგორ შეაგროვეს ეს ნამსხვრევები მეეზოვეებმა და როგორ გადაუძახეს ნაგავში..

მათუსალას ცრემლები ჩამოსდიოდა თვალებიდან... მე თავი ჩავქინდრე... და პაუზა ჩამოწვა... უზარმაზარი ურჩხული პაუზა, რომელიც თავისი ჭიანი კბილებით ღრღნიდა ტვინის ქერქს, გულის აპკს, შარდის ბუშტს, თორმეტგოჯა ნაწლავს... და როგორმე რომ ეს ურჩხული მომეშორებინა, ვთქვი:

— დაუჯერებელია... ... ...

ყველაფერისადმი, რაც მათი შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ აღარ არის... მოკვდება ჩემსავით, მოკვდება განწირული და საოცრად ლამაზი სიმღერით...

მათუსალა მძიმედ წამოდგა სავარძლიდან, გიტარა აიღო და სიმღერა დაიწყო:

ყვავილი ამოვიდა ჩემს გულზე,
ყვავილი ამოვიდა ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს გულზე,
ყვავილი ამოვიდეს ჰეი,
ყვავილი ამოვიდა ჩემს სულზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს სულზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი...

კრემატორიუმში გვამების ახალი პარტია მოიტანეს. ზედამხედველმა თქვა, ესენი ძირითადად მთავრობის მოწინააღმდეგეებია, საპროტესტო მანიფესტაციის მოწყობა უნდოდათო... და — ეგრე ეკუთვნით, ღირსები არიანო — გამოსცრა თან კბილებში. მძვინვარედ გადმოგვხედა და თვალით გაგვზომა, აბა ვინმე საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას ხომ არ აპირებსო. რომ დარწმუნდა, არავინ არაფერს ამბობდა, დაგვსისინა, რას უდგეხართ, მიდით, საქმეს მიხედეთო.

— ნეტა დღეს თუ ვნახავ ამათ შორის ნაცნობებს-მეთქი — გავიფიქრე რაღაცნაირად გულგრილად და ახალგაზრდა ქალის გვამს ხელი წავავლე. კრემატორიუმში შტატები გაზარდეს და დღეს უკვე მეწყვილე მომიჩინეს: დაბალი, შრამიანი, გამოციებულთვალებიანი შუახნის მამაკაცი. ალბათ ახლა უფრო ადვილად წავა მუშაობა. მე ხელებში მოვკიდებ, ის ფეხებში, ან პირიქით და ჰოპ! შევისვრით ვაგონეტზე. თუმცა კი ჩემი მეწყვილე დიდი უქმური ვინმე ჩანს, ყველაფერზე ჭინჭყლობს, იფურთხება, იგინება, იმუქრება.. ოღონდ მაშინ, როცა ზედამხედველი შორსაა, როგორც კი ის გამოჩნდება, მაშინათვე კრავივით ხდება. ამბობს, მე აქ დროებითა ვარ, მალე მეც ზედამხედველი გავიდები. ყველას დედას გიტირებთ. ეს ბრაზ-ბრაზ მიცვალებულებს ჩატყვიარში წიხლს აზილავს ხოლმე და ეგრე მოგიხდება, ეგრე მოგიხდებაო — ჩასძახის. მისმა ქცევამ ისე მომიშხამა გუნება, ვიფიქრე, ისევ მარტო ჯობია მუშაობა-მეთქი. შესვენებაზე ტარაკნის ჯემს ითქვლიფებოდა. თან წამდაუწუმ გაიძახოდა, აი ნახავთ, მალე თაგვის კონსერვსაც კი აღარ ვიკადრებ, სულ კატისა და ძაღლის კონსერვებით ჩავიტკბარუნებ პირსო. შესვენების მერე გვამებს შორის ერთი ნაცნობი მაინც ვიპოვე, ოღონდ ვერაფრით ვერ გავიხსენე, ვინ იყო და სად მენახა. ჩემი ხნის ქალი იქნებოდა, წლოვანების გათვლისწინებით, საკმაოდ კარგად შენახული და სიმპათიური, ავტომატის ჯერს ჭიპიდან ქვევით, სასქესო ორგანოებისაკენ გაეარა. შეიძლება ღამეც კი მქონდა მასთან გატარებული, მაგრამ არ მახსოვდა. ჩემმა მეწყვილემ მიღრიალა, რას დასშტერებიხარ შაგ კახპას, დროზე მოკიდე ხელიო და ჭიპს ქვემოთ ერთი გემრიელადაც სთხლიშა ფეხი. დავწვდი და მოვისროლე. და გვამი ჰაერში რომ იყო, მაშინღა გამახსენდა მისი ვინაობა. არა, მასთან არ ვწოლილვარ. იგი ჩემი დის ამხანაგი იყო. რამდენიმეჯერ ვნახე მასთან ერთად. ერთხელ მგონი ჩვენთანაც მოვიდა სახლში. ჯანდაბას! ამ ქალმა და გამახსენა. დამ კიდევ სიძე, რომელიც უნდა მოვკლა და თუ არ მოვკალი, სასჯელად დედის ქალაქისოდენა თვალები მელოდება... ო, ღმერთო, რა იქნება, ამდენ გვამებს შორის ჩემი სიძის გვამიც რომ გაურიო?! ნუთუ ასე ძნელია ეს შენთვის? ყოველდღე ამას შეგთხოვ, ამას და მეტს არაფერს, შენ კი უარს შეუბნები.... თუ გინდა მოვალ შენთან, ეკლესიაში და უზარმაზარ სანთელს დაგინთებ, ოღონდაც ამ ტანჯვას ამაცილე, ოღონდაც გამათავისუფლე სისხლისღვრის . . . აუცილებლობისაგან...

ეკლესია დაკეტილი დამხვდა. დარაჯმა მითხრა, მხოლოდ კვირაობით ღება 12-დან 3 საათამდე და ქადაგება ტარდებაო. სხვაგან რომ წავიდე-მეთქი, ვკითხე. სად სხვაგანო, გაიოცა დარაჯმა, დანარჩენები საერთოდ დახურეს, ეს ერთიღა დარჩა და ახლა მაგისთვისაც პორნოკონცერნი იბრძვის, მალაზიის გახსნა უნდა და ალბათ მალე კიდეც მიაღწევს თავისასო. წამოვედი. გზაში სირო შემხვდა. კაი ხანი იყო არ მენახა და გამიხარდა. მარიაზე და მათუსალაზე მოვუყევი. მარიაზე მკითხა, ლამაზია თუ არაო. კი-მეთქი, რატომღაც დავუმალე, დიდი, კეხიანი ცხვირი და ყღალი თმები რომ ჰქონდა. მათუსალაზე მითხრა, ვიცნობ მაგას, გიჟიაო. არ არის-მეთქი გიჟი, გავუნაწყენდი. რას ამბობო, გაეცინა სიროს, აბა სად გაგონილა, ადამიანმა 969 წელი იცხოვროსო. მათუსალამ იცხოვრა-მეთქი, დავიჯინე. მე მგონი შენც გიჟდებიო — მომიგო მან. მოკლედ, ვერ შევთანხმდით. მერე სირომ მოულოდნელად მკითხა:

— რა ქენი, იყიდე ჩემი ლექსების კრებული?

— არა... დამავიწყდა... უფრო სწორად ვერ მოვახერხე... საქმეები მქონდა... — დავიბენი, უსუსურად დავიწყე თავის მართლება და თავი საოცრად დამნაშავედ ვიგრძენი.

— ასეც ვიცოდი — ირონიულად გამიღიმა მან.—მაგას ჯობია პრეზერვატივი შემოგთავაზო. აი, ხედავ? — სირომ ჯიბიდან პრეზერვატივების მთელი დასტა ამოაძვრინა — უმაღლესი ხარისხისაა... ულვაშებით... ნაცნობობით ნახევარ ფასში მოგცემ... ჰა, რას იტყვი, აიღებ?

— არა, არ მინდა... — წავილულლულე მე და სიროს თვალი ავარიდე.

— რატომ, რა ქალებში არ დადიხარ? აბა მეტს რას აკეთებ? ლექსებს შენ არ კითხულობ, კონცერტებს არ ესწრები, გამოფენებზე სიარულით თავს არ იკლავ, მიტინგებს აცდენ, მანიფესტაციებში არ მონაწილეობ. ოცდერთ სამხედრო შენაერთში არ ირიცხები, ერათდერთი კრემატორიუმიც: [illegible] ყრი ამწეზე და ისიც მხოლოდ სამუშაო საათებში, აბა გამაგებინე, შენისთანა კაცმა დანარჩენ დროს რითი უნდა შეიქციოს თავი? — სიროს ხმაში აშკარად შეეტყო გაღიზიანება და დამცინავი ტონი, მას აშკარად სურდა შური ეძია იმისათვის, რომ მისი კრებული არ შევიძინე და კაცმა რომ თქვას, ალბათ მართალიც იყო.

— ჰა, რას გაჩუმებულხარ, თქვი რამე, ან კი, ან არა, ისე კი, მე რომ მკითხო, ამისთანა შანსი ადამიანმა ხელიდან არ უნდა გაუშვას. უმაღლესი ხარისხის პრეზერვატივი და თანაც ნახევარ ფასში! სხვა შენს ადგილას სიხარულისაგან გადაირეოდა! — ჩამყვიროდა სირო ყურში და თან პრეზერვატივების დასტას ცხვირწინ მიფრიალებდა.

— კარგი, ავიღებ! — მივიღე უცებ გადაწყვეტილება — რამდენი მოგცე?

— გააჩნია, რამდენს აიღებ! — ჩაიხითხითა სირომ. — თუ ერთს — თუმანი, თუ ორს — ორი თუმანი, თუ ათს — ასი მანეთი... ისე აჯობებს მთელი დასტა შეიძინო, სულ რაღაც ათასი მანეთი დაგიჯდება, სამაგიეროდ დიდი ხანი გეყოფა, შეიძლება სიცოცხლის ბოლომდეც კი, აი, ბებრუხუნა რომ იქნები, ნახევრადიმპოტენტი ბებრუხუნა, მაშინ გამოიყენებ უკანასკნელს და მერე მეტი აღარც დაგჭირდება! მერე მხოლოდ რამდენიმე შეშის ნაჭერი თუ გამოგადგება, შეგიკეთებენ ცეცხლს და ფუ! აღარ იქნები! — სირომ ტუჩები მომუწა და ჰაერს შეუბერა, ისე, თითქოს ნაცარს ფანტავდა, მერე შემომხედა და გადაიხარხარა.

მე უცებ ხელი მოვიქნიე და სიროს სილა გავაწანი. თავისდაუნებურად გამომივიდა. არც მიფიქრია ამაზე და ჩემთვისვე ამ მოულოდნელი საქციელისაგან საშინლად დავიბენი. მასაც უმალ შეეყინა სახეზე სარკასტული ღიმი-

ლი. თვალი თვალში გამიყარა, შუბლზე ხელი მოისვა.... აპრეხილი ტუჩის კუთხეები ნელ-ნელა ისევ ჩამოეღვენთა. აშკარად ჩემზე მეტად გააოგნა იგი სილის ამ გალაწუნებამ. ჩანდა, რომ მის გონებაში ხელად უამრავი აზრი აირია. მზერაც არეული გაუხდა, ძირს დაიხედა, მერე პრეზერვატივების დასტას შეხედა. მერე ისევ მე....

— ბოდიში... — თქვა ბოლოს, გაჩუმდა, დაფიქრდა — ბოდიში... — გაიმეორა ისევ, შებრუნდა და წავიდა.

მეც წავედი. წიგნის მაღაზია მოვძებნე და სიროს ლექსების კრებული ვიყიდე.

— ერთ გოგონას შევპირდი, ყვავილებს გაჩუქებ-მეთქი — ვუთხარი მათუსალას.

— შესანიშნავია! — შემაქო მან.

— მაგრამ... — გავჩერდი, ენა დამება.

— რა მაგრამ?

— ყვავილები არსად არ არის, ვერ ვიპოვე — მივუგე იხტიბარგატეხილმა. მათუსალამ თვალები მოწკურა და დამაკვირდა.

— ცუდად ეძებ ეტყობა... — მითხრა და მზერა თავისი ურიცხვი ყვავილებისაკენ გააცურა. ორაზროვნად

— რა ვქნა, მთელი ქალაქი მოვიარე, არსად არ არის — აღმომხდა უმწეოდ — არსად, არც პარკებში, არც გაზონებში, არც ტბის მიდამოებში... არსად, აბსოლუტურად არსად....

— ხომ გეუბნები, ცუდად ეძებ-მეთქი! — გამიმეორა მოხუცმა.

— რა ვქნა, მეტი არ შემიძლია. ეტყობა ბრმა ვარ.

— როდის უნდა შეხვდე გოგონას?

— დღეს, საღამოთი.

— წავიდეთ! — მითხრა მან.

— სად?

— ყვავილები მოვძებნოთ.

ქუჩაში გამოვედით. ცოტა რომ გავიარეთ, მათუსალა უცებ შედგა, ძირს დაიხედა და საკანალიზაციო ლუკზე მიმითითა.

— ახადე!

— რატომ?

— ახადე, რომ გეუბნები — მეორე ახლა უკვე მბრძანებლური ტონით.

გაოცებული დავემორჩილე მის ბრძანებას.

— ახლა ჩავძვრეთ! — მითხრა და უცნაურად გაბრიალდა.

ჩავძვერით. შიგნით საშინელი სიმყრალე იდგა. ცხვირზე მკლავი ავიფარე. მათუსალა ერთ-ერთ მილზე გადაბობღდა. მეც უკან მივყევი. მერე ჯიბიდან ფარანი ამოაძვრინა, ჩართო და მომაწოდა.

— დაძებნე, სადმე აქ იქნება!

მხრები ავიჩეჩე და იქაურობის მოთვალიერებას შევუდექი. მათუსალა მილზე ჩამოჯდა. ერთბაგს ვერაფერი ალმოვაჩინე.

— აქ არაფერია... — ვუთხარი ცოტაარიყოს დაეჭვებულმა. ხომ არ მამასხარავებს-მეთქი.

მიდი, მიდი; კარგად ეხახე იქნება სადმე! — შემაგულოვნა მან.

უფრო ყურადღებით დავიწყე ძებნა. ბოლოს, მილის ქვემოთ ფარნის შუქი რაღაც მელნისფერს დაეცა. მივუახლოვდი, იქაა ეყო

— ვიპოვე! — შევძახე გაბარებულმა.

— ხომ გეუბნებოდი! — ამაყოფილებით ჩაიბუტბუტა მოხუცმა. იები მოვწყვიტე და მისკენ ავედი.

— საოცარია! ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ აქ შეიძლებოდა ყვავილებს ეხარათ! — აღელვებულმა ვუთხარი მათუსალას და გვერდით მივუჯექი.

— ეს მე ვარ — თქვა მან და ხელი ირგვლივ მიმოატარა — და შენ... და ხვები... და მთელი ქალაქი... და არავის სჯერა, რომ კანალიზაციაშიც შეიძლება ყვავილი ამოვიდეს.... მხოლოდ მე ვირწმუნე ეს... და ამაშია ჩემი უპირატესობა. მეტი

ძარაფერში... — მათუსალა გაჩუმდა. ინიებს. შეხედა ცხვირთან ახლოს მიიტანა და დაყნოსა.

— ავიდეთ! — მითხრა მერე.

წამოვდექით. ზევით რომ ავძვერით, ვკითხე:

— თუ შეიძლება მითხარით, კიდევ ამდის გვამის სუნი?

— კი — მომიგო ულმობლად მოხუცმა.

გული ჩამწყდა. ცოტა რომ გავიარეთ, ბოლო იმედს მობლაუჭებულმა, ახლა ასეთი კითხვა დავუსვი:

— ისევ ისე ამდის, როგორც ადრე, თუ ნაკლებად?

მოხუცმა კარგახანს არაფერი მიპასუხა. და როცა მოთმინება დამელია, მაშინღა ამოღერღა:

— თითქმის ისევ ისე...

— გამარჯობა მარია...

— გაგიმარჯოს! — მარიამ ხელი ჩამომართვა და სუსტად გამიღიმა.

— ეს შენ! — ვუთხარი და იები გავუწოდე.

მარიას სახე გაებადრა.

— დიდი მადლობა...—მითხრა ჩურჩულით—შენ პირველი ადამიანი ხარ, რომელმაც ყვავილები მაჩუქა... პირველი და შეიძლება უკანასკნელიც კი... მე შენ არასოდეს დაგივიწყებ... — მარიას ხმა აუთრთოლდა, თვალებში ცრემლი ჩაუდგა, ამომხედა, მერე უცებ მკლავები შემომაჭდო კისერზე და ტუჩებში მაკოცა. შევცბი. ისიც შეცბა. დაძაბული სიჩუმე ჩამოწვა. ბოლოს ისევ მან ამოიღო ხმა.

— მაპატიე...

— არა, რას ამბობ...

— მაპატიე... მე მახსოვს, შენ მითხარი ,რომ არ გინდა მაკოცო..

— არა... არა... მე ეს არ მითქვამს!

— თქვი!

— არ მითქვამს... თუ ვთქვი, ალბათ არ ვიყავი მართალი... არ ვიცოდი, რას ვამბობდი... ან სულ სხვა რამ ვიგულისხმე...

— სხვა? მაინც რა?

დავფიქრდი. მინდოდა მივმხვდარიყავი, სხვა რა შეიძლებოდა მეგულისხმა, მაგრამ ვერაფერი მოვიგონე და უმწეოდ ავიჩეჩე მხრები.

— აი, ხომ ხედავ! — ბრაზისმგვრელ ბით მითხრა მან, — არ გინდა, სიმართლე აღიარო. სიმართლე კი ისაა, რომ მე საშინლად მახინჯი ვარ!

— ტყუილია! — დავიყვირე აღშფოთებულმა, მოვეხვიე და კოცნა დავუპირე. მარია გამიძალიანდა.

— გამანებე თავი! არ მინდა! — ხელიდან გამისხლტა და გზას გაუყვა ჩქარი ნაბიჯით. უკან დავედევნე.

— მარია, რა მოგივიდა!

— მე მარია არა ვარ! — მომიგო უკმეხად.

— აბა ვინა ხარ? — ვკითხე გაოგნებულმა .

— მე აგრიპინა მქვია. ისეთივე უხეირო და ულამაზო სახელი, როგორიც თავადა ვარ! მარია შენ მოიგონე, მაგრამ მე ეს სახელი ისევე არ მიხდება, როგორც ყვავს არ მოუხდებოდა მარგალიტის ყელსაბამი! მე ისევ ის აგრიპინა მინდა ვიყო, რომელიც ადრე ვიყავი!

— არა, შენ აგრიპინა აღარ იქნები! შენ მარია იქნები, ჩემი მარია! — ვუთხარი მტკიცედ.

— შენი? — მარია უცებ შედგა და ჩემსკენ მობრუნდა — კი მაგრამ, იცი შენ, მე ვინა ვარ? იცი, რას წარმოვადგენ? იცი?

— ვიცი!

— არ იცი! არაფერიც არ იცი!

— თუნდაც ეგრე იყოს, — ვუთხარი გაღიზიანებულმა, — არ ვიცი და არც მაინტერესებს!

— არა! შენ გაინტერესებს! და უნდა იცოდე კიდეც! წამოდი! — დამიყვირა უცებ, შეტრიალდა და გზას უკან გაუყვა

— სად წამოვიდე? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— ჩემთან, სახლში! — მომიგო მშრალად. — იქ გაიგებ ყველაფერს!

მარიამ ჩანთიდან გასაღები ამოიღო და კარი გააღო.

— შედი! — მითხრა ჩუმად. უსიამოვნო განცდა დამეუფლა. ვგრძნობდი, რომ რაღაც ცუდი მელოდა ზღურბლს იქით. მაინც შევაბიჯე დერეფანში. მარია უკან მომყვა. ოთახში ბნელოდა. მარიამ ჩამრთველს ჩამოჭკრა თითი, უცებ რაღაც ჭყლოპინი შემომესმა. მარცხნივ გავიხედე და... კანი ამებურძგლა. ხელები გამეყინა, მუცელში საზიზღარი ვარანი შემიძვრა და გულღვიძლის გამოჭმა დამიწყო, ყელში კვილი მომაწვა, აი ისეთი, როგორიც კი ქალწულს შეიძლება ამოასკდეს ყელიდან, როდესაც აუპატიურებენ... ჩემსკენ რაღაც გაურკვეველი გრძნობის გამომხატველი ჭყვიტინით უცნაური, ამაზრზენი არსება მოფორთხავდა. მას ორი თავი ჰქონდა, ერთი უზარმაზარი, დიდი და ჩამოგრძელებული ყურებით, გაბრტყელებული სახით, ჩაცვენილი ქუთუთოებით, ბოლომდე დაღებული ყავისფერი ხახით, სისხლისფერი, გაჯიჯვრებული ენა რომ გადმოეგდო. საიდანაც დუჟი გადმოსდიოდა და ღრიალებდა, კიოდა, ჭყიოდა, ხროტინებდა, წიოდა, ხაოდა. ღაღავებდა, წრიპინებდა, ყველანაირ ხმას ერთდროულად გამოსცემდა, მეორე თავი კი, პატარა, წაგრძელებული, ჩამომხმარ-დანაოჭებული, დამპალი კიტრივით ეკიდა გვერდზე და ამ დაჩამიჩებულ-ბებრულ სახეზე ერთადერთი თვალი ენთო, ფართო, ყვითელი თვალი, რომელიც მომეჩვენა, რომ ყველგან იყურებოდა, წინაც, უკანაც, მაღლაც, დაბლაც და ყველგან ატანდა, ატანდა ჩემს სხეულში, ატანდა კედლებში, ატანდა ქვესკნელში, ატანდა ზეცაში... ძალაუნებურად ხელები გავასავსავე და უკან დავიხიე... მარიამ კი ამ დროს საოცრად მშვიდი, საოცრად სათნო და საოცრად თბილი ხმით წარმოსთქვა:

— როგორა ხარ ჩემო ძვირფასო... — წარმოსთქვა, ხელი გაიშვირა და უკვე ახლოს მობობღებულ ამ არსებას დიდრონ თავზე ხელი [illegible] უცებ დამშვიდდა, [illegible] ფუტკრის თუ კნავილის მსგავს ბგერები ამოუშვა, ენა კიდევ უფრო გადმოაგდო წინ და მარიას თითები აულოკა.

— მარია! — შევძახე თავზარდაცემულმა, ზიზღატანილმა და განადგურებულმა, ამ ორთავიან პატარა ურჩხულს მზერა ავარიდე და კიდევ უფრო უკან დავიწიე. ურჩხული ჩემი ხმის გაგონებაზე კვლავ გაღიზიანდა, აქშიტინდა, აძიგძიგდა და ისევ დააღო ხახა, ხოლო ჩამომჭკნარი თავიდან უფრო მძლავრად აბრიალდა, ყვითელი თვალი და ისე შემომძანათა, თითქოს თმის ძირებიდან ფეხის ფრჩხილებამდე რენდგენში გავეტარებინე. გულისრევის გრძნობა გამიჩნდა და მომინდა თავპირისმტვრევით გავქცეულიყავი აქედან უსაშველოდ შორს, რათა ამ ყვითელი თვალის მზერას ჩემამდე ველარ მოელწია.. და ალბათ ამას ვიზამდი კიდეც, თუ არა მარია, რომელმაც უცბად ისე წყნარად ისეთი შემზარავი რამ თქვა, რომ ფეხები მომიდუნდა, დამირბილდა და ვიგრძენი, რომ ორ ლორწოვან, მსხვილ მუხლუხო მატლად მექცა და რათა მეც იატაკს არ განვრთხმოდი და იმ ორთავა მხეცის მსგავსად ფორთხვა არ დამეწყო, დერეფანში გამავალი კარის სახელურს ჩავაფრინდი ორივე ხელით. მარიამ კი, მარიამ საოცრად დინჯად, გაუგონრად შემზარავი რამ თქვა:

— ეს ჩემი შვილია... — ჰო, აი ასე თქვა, ზუსტად ასე. კიდევ ერთხელ გადაუსვა ხელი (ახლა უკვე მეორე. დამპალი კიტრივით ჩამომჭკნარ თავზე), გაიღიმა (ო, ღმერთო, ღმერთო. ხუ შემშლი ჭკუიდან!) და შემომხედა.. შემომხედა და მე მივხვდი, რომ წუთიწუთზე შეიძლება მართლა გავგიჟდე... მარიას თვალები, მწვანე და სუფთა, რომელშიც მე ვირეკლებოდი, დიდი, ყვითელი თვალი ორთავიანი ურჩხულისა, რომელიც ყველაფერს ხედავდა

და რომელიც მთელს ჩემს არსებაში, მთელს ჩემს ძვალ-რბილში ატანდა და კიდევ დედაჩემის თვალები, რომლებიც სადღაც აქვე დადარაჯებულნი მელოდებიან შიგ ჩატეული მთელი ამ ამაზრზენი ქალაქით, რომელშიც ცხოვრობს ჩემი სიძე, რომელიც უნდა მოვკლა, და სირო, რომელიც ასე კარგ ლექსებს წერს და რომელსაც სილა გავაწანი, და ჩემი მეწყვილე, რომელიც ხვალ ჩემი ზედამხედველი გახდება კატის კონსერვით პირს ჩაიტკბარუნებს და დედას მიტირებს, ისე გამაცლის სიქას მუშაობით, და მათუსალა, რომელმაც რამოდენა ყვავილიც არ უნდა დაიხატოს შუბლზე, მაინც მკვლელი, მოღალატე და მოძალადეა; და ყველაფერი ეს მე მიყურებს, მიყურებს კილვით, დაცინვით, ზიზღით, ნიშნისმოგებით და მე არ შემიძლია დავიძალო, რამეთუ ყველა კედელზე თვალებია ამოსული, და მე არ შემიძლია გავიქცე, რამეთუ ფეხები ლორწოვან მუხლუხო მატლებად მექცა, და მე არ შემიძლია არაფერი, სრულიად არაფერი, არ შემიძლია თავის მოკვლაც კი, რამეთუ საამისოდ მეტისმეტად მხდალი ვარ.. და მე, ამ უღონობისაგან უსუსურად გაშმაგებულმა ათივე თითი ვიტაცე პირში და ისე გამეტებით ჩავასე კბილები, თითქოს მთელი ეს საძულველი სამყარო მოვიხელთე და შემეძლო ახლავე გამომეფატრა მისთვის შიგნეული, გამეგლიჯა, დამეფლითა, გამენადგურებინა.... და ვიგრძენი, როგორ ამევსო პირი მოტკბო სისხლით, რომელსაც ნარწყევის გემო ჰქონდა, და დავინახე, როგორ ჩამომეზნიქა ხელისგულებზე, მაჯებზე, იდაყვებზე ყავისფერი ლორწო, და ჩემს ყურს მისწვდა მარიას შეკივლების ხმა და კიდევ ჰყლოპინი, განწირული ჰყლოპინი ვიღაც ჩემთვის ყველაზე საძულველისა და გონების დაბინდულ კუნჭულებში გამიელვა, რომ მე შევძელი მისი დამარცხება, და აი, მისი ხმაც თანდათან მისუსტდა და მიწყდა და გამარჯვებისა და განთავისუფლების ილუზიით აბეჟუტებული ჩემი გონებაც თანდათან ... ყუდროვესა და სიხალვათეში ... რა....

ეკლესიაში ძალიან ცოტა ხალხი იყო. გორგოლაჭებიან სავარძელში მჯდომი უფეხო მამაკაცი, რომელიც იოანე ნათლისმცემლის ხატის წინ ლოცულობდა, შუა ეკლესიაში მუხლებზე დაჩოქილი მოხუცი ქალი და კიდევ ათიოდე წლის ტურტლიანი ბიჭუნა, ერთ-ერთ სვეტს რომ მიჰყუდებოდა და მზესუმზირას აკნატუნებდა. სანთელი ვიყიდე, მაცხოვრის ხატთან მივედი და დავანთე. მინდოდა, რაიმე ლოცვა მეთქვა, მაგრამ არ ვიცოდი. და მხოლოდ ღმერთო მიშველე, წავიბუტბუტე სამჯერ, პირჯვარი გადავისახე და ამინ მივაყოლე. და შიგნით, სულში, სხეულში, ყველგან სიცარიელე ვიგრძენი. მივხვდი, რომ იქ არსად იყო ღმერთი და აბსოლუტური სიყალბე იყო ჩემგან პირჯვრის წერაც და ამინის ბუტბუტიც. და მაშინ ესღა შევძელი მეთქვა:

—ღმერთო, ღმერთო, შენ, რომელიც ჩემში არა ხარ და არ ვიცი სად ხარ და ხარ თუ არა საერთოდ სადმე, მითხარი, რად ხდება ასე? მითხარი, რატომ არა ხარ ჩემში, მე მინდა იყო აქ, ჩემს გულში, ჩემს ტვინში, ჩემს სისხლძარღვებში, ჩემს თირკმელებში, იყო, როგორც ციხესიმაგრე და მეც ვიყო, როგორც აუღებელი ბასტიონი, მაგრამ მე ერთი საცოდავი და დანგრეულგაპარტახებული ხუხულა ვარ, თუმცა მაინც მინდა გადავრჩე, მაინც არ მინდა დავინგრე საბოლოოდ, მაინც მინდა თავიდან ავშენდე და სასოწარკვეთით ვეძებ იმათ, ვინც ამაში დამეხმარება... და როგორც კი მგონია ვიპოვე, როდესაც მგონია მოვძებნე ადამიანი, რომლის დახმარებითაც ამას შევიძლებ, იმწუთასვე მიცამტვერებ მის ხატს... და არ დამიტოვე არავინ, არც და, არც დედა ,არც სირო, არც მათუსალა, არც

მარია... რატომ, უფალო, რატომ? რად გინდა, დამარწმუნო, რომ ამ ქალაქში არ დადის არც ერთი ჩემზე უკეთესი ადამიანი? რად გინდა, დამარწმუნო, რომ ყველა ცოდვილია, ყველა ავადმყოფია, ყველა მკვლელია, ყველა მრუშია, ყველა უკეთურია, ყველა ზიზღის ღირსია? გამაგებინე, რად გინდა, რას გაძლევს ყოველივე ეს? რად გინდა ვიწამო ისეთი რამ, რის შემდეგაც საბოლოოდ დავიღუპები?

თავი ავწიე, ისევ შევხედე მაცხოვრის ხატს და დავინახე, რომ ისიც მიყურებდა. მიყურებდა და ამ მზერით უნდოდა, რაღაც ეთქვა, უნდოდა კი არა, ძეუბნებოდა კიდეც, მაგრამ მე არ მესმოდა მისი, მე ვერ ვხვდებოდი, რას მოასწავებდნენ მისი თვალები, რაზე ღაღადებდნენ, რას მოითხოვდნენ ჩემგან.... მე შემეძლო ყველაფერი ამომეკითხა დედის თვალებში, მარიას თვალებში, ორთავიანი პატარა ურჩხულის ყვითელ თვალში, ამომეკითხა ის, რისი ამოკითხვაც სულაც არ მსურდა, ახლა კი, როცა როგორც იქნა შევეჩეხე მზერას, რომელიც რაღაც მნიშვნელოვანს და ჩემთვის სასურველს მეუბნებოდა, მე უძლური ვიყავი მის წინაშე, მე ვერ ვახერხებდი მისი სათქმელის გაშიფვრას..

უცბად ეკლესიაში ბუბუნა, მგრგვინავი ხმა გაისმა. შევკრთი. მივიხედე. ჭარაწვერიანი მღვდელი დავინახე ჯვრით და სკიპტრით ხელში. თუმცა არა, იგი მღვდელი არ იყო. ეპისკოპოსი იქნებოდა, კათალიკოსი თუ პატრიარქი — მღვდელმთავარი, ერთ-ერთი უმაღლესი სასულიერო პირი, მათ წოდებებსა და იერარქიაში ვერ ვერკვევი. მან ლაპარაკი დაიწყო, უფრო სწორად, ქადაგება. ეკლესიაში ხალხი ცოტა შემომატებულიყო, ასე, ალბათ ათ-თორმეტ კაცამდე.

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულიწმიდისათა, — დაიწყო მან თავისი ბუბუნა ხმით, — მე მოგმართავთ თქვენ, ცოდვილნო და ავადმყოფნო, მრუშნო და მკვლელნო, მოღალატენო და სულმდაბალნო! — ტანში სიცივემ დამიარა და ვიგრძენი, კანი ამებურცა ამ თქვენ, ყველას, რომელნიც ღვთის ამ ტაძარში იმყოფებით და ბილწავთ მას და ყველას, რომელნიც გარეთა ხართ და ბილწავთ სამყაროს, ღვთისგან გაჩენილს, ყველას ვინც ახლა მისმენთ და ვინც არ მისმენთ, რამეთუ არაა სხვაობა თქვენს შორის, ვინაიდან არაა თქვენს შორის ის, ვინც შეისმენს მოსმენილს, ვინაიდან ყოველნი დაყრუვდით, ვინაიდან ყოველნი დაბრმავდით, ვინაიდან ყოველნი გადაგვარდით. ვინაიდან უკვე აღარა აქვს აზრი ქადაგებას და და ამიტომაც ეს უკანასკნელი ქადაგებაა აღვლენილი ამ ტაძარში და აღვლენილი ამ ქალაქში.... მე დღეს უკანასკნელად მოვიხდი ვალს ღვთის წინაშე და თქვენს წინაშე და დავუმატებ ღვთის ამ უკანასკნელ ნავსაყუდელს ეშმას. დავუტევებ თქვენივე თანხმობით, თქვენივე მოწონებით, თქვენივე ხელშეწყობით.... დავუტევებ, რამეთუ ღმერთს არ სჭირდება იგი, იგი თქვენ გჭირდებათ, მაგრამ თქვენ უკვე აღარ უწყით ეს! და რაც არ გინდათ, უკვე აღარც უფალს უნდა და რასაც მოითხოვ, მოგეცემათ! და ჰა, მოგეცემათ თქვენ იგი, და ჭეშმარიტად თქვენი ტაძარი გახდება იგი, და ივლით ბევრნი, ძალიან ბევრნი და აღტყინებულნი და ექსტაზში მყოფნი შეაცქერდებით პორნოვარსკვლავის გამოსახულებას იქ, სადაც ადრე ღვთისმშობლის ფრესკა იყო საუკუნეების განმავლობაში! — მღვდელმთავარმა იქეთ გაიშვირა ათრთოლებული, სკიპტრიანი ხელი, საითაც ღვთისმშობელი იყო გამოხატული — და იცეკვებთ და ირეკებთ და ბედნიერად იგრძნობთ თავს და მადლობას შესწირავთ ღმერთს, რომელმაც ასეთი სავსეთეძრებიანი, ასეთი უზარმაზარმკერდიანი და ასეთი ვნებიანტუჩებიანი ყერპი მოგვლინათ! და ჰა, მობრძანდით, ეშმას ტაძარი თქვენთვის ღიაა. მობრძანდით ცოდ-

ვილნო და ავადმყოფნო, მრუშნო და მკვლელნო, ზნედაცემულნო და სულმდაბლნო! და არავინ თქვას, რომ აქ აღარ შემოვა! ყველანი შემოხვალთ! ყველანი! შენც! შენც! შენც! — იგი რიგრიგობით ყველას აშვერდა სკიპტრას, ვინც ეკლესიაში იყო — შენც! შენც! შენც! — სკიპტრა ჩემსკენ მომართა — ჰო, შენც შემოხვალ, მითუმეტეს, რომ შემთხვევითა ხარ ამ უკანასკნელ ქადაგებაზე შემოხეტებული! შენ ქადაგება არ გჭირდება, შენ ეკლესია არ გჭირდება, რამეთუ ეკლესია არ სჭირდება მას, ვის შიგნითაც ერთი უბადრუკი საყდარიც კი არ არის! და უკანასკნელად გაგახსენებთ იესოს ერთ იგავს: „გამოვიდა მთესველი თავისი თესლის დასათესად; თესვისას ზოგი გზასთან დავარდა და გაითელა და ცის ფრინველებმა აკენკეს. ზოგი კლდეზე დავარდა, აღმოცენდა და გახმა, ვინაიდან სინოტივე აკლდა. ზოგი ეკლებში დავარდა, ეკალი გაიზარდა და მოაშთო. და ზოგი კი კარგ მიწაზე დავარდა, აღმოცენდა და ასმაგი ნაყოფი გამოიღო“... და ვაი ჩვენ, რამეთუ აღარსადაა კარგი მიწა, ეკალია ირგვლივ მხოლოდ და იცოდეთ, თქვენც ის ეკალი ხართ, ღვთის სიტყვას რომ აშთობს... თუმცა კი ამას თქვენ კი არ უნდა გეუბნებოდეთ, არამედ საკუთარ თავს, რამეთუ ყველაზე დიდი უაზრობა, რაც კი სიცოცხლეში ჩამიდენია, ეს დღევანდელი ქადაგებაა! ამაოება ამაოებათა, ჭეშმარიტად! და მაინც, რაკი ერთხელ ვთქვი, ბოლომდე მოვიხდი ვალს და გეტყვით: მოვა ჟამი და ეშმაც მიგატოვებთ თქვენ და აღარავინ იქნება თქვენი მფარველი, არც ზეცა და არც ქვესკნელი და დარჩებით სრულიად დაუცველნი და ეს იქნება თქვენი ყველაზე დიდი სასჯელი! თქვენ ინატრებთ ეშმას, მაგრამ ის გადაიხარხარებს და არ მოვა თქვენთან, და თქვენ ვერ ინატრებთ ღმერთს, რამეთუ დავიწყებული გეყოლებათ იგი და ერთადერთი სანატრელიღა დაგრჩებათ: სიკვდილი! მაგრამ არც სიკვდილი მოვა თქვენთან, რამეთუ წერილ არს გამოცხადებაში: „იმ დღეებში ადამიანები მოძებნიან სიკვდილს, მაგრამ ვერ იპოვიან მას; მოისურვებენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი გაურბის მათ“... და აი, თქვენ გახდებით მარადიული ცოდვილნი, მარადიული ავადმყოფნი, მარადიული მრუშნი, მარადიული მკვლელნი, და დაიტანჯებით მარადიულად და წყეულიმც იყოს თქვენი მოდგმა და თქვენი ჯიში და წყეულიმც იყავით უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მღვდელმთავარმა უკანასკნელ სიტყვებზე თავი ზევით აიშვირა, მოცახცახე ხელები აღმართა, ექსტაზში ჩავარდნილმა გოდებისმაგვარი | ბგერები ამოუშვა ყელიდან, გაშეშდა და უცებ კუბოსმიერმა სიჩუმემ მოიცვა მთელი ეკლესია.. კუბოსმიერმა სიჩუმემ და კიდევ გარინდებამ და არ ვიცი, რამდენი ხანი გრძელდებოდა იგი... მღვდელმთავარი იდგა სკიპტრაშემართული, მრისხანე და სასაწარკვეთილი სახით ერთდროულად და ჩვენ, ყველანი მას შევყურებდით მონუსხულები... მერე კი უცებ ვიღაცამ გადაიხარხარა. შემზარავად, სარკასტულად გადაიხარხარა, შებრუნდა და გასასვლელისკენ წავიდა. ორიოდ ნაბიჯი რომ გაიარა, შედგა, სახე მღვდელმთავრისაკენ მიაბრუნა, გადაპურეკა, ისევ შეტრიალდა და გზა განაგრძო. ახლოს რომ ჩამიარა, დავინახე, ყმაწვილი კაცი იყო, ასე, ოცდაოდ წლის, საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის და ჩვენს პირობაზე საკმაოდ კარგადაც ჩაცმული. მშვიდად მიემართებოდა ზღურბლისაკენ და სახეზე სკეპტიკური ღიმილი დასთამაშებდა... და აი, თითქმის უკვე

მივიდა გსასავლელთან და ის-ის იყო, ფეხი უნდა გაედგა გარეთ, რომ უცებ რაღაცამ იქუხა! ყმაწვილი დაბარბაცდა და წაიქცა. გაოგნებულმა მივიხედ-მოვიხედე ირგვლივ და დავინახე: მღვდელმთავარს წინ გაშვერილ ხელში რევოლვერი ეჭირა. მარცხენაში სკიპტრა, მარჯვენაში რევოლვერი. რამდენიმე წამს იდგა ასე, გაუნძრევლად, მერე იარაღს დააცქერდა, საფეთქელთან მიიტანა და მეორედ გაისროლა...

ტბაზე ავედი.

ტბა ფოლადისფერი და მშვიდი იყო. დავჯექი და წყალს მზერა გავუსწორე. არაფერზე არ მინდოდა მეფიქრა... სრულიად არაფერზე... არც წყალზე, არც ტბაზე, არც ზღვაზე... და გავმხდარიყავი აბსოლუტური არარაობა... მაგრამ მე მაინც ვფიქრობდი... ვფიქრობდი იმაზე, რომ მინდოდა გავმხდარიყავი სიცარიელე და არარაობა და უკვე ამიტომ აღარ ვიყავი ის, რაც მინდოდა, რომ ვყოფილიყავი და კიდევ იმიტომაც, რომ რაღაც მინდოდა...

ვიჯექი დიდხანს.

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა და ჰორიზონტს უახლოვდებოდა. უცბად მხარზე შემახო ვიღაცამ ხელი. მივიხედე. მარია იყო. იმ დღის შემდეგ პირველად ვხედავდი.

— გამარჯობა! — ვუთხარი და შევეცადე ჩამეღიმა.

— გამარჯობა! — მიპასუხა მან და ჩემს გვერდით ჩამოჯდა.

მე არ ვიცოდი, რა მეთქვა. მარიაც დუმდა. ხანდახან შევხედავდით ერთმანეთს თვალებში და უმალვე ვარიდებდით მზერას... ბოლოს, როცა დუმილი აუტანელი გახდა, მან მკითხა:

— გეზიზღები?

— არა. — ჩავილაპარაკე ყრუდ.

— გეზიზღები. — თქვა მარიამ.

— არა — გავიმეორე მე.

— გიყვარვარ? — მკითხა ახლა.

— არა. — ამოვთქვი მძიმედ.

მზე სანახევროდ ჩაიმალა.

— თითქმის ყოველდღე ამოვდიოდი აქ. — ცოტა ხნის შემდეგ მითხრა მარიამ, — ვიცოდი, რომ — ერთხელაც იქნებოდა, გნახავდი.

— გახსოვს, შენ მთხოვდი, ზღვაზე წავიდეთო...

— მახსოვს.

— და მე უარი გითხარი, იმიტომ რომ დედაჩემი მოკვდებოდა.

— მახსოვს.

— მაშინ მეგონა, რომ თავისუფალი იყავი, მაგრამ თურმე ასე არ ყოფილა...

— ჰო...

— და შენ შეგეძლო ის მიგეტოვებინა?

პაუზა ჩამოწვა. მძიმე და უსაშველო. ბოლოს კი მარიამ თქვა:

— არა.

გაკვირვებული შევაჩერდი. მერე მხრები ავიჩეჩე.

— არ მესმის შენი.

და ამაზე მარიამ მომიგო:

— მე მას ვერ დავტოვებდი. მე მას მოვკლავდი და შენთან წამოვიდოდი.

ყურებში რევოლვერის ხმამ იჭექა და თვალწინ წარმომიდგა მღვდელმთავარი იარაღით ხელში.

— ნუ ამბობ! — აღმომხდა მუდარით.

— მე მას მოვკლავდი! — გაიმეორა მარიამ დაუნდობლად, — მე მას მოვკლავდი და შენთან წამოვიდოდი... იმიტომ, რომ... — მარიას ყბა აუკანკალდა — იმიტომ, რომ მე შენ მასზე უფრო მეტად მიყვარხარ...

დაბნელდა. ტბა გახდა კუპრისფერი და მშვიდი... და მე ვთქვი:

— ვისაც უყვარს, ის არ კლავს.

— არა... კლავს... და კლავს მას, ვინც ამ სიყვარულში გზაზე ეღობება. — დაიჩურჩულა მარიამ.

— შვილსაც კი? — ვკითხე და თვალებში შევხედე.

— შვილსაც. — მომიგო მარიამ მტკიცედ და ცოტა ხნის შემდეგ დაამატა — მითუმეტეს, ამაზრზენ შვილს.

— არა ხარ მართალი, — ვუპასუხე გვიან. მარია ჩუმად იყო. მე ვიფიქ-

რე და მერე ვთქვი — თუმცა შეიძლება არც მტყუანი ხარ.

მათუსალა ტროტუარზე იჯდა და მღეროდა:

ყვავილი ამოვიდა ჩემს გულზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს გულზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი...

მივედი და გვერდით მივუჯექი.

— სად დაიკარგე? — მკითხა, როცა სიმღერას მორჩა. მე მხრები ავიჩეჩე. მათუსალა დამაკვირდა და მითხრა:

— რაღაცაა შენს თავს.

— ყველაფერი. — ვუპასუხე მე.

— აჩუქე ყვავილები გოგონას?

— კი.

— მერე?

— მან მითხრა, რომ ჩემი გულისათვის შეუძლია შვილი მოკლას.

მათუსალას სახე შეეცვალა.

— მან მითხრა, რომ შვილზე უფრო მეტად ვუყვარვარ.

მათუსალა არაფერს ამბობდა.

— და მან მითხრა, რომ მისი შვილი ამაზრზენია...

მათუსალა ჯიუტად დუმდა.

— მისი შვილი მართლაც ამაზრზენია... მე მეზიზღება მისი შვილი... — ვთქვი ბოლოს.

მათუსალამ გიტარა აიღო და სიმღერა განაგრძო:

ყვავილი ამოვიდა ჩემს სულზე
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს სულზე,
ყვავილი ამოვიდეს ჰეი...

დედაჩემი ტიროდა. მივედი ხელი გადავუსვი და ვკითხე:

— რა იყო, დედა?

მან ამომხედა და მითხრა:

— დღეს შენი დის დაბადების დღეა...

მაღლიდან ხელიხელჩაკიდებულმა მოხუცებმა ისკუპეს, ძირს დაენარცხნენ და სისხლში არეულ ტვინად გაინთხნენ. გუბეში დაჭმუჭნილი ფუფუცელი ტივტივებდა. ავიღე, გავშალე და ეკითხებოდა:

— გაზაფხული ალარ მოდა, რამეთუ შენ მოკალი გაზაფხული.

უცბად სროლის ხმა შემომესმა. წინ გავიხედე და უზარმაზარი ყვითელი თვალი დავინახე, რომლის გუგაშიც ტყვიამ გაიარა. ხელში რაღაც მეჭირა. რევოლვერი. უცბად ჩემს წინ მღვდელმთავარი აღიმართა და ისტერიულად აბარბაცდა. ვესროლე. ავაცილე. მეორედ ვესროლე. ისევ ავაცილე. მღვდელმთავარი სიცილისაგან გადაბჟირდა. მოულოდნელად ზურგზე ვიღაც დამაცხრა. იარაღი გამაგდებინა, ძირს დამაგდო და შოლტის ცემა დამიწყო. ტკივილისაგან გაცოფებული ავღრიალდი, თან ვიკლაკნებოდი. მაინც გავარჩიე, რომ ჩემი მეწყვილე მირტყამდა. მართლაც ზედამხედველი გამხდარიყო. მეორე ხელში კატა ეჭირა და ცოცხლად ჭამდა. კატას მუცლიდან ნაწლავები გადმოყროდა და საცოდავად კნაოდა. ჩემი ცემით რომ გული იჯერა, ახლა მოხარბარე მღვდელმთავარს მიუბრუნდა და იმასაც გადაუჭირა მათრახი. დაოსებულმა და გასისხლიანებულმა დავინახე, რომ ჩემსკენ დედაჩემი მოდიოდა, ჰეშვებში თვალები ეჭირა, მათ ადგილას კი ორი უძირო ორმო გასჩენოდა. მოვიდა, დაიხარა და თვალების ამოჩიჩქნა დამიწყო. ამომჩიჩქნა და სანაცვლოდ თავისი თვალები ჩაშიდგა. და უცებ დავინახე სირო, ის იდგა დაბლთან, რომელთანაც უზარმაზარი რიგი გაჭიმულიყო. ყველანი რიგრიგობით მიდიოდნენ მასთან და ისიც თითოეულს თავზე უშველებელ პრეზერვატივს აცვამდა. და მწვანეტუჩებიანმა ქალმა ურიგოდ მოინდომა გაძრომა და ის ჩაქოლეს. და რიგში იდგნენ ძველი და ახალი მთავრობის მეთაურები თავიანთი მომხრეებითურთ, რიგში იდგა ჩემი სიძე, რომელსაც ჩემი მკვდარი და ზურგზე ჰყავდა აკიდებული და თან მიათრევდა,

რიგში იდგნენ ზედამხედველი, მღვდელ-მთავარი, წითელთმიანი ქალი, ყველანი, ყველანი და სულ ბოლოში, რიგში იდგა მარია, რომელსაც თავისი ორთავა ბავშვისთვის ჰქონდა ხელი ჩაკიდებული. ბავშვს პატარა, დამჭკნარ კიტრივით თავზე ყვითელი თვალის ნაცვლად სისხლისფერზე სისხლისფერი თვალი უგიზგიზებდა, და უცბად მარიამ მოიხედა. დამინახა, აღელდა, აღეგზნო, თავის შვილს მიუბრუნდა, ჯერ ჩამომეკნარი თავი წააწყვიტა, მერე მეორე, დიდრონი, ჩემსკენ გამოემართა, ყურებში ხელები წამავლო და სისხლშემხმარ, ლორწოიან ტუჩებში ენა შემიყო. მე მარიას ენა მოვაკვნიტე და გადმოვაფურთხე. მარიას უფრო გრძელი ენა ამოუვიდა და ახლა უკვე ხახაში ჩამიძვრინა. ისევ მოვაკვნიტე. მესამედ მთლად უშველებელი ენა გამოეზარდა და ისევ ხახაში ჩამიყო, მერე სასულეში, მერე ნაწლავებში, კუჭში, სწორ ნაწლავში და ბოლოს ისევ გამოყო ჩემი უკანალიდან. მე ველარ ვსუნთქავდი, ვიხრჩობოდი, ვფართხალებდი, ვიკლაკნებოდი, მინდოდა საშველად მეხმო ვინმე სათვის, მაგრამ არ შემეძლო, მინდოდა ჰაერი ჩამეყლაპა, მაგრამ არ შემეძლო, მინდოდა ბოლო-ბოლო მოვმკვდარიყავი, მაგრამ არც ეს შემეძლო...

— შემზარავი სიზმარი ვნახე — ვუთხარი მათუსალას.

— მომიყევი. — მთხოვა მან.

მოვუყევი. მათუსალა შუბლშეჭმუხვნილი მისმენდა, მერე მკითხა:

— მე არ ვიყავი მაგ სიზმარში?

— არა, — ვუპასუხე ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა და ახლაღა აღმოვაჩინე, რომ ყველა, აბსოლუტურად ყველა იყო იქ, გარდა მათუსალასი...

— საკვირველია. — ვოქვი და მათუსალას შევხედე.

— სულაც არა, — მიპასუხა მან, — ჩემი ჯერიც მოვა. მე შენი უკანასკნელი სიზმარი ვიქნები...

მეორე დღეს ქალაქში ბრძოლები დაიწყო. ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმა მთავრობის სახლს ტანკებით ქუჩებში შემოვიდა ტანკები და ძლიერ არტილერია. ჰაერში სამხედრო ვერტმფრენები დაფრინავენ და ქალაქს ბომბავენ. მე მთლად ცენტრში არ ვცხოვრობ, მაგრამ გარეთ გასვლა მაინც ძალიან სახიფათოა. მიუხედავად ამისა, გავდივარ. ბევრი წარმოება-დაწესებულება დაკეტილია, თითქმის არავინ არ მუშაობს, მაგრამ ჩემი სამსახური ისეთია, რომ პირიქით, საქმე მოგვემატა. ახლა ჩვეულებრივზე სამჯერ მეტი გვამი მოაქვთ გადასამუშავებლად. ხელფასიც სამჯერ გაგვიდიდეს, მაგრამ ქანცი გვწყდება ამდენი მუშაობით და დღის ბოლოს თავადაც გვამებს ვემსგავსებით. თანაც ეს გამუდმებული სროლისა და აფეთქების ხმა! და შიში, რომ ყოველ წამს შეიძლება შენც აგაფეთქონ. და ეს მაშინ, როცა ამდენი გვამის შემყურე, ხვდები, თუ რა მცირეა განსხვავება შენსა და მათ შორის. ხანდახან ისევ მიჩნდება ეჭვი, მართლა ხომ არ აჯობებს დავანებო თავი მუშაობას, მაგრამ მახსენდება გასაშმაგებული ხელფასი და ვფიქრობ, იქნებ როგორმე ცოტა ფული დავაგროვო და თუ ეს ომი როგორმე დამთავრდა და მეც ცოცხალი დავრჩი, მერე დავისვენო. ახლა მაინც აზრი არა აქვს სახლში ყურყუტს და გამუდმებულ ფიქრს იმაზე, თუ როდის ჩამოაგდებენ სახლის თავზე ბომბს... მუშაობა მაინც სხვაა. საქმეში ერთობი და ხანდახან მაინც მავიწყდება, რომ გარეთ გაცხარებული ომია და რომ ალბათ არც შენთვის დაინანებენ ერთორ ვაზნას, რათა შუბლი გაგიხვრიტონ, მიუხედავად იმისა, რომ არც მთავრობის არმიაში ირიცხები და არც მისი მოწინააღმდეგეებისაში. პირიქით, ყველაზე მიუმხრობელი ადამიანი ხარ, რომელიც ორივე მხარის ჯარისკაცებს ერთნაირი გულგრილობით ყრის ამწეს ვაგონეტზე და ერთნაირი მარშრუტით

ისტუმრებს უკანასკნელ გზაზე. აქვე მინდა გითხრათ, რომ ერთი რამ გვირთულებს კიდევ საქმეს. გვამს რომ მოისვრი, მერე ხშირად სხეულის ნაწილებია ხოლმე ცალ-ცალკე მოსაკრეფი. მოგლეჯილი ფეხი ან ხელი, წაწყვეტილი თავი... დასაწყისში ეს ჩემთვის საკმაოდ უსიამოვნო იყო, თუმცა ახლა უკვე შევეჩვიე. ის კი არა და უკეთესიც იქნება, სულ ამ ნაგლეჯებს რომ მაკრეფინებდნენ. მსუბუქებია და ნაკლებად დავიღლებოდი. ჰო, ისიც უნდა ვთქვა, რომ ამ რამდენიმე დღის წინ ჩემი მეწყვილე მართლა ზედამხედველი გახდა. ჩვენ მოგვიჩინეს და ტყავს გვაძრობს, განსაკუთრებით მე არ მინდობს და თან სულ ერთი და იგივეს ჩამჩიჩინებს—აი, ხომ გეუბნებოდი, ზედამხედველი გავხდები-მეთქი და არ გჯეროდა. გავხდი თუ არა, გავხდი თუ არაო... ყველაზე მძიმე გვამების აღებას მე მავალებს, სულ იმის ცდაშია, რაიმე შენიშვნა მომცეს და შოლტი გადამიჭიროს ზურგზე... ერთი-ორჯერ ძლივს შევიკავე თავი, რომ ყელში არ ვწვდომოდი, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ორში ერთი ვარიანტი მრჩება: ან ზედამხედველი უნდა დავახრჩო, ან სამსახური მივატოვო, რის შემდეგაც წარმოდგენა არა მაქვს, რითი შეიძლება ვიარსებოთ მე და დედაჩემმა. არადა, არც ზედამხედველის დახრჩობაა გამოსავალი. ამას სულ ცოტა, ჩემი სამსახურიდან გაგდება მოჰყვება და ისედაც, თუ დახრჩობაა, ისევ ჯობია ჩემი სიძე დავახრჩო, დედაჩემის გულს მაინც მოვიგებ და ვინძლო მისი ქალაქისოდენა თვალებისგანაც განვთავისუფლდე... კი, სიძის დახრჩობა ამას ნამდვილად ჯობია, ოღონდ ზედამხედველს რა ვუყო, ეს კი მაინც ვერაფრით მოგიფიქრებია. ერთადერთი იმედი ისღა მაქვს, რომ იქნებ ამ სროლასა და ბათქა-ბუთქში ვინმე მადლიანმა და ღვთისნიერმა თავის ქალა ახადოს. მანამდე კი, სხვა რაღა დამრჩენია, უნდა ვითმინო. და როცა სამუშაოს დამთავრების სიგნალი გაისმის ხოლმე, დამცირებებისა და შეურაცხყოფებისაგან გული ბოლმითა მაქვს გასავსები, აი, ახლაც ასეთ დაძმარებულ გუნებაზე გამოვედი კრემატორიუმიდან. ქალაქში თითქოს შედარებით სიწყნარე იყო, კანტი-კუნტად გაისმოდა სროლის ხმა, მაგრამ ათიოდე მეტრი გავიარე თუ არა, ქუჩის ორი საწინააღმდეგო მხრიდან შეიარაღებული ხალხი გამოჩნდა. ერთმანეთი დაინახეს და სროლა ატეხეს. მე შუაში მოვყევი. მაშინათვე ტროტუარზე განვერთხე. საშინელი ტყვიის წვიმა წამოვიდა. მკვდრები პანტა-პუნტით ეცემოდნენ. „ახლა კი ნამდვილად მომკლავენ-მეთქი", გავიფიქრე და შარვალში ჩავისველე. ჩემს გვერდით ახალგაზრდა ქალი იწვა. სახე ხელებში ჰქონდა ჩარგული. იგი მოგვიანებით შევამჩნიე, დრო რომ გავიდა და ამ ბათქა-ბუთქს ცოტათი რომ შევეჩვიე. ეტყობა გაუთავებელმა სროლამ მასაც ნელ-ნელა დაუჩლუნგა შიშის გრძნობა და გამოიჭყიტა. ჯერ იქაურობა მოათვალიერა, მერე მე დამაკვირდა. მეც ვუყურებდი. საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის გოგონა იყო. ცოტა ხანში რაღაც მითხრა, მაგრამ ტყვიების ზუზუნსა და აფეთქებების ხმაში ვერ გავიგონე.

— რა ბრძანეთ? — ვკითხე რაც შემეძლო ხმამაღლა და კისერი წავიგრძელე.

— მოიწიე ჩემთან ახლოს! — მითხრა გოგონამ.

გაოცებული დავემორჩილე მის ბრძანებას. გოგონამ მოულოდნელად ხელები კისერზე მომხვია, თავისკენ მიმიზიდა და გახელებულმა ტუჩებში დამიწყო კოცნა. ყურთან ტყვიამ გაგვიწუილა. გოგონამ სუსტად დაიკივლა და ბაგეები მომაშორა.

— გაგიჟდით, რა დროს ეგაა — ჩავილუღლუღე გაოგნებულმა.

გოგონა რამდენიმე წამი უძრავად იწვა, მერე შემომხედა, თვალები აენ-

თო, ისევ მეცა და ტანზე შემომეგლისა.

— სულერთია, მაინც მოგვკლავენ... მაინც გაგვაქრობენ... ბოლო წუთებია... ბოლო სიამოვნებაა... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა, თან გაშმაგებული მლოშნიდა. ჩვენგან რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მოცელილი დაეცა ჯარისკაცი, რომელიც ქუჩის გადარბენას ლამობდა. გოგონამ ჩემი შარვლისკენ წაიღო ხელი და ხვანჯარზე ღილები შემომაგლიჯა. ჯარისკაცის დაჭრილუჭლი სხეულიდან სისხლის ზოლები ჩვენსკენ გამოიკლაკნა. გოგონამ ჩემს ფალოსს ჩაავლო ხელი და მთელს სხეულში გააკანკალა... მერე კაბა აიწია... აფეთქების ხმამ ირგვლივ ყველაფერი გააყრუა. მე უკვე ველარ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა ჩემს ირგვლივ... მხოლოდ ის ვიგრძენი, როგორ გადმომაბობღდა გოგონა და კიდევ სისხლის ზოლები დავინახე, ყოველი მხრიდან რომ მოედინებოდნენ ჩემსკენ... და უცებ ნეტარების ტალღა მომასკდა და მოინდომა თან ჩავეტანე, ჩავემარხე, დავენთქე ამ ნეტარებაში... და დავინახე წაბლისფერთმიანი, გრძელწამწამებიანი, დაბერილტუჩებიანი ლამაზი სახე.... იგი ჩემს თვალწინ წამოიმართა და მე მომეჩვენა, რომ ის სადღაც ზევით, ზეცისაკენ მიდიოდა... და თრთოდა, როკავდა, ცეკვავდა, სახეზე ღიმილი დასთამაშებდა, ბედნიერების, შვების, ნეტარების გამომხატველი ღიმილი... და ვიგრძენი, რომ მეც მივდიოდი იქ, სადაც ის გოგონა იმყოფებოდა, სამოთხეში, ზეცაში, ნირვანაში, სიმშვიდეში, დავიწყებაში... ვიგრძენი და სწორედ ამ დროს, სწორედ ამ წამს მისი სახე, მისი წაბლისფერთმიანი, გრძელწამწამებიანი, დაბერილტუჩებიანი, ღიმილიანი სახე აიდღლიზა, წითლად გადაიდღაბნა და წამოვიდა ჩემსკენ შადრევანი, გადამესხა სახეზე, ხელებზე, მკერდზე, მთელს სხეულზე ბლანტი, წებოვანი სითხე და ვიგრძენი, რომ გოგონა ზეციდან ჩამოვარდა და თავისი საოცრად მძიმე სხეულით (თუ ასეთი მძიმე იყო, ზეცაში როგორღა ააღწია?) ჩემს სხეულს დაეფუფუნა, და უცბად სადღაც გაქრა განცდა ნეტარებისა და გამახსენდა მოხუცებულები, რომელთაც ავნიდან ისკუპეს, ტროტუარს დაენარცხნენ და სისხლად და ტვინად დაიქცნენ..

სისხლი, ტვინი, შარდი, სპერმა — ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო. ზიზღი, შიში, ტკივილი, ბოღმა — ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო. მკვდრები, მოძალადენი, დაჭრილები, სალ-სალამათნი — ყველანი ერთმანეთში არეულიყვნენ. კვილი, ტირილი, გინება, ხროტინი — ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო. მთავრობის მომხრეები, მოწინააღმდეგეები, პაციფისტები, ტერორისტები — ყველანი ერთმანეთში არეულიყვნენ. ქალები, კაცები, ბავშვები, მოხუცები — ყველანი ერთმანეთში არეულიყვნენ. სიკვდილი, სიძულვილი, შიმშილი, სიბინძურე — ყველაფერი ერთმანეთში არეულიყო...

ყვავილი ამოვიდა ჩემს ტვინზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი...

მღეროდა მათუსალა. შუა მოედანზე იდგა და მღეროდა. და მის ირგვლივ ზუზუნებდა ტყვიები, სკდებოდა ყუმბარები, ეცემოდნენ განგმირული ადამიანები, ის კი იდგა, გიტარით ხელში და მღეროდა დაუსრულებლად...

ყვავილი ამოვიდა ჩემს სისხლზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს სისხლზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი...

— მართლა ასე იყო? — ვკითხე გაოცებულმა სიროს.

— მართლა ასე იყო. — მიპასუხა მან, — საბლიდან ვუყურებდი. მარტო ის იდგა ფეხზე და მღეროდა. ძალიან დიდი ხანი... და ერთი ტყვიაც კი არ მოხვედრია...

— და ახლაც არ გეკარ, რომ 969 წლისაა?

— არ ვიცი... შეიძლება... — მოგვიგო სირომ ყოყმანით.

— შენი ლექსების კრებული ვიყიდე — ვუთხარი კმაყოფილების გრძნობით. სირომ ხელი ჩაიქნია და მითხრა:

— წამო, მათუსალასთან წავიდეთ.

— მომეწონა შენი ლექსები. — მოვინდომე მისი შექება, მაგრამ ვიგრძენი, რომ ეს რატომღაც საოცრად ყალბად გამომივიდა.

— წამო, მათუსალასთან წავიდეთ — გამიმეორა სირომ.

— მივალწევთ იქამდე?

— უნდა მივალწიოთ... წამოხვალ?

— წამოვალ — ვუპასუხე მე.

მათუსალას სახლი ყვავილებით იყო გადაჭედილი. იმაზე ალბათ ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ მეტით, ვიდრე მაშინ, ამ ბინაში პირველად რომ შემოვდგი ფეხი. სირო გაოგნებული იდგა და ხმას ვერ იღებდა.

— დასხედით — გვითხრა მათუსალამ. მე დავჯექი. სირო ისევ ისე გაუნძრევლად იდგა და პირდაღებული შესცქეროდა ათასფრად აელვარებულ ოთახს.

— დაჯექი! — გაუმეორა მათუსალამ სიროს. სირო დაჯდა.

— მე ვიყიდე შენი ლექსების კრებული და წავიკითხე — უთხრა ამის შემდეგ.

— წაიკითხეთ? — სიროს სახე დაეძაბა, თვალებში შეაჩერდა მოხუცს.

— ეს შენი ყველაზე სუსტი კრებულია, — ულმობლად მიუგო მან, — მაგრამ.. — მათუსალა გაჩერდა, დაფიქრდა და დაამატა — მაგრამ ყველაზე საჭირო....

დუმილი ჩამოწვა. ბოლოს სირომ თქვა:

— მე მგონი ცდებით. იგი არავის სჭირდება...

— შენთვის, — მოუჭრა მოხუცმა, — შენთვის იყო ყველაზე საჭირო. შენ აუცილებლად უნდა დაგეწერა ასეთი ლექსები... — მათუსალა წიგნების კარადასთან მივიდა, სიროს ლექსების კრებული მოძებნა, გადმოიღო, გადაშალა და წაიკითხა:

ცისფერი ჩიტები გაფრინდებიან
ოლოსფერ ხეთა ლამაზ ქვეყნებში
ცისფერი ჩიტები გაფრინდებიან
ოლოსფერ ხეთა ყვავილობის ქამს,
ცისფერი ჩიტები გაფრინდებიან
და ფრენენ დროს საკუთარ ფრთების
და ბაწია ძმორგაე გულების
სითბოს იგრძნობენ.

— სუსტია ლექსია, მაგრამ საჭირო.— დაამატა ბოლოს მათუსალამ და წიგნი დახურა.

— მე კი ახლა მეჩვენება, რომ ყალბია. — მიუგო სირომ.

— არა! — მტკიცედ მოუჭრა მოხუცმა. — ეს შენი სულის საუკეთესო ნაწილია და ამიტომ არ შეიძლება ყალბი იყოს... ადრე რასაც წერდი, გენიალური იყო, მაგრამ ეშმაკისეული. ეს ბანალურია, მაგრამ ღვთისგანაა.

— მე არ მინდა ვიყო ბანალური, მე მინდა გენიალური ვიყო! — კბილებში გამოსცრა სირომ.

— ეს ლუპავს სამყაროს. — უპასუხა მათუსალამ, — უზომო პატივმოყვარეობა, განდიდების მანია... ასე იბადებიან ჰეროსტრატები, მაკედონელები, ნაპოლეონები...

— მე პოეტი ვარ, — მოუჭრა სირომ, — პოეტი ვერასდროს ვერ დალუპავს სამყაროს.

— დალუპავს. — თქვა მათუსალამ.

— როგორ? — ჰკითხა სირომ.

— თუ არ უშველის, — მიუგო მოხუცმა, — თუკი სამყარო დაიღუპება, ეს პირველ რიგში პოეტების ბრალი იქნება, რამეთუ ისინი უსუსურნი აღმოჩნდნენ და ვერ იხსნეს ის, რაც მათ ხელში იყო.

— ჩვენს ხელში არაფერი არ არის. ჩვენ არავინ არაფერს გვეკითხება. — უნდილად წარმოსთქვა სირომ.

— აი, სწორედ ეგ სიტყვები დააქცევს საბოლოოდ ქვეყნიერებას და ამისათვის პირველ რიგში თქვენ მო-

ᲒᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐᲗ! — მოხუცმა ხმას აუწია — ჰო, თქვენ, პოეტებს, მუსიკოსებს, მხატვრებს და არა ნაპოლეონებს და მუსოლინებს, დაიმახსოვრე ეს! — აღელვებული მათუსალა სავარძლიდან წამოდგა და სიროს თითი მიაშვირა. რამდენიმე წამს ასე იყო, მერე განაგრძო — და მე... ამ ქალაქში მე მომეკითხება ყველაზე მეტად, რამეთუ ყველაზე დიდი დამნაშავე ვარ... აი, შენ, — მომიბრუნდა უცებ, — შენ მეუბნებოდი, რომ დედაშენის თვალებში მთელ ქალაქს ხედავ. ჩემსაში? ჩემს თვალებში ხედავ რაიმეს?

— სიკეთეს. — ვუპასუხე მე.

— სიკეთეს... — გაიმეორა ჩურჩულით მათუსალამ, — შენ ხედავ სიკეთეს, მაგრამ იცოდე, ეს საბურველია. იგი დროებით წავაფარე იმ თვალებს, რომლებშიც იმაზე ათასჯერ შემზარავი ქალაქია ჩასახლებული, ვიდრე დედაშენისაში... რამეთუ დედაშენის თვალებში მხოლოდ ის ქალაქია, რომელიც შენი გაჩენის დღიდან არსებობს, ჩემს თვალებში კი მთელი ქალაქია, ქალაქის გაჩენის დღიდან მოყოლებული... მაგრამ მას სიკეთის ფარდა აქვს ჩამოფარებული, რომელიც ერთხელაც იქნება, ჩამოიგლიჯება და ყველას ყველაფერი მოეკითხება! ყველაფერი! სუყველაფერი! თუმცა კი სიკეთე მაინც დარჩება. მას ჩამოგლიჯავენ და მოისვრიან. და იგი ეგდება სადღაც ტლაპოში თავისთვის, რათა ოდესმე ისევ აიღონ იგი, გაწმინდონ და მისით კი არ დაფარონ ბოროტება, არამედ ბოროტების ნაცვლად ჩაიდგან თვალის ფოსოებში... და არ იყოს მათ მზერაში არაფერი, გარდა შუქისა, სიყვარულისა, გარდა სიკეთისა... აი, მხოლოდ ამისათვის დავატარებ თვალებით სიკეთეს... მხოლოდ ამისათვის და მეტი არაფრისათვის, თორემ იგი მე რომ არ მიშველის, ეს შესანიშნავად ვიცი. მე ჯოჯოხეთის კუპრში უნდა ვიბანაო უკუნითი უკუნისამდე. ეს სიკეთე მე არ მეკუთვნის, იგი ეკუთვნის მას, ვინც შემდეგ მოვა... — მოხუცი გაჩუმდა. დაბნეული მზერა მოგვავლო. მერე ნელა შებრუნდა და ისევ სავარძელში ჩაესვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათუსალას სახლიდან გამოვედით და გავბობდით. ირგვლივ გაქანებული სროლა იყო, სიროომ ჯიბიდან რევოლვერი ამოიღო, ოცოდე მეტრ დავფაეთ. მერე ხეს ამოვეფარეთ და შევისვენეთ.

— მეორე ხემდე გადავირბინოთ სწრაფად — მითხრა სიროომ. — წავიკუზეთ და გავიქეცით. ჩვენგან ხელმარცხნივ ჭურვი გასკდა. დავწექით.

— მთელი ხარ? — ვკითხე მე.

— გადავრჩი. შენ?

— მეც

თავები ავწიეთ და იქაურობა მოვათვალიერეთ.

— იქეთ მხარეს გავალწიოთ და მერე მე მგონი ისე საშიში აღარ იქნება — მითხრა სიროომ.

დავეთანხმე. ისევ გავბობღდით. უეცრად გრუხუნის ხმა შემოგვესმა გვერდითა ქუჩიდან სამმა ტანკმა გადმოუხვია და პირდაპირ ჩვენსკენ წამოვიდა.

— გავიქცეთ! — ვუყვირე სიროს, წამოვხტი, წელში მოვიხარე და გავიქეცი. სიროც უკან მომყვა. ქუჩა გადავირბინე თუ არა, მოვიხედე. სიროცოტათი ჩამომრჩენოდა. ტანკები უახლოვდებოდნენ.

— ჩქარა. — ვუღრიალე მთელი ხმით და სწორედ ამ დროს სიროს ფეხი დაუცდა. მაშინათვე წამოიწია. ტანკი უკვე სულ რაღაც ორიოდ მეტრზე იყო მისგან მოშორებით. სიროომ სასოწარკვეთით სცადა, როგორმე დასძრომოდა მას. ოთხზე გაფორთხდა, მერე გადაკოტრიალდა, მაგრამ ტანკი უმოწყალოდ უახლოვდებოდა. ბოლო მომენტში სიროომ რევოლვერი ესროლა ტანკს. მე თვალებზე ხელები ავიფარე... და იმ წამსვე კივილმა გააპო სივრცე... და ხელადვე კივილი ტანკების გრუხუნმა გადაფარა. ღონემიხდილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავიჩოქე... სროლის ხმა, გრუხუნი, კივილი — ყველაფერი ერთმანეთში აირია. ცოტა ხნის შემდეგ ჩემს ყურთასმენას გრუხუნის ხმა გამოეყო და თანდათან დამშორდა. როგორც იქნა გავბედე და სახიდან ხელები ჩამოვიღე... და ქუჩაში, ჩემგან რამდენიმე მეტრის მოშორებით წითელი ლაქა დავინახე, რომლის ზემოთაც სიროს ტანი ეგართხალებდა. მოულოდნელად ტყვიების კაკანიც შეწყდა. მხოლოდ გრუხუნი ისმოდა სულ უფრო და უფრო შორიდან. შეძრწუნებულმა რამდენიმე ნაბიჯი წავდგი და ძირს დავიხედე. სიროს ფეხები აღარ ჰქონდა. ისინი რაღაც ამაზრზენ ფაფად ქცეულიყვნენ. სირო ღმუოდა. უფრო სწორად ნახევარი სირო. სირო, რომელიც ახლა მხოლოდ წელზევით არსებობდა. მისი სახისაკენ დავიხარე... სირომ შემამჩნია. თვალები გაუფართოვდა, პირი გააღო და რაღაც ამოილულლულა.

— სირო! — ჩავძახე მე — სირო! სირო! — არ ვიცოდი მეტი რა მეთქვა.

მან ისევ გააღო პირი და გავიგონე, რომ თქვა:

— მომკალი...

თქვა და თავი მარჯვნივ გადაიქნია. გავიხედე და დავინახე რევოლვერი, სიროს რევოლვერი, რომელიც იქვე ეგდო. გაოგნებულმა თვალებში შევხედე და მის მზერაში საოცარი მუდარა დავიჭირე. მან კიდევ ერთხელ ააცმაცუნა ტუჩები და მაინ მოძრაობით მივხვდი, რომ იგივე სიტყვა გაიმეორა:

— მომკალი...

და მაშინათვე მისი პირიდან სისხლმა ამოხეთქა. დავიხარე, ასფალტიდან რევოლვერი ავიღე და სიროს შუბლში ვესროლე. იმ წამსვე სადღაც, მოშორებით, ერთდროულად იგრიალეს ტანკებმა და მაშინათვე ისევ ატყდა ავტომატების ჯოჯოხეთური კაკანი.

— სირო, იცოდე, მე შურს ვიძიებ შენი სიკვდილის გამო — ვთქვი ყრუდ, რევოლვერი ჯიბეში ჩავიდე და იქაურობას გავეცალე.

— იარაღი გაქვს?

— არა.

— რატომ?

— ძვირი ღირს.

— საშუალება რომ გქონდეს, იყიდიდი?

— არ ვიცი... ალბათ..

— რატომ?

— თავი რომ დავიცვა.

— აქამდე როგორ გადარჩი?

— როგორ?

— აქამდე როგორ გადარჩი-მეთქი, იარაღს თუ არ ატარებდი.

— შემთხვევითობის ამბავია.

— მერე თუ გიფიქრია იმაზე, რომ როდესაც კი იარაღს იშოვი, იმ დღესვე შეიძლება მოგკლან.

— არა, ამაზე არ მიფიქრია.

— და როგორ გგონია, შეიძლება ასე მოხდეს?

— კი, შეიძლება.

— აბა მაშინ რაღა აზრი აქვს?

ჩემს ოთახში ვიჯექი. წინ, მაგიდაზე რევოლვერი მედო. ვუყურებდი მას და ვფიქრობდი.

— არა, — ვუთხარი მარიას — მე იარაღი თავის დასაცავად აღარ მჭირდება. მე შური უნდა ვიძიო.

— არ გინდა! — მითხრა მარიამ.

— მინდა! — ჯიუტად ვუპასუხე მე.

— მე მას ვერ დავტოვებდი, , მე მას მოვკლავდი და შენთან წამოვიდოდი. იმიტომ, რომ... — მარიას ყბა აუკანკალდა, — იმიტომ რომ მე შენ მასზე უფრო მეტად მიყვარხარ...

— რა ქენ- შვილო, კიდევ არ იძიე შური? — მკითხა დედამ და თავისი ქალაქისოდენა თვალები მომაპყრო.

— არა, დედი, არა და შეიძლება არც არასდროს ვიძიო. — ვუთხარი გაღიზიანებულმა და მზერა ავარიდე.

— მხდალი ყოფილხარ. — საყვედურით სავსე ხმით მომიგო მან.

— არა, არა ვარ მხდალი! — ვიყვირე და დედაჩემს მკლავებში ვწვდი

— მხდალი ხარ! — მტკიცედ მითხრა მან.

ოთახში ვიჯექი, მაგიდაზე დაგდებულ რევოლვერს ვუყურებდი და ვფიქრობდი. დიდხანს, უსაშველოდ დიდხანს.... ბოლოს უჯრა გამოვაღე, შიგ იარაღი ჩავდე და მივხურე. ოთახში დედაჩემი შემოფრატუნდა.

— შვილო, გეეედრები, მოკალი ის საბიზღარი, მეტის გაძლება აღარ შემიძლია, ყოველლამ მესიზმრება და დამცინის, ყველას დაგვცინის, მეც, შენც, შენს დასაც, მერე მიდის და მეორედ კლავს მას, თან ხარხარებს, ხითხითებს, ქირქილებს... არა, აღარ შემიძლია მეტი, აღარ შემიძლია... ის თუ არ მოკვდა, მე გავფშიკავ ფეხებს, ძილში გამისკდება შიშისაგან და ბრაზისგან გული... აი, ეს გინდა შენ, ეს გინდა და მეტი არაფერი... — დედაჩემს ხმა აუთრთოლდა, თვალებს აცეცებდა, ალბათ ცდილობდა მიმხვდარიყო, სად ვიყავი, რათა ჩემი მზერა დაეჭირა, თითქოს იცოდა, რომ მხოლოდ ამით შეეძლო ვეიძულებინე, გამეკეთებინა ის, რაც მას სურდა. მე არაფერს ვპასუხობდი, რამეთუ უკვე აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. ვგრძნობდი, რომ ამ წამს ისე ახლოს ვიყავი „კი"-სთან, როგორც არასდროს, მაგრამ მე არ მინდოდა მეთქვა „კი". მიუხედავად ყოველივესი, ჯერ კიდევ არ მინდოდა.... და ვიჯექი თავჩაქინდრული და იმასღა ვცდილობდი, როგორმე ამერიდებინა მზერა დედაჩემისთვის...

— სირო მოკვდა — ვუთხარი მათუსალას.

— მით უკეთესი მისთვის — მითხრა მოულოდნელად საოცრად მშვიდად მოხუცმა.

— სირო მე მოვკალი — ვუთხარი ახლა.

— რატომ? — მათუსალამ გაკვირვებით შემომხედა.

— თვითონ მთხოვა, — ვუპასუხე მე. — ის ძალიან იტანჯებოდა... მას ტანკმა გადაუარა... და ნახევარი სიროლი იყო მისგან დარჩენილი... და მე მოვკალი... მაგრამ მე არ მომკლავს...

— მართალია, არ მოგკლავს — დამეთანხმა მათუსალა, — არ მოგიკლავს, მაგრამ მაინც მოკალი.

— ის მაინც მოკვდებოდა — ვუთხარი მე.

— ყველანი მოკვდებით. — მომიგო მან.

— ის მალე მოკვდებოდა. — არაფრით არ მინდოდა მოხუცს დავთანხმებოდი.

— ყველანი მალე მოკვდებით. — მომიჭრა მან.

— ის საშინლად იტანჯებოდა. — ვუთხარი გაღიზიანებულმა.

— ყველანი საშინლად ვიტანჯებით. — ჩაილაპარაკა მათუსალამ ყრუდ.

მე უკვე აღარ ვიცოდი, რა მეთქვა. მათუსალა ადგა, მეორე ოთახში გავიდა და იქიდან თოკი შემოიტანა. გაოცებულმა შევხედე.

— ერთი თხოვნა მაქვს შენთან. — დაიწყო მან, — მე საშინლად ვიტანჯები და თანაც ძალიან მალეც მოვკვდები. ჰოდა, როგორც, მეგობარს, მინდა გთხოვო, ერთი დახმარება გამიწიო. თავი მინდა ჩამოვიხრჩო, მაგრამ ძალიან მოხუცი ვარ და ძალიან სუსტი. იქნებ ეს თოკი კარნიზზე მიმიბა მაგრად... ყულფი გააკეთო და მიმიბა... მეტი არაფერზე არ შეგაწუხებ, დანარჩენს მე თვითონ მოვუვლი...

— არა!

— ძალიან გთხოვ!

— არა!

— როგორც მეგობარს... რა მოხდება, სულ ადვილია ამის გაკეთება და უსასრულოდ მადლობელი დავრჩები შენი...

— არა-მეთქი! — აღფშოთებული წამოვიჭერი, თოკი ხელიდან გამოვგლიჯე და ძირს დავახეთქე. მათუსალამ რაღაცნაირად ნაღვლიანად ჩაიღიმა და დაჯდა.

— მამასხარავებ? — ვკითხე გაბრაზებულმა.

— არა, უბრალოდ მინდა გითხრა, რომ გვამის სუნი უარესად აგდის.

— სტყუი! — ვუღრიალე გაცოფებულმა — ასე რომ იყოს, მე პირველი ვიგრძნობდი, მაგრამ მე ვერ ვგრძნობ. და ვერც ვერავინ გრძნობს. არავითარი გვამის სუნი მე არ მდის. ეს შენმა ავადმყოფურმა ფანტაზიამ მოიგონა იმისათვის, რომ გამაგიჟოს, გამაცოფოს, ნერვებზე ამშალოს!

— ეჰ! — ამოიოხრა მოხუცმა.

— რა ეჰ! — ვუყვირე კიდევ უფრო ხმამაღლა — გამაგებინე, რა ეჰ!

— მოდი ვიმღეროთ! — მითხრა მან უცებ.

— არ მინდა — ავუქნიე ხელი.

— ამაშია საქმე. — ჩაიბუტბუტა თავისთვის და გიტარას გადასწვდა — მაშინ მე მარტო ვიმღერებ.

— არ იმღერებ! — ვუთხარი მკვახედ.

— ვიმღერებ! — მითხრა მტკიცედ მათუსალამ. — შენ მე ვერ დამიშლი სიმღერას... ვერავინ ვერ დამიშლის სიმღერას...

უცებ გამოვფხიზლდი. ხელად გადამიარა სიშშაგემ და დაბნეული შევაცქერდი მოხუცს. მან კი გიტარის სიმებს თითები ჩამოჰკრა და დაიწყო:

ყვავილი ამოვიდა ჩემს სისხლზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს სისხლზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს ქალაქზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი....

მეორე დღეს კრემატორიუმიდან გამომაგდეს. ზედამხედველმა ერთხელაც რომ შემაგინა და მათრახი გადამიჭირა, ველარ მოვითმინე, ყელში ვწვდი და დახრჩობა დავუპირე. მაგრამ სხვა ზედამხედველები მოცვივდნენ, მუშებიც წამოეხმარნენ და უშველეს. მერე მე გამკოჭეს, ბოძზე მიმაბეს და ყველას თვალწინ იმდენი მშოლტეს, სანამ სისხლმა წურწურით არ დაიწყო ჩემი სხეულიდან დენა და მთელი ტანი არ შემიშუპდა. ძლივს მივაღწიე სახლამდე. ახლა ვწევარ და დედაჩემი კომპრესებს მადებს. თან იმ ბალს წყევლიდა, მე ამ დღეში ჩამაგდო. [illegible] ყელში მაქვს გაჩხერილი. ისე მეზიზღებიან ეს ზედამხედველები, საშუალება რომ მქონდეს, სუყველას სათითაოდ ტვინს გავუხვრიტავდი. ერთი წამითაც კი არ დავფიქრდებოდი, ისე. არადა ახლა მართლაც შურისძიების მეტი აღარაფერი დამრჩენია. სამსახური აღარა მაქვს, გამოზოგილი ფული დიდი-დიდი ორიოდ კვირაზე გაგვწვდეს. მერე? ამ გაცხარებულ ომში სამუშაოს სადღა ვიშოვი? და რომც ვიშოვო, მექნება კი მუშაობის თავი, ისე ვარ ნაბეგვი და დასუსტებული... ასეთ გამოუვალ მდგომაერობაში არასოდეს ვყოფილვარ. აბსოლუტურად დაცლილი მაქვს გონება და მთელს სხეულში გამჯდარი ტკივილი ერთადერთ ფიქრს აღმიძრავს — ფიქრს შურისძიებაზე... შური უნდა ვიძიო ცემისათვის, შეურაცხყოფისათვის, დამცირებისათვის, უსაბსრებოდ და უსასოოდ დატოვებისათვის... შური უნდა ვიძიო ზედამხედველზე, შური უნდა ვიძიო სიძეზე, შური უნდა ვიძიო სიროს მკვლელებზე.. მათუსალა ამბობს, რომ მე ვარ მკვლელი, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ ეს ასე არაა. მე ვიცი, ვინ არიან ნამდვილი მკვლელები... ყველანი მკვლელები არიან... მთელი ქალაქი მკვლელებითაა სავსე... მე შური უნდა ვიძიო მთელ ქალაქზე, მთელ ამ ბინძურ ქალაქზე, მთელ ამ ცოდვილ ქალაქზე, მთელ ამ ავადმყოფ ქალაქზე... აუცილებლად, ყოველმიზეზგარეშე უნდა ვიძიო შური...

შემდეგი რიგში ახალგაზრდა ქალი იყო. მან გამყიდველს პასპორტი აჩვენა, ოთხი პატრა მყავს და იქნებ ოთხი ცალი მომცეთ, ხომ იცით, ბავშვებს ტარაკნის ჯემი არ ეჭმევათ და მარტო თაგვის კონსერვზელა თუ გადავატარებო... „არა, არაო!" — აყვირდა ყველა ერთად, კანონში არ

წერია, რომ ოთხშვილიანს ოთხი თაგვის კონსერვი უნდა მიეცესო! მხოლოდ ერთი გამხდარი ბიჭი გამოესარჩლა, რა მოხდება, დაუთმეთო. ის ბიჭი ფეხქვეშ გაიგდეს და სასიკვდილოდ დაუწყეს ცემა. მე რევოლვერი ამოვიღე და ვინც მას სცემდა, ყველას სათითაოდ ტყვია დავახალე...

ერთხანობას ჩუმად ვისხედით. მერე სიროომ თქვა:

— მე მგონი ამ ბიჭის დედას მალე გააუპატიურებენ.

— რა იცი? — ვკითხე მე.

მან არაფერი მიპასუხა. მერე მთხოვა:

— მოდი წავიდეთ აქედან.

— არა! — ვუთხარი მე.

— წავიდეთ! — კიდევ ერთხელ მთხოვა სიროომ.

— არა! შენ თუ გინდა წადი, მე დავრჩები! — მივუგე მტკიცედ.

— როგორც გინდა — მითხრა სიროომ, ადგა და წავიდა.

მე ხეს ამოვეფარე. რამდენიმე წუთში სამი მამაკაცი გამოჩნდა. ბიჭუნას დედა დაინახეს თუ არა, ეცნენ. ერთმა ხელები გაუკავა, მეორემ ფეხები, მესამემ ტანსაცმლის შემოგლეჯა დაუწყო. ქალი აკივლდა. ბიჭუნა ალრიალდა. მე სამალავიდან გამოვედი და სამჯერ გავისროლე. სამივენი ჯუსუჯლოდ დაეცნენ ძირს...

— ადამიანის უფლებათა დაცვა ჩვენი უზენაესი მოვალეობაა! — დასჭექა ერთ-ერთმა ორატორმა, — ჩვენ უნდა შევძლოთ და მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანმა თავი იგრძნოს თავისუფლად, ბედნიერად და ხელშეუხებლად. იგრძნოს, რომ ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც თმის ღერიც კი არ ჩამოჰვარდება დაუკითხავად! დიახ! ეს ჩვენი პირდაპირი და უმთავრესი მიზანია და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მივაღწევთ ამას! — ტაშმა იხუვლა ორატორი გაჩერდა და როცა ტაში ოდნავ მისუსტდა, პათეტიურად დაჰკივლა: — გჯეროდეთ, ჩვენ მივაღწევთ ამას! ჩვენ დავამყარებთ ქალაქში წესრიგს. ჩვენ გადავაქცევთ ქალაქს ახალ სამოთხედ! ჩვენ გავიმარჯვებთ! — ბოლო სიტყვაზე „ყიყლიყო“ გამოუვიდა, მაგრამ ტაში მაინც უფრო მხურვალე და ხანგრძლივი იყო. ხალხი ექსტაზმა მოიცვა. „გა-ვი-მარ-ჯ-ვებთ, გა-ვი-მარ-ჯ-ვებთ!“ — აგუგუნდა მთელი მოედანი ხმაშეწყობილად. მე მომიტინგეთა შორის ვიდექი. იარაღი ამოვიღე, ორატორს დავუმიზნე და ვესროლე. ორატორის პირიდან სისხლმა იფეთქა...

ჩემმა სიძემ დანა ამოიღო და ჩემი დისაკენ წავიდა. მიუახლოვდა და ის იყო უნდა დაერტყა, კარი შევამტვრიე, რევოლვერი შევაყენე და გავისროლე. ჩემი სიძე შეფართხალდა, ჩაიკეცა და მკერდგანგმირული დაეცა იატაკზე...

ტანკი მოდიოდა. სადაცაა წაქცეულ სიროს გადაუვლიდა. ტანკზე შევხტი, ლუკა ავაგლიჯე, იარაღის ლულა შიგ ჩავყავი და სასხლეტს თითი გამოვკარი. ტანკისტს ტყვიამ კისერში გაუარა. ტანკი გაჩერდა...

მათუსალამ კარი გამიღო, შევედი და რევოლვერი შუბლზე მივადე.

— უნდა მოგკლა — ვუთხარი ხრინწიანი ხმით.

— რატომ? — მკითხა მან.

— იმიტომ, რომ კაცი გყავს მოკლული, იმიტომ, რომ საკუთარი ქალიშვილი გააუპატიურე, იმიტომ, რომ მამაშენს საწამლავი დაალევინე, იმიტომ, რომ მეგობრებს ულალატე...

— გვიანია. — თქვა მოხუცმა.

— რა არის გვიანი? — ვკითხე უკმეხად.

— ყველაფერი. — მიპასუხა მან.

— ბოროტებასთან ბრძოლა გვიანი არასოდეს არ არის. — შევეკამათე მე.

— სამწუხაროდ ახლა უკვე გვიანია, — მომიგო მან, — მითუმეტეს ისე ბრძოლა, როგორც შენ იბრძვი.

— — როგორ, ისინი არ უნდა დამეხოცა? — შენ მიგაჩნია, ისინი დანდო-

ბის ლირსნი იყვნენ?

— შეიძლება... შეიძლება შენ მართალი ყოფილიყავი, ოლონდაც ადრე. ახლა კი შენს ქმედებას არავითარი აზრი აღარა აქვს... ქალაქი ისე ჩაიფლო უკეთურებაში, რომ მას ასეთნაირად უკვე ველარ ამოძირკვავ... და მხოლოდ ახალ ცოდვას მიუმატებ... მხოლოდ საკუთარ თავს დაიღუპავ, მეტი არაფერი...

— აბა, აღარ უნდა ვიბრძოლოთ?

— უნდა ვიბრძოლოთ...: — თავი დაუქნია მათუსალამ.

— რითი? — ვკითხე მე..

— სიმღერით... — მომიგო მან.

— სიმღერის აღარავის ესმის — ვუთხარი მე.

— შენ ხომ გესმის? — მკითხა ამაზე.

— მე? მე მესმის. — ვუპასუხე ყრუდ.

— ჰოდა, ესეც ბევრს ნიშნავს — ჩაილაპარაკა მათუსალამ, მერე გამომხედა და დაამატა. — მომკალი...

მის საფეთქელს მიდებულ რევოლვერის ლულას შევხედე და ხელი ამიკანკალდა.

— მომკალი... — გამიმეორა მოხუცმა.

თითით სასხლეტი მოვსინჯე. შუბლიდან წურწურით ჩამომდიოდა ოფლი. მარცხენა ხელით ცხვირსახოცი ამოვიღე და მოვიწმინდე.

— რაღას აყოვნებ, მომკალი... — მესამედ მითხრა მან.

იარაღი დავუშვი.

— რატომ არ მკლავ? — მკითხა და თვალი თვალში გამიყარა.

— შენ მეტ სისაძაგლეს აღარ ჩაიდენ, — ვუთხარი ყრუდ, — ასე, რომ შენს სიკვდილს აზრი არა აქვს. უნდა მოკვდეს ის, ვინც მის ჩადენას კვლავაც დააპირებს. მე რომ ადრე დავბადებულიყავი და შენთვის დანაშაულზე წამესწრო, ერთი წამითაც არ დავფიქრდებოდი, ისე გამოგასალმებდი წუთისოფელს. ახლა კი... ახლა გარშემო უამრავი ადამიანია, შენზე ათასჯერ მეტად რომ იმსახურებს ტყვიას.

— შენ?

— რა მე?

— შენ არ იმსახურებ სიკვდილს?

— არა, — ვუთხარი მტკიცედ, — მე ბოროტებას ვებრძვი...

— რითი?

— ეგ არ ვიცი... მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ბოროტებას უნდა ებრძოლო... ყველა ხერხით, ყველა საშუალებით, როგორც შეგიძლია, რამდენიც შეგიძლია...

— თითქოს მართალი ხარ, — ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ მომიგო მათუსალამ, — მაგრამ დამიჯერე, ახლა უკვე ძალიან გვიანია... შენი ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ მოამრავლებს ბოროტებას, სასიკეთოს კი ვერაფერს გააკეთებს...

— არა! — ჯიუტად ვთქვი მე, — მე მეტი აღარ შემიძლია... მე მაინც ვიბრძოლებ... ვიბრძოლებ ბოლომდე...

— მაშინ მომკალი, — მითხრა მან,— რა დიდი მნიშვნელობა აქვს, ჩავიდენ თუ არა კიდევ დანაშაულს. შენ რომ იცი, რომ ყველაზე დიდი ცოდვილი ვარ ამ ქალაქში... და თუ ბოლომდე ბრძოლას აპირებ, ქალაქის ყველაზე დიდ ცოდვილს ცოცალს ვერაფრით ვერ დატოვებ...

დავფიქრდი, მერე რევოლვერი ავწიე, მათუსალას კვლავ საფეთქელზე მივადე და სასხლეტს თითი გამოვკარი. გასროლის ხმამ იქაურობა შეაზანზარა...

დაფეთებულმა დავაჭყიტე თვალები. ყელი გამშრობოდა, თავიდან ფეხებამდე ოფლში ვცურავდი. ნაიარევები მთელს ტანზე მიხურდა და მეწვოდა... ოთახში უკუნეთი სიბნელე იდგა..

ლოგინიდან მხოლოდ ათი დღის შემდეგ წამოვდექი. მეთორმეტე დღეს უჯრიდან რევოლვერი ამოვიღე, ჯიბეში ჩავიდე და ქუჩაში გავედი. ქალაქში ბრძოლებს აპოზიციისათვის მიეღწია, ოპოზიცია უკანასკნელ შტურმზე გა-

დასულიყო. მთავრობის სახლის მისადგომებთან ჩააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა. მე ბოლომდე ჯერ კიდევ არ ვიყავი მომჯობინებული და თავს სუსტად ვგრძნობდი. უკანასკნელი დარჩენილი გროშებით ტარაკნის ჯემი მინდოდა მეყიდა... ათიოდე ნაბიჯიც არ მქონდა გადადგმული, რომ ქუჩაში ხუთიოდე შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ადამიანი დავინახე. ჩემსკენ მოდიოდნენ. დავაკვირდი და ერთ-ერთ მათგანში ჩემი სიძე ამოვიცანი. მხარზე ავტომატი გადაეგდო, სიგარეტს აბოლებდა და ამხანაგებს უდარდელად ესაუბრებოდა. მერე რაღაცაზე გაიცინა... უკან დავიხიე, სადარბაზოში შევიმალე და რევოლვერი ამოვიღე. ჩემი სიძე! მაინც შემახვედრა მასთან ბედმა... და თანაც სწორედ ახლა, როცა ბოლოს და ბოლოს შურისძიება გადავწყვიტე... ჯარისკაციც გამხდარა... და ვინ იცის, იქნებ სწორედ ამათ ემხრობა, რომელთა ტანკმაც სიროს გადაუარა.. არა! იქნებ კი არა, ასეც იქნება, ზუსტად ასე... და მე ერთდროულად სიროს გამოც ვიძიებ შურს და ჩემი დის გამოც... მეომრები გამისწორდნენ. ხელი ავწიე და იარაღი ჩემს სიძეს დავუმიზნე. წესიერად არც კი ვიცოდი დამიზნება, საერთოდ მეორედ ვისროდი ცხოვრებაში, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ მოვარტყამდი.. მოვარტყი კიდეც! დამფრთხალი მისი თანამებრძოლები მობრუნდნენ და უაზროდ დაიწყეს ავტომატების სროლა. კიბეებს ვეცი და ფართხა-ფურთხით ავირბინე...

— დედა!

— ჰო, შვილო... — დედაჩემი წამოდგა და ხელის ცეცებით ჩემსკენ გამოფრატუნდა.

— დედა, მე ვიძიე შური...

დედაჩემი შედგა, პირი დააღო, თვალები გაუფართოვდა...

— დედა, მე ის მოვკალი...

სიჩუმე ჩამოწვა. ორივენი გავირინდეთ... და დიდხანს ვიდექით ასე ერთმანეთის პირისპირ. ბოლოს მან მკითხა:

— მართლა? — და თვალები კიდევ უფრო გაუფართოვდა.

— ჰო, მართლა! — ვუპასუხე გაღიზიანებულმა. — რა, არ გჯერა?

ისევ სიჩუმე.

— რა, არ გჯერა?! — ვიყვირე გაცოფებულმა.

დედაჩემი კვლავ დუმდა.

— არ გჯერა... — ჩავილაპარაკე იხტიბარგატეხილმა — არ გჯერა... — და უცებ ისევ ავფეთქდი — მოვკალი! გაიგე, მოვკალი! ჩავაძაღლე! მოვსპე! გავანადგურე! — ჯიბეში ვიტაცე ხელი, იარაღი ამოვიღე და გავუწოდე — აი, ამითი მივასიკვდილე! ამითი გავუხვრიტე თავის ქალა! მოკიდე ხელი თუ არა გჯერა, მოკიდე და ნახე! — დედაჩემს იარაღზე ხელი დავადებინე — გრძნობ? გრძნობ რკინის სიცივეს? ეს რევოლვერია! ამითი მოვკალი...

— მჯერა! — გამაწყვეტინა უცებ დედაჩემმა და სახეზე ღიმილი გადაეფინა.

— მჯერა! — გაიმეორა კიდევ ერთხელ, შემომხედა და დაამატა — ყოჩაღ, შვილო!

და მეც ჩავხედე დედაჩემს თვალებში და უცებ უსაშველოდ შევძრწუნდი. ქალაქი ის შემზარავი ქალაქი, რომელიც იქ იყო, კიდევ უფრო გაზრდილიყო, გაფართოებულიყო და კიდევ უფრო უკეთური გამხდარიყო. და დავინახე ყველაფერი ის, რასაც აქამდე ვხედავდი, დავინახე უზარმაზარი ურჩხული ტანზე ასხმული ფანჯრებჩალეწილი სახლებით, ცალფეხა და ცალხელა მამაკაცებით, გაუპატურებული ქალებით, სისხლში არეული ტვინით, დაჭმუჭნილი ქაღალდით, რომელზეც წერია „გაზაფხული აღარ მოვა", გარყვნილი დით, რომელსაც ბაყინულთვალებიანი ქმარი ყელს ღადრაკს, თაგვის კონსერვით, ტარაკნის ჯემით, პოეტით, რომელიც წიგნების ნაცვლად

პრეზერვატივებს ყიდის, ორთავიანი ბავშვით, თავისი მრევლის მაწყევარი მღვდელმთავრით, ქალით, სქესობრივ კავშირს რომ ამყარებს გვამებით მოფენილ მოედანზე, ზედამზედველით, რომელიც მაგინებს და მშოლტავს, უშველებელი, აყროლებული კრემატორიუმით და ფერფლით, რომელიც ამ კრემატორიუმიდან იფრქვევა და ეფინება მთელს ქალაქს და ქალაქი იხრჩობა ამ ფერფლში და უნდა, რომ ჩაისუნთქოს ჰაერი, ოგრამ ჰაერის ნაცვლად პირში, ნესტოებში, ფილტვებში ფერფლი შესდის, თვალებს უწვავს, ყურებს უვსებს და არ ძალუძს სადმე დაემალოს მას, არ ძალუძს დაემალოს მიცვალებულთა ფერფლს და ყველანი ერთად ახველებენ, აფურთხებენ, იხრჩობიან, იგუდებიან და აი, მეც მათ შორისა ვარ, მეც ერთ-ერთი იმათთაგანი ვარ, მეც იმათსავით ამაზრზენი და საცოდავი ვარ, მეც ბინძური და ავადმყოფი ვარ და მეც არ ძალმიძს გავექცე ამ საძულველ ქალაქს, რომელიც ყოველწამს ფართოვდება, ძლიერდება, ყოველწამს აჩენს ახალ-ახალ საცეცებს და ყველგან და ყველაფერში აფათურებს მათ და თუ ასე გაგრძელდა, ქალაქი იქცევა ქვეყნიერებად, იქცევა სამყაროდ, იქცევა ყველაფრად... ქალაქი იქცევა ყველაფრად და ყველაფერი იქცევა ავადმყოფობად და სანამ დროა, უნდა მოისპოს იგი, განადგურდეს, აღიგავოს პირისაგან მიწისა... და დაე მეც ვიყო იქ, დაე მეც დავიღუპო მასთან ერთად, ოღონდაც მეტს ნუღარ დამახრჩობს ეს საზიზღარი ფერფლი, მიცვალებულთა ფერფლი ნუღარ დამახრჩობს... და მე გამოვკარი სასხლეტს თითი და ქალაქს ვესროლე... ერთხელ... ორჯერ... და ჩაქრა ქალაქი... გაქრა ქალაქი... საძულველი ქალაქი... ავადმყოფი ქალაქი...

— გამარჯობა, მარია...

— გამარჯობა...

— მარია, წავიდეთ აქედან... წავიდეთ შორს... წავიდეთ ზღვაზე...

— ზღვაზე? — მარიამ დაბნეულად ამომხედა.

— ჰო, ზღვაზე... შენ ხომ ოცნებობდი ამაზე...

— მერე დედაშენი?

— დედაჩემი აღარაა. მე მოვკალი დედაჩემი... მე მოვსპე ქალაქი... მე აღარა მყავს მშობლები... მე აღარა მაქვს სამშობლო... მე აღარა მაქვს ფესვები... მე მოვიგლიჯე ჭიპლარი და შევაფურთხე იმას, რისგანაც ვიშვი, რამაც გამომზარდა, რამაც მაქცია ავადმყოფად, რამაც შემაძულა ყოველივე... მე განვთავისუფლდი ყოველივე ამისგან... და მე მივდივარ, მივდივარ და ვტოვებ ამ წყეულ ალაგს... მივდივარ და მინდა, რომ ჩემთან ერთად შენც იყო... მინდა რომ ერთად დავადგეთ იმ შორეულ გზას, რომელიც ზღვამდე მიგვიყვანს...

— არა... — თქვა ჩუმად მარიამ.

— რატომ? — ვკითხე გაოცებულმა.

უცბად ჭყლოპინი შემომესმა, გულისამრევი ჭყლოპინი და მაშინათვე ფეხების ტყაპატყუპის ხმაც გავიგონე.

— რა? ამის გამო? — ვკითხე განცვიფრებულმა და აღშფოთებულმა.

— ჰო — მითხრა მარიამ.

ამ დროს ოთახში ისიც შემობობღდა. შემომხედა თუ არა, ჭყლოპინი წივილში გადაუვიდა. მარიას ეცა, კაბის კალთაზე ჩამოებღოტიალა, მის ზურგს უკან მიიმალა და დამფრთხალმა ამომხედა.

— შენ გახსოვს, ადრე რა მითხარი? — ვკითხე და თვალებში შევხედე.

— მახსოვს. — მიპასუხა მან.

— მერე? შეიცვალა რამე?

— შეიცვალა...

— რა?

— აღარ მიყვარხარ...

— რატომ?

— რამდენი ხანია, რაც სარკეში არ ჩაგიხედავს?

— სარკეში? ეგ რა შუაშია? — დავიბენი...

— შუაშია, — მითხრა მან მშვიდად, — შენც სხვებს დაემსგავსე. იმათნაირი გახდი...

— არა! — ვიყვირე მე, — მე იმათნაირი არ გავმხდარვარ! მე აქედან გაქცევა მინდა, მათ კი არ უნდათ!

— იმათაც უნდათ. — თქვა მარიამ.

— არა! — ვუთხარი ჯიუტად.

მარიამ მხრები აიჩეჩა. ბოლოს თქვა:

— სულერთია... მე მაინც ვერ წამოვალ...

— წამოხვალ! ეს გველი რომ არ იყოს, წამოხვიდოდი! — ისე გავბრაზდი, რომ მის ნაშიერს წიხლი მოვუქნიე. ორთავამ გამგმირავად დაიწივლა და უფრო მეტად ამოეფარა მარიას კალთას.

— გაანებე თავი! — მითხრა მარიამ ბრაზით.

— მოკალი და წამოდი ჩემთან! — ვუღრიალე მთელი ძალით.

ორთავა ისევ აწივლდა. აძიგძიგდა, დამჭკნარი თავი წამოჰყო და ყვითელი თვალი შემომანათა. და უცებ გამჭოლა ტანში თავიდან ფეხებამდე და ვიგრძენი, რომ ქალაქი, რომელიც დედაჩემის თვალებში მოკალი, მაინც არსებობდა, და არსებობდა ამ პატარა ურჩხულის ყვითელ თვალში... და მარიას ბოროტი სისინით ვუთხარი:

— მოკალი, თორემ მე მოვკლავ..

— წადი აქედან! — იკივლა მარიამ და ჩემსკენ წამოიფოფრა. მე რევოლვერი ამოვიღე და გავისროლე. ყვითელი თვალი ჩაქრა. მარია მეცა და ფრჩხილებით სახე ჩამომაკაწრა, მერე კბილები ჩამასო ხელში, უნდოდა იარაღი გამოეგლიჯა. მე ხელი ავუკარი, მარია ძირს დაეცა და ცხვირიდან სისხლი წასკდა. მეც სისხლი ჩამომდიოდა... სახეზე, მაჯაზე... მარია ახლა თავის მკვდარ ბავშვს ეცა. გულში იხუტებდა, კოცნიდა, ღმუოდა... და იმდენად ამაზრზენი იყო ჩემთვის იმის ხილვა, თუ როგორ ეხვეოდა და ეალერსებოდა ამ საძულველ და მახინჯ არსებას ადამიანი, რომელსაც ქალაქიდან მეც მოვფერებივარ, რომლის ბაგეებსაც ბაგეებით შევხებივარ, რომელთანაც სასიამოვნო წუთები გამიტარებია, რომ მე მეორედ გავისროლე... უცებ სიჩუმე ჩამოწვა... ჩახუთული და ტყვიასავით მძიმე სიჩუმე... მარიას გულში ჩაეხუტებინა თავისი ორთავიანი ურჩხული... იმ წერტილიდან სადაც ადრე ყვითელი თვალი იყო, მოყავისფრო სითხე მოჟონავდა... მოყავისფრო სითხე მოჟონავდა მარიას თმებიდანაც...

— აგრიპინა... — ჩავილაპარაკე ამრეზით, იარაღი ჯიბეში ჩავიდე და კარისაკენ შევბრუნდი...

მათუსალა შინ არ დამხვდა. კარი ღია დაეტოვებინა და სადღაც წასულიყო. ბინა პირთამდე ყვავილებით აევსო. არაფერი ჩანდა გარდა იასამნებისა, ქრიზანთემებისა, გვირილებისა... ერთხანს დაბნეული ვიდექი, მერე შევბრუნდი და ქვევით დავეშვი. ქუჩაში რომ გამოვედი, ერთმა აზრმა გამკრა. საკანალიზაციო ჭასთან მივედი, ლუკი ავხადე და ჩავძვერი. მაშინათვე დავინახე იგი. ძირს ეგდო, შუბლზე უსაშველოდ დიდი ყვავილი ეხატა, თვალები დაეხუჭა, გულზე ; უზარმაზარი თაიგული მიეხუტებინა... დავიხარე, ხელი შევახე. ცივი იყო. სახეზე საოცარი სიმშვიდე გადაჰფენოდა. ზურგზე წამოვიკიდე და ზევით ავათრიე. ქუჩაში ხალხი უწყვეტ ნაკადად მოედნისაკენ მიემართებოდა. სროლის ხმა აღარ ისმოდა. მათუსალა ძირს დავუშვი, ტროტუარის კიდეზე ჩამოვჯექი, ცხვირსახოცი ამოვიღე, ოფლი მოვიწმინდე... ხალხი კი მიედინებოდა... გახარებული სახეები ჰქონდათ. ეტყობა, ომი დამთავრდა-მეთქი, გავიფიქრე. სული რომ მოვითქვი, ისევ ავიკიდე მათუსალა ზურგზე და გზას გავუდექი. მეც იქეთკენ წავედი, ცენტრალური მოედნისაკენ. უცბად ორატორის ხმა გავიგონე:

— მოგილოცავთ მეგობრებო! ტირანული მთავრობა დაემხო! ჩვენ გავიმარჯვეთ!

— ვაშაა! — იხუვლა ხალხმა და მთელს არემარეს აღტაცების ყიჟინა მოედო. მაშინათვე ავტომატების კაკანი გავიგონე. აღფრთოვანება კიდევ უფრო გაძლიერდა. ჰაერში მაშხალები აფრინდნენ.

— გა-ვი-მარჯ-ვეთ! გა-ვი-მარჯ-ვეთ!— აგუგუნდა ყველა ხმაშეწყობილად... და ამ დროს მოულოდნელად ზურგს უკან სიმღერა შემომესმა:

ყვავილი ამოვიდა ჩემს ტვინზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს ტვინზე,
ყვავილი ამოვიდეს ჰეი...

მათუსალას ხმა იყო... დამფრთხალმა უკან მივიხედე. მათუსალას სახე ჩემს მხარზე ჩამოედო, თვალები ისევ ისე დახუჭული ჰქონდა, პირი მოკუმული... და მაინც მღეროდა... ეს მათუსალას ხმა იყო, მისი დამსხვრეული ხმა... არ შეიძლებოდა იგი სხვაში აგრეოდა... ტანში დამზარა, ხელები ამიკანკალდა, მაგრამ მისთვის ხელი მაინც არ გამიშვია... მივათრევდი... აგერ, მოედანიც გამოჩნდა . პირთამდე იყო გადაჭედილი. ყველას მუშტი შეეკრა და ზევით აღემართა. ორატორი გაჰკიოდა:

— დღეიდან იწყება ახალი ჟამი! ჟამი თავისუფლებისა, ბედნიერებისა, სიყვარულისა, სიუხვისა... ჩვენ ამოვძირკვეთ შხამიანი ფესვები, ჩვენ მოვსპეთ ბოროტება! და დღეიდან ვიცხოვრებთ ისე, როგორც ჩვენ გვეკადრება, როგორც ჩვენს ლამაზ და განუმეორებელ ქალაქს ეკადრება!

ორატორის ხმა ისევ ტაშისცემაში ჩაიხშო... ხოლო მე კიდევ უფრო მკაფიოდ გავიგონე ზურგს უკან:

ყვავილი ამოვიდა ჩემს სულზე.
ყვავილი ამოვიდა, ჰეი...
ყვავილი ამოვიდეს შენს სულზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი...

მღეროდა მათუსალა... და მე ისევ გამახსენდა ზღვა... ზღვა, რომელსაც უნდა მივაღწიო... აუცილებლად... რა-დაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა მივაღწიო... და ვიცხოვრო იქ, ზღვაზე და დავივიწყო ქალაქი, ვითარცა კოშმარული სიზმარი... დავივიწყო დედა, და, სიძე, სირო, მარია, მათუსალა. „მე შენი უკანასკნელი სიზმარი ვიქნები...“— მომაგონდა მათუსალას სიტყვები და მივხვდი: მე შემეძლო ყველა და ყველაფერი დამევიწყებინა, გარდა მათუსალასი... მას ვერ ამოვშლიდი ჩემი გონებიდან, ვერასდიდებით ვერ ამოვშლიდი.. .და მე მინდოდა მომეშორებინა იგი, დამეგდო აქ სადმე და გავქცეულიყავი, მაგრამ მე ეს არ შემეძლო.. მათუსალა არაფრით არ მომეშვებოდა და მეც უნდა მეთრია იგი ზურგით, მეთრია მთელი დარჩენილი სიცოცხლე... და მთელი დარჩენილი სიცოცხლე უნდა მესმინა მისი სიმღერისათვის, რომელიც ყოველ წამს სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა...

ყვავილი ამოვიდა ჩემს გულზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს გულზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი...

მათუსალა უკვდავი იყო... და უკვდავი იყო მისი სიმღერა.. და მე მივათრევდი მას და მის სიმღერას ზურგით... მივათრევდი ზღვისაკენ... „საითაა ნეტავ ზღვა?“ — გავიფიქრე და მომიტინგეთა შორის შევედი. „საითაა ნეტავ ზღვა?“ ზღვა ალბათ ამ მოედნის იქეთ უნდა ყოფილიყო, მე უნდა გამეპო გამოციებული თვალების ეს ტყე და სვლა განმეგრძო... და მე მივდიოდი შეუპოვრად, გზას ვიკაფავდი აღფრთოვანებულ სახეებსა და აღმართულ მუშტებს შორის და თან მათუსალას მივათრევდი... მისი სიმღერა კი განუწყვეტლივ ძლიერდებოდა და მომეჩვენა, რომ იგი უკვე მთელს მოედანზე ისმოდა, მთელს ქუჩაზე, მთელს ქალაქში... მისი სიმღერა საბოლოოდ

დაიფშვნა და მიმოიფანტა მთელს სამყაროში... მაგრამ ისიც მომეჩვენა, რომ ჩემს გარდა არავის ესმოდა მისი... არავის ესმოდა, რამეთუ ყველანი ორატორს უსმენდნენ და ისიც გაჰყვიროდა:

— ახალი მთავრობა მოგცემთ თქვენ ყოველივეს, რასაც წლების განმავლობაში ელოდით და შეჰნატროდით. იგი დაგიბრუნებთ სიმშვიდეს და საკუთარი თავისადმი რწმენას, იგი დადგება თქვენი პიროვნების სადარაჯოზე, იგი იქნება ჭეშმარიტად თქვენი მთავრობა.

ისევ იხუვლა ხალხმა, ისევ დაცალეს ჰაერში ავტომატები, ისევ აფრინდნენ მაშხალები... და ისევ გაისმა მათუსალას ხმა:

ყვავილი ამოვიდა ჩემს სისხლზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეი,
ყვავილი ამოვიდეს შენს სისხლზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეი...

და რაც უფრო მძლავრად ისმოდა მათუსალას სიმღერა, მით უფრო მძიმდებოდა მისი სხეული... და მე სულ უფრო და უფრო მიჭირდა მისი სხეულის ტარება... მაგრამ მე მაინც მივათრევდი... მაინც მივაპობდი ხალხით გადაჭედილ მოედანს და ზღვისაკენ მივისწრაფოდი... აი, თითქმის გავედი მეორე ბოლოში. ხალხი შეთხელდა... და სიხარულით გულატოკებულმა პირველად ვიგრძენი, რომ ქალაქი უკან რჩებოდა... უკან რჩებოდა უზარმაზარი ურჩხული ტანზე ასხმული ფანჯრებჩალეწილი სახლებით, ქვემეხებით, ცალხელა და ცალფეხა მამაკაცებით, გაუპატიურებული ქალებით, სისხლში არეული ტვინით, დაჭმუჭნილი ქალალდით, რომელზეც წერია „გაზაფხული აღარ მოვა“, გარყვნილი დით, რომელსაც გაყინულთვალებიანი ქმარი ყელს ღადრავს, თაგვის კონსერვით, ტარაკნის ჯემით, პოეტით, რომელიც წიგნების ნაცვლად პრეზერვატივებს ყიდის, ორთავიანი ბავშვით, თავისი მრეველის მაწყევარი, მღვდელმთავრით ქალით სქესობრივ კავშირს რომ ამყარებს, გვამებით მოფენილ მოედანზე ზედამხედველით, რომელიც ბაგონეტს ადა შოლტავს ადამიანს, რომელიც არ არის მასზე უკეთესი, რომელიც მკვლელია და რომელსაც საკუთარი თავი ეზიზღება, რომელსაც მთელი ეს უზარმაზარი ურჩხული ზურგზე მოუგდია და მიათრევს ნეტარი ადგილებისაკენ, მიათრევს იქ, სადაც ქალებს აცვიათ ძალიან ცოტა და უდარდელად ილიმებიან, სადაც ბიჭუნები იჭვრიტებიან გასახდელებში, შინდისფერ კერტებს ხედავენ და ფიქრობენ იმაზე, თუ რატომაა ისინი ასეთი ფერის, სადაც საღამოობით უკრავენ მუსიკას, რომელსაც ამ ქალების სხეულების სურნელი ასდის, სადაც დგაფუნობს ზღვა და ზღვის პირას ინთება შუქურა, რომელიც ჰგავს ერთდროულად მზეს და ქალის მკერდს... სადაც არ არიან ზედამხედველები და მწივანახმიანი ორატორები, სადაც არ არიან რევოლვერშემართული მღვდელმთავრები და ორთავიანი, მახინჯი ბავშვები, სადაც არ არის კრემატორიუმი და ამ ქვეყნიდან წასულებს წყალში აცურებენ მშვიდად და ლამაზად, სადაც ყვავილებს მინდვრებში კრეფენ და არა მათუსალასავით საკანალიზაციო ჭებში... ყვავილებს კრეფენ... ყვავილებს... მათუსალას კი... მათუსალას ისევ ისე მტკიცედ ჰქონდა ჩაბღუჯული თაიგული... და სულ უფრო და უფრო ხმამაღლა მღეროდა და სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა, და აი, გამოვაღწიე მოედანს და ვიწრო, ცარიელ ქუჩას დავადექი... დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ქუჩა მიმიყვანდა ზღვასთან, მაგრამ იქამდე უსაშველოდ შორი იყო მანძილი, მე კიდევ ყოველწამს სულ უფრო და უფრო მიძნელდებოდა ნაბიჯის გადადგმა, სულ უფრო და უფრო აუტანლად მაწვებოდა ზურგზე სიმძიმე და სიმღერაც, რაც დრო გადიოდა, სულ

უფრო და უფრო შემზარავად გუგუნებდა ჩემს ყურებში:

ყვავილი ამოვიდეს ქალაქზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეჲ...

და თანდათან შორს რჩებოდა ქალაქი... და თანდათან მეცლებოდა ძალონე, და თანდათან სულ უფრო ნათლად ვხედავდი ზღვას და უსასრულოდ შორ მანძილს იქამდე, და კიდევ, ო, კიდევ მკვდარ დედას, მკვდარ სიძეს, მკვდარ მარიას, მკვდარ ბავშვს, მკვდარ სიროს... მკვდარ საკუთარ თავს და უკვდავ მათუსალას, მკვლელს, ცოდვილს, მრუშს, მოღალატეს, ბინძურს და ამასთანავე წმინდას, მათუსალას, ქალაქის ხნის მათუსალას, რომელიც იჯდა ტროტუარის კიდეზე, ხელში გიტარა ეჭირა, თავი მაღლა აეშვირა და თავისი დამსხვრეული ხმით მღეროდა თავის უსაშველოდ ლამაზ და უსაშველოდ მარადიულ სიმღერას:

ყვავილი ამოვიდა ჩემს ტვინზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეჲ,
ყვავილი ამოვიდეს შენს ტვინზე,
ყვავილი ამოვიდეს ჰეჲ,
ყვავილი ამოვიდა ჩემს სულზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეჲ,
ყვავილი ამოვიდეს შენს სულზე,
ყვავილი ამოვიდეს ჰეჲ,
ყვავილი ამოვიდა ჩემს გულზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეჲ,
ყვავილი ამოვიდეს შენს გულზე,
ყვავილი ამოვიდეს ჰეჲ,
ყვავილი ამოვიდა ჩემს სისხლზე,
ყვავილი ამოვიდა, ჰეჲ,
ყვავილი ამოვიდეს შენს სისხლზე,
ყვავილი ამოვიდეს, ჰეჲ,
ყვავილი ამოვიდეს ქალაქზე
ყვავილი ამოვიდეს, ჰეჲ...

იანვარი—მარტი. 1992 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

ცხადსიზმარიანა

რომანი

ნიკო ტატიშვილი

ვერ გადავარჩინეთ, ვერ გაუძლო, არ ყოფილა ამგვარი გასაჭირის გადატანისთვის გაჩენილი. უფალს კალთა დაებერტყა მასზე სულიერი აღმაფრენისა, პოეზიისა, სიწმინდისა და სინატიფისა, სიკეთისა, აუწონავისა, გაუზომელისა. ისე აფრქვევდა თავის გარშემო ამას ყველაფერს, არა სწონიდა, არ ანაწილებდა ნამცეც-ნამცეც. გულუხვად, დაუნანებლად, დაუყვედრებლად თავაზობდა ყველას უფლის ბოძებულ ნიჭიერებას და ამავე დროს იყო სულმუდამ, სიჭაბუკეშივე თავისი გონების წვრთნაში, წიგნებით, გამოჩენილი ქართველი პროფესორების, — ღმერთო ჩემო, როგორი მადლიანი პროფესურა იყო მაშინ უნივერსიტეტში, ცალცალკე ყოველი მათგანი დიდი ევროპული ქვეყნების უნივერსიტეტებს რო დაამშვენებდა, — აი, ამ პროფესორების ლექციებით. აგროვებდა და აგროვებდა ასე დაუმცხრალად ცოდნას ნიკო და ჯერჯერობით არ ერეოდა საჯარო აზრთა ჭიდილში არც წერილობით, არცა გამოსვლებით.

ამას მერე მივხვდი, იქა, იმ ჯოჯოხეთში, ვლადიმირო-ვოლინსკის ტყვეთა სიკვდილის ლაგერში. ნიკოს იქ რა უნდოდა, ვინ აჰკიდა ხიშტიანი შაშხანა და ვინ შეიყვანა კაცთა სასაკლაოზე?! რა ნიკოს საქმე იყო ეს?! ყოფილიყო უნივერსიტეტის ჭერქვეშ, გამოჩენილი მეცნიერებისათვის ეგდო ყური, ექექა წიგნები და არქივები, ელესა გონება და ის უეჭველად ღირსეული მემკვიდრე იქნებოდა თავისი მწვრთნელი ქართველი მეცნიერებისა.

იქა ვნახე, იქ შემხვდა, ომისა და ტყვეობის ძნელი გზები გაევლო, გაეძლო ამისთვისაც დაუძლურებულიყო, მთლად დაკაფანდარებულიყო, დამჭკნარიყო და სულ შიოდა, სულ ნამცეცებს ეძებდა.

უფალს სულიერი აღფრთოვანებისთვის გაეჩინა, ფიზიკური ტანჯვების საწინააღმდეგო ძალები კი ვეღარ მიუმადლებია საკმარისად.

აი, აქ, ამ მდგომარეობაში მივხვდი, მანამდე, ომამდე რატომ ერიდებოდა საჯარო გამოსვლებს, რატომ იკავებდა თავს, რატომ ითრევდა ფეხს. იმის გამო კი არა, ჯერჯერობით თავს არ თვლიდა საამისოდ მზად, პაექრობას ვერ შეძლებდა, პრანჭია და გრეხია არ იყო, პრეტენზიულობისა არა ეცხო რა, ბაქიაობა და ცხვირაბზუება არ

იყო, მისი თვისება. შემიძლია, შემიძლიან, არ დაიკვეხნიდა, მაგრამ თუ აზრისა და ცოდნის ჭიდილში შეგებმებოდა, თავს არ შეირცხვენდა, უკან არ დაიხევდა, თავის პრინციპულ პოზიციას არ დათმობდა.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ჯერ-ჯერობით თავს მაინც იკავებდა და იქ, ტყვეთა ლაგერში მივხვდი, რატომ ერიდებოდა სალიტერატურო პაექრობაში აქტიურად ჩარევას. იმიტომ, რომ ვერ ეგუებოდა იმდროინდელ კონიუნქტურულ მოთხოვნებს, სოციალისტური რეალიზმის მოტორით დამუხტულ ლიტმცოდნეობასა და კრიტიკას. თავიდანვე, უმაწვილობიდანვე ვერ მიესადაგა მისი განწყობა იმდროინდელი საზოგადოების საზარზეიმო და ლოზუნგურ განწყობას.

ხელოვნებაში, კერძოდ ლიტერატურაში ეროვნული, ადამიანური და ესტეტიური საწყისები მიაჩნდა მთავარ საზომად.

გაძვალტყავებულს საუბარში რო შევიტყუებდი ლაგერში, მშიერ-მწყურვალიც ამ კრიტერიუმებით ზომავდა ლიტერატურაში ჩვენთვის საინტერესო ნაწარმოებებს.

ეს შევამჩნიე პირველი შეხვედრის დროსაც, ომამდე, მგონი 1940 წელს თუ უფრო ადრე, როცა უნივერსიტეტში ახალგაზრდა მწერლების ლიტერატურული საღამო გაიმართა. ნიკო ტატიშვილმა გააკეთა ამ საღამოზე მოხსენება. ეს იყო მისი საჯაროდ პირველი გამოსვლა. ამ საღამოზე სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები შეხვდნენ იმ ახალგაზრდა მწერლებს, რომლებიც უნივერსიტეტში სწავლობდნენ და ამავე დროს უკვე ნაწარმოებებს აქვეყნებდნენ ჟურნალ-გაზეთებში, ძირითადად ჟურნალ „ჩვენ თაობაში“: კოტე ხიმშიაშვილი, გიორგი ძიგვაშვილი, რევაზ მარგიანი, ალექსანდრე საჯაია, გაბრიელ ჯაბუშანური, ანდრო თევზაძე, ვლადიმერ უბილავა, იოსებ ნონეშვილი, ვლადიმერ სულაბერიძე და უკვე უნივერსიტეტდამთავრებული ლადო ბალიაურიც.

საღამოს შემდეგ სურათიც გადაგვიღეს, პირველ რიგში შუაში ნიკო ზის. ჩვენ, ფეხზე მდგომარენიცა და მსხდომარენიც გარშემო ვართ შემოჯარულნი.

რატომ?

ამას მერე მოგახსენებთ. ჯერ ამ სურათზე მინდა ორიოდე სიტყვა გითხრათ.

გადარჩა ეს სურათი.

ამ სურათმა გადაარჩინა გიორგი ძიგვაშვილის ხატება. 1942 წელს დაიჭირეს, გვემეს, დახვრიტეს. ბიძასთან ცხოვრობდა ერთ ოთახში, არ ვიცით, ჩეკამ ჩხრეკისას წაიღო თუ არა რამე. ომის მერე ბიძაც გარდაიცვალა. დაიკარგა გიორგის მთელი არქივი, ველარსად მოვიძიეთ. უმცროსი ძმაც ომში დაიღუპა და ორი ვაჟის დამკარგავმა დედამ ველარ მოუარა შვილების ხელნაწერებს. გოგის სურათიც არ დარჩენია შინ. აღარსად აღმოჩნდა გოგის სურათები, როცა რეაბილიტაციის შემდეგ, აგერ, ახლახანს, 1987 წელს როგორც იქნა რო ვეღირსეთ და მისი ლექსების გამოქვეყნება ვცადეთ ჟურნალ-გაზეთებში. საჭირო იყო პორტრეტიც.

ამ ჯგუფური სურათიდან, მაშინდელიდან, ომამდელიდან, უნივერსიტეტის საღამოს შემდეგ გადაღებულიდან ამოვბეჭდეთ გოგის პორტრეტი და ეს ერთადერთი პორტრეტი გვაქვს ახლა ხელთ. წიგნიც გამოდის მისი ლექსებისა, რომელსაც ეს პორტრეტი დაერთვის თან, მასზეა აღბეჭდილი გიორგი ძიგვაშვილის ოდნავ ღიმილიანი, ჭკვიანთვალებიანი, სანდომიანი, ალალი და კეთილი ხატება.

შუაში გვიზის-მეთქი ნიკო ტატიშვილი, გარშემო ვუზივართ და ვუდგავართ ჩვენ. ორიოდე წლით ჩვენზე უფროსი იყო, ამიტომაც და იმიტომაც, რომ იმ საღამოზე კარგი მოხსენება წაიკითხა. გამოარჩია ყველაფერი კარგი, მნიშვ-

ნელოვანი, რაც ჩვენს შემოქმედებაში მოიძია, პოეზიის პროფესიული ცოდნით, რო ვუსმენდით, თავადაც პოეტი, ლექსების მთხზველი გვეგონა.

ჯერ ასეთი სიტყვა ლექსების ესტეტიურ ღირებულებაზე არავის რო არა ჰქონდა ნათქვამი, მოხსენებაში არსად გაურევია სიტყვა: „საბჭოთა“, „რევოლუცია“, „სოციალისტური რეალიზმი“, „კომუნისტური“, „კოლექტივიზაცია“, „ინდუსტრიალიზაცია“, „სტალინი“, „ლენინი“, „ლენინური“, და სხვა ამდაგვარები. ამ სიტყვებით რო იყო ავსებული პრესა, ყველა წერილი, საჯარო გამოსვლა ლიტერატურაზე, ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებზე, მოთხრობაზე, ნოველაზე, რომანზე, წარმოიდგინეთ ცალკე ლექსებზეაც კი, ვთქვათ, შველზე დაწერილ ლექსზეც.

ნუ გაგიკვირდებათ, ახალუხლებო, დღევანდელო ახალგაზრდებო, მომავალო თაობებო. ჰო, ჰო, აგრე იყო...

შველზე დაწერილ ლექსზე მსჯელობისას როგორმე უნდა მოგეხერხებია ამ სიტყვების ხსენება, ზემოთ რო მოგახსენეთ, იმ სიტყვებისა, პოეტს, შველზე დაწერილი ლექსის ავტორსაც რო არ გაუვლია თავში. შენ, მის კრიტიკოსს, მიმომხილველს, შემფასებელს ეს სიტყვები არ უნდა დაგვიწყნოდა, როგორმე ან უნდა მიგესადაგებინა, ან უნდა გაგეკიცხა ლექსის ავტორი, ამ სიტყვების ცნებებს არ გასდევს შვლის ლექსი, უიდეოა, სადღეისოდ, აბა, რის მაქნისიაო. ასე რო არ ყოფილიყო, რედაქტორი ახლოს არ გაგიკარებდა, დარბაზიდან მსმენელებიც აგიჯანყდებოდა.

ჰო, ჰო, ასე იყო, ჩემო ძვირფასებო, ეს.

ჰოდა, ამგვარი სიტყვები რო ვერ გავიგონეთ ნიკოს მოხსენებაში, მოვინუსხეთ. მონუსხულნი ვუსმენდით და ველოდით, ჰა და ჰა, საცაა ამ მოხსენებაშიაც გამოტყვრებოდა რომელიმე ამათგანი, ამ სიტყვებთაგანიო. შენც არ მოგიკვდე, დამთავრდა მოხსენება და უცებ, თითქოს მოხსენება კი არა, რომელიმე გულისმოსაფხანი [illegible] წაეკითხოს, იხუვლა ტაში.

მე პირველად ასე გავიცანი ნიკო ტატიშვილი. მანამდე არ ვიცნობდი. დამინახავს უნივერსიტეტის დერეფნებში, ეზოებში, ფელიქიშვილის ქუჩაზე, მაგრამ ვინ იყო და რა იყო, ამის შესახებ არაფერი გამეგო. ზოგი ჩემი მეგობარი კოლეგაც პირველად იმ საღამოს შეხვდა მას.

ჩვენს შორის ჩამჯდარი ნიკოს პორტრეტიც გადარჩა.

თვით ნიკო ველარ გადარჩა, ვერ გაუძლო ომისა და ტყვეობის დავიდარაბას. მოულოდნელად შემხვდა. ძლივს ვიცანი. ვლადიმირო-ვოლინსკის ტყვეთა სასაკლაოზე შემომხვდა, დამაკვირდა, ვერ მიცნო, ყბებგადაბანდული და, რა თქმა უნდა, გალეული, გადაფითრებული მანაც ვერ მიცნო, სახელი და გვარი ვუთხარი. შენა ხარო?! — ესა თქვა მხოლოდ, არ გაცისკროვნებულა, შეხვედრის სიხარულის ნიშანწყალი არ გამოუმჟღავნებია. შენაც აქა ხარ, შენაც ამ ქვაბში ჩავარდიო?! — ეს ჩაიჩურჩულა მხოლოდ.

სულ ასე მეჩურჩულებოდა. ხმას არ აუწევდა. გავინაპირებდი ხოლმე, ლექსს წავიკითხავდი. დაუძლურებული ვიყავი, სისხლდაცლილი, ტყავი და ძვალი, მაგრამ ნარზე წამოწოლილი თვალს რო მივხუჭავდი, გვერდით მწოლიარე ამხანაგების საუბრებს მოვწყდებოდი, თვალმიხუჭულს აღარ მესმოდა მათი ვაიმე და უიმე, ჩემ ფიქრს მივნებდებოდი და ლექსი, ლექსი გაიელვებდა გონებაში, წავეტანებოდი, რითმაც თავისით მოდიოდა, ძალდაუტანებლად, მოულოდნელად — „ალილუია“ — და შეიკვრებოდა სტრიქონები, სტროფი:

„ფერი გაუკრთა ალილულ იას...
ალილუია, რეკენ ზარები...
ალილუია... ალილუია...“

ანდა

მიწას დადნობია ქარვა და ლალები,
ჰქრის და შემოდგომის დარია...
დაბლა დაფენილი შენი დალალები
დალის დალალების დარია.

ასეთებიც:

გადიკეტა ცხრა ცის კარები,
სიზმარს მოვყვები ახლა შენამდე.
იმ ძველისძველი ნაციზარებით,
ეჰ, საქართველოვ, კვლავ მომელანდე.

არა მქონდა ქაღალდი და ფანქარი, სად ვიპოვიდი? ვინ მომცემდა? ამათი ძებნის თავიც არა მქონდა. თავში გაელვებული ლექსები ქაღალდებზე ვერ გადამქონდა, ისე ვიმახსოვრებდი, ზეპირად. მიკვირდა, როგორ ვიმახსოვრებდი. ადრე ჩემი ლექსები ზეპირად არ მამახსოვრდებოდა. აქ, ამ ჯოჯოხეთში, კაცი რო იფიქრებდა, რა ელექსებაო, თავში გამკრთალი სტრიქონები აღარ მავიწყდებოდა. ამეკვიატებოდა, ვიმეორებდი და ვიმეორებდი, რა თქმა უნდა, ჩემთვის, გულში, ფიქრში, არც არავის ვუმხელდი, ვისმესთვის რო გამეგზილა, ვიცოდი, იტყოდნენ, აჰა, გაგიჟებულა კიდეცაო. იმათ არ ელექსებოდათ, არ ეოცნებებოდათ, მათ თვალწინ პურის ფინჩხები დასრიალობდნენ და დაფარფატობდნენ, მათ ფიქრებს შიმშილის სატანა დაუფლებოდა მხოლოდ და სულიერობისა არა გაეგებოდათ რა.

ნიკო არა, არ იტყოდა, გაგიჟებულა კიდეცაო, არც პეტრე იტყოდა ამას, ლორთქიფანიძე, იქვე ჩემთან მყოფი, მერე გიამბობთ მის შესახებ.

ნიკოს გავინაპირებდი, ცალკე გავდგებოდით, სხვა რო არავინ იყო ახლომახლო, აჰა-მეთქი, ყური მიგდე, აი, ლექსი-მეთქი. ნიკო თავს ჩაქინდრავდა, გაინაბებოდა და იმ წუთს, როცა მე ლექსს ვუკითხავდი, აღარა ვგავდით ჩვენ იმას, რანიც იქ ვიყავით. თან ვკითხულობდი და თან ამას ვგრძნობდი, ამგვარი განწყობა მეუფლებოდა. ვატყობდი, ნიკოც სხვანაირი იყო, გარინდული, ყურადღებად ქცეული, ჩემს სტრიქონებს მიდევნებული, ლექსიდან განწყობილებით შეპყრობილი. ... ამართავდა, შემხედავდა, ... ყოჩაღ, შენ, ...

ცისთვის. იმას ერთი ულუფა პური მიუცია და ქოშები. ბათინკებში. იქვე შეუჭამია ულუფა პური.

დავტუქსეთ მე და პეტრემ, ზამთარი კარს მოგვდგომია, ამ ქოშებით როგორ გინდა თოვლ-ჭყაპში გაძლებათქო, ვუკიჟინეთ. ვერაფერი გავაგებინეთ, პურიო, ერთი ულუფა პური მომცაო, ცოტა სული მოვითქვიო.

ძლია შიმშილის აგონიამ ნიკოს, უნაზესი და უფაქიზესი სულის ნიკოს.

ავადაც გაგვიხდა დიზენტერიით. ტყვეთა უპირველესი მტერი ეს ავადმყოფობა იყო. ცალკე შემოღობილში მოათავსეს. ამგვარებს გაარიდებდნენ ხოლმე ცალკე შემოღობილში, იქ ყაზარმაც იდგა, მაგრამ ავადმყოფებს ვერ იტევდა ყაზარმა. ზოგნი ცისქვეშ ეყარნენ. მე, პეტრე და ერასტი ჩვენ-ჩვენ ულუფა პურის ნაწილს ვახმობდით და ნიკოს ვაძლევდით. არარა წამალი არ ეშოვებოდათ გერმანელებს ჯუჭნაწლავთა ავადმყოფთათვის. ხმელი პური იყო ერთადერთი წამალი მათი, ეგაც ჭირდა.

ამ დროს მოულოდნელად გამიყვანეს მე ამ ლაგერიდან და მას მერე აღარ მინახავს ნიკო.

ომის შემდეგ, თბილისში ჩამობრუნებულს მითხრეს პეტრემ და ერასტიმ, გაუძლოო ნიკომ მაშინდელ დიზენტერიას, მერე ისინიც სხვა ლაგერში წაუყვანიათ, დაშორებიან ნიკოს და მეტი ვეღარაფერი მიამბეს მის შესახებ.

პეტრე ლორთქიფანიძე

პეტრეს აქ შევხვდი, ვლადიმიროვოლინსკის ტყვეთა ლაგერში. დასავლეთ უკრაინის ქალაქია, არ ვიცი, როგორი ქალაქია, ჩვენ მის ერთ უბანში ვიყავით გამოკეტილნი, ყოფილი სამხედრო დასახლების ყაზარმებში. ადრე წითელი არმიის გარნიზონი იყო მოთავსებული. აქ, დიდია, ფართო, ბევრი ყაზარმა და ადმინისტრაციული შენობებია ვრცელ ტერიტორიაზე. აბა, ქალაქში ჩვენ ვინ გაგვიშვებდა, გაგვევლო, ხვენახა, დაგვეთვალიერებინა? გვესმოდა, ძველი ქალაქია. [illegible] მოზრდილიო. გარეუბნის ყაზარმებიდან ჩვენ ამას ვერ ვამჩნევდით. ან რაში გვეპიტნავებოდა ,დიდი იყო თუ პატარა, ძველი თუ უძველესი. ჩვენნაირ ტყვედმყოფთათვის ასეთი სურვილები და ინტერესი აღარ არსებობს.

გრძელი ნარის მეორე სართულზე ჩემ გვერდით მოხვდა პეტრე. მეორე მხარეს ერასტი და ბიქტორა იწვნენ. პეტრე უნივერსიტეტის სტუდენტი ყოფილა, ფილოლოგი, მესამე კურსელი, მე მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ტყვეობაში შეხვედრა რა გასახარელია, მაგრამ მაინც გავიხარეთ, რაკი უნივერსიტეტელები აღმოვჩნდით.

გავვოცდი, ზურგჩანთიდან პეტრემ „ევფხისტყაოსანი" რო ამოიღო. ამას აქ რა უნდა-მეთქი, საიდანათქო, როგორათქო?!

შინიდან წამოელო. თელავის სამხედრო სასწავლებლიდან ქერჩამდეც ჩამოჰყოლია, ქერჩთან ბრძოლებში ტყვედჩავარდნილს ყველაფერი გადაუყრია და ზურგჩანთაში ეს წიგნილა ჩაუჩურთავს მხოლოდ. ვერ შელევია, ვერ გადაუგდია. ტყვეობის თავზარდაცემას ვერ გაუოგნებია. ვერ წაუხდენია, ვერ გაუფუჭებია. „ევფხისტყაოსანი" მარტო წიგნი რო არ იყო, ეს აზრი სატანას ვერ ამოუფხეკია თავიდან. გერმანელების ჩხრეკისას მუცელზე აუფარებია წიგნი. ზემოდან გიმნასტიორა და შინელი მიუფარებია. ქამარი მოურტყამს და ღვთის წყალობით, გერმანელს ვერ მოუაზრებია. წიგნს რო მუცელთან მალავდა. ღვთის წყალობა იყო ეს, ნამდვილი ღვთის წყალობა. რო ეპოვათ, წაართმევდნენ, მოისროდნენ, ტალახში ჩააგდებდნენ. არ შეარჩენდნენ, არ შეატანინებდნენ ლაგერში და გერმანელი ვერც მიხვდებოდა, ეს რო სულის ამობდის ტოლფასი იქნებოდა. ღვთის წყალობა იყო, აბა, რა იყო?!

ამან გააძლებინა.

გვიკითხავდა ტარიელის ლომ-ვეფხვთან ჭიდილს, ავთანდილის ანდერძს, ქაჯეთის ციხიდან ნესტანის გამოგზავნილ წერილს, ქაჯეთის ციხის აღებას... ჩაგჩიჩინებდა, ბოროტსა სძლია კეთილმაო...

ამის კითხვისას ავიწყდებოდათ ტყვეებს შიმშილი, სიცივე, სიდუხჭირე... ბევრს ჯერ წაკითხულიც არა ქონდა „ვეფხისტყაოსანი", ზოგმა მათგანმა კი იცოდა, ჩვენი დიდი წიგნი რო იყო, ძველთაგანვე სამზითვო და საამაყო, გაგონილი ჰქონდა, სხვათა ნაუბარისთვის ყური მოეკრა, მაგრამ თვალი არ შეუვლია წიგნის ფურცლებისათვის, ზეპირადაც კი იცოდა ზოგმა მისი სტრიქონები, ფრთიანი, გატყორცნილი, ატაცებული, ზეპირად იცოდა და წაკითხული არ ჰქონდა.

ნარებზე რო ვეყარენით მშიერნი, უძლურნი და უსაქმურნი, ეს წიგნი გადადიოდა ხელიდან ხელში და თავად კითხულობდნენ, ჩაკირკიტებდნენ, გადმოსძახებდნენ პეტრეს, ესა და ეს სიტყვა ვერ გავიგეო. პეტრეც მიუჯდებოდა მათ და „ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე" ამასა და ამას ნიშნავსო, გაუშიფრავდა. მიეშველებოდა მათ ღარიბ წარმოსახვებს, თავადაც ჩაუკითხავდა ხოლმე ალაგ-ალაგ, გაისუსებოდნენ, გაიტრუნებოდნენ, გამოლენჩდებოდნენ...

ხანდახან ნიკო წაეშველებოდა პეტრეს, ხან — მე.

არა, არა, იქ თუ არ იყავი, ძნელად მიხვდები იმ „ვეფხისტყაოსნის" მნიშვნელობას, პეტრე ლორთქიფანიძემ რო გადაარჩინა, ლაგერში რო შემოიტანა და დაუძლურებულ ტყვეებს რო გადაუშალა.

პეტრემ რო გაუძლო იმ ჯოჯოხეთს, ამ წიგნის გადარჩენისათვის გაძლო, პური არა ჰქონდა და ამ წიგნზე საზრუნავი აპურებდა, ღონე არა ჰქონდა და ნებისყოფას ძაბავდა, რათა ამ წიგნის ზიდვა შეძლებოდა.

სულიერებასავით წამოიღო საქართველოდან და უნდა გაეტარებინა სატანურ ქარცეცხლში რათა საქართველოშივე ჩაეტანა ხელუხლებელი, უბღალავ სულიერებასავით.

ქართული სულის ზეობა იყო ეს.

ამ წიგნს რო გუშაგობდა პეტრე ლორთქიფანიძე თავგადამკვდარი, ამით ქართული სულის უდრეკლობას გუშაგობდა.

მომაჯადოებლად კითხულობდა პეტრე, სიტყვებს გამოკვეთილად გამოთქვამდა, ინტონაციას ალაგ-ალაგ იცვლიდა, ალაგ ხმას აუწევდა, ალაგ დაუწევდა, ისე, რო ვერც კი შეამჩნევდი აწეულ-დაწეული ტონების საზღვრებს. ამჯერად პეტრე იმ თავს კითხულობდა, რომელშიც ტარიელი ვეფხისა და ლომის შერკინების ამბავს მოუთხრობს ავთანდილს. „შენ შენს საყვარელს რად ავნებ" და „მაგა მამაცობასა", — ამ ერთი სტრიქონის დასაწყისი და ბოლო სიტყვები ერთგვარი გაფიცხებით წაიკითხა, მაგრამ მათ შუაში, მათი შემაკავშირებელი „ფუ" უფრო ფიცხად წარმოთქვა და მართლა გეგონებოდა, ამას თვით ტარიელი ამბობდა. ხმაც ჰქონდა პეტრეს ისეთი მომხიბლავი, მოსმენა რო არ მოგწყინდებოდა არასოდეს. კითხვისას განსაკუთრებით გამოჰყოფდა რუსთველურ რითმებს, კითხვის პროცესში ისე ამახვილებდა მათზე ყურადღებას, მართლაც მუსიკასავით აღიქმებოდა პოემის ორგვარი შაირის მონაცვლეობა.

ამიტომაც მიიზიდა ისე ქართველი ტყვეები. ყოველდღე შემოუსხდებოდნენ გარშემო პეტრეს და ისიც დაუზარებლად უკითხავდა. გარდა იმისა, რომ კითხულობდა, საუბრობდა კიდეც წაკითხულის შესახებ. ესეც მიმზიდველად ეხერხებოდა.

ნიკო იმდენად იყო დაუძლურებული შიმშილისაგან, ხშირად არ ერთვებოდა პეტრესთან საუბარში. გრძელ ფიცრულ საწოლზე განზე იწვა. პეტრე განგებ სიტყვას გადაუგდებდა ხოლმე საუბარში შესაყოლიებლად და ჟა-

მიჟამ ჭრიდა ეს ხერხი. წამოჯდებოდა ნიკო და თავისებურად ანვითარებდა პეტრეს მიერ წამოწყებულ აზრს პოემის ამა თუ იმ ადგილის თაობაზე. ღრმად და თავისებურად ჰქონდა ნიკოს გააზრებული „ვეფხისტყაოსანი“. იმას ყურადღებას არ აქცევდა, რომ მსმენელთა შორის ბევრნი ისეთებიც იყვნენ, წაკითხულიც რო არ ჰქონდათ პოემა, პროფესიულად, ისე, როგორც მას ესმოდა, როგორც სჯეროდა, მსჯელობდა, საუბრობდა, ხანდახან პეტრეს საწინააღმდეგო მოსაზრებას გამოთქვამდა, ცნობილ რუსთველოლოგებსაც ეპაექრებოდა. კამათობდნენ და ედავებოდნენ ერთმანეთს პეტრე და ნიკო.

ვეფხისა და ლომის ამბავი რო დაამთავრა პეტრემ, განსაკუთრებით გამორჩეულად გამოუვიდა კითხვა და განზე ჩვეულებრივად წამოწოლილი ნიკო წამოიჭრა, მსმენელებს მიაჩერდა და თქვა:

— ბრიყვი უნდა იყოს კაცი, ამ სტრიქონების კითხვისას ბურძგლები არ ეყრებოდეს ტანზე, გული არ უკრთოდეს და არ უცაბცახებდეს. ხო თითქოს ზღაპრულია, ადამიანმა ვეფხვი და ლომი ერთდროულად დაამარცხოს, მოჰკლას, ეს ხო შეუძლებელია, მაგრამ როცა რუსთაველის ამ ღვთაებრივ სტრიქონებს წაიკითხავ, დაიჯერებ, რომ ეს მართლა მოხდა, იმდენად ძლიერია ტარიელის სიყვარული, ყოველნაირ მხეცურ ძალას სძლია. აქ მხატვრული სიმბოლოების ბრძოლაა და არა ბუნების ნატურებისა. სიმბოლოებს პოეზიის მაღალი სული უდგათ და ამიტომაც არიან ისინი მიმზიდველნი და მშვენიერნი. მსოფლიო პოეზიას არ გააჩნია მსგავსი რამ, მე ვამბობ „ვეფხისტყაოსნის“ ამ თავზე, ვეფხთან და ლომთან შერკინების პოეტური ამაღლების მსგავსი რამ. ამიტომაც რუსთაველი მსოფლიო პოეტია.

ამ წიგნს გუშაგობდა პეტრე ლორთქიფანიძე.

თავად ეს გუშაგობა იყო ქართული რაინდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოატარა, გამოიტანა, გამოიყოლია გვემულ სულთან ერთად ეს წიგნიც იმ ჯოჯოხეთიდან, ადამიანთა ვებერთელა საწამებელ და სასაკლაოდან. სხვა ლაგერებშიც ათრია მერე, ქვემეხების, ტონიანი ბომბების გრიალ-გრიალში, ტყვიების წვიმაში, თვითმფრინავების ზრიალში არ მიაგდო წიგნი, ყველაფერი მიყარ-მოყარა, ფეხისა და ტანის სამოსიც, წარმოიდგინეთ პურიც კი, პურიცა და წყლიანი მათარაცა. მაგრამ სულიერების პური და სამოსი „ვეფხისტყაოსანი“ მკერდზე ჰქონდა აკრული, თავადაც წიგნის ფარი იყო და წიგნიც მისივე მკერდის ჯავშანი. გადარჩა, ღვთის წყალობით, პეტრეცა და წიგნიც.

საქართველოდან წაიღო და საქართველოშივე ჩამოაბრუნა მსოფლიო ჯოჯოხეთგამოვლილი წიგნი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიკის ინსტიტუტში განაგრძო მუშაობა პეტრე ლორთქიფანიძემ. კვლავ წიგნები იკითხა, თავადაც დაწერა მრავალი ფილოლოგიური გამოკვლევანი, წიგნები გამოსცა.

მრავალჭირგამოვლილი „ვეფხისტყაოსანი“-ს გუშაგობას კვლავ განაგრძობს.

ხო არის ვახტანგისეული, ანადედოფლისეული, ქართველიშვილისეული და სხვათასეული „ვეფხისტყაოსანი?“

თავისი ბიოგრაფიით უნიკალური წიგნია პეტრე ლორთქიფანიძისეული „ვეფხისტყაოსანი“.

ერასტი რობაქიძე

მე და არჩილი ფეოდოსიის ტყვეთა ლაგერში სანიტარული კარვიდან რო გამოგვწერეს, ერთ გადახურულ ღია სადგომში დასაწოლად ერასტი რობაქიძის გვერდით მოვხვდით. აქ გავიცანი, ისიც დაჭრილი იყო. მაგრამ ზესტაფონელს საუბარში ზემოიმერული

მიმოქცევა გვარიანად ეტყობოდა.

ორ-სამ დღეში ისე შევეგუეთ ერთმანეთს, დიდი ხნის მეგობრებივით ვაცნობდით ჩვენ-ჩვენს ავანჩავანს, ერასტიმ ისიც კი გაგვიმხილა, პოლიტხელი, უფროსი ლეიტენანტი ვარო, გერმანელებთან კი მალავდა ამას, რო გაეგოთ, წაათრევდნენ და დახვრეტდნენ, ებრაელებს და პოლიტხელებს, რომელთაც კომისრებს ეძახდნენ ისინი, იმწამსვე, შეუბრალებლად ჟუჟავდნენ.

ხმა დაირხა ლაგერში, ოფიცრებს უფრო შელავათიანად ექცევიან გერმანელებიო. ერთხელაც გამოაცხადეს, მეთაური ვინც არის, ცალკე გამოდითო. ერასტიც გამოგვყვა, ოღონდ ის არ გაუმჟღავნებია, პოლიტხელი ვარო. რა თქმა უნდა, კომუნისტიც იყო ერასტი. ეს მხოლოდ მე, არჩილმა და ბიქტორამ ვიცოდით. გერმანელებმა მეთაურები ცალკე შემოღობილში მოგვაქუჩეს.

ფეოდოსიიდან წამოყვანილნი ჯანკოის რკინიგზასთან დაჭრილები მატარებელში ჩაგვსვეს, როგორც უკვე მოგახსენეთ, არჩილი აქ დამაშორეს, მძიმედ დაჭრილი არ ხარ, ფეხით სიარული შეგიძლიაო და ჩვენთან ერთად ვაგონში აღარ შეუშვეს.

აქ შევრჩით ერთმანეთს მე და ერასტი, ბიქტორაც, ქუთაისელი ბიქტორაც, რომლის გვარიც აღარ მახსოვს.

ვლადიმირო-ვოლინსკის ლაგერში ერთად, გვერდიგვერდ მოვთავსდით გრძელი ნარის მეორე სართულზე. ერთგული სამეგობრო აღმოჩნდა ერასტი რობაჭიძე.

ვერ გაუძლო ტყვეობის ორომტრიალს ვერცერთმა, ვერავინ — განაპირებულმა, განცალკევებულმა, მარტოკანამ და უკარებამ. იყვნენ ასეთები. იქაც, იმ სიდუხჭირეში, ადრე ცხოვრებაში, ომამდელში, ეგრეთწოდებულ მშვიდობიანობაში რო იყვნენ ამდაგვარნი, ეგაც ვიცოდი. კიცხავდნენ, აძაგებდნენ.... ისინი მაინც იყვნენ, ცხოვრობდნენ თავიანთ ვიწრო წრეხაზში, ცოცხლობდნენ ხანმოკლედაც, ხანგრძლივადაც. სიბერემდეც ცოცხლობდნენ მარტოკანანი და იყვნენ. ეს ეტყვის ვგულისხმობ. მუზებთან განცალკევება და განმარტოება არ არის ის მარტოკანობა, ჩვეულებრივი მომაკვდავი ცხოვრების წიოკ-წიოკობაში რო აიჩემებს.

მეც ბევრი მინახავს მარტონი და უკარებანი, იყვნენ, ბერდებოდნენ, ძლებდნენ.

ტყვეობაში კი ვერ გაძლეს ამდაგვარებმა. ულუფა პურს რო ხელთ იგდებდა, ზურგს შეგაქცევდა და ისე ჩაგკბიჩავდა, თვალებს ირგვლივ მოატარებდა და მორჩენილ ნატეხს ისე შეახვევდა ჩვარში ,უბეში ჩაიდებდა. იცოდა, არავინაც არ მოთხოვდა, გამინაწილეო, ულუფა იყო, ასეთივე ულუფა ჰქონდა ყველას და, აბა, ვინ ჩაუნაწილდებოდა! მაგრამ მაინც უფრთხოდა რაღაცას, ვიღაცას. თუ რამეს ზედმეტს იპოვიდა, იმას ხო არც გაამჟღავნებდა გვერდით მწოლებთანაც კი, მაშინვე, მყისვე ჩაცეცხლავდა, რათა ვისმეს არ შეემჩნია და არ ჩაზიარებოდა.

ხანდახან სალაფავს ოთხ კაცს ერთი ჯამით მოგვცემდნენ. ასეთები დანარჩენ სამს გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს, უფრო მეტი სალაფავი არ ამოიღოს კოვზითაო. რიგრიგობით ამოვიღებდით ხოლმე სალაფავს ჯამიდან კოვზით. ამდაგვარებს ყოველთვის ეჩვენებოდათ, სხვათა კოვზები უფრო დიდიაო.

ასეთებმა, — უამხანაგოებმა, უმეგობროებმა, უძმაკაცოებმა, — ვერ გაუძლეს ვერც ომისა და, რაღა თქმა უნდა, ვერც ტყვეობის სიდუხჭირეს. მარტოკაცი ვერ ერევა შიმშილ-სიცივისნაირ სიძნელეებს , ორნი—სამნი უფრო მედგრად ხვდებიან ამნაირ ქარიშხლებს, ერთი იღუნება, იგრიხება, მხარმისაყრდნობი არავინა რჩება გვერდით და იღუპება.

არჩილის შემდეგ ერასტი რობაჭიძე იყო ჩემი საყრდენი და მე—მისი. ისე მომენდო, როგორც მოგახსენეთ, ისიც

კი გამიმხილა, წითელ ჯარში პოლიტ-ხელი რო იყო. გერმანელები პოლიტ-ხელებს ხვრეტდნენ დაუყოვნებლივ. ეს კარგად იცოდა ერასტიმ, მაგრამ მა-ინც გამიმხილა, მაშასადამე ირწმუნა ჩემი ერთგულება.

უერთმანეთოდ პირში ლუკმას არ ჩავიდებდით. სად რა უნდა გეპოვნა, მაგრამ თუ ღმერთი რამეს გვიწყალობებდა შემთხვევით, მისხალ-მისხალ გავინაწილებდით.

ერთხელ, როგორც იქნა, მოახერხა, იძალა, იყოჩაღა, დილით ადრე ჩადგა ალაყაფის კართან მიზვავებულ რიგში და გავიდა, გავიდა ალაყაფის კარიდან, გადათვალეს გერმანელმა გუშაგებმა და გააღწია. იმხანებში კართოფილის ამოსაღებად მიჰყავდათ ტყვეები ქალაქგარეთ. თავს იკლავდნენ, თავს ვიკლავდით, იქ მოხარშულ კართოფილს იძლეოდნენ, რამდენიც გინდოდა, ლაგერშიაც შემოჰქონდათ გადამალული. თავს იკლავდნენ, მაგრამ ორმოცდაათი—სამოცი კაცის მეტი არ მიჰყავდათ. მთელი ლაგერი რო მიზვავდებოდა ალაყაფის კართან, სამი თუ ოთხი ათასი ტყვე მაინც იყო ლაგერში, ალბა, ორმოცდაათ ბედნიერში ვინ მოხვდებოდა, ვინ მიაღწევდა ალაყაფის კარს, კაცმა არ იცოდა.

იძალა ერასტიმ და გავიდა. მე ვერ ვიძალე. ვერ გავედი. ეს უკვე მერამდენედ. გულჩამკვდარი დავრჩი ლაგერში. ერასტი გავიდა, წავიდა...

საღამოს დაბრუნდა. ჯიბეებში და უბეში ჩამალული კართოფილი შემოიტანა. თვითონ გვარიანად, ძღომამდე დანაყრებულა სამუშაო ადგილზე. აქაც მოიტანა, მე მომიტანა, აჰა, მოხარშეო.

ჩავყარე საველე ქვაბში. ყაზარმაში ბუხარი იყო, შიგ ცეცხლი შეენთოთ. სხვებსაც შემოუტანიათ და ცეცხლში შეუდგამთ ქვაბები. მეც შევტენე ჩემი ქვაბი. ერთი სული მქონდა, სანამ წყალი ადუღდებოდა, სანამ კართოფილი მოიხარშებოდა. სხვა არაფერი მახსოვდა იმ წუთს, სხვაზე არაფერზე ვფიქრობდი, კართოფილ[illegible]ზე, მოხარშულ კართოფილს—ველოდი, სულმოუთქმელად ველოდი, დავნაყრდებოდი, ცოტათი სულს მოვითქვამდი. ერასტის ვლოცავდი, რო შემოიტანა, რო გამოაპარა გერმანელი გუშაგების თვალს, რო არ დაიშურა ჩემთვისაც, რო არ გადამალა.

ძნელი იყო იქ, ძალიან ძნელი, რამე საჭმელი გეშოვა და სხვისთვის გაგენაწილებინა. არც ძმაა შენი, არც ნათესავი, არც არავინ ახლობელთაგანი, შენ თავად სული გძვრება შიმშილისაგან, ღმერთმა ორიოდე ცალი კართოფილი გიწილადა, ორი დღით მაინც დაიცხრობ მუცლის გვრემას, შენ კი სხვას უნდა გაუნაწილო. დიდი ადამიანური ძალით უნდა აღგჭურვოს უფალმა, რომ ეს შეძლო, სხვას გაუნაწილო, თავად მოიკლო, თავის გადასარჩენი დაისაკლისო და სხვის გადასარჩენად გაიმეტო.

ჰოი, რა ძნელია ამის გაგება იმათთვის, ვინაც ამ მდუღარე ქვაბში არ გადახარშულა, ვინც იქ არ ყოფილა, შიმშილის აგონიით გათანგულ ბრბოში.

სულ ერთი წამით, არც მეტით, არც ნაკლებით, სულ ერთი წამით-მეთქი მოვშორდი ბუხარს, აღარ მახსოვს, რატომ მოვშორდი, რატომ გადმოვდგი ნაბიჯი ბუხრიდან. იმწამსვე დავბრუნდი, ბუხარში შევიხედე, დულს თუ არა-მეთქი ქვაბი. თავზარი დამეცა, სადღა იყო ჩემი ქვაბი, გამოელო, ვიღაცას გამოელო, წაელო, წაეგლიჯა, მოეპარა, იქით ვეცი, აქეთ ვეცი, ვიჯაჯღანე, ვითავცემე, სად არი-მეთქი, ხო არ დაგინახავთ-მეთქი... შემოვირბინე მთელი ყაზარმა, ვინ გეტყვის? ვინ გაგიმხელს, კიდეც რო იცოდეს, კიდეც რო დაენახოს?

მიწამ ჩაყლაპა ჩემი კართოფილიანი ქვაბიცა და მისი წამღებიც.

მაშინ, იმ ცხელ გულზე რო მენახა, დავგლეჯდი, დავგრეხდი, გავთელავდი,

სულს ამოვაძრობდი. ღმერთი მომცემდა ამის ძალას. რამდენი ავი კაცი მინახავს, მაგრამ ისე არავინ დამმახსოვრებია, როგორც იმ ქვაბის გამტაცებელი. შინ ჩამობრუნების მერეც ხშირად გამხსენებია. იმწამინდელი გულის რისხვა და ცეცხლი გამნელებია. რაკიღა გადავრჩი, გამინელდა, გავაცნობიერე, ავწონ-დავწონე. ისიც კი გავიფიქრე, ის გამტაცებელი იქნება მაინც ველარ გადაურჩა იმ შიმშილის აგონიას და მისი ძვლებიც ვლადიმირო-ვოლინსკისა ან სხვა ლაგერების გრძელ თხრილებში ჩაყარეს. აზომ-აწონვამ იმ აზრამდეც კი მიმიყვანა, ქვაბი იმიტომ გაიტაცა შიმშილმა ძლია, ბუნებით ქურდი არ იყო, მაგრამ თავის გადარჩენის ინსტინქტმა აიძულა, ააღებინა თავზე ხელი, ქურდად გახადა.

იმწამსვე-მეთქი დავგლეჯდი, დავჯიჯგნიდი, ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ვეფერები და ველოლიავები მის დაჩიავებულ და გამხმარ მოლანდებას, შეუნდე უფალო-თქო, ვჩურჩულებ.

შიმშილის აგონიაში ადამიანებს, უფრო სწორად, ზოგ ადამიანს, უმეტესობას, აღარ შესწევს უნარი ღვთაებრივი თავშეკავებისა.

დასეტყვილი, მკვდარ-ცოცხალი მიელასლასდი ერასტისთან, გამტაცესმეთქი, ქვაბიანად-მეთქი, მიწამ ჩაყლაპა-მეთქი. მიყურა, მიყურა. აჩქარება არ იცოდა, ამ მხრივ იმერელს არა ჰგავდა, უფრო რაჭველი გეგონებოდა. დაფიქრდებოდა და მერე გიპასუხებდა, თუ რამეს შეეკითხებოდი. ახლაც არ აჩქარებულა, არ შეუცხადებია, ეს როგორ მოგვიდა, თვალები სად გქონდა, ბუხარში რო შედე, ხელი რატომ შეუშვიო, არ იცი, რა მხეცებში ხარ გარეულიო? არ მომაყარა საყვედურები, მით უფრო ამის უფლება ჰქონდა, შორიდან სიმწრით მოტანილი კართოფილი აქ, თბილ ბუხართან ვერ მოვუხარშე. არ გაწიწმატდა, არ გაცხარდა. მიყურა ერთხანს და მერე მშვიდად ჩაილაპარაკა, რას იზამო, რაღა მოაბრუნებსო, კართოფილი ჯანდაბასაო, ქვაბი რო აღარ გექნება, ბოლო გეშველებაო?!

ქვაბიო, რო მიხსენა, მყისვე მეც გადამავიწყდა მოხარშული კართოფილი. მართლაცდა, ქვაბი?! უქვაბოდ ხო სულ დავიღუპები?! ბალანდას რო დაგვირიგებენ, რითი ავიღო?! მართლაცდა, რაღა მეშველება?! სად არის, ვინ მომცემს ქვაბს?! ქვაბი! ქვაბი! ქვაბი!

ამ გაოგნებიდანაც ერასტიმ გამომიყვანა, გამომაფხიზლა, დამაიმედინა. ხვალ გავიარ-გამოვიაროთ, „ბაზარს" თვალი გავადევნოთ, ის ოჯახქორი, ალბათ ქვაბს გასაყიდად გამოაჩენს, შენს ქვაბს ხო იცნობ, ნიშანი ხო გაქვს ზედ დაჩნეულიო?

ერასტის აუღელვებელმა სიტყვებმა გული მომიფონეს. სიმწრით ათრია კართოფილი შვიდ კილომეტრ გზაზე, გერმანელების ჩხრეკას ძლივს გამოაპარა, მე კი ველარც მოვუხარშე, მითუმეტეს, ჩემთვისაც იმეტებდა, ვერ ვუპატრონე, დავკარგე, დავუკარგე და არც აღელვებულა. კართოფილს არად აგდებდა, ისევ ჩემზე წუხდა, უქვაბოდ რაღა გეშველებაო.

ერასტი ხუთი-ექვსი წლით ჩემზე უფროსი იყო, ჩემზე ადრე ჯარშიაც გაწვეული, კადრის ოფიცერი, ჩინითაც ჩემზე უფროსი — უფროსი ლეიტენანტი. შიუხედავად იმისა, ერთ ტაფაში ვიხრუკებოდით, გვერდიგვერდ ვიწექით, ერთნაირად ვიყოფდით ჭირვარამს, შევეგუე და გავუშინაურდი კიდეცა, ასაკობრივი უფროსობის რიდი მაინც მქონდა მასთან. ეს სისხლხორცეული ბუნება იყო ჩემი, თორემ იმ ჯოჯოხეთში ამ ხასიათს შიმშილისა და სიბეჩავის აგონია როგორღა შეგარჩენდა? ჩვენს ოჯახში უფროს-უმცროსობის კულტი ისე იყო გაბატონებული, მე და ჩემს ძმას ბავშვობიდანვე სისხლშივე ჩაგვიჯდა, ეს ისეთივე ბუნებრივი წესი იყო ჩვენს ოჯახში, როგორც დედა-შვილობა, მამა-შვილობა, არავინ არ გვიჩიჩინებდა ამის თაობაზე ტი-

რადებს, თითქოს თანდაყოლილი თვისება იყო სუნთქვასავით.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, სამოცდაცამეტი წლისა ვარ და გულისტკივილით შევცქერი ჩემს გარშემო, საზოგადოებაში ოდნავ, ოდნავ კი არა, გვარიანად შელახულ ამ ქართულ ხასიათს.

გაოცებული გავადევნებ თვალს ყმაწვილს, რომელმაც გზაზე, ტროტუართან მანქანა შეაჩერა, სარკმლიდან თავი გამოყო და სიგარეტიანი ხელი გამოყო და ყოველგვარი მობოდიშების გარეშე შემომძახა, ასანთი ხომ არა გაქვსო, — არც ძიაო, არც ბაბუაო, რაღა თქმა უნდა, აღარც ბატონოო.

ერთხელ კი არა, ბევრჯერ ყოფილა ასეთი შემთხვევა. შევჩერდები, არამეთქი, ვუპასუხებ, შერგავს თავს მანქანაში და, ჰაიდა, გაქუსლავს. გავადევნებ თვალს და ვწუხვარ, გულში ჩემთვის ვჩურჩულებ, რათა, შვილო, რატომ, ასეთი კაი ბიჭი ჩანხარ გარეგნულად, ღმერთს მანქანაც უბოძებია, ხო გააჩერე, ბარემ კარიც გააღე, გადმოდი, ფეხზე მდგარი შემომეგებე, უკაცრავად, ბატონო, ან ძია, ან ბაბუა, — ასანთი ხო არა გაქვთო? — ასე მკითხე. რა დაგიშავდება?! რა მოგივა?! სამაგიეროდ ქართული ხასიათი გადარჩება, ქართული მამაპაპური ხასიათი განაგრძობს არსებობას. აკი, გაგიგონია, გსმენია, წაგიკითხავს, ყმაწვილი ცხენზე ამხედრებული უფროსს რო გზად შეხვდებოდა, თუ რამ სათხოვარი ჰქონდა, ცხენს შეაჩერებდა, ჩამოქვეითდებოდა, ქედს მოიხრიდა, ქუდს მოიხდიდა და დიდის მობოდიშებით შეაჩერებდა, ჰკითხავდა ან თხოვდა რამეს?!

ეს კარგად იცი, არა ჰგავხარ გაუგებარსა და ბედოვლათს, არც გლახა ოჯახიშვილობა გეტყობა, ჰოდა, რატომ არ იმეორებ, რატომ არ აგრძელებ წინაპართა ამ ეროვნულ ხასიათს?!

ანდა ტროლეიბუსში რო გათხლაშული ზიხარ, ცალი ფეხი მუხლით რაღაცაზე შემოგიდვია, მეორე ფეხი ისე გაქვს გაშლილი, თითქოს [illegible] ნი სკამი ტროლეიბუსისა [illegible] ახოვანი, მხარბეჭიანი, კაცი რო დაგინახავს და იტყვის, რა ეედამ გშობაო, რატომ არ შეტოკდები, როცა თავს წაგადგება ან ქალბატონი რომელიმე, თუნდაც შენი ტოლა ქალიშვილი, ანდა მოხუცი? რა მოგივიდა ჯანღონით გატენილ ჭაბუკს, სამოითხი გაჩერება ტროლეიბუსში ფეხზე იდგე?

სამაგიეროდ ქართულ სულს, ქართულ ხასიათს გადაარჩენ.

თუ ქართული სული, წეს-ჩვეულება და ხასიათი გადავაჯიშეთ, რაღა ქართველები ვიქნებით?!

ერასტისთან ყოველთვის ვცდილობდი, ჩვენს შორის ასაკობრივი დისტანცია უხეშად არ გადამეჯვეგა. ამას ამჩნევდა ერასტიც და არასოდეს მიუნიშნებია ჩემთვის, ჩვენს შორის ახლა ეგ რაღა საჭიროა, რაღა დროს ეგ არიო.

მეორე დღიდანვე გავედით ლაგერის ტერიტორიაზე.

ერთი კვირა ხელებში შევციცინებდით ტყვეებს. ქვაბებს ჩვეულებრივად არსად ვტოვებდით, შევამდით თუ არა ბალანდას, ქამრის წელზე ჩამოვიკიდებდით, ყველანი ასე ვატარებდით. ხარბად ვაკვირდებოდი წელზე ჩამოკიდებულ ქვაბებს. ერთი ყაზარმის გვერდით, მოფარებულად თავისებური ბაზარი იყო გამართული. ვინ პურის ნატეხს ერთ მოწევა მაბორკაზე ცვლიდა. ვინ ფეხსაცმელს ცვლიდა პურზე. აღებმიცემობა იყო გაჩაღებული. ფული არ ჩანდა ამ ბაზარზე. ვერც აღმოვაჩინეთ ჩემი ქვაბურა.

ამ ხნის განმავლობაში ერასტის ქვაბით ვღებულობდით ჩემსა და მის ულუფას ერთად. ეგაც ძნელია. ხანდახან სალაფავის დამრიგებელი მზარეული ულუფას რო ჩაგისხამდა, ცოტასაც წაგიმატებდა თუ გიცნობდა ან თუ ქაი ჩასიათზე ბრძანდებოდა. ამიტომ ყველას საკუთარი ქვაბი ერჩია. არავინ შეგიზიარებდა. ერასტიმ არც ეს იკადი-

რა, დასამატებელ სალაფავში არ გამცვალა.

ერთი კვირა ყოველ დღე ჩემი ულუფა პურის ნახევარს ვინახავდი. მაძღარი კაცი ვერ მიხვდება, რა ძნელია ეს. ერთი კვირა თავქვეშ გქონდეს ამოდებული ნახევარ-ნახევარი ულუფა პური, ზედ იყო გადაფოფრილი, არავინ მოგპაროს და, რაც მთავარია, სულმა არ წაგძლიოს და არ შესანსლო. ერთი კვირის ნაგროვები პურით ბაზარს მივაშურე და ქვაბურაში გავუცვალე ერთ რუსს.

ორიოდე კვირის შემდეგ მეც წამავლო ხელი უფალმა და აზიმზიმებულ ბრბოსთან ერთად გამათრია ალაყაფის კარიდან. შვიდი კილომეტრი გავიარეთ იმ ადგილამდე, საცა კართოფილი იყო ამოსაღები. ნაშუადღევს მოხარშული კართოფილი დაგვირიგეს იმდენი, რამდენიც გვინდოდა. რამდენიმე თვის შიმშილის შემდეგ პირველად ამოვივსე მუცელი. ვერ გავძეხი. კიდევ მინდოდა, მაგრამ ყელამდე ვიყავ ამოყორილი.

წვიმა წამოგვესწრო. ზურგჩანთებში ჩავყარეთ კართოფილი. ზურგზე მოვიგდეთ და შინელი გადავიფარეთ. გამიჭირდა შვიდი კილომეტრის გამოვლა, მაგრამ კართოფილი რო მიმჭონდა, ეს მაძლევდა ძალას. ერასტის გავახარებ-მეთქი, ვფიქრობდი.

ლაგერის ალაყაფის კართან დაგვერიენ გერმანელები, ცემა-ტყეპით დაგვაყრევინეს და წაგვართვეს კართოფილი. შუაში ვიდექი, სანამ სხვებს უბაზუნებდნენ, მოვასწარი, რამდენიმე თავი დაბამბული შარვლის ტოტებში ჩავიყარე და ჩხრეკისას ხელთ არ მოხვდა გუშაგს.

მთლად არაქათგამოცლილი მივედი ერასტისთან, გულჩამკვდარი, გულდაკოდილი, ძლივს მოვათრიე ალაყაფის კარამდე, რო მეგონა, ერთ კვირას მაინც სულს მოვითქვამდით მე და ერასტი, ალაყაფის კარზე მიმამსხვრევინეს ეს სიხარული.

ბარძაყებთან მიმალული კართოფილი ერასტის მივუყარე [illegible] მკვდარი გავიშოტე [illegible] მიმძინებოდა.

ერასტის თავის ქვაბურაში მოეხარშა კართოფილი. თვალი რო გავახილე, კართოფილის ორთქლი მეცა ცხვირში. ამჯერად გადაგვირჩა ქვაბურაო, შემომღიმა ერასტიმ. მაგ სადისტები, გასაწყვეტლები, ღორები-მეთქი, ვაგინე გერმანელი ბადრაგები. ხო იმდენი კართოფილი ვჭამე ნაშუადღევს? ახლაც შევუზიარდი ერასტის და გვარიანად დავნაყრდით.

ნაშუალამევს ტკბილ ბურანში თვალი გავახილე, ვიგრძენი, სასქესო ასო შარვალს მობჯენოდა. უნებურად ხელი წავავლე, მინდოდა მომესინჯა, ცხადი იყო თუ მეჩვენებოდა. ექვსი თვის შიმშილისაგან, რაღა თქმა უნდა, სქესიც ჩაკვდა ჩვენში. ქალი აღარც კი გვესიზმრებოდა. ამ მხრივ მიბნედილნი ვიყავით, მიჩლუნგებულნი.

გამიხარდა, ერასტის ნიდაყვი ვკარი, გავაღვიძე, გაიჭედა-მეთქი, შარვალს მოებჯინა-მეთქი! ეგ კარგის ნიშანიაო, თქვა, ერასტიმ, სისხლი მოგძალებია, მაშასადამე, მთლად წასული არ არის შენი ჯანმრთელობის საქმეო. არ გეგონოთ, ერასტი შემეხუმრა. არა. სრულიად სერიოზულად მითხრა ეს სიტყვები, რაკი ასეა, იმედიც გაკრთა, გადარჩენისა და გამძლეობის იმედი.

ოქტომბერში ერასტი გაიძახეს და ორასიოდე ტყვე ტყის საჭრელად წაიყვანეს რამდენიმე დღით.

გაგვთიშა ბედისწერამ ერთმანეთს. არჩილი არ შემარჩინა. აღარც ერასტი შემარჩინა. მოვიდა ვინმე ემიგრანტი ქართველი, მოგვიწოდა ქართველ ტყვეებს, ნუ ჩაკვდებით ამ ლაგერებში ასე უაზროდ, თქვენი სიცოცხლე მომავალში ძალიან დასჭირდება მშობლიურ საქართველოს, გადაარჩინეთ თქვენი სიცოცხლე, სტალინისთვის თქვენ მაინც აღარ არსებობთ, წამოდით გერმანელებთან სამუშაოდ, ჩაგაცმევენ, გა-

მოგკვებავენ, გადარჩებით და მალე უსტალინო სამშობლოსაც გამოადგებით.

„მართლაც, რა აზრი აქვს ამდაგვარ სიკვდილს?! როცა იცი, რაიმე მნიშვნელოვან საქმეს უნდა შესწირო სიცოცხლე, გასაგებია, შესაძლებელია. ყველა, რა თქმა უნდა, ამას ვერ შესძლებს, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამგვარ სიკვდილს არ შეუშინდებიან. ჩვენ კი შიმშილით სიკვდილი გველის წინ. ეს გარდაუვალია, თუ ამავე მდგომარეობაში დავრჩით. წითელი ჯვარი არაფერს მოგვცემს. ჩვენთვის არ არსებობს წითელი ჯვარი, მოწყალების ყველა გზა საბჭოთა ტყვეებისათვის გადაჭრილია. რა მოწყალება? რის მოწყალება? ის ქვეყანა არ გაიღებს შენთვის მოწყალებას, რომლის დასაცავადაც იბრძოდი, დაიჭერი, ტყვედ ჩავარდი, ჰოდა, გერმანელები, რომელსაც გუშინ ტყვეებს უშენდი, რატომ შეგიწყალებენ?! ანკი სადა აქვს ამდენი სამოწყალო პური და კართოფილი? იმიტომაც დაიწყო ომი, რო არა ჰქონდა, მიწა არა ჰყოფნიდა. მილიონობით ტყვე ჯარისკაცი როგორღა გამოკვებოს?! არა, არა... წინ სიკვდილი გველის, შიმშილი და სიცივე გაგვჟლეტს. აბა, ზამთარიც კარს მოგვდგომია. მშიერი როგორ გავუძლებ რუსეთის უსაშველო ყინვებს? გერმანელი ხო არ შეგფუთავს ბუმბულებითა და ქეჩის ჩექმებით?! ამოგძვრება სული ასე, დაგაგდებენ დროგზე, მოგისვრიან გრძელ თხრილში და ფაფუ!.. მორჩა და გათავდა. მერედა ასე უაზროდ? მე შენ გეტყვი, შესძახებს სტალინი, ყოჩაღ, სულაბერიძე, გვარიანი პატრიოტი ყოფილხარო. მეტი არაა ჩემი ძტერი. უკვე მოღალატედ მთვლის ცოცხლად გადარჩენილსა და მკვდარს ჩამთვლის რამედ?!“

ამგვარი ფიქრებით მე უკვე გაულენთილი ვიყავი სულიან-ხორციანად. ემიგრანტი რო მოგვიწოდებდა, თავი, სიცოცხლე გადაირჩინეთო, მაშინაც ეს ფიქრები მომესია. ამიტომაც ყველა ნაბიჯი წინ გადადგა, როცა დაგვიძახეს, ვინც თანახმა ხართ, ნაბიჯი წინო.

იქვე მაგიდა იდგა, რიგრიგობით მაგიდასთან მივედით, სიაში ჩაგვწერეს და ხელი მოგვაწერინეს.

სამი დღის შემდეგ ერასტიც მობრუნდა, ორასივე ტყვეც მობრუნდა, ტყის საკაფავად რო იყო წასული.

შუბლი შეიკრა ერასტიმ, ხელი რად მოაწერეო. მეგონა, ისიც თანხმობას განაცხადებდა, არ გაჯიუტდებოდა. რო მცოდნოდა, უარს იტყოდა. შეიძლება მეც არ მომეწერა ხელი. გამიძნელდებოდა მასთან განშორება.

ეარაო, ქვა ააგდო ერასტიმ და შუბლი შეუშვირა, გერმანელებთან სამუშაოდ ვერ წავალო, სამშობლოს ვერ ვუღალატებო, რა ღალატი, რის ღალატი-მეთქი, რომელ სამშობლოს გულისხმობ-მეთქი, სტალინი ახლაც მოღალატედ გვთვლის-მეთქი. ტყუილია ეგაო, სტალინი მაგას არ იზამსო, მე არაო, შენ, როგორც გენებოს, ისე მოიქეცი.

თავზარი დამეცა.

მეძნელებოდა ერასტისთან განშორება. ასე შეთვისებული მეგობრის დაკარგვა შეიძლება საბედისწეროც გაიდეს ტყვეობაში. წავიდოდი, განვუცხადებდი გერმანელებს, აღარ მინდა, ხელს აღარ ვაწერ, ამომშალეთ სიიდანთქო, მაგრამ ეგ ვეღარ გავბედე, რა იცი, რა ხიფათს გადაგყრის გერმანელი?! გულის ხმაც მაინცდამაინც არ მეზიდებოდა ამისკენ. ერასტისთან განშორება მეძნელებოდა, თორემ გადაწყვეტილება რო სწორი მივიღე, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა. გადარჩენის ერთადერთ გზად აქედან გაღწევა მესახებოდა.

ერასტიმ კი, არა და არაო.

ერთი კვირის მერე, ვინაც ხელი არ მოაწერა, ლაგერიდან გაიყვანეს.

იყვნენ ასეთი ფანატიკოსებიც. ერასტიც ერთერთი მათგანი იყო. არ მერყეობდა. სწამდა. სხვა ფიქრი თავში

არ გაუვლიდათ. კომუნისტური პარტია, საბჭოეთი, სტალინი. ესენი არად დაგიდევდნენ განკულაკებას, ხალხის მტერს, ოცდაჩვიდმეტს. სჯეროდათ, კულაკი უნდა განადგურდეს, ხალხის მტერი უნდა ამოიძირკვოს. პარტიის ხაზი სწორია. გერმანელები ლამის მოსკოვში შეცვივდნენ და ესენი მაინც გაიძახოდნენ, ჰიტლერი დამარცხდებაო.

ამ მხრივ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი გვქონდა მე და ერასტის. ვკამათობდით კიდეც. მიუხედავად ამისა, უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით, თვალისჩინივით ვუფრთხილდებოდით ერთმანეთს. ლაგერიდან რო გაიყვანეს, ალაყაფის კარი რო მიხურეს და ერასტი თვალს მიეფარა, გავიფიქრე, რაღა მეშველებათქო. წავიდა, წაიყვანეს ერასტი. ისიც კი გავიფიქრე, რაიღა თანამშრომლობაზე უარი თქვეს, გერმანელებმა შეიძლება მიახვრიტონ მეთქი სადმე.

არა, არ მიუხვრეტიათ. გადარჩენილა ერასტი.

ჩამობრუნდა შინ ერასტი რობაქიძეც.

გარეთ

დავრჩი ლაგერში უმეგობროდ.

ნელნელა, ჯგუფ-ჯგუფად გაჰყავდათ ქართველი ტყვეები ლაგერიდან.

ამის შემდეგ რაც მე შემემთხვა, ამის წინასწარ წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელი იყო. რომც წარმომედგინა, ვერ დავიჯერებდი, წარმონადგენი ხუხულასავით დამეშლებოდა იმწამიერადვე.

სული კბილით მეჭირა, ფეხზე ძლივს ვიდექი, ცოტალა დამრჩენოდა, შეიძლება ორიოდე კვირაც და ფეხებს გავფშიკავდი...

ვეგდე ნარზე. პურისა და სალაფავის მისაღებად წამოვდგებოდი. ეგაც მიჭირდა, მაგრამ, აბა, ვინ მოგართმევდა მხართეძოზე წამოწოლილს?! ერასტი აღარ იყო, ბიქტორაც ერასტის მიჰყვა. ვინ მომიტანდა პურსა და ბალანდას?! ავად არ ვიყავი, ცოტა-ცხელება არა მჭირდა, არც დიზენტერია. შიმშილისაგან არაქათი მქონდა გამოცლილი.

ასე რო ვეგდე ნარზე, ერთ დღეს გერმანელის ძახილი შემომესმა, პედაგოგი ხომ არავინ არისო? აქაო, ამ ნარებზე რომ წევხართ, თქვენს შორისაო?!

არ ვიცი, რატომ, ვინ ჩამაგონა, რამ მაიძულა, ძლივს წამოვდექი, არც იმაზე დავფიქრებულვარ, რატომ მაინცადამაინც პედაგოგს კითხულობს ამ დასაქცევში ეს გერმანელი, ისიც ქართველს? (ყაზარმაში მხოლოდ ქართველები ვიყავით). ვის რაში დასჭირდა აქ ქართველი პედაგოგი?! ძლივს წამოვდექი, იატაკზე მდგარ გერმანელს დავხედე და მივაძახე, პედაგოგი მე ვარ-მეთქი. აბა, ჩქარა, ჩქარაო, ამომძახა გერმანელმა, შენი ბარგიანად გამომყევიო. ვერ მივმხვდარიყავი, რა ხდებოდა ჩემს თავს, ისე ავიღე ჩემი ზურგჩანთა, ჩამოვფორთხდი მაღალი ნარიდან და კარისკენ დაძრულ გერმანელს მივყევი, ისიც კი შევძელი, ფეხი ამეჩქარებია.

ასე დაიწყო ის, რასაც ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი.

გერმანელს რო მივყვებოდი ოდნავ აჩქარებული ნაბიჯით, ძალაძალათი რო მივაბიჯებდი იმის შიშით, არ ჩამოვრჩე, არ დავეკარგო, ეგება სასიკეთო გზაზე მივყავარ, ეგება რამე მაჭამოსმეთქი, ის როგორ გამეთვალისწინებია, ქართულ ეროვნულ სამხედრო ნაწილში ამოვყოფდი თავს?! პედაგოგი ვინ არიო, რო დაიძახა, უკან რო მივდევდი, მაშინღა გამიელვა თავში, ამათ მასწავლებელი ვისთვის ან რისთვის სჭირდებათ-მეთქი?! ვერ შივმხვდარიყავი ამას, მაგრამ მცირედი ნაპერწკალი იმედისა მაინც წამეკიდა, ეგება სჭირდებათ, ეგება მართლაც საჭიროა, მე თუმცა პედაგოგი არა ვარ, მაგრამ ამათ

რა იციან, რამეს მოვახერხებ, მზარეულსა და მჭედელს ვერ მივემსგავსები, თორემ პედაგოგის მიმსგავსებას შევძლებ-მეთქი, ოღონდ პური მომცენ, მაჭამონ, გამაძღონ, მუცელი ამომაყორინონ.

იმ წუთში ეს იყო ჩემი საფიქრალი. გულწრფელად უნდა მოგახსენოთ, იმ ჟამად არ მამოძრავებდა არავითარი პოლიტიკური და პატრიოტული მსოფლმხედველობა. მით უფრო არ ვფიქრობდი სამხედრო კარიერაზე, რისთვისაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, თურმე მივყავდი იმ გერმანელ უნტეროფიცერს. ეგაც სათქმელია, ოცდაორი წლის ყმაწვილი, არ ვიყავი მე პოლიტიკოსი და სამხედრო სულისკვეთებისა.

თავად განსაჯეთ, აბა, როგორ მეფიქრა ამ მაღალ კატეგორიებზე, როცა, უნტეროფიცერმა გამიყვანა თუ არა ლაგერიდან, ერთი ბუხანკა პური, კონსერვი, კარაქი, ყველი და ძეხვის ნაჭერი მომცა, ერთ ვიწრო ოთახში შემაგდო, აქ დამელოდო, ორ საათში დაბრუნდა და რაც მომცა, ყველაფერი შეჭმული რო ნახა, გაოცდა, ამდენი საჭმელი რამ გაგათავებინა, სამი დღის ულუფა მოგეცი, მე ახლა გზაში რაღა გაჭამოო?! აი, ამ მდგომარეობაში მყოფი კაცი როგორ იაზროვნებდა მაღალ მოქალაქეობრივ კატეგორიებზე?!

მოგვიანებით კი, როცა შიმშილის პრობლემა მოიხსნა, უკვე ქართულ ეროვნულ ბატალიონში ვიყავი და იქიდან უკანდასახევი გზა, რომ მოგენდომებია, აღარ იყო. მე კი უკანდასახევ გზას აღარ ვეძებდი, ნაპოვნი გზა მნიშვნელოვან გზად მივიჩნიე ჩემ მდგომარეობაში მყოფი კაცისთვის.

საჭიროდ ვცანი საკუთარი და ჩემი ასეულის ორასი უბედური ქართველის სიცოცხლის გადარჩენა.

ეს მისია დამეკისრა მოულოდნელად, ტყვეობაში, მტრის მხარეს, სიკვდილის ხელიდან გამოსხლეტილს.

ავტომატიანმა უნტეროფიცერმა რკინიგზის სადგურში მიმიყვანა, მატარებელში ჩავსხედით და გაქანდა მატარებელი.

ჩვეულებრივი სამგზავრო მატარებელი. ვაგონის ყოველ კუპეს თავისი კარი ჰქონდა, ბაქნიდან ამ კარით შედიოდი ვაგონში, პირდაპირ კუპეში. ეს ჩემთვის ახალი რამ იყო, ასეთი ვაგონები ჯერ არ მენახა. თავი ჩემთვის უცხო გარემოში ვიგრძენი. ამდენი თვეა მშიერ-მწყურვალი ხან ფეხით დავეთრეოდი, ხან საბარგო ვაგონში იატაკზე ვეგდე და ისე მივჯაჯაყებდი. ახლა გვარიანად დანაყრებული თავისუფალ მოქალაქეთა ნორმალური ვაგონის კუპეში, რა თქმა უნდა, თავი უცხო გარემოში ვიგრძენი.

რაც მთავარია, გარეთ ვარ. მართალია თოფიანი უნტეროფიცერი მომყვება, მაგრამ ორთავე თავისუფალ მოქალაქეებთან ვსხედვართ.

ნუთუ მე გარეთ ვარ?! — ეს გაოცება მეწერა ალბათ სახეზე. თანამგზავრები ამას, რა თქმა უნდა, ვერ შეამჩნევდნენ, ვერ ამოიკითხავდნენ ჩემს სახეზე, თვალებში ამ გაოცებას. მათთვის ეს ჩვეულებრივი ყოველდღიური ცხოვრება იყო.

სად მივყავარ, არ მეუბნება უნტეროფიცერი, სულ იმას ჩამჩიჩინებს, არ გამექცე, თორემ გესვრიო. სად უნდა გავქცეულიყავი?!

კუპეში ჩვენ გარდა გერმანელი ორი ქალი და ერთი კაცი ისხდნენ. უნტეროფიცერი წარამარა იმას ეუბნებოდა მათ, როგორ გადავსანსლე მე ორ საათში სამი დღის ულუფა. ქალები ცნობისმოყვარეობით მაკვირდებოდნენ, თანამიგრძნობდნენ. საღამომდე ვიმგზავრეთ ერთად. როცა წაიხემსებდნენ, მე უყურადღებოდ არ მტოვებდნენ, ბიტტე, ბიტტეო, მეპატიჟებოდნენ. უნტეროფიცერს ერთი ლუკმაც არ გაუმეტებია ჩემთვის.

თუმცა ჩიჭორთული გერმანულით, მაგრამ მაითან საუბარს მაინც ვახერხებდი. გამომადგა სკოლაში ნასწავლი გერმანული, ტყვეთა ლაგერებ-

ში ხშირად რო მესმოდა. სკოლიდან გამოყოლილი ამ ენის უმნიშვნელო ცოდნაც საკმარისი აღმოჩნდა, რიგიანად ამეთვისებინა საყველპურო სალაპარაკო სიტყვები.

ამის გამო, იმჟამად მაინც, სულ მადლიერებით ვიგონებდი ჩემი გერმანული ენის მასწავლებელს ბეროძის ქალს, რომელიც ქუთაისში საშუალო სკოლაში მასწავლიდა. წარმოშობით გერმანელი იყო, ქალიშვილობის გვარი აღარ მახსოვს, ქართველ კაცს ჰყავდა ცოლად, ჩინებულად ლაპარაკობდა ქართულად. მშვენიერი ქართველი პოეტიც გაზარდა —რუთა ბეროძე.

მაღალი, ხმელი არ ეთქმოდა, მაგრამ, ხორციანიაო, ამასაც ვერ იტყოდი. მუდამ წელში გამართული, დინჯად დააბიჯებდა ხოლმე დერეფანში, მოხრილ მკლავზე მომარჯვებულ საკლასო ჟურნალით. ფეხს არასოდეს აუჩქარებდა, გარეთაც, შინაც, გამოზომილი ნაბიჯებით დადიოდა, ღიმილიც იშვიათად გაკრთებოდა მის სახეზე, მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოსდიოდა, ავი იყო, კაპასი, ჩხავილა. ხმას არასოდეს აუწევდა, არც ჩვენთან კლასში, გაკვეთილზე და არც უფროსებთან საუბრისას.

გაკვეთილზე რო შემოვიდოდა, ბავშვები თუ ჩურჩულსა და ლაზღანდარობას არ შეწყვეტდნენ, პირს შეგვაქცევდა, ფანჯარასთან მიდგებოდა და მდუმარედ იდგა. როცა კლასი მიწყნარდებოდა, შემობრუნდებოდა, თავის მაგიდას მიუჯდებოდა და, თითქოს არაფერიც მომხდარიყოს, პირდაპირ გაკვეთილს დაიწყებდა. ჟურნალს მაგიდაზე მოყუდებულ მერხზე მჯდომ კლასკომ გოგონას გაუწვდიდა, მისთვის ჰქონდა თავიდანვე მინდობილი მოსწავლეთა დასწრება-არდასწრების აღრიცხვა.

ერთხელ კლასკომი გამოიჭირა. ერთ დღეს გაკვეთილზე ბახვა ლომიძე გამოიძახა და უთხრა, შენ გუშინ არ იყავი, გაკვეთილი თუ ისწავლეო? კლასკომს სახეზე ალმურმა გადაუარა, გუშინ ბახვა მართლა არ ყოფ. მაგრამ მან ჟურნალში „არა" არ [illegible] ვა რო გამოიძახა, ამით მასწავლებელმა ანიშნა, მახსოვს, ვინ იყო და ვინ არა, შენ ნუ მომატყუებო. ამის მერე კლასკომს ეს არასოდეს არ გაუკეთებია.

ერთხელაც ერთმა ჩვენმა მეგობარმა, ეშმაკის ფეხმა, სკამზე ქინძისთავი დაარჭო და, როცა რუსულის მასწავლებელი მექი შემობრძანდა, სკამზე დაჯდა თუ არა, შეჰყვირა და ზე წამოიჭრა. ბავშვები ახორხოცდნენ. არაფერი უთქვამს, გავიდა გაკვეთილიდან.

აუტეხია დირექტორთან ერთი ამბავი. ამას გერმანულის მასწავლებელიც შესწრებია. მექი მოითხოვდა თურმე, ამ ოინის ჩამდენი სკოლიდან გაერიცხათ, გერმანულის მასწავლებელს უთქვამს, სკოლიდან რო გარიცხოთ, ქუჩაში უფრო მეტ ოინებს მოიგონებს და შეიძლება მთლად გაგვექცეს ხელიდანო. დირექტორისათვის მიუმართავს, ბატონი მექი ბავშვებს საბაბს აძლევს ამგვარი ქცევებისთვის. გაკვეთილზე წესრიგს ვერ ამყარებს, ხშირად შარვლიდან პერანგამოჩაჩულიც შედის გაკვეთილზე, მოუწესრიგებლად აცვია ხოლმე და ასეთი ოინებისათვის პასუხი მარტო ბავშვებს კი არა, მასწავლებელსაც უნდა მოვთხოვოთო.

ამან დააშინა მექი და მოსწავლეებზე საჩივარს თავი გაანება.

ამის შემდეგ გერმანულის მასწავლებლის ამბავი მთელ ქალაქს გავაგებინეთ.

აი, ამგვარმა მასწავლებელმა იმდენი რამ მასწავლა გერმანულ ენაში, რომ ტყვეობაში, გერმანელებთან რო მოვხვდი, შედარებით იოლად შევძელი ამ ენაზე ლაპარაკი.

თანამგზავრმა ქალებმა ისეთი გულისყური გამოიჩინეს ჩემდამი, სულ გადამავიწყდა, ტყვე რო ვიყავი. სანამ ავტომატიან უნტეროფიცრისაკენ [illegible]

გავიხედავდი, აღარც მახსოვდა ეს. ჯერ, რუსოო, მეძახდნენ, მერე, როცა მე ვუამბე მათ, რომ რუსი კი არა, ქართველი ვარ-მეთქი, ისიც მომთხოვეს, ეს რას ნიშნავსო. შეძლებისდაგვარად მოვუთხრე მათ საქართველოსა და ქართველებზე. უნტეროფიცერმა, შტალინიც ხო ქართველიაო, ისე თქვა, თითქოს ყველა ქართველი სტალინივით სისხლისმსმელი ვყოფილიყავით. შუბლშეჭმუხნილმა, ბრაზიანმა, ქალებმა კი, — ო, შტალინ, შტალინო, — ღიმილით ჩაილაპარაკეს და როგორც მე შევატყვე, მაინცადამაინც აუგიანად არ იყო ნათქვამი ეს სიტყვები.

საღამოს ერთ პატარა ქალაქში მატარებლიდან ჩამოვედით და უნტეროფიცერმა კითხვა-კითხვით მიაგნო იმ ადგილს, საცა უნდა მივეყვანე. პატარა გარნიზონში, რომელიც რამდენიმე სამსართულიანი წითელი აგურით ნაშენებ ყაზარმისგან შედგებოდა, უნტეროფიცერმა ერთერთ ყაზარმაში ჩემი თავი გერმანელებს ჩააბარა და იქ დამტოვა.

ეს აღარ იყო ტყვეთა ლაგერი.

ამჯერად მე მოვხვდი მის გარეთ.

მოულოდნელად ჩემი ბედისწერის ბორბალი სხვანაირად დაბრუნდა. ამ ჯარას წუთისოფელი აბრუნებს და ის ღვთაებრივია თუ სატანური, უნდა მინებდე, მიჰყვე, რამდენიც არ უნდა ეცადო, ის თავისი მიმართულებით იბრუნებს ჯიუტად.

მაშინ, ერთხელ კიდევ ჩემი ბედისწერის ჯარა წალმა შებრუნდა.

მე დავრჩი ტყვეთა სასიკვდილო ლაგერს გარეთ.

ბედისწერის გათამაშება

პირველივე დღიდან მივხვდი, რომ ბედისწერა სასიკეთოდ გამეთამაშა. რა თქმა უნდა, ეს შედარებითია, სასიკეთოდ მომეჩვენა იმასთან შედარებით, რა დღეშიაც ჩამოვდგი ტყვეობაში, ტყვეთა ლაგერებში. დამტოვა თუ არა ვლადიმირო-ვოლინსკის ლაგერიდან წამოყოლილმა უნტეროფიცერმა ეს ყაზარმაში, მაშინვე მივხვდი ამას, როგორც კი ერთ ოთახში შემიყვანეს და იქ სამი ქართველი გულგაშლილად და ხელგაშლილად შემომხვდა. ჩემი საწოლი, ფიცრებისაგან შეკოწიწებული ნარი კი არა, ჩვეულებრივი რკინის საწოლი ზამბარიანი. ქვეშაგებ გადაფარებული ძიძიჩინეს, ეს შენიაო, მითხრეს და მერე ხელი ჩამომართვეს, გამაცნეს თავი. მაგიდასთან დავსხედით თუ არა, მყისვე ვიღაცა იხმეს, ქვაბურა მისცეს და უთხრეს, აბლავე მზარეულთან ჩადი, რაცა აქვს, გამოგზავნოსო.

დამანაყრეს, გამომკვებეს, სული მომათქმევინეს, გონს მომიყვანეს, თავს მევლებოდნენ ბიჭები, ჯერ შიმშილის ვნება ჩაიცხრეო, ნებანება გაიარგამოიარეო. ერთი კვირა არც გერმანელებს მოუკითხავთ, ვჭამდი, მიდმოვდიოდი ჩემ ნებაზე. ჩემი ოთახის ბიჭებს გარდა სამსართულიანი ყაზარმა სავსე იყო ქართველებით, შევერეოდი მათში და ვეძებდი თვალგაფაციცებული ნაცნობს. ვერავის გადავეყარე.

ყაზარმული ცხოვრება დამყარებულიყო, სამხედრო წესრიგი, ათეულებად, ოცეულებად, ასეულებად დაყოფილნი ეწყობოდნენ. ისმოდა გერმანული სამწყობრო ბრძანებები. ყაზარმის ვრცელ ეზოში საგანგებოდ შერჩეულ ადგილას მთელი დღე მიმდინარეობდა სამწყობრო მეცადინეობა, მოედანზე გაჰყვიროდნენ ქართველი ბიჭები გერმანულად: აინ-ცვაი-დრაი-ფიერ, ლინგსუმ, რეხტს-უმ, შტინგენ-შტანგ, მარშ, ჰალტ და სხვა ამგვარ სამწყობრო ბრძანებებს.

ოთახში რო ბიჭები დამხვდნენ, ისინი ოცეულის მეთაურები იყვნენ: აკაკი ურუშაძე, თალაკვაძე, (სახელს ვეღარ ვიხსენებ), და ზაქრო გოგოძე. პირველი ოცეული ჯერჯერობით უმეთაურო ყოფილიყო. ბიჭებმა მითხრეს, ალბათ იმიტომ მოგიყვანეს, ეს ოცე-

ული ჩაგაბარონო. ეს ცნობა ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის, სახტად დავრჩი, ვერც კი ვირწმუნე, ასე რო მოხდებოდა. აგერ ახლა, რამდენიმე დღის წინ შიმშილით ვკვდებოდი ტყვეთა ლაგერში და, ბახ! უცებ ქართული ლეგიონის ოცეულის მეთაური! როგორ დამეჯერებია ეს?!

ორი კვირა ჩემ ნებაზე დავდიოდი ყაზარმების ტერიტორიაზე. ორიოდე ნაცნობიც შემხვდა სხვა ყაზარმებიდან. ერთი ქუთაისელი მეზობელიც შემომხვდა — ბიქტორა დეისაძე. ის ჩემზე უფროსი იყო, მისი ძმა ქუთაისში უკვე ცნობილი მსახიობი გახლდათ, მოზარდ მაყურებელთა თეატრში ნაცარქექიაც ითამაშა საკმაო წარმატებით. თავადაც ამ ხელოვნებით იყო დაინტერესებული.

ერთხელ ჩემ სკოლაში პიესის დადგმა მიანდეს. აღარ მახსოვს, რომელი პიესა იყო. მეშვიდე კლასში ვიყავი. რა თქმა უნდა, მეც ჩამრთო დასში. მობუცის როლს ვასრულებდი. ფარდის წინ შვილიშვილთან მივდივარ და რაღაცას ვარიგებ მას, ვმოძღვრავ, ვურჩევ, ვტუქსავ კიდეც და თან ყალიონი მაქვს პირში გაჩრილი. რეპეტიციებზე ამას ჩინებულად ვასრულებდი, მაგრამ აი, დადგა დროც პიესის სცენაზე წარმოდგენისა. ქუთაისში წითელ ხიდთან, სტამბის თავზე დიდი კლუბი იყო. აქ გაიმართა წარმოდგენა. დარბაზი გაივსო ჩვენი სკოლის ბავშვებით და მათი მშობლებით. ჩემი სცენით იწყება წარმოდგენა. გამოვედი წვერულვაშით შემოსილი, ჩოხაახალოხში გამოწყობილი შვილიშვილთან ერთად ფარდის წინ ავანსცენაზე, ზღვა ხალხი რო დავინახე დარბაზში, ელდა მეცა, ორიოდე ნაბიჯი გადავდგი. ყალიონიანი ხელი შევმართე, შვილიშვილს რაღაცა უნდა ვუთხრა, მაგრამ ვეღარ შევძელი ხმის ამოღება, რატომღაც სიცილი მომაწვა ყელში, თავი ვეღარ შევიკავე და ავხორხოცდი, შევჩერდი, რა მოვიმოქმედო, აღარ ვიცი, ავფხუკუნდი, დარბაზიც მიხვდა, რო რაღაცა გამიჭირდა იქაც გაისმა ერთად სიცილი. მთლად დავიბენი. ფარდის იქიდან სცენიდან მესმის დეისაძის ბრაზიანი ხმა, ნუ იცინი, ბიჭო, თქვი, თქვიო. სათქმელს კი თავი ვერ მოვაბი. ფარდის იქიდან წიხლი მკრა ბიქტორამ, ხმა ამოიღე, ბიჭო, ხმა ამოიღეო, მეორე წიხლიც მითავაზა. ამან უფრო ამრია, ვერა და ვერ დავიოკე ხითხითი. ახლა დარბაზიც გაბმულად ახითხითდა. უცებ შუა ფარდიდან გამოვარდა დეისაძე, წინ წადგა და მაყურებელს მიმართა, ბოდიშს გიხდით, წარმოდგენა აღარ გაგრძელდებაო. სცენისკენ წაგვიჯიკავა ბაბუას და შვილიშვილს, სცენაზე შეგვაგდო და ფარდის უკან მომდევნო სცენისათვის თავთავიანთ როლების შესაფერისად გამოწყობილ ბავშვებს რო შევეფეთე, გონს მოვეგე, ხითხითი ჩამიცხრა და თავდახრილი გავშეშდი მათ წინაშე. რეჟისორი პატარა სკამზე ჩამოჯდა, თავი ჩაქინდრა და გაქვავებული იატაკს მიაშტერდა.

მე ისე გავიპარე იქიდან, არავის შეუმჩნევია. ცაკაიას ქუჩაზე ვცხოვრობდით, კარგა ხანს მე ქუჩის მეორე ბოლოდან შემოვუვლიდი ხოლმე ქალაქისაკენ წასასვლელად, ბიქტორას სახლის წინ ჩავლას ვერიდებოდი, ვცდილობდი არ გადავყოლოდი.

აი, ამ ბიქტორას შევხვდი აქ ერთ დღეს მოულოდნელად, გაგვიხარდა ორთავეს და, რაღა თქმა უნდა, ეს ეპიზოდიც გავიხსენეთ, ამჯერად ორთავე ვხითხითობდით გულიანად.

ორ კვირაში ისე ჩამიცხრა შიმშილის აგონია, რომ უკვე საჭმელისკენ თვალი არ გამირბოდა. რა თქმა უნდა, შემწვარ-მოხრაკულს ვინ მოგართმევდა? მაგრამ აქაური ჯარისკაცური ბალანდაცა და სალაფავებიც გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ტყვეთა ლაგერში. ასე, რომ ორ კვირაში საკმაოდ დავნაყრდი. რაკი დავნაყრდი, გონსაც მოვეგე და იმის სურვილიც გამიჩნდა, რიგიანად გამეგო, სად მიმიყვანეს, სადა

ვარ, ბედისწერის რარიგ თამაშში ჩავერთე?!

ამაში უკეთესად გამარკვია სერგო ცაგურიშვილმა, რომელსაც ასევე მოულოდნელად გადავეყარე. სერგო ვლადიმირო-ვოლინსკის ტყვეთა ლაგერში გავიცანი. ტყვეები ათეულებად ვიყავით დაყოფილნი და ჩემი ათეულის უფროსი იყო სერგო. ლაგერიდან ჩემზე ადრე გამოიყვანეს და, აი, თურმე აქ მოუყვანიათ. ის პირველი ასეულის მეთაურად დაუნიშნავთ გერმანელებს. მისი ასეული ჩვენი ყაზარმის მესამე სართულზე იყო მოთავსებული.

თურმე აქ, ზასლავაში გერმანელები ქმნიან ეროვნულ ბატალიონებს. გარდა ქართულისა, იქმნება სომხური, აზერბაიჯანული ნაწილებიც. ჩვენი ბატალიონი შედგება ორი ქართული და ერთი სომხური ასეულისაგან.

ჩვენი ბატალიონი ორი ქართული და ერთი სომხური ასეულებისაგან შეუდგენიათ. მე მეორე ასეულში მოვხვდი, მესამე ასეული სომხებისაა.

ზასლავა დასავლეთ უკრაინის ერთი პატარა ქალაქია. ჩვენი სამხედრო გარნიზონი ქალაქის განზე საკმაო მოშორებით ეკალმავთულის ღობეებითაა შემოზღუდული. როგორც სერგომ მითხრა, აქ დაკომლექტებულ და გაწვრთნილ ეროვნულ ბატალიონებს გერმანელები აღმოსავლეთის ფრონტის დასახმარებლად იყენებენ. ჩვენი ბატალიონი ბერგმანი, ესეიგი სამთო ბატალიონი ყოფილა. ტრეიგს ბატალიონსაც უწოდებენ თურმე, მზიდავი, მუშა ბატალიონიო. ჯერ კიდევ გარკვეულად არ იცოდა სერგომ, სად წაგვიყვანდნენ და რა უნდა გვეკეთებინა. სამწყობრო მზადება მიმდინარეობდა მხოლოდ, იარაღი არ დაურიგებიათ და საბრძოლო სამზადისი არ ტარდებოდა. თოფისა, ავტომატისა და ტყვიამფრქვევის სროლაში არ წრთვნიდნენ ჯარისკაცებს.

რაკი ბავშვობიდანვე არ დამყვა სამხედრო სულისკვეთება, — ფიცრის ხმალი და თოფი არასოდეს გამიჩრია, არც ომობანას თამაში მიტაცებდა, — ტყვედ ჩავარდნა [illegible] გავიფიქრე, მორჩა, გათავდა. ბოლო მოელო ჩემს ჯარისკაცობას, თოფსა და ავტომატს აღარ შემომაჩეჩებენ ხელში და ჩემისთანა კაცს მეტი რაღა უნდათქო? ეს ფიქრი ძალას მმატებდა. შინაგანი ხმა შემომძახებდა ხოლმე, შიმშილს და სიცივეს გაუძელი, არ მოკვდე, მალე ეს ომიც დამთავრდება და...

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო.

ბედისწერამ ისევ ჯარისკაცობისკენ შემოაბრუნა ჩემი გზა.

ახალი ელდა

მოვმჯობინდი, მოვსულიერდი, გავუშინაურდი ჩემს ახალ მეგობრებს, ისინიც გამიშინაურდნენ.

სამწყობრო მზადებისას მათთან ვიყავი, ვუცქერდი, ვუსმენდი მათ გერმანულ ბრძანებებს. ყოველ ოცეულს თავისი გერმანელი მეთაური ჰყავდა, რომელიც უთვალთვალებდა ვარჯიშის მსვლელობას. ზოგი ფელდფებელი იყო, ზოგი უნტეროფიცერი. ხანგამოშვებით სავარჯიშო მოედანზე ასეულის მეთაური, ჩინით ობერლოიტენანტი შემოვიდოდა, რომელიმე გერმანელი დაინახავდა თუ არა, მყისვე შეჰყვირებდა, „ატტენგ!“ მთელ მოედანზე ვარჯიში შეწყდებოდა, ყველანი ობერლოიტენანტისკენ შებრუნდებოდნენ, ვინც „ატტენგო“ დაიძახა, ის მეთაური მხედრული ნაბიჯებით მიუახლოვდებოდა, მის წინ სმენაზე გაიჭიმებოდა და საფეთქელთან მოხდენილად ხელმიდებული მოახსენებდა, რას საქმიანობდა ასეული.

უკვე საკმაოდ კარგად გავიაზრე, სად ვიყავი.

რამდენიმე დღეში ისიც ნათლად წარმოვიდგინე, წინ რა გზა მედო. ის კი არადა, იმანაც მიმიზიდა და დამაინტერესა, ყოველი გერმანელი, უფ-

როსი რანგის ოფიცრიდან დაწყებული უბრალო ჯარისკაცამდე, ახალგაზრდაცა და ხანმორეულიც, როგორ მოხდენილად ასრულებდა სამხედრო რიტუალებს. ამ მხრივ ჩვენებსა და მათ შორის საოცრად დიდი განსხვავება იყო და კარგად შევამჩნიე ეს თავიდანვე, განსაკუთრებით სავარჯიშო მოედანზე, საცა ამგვარი წვრთნა მიმდინარეობდა გერმანელების მეთვალყურეობით.

ხანდახან ფიცხობდნენ და ბრაზობდნენ გერმანელი უნტეროფიცრები! როცა რომელიმე ლეგიონერთაგანი ისე ვერ შეასრულებდა ამა თუ იმ სამწყობრო წესს, როგორადაც ისინი მოითხოვდნენ. გამოიყვანდნენ მწყობრიდან ამნაირს, განცალკევებით დაიმარტოხელებდნენ და სჯიდნენ, მარშ, მარშო, და არბენინებდნენ, სირბილის დროს უბრძანებდნენ, ჰინლეგენ! — დაწექიო, მერე, აუფ! — ადექიო და ისევ, მარშ, მარშო, არბენინებდნენ ასე, სანამ არ გაასავათებდნენ.

ვუცქერდი ყველაფერ ამას და თანდათან ვეგუებოდი ჩემთვის ახალი გარემოს ავკარგს.

ორიოდე კვირის შემდეგ, ერთ საღამოს მომაკითხა ასეულის თარჯიმანმა ივანემ და, ობერლოიტენანტი გიხმობსო, გამიძღვა ასეულის მეთაურისაკენ.

ივანე უკრაინაში მცხოვრები გერმანელი იყო. ამათ, საბჭოთა კავშირის გერმანელებს ისინი ფოლკსდოიტშეებს ეძახიან. საცა კი ფეხს შეადგამდნენ, ფოლკსდოიტშეები მაშინვე გაჰყავდათ ჯარში. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევდა, საკმაო განსხვავება რო იყო მათ შორის — ქცევაშიც, ყოფით ჩვევებშიც და, რაც მთავარია, ენაში, გერმანული ენის რომელიღაც დიალექტს უფრო ჰგავდა ფოლკსდოიტშეების სალაპარაკო ენა.

ამგვარი რანგის გერმანელი იყო ივანეც, საშუალოზე დაბალი, ჩამკვრიგებული, ძვალმსხვილი, ოდნავ მწითური, ჭორფლიანი მრგვალი პირისახის ოცდაათიოდე წლის კაცი. საუბრისას მარჯვენა მკლავს მოხრიდა, ტოლმეტიტა თითებს გაშლიდა, ... გამოსათქმელ აზრს ხელის ამგვარი მოძრაობით უფრო ნათელსა და დამაჯერებელს ხდიდა.

ობერლოიტენანტი ღიმილიანი შემხვდა. ფართო, ნათელ ოთახში, — ეს იყო მისი კაბინეტიცა და საცხოვრებელი ოთახიც, საწერი მაგიდა, რკინის საწოლი, კარადა და რამდენიმე სკამი ფაქიზად იყო მილაგ-მოლაგებული. — შევედით თუ არა მე და ივანე, კართან სამხედრო წესით გავიშტრინკეთ, თავადაც წამოდგა, გაშლილი ხელის მტევანი მაღლა შემართა და, „ჰაილ ჰიტლერო“, შემოგვაგება, მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა, თავიც გამაცნო, ობერლოიტენანტი ოტტო ბეკერიო, სკამიც შემომთავაზა, ზეტცენ ზიო, — დაბრძანდითო.

ივანეს მეშვეობით გამესაუბრა, გვარი და სახელი მკითხა, სცადა ჩემი გვარის გამეორება, მაგრამ გაუჭირდა, არა უშავს, ალბათ შევეჩვევიო, სახელი კი თავისებურად წარმოთქვა, ვოლდემარ, ვოლდემარო.

დაინტერესდა ჩემი პიროვნებით, ვინა ვარ, რა ვარ? მეც მოკლედ გავაცანი თავი, ომამდე სტუდენტი რო ვიყავი, მერე სამხედრო სკოლა რო დავამთავრე ლეიტენანტის ჩინით და ყირიმის ფრონტზე ოცეულის მეთაური რო ვიყავი. რატომღაც ისიც წამომცდა, ლექსებს რო ვწერდი და თბილისში ჟურნალ-გაზეთებში რო იბეჭდებოდა ჩემი ლექსები. ეს რო ვუთხარი, სკამის საზურგეს ბეჭები მიაყრდნო, თავი შემართა და გაიღიმა. „გუდ, გუდო“, წარმოთქვა. საუბარში. ჩვეულებად ჰქონდა, თითქმის ყოველი ფრაზის შემდეგ დააყოლებდა, „გუდ, გუდო.“ პირველივე გასაუბრებისას შევატყვე ეს. მერე თქვა, ძალიან მიყვარს პოეზიაო .ქართველები თუ იცნობთ გერმანულ პოეზიასო? გოეთეს „ფაუსტის“ ჩინებული თარგმანი გვაქვს-მეთქი ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თულად. „გუდ, გუდო“, კვლავ თქვა და წამოდგა, კართან მივიდა და შემობრუნდა. „ახალგაზრდა ვერტერის ვნე-[illegible]-მეთქი ჩვენმა გამო-[illegible] მწერალმა, რომელმაც ბერლინის უნივერსიტეტი დაამთავრა და იქვე ფილოსოფიის დოქტორი გახდა-მეთქი, იმავე მწერალმა წიგნიც დასწერა-მეთქი გოეთეზე — „გოეთეს ცხოვრების რომანი“. შილერის ბალადები და „ყაჩაღებიც“ გვაქვს-მეთქი თარგმნილი, „ყაჩაღები“ დიდებულად დადგა-მეთქი ჩვენმა ეროვნულმა თეატრმა. რა თქმა უნდა, თარჯიმნის მეშვეობით ვსაუბრობდით, მაგრამ შიგადაშიგ ჩემს გერმანულსაც მოვიშველიებდი ხოლმე და მაშინ ობერლოიტენანტის „გუდ, „ცუდო“, განსაკუთრებით ხაზგასმულად მეჩვენებოდა. მკითხა კიდეც, გერმანული საიდან იცი. საშუალო სკოლაში ვისწავლე-მეთქი. ესეც გერმანულად მოვახლაფორთე, არ ეუხერხულა ჩემი ჩიქორთული გერმანული, ყოველშემთხვევაში, მე არ მაგრძნობინა, ისევ სკამზე ჩამოჯდა და თქვა, ჰერ, ვოლდემარ, ზეერ გუდ, ზეერ გუდო!

ობერლოიტენანტთან საუბარმა ტყვეობის სუსხიანი განწყობილება მთლიანად შემიცვალა. ტყვეობის პირველი დღიდან აქამდე გერმანელთან ამგვარი ლმობიერი და გულითადი საუბარი არსად არა მქონია. ლაგერების რეჟიმი მეტად მკაცრი იყო და ისინიც ამისდაკვალობაზე სასტიკნი და მკაცრნი იყვნენ, რეჟიმის ოდნავი დარღვევაც დაუნდობლად ისჯებოდა, მშიერმწყურვალს, უღონოსა და გონმიშრეტილს კი სად და როდის შეგეშლებოდა რამე, ღმერთმა უწყოდა, არ გინდოდა, მაგრამ შენდაუნებურად შეიძლებოდა რომელიმე წესი დაგერღვია, მაგალითად ოდნავ დაგგვიანებოდა დილისა ან საღამოს შესამოწმებელ მწყობრში, მოგაცხრებოდა მაშინვე გერმანელთა ჯაჯღანი და ტუქსვა, პოლიციელის ჯოხიც შეიძლებოდა გადაგტეხოდა ზურგზე. ამიტომ სულ შიშით იყავი მოცული.

ობერლოიტენანტის ადამიანურმა საუბარმა ეს შიში გადამავიწყა, რალაცნაირი ბორკილებისა და არტახებისგან გამანთავისუფლა და საუბრისათვის გამათამამა. შესაძლოა თვით ობერლოიტენანტიც ალარ მთვლიდა იმნაირ ტყვედ, როგორიც ლაგერში ვიყავი, თურმე ოცეულის მეთაურობას მთავაზობდა ქართველების ასეულში. ამას მე მაშინვე ვერ გავიცნობიერებდი, რა თქმა უნდა. მე ალბათ უფრო მისმა ადამიანურმა გულმა მიმიზიდა და ასე გაბედულად მიტომ ამიყოლია საუბარში.

ქართველების ასეულის მეთაურობა მომანდეს და მე ბევრი არაფერი ვიცი თქვენსა და თქვენი ქვეყნის შესახებ, გამიმხილა მან, გამიგონია, რომ შტალინის ქვეყნიდანა ხართ, მაგრამ სად მდებარეობს და რას წარმოადგენს, ამის შესახებ არაფერი გამეგებაო, თუ ხანდახან რამეს მიამბობთ თქვენს შესახებ, დიდადათ დამავალებთო, თქვენ სტუდენტი ყოფილხართ, პოეტიცა და ალბათ ეს არ გაგიჭირდებათო.

იხმო თავისთან პირველი ოცეულის მეთაური გოტვალდი, გააცნო მას ჩემი თავი და აცნობა, ამიერიდან პირველი ოცეულის მეთაურად ჰერ ვოლდემარი იქნებაო.

გოტვალდი ფელდფებელი იყო. საღამოს ოცეული ყაზარმაში მწყობრში ჩააყენა და გამოუცხადა, თქვენი მეთაური ჰერ ლოიტენანტი იქნებაო, წარმომადგინა მათ წინაშე.

ასე დაიწყო ჩემი სამხედრო კარიერა გერმანელებთან.

ტყვეთა ლაგერიდან თავდაღწეულისათვის ეს მოულოდნელი ფერისცვალება ბედისწერის ელდასავით მომაცხრა.

სვიმონ ზონია

სამი თვე ვიყავით ზასლავაში. სამწყობრო მეცადინეობა გვქონდა.

საბრძოლო წვრთნას არ გავდიოდით. ჯერ „ტრეიგს ბატალიონი“, „არბაიტს ბატალიონი“, ეძახდნენ ჩვენს ბატალიონს, მერე, როცა გერმანული ფორმა ჩაგვაცვეს და საზეიმოდ ფიციც მიგვაღებინეს, ბატალიონს „ბერგმანს“ უწოდებდნენ.

კარგად არ მქონდა წარმოდგენილი, რა დანიშნულებისა იქნებოდა ბატალიონი, სად გამოგვიყენებდნენ, რას გაგვაკეთებინებდნენ, მაგრამ ჯერჯერობით აშკარა იყო, საბრძოლო ამოცანებისთვის არ გვამზადებდნენ.

ობერლოიტენანტს საკმაოდ გავუშინაურდი, საამისო საშუალება მისმა უშუალო ხასიათმა მომცა. პოლონელი გერმანელი ყოფილა, ვარშავიდან გამოუწვევიათ ჯარში, სხვადასხვა ნაწილები შემოუვლია, ხანდახან ჩემთან საუბარში პოლონურადაც ალაპარაკდებოდა, გულისხმობდა, რუსულის მცოდნეს პოლონურის გაგება არ გამიჭირდებოდა, მაგრამ პოლონურის გაგება უფრო მიჭირდა, ვიდრე გერმანულისა. ამას თვითონ მიხვდა მალე და მერედამერე პოლონურად აღარ მესაუბრებოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც ვერ დავაზუსტებინე ჩვენი მომავალი საქმიანობა. წარმოდგენა არა მაქვსო, მეუბნებოდა. შეიძლება საიდუმლოს გამხელა ეძნელებოდა, შეიძლება მართლაც აგრე იყო, თავადაც არ იცოდა, რა უნდა გვეკეთებინა მომავალში. ეს არმიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, ნაწილებმა ხშირად არ იციან, ხვალ-ზეგ სად გაგზავნიან და რას გააკეთებინებენ.

ეგ კი ძნელი მისახვედრი არ იყო, საბრძოლო ვითარებისათვის რო არ გვამზადებდნენ. თოფებსა და სხვა იარაღებს არ გვაძლევდნენ და არ გვასწავლიდნენ. მათ ხმარებას.

ჩემი ქუთაისელი მეზობელი და მეგობარი ბიქტორ დეისაძე კარგა ხანია აქ ყოფილა, თითქმის მისი დაარსებიდანვე. ზასლავას ამ სამხედრო გარნიზონში აყალიბებდნენ ასეთ ბატალიონებს და სადღაც მიჰყავდათ. ასე განუწყვეტლივ ხდებოდა ახალ-ახალი ეროვნული ბატალიონების. ბიქტორს თავიდანვე აქ თავი შეურგავს სამოსამსახურეო შტაბში და გარნიზონის მხატვრული გაფორმება მიუნდვიათ მისთვის. წერდა და ხატავდა პლაკატებს, ლოზუნგებს, ამგვარად აფორმებდა გარნიზონის ეზოსა და ყაზარმების შესასვლელებსა და შიგა ოთახებს.

რაკი ასე ახლობელი ნაცნობი აქ არავინ შემხვედრია, მე თითქმის ყოველ საღამოს ბიქტორს ვხვდებოდი მან, რა თქმა უნდა, ჩემზე მეტი იცოდა ამ ბატალიონების შესახებ. ბევრი რამ მისთვისაც გაურკვეველი იყო, მაგრამ ერთი საერთო სამომავლო ბედი ამ ბატალიონებისა მაინც გაურკვევია. თურმე აქ ფორმდებოდა ჭართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების სამხედრო დანაყოფები იმისათვის, რომ, როცა გერმანელები მიადგებოდნენ კავკასიონის ქედებს და კავკასიაში შესასვლელად გაემზადებოდნენ, მაშინ უნდა გამოეყენებინათ ეს ბატალიონები. ამიტომ ერქვა მათ „ბერგმანი“ ანუ სამთო ბატალიონები. ალბათ მთებში ტყვია-წამლის, პროდუქტებისა და არმიისათვის სხვა რამ საჭირო ბარგი-ბარხანის გადასაზიდად. რა თქმა უნდა, არ იყო გამორიცხული ამ ვითარებებში ბრძოლებში ჩაბმაცო, თქვა ბიქტორმა. ჯერ-ჯერობით მთლად ვერ გვენდობიან და ამიტომაც იარაღს არ გვაძლევენ, მაშინ კი, როცა კავკასიის ფრონტის ხაზზე შეიყვანენ ამ ბატალიონებს, ალბათ იარაღსაც მისცემენ. ერთმა მაღალი ჩინის ოფიცერმა ისიც კი მითხრა, როცა საქართველოში შევალთ, ეროვნული ჯარიც ხო უნდა გვახლდეს, რათა თქვენივე ქვეყნის ინტერესები თქვენვე დაიცვათო, ეგაც გამანდო ბიქტორმა.

ასე, რომ, მკრთალად, მაგრამ მიახლოებით მაინც თანდათან გამოიკვეთა

ჩვენი ბატალიონის მომავალი დანიშ-ნულების კონტურები.

მიმზიდველად გამოიყურებოდა ეს კონტურები.

ჩემთვის მართლაც მოულოდნელი იყო — ბიქტორმა აქ მაჩვენა ქართული გაზეთი „საქართველო". პირველად ვნახე ეს გაზეთი. ის ბერლინში გამოდიოდა. საგანგებოდ ლეგიონერების გაზეთი ყოფილა.

გამატანა გაზეთი ბიქტორამ, ყაზარმაში ხარბათ წავიკითხე. შემოიარა გაზეთმა ასეულის მეთაურები და ჯარისკაცები.

ვთხოვე ობერლოიტენანტს და გაზეთზე მოთხოვნა-გავგზავნეთ ბერლინში.

ერთ საღამოს დავჯექი და მეც დავწერე, რა ხდებოდა ზასლავაში, რას ვაკეთებდით, ვინ ვიყავით, აღმოსავლეთის ფრონტისთვის რო გვამზადებდნენ, ეგაც აღვნიშნე, მხატვრული და პუბლიცისტური ნარკვევი გამომივიდა, სამშობლოსაკენ მხნედ ვისწრაფვით-მეთქი, ჩავურთე იქა-აქ, პირდაპირაც, მინიშნებითაც, ჩვენი ბატალიონის სურათი დავხატე და გავუგზავნე რედაქტორს გ. მადაურიძეს.

მოგვიანებით გავიგე, გ. მადაურიძე გ. მაღლაკელიძე ყოფილა, გერმანიაში ქართველი ლეგიონერების სამხედრო ლიდერის, გენერალ შალვა მაღლაკელიძის შვილი.

ერთი თვის შემდეგ გაზეთი „საქართველო" მივიღე, რომლის მთელ პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ჩემი ნარკვევი. სამწუხაროდ აღარც სათაური მახსოვს და აღარც ის, რა ფსევდონიმი მივაწერე. მოგვიანებით ლექსებიც დაიბეჭდა ჩემი ამ გაზეთში „ამურის" ფსევდონიმით. ეს ნარკვევი კი პირველი პუბლიკაცია იყო და ვეღარ ვიხსენებ, რა ფსევდონიმით გამოქვეყნდა. ვეძებ და ალბათ ამასაც მივაგნებ.

მთელ ბატალიონს მოედო ამ პუბლიკაციის ამბავი. რა თქმა უნდა, ობერლოიტენანტსაც ვავაცანი მისი შინაარსი. „გუდ, გუდო!", წამოიძახა, ხელი ჩამომართვა, წამოდგა და ცვლიან ეუბნა, „ზეერ- გუდო!"

უფრო გავხალისდი, ოცეულის სამხედრო წვრთნას უფრო გულიანად შევუდექი. გერმანელებს წესრიგი უყვარდათ. ამ მხრივ ძალზე მკაცრები იყვნენ. ჩემი ჯარისკაცები საბჭოთა არმიის კადრის წვრთნაგავლილნი არ ყოფილან, მობილიზაციით სასწრაფოდ წამოყვანილთ სამწყობრო მომზადებაც კი არ გაუვლიათ. ბევრ მათგანს თოფიც არ ჰქონდა გასროლილი, ფრონტზე რო მიიყვანეს და ხელთ შაშხანა მიაჩეჩეს. ამიტომ არ იყვნენ მიჩვეულნი სამხედრო წესრიგს. გერმანელების მკაცრ მოთხოვნების შესრულება უჭირდათ ყაზარმულ რეჟიმშიაც და სამწყობრო ვარჯიშშიაც.

ამას რო შევეჩეროდი, თანდათან წამეკიდა ჩვენი თანდაყოლილი ამპარტავნობისა და თავმოყვარეობის გზნება. ასეულის გერმანელ ჯარისკაცებსა და ეფრეიტორებს შორისაც იყვნენ ასაკოვანნი, მაგრამ ისეთი სპორტული ჟინით ასრულებდნენ სამხედრო რიტუალებს, მშურდა და გული მტკიოდა, ქართველებს რატომ უნდა ჯობდნენ აგრერიგად-მეთქი.

ამიტომ ცოტა სიმკაცრე ჩემს მოთხოვნებსაც შეემატა.

ოცეულის ჯარისკაცებთან მეგობრულად ვიყავი, ვსაუბრობდი მათთან, ვეკითხებოდი, მიამბობდნენ, ვუამბობდი. ბევრ მათგანს საშუალო განათლებაც არ ჰქონდა, ცოტანი იყვნენ სკოლადამთავრებულნიც. ჩემსავით ნასტუდენტარი ვერავინ აღმოვაჩინე.

მათთან საუბრისას ხშირად ვიშველიებდი, ვიხსენებდი ქართველ მწერლებს, ავთანდილის, ანდერძი და ვეფხვთან და ლომთან ტარიელის შერკინების ამბავი ზეპირად ვიცოდი, ვუკითხავდი ხოლმე მათ. სულგანაბულნი მისმენდნენ, გურამიშვილის „ქართლის ჭირი", ილიას, აკაკისა და ვაჟას ლექ-

სებით ვიზიდავდი მათ ყურადღებას. ამ მხრივ სულ მალე სიმპატიაც დავიმსახურე. თავად ვატყობდი ამას და ამიტომაც სამწყობრო ვარჯიშის დროს მეტი სიმკაცრით მოვითხოვდი, მწყობრში ნაბიჯები უფრო რიხინად გადაედგათ, მწკრივებსა და რიგებში სისწორე დაეცვათ, მისალმებაზე ერთსულოვნად ეპასუხნათ, მიბრუნება-მობრუნება კოხტად შეესრულებინათ.

ყაზარმაში თავისუფალ დროს ვეჩიჩინებოდი ყველა მათგანს, რაკი ლეგიონში, ვართ, თავს ნუ შევირცხვენთ, ხო ხედავთ, გერმანელები რა სხარტად და მარჯვედ ასრულებენ ყოველგვარ სამხედრო ილეთს? რატომ უნდა გვჯობდნენ ისინი? ჩვენ ხომ მათზე ნაკლებნი არა ვართ-მეთქი?

ბევრი მათგანი ჩემზე უფროსები იყვნენ, რომელთაც არავითარი სამხედრო წვრთნა არ გაუვლიათ არასოდეს და, რა თქმა უნდა, უჭირდათ, ხანდახან ისე მივეძალებოდი, ოფლით გაიხვითქებოდნენ, მაგრამ საყვედური არ წამოცდენიათ.

ერთ მათგანს კი ვერაფერი მოვუხერხე.

გაიგონებდა ბრძანებას „რეხტს უმ", ესე იგი მარჯვნისაკენო, შებრუნდებოდა მარცხნივ, მარცხნისაკენო, რო უბრძანებდი, მარჯვნივ შეტრიალდებოდა. ნაბიჯით იარო, როგორც კი გაიგონებდა, მარჯვენა ფეხს წადგამდა წინ. გამოიყვანდა ცალკე ათეულის მეთაური, ავარჯიშებდა, არა და არა, ვერაფერი შეაგნებინა.

მთელი ოცეულის მწყობრი ირღვეოდა ამ ერთი კაცის გამო.

დაბალი, ჩასკვნილი, ფართო, შავგვრემანი პირისახის ჯმუხა, ორმოც წელს გადაცილებული იყო სვიმონ შონია. (თუ არ ვცდები ასე იყო მისი სახელი და გვარი). ლაპარაკისას მეგრულ და ქართულ სიტყვებს ერთმანეთში ურევდა.

თავად დავიწყე მისი წვრთნა. რა არ ვიღონე, რა არ ვეჩიჩინე, არაფერი გამომივიდა. ვეტყოდი, დაიხსომე, კაცო, მარჯვენა აქეთაა, მარცხენა აქეთ, თავს დაგიქნევდა, უბრძანებდი, ... თავისებურად აკეთებდა, მარცხნივო, რო უბრძანებდი, მარჯვნივ შებრუნდებოდა. კენჭიც დავაკავებინე ხელში, დაიხსომე-მეთქი, კენჭიანი ხელი მარჯვენაა, რო გეტყვი, მარჯვნივთქო, კენჭიანი ხელისკენ შებრუნდი. შენც არ მომიკვდე! შეაყარე კედელს ცერცვი! მაინც მარცხნივ შებრუნდებოდა. ახლა კენჭი მარცხენაში ჩავჩარე, რო გეტყვი, ნაბიჯით იარ თქო, კენჭიანი ხელისკენ რო ფეხი გაქვს, პირველად ის ფეხი გადაადგი-მეთქი. მაინც მარჯვენა გადადგა და ყელში სისხლი მომაწვა, მაგრამ თავი შევიკავე, უფროსი კაცი იყო, მამისტოლა. ისევ ათეულის მეთაურს მივანდე ეგ საქმე.

ყაზარმაში შევატყვე, ერთგვარი პატივისცემით ეპყრობოდნენ სვიმონ შონიას. არავის არაფრად მიაჩნდა, მარჯვენასა და მარცხენას რო ვერ არჩევდა. ვფიქრობდი, უფროსი კაცია და ალბათ თავაზიანობისა გამო ექცეოდნენ აგრე მოკრძალებით.

მოგვიანებით ერთმა ჯარისკაცმა მითხრა, სვიმონ ბატონი წითელ არმიაში კადრის მაიორი იყო, ტყვედ რო ჩავარდა, გერმანელებს ეს არ გაუმხილა, ახლა ყველაფერს ამას განგებ აკეთებს, არავინ შემამჩნიოს, მაიორი რო ვიყავიო.

ამან ძალიან დამაფიქრა. თუ ეს მართალია, რაღაც უნდა ვიღონო-მეთქი, წითელი ჯარის კადრის მაიორი ათი თავით მაღლა უნდა იდგეს ჩემთან შედარებით სამხედრო საქმეში, მე კი მარცხნივ და მარჯვნივ შებრუნება-შემობრუნებას ჩავჩინებ და გულში ალბათ ფიქრობს, ვაი, შენს პატრონსო.

გავიხმე სვიმონი ცალკე, დავუყვავე, ბატონობით მივეხმატკბილე, შორიდან შემოვუარე, ასე-მეთქი, ისე-მეთქი, მამაჩემი თქვენი კბილაა ახლა, მე კი მარცხნივ და მარჯვნივ შებრუნებასა და

შემობრუნებას გასწავლით-მეთქი, უხერხულად ვგრძნობ თავს და დამეხმარეთ, შემომეშველეთ-მეთქი.

მე რა შემიძლია, ბატონო ლეიტენანტოო? — მკითხა.

რა შეგიძლიათ და ისა, რომა, მენდეთ-მეთქი, გამიმხილეთ თქვენი საიდუმლოება, მალავთ რაღაცას, მე არა ვარ საშიში კაცი, შვილად გეკუთვნით და უხერხულია ჩემთვის, მაიორი მწყობრში მყავდეს და ვაწვალებდე-მეთქი. ვაარე, ბატონო ლეიტენანტო, ვარე. რასაა რომ ამბობ, სკანი ჰირიმაო?! — შეიცხადა სვიმონმა. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ტყუილია, ვინ მომიგონაო? აღარ მივძალებივარ. გაჯიუტდა, გაკერპდა, ვარე და ვარეო, იძახა.

ათეულის მეთაური გავაფრთხილე, თავის ნებაზე მიუშვი, საითაც უნდა, იქით მიბრუნდეს და მობრუნდეს, ნუ გააწვალებ-მეთქი. ეგაც ვუთხარი ათმეთაურს, ეგება მწყობრს ავარიდოთ, თუ მორიგედ დარჩება ყაზარმაში, დავტოვე, როგორც ვატყობ, ჩემგან არ მიიღებს ამ წყალობას, იქნება შენ დაგყაბულდეს, თუ მოისურვებს, სამზარეულოში წავიდეს და იქ ისაქმოს როგორც უნდა-მეთქი, არ შეგამჩნიოს, საგანგებოდ რო სთავაზობ ამას, მწყობრი არ არის შენი საქმეთქო, მარჯვენას და მარცხენას ვერ არჩევთქო, თითქოს მწყობრში ხელი რომ გეშლება მისი გამოისობით, ამიტომ თავაზობ სხვა სამეურნეო საქმიანობას.

არც ამან გაჭრა. ათეულის მეთაური-საგანაც არ მიიღო ეს წყალობა. კვლავ მწყობრში დარჩა და კვლავ მარჯვნივ და მარცხნივ ბრუნვას თავისებურად აკეთებდა.

ბოლომდე ამოუხსნელი დარჩა ჩემთვის სვიმონ შონია.

ფიცი

სამი თვე მოუნდა ჩვენი ბატალიონის ფორმირებას.

მე თანდათან მომიცვა ეს ახალმა საქმიანობამ. ოცეულის [illegible] სახე გვარიანად გამოიცვალა. [illegible] ბიც გაყოჩაღდნენ, მწყობრშიაც და მწყობრის გარეთაც თავი ღირსეულად ეჭირათ და ეს შეუმჩნეველი არ დარჩათ გერმანელებსაც. ოცეულს რო წინ ჩავუტარებდი სამხედრო მარშით, ობერლოიტენანტი მომაძახებდა ხოლმე, გუდ, გუდო! ასეულის გერმანელი მომსახურე პერსონალი გამორჩეულად ყურადღებიანი გახდნენ ჩემს მიმართ. ასეთი წესი იყო, ჩვენ, ლეგიონერები, ასეულის მეთაურიდან დაწყებული ჯარისკაცამდე გერმანელ სალდათთანაც კი დაბალი რანგისანი ვიყავით, რო გამოჩნდებოდნენ, ყაზარმაში თუ შემოვიდოდნენ, პირველნი ჩვენ უნდა მივსალმებოდით, სმენაზე უნდა დაგვეყენებია ყაზარმა და მოგვეხსენებია მათთვის, რას ვსაქმიანობდით.

თანდათან ჩემდამი ასეთი მოთხოვნები განელდა, შემხვდურ ეფრეიტორს, ფელდფებელს ხელის აღებას ველარ ვასწრებდი, თავად ჩესალმებოდნენ უწინარეს, თუ გამესაუბრებოდნენ, ჰერ ლოიტენანტო, ასე მომმართავდნენ.

ოცეული რომ ჩამაბარეს, ერთი თვის შემდეგ ობერლოიტენანტმა ოტტო ბეკერმა თავისთან მიხმო და შემომთავაზა, ასეულს უნდა გავუძღვე და შენს მაგივრად ოცეულის მეთაურად ვინ გამოდგებოდაო. ეგაც დააყოლა, მალე სამხედრო ფორმაც უნდა ჩაგაცვათ, ფიციც უნდა მიგალებინოთ და, აბა, შენ იცი, ასეულს როგორ განაწყობ საამისოდაო.

ცალკე ოთახში დამაბინავეს.

გაგულისებულა მეოთხე ოცეულის მეთაური აკაკი ურუშაძე. ის წითელი არმიის კადრის კაპიტანი იყო, საკმაო გამოცდილება ჰქონდა სამხედრო საქმეში, წოდებითაც ყველა ჩვენთაგანზე უფროსი იყო და ელოდებოდა თურმე, ასეულის მეთაურობას მე მომანდობე-

ნო. მოულოდნელად მე რო დამნიშნეს, განაწყენებულა, გამოუთქვამს ეს წყენა ოცეულის მეთაურებთანაც. მოაღწია ჩემამდეც ამ ხმამ. სულ ერთი თვის ნაცნობები ვიყავით, უკვე კარგი ურთიერთობაც გვქონდა ერთმანეთში. რამდენიმე წლით ჩემზე უფროსი იყო კაკო, მე ოცდაოთხი წლისა ვიყავი, კაკო — ოცდათხუთმეტისა. თუმცა ორთავენი ახალგაზრდები ვიყავით, მაგრამ თერთმეტი წლის სხვაობა მაინც შესამჩნევად გვეტყობოდა. ამის გამო მე გაცნობის დღიდანვე პატივს ვცემდი ამ ასაკობრივ სხვაობას. ერთ ოთახში გვეძინა ოთხივე ოცმეთაურს, ერთად ვსაუბრობდით და ვსადილობდით. მალე გავშინაურდით. ღიმილიანი და უშუალო კაცი იყო კაკო. უკვე ცოლშვილიანი ყოფილა, ჯარში როცა გაუწვევიათ. იგონებდა მათ ხშირად. ტანისამოსი სულმუდამ კოხტად მორგებული ჰქონდა. წითელარმიული გიმნასტურა და შარვალი საგულდაგულოდ ჰქონდა მოვლილი, ლაგერებში წოწიალშიაც კი რიგინად შემოუნახავს და ახლა ! აქ ქამარს რო შემოირტყამდა, ყინჩად გამოიყურებოდა წითელარმიულ მუნდირში. (ჯერ კიდევ, რაც ტყვეთა ლაგერებიდან შემოგვრჩა, იმ ტანსაცმელში ვიყავით ყველანი გამოწყობილნი) სულმუდამ გაკრიალებული ჩექმები ეცვა. მიმზიდველი, მამაკაცური შესახედაობისა იყო და უხდებოდა სამხედრო პეწი და სიკოხტავე.

ამ მხრივ კაკო ჩვენს შორის მართლაც გამოირჩეოდა.

ასმეთაურობას ელოდა თურმე და გერმანელებმა რო არ უბოძეს, განაწყენებულა, კადრის ოფიცერი ვარ, ჩინითაც უფროსი და ასმეთაურობა მე მეკუთვნოდაო.

გერმანელებიც დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეთაურთა ჩინებს, თუნდაც წითელარმიელი ყოფილიყო. რა თქმა უნდა, კაპიტანი ერჩიათ ლეიტენანტს, მაგრამ ამჯერად მე უპირატესობა მომანიჭეს იმიტომ, რომ გერმანულად ლაპარაკი შემეძლო. გარდა ამისა ჩემმა საუბრებმა საქართველოს [illegible] ზე, ლიტერატურაზე [illegible] ობერლოიტენანტზე ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინა და ამიტომაც შეაჩერა არჩევანი ჩემზე.

მოგვიანებით, როცა მე და კაკო გულითადი მეგობრები ვიყავით უკვე, გამიმხილა კიდეც, ძალიან მეწყინა, ასეულის მეთაურად რო არ გამამწესესო, მაგრამ კარგად მივხვდი რაშიაც იყო საქმე და ამიტომაც იოლად მოვინელეო. მერე ბოლომდე სულ ერთად ვიყავით და აღარასოდეს გახსენებია ეს წყენა.

შევუდექი ჩემს ახალ მოვალეობას. ვცდილობდი მაქსიმალურად დაუფლებოდა ასეული ყაზარმულ და სამწყობრო წესრიგს. ამყვნენ ჯარისკაცებიც, მეთაურებიც, ზოგს უჭირდა, ვერ ახერხებდა ნაბიჯების იმგვარად გადაგდმასა და მწყობრში თავის დაჭერას, როგორც ეს მიღებული იყო გერმანულ არმიაში, მაგრამ ვატყობდი, ძალიან მონდომებულნი იყვნენ.

მოკლე ხანში მართლაც დაემგვანა ასეული სამხედრო დანაყოფს.

საჭირო გახდა სამწყობრო-სამარშო სიმღერაც. გერმანელებს ჰქონდათ არმიაში ძალზე პოპულარული სიმღერები, მრავალთა შორის გამოირჩეოდა „დოიტშლანდ იუბერალეს" და მეტად ლირიკული, მაგრამ მარშის ტაქტზე აწყობილი „ლილი მარლენ", რომელსაც მომხიბლავად გასდევდა რეფრენი „ოი, ლილი მარლენ, ოი, ლილი მარლენ". ეს სიმღერები გაისმოდა იმჟამად ყველგან, არმიაშიც, სამოქალაქო საზოგადოებაშიც, საცა გერმანული არმია ფეხს შეადგამდა, ეს სიმღერებიც მაშინვე ვრცელდებოდა. იოლად აღსაქმელი და ჰარმონიული სიმღერები იყო, მარტოდ დარჩენილი გერმანელი სულ ამას ღიღინებდა და ქუჩაში მიმავალი მწყობრიც ამ სიმღერების მონაცვლეობით ერთსულოვნად მიაბიჯებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუგზარ მუზაშვილი

დამარცხებული კაცი

გურამ გეგეშიძის რომანის „ხმა მღალადებლისას“ ერთ-ერთი პერსონაჟი თავადი ყაფლან ვარდანიძე, არაფრით არა ჰგავს მრავალი ჩვენთაგნის ცნობიერებაში სტერეოტიპულად არსებულ ჭარაფშუტა არისტოკრატს, ცხოვრების ერთადერთ მიზნად დროის ტარება რომ აქვს დასახული .

ერთ მშვენიერ დღეს თავადმა უარი თქვა ჩვეულ ცხოვრების წესზე და თავის მამულში „განმარტოვდა“ ასე რომ ჩვენ ვეცნობით კაცს, რომლის სულშიაც ღრმად გაუდგამს ფესვი ნაღველს და ეს მრავალფერი ქვეყანა ბინდისფერი შექმნილა მისთვის. გარეგნულად საანაღვლებელი არაფერი სჭირდა ბატონ ყაფლანს, იგი მდიდარი კაცი გახლდათ, დარბაისელი, ტკბილად მოუბარი, მეტრფე საკუთარი ქვეყნისა. მაგრამ ერთხელ თურქებთან ომში ერთ, სხვათათვის იქნებ სრულიად უმნიშვნელო შემთხვევას, წარუშლელი დაღი დაუმჩნევია მისი სულისათვის. ეს ამბავი ასე მოხდა. გაცხარებული ბრძოლისას ერთ-ერთ კარავთან მან შენიშნა ქვეითი ოსმალო, რომელსაც ხმალი ძირს დაეგდო, სასოწარკვეთილს ხელები სახეზე აეფარებინა და შორეულსა და უტყვ ცას შეჰბღაოდა. მოგვიანებით ბატონი ყაფლანი მიხვდა, რომ ეს უკანასკნელი წამი, რომელსაც თურქი უმწეო განწირულებით, ებღაუჭებოდა, იყო დამტევი უზარმაზარი, დაუსაბამო ტანჯვისა. მაგრამ, მაშინ თავადი ცხენიდან მთელი ტანით გადმოიხარა და ხმლის ერთი მოქნევით მოჰკვეთა თავი ბედისწერის ამ უმწეო მსხვერპლს, თითქოს ამით სურდა ჩაეკლა თავის ცნობიერებაში „მოულოდნელად წამოტივტივებული მოგონება, უადგილოდ რომ ახსენებდა: „არა კაც ჰკლა!“.

ომში რას არ გადაეყრება ადამიანი, რა ალარ შეემთხვევა. შესაბამისად, მსგავსი რამ ალბათ სხვათაც შემთხვევიათ, მაგრამ თავადი ყაფლანი ის კაცი აღმოჩნდა, რომელსაც მაინცდამაინც სწორედ იმ წამებში მოაგონდა უფლისგან დადებული მცნება და, რომელმაც მაინც ასე შეუბრალებლად მოჰკვეთა თავი უმწეო ადამიანს. გასაგები ხდება, რომ ეს ამბავი ბატონი ყაფლანისთვის უკვალოდ ვერ ჩაივლის. მართლაც, უკვე ომის შემდეგ, ვინმე აზნაურ ჭყონიას ბნელ ქოხში, ერთიანად დაჭრილ-დაჩეხილი, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარი და აწ უკვე გარდასულ სისხლისმღვრელ შეტაკებათა კოშმარებში გახვეული თავადისათვის ეს შემთხვევა ყველაზე კოშმარულ მოგონებად იქცა. თავადმა, რასაკვირველია, იცოდა, რომ ამ მცნების წარმოთქმისას მტრის ჯარისკაცი

არ უნდა ეგულისხმა, ცხოვრების ულმობელი კანონები მტერში ადამიანის დანახვას კრძალავდნენ. არც ბატონი ყაფლანი არღვევდა ამ კანონს, საერთოდ, არც არასოდეს უფიქრია ამაზე, რადგან საეჭვო და საკამათო ამაში მისთვის არაფერი ყოფილა. მაგრამ მოულოდნელად, თავისდა უნებურად, ეს კანონი მაინც დაარღვია. ბრძოლებში მას უამრავი მტერი მოუკლავს, რომლებზედაც შემდეგ წუთითაც აღარ უფიქრია, მაგრამ იმ სასოწარკვეთილი თურქის არაადამიანური შიშით დამახინჯებული სახე კი ვეღარაფრით ვეღარ დავიწყა, რადგან „მხოლოდ ის ერთი აღიქვა კაცად, ყველა დანარჩენი კი მტრად შეიგრძნო“. თუ არა ეს შემთხვევა, ბატონი ყაფლანის სულიერ მყუდროებას ალბათ არაფერი დაარღვევდა, მაგრამ რადგან ერთხელ დაირღვა, თანაც ასე მძლავრად, თავადის სულიერი აგებულების მქონე კაცს მისი მიფუჩეჩება აღარ შეუძლია. აღარ შეუძლია, რადგან ამ შემთხვევამ იგი მისთვის მეტად სამწუხარო ალტერნატივის წინაშე დააყენა. მონოლითური ერთიანობა, რომელიც აქამდე მის ცნობიერებაში ჰქონდა ცხოვრების კანონებს საღვთო ცნებებთან, უკვალოდ გაქრა. ტრადიციული, საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ მისთვის შთანერგილი რწმენა, რომელიც მის პიროვნებას მტკიცე ბურჯად ედგა და შესაბამის სიტუაციებში თითქმის ინსტინქტური მოქმედებისკენ უბიძგებდა, ამ, ერთი შეხედვით, უბრალო შემთხვევამ მთლიანად დაამსხვრია. თავადის სულში მანამდე არსებული მარტივი ჰარმონიის ადგილს სრული ქაოსი იკავებს. ამიტომ, როცა ერთი წლის შემდეგ თურქების ლაშქარი კვლავ შემოესია საქართველოს, ბატონი ყაფლანი შინ იჯდა. მას აღარ შეეძლო ბრძოლა. როგორც ჩანს, არა მარტო ფიზიკური ტკივილების გამო, რომლებიც მოუშუშებელმა იარებმა დაუტოვეს — გაცილებით ღრმა და მნიშვნელოვანი იყო მისი სულიერი იარა. თავადი დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ღმერთთან, ადამიანებთან, მტერთან თუ მოყვარესთან და საერთოდ გარე სამყაროსთან დამოკიდებულების ის წესები, რომელთაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მტკიცედ იცავდნენ ყაფლან ვარდანიძის წინაპრები და რომელთა ერთგულებითაც აღიზარდა თვითონ ბატონი ყაფლანიც, მოულოდნელად ეჭვის ქვეშ დადგნენ. თავადის მსგავსი ადამიანისათვის ეს უმძიმესი კრიზისია. მის ქაოსით მოცულ ცნობიერებაში უფრო და უფრო ხშირად იბადება ყოველივეს ამაოების სამწუხარო აზრი. „ამაოდ დავშვრითო“, გაუშინაურდა ეს განცდა. მაგრამ შეუძლებელია ასე გრძელდებოდეს უსასრულოდ, გამოსავალი უცილებლად უნდა მოიძებნოს. და „ბატონი ყაფლანი წიგნებში ჩაეფლო. საკუთარ ოთახში განმარტოებული ბევრს ფიქრობდა სიცოცხლისა და სიკვდილის რაობაზე... მას ჭეშმარიტების შეცნობის სურვილი გაუჩნდა“.

თავადის პირად განცდაში ღვთაებრივ მცნებებსა და ცხოვრების კანონებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა დაიბადა. რა მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მის გარშემო ამგვარი რამ არავის აწუხებს? ეს თავადის პირადი უბედურებაა, პირადი პრობლემაა, რომლის გადაწყვეტაშიც ვერც მეუღლე, ვერც შვილი, ვერც ნათესავი, ვერავინ ვერ დაეხმარება. მან იგი თვითონ, საკუთარი ძალებით უნდა გადაჭრას. ბატონი ყაფლანისთვის ნათელია, რომ ფაქტიურად იგი არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. იგი იძულებულია ან ღვთაებრივ მცნებებს უერთგულოს, ანდა ცხოვრების კანონებს მისცეს უპირატესობა, რადგან მხოლოდ ამ გზით შესძლებს თავი დააღწიოს შინაგან ქაოსს და კვლავ სულიერი მთლიანობა მოიპოვოს. თუმცა, ბატონმა ყაფლანმა, შეიძლება ითქვას, ინსტინქტური

არჩევანი ჰყონიას ქოხშივე გააკეთა. თავადის დასკვნით, უფლისმიერი ღვთაებრივი მცნება — „არა კაც ჰკლა", ლამაზი, მაგრამ სრულიად ფუჭი და უსარგებლო სიტყვებია. სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე მდგარი ადამიანის ამგვარი დასკვნა, სრულიად მისაღები აღმოჩნდა უკვე გამოჯანსაღებული, ცივი გონებით განმსჯელი ბატონი ყაფლანისთვის. მეტიც, მთელი მისი მერმინდელი მცდელობა სწორედ ამ ინსტინქტური არჩევანის დასაბუთებისკენ არის მიმართული. „ყოვლის შემძლე" გონებას სასწაულების მოხდენა ძალუძს, განსაკუთრებით კი სწორედ ასეთ შემთხვევაში თავადი ასე იწყებს მსჯელობას: „არა კაც ჰკლა" არის ღვთის სიტყვა, მაგრამ საიდან მოდის მტრობა, ადამის ძეთა დანაწევრება და დაქუცმაცება? თუ არა ისევ განგებისაგან?.. მტერიც კაცია, ადამის შვილი, — განაგრძობს ბატონი ყაფლანი, — უფრო მეტიც, „ჩვენ ყველანი ერთ ვართ", მაგრამ არ ვემორჩილებით საკუთარ ნებას, რადგან განგება გვყოფს ქართველებად და თურქებად, ძლიერებად და სუსტებად, ქალებად და კაცებად, თავადებად და გლეხებად, მტრებად და მოკავშირეებად, და ასე დაშლილნი და დანაწევრებულნი, ადამის ძენი ვუპირისპირდებით ერთმანეთს, ვიბრძვით, ვომობთ და მხოლოდ სიკვდილის ჟამს, უკანასკნელი ამოსუნთქვის წინ, ვერთიანდებით ხსევ, ვუგებთ მოყვახს, ჩვენ დღეში მყოფს, დედამიწის ყველა კუთხეში, წარსულში თუ მომავალში, თითქოს კვლავ ვიბრუნებთ იმ ცოდნას, რომელიც ოდესღაც გვებოძა, მაგრამ დავკარგეთ და დავივიწყეთ".

თავადი თითქოს მოხარულიც კია, რომ წინააღმდეგობა აღმოაჩინა, რადგან ამით ქვეცნობიერად არა მარტო თავის არჩევანს ამართლებს, არამედ მრავალგზის დაღვრილი სისხლის გამო პასუხისმგებლობასაც იხსნის თავიდან. მართლაც, თუ თავადის აზრთა მდინარება სწორია, მაშინ „გამოდის, რომ არც მას და არც სხვას, სხვა გზა არა აქვს, როცა განუკითხავად ჩეხს და კაფავს, რადგან ყოველივე აუცილებლობითაა გამოწვეული. რა და რატომ უნდა მოენანიებინა ბატონ ყაფლანს, „როცა ვიღაცას მიჰყავდა ბნელ გზაზე და უმზადებდა მოულოდნელ ფათერაკებს, რომელთა არიდება მას არ ძალუძდა, მის ნება-სურვილზე არ იყო დამოკიდებული". თავადი თავის თავს მორჩილს უწოდებს, დროისა და გარემოებათა ტყვეს, ამიტომაც ჩეხდა და კაფავდა განუკითხავად. უნდოდა ეს, თუ არ უნდოდა თავისი არსების დაფარულ ფენებში. გარდა ამისა, ის ხომ მხოლოდ საკუთარ თავს არ ეკუთვნის, არამედ თავის დროს, თავის გვარსა და თემს. ამიტომაც არ უდევს ბრალი იმაში, რაც ქვეყნად ხდება, რაც თვითონ მას მოუმოქმედია.

ალბათ გასაგებია, რომ ბატონი ყაფლანის ასეთი ფატალიზმი უნდა ჩაითვალოს იმ ადამიანის გონების ნამოღვაწრად, რომელსაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად თავისი პოზიციის გამართლება დაუსახავს მიზნად. მას მრავალი ნაკლი აქვს, მაგრამ ამჯერად დავაკვირდეთ ერთ გარემოებას. საქმე ისაა, რომ ამგვარი პოზიციით თავადი ფაქტიურად საკუთარ ბუნებას, ულრმეს სულიერ მისწრაფებებს უპირისპირდება. იგი მართლაც მთელი სულით და გულით ისურვებდა, რომ არა კაც ეკლა, შინაგანად იგი მთლიანად მოწინააღმდეგეა ამგვარი ქმედებისა, აკი მისი სულიერი კრიზისიც იმ ფაქტის გაცნობიერებიდან დაიწყო, რომ იგი მკვლელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავადი მთელი არსებით ცდილობს საკუთარი თავი დაირწმუნოს, რომ მხოლოდ ასე შეიძლება მოიქცეს კაცი, რომ სხვა გზა არ არსებობს. იგი ახერხებს კიდეც ამას. მნიშვნელობა აღარა აქვს იმას, რომ თავადი საღვთო მცნებებს იწუნებს სწორედ იმ

პოზიციიდან, რომლის წინააღმდეგაც საერთოდ მიმართულია ეს მცნებები. ცხადია, შეცდომაა მათი განუხორციელებლად მიჩნევაც, მაგრამ ცხოვრების კანონების ერთგულ თავადს სავსებით აკმაყოფილებს ამგვარი ლოგიკა. მართალია, სულიერი დისკომფორტისაგან ბოლომდე განთავისუფლება მან ვერ შესძლო, მაგრამ კაცმა რომ თქვას, იგი აღარც ცდილობს ამას, რადგან მას ესმის, რომ მის სულში გამეფებული ნაღველი, ამჯერად სხვა აღარაფერია, თუ არა მისი არჩევანის პირდაპირი შედეგი. ეს ყველაფერი ნათელია, მაგრამ გასარკვევია რატომ, რა მიზეზის გამო აკეთებს ბატონი ყაფლანი ისეთ არჩევანს, რომელიც ეწინააღმდეგება მის შინაგან არსს, მის ბუნებას? ვფიქრობ, არა მარტო ამ კითხვას, არამედ მთლიანად პრობლემასაც უკეთ დავინახავთ თუ გავიხსენებთ კიდევ ერთ ადამიანს, რომელმაც ზემოხსენებული ალტერნატივა, ბატონი ყაფლანისგან განსხვავებით, საღვთო ცნებების სასარგებლოდ გადაწყვიტა.

* * *

ბატონი ყაფლანის ნაყმევის ვაჟი საჩინო ბარათელი, ოცი წლის ჭაბუკი იყო, როცა ოჯახის ერთადერთი წევრი — მამაც მოუკვდა. საჩინომ მიატოვა სახლ-კარი, საქონელი და არავის დამშვიდობებია ისე გადაიკარგა სოფლიდან. ოცი წლის ჭაბუკის ასეთი საქციელი, შესაძლოა, ზოგიერთმა რომანტიკულმა მკითხველმა რაიმე სენტიმენტალური ისტორიით ახსნას, მაგრამ ავტორის ნებით, საჩინოს პირადი ცხოვრებიდან ჩვენთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ თავის დროზე იგი მარტვილის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. ეს არის და ეს. სხვამხრივ კი საჩინოზე მეტად არასენტიმენტალური კაცი ძნელი წარმოსადგენია. რომანის ავტორი არაფერს გვეუბნება, მაინც რატომ მიატოვა საჩინომ სახლ-კარი და თავისი სამშობლო, რამ აიძულა ასეთი მკვეთრი ნაბიჯი გადაედგა, საით წავიდა და რას ეძებდა, რას მიელტვოდა იგი. ეს ყველაფერი მოგვიანებით, ნელ-ნელა უნდა გახდეს ნათელი.

საჩინო სოფელში ოცი-ოცდაათი წლის შემდეგ დაბრუნდა, ოღონდ იმდენად შეცვლილი, თვითონ რომ არ ეთქვა, საჩინო ბარათელს მასში ვერავინ შეიცნობდა. იგი რადიკალურად შეიცვალა. მისი გარეგნობისა თუ ცხოვრების წესის ყოველი დეტალი, თვით ყველაზე უმნიშვნელო ნიუანსიც კი ნათელყოფს, რომ ეს ადამიანი მთლიანად განდგომია იმას, რასაც ბატონი ყაფლანი ცხოვრების კანონებს უწოდებს და რომელთა ღალატიც წარმოუდგენლად მიაჩნია.

საჩინო სოფლის განაპირას, ტყის პირზე, პატარა ქოხში დასახლდა. მას არც მეგობარი ჰყავდა, არც ნათესავი, მარტოდმარტო ცხოვრობდა. იგი თანასოფლელებს არაფერზე არ აწუხებდა, შესაბამისად, არც მასთან მოდიოდა ვინმე. გარეგნობით ორმოცდაათი წლისა იქნებოდა, მაღალი და გამხდარი იყო, თმა და ულვაში ყოველთვის მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი. ტანისამოსიც უცნაური ეცვა, შიშველ ტანზე შემოსხმული გრძელი და ფართო ჯვალოს ხალათი, წელზე ქამრით შემოჭერილი, რომელიც მუხლებამდე სწვდებოდა. შარვალსაც განიერს ატარებდა და ყოველთვის ფეხშიშველა დადიოდა. ხოლო ზამთრობით თბილ ჯუბას მოიხურავდა, შალის წინდებს ჩაიცვამდა და ფეხს ხისძირიან ქოშებში გაუყრიდა. ტანისამოსს იგი თვითონ იკერავდა. საჩინო არც ხორცს ჭამდა და არც რძის ნაწარმს, მხოლოდ ბოსტნეულით და ხილით საზრდოობდა.

ასე რომ, ამ ადამიანმა მინიმუმამდე დაიყვანა ყველა სხეულებრივი მოთხოვნილება, რის გამოც იძულებული აღარ არის აკეთოს ია, რაც არ სურს. იგი თავის თავზე მთლიანად

თვითონ აგებს პასუხს. ამ გზით დაამსხვრია მან ის ბორკილები (ჩვეულებრივ მეტად საჭირო და აუცილებელი ბორკილები), რომლითაც საზოგადოება თავისი დაუწერელი თუ დაწერილი კანონებით ბოჭავს ყოველ მის წევრს, რათა სანაცვლოდ დაიცვას კიდეც მისი სიცოცხლე და კეთილდღეობა, როგორც გულგრილი ბუნებისაგან, ისე დანარჩენი ადამიანების თვითნებობისგანაც. საჩინო მართლაც იმდენად თავისუფალი პიროვნებაა, რომ აღარც ქორწილს ესწრება და აღარ ქელეხს. ამგვარ სოციალურ ვალდებულებებზე უარის თქმით საჩინო იმ ძაფებსაც წყვეტს, რითაც კიდევ შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო დანარჩენ ადამიანებთან, ხოლო ამ უკანასკნელთათვის საბოლოოდ ნათელი ხდება, რომ ეს კაცი მათნაირი არ არის, რომ იგი უცხოა. საჩინოს ამგვარი სწრაფვა თავისუფლებისაკენ არ არის რაღაც პათოლოგიური მიზანთროპიის შედეგი. მას არ სძულს ადამიანები, რადგან ის, რისთვისაც შეიძლება ვინმე გძულდეს, მისთვის აღარ არსებობს. იგი დიდი ხნის წინ განთავისუფლდა ამგვარი ვნებებისაგან. წიფლნარში გამოჩენიდან პირველ ხანებში მას ხშირად ხედავდნენ კულაშში, სინაგოგის აივანზე, ხახამთან მოსაუბრეს. მერე ეკლესიაში მოუხშირა სიარულს, კარგა ხანი ესაუბრა ხუცესსაც, მაგრამ შემდეგ ისიც მიატოვა და განმარტოვდა. ცნობისმოყვარე საბა ნიგურიანმა დაადგინა, რომ საჩინო არც ებრაელთა სჯულზე აპირებდა მოქცევას და არც მართლმადიდებლობის წიაღში დაბრუნებას. იგი კაცს ეძებდა, ოღონდ „სწორად მხედავ და განთავისუფლებულ კაცს", რომელთანაც ლაპარაკი შეეძლებოდა და რომელთანაც ურთიერთობა ექნებოდა. მაგრამ, როცა დარწმუნდა, რომ არც ხახამს და არც ხუცესს არ ესმოდათ რას ქადაგებდნენ, ჩაფიქრებულა ყველას. თუ ვინმე მიაკითხავდა, თავაზიანად იღებდა, თვითონ კი არავის აწუხებდა.

როგორ უნდა აღექვა ასეთი ადამიანი სოფლის მკვიდრთა? უეჭველია, თავიდან საჩინო ჭკუანაკლულად უნდა ჩაეთვალათ. შემდეგ კი, როცა ზოგიერთი მისი ზეადამიანური უნარი გამომჟღავნდა, სოფლელთა შეგნებაში ეს ყველაფერი ავ სულებს დაუკავშირდა, რამაც ამ განზე გამდგარი კაცისადმი თავდაპირველად გაჩენილი ირონიული გრძნობები, შიშმა და მორიდებამ შეცვალა. ასე ხსნიან სოფლის მკვიდრნი საჩინოს პიროვნების მათთვის სრულიად გაუგებარ, დაუძლეველ საიდუმლოს. მკითხველს კი ალბათ ესმის, რომ ამ ადამიანს ინდოეთსა და ტიბეტში დრო ტყუილად არ დაუკარგავს. განსაკუთრებით საგულისხმო ისაა, რომ გარკვეული რელიგიურ-მისტიკური ცოდნა საჩინომ უბრალოდ კი არ შეიძინა, როგორც რაღაც თუნდაც ძალზე საინტერესო ინტელექტუალური ინფორმაცია, არამედ მან ეს ყველაფერი საკუთარ ყოფიერებაში განასხეულა.

საჩინო და ბატონი ყაფლანი ერთ სოფელში ცხოვრობენ და თითქოს თავადი ძალზე უნდა დაინტერესებულიყო თავისი ნაყმევის ვაჟის ასეთი საოცარი მეტამორფოზით. ამ სოფელში ბატონი ყაფლანია ის კაცი, ვისაც შეუძლია ასე თუ ისე ჩასწვდეს საჩინოს პიროვნების არსს და მისი სახით მეტად ღირსეული და მისთვის საჭირო მოსაუბრე იშოვოს, მაგრამ რატომღაც ეს ასე არ ხდება. როცა სოფელში ხმა დაირხევა უკიდურესად უცნაური და „სასწაულთმომქმედი" ადამიანის გამოჩენის შესახებ, სასახლეშიც დაინტერესდებიან ამ ამბით, რასაც საჩინოს ვიზიტი მოჰყვა, მაგრამ ყველაფერი ეგზოტიკას დახარბებული, მოწყენილი თავადიშვილების მსუბუქი ცნობისმოყვარეობის დონეზე დარჩა: ქალბატონთა უბოროტო ირონია მისი ჩაცმულობითა და საერთოდ

გარეგნული იერით გამოწვეული და გაოცება, როგორც შედეგი საჩინოს ზოგიერთი ზეადამიანური უნარის გამო, რომელთა დემონსტრირებაც, მასპინძელთა თხოვნით, მას იქვე მოუხდა, ამის გამო ვინმემ შესაძლოა მწერლის შეცდომადაც კი ჩათვალოს ის ფაქტი, რომ თავადის დამოკიდებულება საჩინოსადმი, თხთქმის არაფრით, არ განსხვავდება ამ კაცთან დანარჩენი ადამიანების დამოკიდებულებისაგან, მაგრამ მწერალი არ შემცდარა. ძნელი სათქმელია, ინტუიციურად მივიდა იგი ამ დასკვნამდე თუ ლოგიკურად, მაგრამ ბატონი ყაფლანის დამოკიდებულება საჩინოსადმი ზუსტად ისეთი უნდა იყოს, როგორიც არის. საქმე ისაა, რომ თვით ფაქტიც კი საჩინოს არსებობისა, ბუბულასავით ანგრევს იმ თეორიას, რომელიც თავადმა თავისი არჩევანის გასამართლებლად შეთხზა, საჩინოს ცხოვრება თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ ყოველგვარი ცდა საღვთო ცნებების შერიგებისა ცხოვრების კანონებთან, გარკვეული სულიერი აგებულების ადამიანთათვის, წმინდა წყლის ილუზიაა. გაუმართლებელი გამოდის თავადის ის ერთგვარი აგრესიული ფატალიზმიც, რომლითაც იგი მთელ პასუხისმგებლობას იხსნის თავიდან, აღიარებს რა ადამიანის სრულ უნებობას განგების ხელში. აღარაფერი რჩება აღარც იმ არგუმენტიდან, რომელიც თვითონ ბატონ ყაფლანს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია. მართლაცდა, განა საჩინო ბარათელისთვის უცხო იქნებოდა მისი სამშობლოს ათასწლოვანი ჭირ-ვარამი, უნაყოფოდ დაღვრილი ენერგია, იავარქმნილი ბედი, გადაუხდელი ვალი, აუღებელი სისხლი, საუკუნეების მანძილზე ატანილი შეურაცხყოფა და სხვა უბედურებანი? ეჭვი არ არის, ყოველივე ეს თავადივით საჩინოს სულსაც დაუწვებოდა ათიათას ფუთიანი წნეხივით, მაგრამ მიუხედავად ამისა, საჩინომ მაინც შესძლო „ზემოთ მიემართა მზერა და ყოფილიყო თავისუფალი განსჯისას თუ მოქმედებისას“. [illegible] ყაფლანმა ეს ვერ შესძლო. [illegible]

რა დასკვნისკენ შეიძლება გვიბიძგოს ყოველივე ამან? განა უნდა ვიფიქროთ, რომ ბატონი ყაფლანი ცრუ და მუხთალი კაცია, ხოლო საჩინო ციხ მოვლენილი ანგელოზი? ან იქნებ საჩინოსაგან განსხვავებით ბატონ ყაფლანს არ აღმოაჩნდა ჭეშმარიტების სიყვარულის ისეთი უნარი, რომელიც აიძულებდა მას არაფერზე უკან არ დაეხია და უკანმოუხედავად ევლო მის შესაცნობად? ვფიქრობ, ამგვარი დასკვნა მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. როგორც თავადმა, ისე საჩინომ სწორედ ის არჩევანი გააკეთეს, რომელიც უნდა გაეკეთებინათ კიდეც. გასაგები რომ გახდეს რას ვგულისხმობთ, უნდა გავარკვიოთ მაინც რას ნიშნავს ე. წ. ჭეშმარიტების სიყვარული. განა რეალური იქნება ვიფიქროთ, რომ ადამიანი არამცთუ რადიკალურად, არამედ სულ ოდნავ მაინც შეიცვლიდა ცხოვრების წესს რაღაც აბსტრაქტული ჭეშმარიტების სიყვარულის გამო? რაც უნდა დიდი იყოს ადამიანის გულუბყვილობა, ეს მაინც მეტის-მეტი იქნებოდა. ვერავითარი ჭეშმარიტება, თუ იგი უშუალოდ რაიმე ფორმით არ ეხება ადამიანის სიცოცხლის ინტერესებს, მისი ყოფიერების დაფუძნებას, ვერ შესძლებდა რეალური კვალი დაემჩნია მის ცხოვრებაზე. გავიხსენოთ, როდის დაინტერესდა ბატონი ყაფლანი ჭეშმარიტების შეცნობით, როდის გაუჩნდა მას ამის სურვილი? მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაუჭირდა, როცა ჩვეული სულიერი ჰარმონია დაკარგა ანუ მაშინ, როცა მისმა სიცოცხლის ნებამ წინ დაბრკოლება იგრძნო. მაგრამ ეს დაბრკოლება ისეთი ხასიათისა აღმოჩნდა, რომ მისთვის გვერდის ავლა თავადმა ფაქტიურად ინსტინქტურად მოახერხა, და ეს მისთვის საუკეთესო გამოსავალი აღმოჩნდა, რადგან უღრმესი სულიერი კრი-

ზისიდან ძალზე მცირე დანაკარგით გამოვიდა. იგი არც დაფიქრებულა, ისე დარჩა თავისი სოციალური როლის ერთგული. მერე რა, რომ მას მაინც სტანჯავს მუდმივი ნაღველი და სევდა. ამ გარემოებას აღარ შეუძლია მნიშვნელოვნად დააბრკოლოს მისი სიცოცხლის ნება, იმდენად დიდია ის კომპენსაცია, რომელსაც იგი სანაცვლოდ იღებს. დავაკვირდეთ: ომში მიღებული მძიმე ჭრილობების შემდეგ მას აღარც შეუძლია და გულის სიღრმეში აღარც სურს საზოგადოების აქტიური წევრის როლის შესრულება. ჯირითი, გაუთავებელი ნადირობა, ქეიფი და სხვა ამგვარი არისტოკრატიული თავის შეკცევანი თავადის სულს ვეღარაფერს ეუბნება. მას არა მარტო უჩნდება ზომიერად განმარტოების მოთხოვნილება, არამედ, და რაც მთავარია, უჩნდება ამის შესაძლებლობაც. მისი ამგვარი საქციელი საზოგადოების თვალში მთლიანად მოტივირებულია. ყველას ესმის და პატივსა სცემს ომში სიკვდილს შემთხვევით გადარჩენილი თავადის უფლებას განმარტოვდეს. ამდენად, ბატონი ყაფლანის მყუდროებას საზოგადოების მხრიდან არაფერი ემუქრება. გავიხსენოთ ისიც, რომ ბატონი ყაფლანი მდიდარი კაცია, დიდი ოჯახისა და ნათესავ-მეზობლების ასევე დიდი წრის პატრონი, რომელნიც ღირსეულ პატივს მიაგებენ თავადის პერსონას. ყოველივე ამაზე უარის თქმა იმ სევდა-ნაღველისგან გასანთავისუფლებლად, რომელიც თავადს არჩევანის გაკეთების შემდეგაც დარჩა, ცხადია, მისი მხრიდან წინდაუხედავი საქციელი იქნებოდა. ფაქტიურად, ამგვარი რამ ვერც მოხდებოდა, რადგან ამას არ მოითხოვს თავადის სიცოცხლის ინსტინქტი. ამდენად, ბატონი ყაფლანი ზუსტად ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა.

ამ ლოგიკას მთლიანად ეთანხმება ის შემთხვევა, რომელიც თავადის ვაჟს, ნესტორ ვარდანიძეს გადახდა თავს. ალბათ ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, რა ფასეულობები შეიძლებოდა ყოფილიყო მთავარი ბატონი ყაფლანის ოჯახში აღზრდილი ადამიანისათვის. მაგრამ რაისა რაევსკაიას საწოლში განცდილი მარცხი წამსვე ყოველგვარ მნიშვნელობას უკარგავს ყოველივე იმას, რაც მანამდე მთავარი და განმსაზღვრელი იყო. იკარგება საშობლოს, საზოგადოების სამსახურის იდეა, ყველაფერი იკარგება. დაბრკოლება იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ არარაობად აქცია ყოველივე ის, რაც მანამდე, ნესტორის აზრით, უმთავრესი იყო მის ცხოვრებაში. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ნესტორისათვის, სრულიად გამოუსადეგარია ის გზა, რომელიც ბატონმა ყაფლანმა აირჩია. თავისი სოციალური მდგომარეობით სარგებლობა მას კიდევ უფრო დიდ ტკივილს მიაყენებდა. უღრმესი სასოწარკვეთილების წუთებში რაღაც ძალა მას თვითგანადგურებისაკენ უბიძგებს. მართლაც, მას ან თვითმკვლელობით უნდა დაესრულებინა სიცოცხლე, ანდა საჩინოს გზით ეცადა ამ პრობლემის გადაწყვეტა, პრობლემისა, რომელიც პრინციპულად დაუპირისპირდა მისი სიცოცხლის ნებას, და თუ არა ბედნიერი წუთები მარსელის იაფფასიან სალოსკიპოში, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა ნესტორის ცხოვრება. მაგრამ შემთხვევით ჰარმონია აღსდგა. დაბრკოლება მოისპო და ბედნიერი ნესტორი კვლავ დაუბრუნდა იმ სოციალურ როლს, რომელიც მას განგებისგან ჰქონდა განსაზღვრული.

ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ გასაგებია, რომ საჩინოს არჩევანი არც თავისი ცხოვრებით კმაყოფილი კაცის და არც რაღაც აბსტრაქტული ჭეშმარიტების სიყვარულით აღძრული ადამიანის გაკეთებული არ არის. საჩინო ბარათელი უაღრესად ტრაგიკული პიროვნებაა, გაცილებით მეტად ტრაგიკული, ვიდრე ბატონი ყაფლანი.

ადვილი შესაძლებელია, მისი პირადი შეჭირვება არც ყოფილიყო მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნის მსგავსი უბედურება ანუ ისეთი, როგორც ნესტორს დაემართა. პირიქით, ხშირად ალბათ სულ სხვანაირად ხდება. შესაძლებელია, მთელი რიგი მიზეზების გამო, პიროვნების ჩამოყალიბება იმ გზით წარიმართოს, რომ მისი ფსიქოლოგიური ტიპი საზოგადოებასთან შეუთავსებლობის, მასთან კონფლიქტური დაპირისპირების მუდმივ წყაროდ იქცეს. ამგვარი ადამიანისათვის ბატონი ყაფლანის ლოგიკა: „მოსწონდა თუ არ მოსწონდა, ცხოვრება ასეთი იყო და სანამ სული ედგა, ვერ განუდგებოდა ცხოვრების კანონებს", სრული აბსურდია, რადგან მისთვის მოწონება-არმოწონების პრობლემა კი არა დგას აქ, არამედ გაცილებით მნიშვნელოვანი, კარდინალური საკითხი. ამ პრინციპის აღიარება მისთვის სრული კატასტროფის მომასწავებელია, რადგან მას არაფერი აქვს ისეთი, რაც ოდნავ მაინც დააკავებდა, ოდნავ კომპენსაციას მაინც მისცემდა იმ ტანჯვისათვის, რომელიც თითქოს ათმაგდება მაშინ, როცა ამგვარი ადამიანი საზოგადოებასთან შეგუებას ცდილობს. რაღამ უნდა დააკავოს იგი აქ? და იგი მიდის, რადგან საკუთარი პიროვნების დაფუძნების ერთადერთ გზად მას სწორედ ცხოვრების კანონებისგან განთავისუფლებაღა რჩება. ამ გზაზე საჩინო სულიერ სიმშვიდესაც მოიპოვებს და მრავალ ისეთ ჭეშმარიტებასაც ჩასწვდება, რომელიც პრინციპულად მიუწვდომელია ილუზიებში გახვეული უმრავლესობისათვის, მათ შორის ბატონი ყაფლანისთვისაც, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ. როცა ბატონი ყაფლანი ცდილობდა ლოგიკურად დაესაბუთებინა თავისი ერთგულება იმ წესებისადმი, რომელნიც საფუძვლად ედება ცხოვრებას, მოულოდნელად რომანის ავტორი შენიშნავს: „მას სწამდა რომ წესების შეცვლა არ შეეძლო და არც უნდა ეცადა, რადგან წესების შეცვლას ყოველთვის დამარცხებული ცდილობს მაშინ, როდესაც მოვლენები მუდამ თავისი წესით მიემართება. კაცი ის არის, ვინც განზე გახტომას კი არ ლამობს, არამედ მშვიდად მიჰყვება საკუთარი დროის დინებას"-ო. ძნელი სათქმელია ვინ არის ჭეშმარიტი კაცი, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ გამარჯვებულს მართლაც არ სჭირდება წესების შეცვლა. ამაზე მხოლოდ დამარცხებული ფიქრობს. საჩინო ბარათელი მართლაც დამარცხებული კაცია, ცხოვრების მიერ დამარცხებული და ამიტომ განზე გამხტარიც. მაშ, რაღა ფასი ან მნიშვნელობა აქვს იმ სულიერ სიმაღლეებს, რომლებსაც ამ დამარცხებულმა კაცმა მიაღწია? რომანიდან კარგად ჩანს, რომ გამარჯვებულთათვის — არავითარი. თანაც მნიშვნელობა არა აქვს ვინ იქნება იგი, ბატონი ყაფლანი თუ რომელიმე უბირი კაცი. საჩინო ბარათელის გზა გამარჯვებული ანუ ცხოვრების კანონების ერთგული ადამიანის გზა არ არის, შესაბამისად, იგი არც საზოგადოების გზაა. ამ გზაზე დამარცხებულმა ადამიანებმა უნდა იარონ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით გოგოჭური
ივანე ლიქოკელი

მკითხველმა განსაჯოს

დიახ, მკითხველმა, რადგან ჩვენს პოლემიკაში ვინ მართალია და ვინ — მტყუანი, ამის გარკვევა ყველა მკითხველს შეუძლია.

დავა იმით დაიწყო, რომ მეცნ. კანდიდატის, ვახტანგ ითონიშვილის წიგნი „არაგვი და არაგველები" („მეცნიერება", 1989). არ მოგვეწონა, რადგან მასში ბევრი რამ უფრო არამეცნიერული და მავნე ვნახეთ, — ვიდრე — სასარგებლო.

ვ. ითონიშვილის წიგნი ძირითადად ერთი საკითხის გარკვევას ეძღვნება: ვინ იყვნენ 300 არაგველები.

კრწანისის ომთან დაკავშირებული იმდროინდელი მასალები ერთხმად აღნიშნავენ ბრძოლაში თუშ-ფშაველ-ხევსური მეომრების თავგანწირულ მონაწილეობას, ხოლო მთიულებსა და მოხევეებს საერთოდ არ იხსენიებენ.

ავტორი შეეცადა, მკითხველი დაერწმუნებინა, რომ კრწანისის ბრძოლაში დაღუპულ სამას არაგველთა შორის ოურმე, თუშ-ფშაველ-ხევსურები კი არა, მთიულები და მოხევეები იყვნენ.

სავალალო ის გახლდათ, რომ ყოველად დაუსაბუთებელი დასკვნებით ავტორი თიშავდა და ერთიმეორეს უპირისპირებდა მოძმე კუთხეებს.

მკითხველს ისიც უნდა გავუმხილოთ, თუ ასეთი დაპირისპირება რატომ გვეტაკა გულს: ის უბედურება, რაც განსაკუთრებით დღეს ადგია საქართველოს თავს, დამპყრობელთა „დაჰყავ და იბატონეს" პრინციპიდან იღებს სათავეს. იმპერია დაბეჯითებით ცდილობდა ეროვნებათა თუ კუთხეთა შორის კინკლაობის გაღვივებას. განა ასე გართულდებოდა თუნდაც აფხაზეთსა და ოსეთთან ურთიერთობის მოგვარება, რომ არ ყოფილიყო ხალხთა ერთიმეორის დამაპირისპირებელი „გამოკვლევები"? ანდა რაღა აფხაზები და ოსები, ამ რამდენიმე წლის წინათ ერთი კუთხის ორმა ქართველმა ისტორიკოსმა თავთავისი თემის ისტორია დაწერა, და ისე გამოუვიდათ, რომ ყველა სიკეთე საკუთარ თემს მიაკუთვნეს და მეზობელს აღარაფერი დაუტოვეს. თავიანთი კუთხური კინკლაობით ბოლოს იქამდე შეტოპეს, რომ შეურაცხყოფილმა ხალხმა ხელისუფლებას მიმართა—დაგვიცავითო. სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები სხვაც იყო და ვ. ითონიშვილის გამოკვლევა მათგან იმით განსხვავდება, რომ მან რეგიონი გააფართოვა, სამ-სამი კუთხე დაუპირისპირა ერთიმეორეს.

აი, ეს არ მოგვეწონა და საკმაოდ თავშეკავებული, მოკლე რეცენზია გამოვაქვეყნეთ („მნათობი", 1990 წ. № 3), რისი შინაარსიც ის იყო, რომ

კუთხეთა გათიშვა და დაპირისპირება, მითუმეტეს როცა ამისათვის მეცნიერული საბუთი და საფუძველი არ არსებობს, დაუშვებელია.

ჩვენი რეცენზიის კონკრეტული შენიშვნები სწორედ იმას ეხებოდა, რომ ავტორს არ გააჩნია მასალები იმის დასასაბუთებლად, რისი დამტკიცებაც მას ასე გულით სურს. სამაგიეროდ, მისი დასკვნების წინააღმდეგ ღაღადებენ წერილობითი წყაროები და ზეპირსიტყვიერება, რაზე დაყრდნობითაც დაწერილია ცნობილ ისტორიკოსთა არაერთი გამოკვლევა.

ჩვენ მივუთითეთ მათზე და მოვიტანეთ ამონაწერები იმ მასალებიდან, რომელთაც ავტორმა გვერდი აუარა და ამათ ნაცვლად, რაღაც გამოგონილ თუ მარჩიელური ფანტაზიით შეთხზულ „მასალებზე" დაყრდნობით სცადა მკითხველისთვის „ამომწურავი პასუხის გაცემა.

რეცენზიაში მხილებული იყო ავტორის მიერ „მოპოვებული" მასალების უსაფუძვლობა და უსუსურობა.

გვეგონა, ამ შენიშვნების შემდეგ ავტორი დაფიქრდებოდა, გონს მოეგებოდა და კუთხეთა გათიშვისა და დაპირისპირების საკუთარ „თეორიას" გადასინჯავდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. პასუხის გაცემა მოინდომა და თბილისში რომ ვეღარ მოახერხა ეს, ქუთაისიდან გაგვეპასუხა („განთიადი", 1991 წ. № 10).

ყოვლად მართებული შენიშვნებით გაკაპასებულმა ვ. ითონიშვილმა წონასწორობა დაკარგა და იმის მაგიერ, რომ კონკრეტულ შენიშვნებზე დასაბუთებული პასუხი გაეცა, ან მიეღო ისინი, თავისი წერილი ყოვლად უხამსი, ჩვენი დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ქუჩური ლანძღვა-გინებით აავსო. ეს არაეთიკური საქციელი იმდენად მძაფრი და უზომო იყო, რომ პასუხის გაცემაზე ერთხანს უარი ვთქვით, მაგრამ ჯერ წიგნმა და შემდეგ ავტორის პასუხმა სწორედ ის მწარე შედეგი გამოიღო, რისიც ჩვენ გვეშინოდა — კუთხეები ერთმანეთს წაკიდა. ეს მდგომარეობა გამოსულებს, ვთქვათ ისიც, რისგანაც რეცენზიაში მაშინ თავი შევიკავეთ და თუ ავტორს ახლაც ვერაფერს შევაგნებინებთ, მკითხველი მაინც გავარკვიოთ, რას ვედავებოდით და რა გვიპასუხა.

შევეხებით მხოლოდ ძირითად შენიშვნებს, რადგან მის თაბახნახევრიან „ნაშრომს" რომ პასუხი გავცეთ, მთელი ჟურნალი არ ეყოფა.

ნაშრომის პირველი გვერდიდანვე მკითხველი შეამჩნევს ავტორის აშკარა ტენდენციას, სამას არაგველთა შემადგენლობიდან როგორმე გამოირიცხოს თუშ-ფშაველ-ხევსური მეომრები და კრწანისის ბრძოლებში თავგანწირულ გმირებად მხოლოდ ყოფილ არაგვის საერისთაოს საბრძანებელში შემავალი თემები — მოხევეები და მთიულები დააკანონოს.

კრწანისის ბრძოლაზე დიდძალი წერილობით წყარო და ზეპირსიტყვიერება არსებობს და ითონიშვილს ახალი არაფერი აღმოუჩენია.

მკვლევართა ნაშრომებში ვერ შევხვდებით იმაზე მსჯელობას, თუ საქართველოს მთის რომელი კუთხეები იღებდნენ ამ ომში უპირატეს მონაწილეობას და რომლები არა. ეს არც იყო მოსალოდნელი, რადგან ამ ომის მონაწილეთა თუ მომსწრეთა (მათ შორის თვითონ ბატონიშვილების) მოგონებებში ყველაფერი დაწვრილებით არის აღწერილი.; ასახსნელი მხოლოდ ის რჩებოდა, თუ წყაროებში რატომ არ იხსენიებოდნენ ამ ომის მონაწილე მთიულები და მოხევეები, რასაც სრულიადაც არ სჭირდებოდა ამდენი მანიპულაციები და ღობე-ყორეს მიდებმოდება, მით უმეტეს, თუშ-ფშაველ-ხევსურთა ამ ომიდან „გამოხშირვა".

ვ. ითონიშვილმა ამ საჩოთირო და მავნე ნაშრომის შექმნა რომ გაამართლოს, აკეთებს ყოველი მთიელისთვის შეურაცხმყოფელ და პროვოკაციულ,

ყალბ განცხადებას: თურმე „კარგახნის მანძილზე გაუთავებელ დავას არა ჯანსაღ პოლემიკას აქვს ადგილი, ერეკლე II-ს დროშის ქვეშ დარაზმული სამასი პატრიოტის კუთხური კუთვნილების (?)) შესახებ". და გვეტრაბახება, რომ „ამ საკითხზე მკითხველი მიიღებს ზუსტსა და ამომწურავ პასუხს".

და აი, ამ ეროვნულ ომში „კუთხური კუთვნილების" მაძიებელი მეცნიერი, შეუდგა საქმიანობას: მთიელები ორად გაჰყო. ერთ მხარეს დააყენა, მისი აზრით, ომის მონაწილე სამასი არაგველი, მოხევეებისა და მთიულ-გუდამაყრელების სახით, ხოლო მეორე მხარეს, არა მონაწილე თუშ-ფშაველ-ხევსურები. და ასე გავიდა ბოლომდე, ასე მიაწოდა მან მკითხველს „ზუსტი და ამომწურავი" პასუხი, რამაც ავტორის მეტი ვერავინ გააბარა, ხოლო მისგან შერისხული მთიელები კი საფუძვლიანად აღაშფოთა.

საწუხი ის არის, რომ ავტორს ვერაფრით შევაგნებინეთ, რომ მისი ნალაციცევი წიგნი .. მეცნიერულად მცდარი და ეროვნულ-პოლიტიკურად მავნეა. რომ მისი ჩხირკედელაობით გაყალბებული ეს ისტორია ხალხს, საქართველოს ისტორიულ კუთხეებს ეხება, რომლებიც ამ საკითხზე დღემდე არსებულ გამოკვლევებსაც იცნობენ და ტრადიციული საისტორიო გადმოცემები თუ საგმირო სიმღერები მამა-პაპიდან მოსდევთ. ეს ხომ ის ხალხია, ვინც თაობათა მანძილზე ამაყობდა იმით, რომ სამას არაგველთა ჩამომავალია. ვინც მათი მოსაგონარი ყოველწლიური დღეობა დააწესა, საკუთარი სახსრებით ძეგლი დაუდგა, მათი სახელობის კოლმეურნეობა შექმნა... დიახ, ვერ გავაგებინეთ, რომ ყველაფერი ამის ყირამალა დაყენების მცდელობა შერისხულ კუთხეთა მოსახლეობის სრულიად საფუძვლიან აღშფოთებასა და გულისწყრომას გამოიწვევდა.

ვ. ითონიშვილის წიგნის ხალბში გასვლას მოყვა ის სამწუხარო შედეგი, რაც უნდა მოყოლოდა. ავაზაკი არა და ახლა კი მართლა არაჯანსაღი პოლემიკა გაჩაღდა კუთხეთა შორის. დავაში ჩაებნენ ახალგაზრდები, პედაგოგები, თვით მზარეულები და ფოტოგრაფებიც კი. თითოეული მხარე ამტკიცებს, რომ სამასი არაგველი ნამდვილად მათი წინაპარი იყო და არა სხვა რომელიმე კუთხის. ერთნი საბუთად ვ. ითონიშვილის წიგნს აფრიალებენ, მეორენი კი მის მიერ გვერდავლილ წერილობით წყაროებს იმოწმებენ და, როგორც იტყვიან, აირია მონასტერი. გამოჩნდნენ მოხალისენი და იბეჭდება დაპირისპირებულთა წერილები ადგილობრივ პრესაში („არაგვი", 1990, № 65; 1992, № 37 და სხვა).

ახლა კი მკითხველს დეტალურად გავაცნობთ იმ ძირითად კონკრეტულ შენიშვნებს, რომლებსაც ჩვენი დავა ეხებოდა:

შენიშვნა 1 — ჩვენ უარვყავით ავტორის მიერ კატეგორიული ტონით დაწერილი ყალბი განცხადება, თითქოს მთის კუთხეთა შორის „კარგახნის მანძილზე გაუთავებელი დავა და არა ჯანსაღი პოლემიკა სწარმოებდეს" და აღვნიშნეთ, რომ მთის კუთხეთა შორის ამ საკითხთან დაკავშირებით არავითარი დავა და პოლემიკა არ სწარმოებს და ამ არაჯანსაღ კუთხურობანას თამაშს თითონ ვ. ითონიშვილი იწყებს.

ახლა კი ვ. ითონიშვილის ბრალდებათა საპირისპირო ფაქტებსაც მოვიტანთ.

დიდი ხნის წინათ თუშ-ფშაველ-ხევსურებმა, მთიულ-გუდამაყრელებმა, მოხევეებმა ციგგომბორის მთის კალთებზე დააწესეს სამას არაგველთა მოსაგონარი დღეობა — „სამას არაგველობა", რომელსაც აგვისტოსთვის ბოლო კვირას ატარებენ, რის შესახებაც ცხადდება პრესასა და ტელევიზიაში. შეტანილია „დღესასწაულების კალენდარში". მოსაგონარ დღეობაში მთიე-

ლების გარდა მონაწილეობენ სამას არაგველთა ხსოვნის პატივისმცემელი ბარელებიც, მათ შორის ცნობილი მწერლები და მეცნიერები, მსახიობები...

ჩვენ ეს ფაქტი იმიტომ კი არ მოგვაქვს, რომ „არაგვი და არაგველების" ავტორი ამის შესახებ, როგორც იტყვიან, ბაიბურშიც არ არის და არც ახსენებს, არამედ იმიტომ, რომ ამ პატრიოტულ ყოველწლიურ ტრადიციაში არა თუ ვ. ითონიშვილის მიერ მოჟორილი კარგა ხნის მანძილზე გაუთავებელი დავა და არაჯანსაღი „პოლემიკა" სწარმოებს, პირიქით, მათი ერთიანობა, ურთიერთ პატივისცემა და სიყვარული იხატება, რასაც ათასობით დამსწრე დაადასტურებს.

ვ. ითონიშვილი რომ გამომძვრალიყო თავისი ბუნაგიდან და ერთხელ მაინც დასწრებოდა „არაგველობას" გაიგებდა, რომ მის დამწესებელ სხვა მთიელებთან ერთად, ერთ-ერთი ინიციატორი, აწ განსვენებული მოხევე — მიშიკო ლუდუშაური ყოფილა. ეს ცრუკაკუნა მეცნიერი კი მკითხველის მოტყუებას ცდილობს, რომ ნაშრომის დაწერის საბაბი ჰქონდეს.

ყველა მთიელისთვის, ვინც ნაღდი მთიელია და არა ზოგიერთივით სხვა ტომიდან გვიან შემოტმასნებული, ვ. ითონიშვილის ეს მონაჟორი საზიზღარი ცილისწამებაა. მისი წიგნიდან მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მთიელთა შორის ასეთი „გაუთავებელი დავა". საცაა ერთიმეორის დატაკებით დამთავრდება, თუ ვ. ითონიშვილმა დროზე არ უშველა.

თავის პასუხში ავტორმა ვერ მიგვითითა ვერცერთ დოკუმენტზე, ვერც ერთ ფაქტზე, რომელიც კუთხეთა მიმართ მის ამ ცილისწამებას დაასაბუთებდა. არ არის და რაზე მიგვითითებდა!

შენიშვნა II — ვ. ითონიშვილს სურს რა, სამასი არაგველის შემადგენლობიდან ფშაველები და ხევსურები გამორიცხოს, წიგნს იმის მტკიცებით იწყებს, რომ ფშავ-ხევსურეთში არაგვი, საარაგვო და არაგველები არ არსებობს, რომ ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობა საარაგვოს არ მიეკუთვნება (?!).

მოვიტანთ ამონაწერს მისი ალმოჩენიდან: „არაგვის ხეობას არ მიეწერება ფშავის არაგვისა და მისი შემავალი ხევსურეთის არაგვის ხეობა" (76) „არაგვის ხეობას ხელოვნურად ვერ „მივატმასნებთ" ფშავის არაგვის ხეობას (77); საარაგვოს „რეგიონის მიჯნების გაზრდა მასში ფშავის არაგვის შეყვანის ხარჯზე დაუშვებელია" (78); „სახელწოდება „საარაგოს" ცხადია არაფერი აქვს საერთო ფშავ-ხევსურეთში ფიქსირებულ ხალხურ ტერმინ „სხარაგვოსთან" (93). „ისტორიული ტრადიცია ფშავსა და ხევსურეთს „არაგვად" სახელდებულ მხარეებად არ წარმოაჩენს". „სახელწოდება „არაგვისპირელი" არ ვრცელდება, მაგალითად, ფშაველებზე (და ნიადაგ ხევსურებზეც) (100 გვ.).

ვ. ითონიშვილი იქამდეც კი გათამამდა, რომ ჩვენზე ადრე თვით ვაჟა-ფშაველას დაეტაკა: როგორ ბედავს და წერს „მე არაგველი გახლავართო". ავტორი ფშავ-ხევსურეთში არაგვის ხეობის არსებობის ფაქტს ასეთი ლოგიკით ებრძვის: „არაგვის ხეობას არ მიეწერება... არაგვის ხეობა", როგორც ვხედავთ უჭირს მეცნიერს, მაგრამ რა ქნას. ფშავ-ხევსურეთის არაგვს ყოისუს ხომ ვერ დაარქმევს, არა-და ძალიან გულით უნდა არაგვისა და არაგველების სახსენებელი გააქროს ფშავ-ხევსურეთიდან, რომ ბოლოს გვითხრას (და აკი გვითხრა კიდეც!). კრწანისის ომში დალუპული თუშ-ფშაველ-ხევსური მეომრები სამას არაგველთა შორის არ ითვლებიან, რადგან მათ არაგვი არა აქვთო (?!).

რეცენზიაში ვწერდით, რომ ფშავ-ხევსურეთში მარტო არაგვი კი არა, არის „არაგვის ხეობა" და „საარაგვოს თემი" ,რომლის მცხოვრებლებსაც იმ-

თავითვე „არაგველები" ჰქვია და ამასთან ერთად მოგვქონდა ამონაწერები წერილობითი წყაროებიდან, რითაც ყველაფერი ეს დასტურდება.

და აი ავტორის პასუხიც ამ შენიშვნაზე: „ჩვენმა დათავწვერებულმა (?!) პასკვილანტებმა კი რატომლაც ვერ გაართვეს თავი მათი ულმობელი კრიტიკის საგნად ქცეული წიგნის იმ გვერდების ყურადღებით წაკითხვის ამოცანას, სადაც გარკვევით გვქონდა ლაპარაკი, ერთის მხრივ ისტორიული ტრადიციით კარგად ცნობილ და უდავოდ არაგვის საერისთავოს (მოგვიანებით საუფლისწულოს) მიწა-წყლისა და მის ფარგლებში დასახელებული მოსახლეობის აღსანიშნავად ხმარებული ტერმინების — „არაგვის", „საარაგვოს" და „არაგველის" კონკრეტული სემანტიკისა და გავრცელების არიალზე, ხოლო მეორეს მხრივ მდ. არაგვის აუზთან შეფარდებული მთელი ტერიტორიის ცალკეულ ხეობებად დაყოფის მიზანშეუწონლობაზე (170).

ეს ლექსი უფრო ადრე ჩაწერილიცაა (ჩამწ. აკად. აკ. შანიძე) უფრო მხატვრულიც, თანაც, რაც მთავარია, ნამდვილად კრწანისის ომს ასახავს, მაგრამ ითონიშვილმა ის არ გამოიყენა, რადგან კრწანისის ომში ხევსური მეომრების მონაწილეობას ადასტურებს.

თავის პასუხში ითონიშვილი „გვპასუხობს" ისეთ რამეებზეც, რაზეც არ ვედავებით, ხოლო ეს კონკრეტული მწვავე შენიშვნა კი ისე კეკლუცად აიცურა, რომ საზე კრინტიც არ დაძრა. განა მასალების ამაზე მეტი აშკარა გვერდის ავლა, იგნორირება და გაყალბება შეიძლება? აქაც რას ვიზამთ, ამაზე იტყვიან: „ასი ურტყი დავითასა, მაინც იზამს თავისასა".

აი ასეთი იყო ჩვენი რეცენზიის ძირითადი შენიშვნები, აგერ მისი წიგნი და აგერ ჩვენი რეცენზია. ვ. ითონიშვილმა კი თოკი აიწყვიტა, დაუკრეფავში გაიქცა და იქიდან ლანძღვა-გინებისა და შეურაცხყოფის გაუგონარი ნიაღვარი დაგვატეხა თავს (იხ. მისი პასუხი). ბავშვს „ეკვრებს საამიდის და ვტირიო".

ამ უშველებელ პასუხში მას მხოლოდ ერთადერთი ამონაწერი მოაქვს თავისი წიგნიდან. ეს არის დასკვნა. კი მაგრამ ჩვენ ხომ იმას არ ვედავებოდით, ნაშრომს დასკვნა აკლიაო, არამედ იმას, რომ ეს დასკვნა ყალბია. იგი დაუოკებელი ფანტაზიის ნაყოფია, რადგან ავტორს არ გაჩნია არავითარი მატერიალური მასალა, საბუთი, რაც ასეთ დასკვნას დაედებოდა საფუძვლად. სად არის ეს საბუთები? რატომ ვერ მოაქვს ჩვენი შენიშვნების გამაბათილებელი ამონაწერები თავისი წიგნიდან?

გახა თუშ-ფშაველ-ხევსური მეომრებია დამნაშავენი, რომ ამ ბრძოლების მომსწრენი და მაყურებლები მათ ასახელებენ და მოხევეებსა და მთიულებს არა?!

ამ უშველებელი „წინადადებიდან" ჩვენ მხოლოდ იმის გაგება მოვახერხეთ, რომ ამ საკითხზე წიგნში „ჰქონია ლაპარაკი", ხოლო რა „ილაპარაკა", ეს კი პასუხში აღარ გაგვიმხილა, არც გვერდი მიუთითა და არც ამონაწერი მოიტანა. ესაა პასუხი!

ჯერ წიგნში, ხოლო ახლა კი პასუხში, ავტორმა თვალი აარიდა იმ მასალებს, რომლებიც ფშავ-ხევსურეთს საარაგოს იხსენიებს. და არც თუ საარაგოს ძირითადი ნაწილის, ქვემო საარაგოს არსებობას აქცევს ჯეროვან ყურადღებას. ხალხი იმთავითვე საარაგოს უწოდებს არაგვის ხეობას მისი სათავეებიდან დაწყებული მცხეთამდე. განა თერგის ხეობის სოფლები თუ შეიძლება ეკუთვნოდეს საარაგოს, არაგვის ხეობაში მდებარე სოფლები: ჩინთი, ჭოპორტი, არანისი, ბოლოანური და თვით სოფელი არაგვისპირი, არ არის საარაგოს მოსახლეობაზე კუთხეურობის ნაკუწში ჩაკეტილ ავტორს არ უნდა იმაზე იფიქროს, რომ წყაროებში დასახელებულ არაგველთა შორის შეიძლება ამ სოფლების მეომრებიც ყოფილიყვნენ.

ჩვენ ავტორს ვუყენებდით კითხვას: დიდძალი წერილობითი წყაროებისა და ზეპირსიტყვიერი საისტორიო მასალების გათვალისწინებით მიაჩნდა თუ არა თუშ-ფშავ-ხევსური მეომრები კრწანისის ბრძოლაში დალუპულ სამას არაგველებად?

ამის პასუხად იგი წერს: „წიგნის ცალკეულ გვერდებზე მრავალგზის მივუთითებდით ერეკლე მეფისადმი ერთგულებით გამორჩეულ თუშ-ფშავ-ხევსურთა განსაკუთრებულ დამსახურებაზე". სად, რომელ „ცალკეულ გვერდებზე" უბოძა ასეთი მოწყალება თუშ-ფშაველ-ხევსურებს, რატომ არ უთითებს?

საჭირო კი იყო ნათელი პასუხი, თუ „არას" იტყოდა, დაესაბუთებია, ხოლო თუ „ჰოს" გვიპასუხებდა, მაშინ არც ამ წერილის გამოქვეყნება დაგვჭირდებოდა და მისგან შეურაცხყოფილი სამას არაგველთა ჩამომავლობაც დაწყნარდებოდა. ასე რომ, კონკრეტულ პასუხს აქაც თავი აარიდა და კვლავ კუკუმალაობა გაითამაშა.

შენიშვნა III — რაკიღა ითონიშვილმა ფშავ-ხევსურის საარაგვო და არაგველები „ამერიკასავით" დაბურა, ახლა თერგის ხეობაში შეუდგა საარაგვოს დაარსებას.

პასუხში მიგვითითა წყაროებზე, რომლებშიც ავტორები აღნიშნავენ, რომ დარიალზე გამავალ მდინარეს აღგილობრივნი თერგთან ერთად მეორე სახელად არაგვსაც უწოდებენ, მაგრამ იმავე წყაროებში ხომ ისიც არის ნათქვამი, რომ „ცნობილია ხეუსურეთის არაგვი", „ფშავოს არაგვი" (აკ. შანიძე) ამას რაღა დავაფაროთ? რატომ არ იყო ეს მასალა წიგნში მითითებული და გაანალიზებული?!

საკვირველია, რომ მკვლევარმა აკადემიკოსის ეს აზრი მკითხველს დაუმალა და მის ნაცვლად სკოლაუნახავი გლეხის ნათქვამი „ხევსურეთში არაგვს რა უნდაო?" გამოიყენა საბუთად. რა დაგვერქმია ასეთი საქციელისთვის თუ არა ტენდენციურობა და მასალების ბიჭქმალვა-მიფუჩეჩება?

ეთნოგრაფს არ უნდა დაავიწყდეს, რომ ორსახელიან მდინარეთა მოსაპოვებლად წყაროების ქექვა. იქვე, თერგის პარალელურად გადის მდ. ასა, რომელსაც ადგილობრივნი არაგვს ეძახიან, იგივე ითქმის სხვა მდინარეებზეც, რადგან არაგვი ყველა დიდი მდინარის ზოგადი სახელია მთიელებისათვის. ამიტომ უსაბუთოდაც გვჯერა, რომ თერგს არაგვსაც უწოდებენ. მაგრამ ვერაფრით დავიჯერებთ, რომ მხოლოდ ეს ირიბი ცნობა საკმაო იყოს იმისათვის, რომ თერგის ხეობა საარაგვოს მივაკუთვნოთ, ხოლო ფშავ-ხევსურეთის არაგვის ხეობა — არა.

რეცენზიაში აღვნიშნავდით, რომ საჭიროა უტყუარი საბუთები, რის გარეშეც არ შეიძლება ავტორის მხოლოდ ვარაუდები და ლიტონი მსჯელობა ვირწუნოთ, მით უმეტეს რომ კრწანისის ომის ისტორიაში მოხევეებისა და მთიულების ხსენება არ არის. ჩვენ ვწერდით და კვლავაც ვიმეორებთ: მოხევეები და მთიულ-გუდამაყრელები ამ ომში აუცილებლად იქნებოდნენ და არ გვეგულება კაცი, რომელსაც სხვა აზრი ჰქონდეს, მაგრამ პრეტენზიული სამეცნიერო ნაშრომისთვის ავტორს საბუთები არ გააჩნია. მან თავის პასუხში ვერ მიგვითითა ვერცერთ ასეთ წყაროზე, და უბამსი ეპითეტებით სცადა ჩვენი მოგერიება.

„დაუსრულებელი დავა" მთიელთა შორის, თურმე, იმიტომ სწარმოებს რომ „ერეკლე II დროშის ქვეშ დარაზმული სამასი პატრიოტის კუთხური კუთვნილება" გაარკვიონ.

მთიელთა შორის რომ არავითარი დავა და პოლემიკა არ სწარმოებს, ეს უკვე ვნახეთ, მაგრამ მოხევეები და მთიულები თუ „ერეკლე II დროშის ქვეშ დარაზმულნი" როგორ იბრძოდნენ, ამის მტკიცებასაც ხომ საბუთი

სჭირდება? ასეთი მასალები არსებობს, მაგრამ ავტორის სასარგებლოდ არ ლაპარაკობენ ამიტომაც მიაჩუმათა ისინი.

ჩვენ თითო ნიმუშს მოვიტანთ ზეპირსიტყვიერებისა და წერილობითი წყაროებიდან:

ხევის მებატონე გაბრიელ ჩოფიკაშვილი ადრევე მიემხრო რუსებს. იგი ჯერ ჩუმ-ჩუმად, ბოლოს კი იარაღით აშკარად ებრძოდა ბაგრატიონთა დინასტიას. რაზეც არსებობს როგორც წერილობითი წყაროები, ისე ზეპირსიტყვიერი მასალები.

ქვემოთ მოტანილი ლექსი პირველად ერთი საუკუნის წინათ გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში" და მის შემდეგ იგი არა ერთხელ არის დაბეჭდილი.

მოვიტანთ შემოკლებით:

„ანდრეზად არ მოდიოდა,
ახლა გაბრიელმ ქნისაო.
დალიენა ბაგრატიონნი,
თავად ბატონად ზისაო,
გაბრიელმ ლაშქარნ შაყარნა,
რუსისა — ლიახვისპირ.
ხწევდა მოხევეებსა
„ჯავრ ვის გაქვთ ერეკლისაო"
ერეკლე შაწუალებულა
ტანთ ბექთარს იცვემდისაო.
ხევსურეთ წიგნებ წალალა
თავი მჭირდება ყმისაო"
არაგვზედ (?!) ჩამოდიოდა
გუნდია შავარდნისაო.
ქალაქ შევიდეს ხევსურნი.
მზე ეფარების პირსპირ.
ერეკლე წამოეგება:
„მოხეედით საომრითაო...
თოფით იომეს ხევსურთა.
მემრ ხელ მიუდის ხმლისაო"

ხევის მებატონე და რუსის გენერალი გაბრიელი კი ამ დროს ხევსურეთზე „გასალაშქრებლად ემზადება და ლექსიც ასე მთავრდება:

„ხევსურეთ, გაბრიელ, ვერ შაბვ! ტყვიას აგსხმენ წვრილსაო".

ამ გაბრიელის შესახებ მთიული კალმის—წვერა (კობაიძე) წერდა, რომ მან „რუსის მხედრობას დიდი შემწეობა აღმოუჩინა... დარიალის შემოვალ ვიწრო გზებში და მეჩალის მაძალარის ჩინი, რომელმაც ბოლოს ღენერლობაც დაიმსახურა".

გაბრიელის ავკაცობაზე წერდა მეორე მთიელი ავტორი სუართ ამინაც.

გარდა ამისა, რომ ეს ლექსი, როგორც საისტორიო მასალა, ილიამ გამოაქვეყნა, იგი პირველად ქართული ეთნოგრაფიის ფუძემდებელს, ნ. ურბნელს ჩაუწერია და ამიტომაც ეთნოგრაფმა ვ. ითონიშვილმა ეს შესანიშნავი საისტორიო ლექსი უნდა წაიკითხოს და გამოიყენოს.

ეს ერთი, სრულიად სანდო ნიმუში საისტორიო ზეპირსიტყვიერებიდან, ახლა წერილობითი წყაროც გავსინჯოთ.

1743 წ. აჯანყებულებმა ერეკლე მეორის ერთგული ბეჟან ერისთავი და ოტია ამოწყვიტეს. ერეკლემ სასტიკად დასაჯა ისინი „ვინც ვინ ბეჟან ერისთავის სისხლში რეულიყო" თვალები დასთხარა. და იცით, ვინ იყვნენ ამ აჯანყების მეთაურები? მოხევეები და მთიულები: ღუდუშაური პაპა, ნადიბაიძე გივი, ნადიბაიძე ზარიბეგ და სხვები, სულ 15 გლეხი. ცხადია, მეთაურებს აჯანყებულებიც თავისი კუთხიდან ეყოლებოდნენ. (ქ. გვრიტიშვილი „მასალები ქართველ. გლეხობის ისტორიისათვის" გვ. 314—315).

რატომ გვაიძულებს ვ. ითონიშვილი, რომ დეტალურად მივუთითოთ იმ მასალებზე, რომლთაგანაც რეცენზიაში თავი შევიკავეთ? აი, დაილაგოს ახლა ეს (და სხვა რამდენი!) მასალები და ამის მიხედვითაც იმსჯელოს „ერეკლე II დროშის ქვეშ დარაზმული სამასი არაგველის კუთხური კუთვნილების გარშემო". რა უნდა, რამ ატეხა? რად უნდა, რომ „თაგვმა კატა გამოთხაროს". ან, ეგების, ის მაინც გვითხრას, სხვა რომელ ომში იხსენიებიან ისინი ერეკლე II „დროშის ქვეშ დარაზმულებად?" რატომ ეძებს ისეთ მასალებს, რომლებიც კუთხეებს ერთიმე-

ორეს უპირისპირებს და არა ისეთებს, რომლებიც აერთიანებს?!

შენიშვნა IV — წერილობით წყაროებთან ერთად მკვლევარი გვერდს უვლის, ან ცალმხრივად და დამახინჯებულად იყენებს ხალხში შემონახულ საისტორიო თქმულება-გადმოცემებსა და სიმღერებს.

ავტორს ჯერ უნდა განვუმარტოთ, რომ მის მიერ ნაშრომში გამოყენებული ორიოდე ნაყალბევი ტექსტი არ არის ზეპირსიტყვიერება, რადგან ისინი არ განეკუთვნებიან ზეპირსიტყვიერების არცერთ ჟანრს, არ ვრცლედებიან ზეპირად, არ გააჩნიათ ვარიანტები, უსიუჟეტონი და არა მხატვრულნი არიან, მაგრამ მკვლევარი მათ საისტორიო ზეპირსიტყვიერი მასალის უფლებით იყენებს.

აი ერთი ნიმუში: „არაგვს რა უნდა ხევსურეთში ფშავლები და ხევსურები წააყენეს. მთელი მთიულეთის შრომა იმათზე გადაიტანეს“.

არა გვგონია, ითონიშვილის გარდა, აღმოჩნდეს სხვა სწავლული კაცი, რომელიც ამ ტექსტს ზეპირსიტყვიერებას მიაკუთვნებდეს და მასზე დაყრდნობით დასკვნას მოუფიშფიშებდეს მკითხველს.

ავტორს წიგნში ერთადერთი მთიულური ლექსი მოაქვს „შემოკლებული სახით“, რომელიც, მისი აზრით, კრწანისის ომში მთიულების მონაწილეობას თითქოს ადასტურებს, ნამდვილად კი ეს „შემოკლება“ ხალხური საგანძურის უზნეო ფალსიფიკაციაა, რადგან იქიდან ამოგლიჯა და მკითხველს დაუმალა სწორედ ის სტროფი, რომელიც არ ადასტურებს. აი ისიც:

> განთავისუფლდა თბილისი,
> თათრებს შეუკრეს გზანიო,
> გაანადგურეს თათრები,
> გადააველიეს მთანიო.

მკითხველი დაგვერწმუნება, რომ ეს ტაეპები, ისე როგორც მთელი ლექსი, არ შეიძლება კრწანისის ბრძოლას ეხებოდეს, რადგან ამ ომში არც თბილისი განთავისუფლებულა და არც თათრები გაუნადგურებიათ და გადაუსეიათ მთების გადაღმა. პირიქით, ჩვენ დავმარცხდით.

ვ. ითონიშვილი ახლა თავს იკატუნებს: „ნაშრომის განსაზღვრულმა მოცულობამ გვაიძულაო“. არ ვიცით, ვინ ჰგონია ისეთი მიამიტი, რომ წიგნში ერთი სტროფის ვერჩატევა დაუჯეროს, როცა ჟურნალში მთლიანი ლექსი ორჯერ „ჩატია“ (იხ. „განთიადი“ გვ. 176, 178).

მკვლევარისგან ასე გაჯიჯგნილი ეს მთიულური ლექსი კი აბდულ-ბეგის წინააღმდეგ ბრძოლაში მთიულების მონაწილეობას ასახავს, იგი ძველი ლექსის გავლენით შექმნილი, ახალი, ნაკლებად მხატვრული ვარიანტია.

მოვიტანთ ძირითად ტექსტს:

> აბდულას ყარაულები
> ქალაქის ჩიდზე მდგარაო.
> მანდით აყრილა აბდულა,
> დიღომში ჩამომდგარაო...

და ერეკლესთვის ხარკი მოუთხოვია, მაგრამ:

> გონსა მოვიდა მთიული
> ეგრ რო იღორის ფარაო...
> ჩაჭრეს, ჩაკაფეს კარავი,
> ჩაყარეს ფარი-ფარაო.
> ეუბნებოდნენ ოსები:
> „კარგიჯ მთიულო, კმარაო“...

ხოლო ჯარებგანადგურებულ აბდულ ბეგს სამარცხვინო გაქცევით გადაურჩენია თავი.

ამ ძირითად ტექსტში კი, როგორც ვხედავთ, ყველაფერი თავის ადგილზეა. იგი ისტორიულ სინამდვილეს ასახავს. ერეკლეს მთიულების თანადგომით თათრებიც დაუმარცხებია და თბილისიც გაუნთავისუფლებია. ამიტომაც ითონიშვილისაგან „მოკრწანისებული“ ლექსი დარგის სპეციალისტებს ამ ძირითადი ტექსტის ახალ ვარიანტად მიაჩნიათ; ხოლო ითონიშვილი კი ბავშვური

სიჯიუტით ვრცელ, დილეტანტურ დავას გვიმართავს ფოლკლორისტიკის თეორიის საკითხებზე: გინდათ თუ არა, ეს ლექსი კრწანისის ომს ასახავს. რას ვიზამთ? ხომ არის ადამიანი, რომელიც „მაინც იტყვის, ჩემი სჯობს“...

ამავე ლექსთან დაკავშირებით ვამხელდით ავტორის ტენდენციურობას, რადგან აკადემიური გამოცემის იმავე გვერდზე, საიდანაც ავტორმა ეს ყალბად გაგებული ლექსი მოიტანა, დაბეჭდილია ხევსურების კრწანისის ბრძოლაში მონაწილეობის ამსახველი ლექსი. მოვიტანთ ნაწყვეტს:

— დაემზადენით ხევსურნო,
ჩაჩქნებ დაიდგით თავზედა...
— გაგვიძეხ მეფე ერეკლევ,
წავდგეთ კრწანისის გზაზედა.

რას ერჩიან იმ ხალხს, ვინც ქვემომოტანილი ლექსი ლოზუნგივით ისროლა სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ და მასში მტრის წინააღმდეგ შეკავშირებული ბრძოლის იდეა ჩააქსოვა, რასაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს:

თუშნო, ფშაველნო, ხევსურნო,
ლაშქარი გავაზიაროთ.
ერთმანეთს ნუ უღალატებთ,
დამპყრობი დავაზიანოთ.

განა მთიელები დღესაც არ ამბობენ ანდაზად შემონახულ სიბრძნეს: „ძმათა ერთია სახელი“.

საქართველოს კუთხეთა ძმობის, საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის ეროვნულ-ისტორიული იდეა ხომ ასე ფართოდ არის ასახული ფოლკლორსა თუ კლასიკოსთა ნაწერებში, ისტორიაში. ეს ჭეშმარიტება ხომ დიდი ხანია დამკვიდრდა ერის ცნობიერებაში და რა დასამალია, რომ სწორედ ეთნოგრაფს არ ესმის ეს. მან თავისი კუთხის უკეთ გამოჩენა სცადა და, ნებისად თუ უნებლიედ, მთის კუთხეები ერთიმეორეს სადავოდ წაჰკიდა. ამაზე იტყვიან: „ვირმა საძოვარი ნახა და ლობე — ველარაო“.

ვაჟა-ფშაველას დასაშვებად მოაჩნდა, რომ ხალხურ მელექსის თავისი კუთხის მეომრები სხვებზე სახელოვნად ჰყვანდეს დასურათებული, მაგრამ მეცნიერება ხომ პოეზია არ არის, წარმოსახვებსა და ფანტაზიებს ეყრდნობოდეს!

როგორც ვხედავთ, ვ. ითონიშვილმა წინასწარი აკვიატებით მოინდომა დაემტკიცებინა, რომ კრწანისის ომში დაღუპული გმირი სამასი არაგველი მოხევეები და მთიულები იყვნენ. მაგრამ ამის დამტკიცება შეუძლებელია, რადგან მტერმა გვძლია, ბრძოლის ველზე დაცემულთა გვამებს გადმოუარა, თბილისი აიკლო, დაარბია და ცეცხლს მისცა, ჭუჩები მოქალაქეთა გვამებით მოიფინა. ამ პირობებში ვის შეეძლო დაედგინა დაღუპულთაგან ვინ მოხევე იყო, ვინ ქიზიყელი თუ ფშაველი. ეს აბსურდია. ან მტერი ეგების ამორჩევით ხოცავდა ერისთავების საყმოდან მოსულებს და სხვებს ხელს არ ადებდა? ხოლო, რაც შეეხება სახელდებას „სამასი არაგველი“, იმდროინდელ წერილობით წყაროებში სამასად მხოლოდ ცოცხალი ხევსურების რაოდენობა იხსენიება, რაც ერთი საუკუნის შემდეგ ა. ორბელიანმა „არაგველთან“ გააერთიანა და მას შემდეგ დამკვიდრდა ერთიან ცნებად „სამასი არაგველი“.

ერთი სიტყვით: კრწანისის ომში დაღუპულთა „კუთხური კუთვნილების“ შესახებ ახლაც იგივე ვიცით, რაც ვ. ითონიშვილის წიგნის გამოცემამდე ვიცოდით. მისმა ავტორმა ახალი ვერაფერი დაგვიმტკიცა.

არა გვგონია მოხევეებს სჭირდებოდეთ ითონიშვილებისგან საჩოთიროდ შექმნილი ისტორია, რადგან მათ უამისოდაც კარგი წარსული აქვთ. ისინი საუკუნეთა მანძილზე ჯვბირად ედგნენ საქართველოს საზღვარს და მტერს შიგნით არ აჭაჭანებდნენ. და თუ

მაინც თავისას არ იშლიან, წერონ, ვთქვათ, იმაზე, თუ მოხევეებმა როგორ შემუსრეს საქართველოს დამოუკიდებლობის დასამხობად შემოჭრილი ბოლშევიკთა ბანდები. არც ის გვგონია, რომ თვითონ მოხევეებმა დაუჯერონ, თითქოს მოძმე კუთხეთა შორის ამ საკითხზე „კარგა ხნის მანძილზე გაუთავებელ დავას და არაჯანსაღ პოლემიკას აქვს ადგილი“.

ვ. ითონიშვილი საქმეს ისე ხატავს, თითქოს რაღაც დიდ, მეცნიერულ ჭეშმარიტებას ადგენდეს და ჩვენ „დილეტანტები“ და რანი და რანი აღარ, ხელს ვუშლიდეთ. ეს ტყუილია. ვ. ითონიშვილის ამ ქვეყნად არსებობა არც გაგვეგონა, როდესაც ეს ზადიანი და მანკიერი წიგნი წავიკითხეთ. კუთხეთა შორის ასეთი „ჩორტის“ ჩამდგები „ნაშრომით“ შეიძლება სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვო, შეიძლება საქმე „მოგიკვაჭონ“, და დიდი ტირაჟით წიგნადაც გამოსცე, მაგრამ მკვლევარი ხომ იმასაც უნდა უფიქრდებოდეს, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ გამოგონილ, ყალბად შეკოწიწებულ დებულებებსა და ყოვლად დაუსაბუთებელ დასკვნებს, მით უმეტეს, როდესაც ნაშრომი დაფუძნებულია „სხვისას ჩააბიე და შენსას ჩააკერეს“ პრინციპზე.

განა არა სჯობდა, მკვლევარს გამოეყენებინა მისგან გვერდავლილი და მიჩქმალული მასალები, მეცნიერული კეთილსინდისიერებით გაეანალიზებია და შეეჯერებია ისინი. დარწმუნებულნი ვართ, მაშინ იგი მიიღებდა [illegible] ბელ დასკვნას, რომ სამაგ[illegible] შორის დაეცნენ მთის ყველა კუთხის წარმომადგენლები. მაგრამ მან ეს არ გააკეთა, საკითხის კვლევის ისტორიის გადაფასება და „ახალი სიტყვის თქმა“ მოინდომა და აი შედეგიც.

ავტორს თავის პასუხში მოაქვს ჩვენი რეცენზიის სხვადასხვა გვერდიდან თუ აბზაციდან ამოგლეჯილი, დამახინჯებული და მექანიკურად ერთიმეორეზე გადაბმული ამონაწერები, ხოლო, როგორც ზემოთ დავინახეთ, კონკრეტულ შენიშვნებზე პასუხის ნაცვლად ან დუმს ან რაღაც ვრცელი მიეთმოეთებითა თუ ყიამყრალობით გვიგერიებს. თაბახნახევრიან პასუხში თავის წიგნიდან ვერ მოაქვს ვერცერთი ამონაწერი, რომლითაც ჩვენს რომელიმე შენიშვნას დოკუმენტურად გააბათილებდეს. ამიტომ ჩვენი ყველა შენიშვნა ძალაში რჩება და თუ მაშინ მის ნაშრომს შერბილებულად დაუსაბუთებელი და ტენდენციური ვუწოდეთ, ახლა, როდესაც ხალხი ერთიმეორეს წაჰკიდა, ვიტყვით: იგი მავნეა და არა მარტო მხილებული, ხმარებიდან ამოღებულიც უნდა იქნას.

ამას გარდა, სასურველი იქნებოდა, რედაქციებს თავი შეეკავებინათ აშკარად დილეტანტური და აბსურდული მასალების ბეჭდვისაგან. ისინი ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლონ ცანავა

პოეზიის მერიდიანები

(„მნათობი", 1991. № 7—12)

წერილი მეოთხე

ჟურნალ „მნათობის" მეშვიდე ნომერში დაბეჭდილ ემზარ კვიტაიშვილის ლექსების ციკლში („იკაროსის დაღუპვა") ისევ თავსდატეხილ დიდ უბედურებაზეა საუბარი (ჯერ მეუღლის, შემდეგ კი სრულიად ჭაბუკი — პოეტი ვაჟიშვილის დაღუპვა). აქ პიროვნული ტრაგედია ისეთ მხატვრულ განზოგადებას იძენს, რომ წარუდინებელი რჩება მკითხველის ცნობიერებიდან. ციკლში წარმოდგენილი ლექსების უმეტესობა ქვეტექსტებითა და მინიშნებებით, ძალზე გამჭვირვალე, პრეციოზული პარადიგმებითაა გაჯერებული.

სათაურშივე მეღავნდება ავტორისეული ქვეტექსტის, მინიშნების (პარადიგმული საზრისის) ძირითადი მიზანდასახულობა. ჭაბუკი იკაროსი სიმაღლემ გაიტაცა, მზეს მიუახლოვდა, მზემ სანთელი გაადნო, ფრთები ჩამოცვივდა, ყმაწვილი ზღვაში ჩავარდა და დაიღუპა. (პოეტის პირმშოს) მაღლივი სართულიდან „ჩაქნეული ფრთებით" გადმოფრინდა და ქვაზე დაენარცხა („რით შეეკონო, რა ვუყო წვიეებს გადალეწილს", ანდა, „რად მაჩვენე, კეთილო, ქვაზე სისხლის მოსხმა"). პოეტისა და იკაროსის მამის მწუხარება, წილხვედრილობა იდენტურია, ტოლფარდი. ეს ძალზე მარჯვედ შერჩეული პარადიგმა ციკლის თითქმის ყველა ლექსში პოულობს თავისებურ გამოხატულებას.

ჩემი აზრით, რუბრიკაში წარმოდგენილი ემზარ კვიტაიშვილის ლექსი — „მონანიე მონის ჩივილი" ერთ-ერთ გამორჩეულ ლექსად უნდა მივიჩნიოთ.

ჩვენ ვცხოვრობდით და, ჯერჯერობით, ისევ ვცხოვრობთ მონურ პირობებში. საზოგადოება, სადაც ტოტალიტარიზმი ბატონობს, ვერასოდეს ვერ იქნება თავისუფალი. ლუკმაპურისათვის „მებრძოლ" ადამიანებს არ შეუძლიათ ემსახურონ კანონის უზენაესობას, შექმნან ღირებული ფასეულობანი. ასე საზოგადოებაში მხოლოდ ბოროტება ბატონობს. პოეტი (მონანიე მონა) ასე შესჩივის შვილს:

ბედნიერი ხარ ერთით —
გასჩდი ჭუჭყსა და შორს.
ვერ მოგეწევა შხამი,
შენ ხარ იმდენად შორს.
დათმე სიამე ყველა,
არც ადრე ცნობდი შურს,
არარად თელიდი სიკვდილს,
ისე ხარ როგორც გსურს.

სხვა ლექსიც („გაუთავებელი გლოვა") ძალზე ღრმა პოეტური მინიშნებებითა და ქვეტექსტებითაა სავსე:

შენ იქნები ჩემი გაყინული ცრემლი,
უხმოდ ნადენი და სხეულში დაგროვილი.
გულღვიძლამომწვარის გაუთავებელი
გლოვა...

ე. კვიტაიშვილის ძალზე დახვეწილი პოეტური ხედვა მეტად ორიგინალურია. მას საკუთარი, გამოკვეთილი ადგილი აქვს დამკვიდრებული ქართულ პოეზიაში.

ამავე ნომერში დაბეჭდილია ჩემთვის დღემდე უცნობი ლინა ბარათაშვილის ოთხი ლექსი, სადაც ძალზე საინტერესოდაა დანახული უნაყოფობის ტრაგედია. ერთხელაც მოვა ქონდრის კაცუნა და მალალ, მშვენიერ, მაგრამ უნაყოფო ხეებს ძირშივე მოჭრის. ეს კი, გამრავლების უნარს მოკლებული ერის დაცემას, გადაშენებას ნიშნავს, უნაყოფო ქართველი უნაყოფო ხეა. სწორედ ამიტომ ამბობს პოეტი ქალი — „მზის სამასპინძლოდ სარკმელს რომ ვაღებ, ქარს მოაქვს ხოლმე ჩემთან ჩუმი წუხილი — უმშვენიერეს და უნაყოფო ხეთა". არ შეიძლება პოეტის გულწრფელმა ნათქვამმა სიტყვამ ქარს მომდგარ ტრაგედიაზე არ დაგვაფიქროს.

მირიან მირნელის საინტერესო ლექსებიდან მე მომეწონა „მინგრევენ ძველ სახლს" და „ელეგია". აქ გამოზომილი სიტყვებითაა გადმოცემული პოეტის დამუხტული გრძნობები. პოეტი ვერავინ ანუგეშა.

ვერ ავაშენე სოფელში სახლი, —
ვერ მივადუღე აგურს აგური,
ცა არ მიჯავნის წყალობას მაღლით
და უღმერთობით ეარ დაჩაგრული.

ჩემი აზრით, ქართული პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად უნდა მივიჩნიოთ არჩილ სულაკაურის „გოდება", რომელიც პირველად ჟურნალ „მნათობში" (№ 8) დაიბეჭდა და ჩვენი ქვეყნის უმძიმეს სატკივარს განზოგადებული სახით წარმოსახავს. აქ ძმათა შორის ომის ტრაგედია კოსმიურ სიმაღლეზეა აზიდული და თავისებურად ეხმაურება დავით გურამიშვილის ცნობილ საგოდებელ ლექსებს. თითქოსდა, ერთდაიმავე მოვლენამ — ძმათა შორის სისხლის ღვრამ დიდი მანძილით დაშორებულ ორ პოეტს თანაბარი ძალის ლექსები დააწერინა.

არჩილ სულაკაურის „გოდება" ერთი ამოსუნთქვითაა ნათქვამი. ტკივილებით გაჯერებულ სტრიქონებს, პოეტმა გულიც ამოატანა: არ მეგულება სხვა ლექსი, ასე სრულყოფილად რომ წარმოაჩენდეს საქართველოს დღევანდელ მძიმე მდგომარეობას. აქ ყოველი სიტყვა, სტრიქონი „ოქროს საბლითაა" მოზომილი. არსად იგრძნობა შტამპი და ტრაფარეტი. სტრიქონები: — „ქართველები ზეიმობენ ქართველების დამარცხებას", ლექსის დვრიტას წარმოადგენს. ზედმეტი კომენტარებით თავი რომ არ მოვაბეზროთ მკითხველებს, ვთავაზობთ ამ გამორჩეული ლექსის სრულ ტექსტს:

ნაიარევ გულზე ჯავრი
ყორანივით დამაცხრება,
ქართველები ზეიმობენ
ქართველების დამარცხებას.
უცხომ თოფი მესროლა და
ელვასავით გავიცინე,
ქართველმა რომ დამიმიზნა,
ტყვია ველარ ავიცილე.
ეს ტყვია მკლავს,
შველას ვითხოვ,
შველა არ ჩანს არსაიდან.
გაუძლებ და რას გაუძლებ,
აიტან და რას აიტან?!
სისხლით დაცლილ გულზე ბოლმა
ყორანივით დამაცხრება,
ქართველი რომ ქართველს ესვრის,
ტყვია მიზანს არ აცდება,
აჰა, მესმის შენი სუნთქვა,
ჭირთა ესე დამმართველო,
ქართველი რომ ქართველს ესვრის,
ტყვია ხვდება საქართველოს!
რამ დაშრიტა სიბრძნის წყარო,
ეგ გონება რამ დანისლა,

ან ფილტვებში ვინ ჩაგბერა
ესდენ სუნთქვა სატანისა?!
ტყვიადაკრულ გულზე ჯავრი
ყორანივით დამაცხრება.
ქართველები ზეიმობენ
ქართველების დამარცხებაზ
— დაშლილო და დალეწილო,
აწ რამ უნდა გაგამრთელოს?!
ვაი, ჩემო ერთადერთო,
შე ბედკრულო საქართველო!

ამავე ნომერში დაბეჭდილი არჩილ სულაკაურის სხვა ლექსები („ხომ კარგად გახსოვს", „აი, მოვედი", „დუმილი", „ბებერი ციხე", „სიღოდა") თავისებური ასპექტით აგრძელებენ „გოდების" ძირითად მიზანდასახულობას. პოეტი წარმოსახავს საქართველოსთან ასოცირებული ბებერი ციხის შიგნიდან გატეხვასა და ადამიანთა დაცემა-დაკნინებას, სისხლით შეღებილი მზის ზღვაში ჩანთქმას („მე ძველ ჭრილობებს ამაოდ ვიხვევ, ვიცი, ამაოდ დავშვრი ფიქრებად. ო, როგორ ტყდება შიგნიდან ციხე, ადამიანიც ასე ინგრევა. ახლა მიმწუხრის დაბინდულ ბურში სისხლიანი მზე ზღვაში ეშვება. ვდგევარ და ვუცდი: მთავარი ბურჯი გრიალით როდის ჩამომეშვება"). თითქოსდა ყველაფერი გათავდა („გათელილია ყველა ყვავილი — მამულის ჩემის სული კეთილი"), მაგრამ პოეტს სწამს, რომ ეს ხანმოკლე სიღოდა (ბილწთა დღესასწაული) მალე გაივლის:

ხანმოკლე იყო შენი სიღოდა —
ბრმათა და ყრუთა დღესასწაული.
მამულს ტკივილი,
როგორც იყო და
ეარა იყო რა
ისე გაუვლის.

მერვე ნომერში დაბეჭდილი, ცნობილი პოეტის მედეა კახიძის საინტერესო ლექსებიდან ჩემზე ძალზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ლექსმა — „ჩანახატი", რომელშიაც ვკითხულობთ:

ჩირგვები მიდგარის
მწვანე ტილოზე
სხედან ბუჩე-ბუჩად
ისევ მარტონი,
დგას ერთადერთი
მუხა ტრიალზე
ვით განდევნილი
იმპერატორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას იპყრობს ამავე ნომერში დაბეჭდილი დარეჯან ბატიაშვილის, ალექსანდრე გაბურისა და ალექსანდრე დიდებაშვილის ლექსები.

„მნათობის" მე-9-10 ნომრები ერთ წიგნადაა დაბეჭდილი. აქ პოეზიის რუბრიკა იხსნება გივი გეგეჭკორის ლექსებით (დაბეჭდილია ცხრა ლექსი). გივი გეგეჭკორი ქართული პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო, ორიგინალური წარმომადგენელია. ჩვენმა კრიტიკოსებმა არა ერთი მალალპროფესიულ დონეზე შესრულებული წერილი და გამოკვლევა უძღვნეს მისი შემოქმედების განხილვას. აღნიშნულ ნომერში დაბეჭდილი ლექსები ძალზე სპეციფიკურ და ვრცელ მსჯელობას მოითხოვენ, რის გამოც ამჟამად თავს ვიკავებთ მათი განხილვისაგან და ბოდიშს ვიხდით პოეტის წინაშე.

ამავე ნომერში დაბეჭდილია მეტად ორიგინალური პოეტური ხედვის მქონე გიგი სულაკაურის ოთხი ლექსი, აგრეთვე ჩემთვის ნაკლებად ცნობილი ზაზა თვარაძის, გიორგი ლობჟანიძისა და ალექსანდრე გიგიტაშვილის ლექსები.

ბოლო მე-11-12 ნომრებიც ერთ წიგნადაა დაბეჭდილი. აქ გამოქვეყნებულია ჩვენთვის კარგად ცნობილი პოეტის მარი აბრამიშვილის 15 ლექსი. ამ ლექსებიდან მე ორი ლექსი ვამოვარჩიე („ღამით" და „დამატება"). პირველი ლექსი ყურადღებას იქცევს სათქმელის ღრმა ლირიკული განცდითა და მხატვრული წარმოსახვით.

მეორე ლექსი ტიპიური პაროდიაა ქართველთა წრესგადასულ მელექსეობაზე:

შემომაჩერეს შენი, წვნი
სასურველ წიგნთან,
თითქოს ნაკუწი დამიწონეს
ხორცის ნაჭერზე, —
დავხედე ტირაჟს.... გადავშალე,
ჩავხედე შიგთავსს,
ვინატრე, ქართველს! შემაჯვედრა,
ლექსს რომ არ წერდეს!

ბატონ თამაზ ჩხენკელის სამი ლექსია აქ წარმოდგენილი. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება პირველმა ლექსმა („ბეჭედი") მოახდინა. ეს ლექსი ავტობიოგრაფიული დამლიტაა აღბეჭდილი და ნათლად წარმოაჩენს პოეტი—მთარგმნელისა და მკვლევარი-მეცნიერის გაუბზარავ პიროვნულ სახეს.

მე არ მივლია გზებით ნალახით,
არ მიზელია სხვათა ტალახი
ბილწის, უმსგავსის და უტიფარის
გულზე ნაჭდევი არ მაქვს ტვიფარი.

ლადო სულაბერიძის პოეტური შემოქმედება დღემდე სათანადოდ არაა შეფასებული. ამჟამად ჩვენს მიზანს ამ ნაკლის გამოსწორება არ შეადგენს. აღვნიშნავთ, რომ ტრაგიკული ბიოგრაფიის მქონე პოეტმა ძალზე მძაფრი ლირიკული განცდებითა და მაღალმხატვრული ოსტატობით წარმოგვისახა ტირანულ-ტოტალიტარული რეჟიმის პერიოდში თავსდატეხილი ტიპიური უბედურებანი.

სარეცენზიო ნომერში დაბეჭდილი („საკანი—36") ლირიკული ლექსების ციკლი (ავტორი მას „კომპოზიციას" უწოდებს) მოგვითხრობს, მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვედ მოხვედრის გამო, სამეულის მიერ, 25 წელიწადმისჯილი პოეტის სულიერ დრამაზე („ოცდახუთწელს უნდა ვზიდო განაჩენი სამეულის").

საკატორღო გადასახლებამდე თბილისის ციხის საკანში გამომწყვდეული პოეტი საოცარი ძალისხმევით წარმოაჩენს განშორების მტანჯველ ფიქრებს სათაყვანო საქართველოსთან, მშობლებთან, ნათესავ-მეგობრებთან. განსაკუთრებით შთაბეჭდავია დედის სახე. პოეტს საკანში გაუგია, რომ შესძენია. არ შეიძლება [illegible] მკითხველის გული პოეტის სიტყვებმა:

ჩემი საკანი ახლა ჩემი
სამლოცველია,
ძე ნაშიერის სალოცავად წავიდრეკ
მუხლებს.
ჩემი მუხლიდან ძირს ფოთლები
ჩამოცვენილა,
აკვნის ზეცაზე გაუყრიათ
ფოთლები მუხებს.

უძეოდ გადაგებული დავით გურამიშვილის ბედს განშორებული პოეტი უფალს მიმართავს: „ამ ძით ამაშენე, ტაძრად ამაგე... მადლობა, უფალო, რაკი უშვილძიროდ არ გადამაგე". მაგრამ პოეტის ბედი და გურამიშვილის ბედი მაინც თანხვედრილია, მათი სულის თანაზიარობა პოეტის მიერ შთამბეჭდავი ძალისხმევითაა წარმოსახული:

მე შენს ორმოსთან
გურამიშვილო დავითო.
შენი ტანჯვების კოცონთან
სულს გათოშილს ვავითბობ.
დავიდალეო, იძახი.
წუთისოფელთან დავითო
ჰა, მეც მოვდექი საკანთან
ჩემი ჭირით და ავითო
მიწდა ამ ბნელში, — ჩემსაში,
შენი სანთელი დავინთო.
შენს ბნელ ორმოსკენ მოვცურავ
ამ კიწრო საკნის ნავითო.
მაგ შიაძიანი ღვინითა
ბარემ შენსაკით დავითრო.
შენ შენს ლეკებთან მოთქვამდი,
ჩვენ ჩვენს ლეკებთან ვჩხავითო.

გურამიშვილისეული ქართლის ჭირის უწყვეტობა ძალზე მაღალმხატვრული პოეტური წარმოსახვითაა ნაჩვენები. გარეშე და შინაური მტრები, როგორც მუმლი მუხას, ისეა მისეული საქართველოს: „არ თავდება ქართლის ჭირი გურამიშვილისეული. იგივ მუმლი მამულისა მუხაზეა მისეული. იგივ ოსი, რუსი, ღლიღვი... იგივ ლამე ნისლეუ-

ლი. იგივ გესლი, შური. მტრობა, სისხლის ნთხევა ძმისეული. სულ ჭირზე ვართ მიჯაჭვული, სულ ჭირსა ვართ მიჩვეული... ღვთის ნებაა, ჩვენ კი რადღა აღარა ვართ ღვთისეული?! ჩვენვე ვგლიჯეთ ქართლის გული ლახვარ-მახვილ-ისრეული". ეს ნაღდი პოეზიაა, რომელიც მკითხველის გულისგულში გადის და წარუდგინებელ შთაბეჭდილებას ახდენს.

მოწონებას იმსახურებს შალვა ფორჩხიძის ლექსების ციკლი („თეთრი აკაციები"), რომელშიაც მშობლიური სოფლის ნოსტალგია საკუთარი ხმითა და მაღალმხატვრული ოსტატობითაა წარმოსახული:

თეთრ აკაციის ტყეში
ვგრძნობდი ფუტკრების ზუზუნს
და მადნებოდა ხელში
თეთრი მტევნების ძუძუ.

მომეწონა სტროფი, რომელშიაც წრფელი პოეტური განცდები და კონტრასტული განზომილება ძალზე ხელშესახებადაა გამოკვეთილი:

გვიან, როცა აივანზე სუფრას
შლიდნენ,
მახსოვს, მთვარეც ჩვენზე
გაბუშმობდა.
ციდან ლურჯი ვარსკვლავები
ცრემლებს ღვრიდნენ,
ხე რომ ჩემი სიყვარული
მახარობდა.

1991 წელს „მნათობში" დაბეჭდილი პოეზიის ნიმუშების ჩვენეული სახელდახელო მიმოხილვა ნაწილობრივ მაინც წარმოაჩენს გასული წლის ქართული პოეზიის მრავალსახოვნებას, მის ეროვნულ სულისკვეთებასა და კონცეპტუალურ მიზანდასახულობას. პოეზია ქართველი კაცისათვის სიბრძნის უშრეტი წყაროა („პოეზია პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი"). მისი სულის ნაწილია („განა ლალი ვარ რომ ვმღერი? — გულისა დარდსა ვიქარვი"). ამიტომ „ღვთითრჩეულთა" შემოქმედებას ყველა ვითარებაში თანადგომა და გამხნევება სჭირდება, ზოგჯერ კი, მკვახე შეძახილიც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინა ჩხარტიშვილი

„სასწაული მეათორმეტე“

ტრადიციული განმარტებით სასწაული სარწმუნოებრივად მიზანმიმართული ღვთაებრივი ჩარევის შედეგად წარმოქმნილი შეგრძნებადი ფაქტია, რომელიც სცილდება საგნების ბუნებრივად კანონზომიერი მოწესრიგებულობის საზღვრებს.[1] სხვაგვარად: სასწაული ყოველდღიურ წარმავალ ცხოვრებაში მარადიულის გაელვებაა.

ჰაგიოგრაფიული მწერლობა აღსავსეა სასწაულებრივი ეპიზოდებით. მათი დანიშნულება წმინდანის უფლისმიერი ძალმოსილების ჩვენებაა. სასწაული თავისებურ არგუმენტს წარმოადგენს იმათ სასარგებლოდ, რომელნიც, მრავალ ღვაწლთა დამთმენნი, „დიდებითა შემკობილნი წინაშე ღმრთისა კადნიერებით დგანან“. იმაზე თუ რამდენად შთამბეჭდავად არის გადმოცემული სასწაული, ბევრადაა დამოკიდებული რა ადგილს დაიკავებს წმინდანი მორწმუნის სულიერ ცხოვრებაში.

დღეისათვის ცნობილ სასწაულებრივ მოთხრობათა ერთი ნაწილის სიუჟეტური ქარგა ლიტერატურული წარმოშობისაა, პირდაპირ თუ გაშუალებულად დაკავშირებულია „წმინდა წერილის“ პარადიგმებთან. თუმც გვხვდება მორფოლოგიურად ორიგინალური სასწაულებიც. მეტწილად ეს ის შემთხვევებია, როცა ჰაგიოგრაფი თვითმხილველია და თხზულების მთავარი პერსონაჟის ბიოგრაფიის ფაქტებს თავადვე იღებს ცხოვრებიდან. ზოგიერთი, ჰაგიოგრაფიული ეტიკეტისათვის უცხო, დეტალი მას ეძვირფასება, დასაკარგად არ ემეტება. ამიტომ ცდილობს აღწერილ მოვლენათა ღვთაებრივ განზომილებებში ჩვენებას, მათ გააზრებას მარადისობის კუთხით.

ქრისტიანული მორალის დასამკვიდრებლად სასწაულები თვალსაჩინო მაგალითებია. მათი დამოწმება ფართოდ ხდება ქადაგებებში. ამ მიზნით პრაქტიკულად საქმის გასაიოლებლად სასწაულებრივ ისტორიებს,[1] ვაფორმებულთ დამოუკიდებელ ნოველებად, აერთიანებდნენ სპეციალურ ანბანურ რიგზე გაწყობილ ან ქრონოლოგიური თუ თემატური პრინციპით შედგენილ კრებულებში. რადგან წმინდანის საკვირველთმოქმედების უნარი ვლინდება არა მარტო სიცოცხლეში, არამედ გარდაცვალების შემდეგაც, ჰაგიობიოგრაფიები ხშირად რედაქციიდან რედაქციამდე იზრდებიან სასწაულებრივი ეპიზოდების ხარჯზე. არცთუ იშვიათად წმინდანის სახელი იკრებს სასწაულის ამსახველ ნოველათა მთელ ციკლს.

აღნიშნულ ნოველებს ახასიათებთ ცხოველმყოფელი რეალიზმი. მორწმუნისათვის სრულიად ნაცნობი გარემო იქცევა ღვთაებრივთან შეხვედრის საკრალურ ადგილად. ამ ნაცნობობაში, ჩვეულებრივობაში არის სწორედ ადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიანის ფსიქიკაზე სასწაულებრივ მოთხრობათა ზემოქმედების ძალა. ამ მცირე თხზულებებში, მართალია, სულ რამდენიმე შტრიხით, მაგრამ საკმაოდ მკვეთრად ზოგჯერ მოხაზულია ისტორიული ფონიც. მკითხველთა თუ მსმენელთა აუდიტორიას აღნიშნული ჟანრის ქმნილებანი ყოველთვის მიეწოდება „ნამდვილობის პრეზუმპციით". ამიტომაა, რომ სასწაულის ამსახველი ლიტერატურული ძეგლებით ინტერესდებიან არა მარტო ფილოლოგები, არამედ ისტორიკოსებიც, თუმც რაციონალური ისტორიოგრაფიის პოზიციებიდან აშკარაა, რომ ლიტერატურული გამონაგონის სრულიად შეუნიღბავად მატარებელი ეს ნოველები ფანტასტიკურია.

მიუხედავად ამისა, ისტორიკოსები ცდილობენ აღნიშნულ ქმნილებათა მეშვეობით წყაროთა ბაზის გაფართოებას. ამასთან ყოველთვის მიუთითებენ, რომ ისტორიზმი ამ ძეგლებში იხსნება მეტად თავისებური კუთხით. იშვიათია შემთხვევა, როცა მათგან პირდაპირი ინფორმაცია ამოდის. ისინი არსებითად წყაროს წარმოადგენენ არა იმ წმინდანის ბიოგრაფიისათვის, რომლის სახელსაც უკავშირდებიან, არამედ თხზულების ავტორისა და მომხმარებელი საზოგადოების ეპოქის კულტურულ განწყობილებათა რეკონსტრუქციისათვის.[2]

ამ წერილში სასწაულის ამსახველი ერთ-ერთი შუასაუკუნეობრივი ქართული ნოველის შესახებ ვისაუბრებთ. ნოველას რაიმე საგანგებო სათაური არა აქვს. იგი შიო მღვიმელის სახელთან დაკავშირებულ სასწაულთა კრებულში წარმოდგენილია მეთორმეტე თავად. მიუხედავად იმისა, რომ „სასწაული მეათორმეტე" ცნობილია უკვე გასული საუკუნიდან, იგი საგანგებო შესწავლის საგნად ქცეული არ ყოფილა, არც ისტორიულ პრაქტიკაში გამოუყენებიათ, მისი წყაროთმცოდნეობითი ღირებულების სკეპტიკურ შეფასებასაც შეხვდებით სპეციალურ ლიტერატურაში.[3]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ძეგლი მართლაც მწიგნობრულ შთაბეჭდილებას ტოვებს და ნდობისათვის თავიდანვე დიდად არ განაწყობს ისტორიკოსს, ჩვენ მაინც გვინდა იგი განვიხილოთ როგორც ისტორიული წყარო, გავარკვიოთ რამდენად შეესატყვისება ისტორიულ რეალობას მასში წარმოდგენილი დეტალები. ამისათვის აუცილებელია ნოველის დაკვირვებული „გამომეძიებლური" განხილვა, ოღონდ ვიდრე უშუალოდ ნოველას შევეხებოდეთ, ორიოდე სიტყვა კრებულზე, რომელშიაც იგია ჩართული.

კრებულის სრული სათაურია „თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსთაჲ, რომელი-ესე სხუათა მიერ აღწერილი ადგილ-ადგილ ერთად შემოკრიბა ბასილი კათალიკოსმან ძემან დიდისა პატრიკისა ვაჩესმან".[4] „თხრობაჲ" იხსნება წინასიტყვაობით, რომელშიც საუბარია ღვთაებრივი შუქით გასხივოსნებულ პიროვნებათა მნიშვნელობაზე. შენიშნულია, რომ ასეთი, საკვირველთმოქმედი და ნიშებშემოსილი ადამიანები საქართველოს არ დაჰკლებია, ბერძენთა ქვეყანაში რომ იმდენ სასწაულებრივ ფაქტს ჰქონოდა ადგილი, რამდენსაც ჩვენში, შეიქმნებოდა დიდძალი ლიტერატურა, მაგრამ ქართველებმა თანდაყოლილი წინდაუხედაობის გამო („ვითარცა და არს ნათესავი ქართველთა მარტივ და ამას თანა ლიტონიცა") არ იზრუნეს ღირსსახსოვარი მოვლენების სათანადოდ დაფიქსირებისათვის. ამ ხარვეზის შეძლებისდაგვარად შესავსებად მოუკიდია ხელი ბასილ ვაჩეს ძეს კრებულის შედგენისათვის. მოუძიებია სხვადასხვა დროს ჩაწერილი ისტორიები, ნაწილის მხილველი კი თავად ყოფილა. წინასიტყვაობის დასასრულს გვამცნობს რუბრიკა: „სასწაულნი წმიდისა მამისა შიოჲს-

ნი, თავნი იწ“. ამრიგად, კრებულში გაერთიანებული ყოფილა 18 ნოველა, თუმც ჩვენამდე მოღწეულ ნუსხებში შემორჩენილია მხოლოდ ექვსი. კრებული თავნაკლულია და ბოლონაკლული: იწყება მეხუთე და სრულდება მეთორმეტე თავით. ხარვეზი „თხრობაჲს“ შუაშიც არის: მეხუთე თავს მოსდევს მეშვიდე, მეცხრეს — მეთერთმეტე.

საუკუნეთა დიაპაზონი, რომელშიც ბასილის მოღვაწეობის ხანას ეძიებენ მკვლევრები, ფართოა: XI ს. დასასრულიდან XV ს. დასაწყისამდე[5]. კრებულის შედგენის დროის შესახებ უფრო კონკრეტულად რაიმეს თქმა ამჯერად მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია, რადგან აშკარაა, რომ სიზუსტისათვის მასალა კრებულის შემადგენელი თითოეული თხზულების ანალიზმა უნდა მოგვცემს. ეს კი სცილდება წინამდებარე წერილის ფარგლებს.

ახლა თვით „მეათორმეტე სასწაულის“ შესახებ. ნოველა მოგვითხრობს ამაღელვებელ ისტორიას, რომელიც შეემთხვა ქართლის კათალიკოსს სარმიანეს: წმინდა შიოს ხსოვნისათვის დაწესებულ დღესასწაულზე შიომღვიმეს ესტუმრენ ქართველი საერო და სასულიერო იერარქები. მათ შორის იყვნენ მეფე და კათალიკოსი სარმიანე. თბილისიდან მოვიდნენ აგრეთვე „ვინმე კაცნი მეგვპტელნი“, რომლებიც ყოფილან „სარწმუნოებისა იაკობიტთასა“. მათ თავიანთი ქვეყნიდან ჩამოტანილი ძღვენი მიართვეს კათალიკოსს, მიიღეს მისგან ლოცვა-კურთხევა და მისი ხელით ზიარება ითხოვეს. სარმიანემ, ისე რომ არ გამოუკითხავს „მეგვპტელთა“ სარწმუნოება, აზიარა ისინი. დღესასწაული დამთავრდა, დაიშალნენ. კათალიკოსი გამოეშურა მცხეთას. „რამეთუ მოუწოდა მას ხვალისა დღე ჴსენება ყოველთა სულთა ქრისტიანეთაჲ“. მოსასვენებლად მიწოლილ სარმიანეს ეზმანა ორი, „საკვრველი ხილვად კაცი“: ერთი მღვდელთმოძღუარი „კუნკულისა მსგავსი ტრიდით“, მეორე „მონაზონ, ტანსაცმელი, რომელსა აჴუნდა ჴელთა ჯოჯოხეთ-ჴროჲსა, რომელსა ზედა იყო ჯუარი“. სარმიანე ცდილობდა მოეაზრებინა ვინ უნდა ყოფილიყვნენ ისინი. ვიდრე ამგვარ გაურკვევლობაში იყო, ამ უცნაურმა კაცებმა კათალიკოსს „მოსძარცუეს ზეწარი მისი“. მღვდელთმოძღუარი კუნკულით გაქრა. მონაზონი კი შეეკითხა ზარდაცემულ სარმიანეს თუ როგორ აღიქვამდა თავის ამგვარ ყოფას. კათალიკოსის პასუხი მოკლე იყო: „ვითარცა განბასრებულსა“. მონაზონი კვლავ დაეკითხა, მოსწონდა თუ არა თავის ყოფნა ასეთ მდგომარეობაში; სარმიანემ, ბუნებრივია, უარყო. მაშინ მონაზონმა თქვა: „ჴ ძმაო, რომელთაიგი განაშიშლუეს ქრისტე ღმერთი ბუნებათა და მოქმედებათა და ნებათა მისთაგან და არცა ღმრთეებით საცნაურყვეს იგი და არცა კაცებით გამოაჩინეს ძალი მისი და შეიწყნარენ ზიარებად ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა“. კათალიკოსს გაუკვირდა, ჩაეძია თუ ვინ იყვნენ ასეთნი. გამოირკვა, რომ სწორედ ის „მეგვპტელნი ტფილისით“, რომელთაც ძღვენი მიართვეს კათალიკოსს. მონაზონმა ამცნო სარმიანეს, რომ მას უფლის მადლი მოაკლდებოდა.

უბედურებით დათრგუნვილმა სარმიანემ ძლივსღა იკითხა, თუ ვისთან ჰქონდა საუბრის პატივი. მოხუცებულმა მონაზონმა ამცნო, რომ მღვდელმთავარი იყო კვრილე ეპისკოპოსი ალექსანდრიისა, „რომელმან მრავალი ღვაწლი თავს-იდვა ჰეშმარიტი სარწმუნოებისათჳს... ხოლო მე ვარ მონა ღმრთისა შიო“.

გაეღვიძა სარმიანეს, უზომოდ დამწუხრებულს. სასწრაფოდ თავისთან იხმო ეპისკოპოსები, რათა რჩევა ეკითხა როგორ მოქცეულიყო. გადაწყვიტეს პირველ რიგში იაკობიტთა ძღვენი მოეცილებინათ თავიდან და ქალაქგარეთ დაეწვათ. თვით სარმიანე წასულიყო შიომღვიმეს და ორმოცდაათი

დღის განმავლობაში მძიმე მარხვით ეჩვენებინა უფლისათვის სინანული. ეპისკოპოსებს ელოცათ სარმიანესათვის, მარტვილიის დღესასწაული შიომღვიმეში აღესრულებინათ.

ასეც მოიქცნენ, როცა „მოიწია ღამე წმიდისა და დიდებულისა კვრიაკისა“, ღვაწლით დამაშვრალ სარმიანეს ჩასთვლიმა. ძილში იხილა გოლგოთა, მასზე ქრისტე. თვით სარმიანე ვილაც საშინელ კაცებს ჰყავდათ გაკავებული. მიიყვანეს და უფლის წინაშე გააცხადეს მისი შეცოდების შესახებ. სარმიანე იტანჯებოდა, მშველელი არ ჩანდა. ამ დროს შენიშნა მღვდელთმთავარი კვრილე და მამა შიო, რომლებიც წარედგინენ ქრისტეს „დიდითა პატივითა და დიდითა ბრწყინვალებითა შემოსილნი“. მათ პატიება შესთხოვეს უფალს სარმიანესათვის. „ხოლო ჯუარცუმულისაგან მისგან მყოვარ სადამე მიიღეს ბრძანება ესრეთ: ხედავთა თუ ვითარ ვიწყვლი ჯუარისა ამისგან და რომელთა მიერ დღითი-დღე ესე შემემთხვევის, მტერნი ჩემნი შეიყვანა ჭამად ჴორცისა ჩემისა და სუმად მისცა მათ სისხლი ჩემი. და არა არს ღირს შენდობისა სარმიანე, გარნა სიყუარულისა თქუენისათჳს და ვედრებისა მიმიცემიეს შენდობაჲ და არქუთ, რაჲთა ამიერითგან ეკრძალოს“. ეს განაჩენი წმინდანებმა ამცნეს სარმიანეს. გაეღვიძა გახარებულს, მაგრამ თან ეჭვობდა ვაითუ „არა ჭეშმარიტ იყო ხილვაჲ იგი“?

დილით სარმიანეს ეწვია ფილიპე ეპისკოპოსი, რომელმაც მოიტანა ეპისკოპოსთა ჯგუფის წერილი. ისინი სწერდნენ თავიანთ მამამთავარს, რომ აღარ შეეწუხებინა გვემით მოხუცებული მისი სხეული, რადგან ხუთ მათგანს ჩვენებოდა ძილში შიო, თითოეულისათვის ეთქვა, რომ სარმიანეს „მიუტევა ღმერთმან ბრალნი მისნი“. კათალიკოსმა შემოიკრიბა ყველანი, მადლიერების ნიშნად განაჩინა „რაჲთა კანდელი ერთი და სანთელი ერთი დაუშრეტელად კათოლიკე ეკლესიით ენთებოდეს საფლავსა ზედა წმიდისა შიოჲსსა“.

რა კავშირი აქვს ყოველივე აქ მოთხრობილს სინამდვილესთან? უპირველესად უნდა შევნიშნოთ, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, „სასწაული მეათორმეტე“ მიზანმიმართული ძეგლია. იგი ემოციურად დამუხტულია. დაძაბულობის მისაღწევად დროითი პერსპექტივა დარღვეულია, ქრისტე დღითი-დღე „იწყვლის“ ჯვარზე. ჯვარცმა რომ გრძელდება, ამაში წვლილი მიუძღვით ყველა დროის ურჯულოებს, მათ შორის, იაკობიტებს, იაკობიტებთან კავშირის დამჭერს, ბუნებრივია, არ უნდა ჰქონდეს უფლის კეთილგანწყობის იმედი. ერთი მხრივ, მაცხოვრის სატკივარისადმი თანალმობა, მეორე მხრივ, მისი რისხვის შიში — აი, გრძნობები, რომლითაც განსახილველი ძეგლი მსჭვალავს მორწმუნეს. სრულიად უეჭველია, საქმე გვაქვს ფსიქოლოგიურად ნაცად ეფექტურ არგუმენტთან მართმადიდებლობის დასაცავად, წმინდანის ძალის წარმომაჩენელ სახისმეტყველ მაგალითთან. ჩვენს წინაშეა დიდაქტიკური ლიტერატურული ძეგლი. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ „მეათორმეტე სასწაული“ ბუნების კანონზომიერებათა საწინააღმდეგოს არაფერს შეიცავს. აქ აღწერილი სასწაულის მიხედვით ღვთის ნება გამოვლინდება არა კოსმიური წესრიგის რღვევაში, არამედ სიზმარში — ადამიანური ფსიქიკისათვის დამახასიათებელ სრულიად ბუნებრივ აქტში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი ქმნილების პირველი გაცნობა ისტორიოგრაფიული ძიებებისათვის მაინცდამაინც არ განგვაწყობს, მიზანშეწონილი ჩანს, საკონტროლო მასალების მოძიება ვცადოთ წყაროებში.

კათალიკოსს სარმიანეს სახელს ვპოულობთ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდულ რედაქციაში. აქ იგი მოტანილია ყოველგვარი კომენტარის გარეშე, ასე: „სარმეან: :ე:, ე. ი. სარმეან-მეხუთე კათალიკოსი. იგულისხმება ერის-

მთავარ სტეფანოზ II (VII ს. შუა ხანები) თანამედროვე კათალიკოს ევნოსის მომდევნო ცხრა ოლოსანი კათალიკოსის შემდეგ ქართული ეკლესიის რიგით მეხუთე საპეთმპყრობელი.

რომელი საუკუნის მოღვაწეა, ეს სარმეან? აღნიშნულ პირს არ იცნობს არცერთი სხვა წყარო. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ისტორიულ ქრონიკაში კი, როგორც ცნობილია, ქრონოლოგიური მითითებანი არ არის. ამ შემთხვევაში მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ჩვენთვის საინტერესო პირი დასახელებულია არა ტექსტის ძირითად ნაწილში, ე. ი. ერისმთავარ სტეფანოზ II მმართველობის აღწერილობამდე (ჩათვლით) მონაკვეთში — ამ საზღვრებში დაცულია მოვლენათა ფიქსაციის ერთიანი სისტემა (საერო ხელისუფალი — საეკლესიო ხელისუფალი — ეპოქის უმნიშვნელოვანესი ფაქტი)[6], — არამედ სიაში, რომელშიც ერისმთავრები და კათალიკოსები ჩამოთვლილია ცალ-ცალკე. ასე რომ, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით ისიც კი არ ჩანს, რომელი ერისმთავრის თანმედროვეა სარმეან. როგორც ირკვევა, მდგომარეობა მაინც უიმედო არ არის. ძველ სომხურ ისტორიოგრაფიულ თხზულებაში „ალვანეთის ქვეყნის ისტორია“ (ტრადიციულად ამ ნაშრომს X ს. ისტორიკოსს მოსე კალანკატუელს მიაწერენ, თუმც ზოგიერთ ბოლო დროის გამოკვლევაში მისი ძირითადი ნაწილი უკვე VIII ს. II ნახევარში მიაჩნიათ შედგენილად)[7] მოიხსენიება ალვანთა კათალიკოს მიქაელის (VIII ს. შუა ხანები) თანამედროვე ქართველთა კათალიკოსი თალალე. ესაა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ თალალე — ჩვენთვის საინტერესო სარმიანეს მომდევნო კათალიკოსი. აღნიშნული სომხური წყაროსა და სხვა მონაცემების გათვალისწინებით ვ. გოილაძემ თალალეს მოღვაწეობა VIII ს. 50-იანი წლების დამდეგით განსაზღვრა.[8] აქედან გამომდინარე საფიქრებელია, რომ სარმიანეს მოღვაწეობა დაახლოებით VIII საუკუნის 30-40-იან წლებზე მოდის.

იაკობიტები, ეგვიპტე, კირილე ალექსანდრიელი — საიდან, რატომ ჩნდება ეს დეტალები, რამდენად შესაძლებელია VIII საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრები საეკლესიო მოღვაწის წარმოსახვაში მათი გაჩენის შესაძლებლობა დავუშვათ?

იაკობიტებად იწოდებოდნენ ეგვიპტელი მონოფიზიტები. ეს სექტა ყალიბდება VI საუკუნის პირველ ნახევარში. მისი მიმდევრები თავისებურად იაზრებდნენ ქრისტოლოგიის ზოგიერთ პრობლემას, მაგალითად, ქრისტეს ხორცის ხრწნადობის საკითხს. რაც შეეხება კირილე ალექსანდრიელს, ესაა ეკლესიის მამა მოღვაწე ეგვიპტეში. კირილეს უშუალოდ იაკობიტების წინაალმდეგ არ უბრძოლია (იგი ცხოვრობდა V საუკუნეში), მაგრამ მისი სახელის წამოტივტივებას კათალიკოსის ცნობიერებაში აქვს საფუძველი: ეგვიპტის ქრისტიანული ცენტრის ეს ეპისკოპოსი თავის თეორიულ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოირჩეოდა მწვალებელთა და წარმართთა წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლით. VIII ს. შუა ხანებისათვის კირილეს ქალკედონის კრებამდე ჩამოყალიბებული ქრისტოლოგია მისთვის დამახასიათებელი ე. წ. ანთროპოლოგიური მინიმალიზმით, ძის ადამიანურ და ღვთაებრივ ბუნებათა შორის გარკვეული დისბალანსით ამ უკანასკნელის სასარგებლოდ[9] მართლმადიდებლობის ისტორიაში, მართალია განვლილი ეტაპია, მაგრამ ეს დეტალებია, შეუმჩნეველი ფართო აუდიტორიისათვის. ასოციაციური კავშირისათვის საფუძველს ქმნის ეგვიპტე: იაკობიტები ეგვიპტური ქრისტიანული სექტის წევრები არიან, კირილე ალექსანდრიელი ეგვიპტეში ებრძოდა მწვალებლებს. მაგრამ რატომ იაკობიტები, VIII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა ცხოვრობდა სარმიანე, ქართული ეკლესიისათვის არსებობს

კი რეალურად იაკობიტებთან დაპირისპირების აუცილებლობა? როგორც ირკვევა, არსებობს. სომხური ეკლესიის ისტორიიდან გამომდინარე ვიცით, რომ VIII ს. დასაწყისიდან ამიერკავკასიაში იაკობიტთა მოძალება იგრძნობა. სომხური და სირიულ-იაკობიტური ეკლესიების დაახლოების პირველი ნაბიჯები გადაიდგა 726 წლის მანაზკერტის საეკლესიო კრებაზე, რომელიც, სომხეთში მონოფიზიტობის აღდგენის გარდა, მიზნად ისახავდა სწორედ იაკობიტებთან კავშირის დამყარებას.[10] ამ უკანასკნელთა წარმომადგენლები სირიიდან ჩასულან კიდეც სომხეთში. აქ ისინი შეეცადნენ გამოენახათ ერთიანობისათვის დოგმატური საფუძველი, სომხებთან ერთად პოზიციების დაახლოებაზე მუშაობდნენ.[11] ბუნებრივია, რომ ამ თვალსაზრისით გარკვეული ოპტიმიზმი იაკობიტებს ქართული ეკლესიის მიმართაც ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ ზოგი ქრისტოლოგიური პრობლემის გადაწყვეტაში მონოფიზიტური აღმსარებლობის მიმდევართა შორის იაკობიტები ყველაზე ახლოს იდგნენ მართლმადიდებლობასთან.

არაბების მიერ დაპყრობილი (სირია, ეგვიპტე არაბებმა დაიპყრეს VII ს. 40-იანი წლების დამლევს) ქვეყნებიდან VII ს. პირველ ნახევარში იაკობიტთა მოსვლა ამიერკავკასიაში შესაძლოა არაა შემთხვევითი, შესაძლოა ამგვარი ვიზიტები რაიმე პოლიტიკურ მიზანს (არაბთა იმპერიის, არამუსლიმური ქვეყნების მასშტაბით ერთიანი რელიგიური სივრცის შექმნა?) ისახავდეს. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ VIII საუკუნის ნახევრიდან არაბების სარწმუნოებრივი პოლიტიკა რადიკალურად იცვლება დაპყრობილი ქვეყნების მიმართ, თბილისი ივსება არაბებით, იგი დამპყრობთა რეზიდენციად იქცევა („დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შექმნეს სახლად საყოფელად თჳსად; მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისაგან, რომელსა ჰქჳან ხარაჯა"). შიომღვიმეში კი იაკობიტნი მეგვპტელნი მოდიან არა უშუალოდ, თავიანთი ქვეყნიდან, არამედ ალბათ ერეზიდენციად ქცეულ თბილისიდან. ამიტომ საფიქრებელია, რომ არაბთა მიერ ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ახალი პოზიციების განმტკიცებას, მათ მიერ რელიგიურ პოლიტიკაში ცვლილებებს, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ იაკობიტთა მანაზკერტში თუ თბილისში გამოჩენის ფაქტებს შორის არსებობს კორელაცია. მაგრამ ეს სხვათა შორის. ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა სხვა რამ. VIII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე ქართლის კათალიკოსისათვის მართლაც პრობლემატური უნდა ყოფილიყო დამოკიდებულება იაკობიტებთან ურთიერთობა მათთან ამ ეპოქის რეალობა იყო.

კათალიკოსის „სარწმუნოებრივი" სიზმარი მიუთითებს ქართული ეკლესიის მკაფიოდ გამოხატულ მართლმადიდებლურ პოზიციას, მის მწვავე დაპირისპრებას არამართლმადიდებლებთან. პოპულარულ ნოველაში ამ სიზმრის დაფიქსირება კი ცხადყოფს, რომ ქრისტოლოგიური პოლემიკის პერიპეტიები მოსახლეობის ფართო მასებისათვის ნაცნობია. ყოველ შემთხვევაში იმდენად მაინც გასაგებია, რომ ინტერესს აღძრავს. ჩვენ უნდა დავიდასტუროთ, რომ ამგვარი განწყობილებაც VIII საუკუნის პირველი ნახევრის რეალობაა. მსგავსი რამ, ცხადია, სხვა ეპოქებსაც შეიძლება ახასიათებდეთ, მაგრამ წყაროს „უდანაშაულობის პრეზუმპციიდან" გამომდინარე ჩვენთვის სავსებით საკმარისია საკონტროლო მასალა არ ეწინააღმდეგებოდეს ზემოთ აღწერილ სიტუაციას. უკვე ნახსენები „ალვანთა ქვეყნის ისტორია" გვიჩვენებს, რომ დამოკიდებულება დიოფიზიტებსა და მონოფიზიტებს შორის ამ დროს უკიდურესად დაძაბული იყო. კერძოდ, ამ თხზულებაში მოთხრობილია ქართლის კათალიკოს თალილეს (როგორ ითქვა, იგი სარმიანეს მომდევ-

ნოა) ალვანეთის კათალიკოს მიქაელის და ეპისკოპოსთა კრების მიერ შეჩვენების შესახებ. ნათესავთა შორის ქორწინება მოუწადინებიათ ალვანელ დიდებულებს. ისინი არ მიუღია მიქაელს, მაშინ თალალესათვის მიუმართავთ, რომელსაც (ძველი სომეხი ისტორიკოსის მითითებით, ბოროტი რწმენის პიროვნებას) ჩანს, გადმობირების მიზნით, ასე უპასუხნია: „თუ თქვენ ჩემი ალთქმისა ხართ, კურთხეულ იყავით, ხოლო თუ ალვანთა გარდამოცემისა ხართ, თქვენ იცით“[12]. ამისთვის დაუწყევლიათ თალალე: „ჩვენ, მართლმადიდებელთა კრებამ, შეგაჩვენეთ შენ ყველა მწვალებლებთან ერთად“, —ვკითხულობთ ქართველთა კათალიკოსისადმი ამ კრების მიერ გამოგზავნილი წერილის ბოლოს.

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ VIII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე სარმიანეს შეეძლო ენახა. ყოველ შემთხვევაში, მოეთხრო სიზმარი იაკობიტებისა და შიოს შესახებ. ეგვიპტელი მონოფიზიტები, ბრძოლები არამართლმადიდებლებთან მისი თანამედროვე სინამდვილის ფაქტებია. არათუმც არის გარემოება, რომელიც განმარტებას მოითხოვს. საქმე შემდეგია: განსახილველ ნოველაში სარმიანეს თანამედროვედ ნახსენებია მეფე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ კი შესაბამის პერიოდში ქართველთა უზენაეს ხელისუფლად ერისმთავრებს ასახელებს. ამგვარი ლაფსუსი, ცხადია, არ შეიძლება თანამედროვის მიერ მოთხრობილ ისტორიაში აღმოჩნდეს, ამიტომ კვლავ ჩნდება დაეჭვების კითხვა: ხომ არ არის „სასწაული მეათორმეტე“ ფსევდოისტორიული ქმნილება?

აღნიშნულ კითხვაზე დამაჯერებელი უარყოფითი პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა ატენის სიონში მიკვლეული სტეფანოზ მამფლის ფრესკული ეპიტაფია, აგრეთვე აქვე გამოვლენილი გრაფიტოები. ეპიტაფიიდან ვიგებთ, რომ სტეფანოზი გარდაცვალა 739 წელს, გრაფიტოებიდან კი ირკვევა, რომ იგი ერისმთავარ ნერსე ვარაზის ძის შვილი იყო.[13].

სტეფანოზ ნერსეს ძე მოხსენიებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჩვენ მიერ უკვე ნახსენებ ერისმთავართა სიაში: „და ტფილისს დაჯდა სტეფანოზ და კათალიკოზი იყო სამოველ და მისა ზევე ევნონ. და ჰამბავი მოკ]და, ვითარმედ ბაღდადი აგარეანთა დაიპყრესო. და ამისათჳს ბერძენთა ქუაყანაჲ ჯორსა აჰკიდეს და წარიღეს საბერძნეთა. და მისა შემდგომად ერისთვობდა გუარამ კურაპალატი :ვ:˙ და გუარამ ყრმაჲ :ზ:˙: და მერმე არშუშა კურაპალატი :ხ: და ვ ა რ ა ზ ბ ა კ ურ აპაჲ პატრიკიოსი, რომელმან გარბანელნი მიაქცინა :თ: და მერმე ნ ე რ ს ე :ი: და ძენი მისნი ფილიპი ა:აი, ს ტ ე ფ ა ნ ოზ :იბ:“.[14]

ეს სტეფანოზ :იბ˙: ე. ი. მეთორმეტე სტეფანოზი (იგულისხმება რიგით მეთორმეტე უზენაესი ხელისუფალი, თორემ სინამდვილეში ესაა სტეფანოზ III) უნდა იყოს სარმეან|სარმიანეს თანამედროვე ერისმთავარი: როგორც ითქვა, იგი გარდაიცვალა VIII საუკუნის 30-იანი წლების მიწურულს. VIII საუკუნის 30-იან—40-იან წლებში კი ქართული ეკლესიის მეთაურად ვხედავთ სარმიანეს.

წარწერის მიხედვით სტეფანოზ ნერსეს ძე მამფალია, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერისთავთა თავი, ე. ი. „ყოველი ქართლის“ უზენაესი ხელისუფალია[15]. ჩვენთვის საინტერესო ნოველაში კი, როგორც ვნახეთ, უზენაეს საერო ხელისუფლად მეფე ჩანს და არა ერისმთავარი. მაგრამ მოხსენიებული ეპიტაფიით ირკვევა, რომ ამ დროს ქართლში არა მარტო ერისმთავარია, მეფეც არის: სტეფანოზ მამფალი გარდაცვლილა „ღმრთივგვირგვინოსნის“ (მისი სახელი წარწერის დაზიანების გამო არ იკით-

ხება) მეფობის 21-ე წელს. როგორც სამართლიანად მიუთითებს გ. აბრამიშვილი, აქ ლაპარაკი უნდა იყოს ქართველ მეფეზე, რადგან 719 წელს (739 მინუს 21 უდრის 719) არც ბიზანტიაში და არც სახალიფოში არავინ ასულა სამეფო საყდარზე.

ამგვარად, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ „სასწაული მეათორმეტე" ისტორიული რეალიების ზუსტად დამაფიქსირებელი ძეგლია. აქედან გამომდინარე სასურველია მისი უფრო ფართო დანერგვა ისტორიულ პრაქტიკაში, თუნდაც ქართული ეკლესიის ისტორიის ნაკლული ფურცლების შესავსებად.

მაგრამ ამ დასკვნასთან დაკავშირებით ბუნებრივია დაიბადოს კითხვა: ქართლის რომელი მეფის ეპოქის გაშუქებაში დაგვეხმარება „სასწაული მეათორმეტის" საშუალებით მოძიებული მასალები ანუ რომელია სარმიანეს თანამედროვე „ღმრთივგვირგვინოსანი?"

„ქართლის ცხოვრებაში" VII საუკუნის შუა ხანებიდან VIII საუკუნის მიწურულამდე დასახელებულია ოთხი მეფე. ესენია: სტეფანოზ II-ის ძეები— მირი და არჩილი და არჩილის ვაჟიშვილები — იოვანე და ჯუანშერი. მართალია, ეს ორი უკანასკნელი მათთვის მიძღვნილი თავის სათაურში მთავრებად არიან მოხსენიებულნი, მაგრამ ამგვარი ტიტული შემდგომი რედაქტორის ნახელავი უნდა იყოს, რადგან თვით ტექსტიდან აშკარაა, რომ ავტორის მიერ (ეს ავტორი კი თანამედროვეა, იგი არჩილის დიშვილის ქმარი ჯუანშერ ჯუანშერიანია) გაიაზრებოდნენ როგორც მეფეები. „ამიერითგან,— შენიშნავს მემატიანე ჯუანშერის ზეობის გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, — იწყო შემცირებად მეფობამან დიდთა მეფეთა ხუასროანთაშან"[16]. როგორც ვხედავთ ხუასროანთა, ე. ი. მირიანის შთამომავალთა („ქართლის ცხოვრების" ცნობით მირიანი ხოსროს ძე, ირანელი უფლისწული იყო) ხაზის წყვეტას მიუთითებს ჯუანშერის და არა არჩილის შემდგომ. ამგვარად, დასახელებულ ოთხ პიროვნებას[illegible] უნდა ამოვიცნოთ ქართლის [illegible] რომლის დროს შიომღვიმეში მოვიდნენ მეგვტელი იაკობიტები. რა ნიშნით? გამეფების თარიღის მიხედვით, რადგან სტეფანოზ მამფლის ეპიტაფია სტეფანოზის და აქედან გამომდინარე სარმიანეს თანამედროვე „ღმრთივგვირგვინოსნის" ზეობის დასაწყისად 719 წელს მიუთითებს.

როგორც ცნობილია, არჩილი მოწამეობრივად აღესრულა. არაბი სარდლის ბრძანებით მას თავი მოჰკვეთეს. ვახუშტი ბაგრატიონი არჩილის წამების თარიღად უთითებს 718 წელს. იგივე თარიღი შემორჩენილია „ქართლის ცხოვრების" ჯანაშვილისეულ ნუსხაში, სადაც სათაურის „წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი, რომელი იყო მეფე ქართლისა" გასწვრივ მიწერილია ქ'ტს აქეთ წელსა ღ. ი. ᲩᲐ, ე. ი. 718 წელი. ბ. სილაგაძის აზრით, ეს არჩილის გამეფების თარიღია.[17] მაგრამ არჩილი პირველ რიგში (ეს ჩანს მოტანილი სათაურიდანაც) მარტვილია და არა მეფე, ხოლო მისი ბიოგრაფიის უმთავრესი ფაქტი მარტვილობაა და არა გამეფება. როცა მოწამის ცხოვრებაში დასახელებულია ერთადერთი წელი, უეჭველია, რომ ეს მისი მოწამეობის წელია.

საერთოდ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ტენდენცია არჩილის ზეობა გადაიტანონ VIII ს. I ოცწლეულის შემდეგ[18], ამის მიზეზია ის, რომ ჯუანშერ ჯუანშერიანთან არჩილი მურვან ყრუს თანამედროვედ არის გამოყვანილი. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევაზე დაყრდნობით ამ მურვანს აიგივებენ სარდალ მურვან იბნ მუჰამედთან, შემდგომში ხალიფა მერვან II-სთან. ეს პიროვნება VIII ს. 30-იან-50-იანი წლებში ცხოვრობდა. მაგრამ ქართულ და არაბულ წყაროებში მოხსენიებული მურვანთა იდენტიფიკაციისას, სპეციალისტთა უმრავლესობა ცდება. ჯუან-

შერთან უნდა იხსენიებოდეს არა მურვან იბნ მუჰამედი, არამედ ამ უკანასკნელის მამა მუჰამედ იბნ მურვანი, არაბი სარდალი, რომელიც VII ს. II ნახევარში იმყოფებოდა ამიერკავკასიაში[19]. ასე რომ, არჩილის მეფობის VIII საუკუნის შუა ხანებში გადმოსაწევად არავითარი საფუძველი წყაროებში არ არსებობს. სავსებით მისაღები ჩანს მისი ზეობის განსასაზღვრავად ვახუშტის ქრონოლოგია — 668—718 წლები.

თუ დავუშვებთ, რომ 719 წელს არჩილი ავიდა ტახტზე (გ. აბრამიშვილი სტეფანოზ მამფლის ეპიტაფიის „ღმრთივგვირგვინოსნად“ სწორედ არჩილს მიიჩნევს), მაშინ გამოდის, რომ იგი გარდაცვლილა 769 წელს მაინც თუ უფრო გვიან არა, რადგან მისი „წამების“ ცნობით, არაბი სარდალი, რომლის რისხვასაც შეეწირა მეფე, ქართლში მოვიდა არჩილის მმართველობის პირველი წლების მომდევნო ორმოცდაათი წლის გასვლის შემდეგ. არჩილის მამის სტეფანოზ II გარდაცვალება „მოქცევაჲ ქართლისაჲთ“, „ქართლის ცხოვრებით“ VII ს. შუა ხანებზე მოდის. ამგვარად, თუ არჩილის ზეობის დასაწყისს წყაროთა პირდაპირი ჩვენების მიუხედავად მაინც 719 წლიდან ავთლით, მივიღებთ, რომ მამა-შვილის გარდაცვალება ერთმანეთისაგან დაცილებულია საუკუნოვანი და მეტი ინტერვალით. ეს კი ფრიად და ფრიად საეჭვოა, რომ არა ვთქვათ, შეუძლებელია.

ყოველივე ზემოთქმული გვიჩვენებს: 719 წელს ქართლის ტახტზე არჩილის ერთ-ერთი ძის ასვლა იგულისხმება, სარმიანეს თანამედროვედ „სასწაულ მეათორმეტეში“ მოხსენიებული ნუ-ფეფე იოვანე ან ჯუანშერია.[20] ამასთან შესაძლებელია მეტი დაკონკრეტებაც: ესაა ჯუანშერი, რადგან „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით იოვანე ეგრისში გადავიდა. უკვე VIII ს. 20-იან წლებში ჯუანშერ არჩილის ძის ქართლის სამეფო ტახტზე ყოფნას ადასტურებს ერთ-ერთი არაბული წყაროს ცნობაც აღნიშნული საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლში ხაზართა სარდლის ბარჯიქის (ბარჰაბაქ||ბარჰილ||ბარჯანქ||ბარჯინქ||ტარმაჩ||ბარჯილ) მოსვლის შესახებ[21]. „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს, რომ სწორედ ჯუანშერ არჩილის ძის დროს ქართლში „მოგზავნა ხაკანმან სპასალარი თჳსი ბლუჩან“.

ამგვარად, უეჭველია: „სასწაულ მეათორმეტეში“ აღწერილი ისტორია ჯუანშერ არჩილის ძის მმართველობის ხანაში ლოკალიზდება ქრონოლოგიურად. ეს საგულისხმო ფაქტია, რადგან ჯუანშერ არჩილის ძის შესახებ მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაში“ ვხვდებით ცნობებს, საეკლესიო ცხოვრების შესახებ კი აქაც თქმული არაფერია.

ასე რომ, ზემოთ განხილული სასწაულის ამსახველი ნოველა არა მარტო შესაბამისი ეპოქის კულტურულ განწყობილებათა შესახებ გვიქმნის წარმოდგენას, როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია იმ ჟანრის ძეგლებისათვის, რომელსაც იგი განეკუთვნება, არამედ კონკრეტული ფაქტებითაც ამდიდრებს ჩვენს ცოდნას საქართველოს ისტორიის, გარკვეული პერიოდის შესახებ.

შენიშვნები

1. ქრისტიანული ეკლესიის ოქსფორდის ლექსიკონი ფ. ლ. კროსის რედაქციით, — ლონდონი, 1966, გვ. 905 (ინგლისურ ენაზე).

2. დელე ი. წმინდანთა სასწაულების ანტიკური ხანის კრებულები — ანალექტა ბოლანდიანა, 1925, ტ. XLIII, გვ. 65 (ფრანგულ ენაზე); გურევიჩი ა. შუა საუკუნეების ევროპის კულტურა და საზოგადოება თანამედროვეთა თვალით. — მოსკოვი, 1989, გვ. 5-17. (რუსულ ენაზე).

3. ალექსიძე ზ., ქართული წყაროების შესწავლის მეთოდური საკითხები (აგიოგრაფია).— თბ., 1985, გვ. 32.

4. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები. ტექსტები გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. აბულაძემ, თბ., 1955, გვ. 210—213.

5. ბროსე მ. „საქართველოს ისტორიის" დამატებანი და განმარტებები. — სანქტ-პეტერბურგი, 1851, გვ. 138 (დამატება VIII. ურბნისის ეპისკოპოს წმ. ნეოფიტეს შესახებ, ფრანგულ ენაზე). საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, სპბ 1862, გვ. 253. სქ. I; ჭიჭინაძე ზ. ქართული მწერლობა მეცამეტე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე, გვ. 13; კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. — თბ., 1980, ტ. I, გვ. 270.

6. უფრო დაწვრილებით იხ. ჩვენს წერილში „მოქცევაი ქართლისაჲ" ერთი ანაქრონიზმის შესახებ .— მნათობი, 1990, № 5, გვ. 145—149.

7. მოვსეს კალანკატუაცი. ალვანეთის ქვეყნის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო შ. ვ. სმბატიანმა. — ერევანი, 1984, გვ. 15—16 (რუსულ ენაზე).

8. გოილაძე ვ., ქართული ეკლესიის სათავეებთან. 1991, გვ. 167.

9. მენენდორფი ი. წმინდა მამათა ღვთისმეტყველების შესავალი. — ნიუ-იორკი, 1985 გვ. 161—162 (რუსულ ენაზე).

10. არსენი საფარელი, განყოფისათჳს ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. — თბ., 1980, გვ. 25.

11. იქვე.

12. მოვსეს კალანკატუაცი, ალვანეთის ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძე—ტატიშვილმა, თბ. 1985, გვ. 151.

13. აბრამიშვილი გ., სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. — თბ., 1977; მისივე. ატენის სიონის სამი გრაფიტო. — „მნათობი", 1984, № 9, 156—167.

14. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. — თბ., 1963, წ. I, გვ 97 (ხაზი ჩვენია).

15. აბრამიშვილი გვ., სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, გვ. 36.

16. ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. — თბ., 1955, გვ. 250.

17. სილაგაძე ბ., ხაზართა ერთი ლაშქრობის შესახებ VIII საუკუნეში. — მაცნე, ისტორიის სერია, 1980, № 1, გვ. 110.

18. საკითხის ისტორიის შესახებ — იხ. ა. ბოგვერაძის ნაშრომში ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, — თბ., 1979, გვ. 97-102.

15. აბრამიშვილი გ. სტეფანოზ მამფლის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, გვ. 29—30.

20. სარმიანეს თანამედროვედ იოვანეს ან ჯუანშერს ვარაუდობდა თ. ჟორდანიაც, ოღონდ სარმიანე მას VIII ს. II ნახევრის მოღვაწედ მიაჩნდა. იხ. მისი ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. — ტფ. 1892, წ. I, გვ. 78, შენ. 154.

21. სილაგაძე ბ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 110.

** редакция**
თბილისი რუსთაველის ქ. № 28

ТЕЛЕФОНЫ: зам. редактора — 99-51-61. зам. редактора отдела 99-79-89, з/зг. отдела 99-81-00, и заведующего — 99-05-18.

გადაეცა ასაწყობად 29. 06. 92 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20. VIII, 92 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი. 16,8. ტირაჟი 6, 000 შეკვეთა 1111 მ. კოსტავას ქ. № 14.

616/72

ფასი 5 მან.
ხელმოწერთათვის 2 მან.

ინდექსი
76198
ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ